

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა  
და შემოქმედების მათიანე





**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი**

**Shota Rustaveli National Science Foundation**



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**The Ivane Javakhishvili Tbilisi State University**



**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

**Shota Rustaveli Institute of Georgian Literature**

სამეცნიერო პროექტი „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე“ - ახალი ტექსტოლოგიური კვლევები (ორენოვანი გამოცემა)“ (FR/317/1-20/13) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

პროექტის ხელმძღვანელი – **მაია ნინიძე**.

მასალის შემდგენლები: **მაია ნინიძე, ქეთევან ხითარიშვილი, ნანა ფრუიძე, შარლოტა კვანტალიანი, ავთანდილ უჭმაჭურიძე**.

რედაქტორები: **მაია ნინიძე, ივანე ამირხანაშვილი**.

© შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ISBN 978-9941-9365-8-6 (PDF)



გამომცემლობა „მთაწმინდა“

2017



## წინასიტყვაობა

ცხოვრებისა და შემოქმედების მათი ანექრონოლოგიური თანმიმდევრობით აღნუსხავს ამა თუ იმ ხელოვანის ღვაწლს და, როგორც ისტორიულ-ბიოგრაფიული დოკუმენტური გამოცემა, უმნიშვნელოვანესი წყაროა მკვლევართათვის. ქართველი მეცნიერების ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის მიერ 1987-2003 წლებში გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მათი ანეხები დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ათწლეულების მანძილზე რჩებოდა სამაგიდო წიგნებად.

მატიანის ღირსება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სრული და დოკუმენტურად დადასტურებულია მასში თავმოყრილი ინფორმაცია. შესაბამისად, დროთა განმავლობაში საჭირო ხდება მისი შევსება ახალგამოვლენილი წყაროებისა და სამეცნიერო კვლევების საფუძველზე. ამ მიზანს ისახავდა წინამდებარე ელექტრონული გამოცემაც. „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათი ანის“ 1987 წლის ბეჭდურ ვერსიასთან შედარებით იგი მოცულობით სამჯერ გაიზარდა და საგრძნობლად დაიხვეწა მასალის ორგანიზების სტრუქტურა.

ილია ჭავჭავაძე, სიცოცხლეშივე „ერის მამად“ ნოდებულის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი და „ილია მართლად“ სახელდებული, არის პიროვნება, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სულიერი, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური განვითარების საქმეში. მისი პოპულარობა და მნიშვნელობა საუკუნეების შემდეგაც არ კლებულობს, რადგან რაც უფრო უკეთ ვეცნობით მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რაც უფრო ვუღრმავდებით მის მხატვრულსა და დოკუმენტურ მემკვიდრეობას, მით უფრო ცხადად ვხედავთ ამ პიროვნების ღირსებებსა და ღვაწლს.

მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე ქართულ გამოცემასთან ერთად ქვეყნდება მათი ანის ინგლისური ვერსიაც. იგი უცხოელ მკითხველს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან ერთად გააცნობს საქართველოს იმჟამინდელ ყოფასაც, რადგან მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მწერლის გარდაცვალებამდე ჩვენი ერის ცხოვრებაში არ მომხდარა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიეღოს ან არ გამოხმაურებოდეს, როგორც მწერალი და ჟურნალისტი.

**კვლევითი საფუძვლები:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხოვრებისა და შემოქმედების მათი ანეხების მომზადების გარკვეული გამოცდილება საქართველოში დღემდეც არსებობდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ამ საქმეს ინდივიდუალური პირები ასრულებდნენ, ხერხდებოდა მხოლოდ მზა ინფორმაციის თავმოყრა სხვადასხვა წყაროებიდან. თუ მასალას სჭირდებოდა თარიღის დადგენა, ავტორის ან ადრესატის იდენტიფიცირება, იგი ჩვეულებრივ მათი ანის გარეთ რჩებოდა, სხვადასხვა გამოცემებში არსებული ხარვეზები კი წიგნში პირდაპირ გადმოდიოდა.

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით მოხერხდა, რომ წიგნის მზადების პარალელურად გვეწარმოებინა ტექსტოლოგიური კვლევები იმ საკითხების შესასწავლად, რომელთა გარკვევაც იყო საჭირო მათი ანისთვის. გამოცემაში ვერ შევითანადით ინფორმაციას ვერცერთი ტექსტის შესახებ, თუ არ გავარკვევდით, რომ ის ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, ვერცერთ მოვლენას ქრონოლოგიურ რიგში ვერ ჩავსვამდით, თუ არ დავადგენდით თარიღს, მკითხველს ვალიდურ ინფორმაციას ვერ მივანვდიდით, თუ არ დავაზუსტებდით, ვინ იყვნენ ანოტაციაში მოხსენიებული პირები და სხვ. უახლესი ტექსტოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებულ სამეცნიერო ძიებათა შედეგად მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ფაქტების გარდა, დათარიღდა: 176 პირადი წერილი და 7 ლექსი, დადგინდა 8 თხზულების ადრესატი, დაზუსტდა არაერთი ტექსტის

ავტორობის საკითხი და გაირკვა თხზულებებში მოხსენიებული 100-ზე მეტი პირის ვინაობა. სამეცნიერო სტატიების კრებული, რომელშიც კვლევის შედეგები სრულად არის ასახული, გამოიცა სათაურით „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისათვის“. მიღებულმა შედეგებმა ნათლად წარმოაჩინა, ტექსტოლოგიური კვლევების არსებითი მნიშვნელობა ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათის გამოცემებისათვის.

**მასალის მოძიება:** საინფორმაციო წყაროდ გამოვიყენეთ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების არქივში დაცული ნუსხები, რომლებიც წლების წინ მოამზადეს ამ ცენტრის ყოფილმა მეცნიერ-თანამშრომლებმა: ზურაბ კალანდაძემ და ეთევეან ვაშაყმაძემ. მასალის მოძიებაზე რამდენიმე კაცისგან შემდგარი ჯგუფის მუშაობამ საშუალება მოგვცა სრულად ამოგვეკრიფა ინფორმაცია ხელნაწერთა საცავების ასობით დოკუმენტიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეროვნულ არქივში დაცული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სხდომათა ოქმები. მათ საფუძველზე შექმნილი ანოტაციებით მკითხველი გაეცნობა იმ დადგენილებებს, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე, როგორც სხდომის თავმჯდომარე საკუთარი ხელმოწერით ადასტურებდა და მსვლელობას აძლევდა. ამ გადაწყვეტილებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხის განათლებისა და კულტურული განვითარებისთვის.

მატიანის პირველი პუბლიკაციის ინფორმაციულ სრულყოფაში დიდი დახმარება გაგვიწია მას შემდეგ განხორციელებულმა სამმა მნიშვნელოვანმა გამოცემამ: ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულმა კრებულმა ოც ტომად, მკვლევარ გურამ შარაძის მიერ მომზადებულმა ორტომეულმა ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება - ფოტომატიანე) და ქართული ლიტერატურის მუზეუმის საარქივო გამოცემამ (ლექსები, პოემები, თარგმანები, ჩანაწერები, პირადი წერილები). ყველაზე დიდი მოცულობის მასალით ახალი მათიანე მწერლის თხზულებათა ოცტომეულიდან შეივსო, რადგან მასში შეტანილია წინა კრებულებში გამოუქვეყნებელი ასობით პუბლიცისტური წერილი. ეს ტექსტები ხელმოწერლად ან ფსევდონიმებით იყო მიმოფანტული ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით („საქართველოს მოამბე“, „ივერია“) ან თანარედაქტორობით („დროება“) გამომავალი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და მხოლოდ ფუნდამენტური ატრიბუციული კვლევების შედეგად გახდა შესაძლებელი მათი ავტორის დადგენა. განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმეში ცნობილი ტექსტოლოგის – ლევან ჭრელაშვილის ნაშრომებმა.

პუბლიცისტური წერილების ერთი ნაწილი აკადემიურ გამოცემაში განთავსებულია „სავარაუდონის“ განყოფილებაში, რაც მიგვანიშნებს, რომ ილია ჭავჭავაძისადმი მათ კუთვნილებაზე გარკვეული მოსაზრებები არსებობს, მაგრამ საკითხი ცალსახად გარკვეული არ არის. ასეთი ტექსტების ანოტაციებს მატიანის სამეცნიერო აპარატის „ატრიბუციის“ რუბრიკაში მივუთითეთ წყაროები, რომლებშიც მოცემულია არგუმენტირება ავტორობის საკითხთან დაკავშირებით.

მე-19 საუკუნის ბეჭდური გამოცემებიდან ინფორმაციის მოძიებაში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგებისა და ჟურნალ-გაზეთების დიგიტალიზაციამ. ციფრულ მასალასთან მუშაობა გარდა იმისა, რომ ზოგავს დროს და ენერგიას, საგრძნობლად ზრდის კვლევის შესაძლებლობებს.

მატიანეში შეტანილი მასალის მოსაპოვებლად გამოყენებული წყაროები სანდოობის ხარისხით ერთმანეთისგან განსხვავებულია. არის როგორც ოფიციალური დოკუმენტები, ავტოგრაფები და მწერლის სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციები, ისე თანამედროვეთა მოგონებები, ხელნაწერი ასლები, და სხვ. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია, რომ ყველა ანოტაცია ერთნაირი სიზუსტით არ ასახავს რეალობას. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მკითხველს თითოეულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ეცოდინება, რა წყაროს ეყრდნობა იგი და თავად შეეძლება განსაზღვროს, რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს.

ზოგჯერ არასწორი ინფორმაცია იმდენად სწრაფად ვრცელდება და ისე გადადის წიგნიდან წიგნიში, რომ საზოგადოება დაფიქრებას ვერ ასწრებს მის სანდოობაზე. მაგალითად, სალომე ლოლაძე, რომელიც არაერთ წყაროში ილია ჭავჭავაძის „გამდელად“ მოიხსენიება, ამ ქალბატონისავე მოგონების მიხედვით, ილიას თანატოლი იყო და, შესაბამისად, მისი „გამდელი“ ვერ იქნებოდა. წინამდებარე მათიანე და მასთან დაკავშირებით წარმოებული ტექსტოლოგიური კვლევები დოკუმენტური წყაროების ანალიზის საფუძველზე არაერთ ასეთ მითს ამსხვრევს.

**ელექტრონული ფორმატი:** ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება აინტერესებს არა მხოლოდ სამეცნიერო წრეებს, არამედ ფართო საზოგადოებას. ამიტომ ჩვენი მიზანი იყო, რომ მათიანე ერთი მხრივ მეცნიერულად სანდო ყოფილიყო, მეორე მხრივ კი – იოლად საკითხავი და ყველასათვის ხელმისაწვდომი. მიზნის მიღწევაში დაგვეხმარა ამ ტიპის გამოცემისთვის პირველად გამოყენებული ორშრიანი ელექტრონული ფორმატი. მათიანის ძირითადი ტექსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განლაგებული ციფრული დოკუმენტის ზედაპირზე, თითოეული ანოტაციის ბოლოს კი არის ღილაკი, რომელზე კურსორის დაჭერითაც იხსნება ქვედა შრე - სამეცნიერო აპარატი, რომელიც ძირითადად სპეციალისტთა ინტერესებს ემსახურება. იგი მოიცავს რუბრიკებს: „წყარო“, „ატრიბუცია“, „დათარიღება“, „პირთა იდენტიფიკაცია“, „პირთა ანოტაციები“ და „ფოტო / დოკუმენტი“. ბმულზე მოთავსებულ ასეთსავე ღილაკზე კურსორის დაჭერით მკითხველი ბრუნდება იმავე გვერდზე, რომელსაც კითხულობდა.

რუბრიკა „წყარო“ მკითხველს წარმოუდგენს იმ ხელნაწერებსა და ბეჭდურ გამოცემებს, რომელთა საფუძველზეც მომზადდა ანოტაცია. „ატრიბუცია“ – სამეცნიერო კვლევებს, რომლებიც ასაბუთებს მათიანეში შეტანილი ტექსტის ილია ჭავჭავაძისადმი კუთვნილებას, „დათარიღება“ – ნაშრომებს, რომლებშიც დადგენილია დრო, ხოლო „პირთა იდენტიფიკაცია“ – პუბლიკაციებს, რომლებშიც გარკვეულია მოხსენიებულ პირთა ვინაობა. მითითებების გარდა, ამავე რუბრიკებში არის მოკლე შენიშვნებიც, მაგ. რას ეყრდნობა დათარიღება, რა ფორმით არის მოხსენიებული წყაროში ესა თუ ის პირი და სხვ. „პირთა ანოტაციები“ მკითხველს აწვდის მოკლე ინფორმაციას მოხსენიებული პირების შესახებ, „ფოტო / დოკუმენტი“ კი სთავაზობს იმ ფოტოს ან დოკუმენტის ციფრულ ასლს, რომლის შესახებაც არის საუბარი ანოტაციაში. ამისათვის გამოყენებულია მასალები საქართველოს ეროვნული არქივიდან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმიდან.

**სიახლეები:** 1987 წელს დაბეჭდილ „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანეში“ წლები ყველგან მითითებული იყო მხოლოდ პირველი თვის დასაწყისში. ამის გამო, როცა ვეცნობოდით ინფორმაციას წლის ბოლოს, მაგ. 31 დეკემბერს მომხდარი ფაქტის შესახებ, თორმეტი თვის ანოტაციების უკან-უკან ფურცვლა იყო საჭირო, რომ გვენახა, რომელი წელი ეწერა მათ წინ და რომელ 31 დეკემბერს გულისხმობდა ანოტაცია. მსგავსი მოუხერხებლობის თავიდან ასაცილებლად ახალ მათიანეში წლები მივუთითეთ ყველა ანოტაციასთან.

წინა გამოცემაში წყაროები აქა-იქ გვხვდებოდა. ისინი ტექსტშივე იყო ჩართული, არ ჰქონდა მიჩენილი გამოკვეთილი ადგილი და ანოტაციისგან მხოლოდ ფრჩხილები ჰყოფდა, რაც აღქმას საგრძნობლად ართულებდა. წინამდებარე ელექტრონულ გამოცემაში წყაროებზე მითითება ახლავს თითოეულ ანოტაციას, ისინი გადამოწმებულია, დაზუსტებულია და, სამეცნიერო აპარატის სხვა რუბრიკებთან ერთად, ჩატანილია ბმულში<sup>1</sup>.

1987 წლის მათიანეში შეტანილი იყო ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდგომი მოვლენებიც: პანაშვიდები, გამოსვენება და დაკრძალვა. წინამდებარე გამოცემაში ფაქტების აღნუსხვა წყდება მწერლის მკვლევლობით, რადგან სიცოცხლის

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-16 ტომის მასალას არ აქვს მითითებული გვერდები, რადგან ტომი იბეჭდება 2017 წელს და დაკაბადონებული ჯერ არ არის.



შემდეგდროინდელი მოვლენები ვერ თავსდება სათაურის შინაარსში: „ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“.

ამავე პრინციპის მიხედვით მატთანეში არ უნდა შეგვეტანა არც ის წიგნები, რომლებიც 1907 წელს ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა. ზღვარის გავლება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან მათზე გამოცემის მხოლოდ წელია მითითებული. გამოსვლის დროის დაზუსტებაში დაგვეხმარა იმდროინდელ გაზეთებში განთავსებული განცხადებები ახალი წიგნების შესახებ. აღმოჩნდა, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გამოცემული „რჩეული ლექსები“, „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „დედა და შვილი“ მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა და, შესაბამისად, მატთანეში აღარ შეგვიტანია.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის 1987 წლის გამოცემაში იყო თემატური ციტირებები მისი და სხვა ავტორების ნაწერებიდან. რამდენადაც ეს ტექსტები არაერთგზისაა გამოცემული, ციფრულადაც მოიპოვება და ყველასათვის ხელმისაწვდომია, ინფორმაციულობაზე ორიენტირება კი ძალზე მნიშვნელოვანია დოკუმენტური გამოცემის ფუნქციური მოქნილობისთვის, მატთანის ტექსტი ასეთი ციტატებისგან განვტვირთეთ.

**ზოგადი პრინციპები:** მატთანის ანოტაციებში ასახული თითოეული ფაქტი ილია ჭავჭავაძეს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა წინადადება უნდა დაწყებულიყო მისი ხსენებით. იმის გამო, რომ ერთნაირი დასაწყისები ხელს შეუშლიდა მკითხველს მრავალფეროვანი ინფორმაციის სწრაფ აღქმაში, მისი სახელი გამოვტოვეთ ყველგან, სადაც ეს გაუგებრობას არ გამოიწვევდა. მაგ. იმის ნაცვლად, რომ დაგვეწერა: „ილია ჭავჭავაძე იღებს პეტრე უმიკაშვილის ბარათს“, დავეწერეთ: „იღებს პეტრე უმიკაშვილის ბარათს“ და სხვ.

მატთანეში ყველა პირს სახელითა და გვარით ვიხსენიებთ, მაგრამ თუ ერთი და იმავე სახელისა და გვარის მქონე ორი სხვადასხვა პირი გვხვდება, ანოტაციებში ვუთითებთ მამის სახელსაც.

მეცხრამეტე საუკუნეში გვარების ქართულ დაბოლოებებს ცვლიდნენ რუსულით. მატთანეში მათ უნიფიცირებას ვახდენთ და ქართული ფორმით ვწერთ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რუსული დაბოლოება გვხვდება ციტატაში, უცვლელად ვტოვებთ და საძიებელში ამ ფორმასაც ვუთითებთ. ასევე უცვლელად ვტოვებთ უცხოური გვარ-სახელების დაწერილობასაც.

წყაროებში, რომლებსაც ანოტაციების მომზადებისას ვეყრდნობით, პიროვნებები ზოგჯერ მოხსენიებულნი არიან მხოლოდ სახელით, გვარით, ინიციალით, ფსევდონიმით ან სხვაგვარი მინიშნებით. მას შემდეგ, რაც ვარკვევთ მათ ვინაობას, ანოტაციაში ყველას ვიხსენიებთ სახელითა და გვარით, მაგრამ ინფორმაციული სიზუსტისთვის რუბრიკაში „პირთა იდენტიფიკაცია“ ვუთითებთ, თუ როგორ იყო იგი მოხსენიებული წყაროში.

ილია ჭავჭავაძის საგაზეთო სტატიების დიდი უმრავლესობა ინერებოდა ნომრის გამოსვლის წინა დღეს და სათაურის ნაცვლად მითითებული ჰქონდა თარიღი, მაგ. „ტფილისი, 14 თებერვალი“ და სხვ. ზოგი ასეთი ტექსტი გამოცემებში სხვადასხვა სათაურით არის გამოქვეყნებული. იმისათვის, რომ მკითხველს შესძლებოდა ამ მასალის იდენტიფიცირება და იოლად მოძიება, ანოტაციაში ვუთითებთ თარიღსაც, ტექსტის დასაწყის ფრაზასაც და ყველა იმ სათაურს, რომლითაც იგი გამოქვეყნებულია მწერლის თხზულებათა კრებულებში.

**ქრონოლოგია:** რადგან მატთანეში შეტანილი მასალის ერთი ნაწილის დათარიღება მიახლოებითია, საჭიროა განვმარტოთ ჩვენ მიერ გამოყენებული აღნიშვნები და ქრონოლოგიაში ჩასმის პრინციპი:

„თვის დასაწყისში“ ვგულისხმობთ პირველ სამ დღეს, „ბოლოში“ – ბოლო სამს და „შუა რიცხვებში“ – თარიღებს 14-დან 16-ის ჩათვლით. „თვის პირველ ნახევარში“ მოვიაზრებთ რიცხვებს 1-დან 15-ის ჩათვლით, ხოლო „მეორე ნახევარში“ –თვის დანარჩენ ნაწილს.

სავარაუდო ზოგადი თარიღი მოვლენათა თანმიმდევრობაში ინერება იმავე პერიოდის ზუსტი თარიღების ბოლოს. როცა დადგენილია მოვლენის მხოლოდ წელი,

იგი თავსდება ამ წლის ყველა კონკრეტულთარილიანი ანოტაციის ბოლოს. როცა დადგენილია წელი და თვე, იგი თავსდება ამ წლისა და ამ თვის კონკრეტულთარილიანი ანოტაციების ბოლოს.

„1907-მდე“ და მსგავსი ტიპის დათარიღებები გულისხმობს, რომ მითითებული წელი დროის ინტერვალში არ შედის და ანოტაცია თავსდება ამ წლის კონკრეტულთარილიანი მასალის წინ.

„1901-დან“ და მსგავსი ტიპის დათარიღებები გულისხმობს, რომ მითითებული წელი დროის ინტერვალში შედის და ინფორმაცია თავსდება ამ წლის კონკრეტულთარილიანი ანოტაციების ბოლოს.

„1875-დან 10 ოქტომბერი“ და მსგავსი ტიპის დათარიღებები გულისხმობს, რომ იგულისხმება 1875 წლიდან მწერლის გარდაცვალებამდე რომელიმე 10 ოქტომბერი და მას ვათავსებთ მითითებული წლის, თვისა და რიცხვის მასალის შემდეგ.

როდესაც ანოტაციას აქვს გაფართოებული თარიღი, ტექსტოლოგიაში მიღებული პრინციპების მიხედვით, ქრონოლოგიურ რიგში თავსდება დროის ზედა ზღვარზე ორიენტირებით.

**საძიებლები:** ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანეში ასობით პირია მოხსენიებული, რის გამოც საჭირო გახდა გამოცემისთვის პირთა ანოტირებული საძიებლის დართვა. განსამარტავად გამოტანილია წიგნის ძირითად ნაწილში მოხსენიებული ყველა სახელი და გვარი, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებებისთვის ვრცელი ანოტაციის გაკეთება ზედმეტად ჩავთვალეთ და მხოლოდ მოკლედ ვუთითებთ, ვისზეა საუბარი.

პირთა ანოტირებულ საძიებლებში ძირითადად შეტანილია ისეთი ცნობები, რაც მათიანეში არ არის ასახული, მაგრამ თუ ანოტაციაში მოხსენიებული პირის შესახებ სხვა არავითარი წყარო არ იძებნება, ინფორმაცია ამ პირის შესახებ გაგვაქვს მათიანის ტექსტიდან. ეს ძირითადად ეხება ილია ჭავჭავაძის დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის ხანას. ამ პერიოდის ანოტაციებში ნახსენებია სოფლის რიგითი მაცხოვრებლები, რომელთა საჩივრებსაც განიხილავდა ან რომელთა წინააღმდეგაც საქმეს აღძრავდა მაზრის სასამართლო.

რამდენადაც საძიებლებში გატანილ პირთა დიდი უმრავლესობა ქართველია, ეროვნებას ვუთითებთ მხოლოდ უცხოელებთან.

**კალენდარული სტილი:** დროის იმ მონაკვეთში, რომელსაც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე მოიცავს, საქართველოში გამოიყენებოდა იულიუსის კალენდარი. შესაბამისად, ქრონოლოგიაში წარმოდგენილი ყველა თარიღი მოცემულია ე. წ. ძველ სტილით.

**შემოკლებანი:** წიგნში შემოკლებით ვწერთ იმ ორი ორგანიზაციის სახელს, რომლებშიც ილია ჭავჭავაძე ათწლეულების განმავლობაში მოღვაწეობდა და ანოტაციებში ძალიან ხშირად გვხვდება: „**ქმნ-კვ საზოგადოება**“ – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და „**თსს ბანკი**“ – თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. ტექსტის აღქმის გაიოლების მიზნით, არ ვამოკლებთ ბოლო სიტყვებს: „საზოგადოება“ და „ბანკი“.

წყაროების მითითებისას ვიყენებთ შემოკლებას „**თსკ**“ – თბულებათა სრული კრებული.

**სამომავლო პერსპექტივები:** „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების“ ახალი მათიანე არის ამ ტიპის ისტორიულ-ბიოგრაფიული გამოცემის ტექსტოლოგიურ კვლევებზე დაფუძნების და ელექტრონულ ფორმატში განხორციელების პირველი ცდა საქართველოში. ვფიქრობთ, წიგნის აკადემიურობა, ინფორმაციულობა და სტრუქტურული მოქნილობა მალე დაგვარწმუნებს მის უპირატესობებში და დასაბამს მისცემს სხვა გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მსგავსი გამოცემების მომზადებას.

**მაია ნინიძე**

## 1837-1907

„– კაცო, გიყვარდეს! –  
ცათ შთამომძახეს,  
როს მათ დამბადეს.  
ყველგან ეს სიტყვა  
ლამპრად წინ მიმყვა  
და ქვეყნად ჩემს სვლას  
ჰსცემდა წმინდ ნათელს“.

(ილია ჭავჭავაძე, „გიყვარდეს!“)

### 1837 27 ოქტომბერი

ყვარლელ თავად გრიგოლ შაატას ძე ჭავჭავაძესა და მის მეუღლეს – მარიამ ქრისტეფორეს ასულ ბებურიშვილს შეეძინათ მესამე შვილი, რომელსაც ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელი – ილია დაარქვეს. ►

### 1837 27 ოქტომბრის შემდეგ

ინათლება ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. ნათლისღებას აღასრულებს დეკანოზი დანიელ ზურიაშვილი, მიმრქმელია ნინო ანდრონიკაშვილი-ერისთავისა. ►

1838 დალესტანში დაელუპა ბიძა – ალექსანდრე შაატას ძე ჭავჭავაძე. ►

1838 შეეძინა ძმა, რომელსაც სვიმონი დაარქვეს. ►

1839 გარდაეცვალა მცირეწლოვანი ძმა – სვიმონი. ►

### 1840 19 ოქტომბერი

შეეძინა და – ელისაბედი (ლიზა). ►

### 1841 15 იანვარი

მამა – გრიგოლ ჭავჭავაძე თხოვნით მიმართავს საქართველო-იმერეთის თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს თავისი ვაჟების – კონსტანტინესა და ილიასათვის თავადის წოდების დამტკიცების თაობაზე. ►

### 1841 31 იანვარი

ყვარლის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ჩანაწერის საფუძველზე კეთდება რუსულენოვანი მეტრიკულ მოწმობა ილია ჭავჭავაძის დაბადების შესახებ. ►

### 1844 12 დეკემბერი

შეეძინა ძმა – თეიმურაზი. ►



**1845 24 მაისი**

მამას – გრიგოლ ჭავჭავაძეს ნიშნავენ კახეთის მილიციის შტაბს-კაპიტნად. ►

**1845** სასწავლებლად შეჰყავთ ყვარლის მთავარდიაკონ ნიკოლოზ სეფაშვილის შინაურ სკოლაში. ►

**1845** შეეძინა ძმა, რომელსაც ლევანი დაარქვეს. ►

**1846 15 იანვარი**

მამა – გრიგოლ ჭავჭავაძე თხოვნით მიმართავს საქართველო-იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს, მისცენ მოწმობა, რომ საკუთარი სახსრებით არ შეუძლია შვილების: კონსტანტინეს, ილიასა და ელისაბედის შესაფერისი აღზრდა-განათლებით უზრუნველყოფა. ►

**1846 16 იანვარი**

საქართველო-იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გრიგოლ ჭავჭავაძის სახელზე გასცემს სიღარიბის მოწმობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ მას საკუთარი სახსრებით არ შეუძლია მცირეწლოვან შვილს – ილიას მისცეს შესაფერისი აღზრდა. ►

**1847 შემოდგომა**

ავადმყოფობს ციებით. სოფლური წამლები ვერ შველის და მამას – გრიგოლ ჭავჭავაძეს სამკურნალოდ მიჰყავს თბილისში. ექიმების უშედეგო მკურნალობის შემდეგ მოარჩენს ავლაბრელი ფერშალი. ►

**1845-1847** ბავშვებთან თამაშზე მეტად იტაცებს კითხვა და დაწერილი აქვს ლექსები „კოშკზე“ და „მარანზე“. ►

**1847** გერგებილის იერიშის დროს ელუპება ბიძა – გარსევან ჭავჭავაძე. ►

**1847** ელუპება ორი წლის ძმა – ლევანი. ►

**1848 30 იანვარმდე**

გრიგოლ ჭავჭავაძე თავისი მამულების განკარგვას ანდობს მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელე კაპიტან იოსებ წილოსანს, რომელიც ჭავჭავაძეთა მამულების გარანტიით იღებს დიდ სესხს და ველარ აბრუნებს. ამის გამო ილია ჭავჭავაძის მამა-პაპეულ ადგილ-მამულს გაყიდვა ემუქრება. ►

**1848 30 იანვარი**

გრიგოლ ჭავჭავაძე ვრცელი განცხადებით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, მოუთხოვს ქვეყნის წინაშე თავისი, ძმებისა და წინაპრების სამხედრო დამსახურების შესახებ, ატყობინებს, რომ დაღესტანში დაღუპულ ძმას – ალექსანდრეს შემწეობის გარეშე დარჩა ცოლი და ოთხი შვილი და რომ პირადად მასაც ხუთი შვილი ჰყავს და ვალების გამო მთელი ქონების დაკარგვა ემუქრება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ითხოვს საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონების გარანტიით 25-წლიანი სესხის გამოყოფას 15 ათასი ვერცხლის მანეთის ოდენობით. ასევე ითხოვს ბავშვების აღზრდა-განათლებას სახელმწიფო ხარჯზე. ►

- 1848 იანვარი**  
სწავლას იწყებს თბილისში, რაევსკისა და ჰაკეს პანსიონში და სასწავლებლით კმაყოფილია. ►
- 1848 24 თებერვალი**  
გრიგოლ ჭავჭავაძე იღებს მიხეილ ვორონცოვის პასუხს. მეფისნაცვალის ატყობინებს, რომ არსებული კანონმდებლობით მისი თხოვნის აღსრულება ვერ ხერხდება, მაგრამ, თუ სახაზინო წესებში ცვლილებები მოხდება, მის თხოვნას გაითვალისწინებენ. ►
- 1848 4 მაისი**  
ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 30 წლის ასაკში სახადით ელუპება დედა – მარიამ ბებურიშვილი-ჭავჭავაძისა. ►
- 1848 4 მაისის შემდეგ**  
დაქვრივებულ გრიგოლ ჭავჭავაძესთან საცხოვრებლად გადადის და – მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისა. მას ქმარი გარდაცვლილი ჰყავს, უშვილოა და გადანყვეტს, ძმას ბავშვების აღზრდაში დაეხმაროს. ►
- 1848** ფიქრობს ბერულ ცხოვრებაზე. ►
- 1849** მამა – გრიგოლ ჭავჭავაძე მონაწილეობს დალესტინის სამხედრო ექსპედიციაში. ►
- 1850 11 იანვარი**  
მამას – გრიგოლ ჭავჭავაძეს მოჰყავს მეორე ცოლი – ეკატერინე (ქალია) დავითის ასული. ამ გადანყვეტილების მიზეზი მისი მატერიალური ხელმოკლეობაა. ილია განიცდის ამას და ჯვრისწერის ჩაშლას ცდილობს. ქორწილის წინ პატარა ბიჭები ნაცრიანი კალათებით ხელში შედიან ქაშვეთის ეკლესიის ეზოში, ნაცარს აქეთ-იქით ყრიან და გაჰყვირიან, სავარაუდოდ, მის მიერ შეთხზულ სიტყვებს: „გოდორი და კალათაო / ბებერსა ჰრთავენ ქალათაო / სანყალ ჭავჭავაძესაო / ჯვარსა სწერენ ძალათაო“. ►
- 1850 14 ივლისი**  
მამა – გრიგოლ ჭავჭავაძე მონაწილეობს ყვარელზე ლეკთა 500-კაციანი რაზმის თავდასხმის მოგერიებაში და აჭილდოებენ წმინდა ანას ორდენით. ►
- 1850** გატაცებულია ტერ-ასატუროვის ქალიშვილით. თავის მეგობარ კობტა აფხაზთან ერთად მიდის ხოლმე მის სახლთან, რომ ფანჯარაში დაინახოს. ►
- 1851 11 თებერვალი**  
უფროსი და – ნინო ცოლად მიჰყვება თავად ნიკოლოზ აფხაზს. ►
- 1852 იანვარი**  
სწავლას განაგრძობს თბილისის გიმნაზიაში, მეოთხე კლასიდან, მაგრამ ბინად ისევ პანსიონში რჩება. ►
- 1852 ზაფხული**  
არდადეგებს ყვარელსა და კარდანახში ატარებს. წერს ლექსებს: „დავსწერ სოფლისა ქებასა...“, „რწყილთაგან ტანჯავი და მათი ანბავი“ და „ჩემი გონებიდგან განუშორებელი დაო ნინავ!“ ►

**1852 8 დეკემბერი**

გარდაეცვალა მამა – გრიგოლ შაატას ძე ჭავჭავაძე. ►

**1852 13 დეკემბერი**

მამას – გრიგოლ ჭავჭავაძეს კრძალავენ ყვარლის სასაფლაოზე, მეუღლის – მარიამ ბებურიშვილ-ჭავჭავაძის გვერდით. ►

**1852 13 დეკემბრის შემდეგ**

წერს ლექსებს „სიტკობება თვის მამეულში“, „ჭაბუკობაზედ“, „დაღონებული, არ ვიცი რაზედ...“ და „მოთქმა საწყლისა“. ►

**1852 31 დეკემბერი**

მამიდა – მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისა თელავის მაზრის უფროს რამაზ ანდრონიკაშვილს შუამდგომლობას სთხოვს თბილისის სამხედრო გუბერნატორ და სამოქალაქო საქმეთა მმართველ ივანე ანდრონიკაშვილთან გრიგოლ ჭავჭავაძის ობლების – ილიასა და თეიმურაზის სახელმწიფო ხარჯზე სწავლებასთან დაკავშირებით. ►

**1852 ნოემბერ-დეკემბერი**

რუსულ სიტყვიერებასა და მათემატიკაში წლიური არადამაკმაყოფილებელი ნიშნების გამო ტოვებენ მეოთხე კლასში. ►

**1852-** გატაცებულია გიმნაზიის ყოფილი დირექტორის, ნიკოლოზ დემენტიევის ქალიშვილ-  
**დან** ლით. ►

**1853 19 თებერვალი**

თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ივანე ანდრონიკაშვილი შუამდგომლობს ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროს ვასილ ბებუთაშვილთან გრიგოლ ჭავჭავაძის ობლების – ილიასა და თეიმურაზის სახელმწიფო ხარჯზე სწავლებასთან დაკავშირებით. ►

**1853 25 თებერვალი**

ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველო განიხილავს თბილისის სამხედრო გუბერნატორ ივანე ანდრონიკაშვილის შუამდგომლობას გრიგოლ ჭავჭავაძის ობლების – ილიასა და თეიმურაზის სახელმწიფო ხარჯზე სწავლებასთან დაკავშირებით და, იმ მიზეზით, რომ საჭირო საბუთები სრულად არ არის წარმოდგენილი, უარს აცხადებს თხოვნის აღსრულებაზე. ►

**1853** გიმნაზიის მეხუთე კლასში იღებს საბოლოო შეფასებებს: ნიჭი ანუ გულისყური – 4, ბეჭითობა – 3, ყოფაქცევა – 4, საღვთო სჯული – 3, რუსული ენა – 5, ქართული ენა – 5, ფრანგული ენა – 4, ლათინური ენა – 3, ალგებრა – 3, გეოგრაფია – 2, ისტორია – 4. ►

**1853** თავის ნათესავებს – ნატალია მაღალაშვილ-ანდრონიკაშვილისას და თინათინ ჭავჭავაძეს უძღვნის ლექსებს: „ალბომში კნენის ნატალია ანდრონიკოვისას“ და „კნიაჟნა თიკოს ჭავჭ(ავაძის) ალბომში“. ►

**1853-** ფიქრობს ჯუზეპე გარიბალდის არმიამი მოხალისედ წასვლაზე და იტალიის გამა-  
**დან** თავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობაზე. ►

- 1854 21 იანვარი**  
უფროსი ძმა – კონსტანტინე ჭავჭავაძე ცოლად ირთავს რუსი თავადის – გრიგოლ კუკოლევსკის ქალიშვილ ბარბარეს. ►
- 1854 ივლისიდან**  
ოჯახი ყვარლიდან თბილისში გადადის და ილიაც მათთან ბინავდება. ►
- 1854 3 ივლისი**  
კახეთს თავს ესხმიან ლეკები, სახლებს წვავენ და აჰყავთ ტყვეები (მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის – დავითის ცოლ-შვილი, გრიგოლ ორბელიანის ძმის – ილიას ცოლ-შვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის და – ნინო და სხვ.) სახელდახელოდ შეკრებილ მღევარს უერთდება იმ დროს რუსეთიდან ყვარელში დროებით ჩასული ილიას უფროსი ძმა – 21 წლის კონსტანტინე და მას სოფელ კონდოლთან შეტაკებისას კლავენ. ►
- 1855 3 თებერვალი**  
ვორონეჟის გუბერნიაში იბადება მისი გარდაცვლილი ძმის – კონსტანტინეს ვაჟი, რომელსაც სიმონს არქმევენ. ►
- 1856 აპრილის ბოლო**  
ამთავრებს თბილისის გიმნაზიის მერვე კლასს. ►
- 1856 17 ნოემბრამდე**  
მუშაობს ლექსის „ჩემი გონებიდგან განუშორებელო დაო ნინავ!“ ახალ ვარიანტზე. ►
- 1856 17 ნოემბრამდე**  
თარგმნის ლექსს „ჩიტი“. ►
- 1856 17 ნოემბერი**  
თბილისშია, ასრულებს მუშაობას „ჩიტის“ თარგმანის მეორე რედაქციაზე და გამოსაქვეყნებლად უგზავნის ჟურნალ „ცისკარს“. ►
- 1857 იანვარი**  
ჟურნალ „ცისკარში“ თავსდება მისი პირველი პუბლიკაცია, ლექსის „ჩიტი“ თარგმანი. ►
- 1857 27 მარტის შემდეგ**  
პეტერბურგიდან იღებს უმცროსი ძმის თეიმურაზის წერილს, სააღდგომო მილოცვით. ►
- 1857 15 აპრილი**  
სოფელ კარდანახში, დასთან – ნინო ჭავჭავაძე-აფხაზთან სტუმრად ყოფნის დროს, წერს ლექსს „ყვარლის მთებს“. ►
- 1857 28 აპრილი**  
მისი და – ელისაბედი ცოლად მიჰყვება ნიკოლოზ ესტატეს ძე ორბელიანს. ►

**1857 მაისიდან**

ინწყებს წერილის წერას თავისი ახალგათხოვილი დის - ელისაბედისთვის („ვაპირობ წასვლას რუსეთში...“). აღწერს საკუთარ განცდებს მშობლიური სახლისა და სამშობლოს დატოვებასთან დაკავშირებით, მაგრამ ბარათს აღარ ამთავრებს. ►

**1857 ივნისი**

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე მადლობას უცხადებს იმ მწერლებს, რომლებმაც ჟურნალს გამოსაქვეყნებლად გაუგზავნეს მასალები. ჩამონათვალში არის ილია ჭავჭავაძეც. ►

**1857 ივლისის შუა რიცხვებამდე**

მამიდა – მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისა ყვარელში მათ მეზობლად მცხოვრებ ნათესავ სოლომონ ჭავჭავაძესთან დებს გარიგებას, რომლის მიხედვითაც სოლომონმა მის ძმისწულს პეტერბურგში უნდა უგზავნოს თვეში ოთხასი მანეთი უნივერსიტეტის დასრულებამდე, ილია კი ვალდებულია, ცოლად მოიყვანოს მისი ქალიშვილი – ელისაბედი. ►

**1857 ივლისის შუა რიცხვებამდე**

სოლომონ ჭავჭავაძე სთავაზობს ვენახების დაგირავებას და მისი ახალგათხოვილი დის – ელისაბედისთვის მზითვის მიცემას, მაგრამ ამისათვის სჭირდება, რომ ილიამ ვინმე ახლობელს გაუფორმოს მინდობილობა მისი მამულების განკარგვაზე. ნათესავებს არ უნდათ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და უარს ეუბნებიან. ►

**1857 ივლისის შუა რიცხვებამდე**

საქართველოს სამხედრო გზის გავლით მიემგზავრება პეტერბურგში, უნივერსიტეტში შესასვლელად. ►

**1857 20 ივლისამდე**

ჩადის პეტერბურგში და ქირაობს ბინას ამაღლების პროსპექტის № 122-ში. ►

**1857 20 ივლისი**

განცხადება შეაქვს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის – ემილ ლენცის სახელზე გამოცდებზე დაშვების ნებართვისა და, მათი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე სტუდენტად ჩარიცხვის თხოვნით. ►

**1857 21 ივლისი**

აძლევენ პეტერბურგის უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების უფლებას. ►

**1857 აგვისტო-სექტემბერი**

აბარებს უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს. ►

**1857 28 სექტემბერი**

პეტერბურგის სამოსნავლო დარგის მზრუნველის მოვალეობის შემსრულებლის გადაწყვეტილებით, ირიცხება თავისუფალ სტუდენტად იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე. ►



- 1857 15 ოქტომბერი**  
 პეტერბურგის უნივერსიტეტის სამოსწავლო დარგის მზრუნველის მოვალეობის შემსრულებელი პეტერბურგის საუნივერსიტეტო საბჭოს ატყობინებს იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე ილია ჭავჭავაძის ჩარიცხვის შესახებ. ►
- 1857 15 ოქტომბრის შემდეგ**  
 პეტერბურგის უნივერსიტეტის პოლონელ სტუდენტებთან ერთად იღებს ფოტოს. ►
- 1857 1 ნოემბერი**  
 უნივერსიტეტში შეაქვს სწავლის გადასახადი. ►
- 1857 16 დეკემბერი**  
 წერს ლექსს „სანთელი“. ►
- 1857 27 დეკემბერი**  
 წერს ლექსის „ხმა სამარიდამ“ პირველ ვარიანტს. ►
- 1857 დეკემბერი**  
 იწყებს მოთხრობა „დიამბეგობის“ წერას, რომელსაც ამ ფაბულით და სათაურით აღარ განაგრძობს, მაგრამ მის ცალკეულ პასაჟებს მოგვიანებით იყენებს მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ადრეულ ვარიანტში. ►
- 1857** ხდება პეტერბურგის კავკასიელ სტუდენტთა წრის ხელმძღვანელი და, სხვა სტუდენტებთან ერთად, ხელს აწერს დავით ჩუბინაშვილის მიერ ამ წრისთვის გადაცემული სალომე ბატონიშვილისეული 38 წიგნის მიღების დოკუმენტს. ►
- 1857** პეტერბურგში ვასილის კუნძულზე მდებარე იაფფასიან სასადილოში ეცნობა პროფესორ ვლადიმერ სპასოვიჩს, რომელიც შემდეგ ლექციებს უკითხავს უნივერსიტეტში. ►
- 1857-1858** იწყებს მუშაობას მოთხრობაზე სათაურით „ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი“, მაგრამ აღარ ამთავრებს. ►
- 1858 15 იანვარი**  
 უნივერსიტეტში წარადგენს თელავის მაზრის მიერ გაცემულ სიღარიბის მონძობას და შეაქვს თხოვნა სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ. ►
- 1858 16 იანვარი**  
 პეტერბურგის უნივერსიტეტის სწავლა-განათლების მზრუნველი აკმაყოფილებს მის თხოვნას ლექციებზე დასწრების გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ. ►
- 1858 9 თებერვალი**  
 პეტერბურგში თარგმნის ვალტერ სკოტის ლექსს „რა ტკბილ არს ოდეს...“, რომელიც ეპიგრაფად ჰქონდა წამძღვარებული ამ ინგლისელი მწერლის რომანს „ანტიკვარი“. ►
- 1858 12 თებერვალი**  
 პეტერბურგში იწყებს ფრიდრიხ შილერის ლექსის „ცრემლთა შინა ნუგეშის“ თარგმნას. ორიგინალურ წყაროში ნაწარმოების სათაურია „ქალწულის ჩივილი“. ►



- 1858 13 თებერვალი**  
 პეტერბურგში მუშაობას განაგრძობს ფრიდრიხ შილერის ლექსის „ცრემლთა შინა ნუგეში“ თარგმანის ახალ ვარიანტზე, რომელსაც შემდეგ გზავნის ჟურნალ „ცისკარში“ დასაბეჭდად. ►
- 1858 23 თებერვალი**  
 პეტერბურგში თარგმნის ჯორჯ ბაირონის ლექსს „სტიროდეთ“. ►
- 1858 7 მარტი**  
 წერს ლექსებს „გაზაფხული“ („ვიმ გაზაფხული...“) და „ჩიტი“ („ვგალობ და ვგალობ...“). ►
- 1858 თებერვალი-მარტი**  
 პეტერბურგიდან თბილისში წერილს უგზავნის გაბრიელ სულხანიშვილს, იწონებს „ცისკარში“ „მოლაყბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიებს და ეკითხება, მისი ხომ არ არის. ►
- 1858 მაისი**  
 მეორე კურსზე გადასაყვანი გამოცდებიდან აბარებს მხოლოდ „ძველ ისტორიას“ და „რუსეთის ისტორიას“. ►
- 1858 4 ივნისი**  
 პეტერბურგში მუშაობას იწყებს ლექსებზე „სიმღერა“ და „გუთნისდედა“. ►
- 1858 20 ივნისამდე**  
 ზაფხულის არდადეგებზე სხვა სტუდენტებთან ერთად მიდის პეტერბურგთან მდებარე სოფელ ტიარლევოში. ►
- 1858 20 ივნისი**  
 ტიარლევოში წერს ლექსს „მეც შავ თვალებს“. ►
- 1858 22 ივნისამდე**  
 მკურნალ ექიმ ნიკოლოზ არენდტისგან იღებს ცნობას, რომ მაისში მძიმედ ავადმყოფობდა. ►
- 1858 23 ივნისი**  
 ტიარლევოში წერს ლექსს „გიყვარდეს“. ►
- 1858 23 ივნისი**  
 ტიარლევოში იწყებს მუშაობას ლექსზე „მთვარეს“, რომელსაც პუბლიკაციებში სათაურად აქვს „უცხოეთში“. ►
- 1858 23 ივნისის შემდეგ**  
 ტიარლევოში განაგრძობს მუშაობას ლექსზე „მთვარეს“ (იგივე „უცხოეთში“). ►
- 1858 27 ივნისი**  
 ტიარლევოში თარგმნის ალექსანდრ პუშკინის ლექსს „ანგელოზი“, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►

- 1858 27 ივნისი**  
ტიარლევოში თარგმნის ალექსანდრ პუშკინის ლექსს „ჭემმარიტება“. ►
- 1858 15 ივლისი**  
წერს ლექსს „სიზმარი“, რომელსაც ეპიგრაფად წარუმიძვარებს ვალტერ სკოტის სიტყვებს: „რა არს სიზმარი? იგივე ცხოვრება ნამდვილ, მაგრამ სიზმარში მართო გამოხატულება წარმოებს“. ►
- 1858 17 ივლისი**  
სოფელ ტიარლევოში წერს ლექსს „ლოცვა“ („მამაო ჩვენო...“). ►
- 1858 28 ივლისი**  
ტიარლევოში თარგმნის ალექსანდრ პუშკინის ლექსს „წინასწარმეტყველი“. ►
- 1858 1 აგვისტო**  
ტიარლევოში წერს ლექსს „ლოთის რჩევა“, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►
- 1858 1 აგვისტო**  
წერს ლექსს „როდემდის“. ►
- 1858 1 აგვისტო**  
წერს ლექსს „პავლოვსკის პარკი“. ტექსტის ავტოგრაფი მის მიერვეა გადახაზული და მიწერილი აქვს: „რიტორიკა უშვერი“. ►
- 1858 13 აგვისტომდე**  
ნათესავ იოსებ ვაჩნაძისგან იღებს წერილს, რომლიდანაც იგებს მის გადაწყვეტილებას რუსეთში სასწავლებლად წასვლის შესახებ. ►
- 1858 13 აგვისტომდე**  
პეტერბურგში ყოფნისას სტუმრობს გიორგი XII-ის რძალს, იმჟამად გარდაცვლილი თეიმურაზის ცოლ ელენე ამილახვარ-გრუზინსკაიას. ►
- 1858 13 აგვისტომდე**  
პეტერბურგში ყოფნისას ხვდება ილია ჩოლოყაშვილს და მის მეუღლეს, თავისი ნათლიის – ნინო ანდრონიკაშვილის ძმისშვილ ელენე ანდრონიკაშვილს. მწუხარებას გამოთქვამს მათი მცირეწლოვანი ქალიშვილის დაღუპვის გამო. ►
- 1858 13 აგვისტომდე**  
წერილს და ცოტაოდენ თანხას იღებს ნათესავ ნენე ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისაგან. ბარათიდან იგებს, რომ მისი ქმარი – დიმიტრი ანდრონიკაშვილი დიამბეგად დაუნიშნავთ. ►
- 1858 13 აგვისტომდე**  
კოლაგიდან იღებს ნათესავ ანიკო ვაჩნაძის წერილს. ►

**1858 13 აგვისტო**

ტიარლევოდან სოფელ კოლაგში საპასუხო წერილს უგზავნის ნათესავ ანიკო ვაჩნაძეს, რომელშიც იწონებს მისი ძმის – იოსების გადაწყვეტილებას რუსეთში სასწავლებლად წასვლის თაობაზე, მაგრამ იქვე საუბრობს სამშობლოსთან განშორების სირთულეზე. ►

**1858 13 აგვისტო**

ტიარლევოდან სოფელ ჩალათუბანში საპასუხო წერილს უგზავნის ნენე ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისას. შესჩივის მატერიალურ ხელმოკლეობას, ხუმრობს მისი ქმრის დიამბეგად დანიშვნასთან დაკავშირებით და უამბობს გიორგი XII-ის რძალთან ვიზიტის შესახებ, რომლის დროსაც უსაუბრიათ ადრესატის ძმაზე – ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეზე. ►

**1858 25 აგვისტომდე**

ტიარლევოდან დროებით ბრუნდება პეტერბურგში მეორე კურსზე გადასასვლელი დამატებითი გამოცდების ჩასაბარებლად. იღებს შეფასებებს: სახელმწიფო სამართალი – 4, რუსეთის კანონმდებლობა – 4, ღვთისმეტყველება – 5, ზოოლოგია – 3, ფსიქოლოგია – 5. ►

**1858 25 აგვისტო**

სამოსწავლო მზრუნველის გადაწყვეტილებით, გადაჰყავთ მეორე კურსზე. ►

**1858 25 აგვისტო**

თარგმნის იაკობ პოლონსკის ლექსს „ბედა მქადაგებელი“. ხელნაწერში ავტორად არასწორად არის მითითებული გოეთე. ►

**1858 28 აგვისტომდე**

ბრუნდება სოფელ ტიარლევოში. ►

**1858 28 აგვისტო**

ტიარლევოში წერს ლექსს „ლოცვა“ („ოდეს დემონი...“), რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►

**1858 26 ოქტომბრამდე**

ტიარლევოდან ბრუნდება პეტერბურგში. ►

**1858 26 ოქტომბერი**

პეტერბურგში წერს ლექსს „ვიხილე სატროფ“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი არის მიბაძვა ჰაინრიხ ჰაინეს ლექსისა „ძილში ვსტიროდი.“ ►

**1858 26 ოქტომბერი**

პეტერბურგში წერს ლექსს „ერთხელ ჰჭდა ჩემთან ქალი ლამაზი...“ ►

**1858 5 ნოემბერი**

პეტერბურგში წერს ლექსს „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში...“ ►

**1858 19 ნოემბერი**

პეტერბურგში წერს ლექსს „დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან...“ ►

**1858 15 დეკემბერი**

პეტერბურგში წერს ლექსს „ქართვლის დედას“. ►

- 1858 15 დეკემბერი**  
პეტერბურგში წერს „გუთნისდედის“ მეორე ვარიანტს. ►
- 1858 15 დეკემბერი**  
წერს პირველ რედაქციას ლექსისა „მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით“, სათაურით „ს...ს“. ►
- 1858 22 დეკემბერი**  
პეტერბურგში თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს უსათაურო ლექსს „როცა შევყურებ...“ ►
- 1858 26 დეკემბერი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „ბევრი ვიტანჯე...“ ►
- 1858 30 დეკემბერი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „ს...ს“ („მას აქეთ, რაც შენ მე შემეყვარდი...“), რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. ავტოგრაფი ნასწორებია, გადახაზული და მის მიერვე მიწერილი აქვს: „რიტორიკა“. ►
- 1858 31 დეკემბერი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „რისთვის მიყვარხარ?“. ►
- 1858** ალექსანდრე ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიურის“ მიბაძვით პეტერბურგში წერს ლექსს „ჩემი თარიარალი“. იგი რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არის მიმართული და ვრცელდება ხელნაწერის სახით. ►
- 1858** წერს ლექსს „მითხარით, რისთვის“. ►
- 1858** პეტერბურგში თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „ლოყით მოეპყარ...“. ►
- 1858** მუშაობს მოთხრობაზე „კოლა“, რომელიც შემდეგ საფუძვლად ედება „პაცია – ადამიანს?!“ და „გლახის ნაამბობს“. ►
- 1859 5 იანვრის შემდეგ**  
ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებს იაკობ პოლონსკის ლექსის – „ბედა მქადაგებელი“ თარგმნას. ►
- 1859 11 იანვარი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „გულის ხმა“, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►
- 1859 18 იანვარი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „მითხარ, მიყვარხარ...“, რომელიც ხელნაწერში ჭვარედინადაა გადახაზული და ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►
- 1859 18 იანვარი**  
პეტერბურგში თარგმნის ფრიდრიხ რიუკერტის ლექსს „მგზავრის მწუხრისეული სიმღერა“ სათაურით „ჩრდილნი მაღალ მთებისა“. ►
- 1859 19 იანვარი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „გავსწორდეთ, ბედო!“. ►

- 1859 19 იანვარი**  
ჰაინრიხ ჰაინეს მიბადვით პეტერბურგში წერს ლექსს „მეცა მეონია კარგი მამული“. ►
- 1859 19 იანვარი**  
მუშაობს ფრიდრიხ რიუკერტის ლექსის „ჩრდილნი მაღალ მთებისა“ თარგმანის ახალ ვარიანტზე. ►
- 1859 26 იანვარი**  
ასრულებს პოემა „აჩრდილის“ პირველი ვარიანტის წერას. ►
- 1859 18 თებერვლამდე**  
პეტერბურგში ეცნობა გენერალ ილია ჩაიკოვსკის ოჯახს და განსაკუთრებული გრძნობით იმსჯვალეა შემდგომში ცნობილი კომპოზიტორის – პეტრე ჩაიკოვსკის დის, ალექსანდრა (საშენკა) ჩაიკოვსკაიასადმი. ►
- 1859 18 თებერვალი**  
წერილს სწერს თავის უფროს დას – ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისას, ჩივის უფულობას და მუდმივ ვალებს. სთხოვს, რომ ქალისთვის, რომლის ოჯახშიც შვილივით არის მიღებული, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი გაუგზავნოს. ამ მანდილოსანში, რომლის სახელიც ნახსენები არ არის, სავარაუდოდ, იგულისხმება მისი სატრფო ალექსანდრა ჩაიკოვსკაია. ►
- 1859 19 თებერვალი**  
პეტერბურგში წერს პირველ რედაქციას ლექსისა „ვაი, მას ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად...“, რომელიც იწყება სიტყვებით: „ერთხელ მეც, ძმანო, მეც მყვარებია“. ►
- 1859 20 თებერვალი**  
პეტერბურგში წერს ლექსის „ტუჩთა მიკონვა...“ ორ ვარიანტს, მაგრამ საბოლოოდ ორივეს იწუნებს და გადახაზავს. ►
- 1859 თებერვალი**  
ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებს ფრიდრიხ შილერის ლექსის „ცრემლთა შინა ნუგეში“ თარგმანს. ►
- 1859 3 მარტი**  
ჰაინრიხ ჰაინეს „ლამენტაციების“ (კერძოდ, „ბედნიერების“) გავლენით პეტერბურგში წერს ლექსს „სიხარული“. ►
- 1859 16 მარტი**  
პეტერბურგში ამთავრებს მიხეილ ლერმონტოვის პოემა „ჰაჭი-აბრეკის“ პირველი ვარიანტის თარგმნას. ►
- 1859 18 მარტი**  
აღმოაჩენს, რომ 18 თებერვალს თავისი დის – ნინოსთვის მიწერილი ბარათი არ გაუგზავნია, აკეთებს მასზე მინაწერებს და უგზავნის. ►

- 1859 27 მარტი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „ციურნი ხმები“. ►
- 1859 მარტი**  
ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებს ლექსს „მეც შავ თვალებს“. ►
- 1859 6 აპრილი**  
წერს ლექს „ნანას“ პირველ ვარიანტს სათაურით „ნანა ქართველისა“. ►
- 1859 6-13 აპრილი**  
წერს ლექსს „ალაზანს“. ►
- 1859 13 აპრილამდე**  
წერს ლექსის „ნანა“ მეორე ვარიანტს სათაურით „ქართველის ნანა ქართველის აკვანზე“. ►
- 1859 13 აპრილი**  
წერს ლექს „ნანას“ საბოლოო რედაქციას. ►
- 1859 13 აპრილის შემდეგ**  
განაგრძობს მუშაობას პოემა „აჩრდილზე“. ►
- 1859 28 მაისამდე**  
ავად არის ჭლექის ნიშნებით, აქვს სისხლდებინება. მკურნალობს იმხანად პენსიაზე მყოფ ცნობილ ექიმ ნიკოლოზ არენდტთან. მკურნალობის შედეგად უკეთ ხდება, მაგრამ საბოლოო გამოჯანმრთელებისთვის ექიმი საჭიროდ მიიჩნევს სამხრეთულ მშრალ კლიმატს. ►
- 1859 28 მაისი**  
ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება გამოცდას სოფლის მეურნეობაში. ►
- 1859 4 ივნისი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „ელეგია“. ►
- 1859 10 ივნისი**  
მკურნალ ექიმ ნიკოლოზ არენდტისგან იღებს ავადმყოფობის ცნობას. ►
- 1859 22 ივნისი**  
თხოვნით მიმართავს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორ ფიციტუმ-ფონ ეკშტეტს, საპატიოდ ჩაუთვალოს 28 მაისს ავადმყოფობის გამო გაცდენილი გამოცდა და განცხადებას თან ურთავს სამედიცინო ცნობას. ►
- 1859 22 ივნისის შემდეგ**  
უნივერსიტეტის კამერალური განყოფილება ნებას რთავს, ზოგიერთი გამოცდა მოგვიანებით ჩააბაროს. ►
- 1859 ივნისის ბოლო**  
პეტერბურგიდან მოემგზავრება საქართველოში. ►



- 1859 26 ივლისი**  
თბილისშია და თარგმნის ფრიდრიხ რიუკერტის ლექსს „კართა თანა“. ►
- 1859 ზაფხული**  
თბილისის გიმნაზიის დარბაზში დგამს ცოცხალ სურათებს „ძველი აღთქმიდან“ და „მეფე ლირიდან“. მონაწილეობენ: მისი და ელისაბედი, ნათესავი ნიკო ჭავჭავაძე, ელენე ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა, გიორგი XII-ის შვილიშვილი – ვერა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-სვიატოპოლკ-მირსკისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი სოფიო და ვაჟი დავითი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის – ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინის ქალიშვილები, გაბრიელ სულხანიშვილი და სხვები. მეფე ლირის როლს თვითონ კითხულობს. წარმოდგენის შემდეგ იღებენ ერთობლივ ფოტოს. ►
- 1859 14 სექტემბრამდე**  
ნათესავ სოლომონ ჭავჭავაძეს უბრუნებს იმ თანხას, რაც მისთვის პეტერბურგში ჰქონდა გაგზავნილი და რაც ავალდებულებდა, რომ ცოლად შეერთო მისი ქალიშვილი – ელისაბედი. ►
- 1859 14-15 სექტემბერი**  
ხატობაზე დასასწრებად კოხტა აფხაზთან ერთად მიდის ალავერდში. გზაში მეგობარს უამბობს თავისი ნათესავის – სოლომონ ჭავჭავაძის ვალების გასტუმრების შესახებ. ►
- 1859 სექტემბერი**  
ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებს ჯორჯ ბაირონის ლექსის „სტიროდეთ“ თარგმანს. ►
- 1859 სექტემბრის ბოლო**  
პეტერბურგიდან ახლადდაბრუნებულ კოხტა აფხაზთან მიმავალს სოფელ კარდანახთან გზას უღობავს იქაური აბრაგი გაუხარაშვილი. გამოსაუბრების შემდეგ აბრაგი სტუმრად იწვევს და მეგობრის ოჯახში გვიან ღამით მიდის. კოხტა აფხაზის გადმოცემით, პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, სწორედ ამ გაუხარაშვილის ამბავი დაედო საფუძვლად. ►
- 1859 3 ოქტომბერი**  
თბილისშია და წერს ლექსს „მტკვრის პირას“. ►
- 1859 ივლისი – ოქტომბრის პირველი ნახევარი**  
წერს ლექსს „ღამე“. ►
- 1859 ოქტომბრის შუა რიცხვები**  
მიემგზავრება პეტერბურგში და მლეთასთან ხვდება პეტერბურგიდან თბილისისკენ მომავალ გრიგოლ ორბელიანს. ►
- 1859 ოქტომბრის ბოლომდე**  
აბარებს გადავადებულ გამოცდებს და იღებს შეფასებებს: მიწათმოქმედება – 4, ფსიქოლოგია – 4, სამოქალაქო სამართალი – 5, ბოტანიკა – 4, ქართული ენა – 5. გადადის მესამე კურსზე. ►
- 1859 ოქტომბერი**  
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ნაწყვეტს პოემა „აჩრდილიდან“ (V თავი), სათაურით „არაგვი“. ტექსტის დანარჩენი ნაწილის დაბეჭდვაზე ვერ იღებს ცენზურის ნებართვას. ►

- 1859 30 ნოემბრამდე**  
წერს ლექსს „სიზმარი“ („ძმაო, სურვილით...“). ავტოგრაფი მის მიერვე არის გადახაზული. ►
- 1859 30 ნოემბერი**  
წერს ლექსს „ჩემი სიტაბუკე“, რომელიც შემდგომში უსათაუროდ იბეჭდება („ოჰ, სად არიან...“). ►
- 1859 ნოემბერი**  
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „ელეგია“. ►
- 1859 26 დეკემბერი**  
წერს ლექსს „დაკარგული ედემი“, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►
- 1859 დეკემბერი**  
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ფრიდრიხ რიუკერტის ლექსის „კართა თანა“ თარგმანს. ►
- 1859** წერს ლექსის „მითხარით, რისთვის“ ახალ რედაქციას. ►
- 1859** პეტერბურგის ქართველ სტუდენტებთან ერთად იღებს სალონურ ფოტოს. ►
- 1859** მუშაობს მოთხრობაზე „კაკო“, რომელშიც იკვთება სამი ნაწარმოების: „კაცია – ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ შემოქმედებითი სათავეები. ►
- 1859** განაგრძობს მუშაობას პოემა „აჩრდილის“ ორ ეპიზოდზე – დასაწყისი და აჩრდილის ლოცვა. ტექსტს სათაურად აქვს „აჩრდილი ყაზბეგზედ ანუ ჩანგი მოხუცისა“. ►
- 1859-1860** იწყებს მუშაობას ახალ ლექსზე, მაგრამ გადაწყვეტილებას მალევე ცვლის და ფრაგმენტი „ჭერეთ ყრმა ვიყავ...“ დაუსრულებელი რჩება. ►
- 1860 აპრილი**  
ნაწყვეტს პოემიდან „აჩრდილი“, სათაურით „არაგვს“, რომელიც გამოქვეყნდა „ცისკარში“, ლექსით „ამაო ძებნა“ იქვე ეხმიანება აკაკი წერეთელი. გადმოცემის მიხედვით, ილიას აკაკის გამოხმაურება წაუკითხავს, მოსწონებია და მიუწერია „კარგია“. ►
- 1860 აპრილი**  
გარდაიცვალა ილიას უმცროსი ძმა – თეიმურაზ ჭავჭავაძე. ►
- 1860 მაისამდე**  
წერს ლექსის „ძმის სიკვდილზედ“ პირველ, უთარილო და უსათაურო ვარიანტს. იგი მწერლის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►
- 1860 14 მაისამდე**  
წერილს და თანხას იღებს მამიდა მაკრინესაგან. ►

- 1860 14 მაისი**  
წერილს უგზავნის მამიდა მაკრინეს და უზიარებს გულიტკივილს თეიმურაზის გარდაცვალების გამო. ►
- 1860 11 ივნისამდე**  
ზაფხულის არდადეგების გასატარებლად ჩადის პავლოვსკში. ►
- 1860 11 ივნისი**  
პავლოვსკში წერს პირველ ვარიანტებს ლექსისა „მწუხარება.“ ►
- 1860 19 ივნისი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „მძინარე ქალი“. ►
- 1860 19 ივნისი**  
ქმნის ლექსის „მწუხარება“ ახალ ვარიანტს. ►
- 1860 12 ივლისამდე**  
პავლოვსკში იწყებს მუშაობას ლექსზე „მუშა“ და წერს მის პირველ რედაქციას. ►
- 1860 12 ივლისი**  
პავლოვსკში განაგრძობს მუშაობას ლექსზე „მუშა“ და წერს ახალ ვარიანტს. ეპიგრაფად წარუმიძღვარებს ფრაზას ცნობილი რუსი პოეტისა და პუბლიცისტის, ნიკოლოზ ოგარიოვის პოემიდან “ღამე”: „В труде проходит жизнь его / И не приносит ничего!“. ►
- 1860 14 ივლისამდე**  
პავლოვსკში წერს პოემის „ქართვლის დედა“ პეტრე ნაკაშიძისადმი მიძღვნის ტექსტს. ►
- 1860 14 ივლისამდე**  
პავლოვსკში წერს პოემის „ქართვლის დედა“ პირველ ვარიანტს ►
- 1860 14 ივლისი**  
პავლოვსკში წერს პოემის „ქართვლის დედა“ ახალ ვარიანტს ►
- 1860 15 ივლისი**  
წერს ლექსის – „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ პირველ ვარიანტს. ►
- 1860 16 ივლისი**  
მცირეოდენი შესწორებები შეაქვს ლექსში „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და აგზავნის ჟურნალ „ცისკარში“ დასაბეჭდად. ►
- 1860 19 ივლისამდე**  
ცარსკოე სელოში ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისასთან სტუმრობისას ეცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფულ კრებულებს და აღფრთოვანებულია. ►
- 1860 19 ივლისი**  
მუშაობს ლექსის – „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ პირველ ვარიანტზე. ►

- 1860 21 ივლისი**  
 პავლოვსკში წერს ლექსს სათაურით „ს...ს ჩ...სას“ („სატრფოვ ხშირად ლაღი ფიქრი...“), რომელიც ეძღვნება მის სტუდენტობისდროინდელ სატრფოს – ალექსანდრა (საშენვა) ჩაიკოვსკაიას, ცნობილი რუსი კომპოზიტორის – პეტრე ჩაიკოვსკის დას. ►
- 1860 22 ივლისი**  
 პავლოვსკში წერს ლექსს სათაურით „ჩ...სას“ („უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...“), რომელიც ეძღვნება მის სატრფოს, პეტრე ჩაიკოვსკის დას – ალექსანდრა (საშენვა) ჩაიკოვსკაიას. ►
- 1860 23 ივლისი**  
 პავლოვსკში წერს ლექსს „პოეტი“. ►
- 1860 29 ივლისი**  
 ქმნის საბოლოო ვარიანტს ლექსისა „ქართველის დედას“ . ►
- 1860 29 ივლისი**  
 პავლოვსკში წერს უსათაურო ლექსს („მესმის, მესმის სანატრელი...“), რომელიც ეძღვნება იტალიის გამათავისუფლებელ მოძრაობას ჯუზეპე გარიბალდის მეთაურობით. ►
- 1860 4 აგვისტო**  
 პავლოვსკში წერს მიხეილ ლერმონტოვის ლექსის „კლდე“ თარგმანის ადრეულ ვარიანტებს, სათაურით „ციცაბი კლდე“. ►
- 1860 4 აგვისტო**  
 წერს მიხეილ ლერმონტოვის ლექსის – „სიზმარი“ თარგმანის ადრეულ ვარიანტებს. ►
- 1860 4 აგვისტო**  
 პავლოვსკში წერს მიხეილ ლერმონტოვის ლექსის – „წინასწარმეტყველი“ თარგმანის ადრეულ ვარიანტებს. ►
- 1860 6 აგვისტო**  
 წერს უსათაურო ლექსს „მას აქეთ, რაკი...“ ►
- 1860 18 აგვისტომდე**  
 იწყებს მუშაობას ლექსზე „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ და წერს ყველაზე ადრეულ, უსათაურო და უთარილო ვარიანტებს. ►
- 1860 18 აგვისტო**  
 პავლოვსკში წერს ლექსის „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ მეორე რედაქციას. ►
- 1860 აგვისტო**  
 პავლოვსკში წერს ლექსს „ჩემო მკვლელო“. ►

- 1860 ზაფხული**  
 არჩილ ანდრონიკაშვილისგან სესხულობს ხუთას მანეთს ვალების გასასტუმრებლად და მამიდას – მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისას სწერს, რომ არჩილს ეს თანხა გადაუხადოს. ►
- 1860 12 სექტემბრამდე**  
 იწყებს მუშაობას ლექსზე „მეფანტურე“ და წერს მის პირველ ვარიანტებს. ►
- 1860 12 სექტემბერი**  
 პავლოვსკში წერს ლექსის „მეფანტურე“ მომდევნო ვარიანტს. ეს ლექსი მწერლის სიცოცხლეში დამოუკიდებელი სახით არ გამოქვეყნებულა. იგი ავტორმა წინ წარუმიძღვარა პოემას „მეფე დიმიტრი თავდადებული“. ►
- 1860 12 სექტემბრის შემდეგ**  
 პავლოვსკიდან ბრუნდება პეტერბურგში. ►
- 1860 სექტემბერი**  
 ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება ლექსები: „ერთხელ მეც, ძმანო, მეც მყვარებია...“ და „მწუხარება“. ►
- 1860 6 ოქტომბერი**  
 პეტერბურგში წერს ლექსს „ზოგიერთს“. ავტოგრაფში ტექსტი მის მიერვე ჭვარედინად არის გადახაზული. ►
- 1860 10 ოქტომბრამდე**  
 მამიდის – მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავის წერილიდან იგებს, რომ სოლომონ ჭავჭავაძეს, რომლის ქალიშვილზეც გარიგების საფუძველზე უნდა დაქორწინებულიყო, მის მიერ გაგზავნილი წერილები არ მიუღია. ►
- 1860 10 ოქტომბერი**  
 წერილს სწერს სოლომონ ჭავჭავაძეს და, რადგან უკვე გაგებული აქვს, რომ მის მიერ გაგზავნილი ბარათები ადრესატს არ მიუღია, დაწვრილებით უყვება პეტერბურგის ამბებს. სწერს ხარჭებზე, ვალებზე, სიღარიბესა და ავადმყოფობაზე. ასევე სთხოვს, რომ მამიდას შეახსენოს სიღარიბის მოწმობის გაგზავნა, რომ ყოველთვიურად 50 მანეთი არ ჰქონდეს გადასახდელი. 1859 წელს, როდესაც ილია ალექსანდრა ჩაიკოვსკაიაზე იყო შეყვარებული, გაისტუმრა სოლომონ ჭავჭავაძის ყველა ვალი და, როგორც ჩანს, აპირებდა მასთან დადებული გარიგების დარღვევას, მაგრამ 1860 წლის შემოდგომაზე, როდესაც ჩაიკოვსკაიასთან ურთიერთობა შეწყვიტა, სოლომონთან მიმოწერა ისევ განაახლა. ►
- 1860 ნოემბრამდე**  
 „აჩრდილის“ პირველ ვარიანტს და ლერმონტოვის „ჰაჯი აბრეკის“ თარგმანის გადამუშავებულ ტექსტს დასაბეჭდად გზავნის ჟურნალ „ცისკარში“. ►
- 1860 5 ნოემბერი**  
 პეტერბურგში წერს ლექსს „იანიჩარი“. ავტოგრაფში თავდაპირველად სათაურად ეწერა „კანვოელი“, რომელიც გადახაზულია და წერია ახალი სათაური. ►



- 1860 5 ნოემბერი**  
ამთავრებს კრიტიკულ წერილს „ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგამ „შემლილის“ თარგმანზედა“. ►
- 1860 5 ნოემბერი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „გახსოვს ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში...“ ►
- 1860 15 ნოემბერი**  
წერილს იღებს სოლომონ ჭავჭავაძისგან, რომელშიც ნათქვამია, ნათესავებს არ სჭერათ, რომ პირობას აღასრულებო. ადრესანტი ასევე ატყობინებს, რომ იოსებ წილოსნის ვალის გამო შეიძლება მისი კარ-მიდამო გაიყიდოს. ►
- 1860 16 ნოემბერი**  
სოლომონ ჭავჭავაძეს უგზავნის საპასუხო წერილს, რომელშიც არწმუნებს, რომ პირობას აუცილებლად შეასრულებს. სთხოვს, რომ თუ საქმე მისი მამულების გაყიდვამდე მივა, თავად სოლომონმა შეისყიდოს. თავისი ჯანმრთელობის შესახებ სწერს, რომ უკვე კარგად არის. შემდეგ უხსნის, რა ვალები და მოსალოდნელი ხარჯები აქვს და სთხოვს, რომ მან და მამიდამ შესაბამისი თანხა გაუგზავნონ. ►
- 1860 20 ნოემბრამდე**  
წერს ლექსს „წუხილი“. ►
- 1860 ნოემბერი**  
ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება მიხეილ ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკის“ ილიასეული თარგმანი. ►
- 1860 11 დეკემბერი**  
პეტერბურგში მუშაობს პოემაზე „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ►
- 1860 5 ნოემბრიდან – 15 დეკემბრამდე**  
პეტერბურგიდან თბილისში წერილს სწერს მეგობარ ილია წინამძღვრიშვილს. ჟურნალ „ცისკარში“ დასაბეჭდად უგზავნის რამდენიმე ლექსს და კრიტიკულ სტატიას „ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგამ „შემლილის“ თარგმანზედა“, ზუმბერიძის ხელმოწერით. სთხოვს, რომ ლექსები თავად მიუტანოს „ცისკრის“ რედაქტორს, სტატია კი – მიხეილ ჩიკვაიძეს გაატანოს, რომ ივანე კერესელიძე არ მიხვდეს, ვისი დაწერილია. ►
- 1860 16 დეკემბერი**  
პეტერბურგში წერს პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ახალ რედაქციას. ►
- 1860 25 დეკემბერი**  
პეტერბურგში წერს ლექსს „დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა...“ ►
- 1860** წერს ლექსის „ჩემო სიმღერავ...“ რამდენიმე ვარიანტს. ►
- 1860** მუშაობს პოემაზე, რომელსაც მწერლის თბულებათა გამოცემებში პირობითად აქვს მიცემული მთავარი პერსონაჟის სახელი „ირაკლი“. ►
- 1860** თარგმნის მიხეილ ლერმონტოვის პოემა „დემონის“ პირველს სტროფს. ►



- 1860** ქმნის ჯორჯ ბაირონის პიესა „კაენის“ თარგმანის პირველ ვარიანტებს. ►
- 1860** თარგმნის ჯორჯ ბაირონის პიესა „მანფრედის“ პირველ მონოლოგს. ►
- 1860** თარგმნის დასაწყისის რამდენიმე ტაეპს ადამ მიცკევიჩის პოემიდან „გზა უძირო ხევის ზემოთ ჩუფუთ-კალეში“. ►
- 1860** თარგმნის მიხეილ ლერმონტოვის პოემა „მწირის“ პირველ ოთხ თავს, მაგრამ დასაწყისის ბოლო სტროფს, რომელშიც ნათქვამია, თითქოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო მტერს აღარ შეუწუხებია და რუსული ხიშტებით დაცული მშვიდი ცხოვრებით ტკბებოდა, არ იზიარებს და რადიკალურად ცვლის სიტყვებით: „მას აქეთ, რაკი კურთხევა ღვთისა / მიეცა ტანჯულს ივერიის ერს, / რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, / ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“. ►
- 1860** პეტერბურგში წერს ლექსს „უსულდგმულო ცხოვრება...“ ►
- 1860** პეტერბურგში იღებს ინდივიდუალურ სალონურ ფოტოს. ►
- 1860** პეტერბურგში იღებს ინდივიდუალურ სალონურ ფოტოს. ►
- 1860** პეტერბურგში იღებს ინდივიდუალურ სალონურ ფოტოს. ►
- 1860** ქართველ სტუდენტებთან ერთად იღებს სალონურ ფოტოს ►
- 1860-1861** იწყებს მუშაობას ახალ ლექსზე „ერთხელ ვიყავ ბედნიერი...“, მაგრამ მესამე ტაეპზე წყვეტს წერას. ►
- 1861** **28 იანვარი**  
წერს ლექსის „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი...“) რამდენიმე ვარიანტს. ►
- 1861** **იანვარი**  
ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს „როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო...“ და ალექსანდრ პუშკინისა და მიხეილ ლერმონტოვის ლექსების „წინასწარმეტყველი“ თარგმანებს. ►
- 1861** **27 თებერვლამდე**  
ბრუნდება საქართველოში და მოსაგვარებელი უხდება სერიოზული პრობლემა. მამის, გრიგოლ ჭავჭავაძის დროიდან შემორჩენილი ვალის გამო გაყიდვა ემუქრება მის მამულს. ცდილობს, რომ კერძო პირის – იოსებ წილოსნის ვალი გადაიტანოს სახელმწიფო პრიკაზში. ►
- 1861** **27 თებერვალი**  
წერილს უგზავნის სოლომონ ჭავჭავაძეს, რომელშიც სწერს, რომ მზად არის, ნებისმიერ დროს დაიწეროს ჭვარი მის ქალიშვილზე. ასევე სთხოვს, რომ თუ მამიდა ვერ შოულობს, მან გაუგზავნოს 500 მანეთი. გარანტიის სახით სთავაზობს, რომ დაბეჭდოს მისი ღვინოები. ►
- 1861** **3 მარტი**  
წერილს უგზავნის სოლომონ ჭავჭავაძეს, რომელშიც სთხოვს, რომ დაბომონ მისი სახნავეები და ვენახები და მონაცემები მსახური ბიჭის ხელით გაუგზავნონ, რადგან განზრახული აქვს, იოსებ წილოსნის ვალი სახელმწიფო „პრიკაზში“ გადაიტანოს. ასევე სთხოვს თანხის გაგზავნას. ►

**1861 26 მარტამდე**

წერილს უგზავნის პეტერბურგში ნიკო ლოლობერიძეს. სწერს, რომ მას და მის თანამოაზრეებს გადანყვეტილი აქვთ ხალხის განათლების ასამაღლებლად სკოლის გახსნა და სახელმძღვანელოების გამოცემა. რისთვისაც თავდაპირველად აპირებენ ანბანის შესასწავლი წიგნის დაბეჭდვას. ადრესატი ილიას წერილს აცნობს პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას, რომლებიც იწონებენ მის განზრახვას და აღუთქვამენ თანადგომას. ►

**1861 26 მარტის შემდეგ**

პეტერბურგიდან იღებს ნიკო ლოლობერიძის ბარათს. სწერს, რომ სტუდენტები გამოცდების შემდეგ მოჰკიდებენ ხელს ანბანის შედგენაზე მუშაობას. სთავაზობს თავდაპირველად 2000-იანი ტირაჟით გამოცემას. აგრეთვე აცნობებს, რომ უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდა გამოთქვამს კადეტთა კორპუსიდან უნივერსიტეტში გადასვლის სურვილს. სთხოვს, ერთ-ერთი ასეთი ყმაწვილის (რომელიც პეტერბურგში ილიასთან დადიოდა ხოლმე), ნიკო ანდრონიკაშვილის მამასთან შუამდგომლობას, რომ დათანხმდეს კადეტთა კორპუსიდან უნივერსიტეტში შვილის გადასვლაზე. ►

**1861 აპრილამდე**

პეტერბურგში იღებს სალონურ ფოტოს უნივერსიტეტის იმდროინდელ სტუდენტებთან – კოხტა აფხაზთან, მიხეილ ჩიკვაიძესთან, ლუარსაბ მაღალაშვილთან, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილთან, გიორგი ყაზბეგთან და ბელოისთან ერთად. ►

**1861 აპრილის პირველი ნახევარი**

თბილისში ბრუნდება და ავადმყოფობს. ►

**1861 აპრილის პირველი ნახევარი**

500 მანეთს იღებს სოლომონ ჭავჭავაძისგან. ►

**1861 16 აპრილამდე**

თბილისიდან ყვარელში წერილს და თავის ფოტოს უგზავნის სოლომონ ჭავჭავაძეს. მადლობას უხდის გაგზავნილი ფულისთვის. ეჭვობს, რომ სახელმწიფო „პრიკაზმა“ მთლიანად დაფაროს იოსებ წილოსნის ვალები. ამიტომ აპირებს, რომ ადრესატის ქალიშვილზე ჭვრისწერის შემდეგ მათ ერთობლივად გამოისყიდონ მისი მამული. ►

**1861 16 აპრილამდე**

სოლომონ ჭავჭავაძისგან მიღებულ თანხას გზავნის რუსეთში ვალების გასასტუმრებლად. ►

**1861 აპრილი**

ჟურნალ „ცისკარში“ ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ქვეყნდება კრიტიკული სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძის ერისთავის კაბლოვიდგამ „შემლილის“ თარგმანზედა“, ასევე - ლექსები: „გაზაფხული“ („ტყვეს ესხმება ფოთოლი...“), „გახსოვს ტურფავ...“ (სათაურით „ალბომში“) და „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე“. ►

**1861 აპრილის შემდეგ**

იხდის 3000 მანეთ ვალს, რომელიც გრიგოლ ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ დარჩა მის ოჯახს. ►

**1861 მაისის დასაწყისი**

კრიტიკული სტატიის „ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძის ერისთავის კაბლოვიდგამ „შემლილის“ თარგმანზედა“ საპასუხოდ ჟურნალ „ცისკარში“ ქვეყნდება ბარბარე ერისთავი-ჭორჭაძის, რევამ ერისთავისა და გიორგი ბარათაშვილის წერილები. ►

- 1861 14 მაისამდე**  
წერს ესკიზებს სათაურით „ხელოვნება ხელოვნებისათვის, როგორც უსათუო კუთვნილება პოეტისა“. ►
- 1861 14 მაისი**  
წერს „პასუხს“ 1860 წელს ქართული სალიტერატურო ენის შესახებ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ალექსანდრე ორბელიანის წერილებზე და ამავე ჟურნალის 1861 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ბარბარე ჭორჭაძის, რევამ ერისთავისა და გიორგი ბარათაშვილის კრიტიკულ სტატიებზე. ►
- 1861 15 ივნისამდე**  
აკეთებს უსათაურო ჩანაწერებს მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხელოვნება და მეცნიერება“. ►
- 1861 27 ივნისამდე**  
ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებს სტატიას „პასუხი, უძღვნი თ. ალ. ვახტანგისძე ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღირსეს ამ სტატიასა“. ამავე ნომერში იბეჭდება სარდიონ ალექსი-მესხიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“, რომელიც მიმართულია ილია ჭავჭავაძის სტატიის „ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძის ერისთავის კაბლოვიდგამ „შეშლილის“ თარგმანზედა“ და გიორგი ბარათაშვილის „წერილი რედაქტორთან“ წინააღმდეგ, რომელშიც გაკრიტიკებულია მისი ლექსები. ►
- 1861 27 ივნისი**  
პეტრე უმიკაშვილი წერს გამოხმაურებას ჟურნალ „ცისკარში“ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სარდიონ ალექსი-მესხიშვილისა და გიორგი ბარათაშვილის წერილებზე და რედაქციის კრიტიკულ შენიშვნებზე ილია ჭავჭავაძის შესახებ. ►
- 1861 6 აგვისტომდე**  
თბილისიდან მიემგზავრება ყვარელში. ►
- 1861 6 აგვისტომდე**  
მუშაობს ლექსზე „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“. ►
- 1861 6 აგვისტო**  
ყვარელში წერს ლექსის „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ მეორე ვარიანტს. ►
- 1861 ზაფხული**  
პეტერბურგიდან მისი წამოსვლის შემდეგ იქ ჩასულ ნიკო ნიკოლაძეს კირილე ლორთქიფანიძე უყვება, სანამ ილია ჭავჭავაძე იყო აქ, ქართველი სტუდენტები მამულის სიყვარულზე საუბრობდნენ, ახლა კი, „რაუზერზე და გოზზე თუ გაიგონებ სჭას“, მეტზე არაფერზეო. რაუზერი და გოზე იმ დროისათვის პოპულარული თერძი და მენაღე იყვნენ. ►
- 1861 სექტემბრამდე**  
პეტერბურგში მყოფ ნიკო ნიკოლაძეს ერთი იქაური ქართველი სტუდენტი არიგებს, გარეშე ლიტერატურის კითხვაზე დროს ნუ კარგავ, თორემ რაც ილია ჭავჭავაძეს დაემართა, შენც ის ბედი გენევა – სტუდენტობის დროს შილერის, ბაირონისა და ვალტერ სკოტის კითხვის მეტს არაფერს აკეთებდა და ამის გამო უდიპლომოდ წავიდა აქედანო. ►

- 1861 20 სექტემბრამდე**  
წერს სტატიას „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ და დასაბეჭდად გზავნის ჟურნალ „ცისკარში“. ►
- 1861 სექტემბერი**  
ილია ჭავჭავაძის „პასუხს“ ჟურნალ „ცისკარში“ ბარბარე ჭორჭაძე ეხმიანება სტატიით „პასუხის პასუხი“. ►
- 1861 ოქტომბრამდე**  
იწყებს მუშაობას ლექსზე „ჩემო კალამო...“ და წერს რამდენიმე ადრეულ ვარიანტს. ►
- 1861 ოქტომბრამდე**  
იწყებს ახალი ლექსის წერას, სათაურით „სამი სიკვდილი“, მაგრამ მეორე ტაეპზევე წყვეტს მუშაობას და ტექსტის გვერდით აკეთებს გრაფიკულ ჩანახატს. ►
- 1861 ოქტომბრამდე**  
იწყებს ახალი ლექსის წერას, სათაურით „დიაბეგის შვილს ნანა...“ მაგრამ მესამე ტაეპზე წყვეტს მუშაობას და ტექსტის გვერდით აკეთებს გრაფიკულ ჩანახატს. ►
- 1861 12 ოქტომბერი**  
პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა გაფიცვები და არეულობაა. მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე იმ პერიოდში საქართველოშია, მემბოხე სტუდენტებთან ერთად მასაც რიცხავენ და, დანარჩენების მსგავსად, აძლევენ მონშობას, თითქოს გათავისუფლდა საკუთარი განცხადების საფუძველზე. ►
- 1861 ოქტომბერი**  
წერს ლექსის „ჩემო კალამო...“ ახალ რედაქციას. ►
- 1861 ნოემბერი**  
ჟურნალ „ცისკრის“ ნოემბრის ნომერში, მიუხედავად წინა თვეში მკითხველისთვის მიცემული დაპირებისა, ილია ჭავჭავაძის წერილი „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ არ იბეჭდება. ►
- 1861** თარგმნის ანდრე შენიეს ლექსს „ზღვათა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა...“ ►
- 1861** იწყებს „მგზავრის წერილების“ წერას. ►
- 1861** ცდილობს ახალთაობის წარმომადგენლებთან ერთად დააარსოს ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი იქნება ხალხში ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელება, მაგრამ ნებართვას ვერ იღებს. ►
- 1862 28 თებერვლამდე**  
იღებს გადაწყვეტილებას ახალი თაობის ჟურნალის დაარსების შესახებ და ადგენს პროგრამას. ►
- 1862 28 თებერვალი**  
თხოვნით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს – გრიგოლ ორბელიანს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემაზე ნებართვის მისაღებად და წარუდგენს პროგრამას. ►



**1862 თებერვალი**

ჟურნალ „ცისკარში“ „გემოური იმერლის, გორისელის“ ფსევდონიმით ქვეყნდება ეფთვიმე წერეთლის სტატია, სათაურით „უფალო, რედაქტორო!“ რომელშიც გაკრიტიკებულია ილია ჭავჭავაძის პოზიცია ბარბარე ჭორჭაძესთან პოლემიკაში და გამოთქმულია ეჭვი მის მიერ კარგი ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით. ►

**1862 20 მარტი**

სახელმწიფო კანცელარია, კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელ გრიგოლ ორბელიანის ნებართვის საფუძველზე, აკმაყოფილებს ილია ჭავჭავაძის თხოვნას ქართული ჟურნალის – „საქართველოს მოამბე“ გამოცემის შესახებ, იმ პირობით, რომ მასში არ დაიბეჭდება პოლიტიკური სტატიები. ►

**1862 24-30 აპრილი**

ესწრება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებას, რომელიც განიხილავს ბატონყმობის გაუქმებისა და საგლეხო რეფორმის საკითხებს. წამოაყენებს წინადადებას გლეხების მიწიანად გათავისუფლების შესახებ, რის გამოც დაპირისპირება უხდება გენერალ-ლეიტენანტ ივანე ბაგრატიონ-მუხრანელთან. კრება იღებს დადგენილებას, რომ მიწები, რომლებიც გლეხებს ეკავათ, გარკვეული პირობებით, მათ სარგებლობაში დარჩეს. გადაწყვეტილებას მხარს უჭერს 135 წევრი, წინააღმდეგია მხოლოდ 4. ►

**1862 აპრილი**

ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება მამების თაობასთან გამართულ პოლემიკაში ილია ჭავჭავაძის მხარდამჭერთა ორი წერილი, ორივე „თერგდალეულის“ ხელმოწერით: კირილე ლორთქიფანიძის „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფთვიმე წერეთლისა“ და სამსონ აბაშიძის „რამდენიმე სიტყვა გემოური იმერლის გორისელის სტატიამზე“. ►

**1862 მაისი**

ჟურნალ „ცისკარში“ მამების თაობასთან გამართულ პოლემიკაში მის მხარდასაჭერად „მესამე თერგდალეულის“ ხელმოწერით იბეჭდება აკაკი წერეთლის „ახირებული ფურცელი: ახალი მწერლის აშფოთება“. ►

**1862 ივნისი**

ჟურნალ „ცისკარში“ სათაურით „ახალი ამბები“ იბეჭდება „თერგ დალეულის“ (ფსევდონიმი გაუშიფრავია) სტატია, რომლის მიხედვითაც, „ცისკარის“ მკითხველი მხოლოდ იმ წერილებს კითხულობს, რომელთა ავტორებიც მოსწონს და მათ შორისაა ეფთვიმე წერეთელი. აქვე ნათქვამია, თითქოს ქუთაისში ყველგან ერთსა და იმავეს გაიგონებდით, რა კარგად უპასუხა ეფთვიმე წერეთელმა ილია ჭავჭავაძესო. ►

**1862 ივლისი**

ჟურნალ „ცისკარში“ „ბიძია თონიკეს“ ფსევდონიმით იბეჭდება ლავრენტი არდაზიანის წერილი „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“, რომელშიც თბილისის ტროტუარებზე მდგომი ადამიანების პირით გაკრიტიკებულია ახალი თაობის სიზარმაცე. ისინი უნაყოფო ხეებთან არიან შედარებული, ილია ჭავჭავაძე კი ირონიულად მოხსენიებულია „ჭუუ. ავჭავაძედ“. ►

**1862 აგვისტო**

ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება თომა მაჭავარიანის „პასუხი მეორე თერგდალეულის პასუხისა“, რომელშიც გაკრიტიკებულია სამსონ მაჭავარიანი ილია ჭავჭავაძის დაცვისთვის. ►



**1862 სექტემბერი**

ჟურნალ „ცისკარში“ კირილე ლორთქიფანიძე („თერგდალეულის“ ხელმოწერით) ბეჭდავს წერილს „ცისკარზე“ და ახალს ჟურნალის სარგებლობაზე, რომელშიც საუბრობს „ცისკარის“ ნაკლოვანებებზე და ჯერარგამოსულ ახალ ჟურნალთან დაპირისპირებაზე. ავტორი სტატიას ამთავრებს ილია ჭავჭავაძის სიტყვებით: „მამულს საყვარელს, / შენ როსლა აყვავდები?“ ამავე ნომერში („მოლაყბის“ ხელმოწერით) იბეჭდება ივანე კერესელიძის „სალაყბოს ფურცელი“, რომელშიც ავტორი ისე საუბრობს შურზე, ერთობასა და ერთმანეთის გატანაზე, რომ ცდილობს „ცისკარის“ მიმართ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოდ წარმოაჩინოს. ▶

**1862 ოქტომბერი**

ჟურნალ „ცისკარში“ და გაზეთ „კავკაზის“ დამატებაში ბეჭდავს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პროგრამას. ▶

**1862 1 ნოემბრამდე**

ხელშეკრულებას დებს სტამბის მფლობელ ამბარცუმ ენფიანჯიანცთან, რომელიც 1 ნოემბრიდან უნდა შეუდგეს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ბეჭდვას. ▶

**1862 25 დეკემბერი**

დიმიტრი ყიფიანის ვაჟი – ნიკოლოზი თბილისიდან სწერს მამას, რომ მის მიერ გაგზავნილი თარგმანი ამერიკელი ასტრონომის ორმსბი მიტჩელის „გეციერი მნათობებისა“ იმავე დღეს მიუტანა ილია ჭავჭავაძეს „საქართველოს მოამბეში“ დასაბეჭდად, რისთვისაც ის დიდად მადლობელი დარჩა. ასევე ატყობინებს, რომ ჟურნალის ხელმომწერთა რაოდენობამ 500-ს მიაღწია, მაგრამ ასოები ჯერ არ მოსვლიათ და ვერ ბეჭდავენ. ▶

**1862 27 დეკემბერი**

ივანე კერესელიძე თბილისიდან სწერს რაფიელ ერისთავს, რომ ილია ჭავჭავაძეს თავისი მომავალი ჟურნალისთვის ქუთაისში დამხმარეები ჰყავს ხელმოწერთა შესაგროვებლად. ჟურნალ „ცისკარის“ რედაქტორი, შეწუხებულია, ისეთი ხმა დაუგდო ჭავჭავაძის პარტიამ თავის მომავალ ჟურნალს, რომ „ცისკარი“ სულ გაყინაო. ▶

**1862** მუშაობს კრიტიკულ წერილზე „ცისკარი 1857 წლიდან – 1862 წლამდინა“, რომელშიც მიმოიხილავს ამ ჟურნალის ექვსი წლის პროდუქციას. ტექსტი მწერლის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ცალკეული აზრები ავტორმა მოგვიანებით გამოიყენა სტატიაში „ბოგიერთი რამ“. ▶

**1863 12 იანვარი**

საცენზურო კომიტეტისაგან იღებს ნებართვას „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის დაბეჭდვაზე. ▶

**1863 13 იანვარი**

ენფიანჯიანცის სტამბა დაგვიანებით იწყებს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ბეჭდვას. ▶

**1863 16 იანვრამდე**

ეცნობა მომავალ მეუღლეს – 19 წლის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილს. ▶

**1863 16 იანვარი**

ხელმოწერით „И. Ч.“ მოკლე ბარათს უგზავნის ოლღა გურამიშვილს. სთავაზობს შეხვედრას, მაგრამ სთხოვს, რომ ერთი დღით ადრე აცნობოს დრო. ▶

- 1863 17 იანვარი**  
იღებს ოლღა გურამიშვილის ბარათს, რომელშიც სთავაზობს მეორე დღეს მის სახლში შეხვედრას. ►
- 1863 18 იანვარი**  
ოლღა გურამიშვილის წერილს გვიან გადასცემენ. ამის გამო ვერ ხვდება. უგზავნის საპასუხო ბარათს, აცნობებს, რომ მომდევნო დღეს, 1 საათზე იქნება მათ მეზობლად და სთხოვს, აივანზე დაენახვოს. სწერს, რომ სახლში მისვლას, სადმე სხვაგან, მაგალითად ტაძარში შეხვედრა ჭობს, რადგან ბევრი აქვს სალაპარაკო და იქ, სადაც ათასი თვალი უყურებს, ამის გაკეთებას საიდუმლოდ ვერ შეძლებს. ►
- 1863 18 იანვარი**  
ილია ჭავჭავაძის ნაცნობთან მიდის ოლღა გურამიშვილთან მცხოვრები მონაზონი ქალი, ვითომ რაღაც საქმეებთან დაკავშირებით და ცდილობს გაიგოს, რა აზრისაა იგი ოლღას შერთვაზე. ►
- 1863 19 იანვარი**  
იღებს ოლღა გურამიშვილის ბარათს, რომელშიც სთავაზობს მეორე დღეს ტაძარში შეხვედრას. ►
- 1863 19 იანვარი**  
ხელმოწერით „Твой Илико“ საპასუხო ბარათს უგზავნის ოლღა გურამიშვილს და ატყობინებს, რომ 9 საათზე ტაძარში იქნება. ►
- 1863 20 იანვარი**  
ტაძარში ხვდება ოლღა გურამიშვილს. ►
- 1863 21 იანვარი**  
ხვდება ოლღა გურამიშვილს, თავის გრძნობებს უმხელს და სამუდამოდ ერთად ყოფნას სთავაზობს. ►
- 1863 25 იანვარი**  
გვიან ღამით იღებს ოლღა გურამიშვილის ბარათს, რომელშიც ჩანს მისი დაეჭვება ილიას გადაწყვეტილების სიმყარეში. ►
- 1863 26 იანვარი**  
ხელმოწერლად სწერს წერილს ოლღა გურამიშვილს, რომელშიც უხსნის, რომ მისი გადაწყვეტილება მყარია და ვერაფერი შეცვლის, მაგრამ თავს მოვალედ თვლის, აღიაროს, რომ, მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სიყვარულისა და ერთგულების გარდა ვერაფერს შეჰპირდება. მართალია, თავად მიიჩნევს, რომ ბედნიერებისთვის ესეც საკმარისია, მაგრამ აინტერესებს ოლღას პასუხი, იქნება თუ არა ეს საკმარისი მისთვისაც. ►
- 1863 27 იანვარი**  
ხვდება ოლღა გურამიშვილს. ►
- 1863 28 იანვარი**  
წერილს იღებს ოლღა გურამიშვილისგან, რომელშიც იგრძნობა, რომ ადრესანტი რაღაცაზე შეწუხებულია. ხელმოწერით „მენი ილიკო ჭავჭავაძე“, უგზავნის პასუხს და სთხოვს, იმ საღამოსვე მისწეროს, რა აწუხებს. უბოდიშებს, რომ არეულად წერს, რადგან სახლში უამრავი სტუმარი ჰყავს. ►

- 1863 28 იანვარი**  
თეატრში ხვდება ცენზორს, რომელიც სთავაზობს მოსალაპარაკებლად მისვლას. ►
- 1863 29 იანვარი**  
ოლლა გურამიშვილისგან იღებს წერილს, რომლითაც იმავე დღეს თავისთან სახლში ეპატიჟება. საპასუხო წერილს უგზავნის და უხსნის, რომ მასთან ოჯახში მისვლა სახიფათო იქნება მათი გასაიდუმლოებული ურთიერთობისთვის. გარდა ამისა, სწერს, რომ იმ დღეს აუცილებლად უნდა შეხვდეს ცენზორს და შეიძლება ოლლასთან დათქმულ დროს მისვლა ვერ მოასწროს. სთავაზობს მეორე დღეს პირველ საათზე აივანზე დაენახვოს და, თუ შესაძლებელი იქნება, ალაყაფის კართან შეხვდეს. ►
- 1863 29 იანვარი**  
ხვდება ცენზორს და ცდილობს გადააფიქრებინოს „საქართველოს მოამბეში“ დასაბეჭდი ერთ-ერთი სტატიის აკრძალვა. ►
- 1863 30 იანვარი**  
ბარათს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. უბრუნებს თანხას, რომელიც ოლლამ მათ საიდუმლო მიწერ-მოწერაში დამხმარე პელაგია ყაზბეგისთვის საჩუქრის საყიდლად გაუგზავნა და სწერს, რომ თავად უყიდის. გარდა ამისა, ატყობინებს, რომ მათი ამბავი უკვე ბევრმა გაიგო და ულოცავენ. სთხოვს, მეორე დღის 1 საათზე აივანზე დაენახვოს. ►
- 1863 1 თებერვალი**  
იღებს ოლლა გურამიშვილის წერილს, მაგრამ მთელი დღე სტამბაშია და ვერ პასუხობს. ►
- 1863 2 თებერვალი**  
მოკლე ბარათს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. სწერს, რომ საშინლად დაღლილია, ჟურნალი უკვე იბეჭდება და როცა გამოვა, მისგან მკაცრ კრიტიკას ელის. ►
- 1863 3 თებერვალი**  
წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. უყვება, რომ მისმა მოსალოდნელმა ქორწინებამ მეგობრები შეაშფოთა, ჟურნალის გამოცემა არ მიატოვოსო. იგი ყველას უხსნის, რომ მისი მომავალი ცოლი ის ქალია, რომელიც, პირიქით, ხელს შეუწყობს საზოგადო საქმეში. ოლლას უამბობს იმასაც, როგორ აირიდა თავიდან შეკითხვა მათ ქორწინებასთან დაკავშირებით. ილიას უპასუხია, უკვე ჭვარდანერილი ვარ, ცოლი ფეხმძიმედ მყავს და მალე ეყოლება ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად „საქართველოს მოამბე“ დავარქვიო. ასევე სწერს, რომ მისი და უწონებს არჩევანს და ძალიან კეთილგანწყობილია ოლლას მიმართ. ►

**1863 5 თებერვალი**

ხვდება ოლდა გურამიშვილს და ეუბნება, რომ რამდენიმე დღით კახეთში აპირებს წასვლას. ►

**1863 6 თებერვალი**

ოლდა გურამიშვილს წერილით ატყობინებს, რომ კახეთში აღარ მიდის, რადგან შემთხვევით გაიგო, რომ ის ამ წასვლის გამო წერვიულობდა. სთხოვს, რომ სხვა დროს აღარ დაუმალოს, როცა რაიმეთი უკმაყოფილო იქნება და პირდაპირ უთხრას. ►

**1863 7 თებერვალი**

ოლდა გურამიშვილს უგზავნის წერილს, რომელშიც გამოთქვამს წუხილს მისი შეუძლოდ ყოფნის გამო და სთხოვს, რომ ბარათები ყოველ დღით გაუგზავნოს. ეკითხება, აპირებს თუ არა 9 თებერვალს მასკარადზე წასვლას. ►

**1863 9 თებერვალი**

ოლდა გურამიშვილს უგზავნის წერილს ხელმოწერით „შენი უკუნითი უკუნისამდე ილიკო ჭავჭავაძე“. ატყობინებს, რომ მისი ჟურნალი სამშაბათს (12 თებერვალს) უნდა გამოვიდეს. სწერს, რომ გადაღლილია ბევრი მუშაობით და უძილობით, მაგრამ, თუ დროს გამონახავს, მასკარადზე წასვლას აპირებს. ►

**1863 11 თებერვალი**

ოლდა გურამიშვილს უგზავნის წერილს. საყვედურობს, რომ მისგან ბარათი არ მიუღია. უყვება, როგორ თამამად ამხელდა ერთი ნიღბიანი კაცი წინა საღამოს მასკარადზე მყოფთ და როგორ კეთილგანწყობას გამოხატავდა მის მიმართ. სწერს, რომ აპირებს მისთვის მანუეტის სამაგრების შეკვეთას, წარწერით „ო. ჭ“ – ოლდა ჭავჭავაძე. ►

**1863 12 თებერვალი**

იღებს ოლდა გურამიშვილის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ავად არის. სწერს პასუხს და სთხოვს, გააგებინოს, შეიძლება თუ არა მის სანახავად მისვლა. ასევე, ატყობინებს, რომ იმ უცნობი ნიღბიანის გვარი, რომელიც თამამად ამხელდა მასკარადზე მყოფთ, ყოფილა სანიცკი. ►

**1863 12 თებერვალი**

იღებს ოლდა გურამიშვილის წერილს, რომლითაც მეორე დღის 11 საათზე ეპატიჟება თავისთან და ხელმოწერული მოკლე საპასუხო ბარათით ატყობინებს, რომ დანიშნულ დროს მივა. ►

**1863 13 თებერვალი**

ოლდა გურამიშვილს უგზავნის წერილს, რომლითაც ატყობინებს, რომ მისვლამ შეიძლება საქმე გააფუჭოს, მაგრამ თუ მას მაინც უნდა, აუცილებლად მივა. მოუთხრობს მის დასთან შეხვედრის ამბავს. იმავე დღეს ოლდა სწერს, რომ მაინც მივიდეს და ერთმანეთს ხვდებიან მის სახლში. საღამოს უგზავნის კიდევ ერთ ბარათს. ►

**1863 13 თებერვალი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს. უბოდიშებს, რომ წერილზე ვერ უპასუხა. ხალისით იხსენებს წინა დღის შფოთიან შეხვედრას, როცა ოლღას მამიდა კინალამ მიხვდა, რომ პაემანი ჰქონდათ. ►

**1863 13 თებერვალი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის კიდევ ერთ ბარათს და ატყობინებს, რომ ნაჩქარევი წამოსვლის გამო ხელჯობი დარჩა მასთან. სთხოვს დამალოს, რომ ვინმემ არ შეიტყოს მათი შეხვედრის ამბავი. ►

**1863 15 თებერვალი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ხელმოუწერელ მოკლე ბარათს, რომელშიც აღიარებს, რომ მისმა სიყვარულმა „პატიოსან, დარბაისელ რედაქტორს“ თავი დააკარგვინა. ►

**1863 16 თებერვალი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც ცდილობს გაუფანტოს უსიამოვნო ფიქრები. არწმუნებს, რომ მისი მამის – თადეოზ გურამიშვილის წინააღმდეგობა ვერ შეუშლის ხელს მათ ბედნიერებას. სთხოვს, მზითვის დაკარგვაზე არ იდარდოს, რადგან სხვის დაუხმარებლადაც იცხოვრებენ. ►

**1863 18 თებერვალი**

სტუმრად არის მიწვეული ილია და ელენე ჩოლოყაშვილების ოჯახში. ►

**1863 18 თებერვალი**

წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს. ინტერესდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. აცნობებს, რომ მისი საათი მიუტანა ოსტატს, მაგრამ ჯერ მზად არ არის, კრიალოსანს კი უბით ატარებს. ჰპირდება, რომ მეორე დღეს გაუგზავნის ჟურნალს, ოღონდ სთხოვს, რომ არავის აჩვენოს და ამით მათი ურთიერთობა არ გაამხილოს. ►

**1863 19 თებერვალი**

გამოდის „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი, რომელშიც რედაქცია ბოდიშს იხდის დაგვიანებისთვის. მასში ასტრონომით (\*\*\*) დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის ლექსები „ჩემო კალამო...“ და „მუშა“, „მ. ჭიმშიერიძის“ ფსევდონიმით – მისივე მოთხრობის „გლახის ნაამბობი“ პირველი ხუთი თავი, ასტრონომით (\*\*\*\*) – საპროგრამო სტატია „საქართველოს მოამბეზე“ და ხელმოუწერლად – მისი თარგმანები: ნიკოლოზ დობროლიუბოვის თხზულება – „მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება“ და სულხან ბარათაშვილის „ძველი ისტორია საქართველოსი“ პირველი ნაწილი. ►

**1863 19 თებერვალი**

წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს. აცნობებს, რომ კვირას ელენე ჩოლოყაშვილთან იმართება ლიტერატურული საღამო, რომელზეც თვითონაც იქნება და წაიკითხავს თავის თხზულებებს. ძალიან უნდა, რომ ოლღა მივიდეს, მაგრამ, მათი ურთიერთობა რომ არ გამჟღავნდეს, სთხოვს, თავი ისე დაიჭიროს, თითქოს ამ საღამოს შესახებ სხვებისგან შემთხვევით შეიტყო. უგზავნის დაპირებულ ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ და სთხოვს, ყურადღებით წაიკითხოს. ►



**1863 19 თებერვალი**

სალამოს 10 საათზე ხვდება ოლღა გურამიშვილს. ►

**1863 19 თებერვალი**

წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს. ჰპირდება, რომ უსათუოდ შეატყობინებს ელენე ჩოლოყაშვილთან მისი მისვლის ზუსტ დროს. ►

**1863 20 თებერვალი**

წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს. წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ იმ დღიდან მხოლოდ კვირაში ორჯერ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს ბარათები. აცნობებს, რომ ჩარჩო შეიძინა და მოუთმენლად ელის, ოლღა როდის გაუგზავნის თავის სურათს. ►

**1863 24 თებერვალი**

ელენე ჩოლოყაშვილის ოჯახში იმართება ლიტერატურული საღამო, რომელზეც კითხულობს საკუთარ თხზულებებს. გული სწყდება, რომ ოლღა გურამიშვილი მისვლას ვერ ახერხებს. ►

**1863 24 თებერვალი**

წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს. წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩოლოყაშვილებთან მისი ნახვა ვერ შეძლო. სთხოვს, გაიხსენოს და სიტყვასიტყვით მისწეროს, რა უთხრა მან იასე ანდრონიკაშვილს ილიასთან დაკავშირებით და რა მიიღო პასუხად. ასევე, სთხოვს, თავი შორს დაიჭიროს იმ ქალისგან, რომელიც მათი ბედნიერების ჩაშლას ცდილობს. ►

**1863 25 თებერვალი**

წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს. წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ერთმანეთს ხშირად ვეღარ სწერენ. ღელავს, რადგან არ იცის, როგორ მიიღოს სასიამოროსგან თანხმობა. შიშობს, რომ თადეოზ გურამიშვილი სასურველ სასიძოდ არ მიიჩნევს. ►

**1863 26 თებერვალი**

წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს. აცნობებს, რომ შეხვდა მის ნათესავ იასე ანდრონიკაშვილს და იმედოვნებს, რომ თადეოზ გურამიშვილსაც შეხვდება. არწმუნებს, რომ სრულიად არ აღელვებს მზითევის დაკარგვა, რადგან მას ოლიკოს ზნეობრივი ღირსებები, მისი გონიერება და გული უყვარს და არა მისი მზითევი. სთავაზობს, სემინარიის ეკლესიაში იაროს და იქ ქანდარაზე შეხვდება ხოლმე, რომ თავისუფლად ისაუბრონ. ►

**1863 27 თებერვალი**

ოლღა გურამიშვილსგან იღებს ბარათს, რომელშიც სთხოვს, ინახულოს გიორგი მუხრანბატონი, რათა მან უშუამდგომლოს ახალგაზრდებს თადეოზ გურამიშვილთან. ოლღა დარწმუნებულია, რომ ის შეძლებს მათ დახმარებას. ►

**1863 28 თებერვალი**

ოლლა გურამიშვილს დილის ხუთ საათზე უგზავნის ბარათს, რომელშიც ეჭვს გამოთქვამს იმის გამო, რომ გიორგი მუხრანბატონი ეცდება მათ დახმარებას. მიუხედავად ამისა, ჰპირდება, რომ ინახულებს და დაელაპარაკება. მას აშინებს ის, რომ ოლლას ნათესავთაგან მის მიმართ არავინაა კეთილგანწყობილი და ყველანაირად ცდილობენ მათ დაშორებას. სწერს, რომ თუ ეს მართლაც მოხდება და მისი სიყვარული დასამარდება, ერთადერთი, რისთვისაც განაგრძობს არსებობას, იქნება ის წმინდა საქმე, რომლის მსახურებაც მან დიდი ხნის წინ აირჩია ცხოვრების მიზნად. ▶

**1863 28 თებერვალი**

იღებს ცენზურის ნებართვას „საქართველოს მოამბის“ მეორე ნომრის გამოცემაზე. ▶

**1863 1 მარტი**

ოლლა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც უბოდიშებს წინა წერილში გამოთქმული პესიმიტური შეხედულებების გამო. აცნობებს, რომ იმავე დღეს აპირებს იასე ანდრონიკაშვილთან და გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელთან მისვლას. ატყობინებს, რომ მიიღო მისი ფოტოები, მაგრამ უხარისხოა. სთხოვს, თმა ისე დაივარცხნოს, როგორც მას უყვარს და ფოტოატელიეში მივიდეს. ჰპირდება, რომ იქ დახვდება და თავად შეურჩევს ისეთ პოზას, რომ სურათი კარგი გამოვიდეს. ასევე, აცნობებს, რომ უგზავნის მედალიონს. ▶

**1863 1 მარტი**

ოლლა გურამიშვილი უგზავნის ბარათს, რომელშიც სთავაზობს, ქორწილი სექტემბრამდე გადადონ. ▶

**1863 2 მარტი**

ოლლა გურამიშვილს სწერს პასუხს წინა დღის ბარათზე. არ თანხმდება ქორწილის სექტემბრამდე გადადებაზე. მისი აზრით, ისინი აპრილამდე უკვე ერთად უნდა იყვნენ. აცნობებს, რომ იასე ანდრონიკაშვილი შინ არ დაუხვდა და საღამოს 9 საათზე ისევ მიაკითხავს. წერილის ბოლოს სთხოვს, რომ შეხვდეს. ▶

**1863 2 მარტი**

მიდის იასე ანდრონიკაშვილთან და დაიმედებული ბრუნდება, რომ მისი და ოლლა გურამიშვილის დაქორწინება შესაძლებელია. ▶

**1863 3 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. აცნობებს, რომ იასე ანდრონიკაშვილთან იყო და ცოტა იმედი მიეცა, მაგრამ უკან დაბრუნებულმა შენიშნა ოლლას შეწუხებული სახე და შემფოთებული კითხულობს, ხომ არაფერი მოხდა. სთხოვს, დაუყოვნებლივ მისწეროს, რამ დააღონა. ▶

**1863 4 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. აცნობებს, რომ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელთან მეორე დილის 9 საათზე აპირებს მისვლას და ჰპირდება, რომ ყველაფერს დაწვრილებით შეატყობინებს. ▶

**1863 13 თებერვლიდან 5 მარტამდე**

გარდაიცვალა ოლლა გურამიშვილის მამიდა – სიდონია გურამიშვილი-სავარსამიძისა. ▶

**1863 5 მარტი**

მიდის გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელთან, მაგრამ შინ არ ხვდება. ►

**1863 5 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. ატყობინებს, რომ შემთხვევით თვალი მოჰკრა ფანჯარაში, რამაც საოცრად გააბედნიერა. ასევე, აცნობებს, რომ მედალიონი უკვე მზადაა, მაგრამ პორტრეტი, სავარაუდოდ, კვირას იქნება. ევედრება, რომ ხშირ-ხშირად მისწეროს. ►

**1863 6 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს და დაწვრილებით მოუთხრობს გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელთან ვიზიტის ამბავს. შეხვედრით კმაყოფილია და ფიქრობს, რომ მათი საქმე დადებითად გადაწყდება. გიორგი აღუთქვამს, რომ თადეოზ გურამიშვილს მოელაპარაკება. მის შეკითხვაზე, თუ როგორია მისი ქონებრივი მდგომარეობა, ილია პასუხობს, ბედნიერება სიმდიდრის გარეშეც არის შესაძლებელი და ოლლაც ამავე აზრისააო. ►

**1863 7 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. გამოთქვამს კმაყოფილებას, რომ ის არ წავიდა თავის ნათესავ ბაგრატიონ-მუხრანელებთან. ურჩევს ნიკო ჭავჭავაძესთან ხშირად იაროს და მის მეუღლეს დაუმეგობრდეს. ამ ოჯახში ისინი უშიშრად შეძლებენ შეხვედრას. ასევე, აცნობებს, რომ იმ საღამოს ელენე ჩოლოყაშვილთან აპირებს წასვლას და თუ მოახერხებს, თვითონაც მივიდეს. უგზავნის საყურეებს მათი საერთო ნაცნობის და საიდუმლო მიმოწერის ხელშემწყობი პელაგია ყაზბეგისათვის. ►

**1863 8 მარტი**

ბარათს იღებს ოლლა გურამიშვილისგან, რომელიც ინტერესდება, იცის თუ არა მათი ამბავი ნიკო ჭავჭავაძემ. ►

**1863 8 მარტი**

ინყებს ოლლა გურამიშვილის საპასუხო ბარათის წერას, მაგრამ აღარ ამთავრებს. ბარათში ეწერა, რომ არც ნიკო ჭავჭავაძემ და არც მისმა მეუღლემ მათ შესახებ არაფერი იციან. მართალია, რამდენჯერმე შეკითხვა დაუსვამთ, მაგრამ ილიას პასუხისთვის თავი აურიდებია. ►

**1863 8 მარტი**

ხდება ავად და, სავარაუდოდ, ამიტომ ვეღარ ამთავრებს ოლლა გურამიშვილისთვის ბარათის მიწერას. ►

**1863 9 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს და ცდილობს მის დამშვიდებას. არწმუნებს, რომ თავს კარგად გრძნობს. ექიმის რჩევით, ორიოდე დღე წოლით რეჟიმს დაიცავს და ყველაფერი კარგად იქნება. ►

**1863 9 მარტი**

ილია ჭავჭავაძის ჯანმრთელობის მდგომარეობით შემფოთებული ოლლა გურამიშვილი ახერხებს მის მონახულებას. ►

**1863 10 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. აცნობებს, რომ მისი წინა დღის ვიზიტის შემდეგ მკვდარიც რომ ყოფილიყო, ფეხზე ადგებოდა. დარწმუნებულია, რომ ორ დღეში უკვე შეძლებს ოლლას ნახვას. უგზავნის თავის სურათს, თუმცა თვლის, რომ კარგად არ გამოიყურება. ►

**1863 11 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. აცნობებს, რომ წინა დღის პაემანი სემინარიაში არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ აფიქრებს ლიზა ბაგრატიონ-მუხრანელის იქ ყოფნა. მართალია, ოლლა დარწმუნებული იყო, რომ ის არავის ეტყოდა მათი შეხვედრის შესახებ, მაგრამ ილია მაინც ფრთხილობს და სთხოვს, რომ შემდეგში არავინ წაიყვანოს. ►

**1863 12 მარტი**

წერილს უგზავნის ოლლა გურამიშვილს. აცნობებს, რომ მიიღო მიწვევა მისი დის, ეკატერინესგან და მასთან სტუმრად მისვლას აპირებს მომდევნო დღის 12 საათზე. განგებ არ მიდის ისეთ დროს, როდესაც იქ სტუმრები დახვდებიან და საქმეზე დალაპარაკებას ვერ შეძლებს. ►

**1863 14 მარტი**

ოლლა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც აცნობებს, რომ მისთვის სასურველ დროს და ადგილას შეხვდება. სწერს, რომ ერჩივნა მათი ურთიერთობის ამბავი ოლლას თავისი დისთვის არ გაემხილა, თუმცა, იმედოვნებს, რომ ეს გულახდილობა საქმეს არ გააფუჭებს. ►

**1863 14 მარტი**

იღებს ოლლა გურამიშვილის ბარათს, რომელშიც წუხილია გამოთქმული იმის გამო, რომ საიდუმლოს თავისი დისთვის გამხელით აწყენინა. ►

**1863 14 მარტი**

იმავე დღეს კიდევ ერთ ბარათს უგზავნის ოლლა გურამიშვილს, რომელშიც ამშვიდებს, რომ არ არის მასზე ნაწყენი. რაკი ოლლას დამ – ეკატერინემ მათი ამბავი შეიტყო, მასთან მისვლა ერიდება და სწერს, ბოდიში მოუხადოს. ასევე, სთხოვს, მისი ბარათები არავის წააკითხოს. ►

**1863 14 მარტი**

სტუმრად მიდის ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისასთან. ►

**1863 14 მარტი**

იმავე დღეს მესამე ბარათს უგზავნის ოლლა გურამიშვილს, რომელშიც უდასტურებს, რომ 11 საათზე დანიშნულ ადგილზე იქნება. ბოდიშს უხდის, რომ ვრცელ წერილს ვერ სწერს, რადგან ოთახში ვიღაც ჩინოსანი ჰყავს. ►

**1863 15 მარტი**

ბარათს უგზავნის ოლლა გურამიშვილს და უმხელს, რომ სულ მასზე ფიქრობს. სწერს, რომ ახლალა გააცნობიერა, რამდენად მნიშვნელოვანია გრძობა ადამიანისთვის და მოიხმობს ციტატას თავისი „გლახის ნაამბობიდან“: „ჭკუა გზას გაგინათებსო, გული კი გაგათბობსო“, მაგრამ არ უმხელს, რომ ეს მოთხრობა მისი დანერვილია. მოჰყავს, როგორც „ჭიმშერიძის“ ნათქვამი, რადგან „საქართველოს მოამბეში“ მოთხრობა ამ ფსევდონიმით დაიბეჭდა. ►

**1863 16 მარტი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს. უხსნის, რომ ბულვარში მასთან მიუსვლელით არასასურველი მითქმა-მოთქმა აირიდა თავიდან. საყვედურობს, რომ ფოტოგრაფისგან სურათი მის გარეშე გამოიტანა. ატყობინებს, რომ ელენე ანდრონიკაშვილ-ჩოლოყაშვილისას აინტერესებდა მათი ურთიერთობის ამბავი, მაგრამ არაფერი გაუხილა. სწერს, რომ ვიღაც დაჰპირდა მამამისთან – თადეოზ გურამიშვილთან დალაპარაკებას მათი ქორწინების თაობაზე და მოუთმენლად ელის პასუხს, თუმცა კარგი მოლოდინი არა აქვს. ბარათთან ერთად უგზავნის სანერი ქაღალდის დასტას და გამოთქვამს იმედს, რომ მის დახარჯვამდე ჭვარს დაიწერენ. სთხოვს შეატყობინოს, ელენესთან როდის აპირებს წასვლას, რომ თავადაც მივიდეს. მინანქრში აცნობებს, რომ ჭვარს, რომელიც ოლღას მოეწონა აუცილებლად უყიდის, და სთავაზობს, რომ ძვირფასი სამკაულებიც შეარჩიოს. ►

**1863 17 მარტი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც ცდილობს გაიგოს, არის თუ არა რაიმე სასიამოვნო სიახლე. ჭავრობს ვიღაც ქალზე, რომელიც მათი ურთიერთობის ჩაშლას ცდილობს. აინტერესებს, როგორ მოეწყო ახალ ოთახში და სთხოვს არ დაუმალოს, რას აკეთებენ ნათესავები იმისათვის, რომ მასთან ურთიერთობაზე ხელი ააღებინონ. ►

**1863 17 მარტი**

სადარბაზოდ მიდის ოლღა გურამიშვილის დის – ეკატერინეს ოჯახში. ►

**1863 18 მარტი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს. გულდანწყვეტილი აცნობებს, რომ წინა დღის ვიზიტმა მის დასთან – ეკატერინესთან წარუმატებლად ჩაიარა. უცნობმა ქალბატონმა, რომელიც ასევე სტუმრად იყო მისული, საშუალება არ მისცა, მისთვის საინტერესო საკითხზე თავისუფლად ესაუბრა. სთხოვს, არ იდარდოს ქონებაზე, რომელსაც ვიღაცეები ითხოვენ მისგან და დაუთმოს, ხოლო ფული თუ დასჭირდება, აუცილებლად მას მიმართოს. ბარათის ბოლოს აცნობებს, რომ 12 საათზე ელენე ანდრონიკაშვილ-ჩოლოყაშვილისასთან არის დაბარებული და სთხოვს, ისიც მივიდეს, რადგან ძალიან უნდა მისი ნახვა. ►

**1863 18 მარტი**

სადარბაზოდ მიდის ოლღა გურამიშვილის დის, ეკატერინეს ოჯახში. ►

**1863 მარტის მეორე ნახევარი**

გამოდის „საქართველოს მოამბის“ მეორე ნომერი, რომელშიც ასტრონომით (\*\*\*) იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსი „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ და ხელმოუწერლად – სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ მისეული თარგმანის გაგრძელება. ►

**1863 19 მარტი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც აცნობებს, რომ წინა საღამოს მის დასთან იყო და ამაოდ ელოდა მის მისვლას. სთხოვს, თუ იმავე დღეს არა, მომდევნოს მაინც მოახერხოს მასთან შეხვედრა, რადგან ძალიან ენატრება. ►



**1863 20 მარტი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც ეკითხება, რა უთხრა მამამ. სთხოვს, არ დაუმალოს სიმართლეს, თუნდაც ის მწარე იყოს. კიდევ ერთხელ ეუბნება, რომ წავა მის მამიდაშვილ ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელთან, რადგან გაურკვევლობაში ყოფნა უკვე გაუსაძლისად ეჩვენება. სურს გაიგოს, მოეწონა თუ არა ოლღას სამაჭური, რომელიც მან შეურჩია. აინტერესებს, ხომ არ შეეძინა ბავშვი მის დას ეკატერინეს. ►

**1863 22 მარტი**

ოლღა გურამიშვილისგან იღებს ბარათს, რომელშიც ატყობინებს, რომ თბილისიდან გასვლას აპირებს. ასევე, აცნობებს, რომ თუ მამამისი კატეგორიულ წინააღმდეგობას გაუწევთ და ქორწინებაზე თანხმობას არ მისცემთ, თანახმაა ფარულ ჯვრისწერაზე. ►

**1863 22 მარტი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის საპასუხო ბარათს, რომელშიც ევედრება, არ გავიდეს ქალაქიდან, რადგან მის გარეშე ძალიან გაუჭირდება. უხარია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ოლღა თანახმაა ფარულ ჯვრისწერაზე. სთხოვს, არ დააძალოს მამიდაშვილთან, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელთან დახმარების სათხოვნელად მისვლა, რადგან შეიტყო, რომ სწორედ ირაკლი ცდილობს მათთვის ხელის შეშლას. ასევე, აცნობებს, რომ მომდევნო დღეს აპირებს თადეოზ გურამიშვილთან პირადად დალაპარაკებას და იმედოვნებს, რომ საქმე სასიკეთოდ დასრულდება. წერილს აქვს მინაწერი, რომელშიც ჩამოთვლილია, რა სამკაულების ყიდვას აპირებს მისთვის. მაგრამ, თუ თადეოზისგან უარი მიიღო, სწერს, რომ ამ სამკაულების აღებაზე თავს შეიკავებს, რომ ის ფული სხვაგვარად მოიხმარონ. ►

**1863 23 მარტი**

ოლღა გურამიშვილი არწმუნებს, რომ აუცილებლად ნახოს მისი მამიდაშვილი, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი. ასრულებს თხოვნას, მიდის ირაკლისთან, მაგრამ შინ არ ხვდება. ►

**1863 23 მარტი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის საპასუხო ბარათს, რომელშიც აცნობებს, რომ მართალია, წინასწარ მისი მამიდაშვილი, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი ვერ ინახულა, მაგრამ ახალი ამბავი შეიტყო: მისი მეგობარი, ილია წინამძღვრიშვილი დილით ოლღას მამასთან, თადეოზ გურამიშვილთან ყოფილა და უკითხავს, ქალიშვილის გაბედნიერება მოგილოცოთ თუ არაო. თადეოზს მიუგია, რომ ამ საკითხის შესახებ არაფერი იცის და არც სურს იცოდეს. რაკი ახალგაზრდებმა მის გარეშე წამოიწყეს ეს საქმე, თავადვე დააბოლოვონო. თადეოზს არ გამოუთქვამს ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრისა და საუბრის სურვილი. ამის გამო გულდანწყვეტილია, მაგრამ აიძულებს ოლღას, რომ კურთხევის გარეშეც შეიძლება ბედნიერად ცხოვრება, რისი თვალსაჩინო მაგალითიც ოლღას და – ეკატერინეა. ნატრობს, მალე დასრულდეს დიდმარხვა, რომ ჯვარი დაიწერონ. ასევე, აცნობებს, რომ საღამოს 6 საათამდე ბაღში იქნება და თუ ოლღა მისვლას შეძლებს, ძალიან გაახარებს. ►

**1863 23 მარტი**

ღამის სამის ნახევრამდე მასთან საქმიანი ვიზიტით არის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების წევრი – ლეონარდ ზაგურსკი. ►

**1863 24 მარტი**

ავად არის. მასთან სახლში უამრავი ხალხია და მიდის ოღლა გურამიშვილიც. ილია მოწყენილია და ოღლა ფიქრობს, რომ ეს გამოიწვია მისმა საუბარმა სხვა ახალგაზრდა ყმაწვილებთან. ►

**1863 24 მარტი**

ბარათს იღებს ოღლა გურამიშვილისგან, რომელშიც ეკითხება, ხომ არ აწყენინა. ►

**1863 24 მარტი**

ოღლა გურამიშვილს უგზავნის საპასუხო ბარათს. უხსნის, რომ გვიან ღამემდე ლეონარდ ბაგურსკი ჰყავდა სტუმრად და იმიტომ ვერ მისწერა. არწმუნებს, რომ ოღლას მხიარული მასლაათი სხვებთან არ სწყენია და მოწყენილი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ თავს ძალზე სუსტად გრძნობდა. აიმედებს, რომ მალე გამოკეთდება. სთხოვს, წერილები ხშირად უგზავნოს და, თუ შეძლებს, ისევ ინახულოს. ►

**1863 25 მარტი**

ოღლა გურამიშვილისგან იღებს წერილს, რომლიდანაც სასიამოვნო ახალ ამბავს იგებს. ►

**1863 25 მარტი**

ოღლა გურამიშვილს უგზავნის მოკლე საპასუხო ბარათს, რომელშიც მადლობას უხდის სასიამოვნო ამბის შეტყობინებისთვის. ►

**1863 26 მარტი**

ოღლა გურამიშვილს უგზავნის ბარათს. აცნობებს, რომ თავს უკეთ გრძნობს, მალე უნდა ინახულოს ექიმმა და თუ ნებას დართავს, მეორე დღეს დაესწრება საეკლესიო ცერემონიას, სადაც ოღლას შორიდან მაინც დაინახავს. ►

**1863 27 მარტი**

ოღლა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც აცნობებს, რომ ექიმმა ნება დართო, ცოტა ხნით ქუჩაში გავიდეს. სიხარულს ვერ მალავს, რომ ერთმანეთს ნახავენ. ატყობინებს, რომ მასთან ჩამოვიდა მისი და – ელისაბედი და, სავარაუდოდ, მთელი წელი დარჩება. ►

**1863 28 მარტი**

ოღლა გურამიშვილს უგზავნის ბარათს. აცნობებს, რომ მსახური ლაზარე ღონიაშვილი დაითხოვა და სთხოვს, რომ ოღლამაც არ გაიკაროს. სიხარულით სწერს, ხეჩო დარჩიანოვი შეხვდა მამაშენს, კურთხევას მოგვცემს, უბრალოდ გაჭავრებულია, რომ მის დაუკითხავად მივიღეთ გადაწყვეტილებაო. ასევე, აცნობებს, რომ საღამოს ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელთან აპირებს წასვლას, შუადღისას კი ივანე ანდრონიკაშვილს შეევედრება დახმარებას. ►

**1863 31 მარტი**

ოღლა გურამიშვილს უგზავნის ბარათს. ბრაზობს ექიმის დაგვიანების გამო, რომელსაც დილიდან ელოდება. შიშობს, რომ ამის მიზეზით იასე ანდრონიკაშვილს შინ ვეღარ მიუსწრებს. აინტერესებს, კარგად ეძინა თუ არა ოლიკოს. თავად კი, როგორც სწერს, სასიამოვნო ფიქრებში გართულს, საერთოდ არ სძინებია. ბარათის ბოლოს აქვებს ხეჩო დარჩიანოვს, რომელმაც მათ ბედნიერებას ხელი შეუწყო. ►

**1863 მარტის ბოლო**

ჟურნალ „ცისკრის“ მარტის ნომერში „ქრელი ბეჟას“ ფსევდონიმით ქვეყნდება ანტონ ფურცელაძის მიმოხილვა „ქართული ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“. 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები“, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძის თხზულებების „გლახის ნაამბობისა“ და „მუშას“ განხილვას. ჟურნალში დაბეჭდილი მასალების ზოგადი ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია ეჭვი, რომ მან შეიძლება დიდხანს ვერ გაიტანოს თავი. ►

**1863 1 აპრილი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც სიხარულით აცნობებს, რომ ხეჩო დარჩიანოვმა თადეოზ გურამიშვილი დაითანხმა მათ ჯვრისწერაზე. წერილიდან ჩანს, რომ იმ საღამოს აპირებს მსახურ ლაზარე ღონიაშვილის გავგზავნას ექიმთან და თუ ფეხზე წამოდგომის ნებას მიიღებს, მოაგვარებს ყველაფერს. ►

**1863 2 აპრილი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის მოკლე ბარათს, რომლითაც ატყობინებს, რომ დილის 5 საათზე ადგა, რათა ყველა საქმე დროულად მოაგვაროს და მეტი დრო დარჩეს ოლიკოსთან სალალობოდ. სამომავლოდაც გეგმავს, რომ დილის საათებში იმუშაოს, სანამ ოლიკოს ეძინება, რათა შემდეგ მთელი დრო ერთად გაატარონ. ►

**1863 3 აპრილი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც ატყობინებს, რომ მომდევნო დღეს ივანე ანდრონიკაშვილი თადეოზ გურამიშვილთან მივა მათ ქორწინებაზე სასაუბროდ. ►

**1863 4 აპრილი**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს, რომელშიც წუხს იმის გამო, რომ წინა დღეს ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. სწერს, რომ მოუთმენლად ელის ივანე ანდრონიკაშვილის დაბრუნებას და თუ შეხვედრის ნებას მისცემენ, უმალ წავა მის სანახავად. ►

**1863 8 აპრილამდე**

ოლღა გურამიშვილს უგზავნის ბარათს. ატყობინებს, რომ ყველა მოინახულა, ვისთან მისვლაც საჭირო იყო, მათ შორის, რასაკვირველია, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელსაც მადლობა გადაუხადა. ამასთან, ითხოვა ოლღასთან შეხვედრის ნებართვა, რაზეც უარი მიიღო, ამდენი ხანი მოგიმთენიათ და ცოტაც მოიცადეთო. ძალიან წუხს ამის გამო. მისთვის გაუგებარია, თუ ქორწინებაზე არ ეუბნებიან უარს, შეხვედრას რატომღა უშლიან. ►

**1863 10 აპრილამდე**

თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს ივანე პოლტარაცკისთან ერთად. ►

**1863 10 აპრილი**

თბილისის წმინდა სამების პატარა ტაძარში ილია ჭავჭავაძე ჯვარს იწერს 20 წლის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილზე. მეჯვარეები არიან, მისი მხრიდან – დავით ყიფიანი და ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე, ოლღას მხრიდან – ილია ჩოლოყაშვილი და სულხან თუმანიშვილი. ►

**1863 30 აპრილამდე**

წერს ქრისტიან ზალცმანის თხზულების – „თხრობა ყმაწვილების აღზრდაზე“ ლევან ჯანდიერისეული თარგმანის წინასიტყვაობას. ►

**1863 30 აპრილი**

ერთდროულად იღებს ცენზურის ნებართვას „საქართველოს მოამბის“ მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრების გამოცემაზე. ►

**1863 2 მაისის შემდეგ**

წერილს იღებს მამიდა მაკრინესაგან, რომელიც მადლობას უხდის მას და ოლღას ფოტოსურათის გაგზავნისთვის, ბედნიერებას უსურვებს და ლოცავს. ►

**1863 13 მაისი**

ნიკო ნიკოლაძე კირილე ლორთქიფანიძეს სწერს, რომ „საქართველოს მოამბე“ დაღმასვლას განიცდის, აღარცერთი სტატია არ ვარგა, მესამე ნომერი აგვიანებს და არავინ იცის, როგორ განაგრძობს არსებობას. ►

**1863 მაისი**

ერთიმეორის მიყოლებით გამოდის „საქართველოს მოამბის“ მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრები. მესამე ნომერში ასტრონომით (\*\*\*) და ხელმოუწერლად აქვეყნებს თავის ლექსებს: „უსულდგმულო ცხოვრება“, „ციურნი ხმები“ და „იანიჩარი“. ►

**1863 მაისი**

„საქართველოს მოამბის“ მეოთხე ნომერში „მ. ჭიმშერიძის“ ფსევდონიმით იწყებს „კაცია – ადამიანის?!“ გამოქვეყნებას. აქვე ხელმოუწერლად ბეჭდავს თავის ლექსებს: „მძინარე ქალი“, და „პოეტი“, მიხილ ლერმონტოვის ლექსის „სიზმარი“ და სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ მისეულ თარგმანებს. ამავე ნომერში „თერგდალეულის“ ფსევდონიმით, სათაურით „ბიძია თონიკვს სტატიის გამო“, იბეჭდება კირილე ლორთქიფანიძის წერილი მამათა თაობის დაპირისპირებაზე შვილების მიმართ, რომელიც რევაზ ერისთავის თარგმანზე ილიას მიერ „ცისკარში“ გამოქვეყნებული სტატიით დაიწყო და ისევ გრძელდებოდა. ►

**1863 მაისი**

„საქართველოს მოამბის“ მეხუთე ნომერში განაგრძობს „კაცია – ადამიანისა?!“ და სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ მისეული თარგმანის ბეჭდვას. სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით იწყებს „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ პუბლიკაციას და ამავე ნომერში აქვეყნებს გიორგი წერეთლის წერილს „ცისკარს“ რა აკაკანებდა?, რომელიც მიმართულია ძველი თაობის წინააღმდეგ. ►

**1863 ივნისი**

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული კირილე ლორთქიფანიძის წერილის „ბიძია თონიკვს სტატიის გამო“ საპასუხოდ „ცისკარში“ ალექსი ელბაკიძის ფსევდონიმით იბეჭდება ლავრენტი არდაზიანის წერილი „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“, რომელშიც ავტორი ცდილობს იმის მტკიცებას, თითქოს ბიძია თონიკვს სტატიაში ილია ჭავჭავაძისა და ახალი თაობის საწინააღმდეგო არაფერი ყოფილა და ახალგაზრდები თავად ესხმიან თავს „მამებს“. ►



1863

**ივნისი**

ჟურნალ „ცისკარში“ „თავხედის“ ფსევდონიმით და მინაწერით: „საქართველოს მოამბის» რედაქციიდან ახალი ცნობაები“, იბეჭდება ანტონ ფურცელაძის სატირული ფელეტონი „გასათვალისწინებლად და სახელმძღვანელოდ“, რომელშიც ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ჟურნალი „უდღეურ ყმაწვილთან“ და „ჭლეჭით ჩავარდნილთან“ არის შედარებული, თავად ილია კი – მის მიერვე უნიჭო მწერლად აღიარებულ ალექსანდრ სუმაროკოვთან. ►

1863

**22 ივლისი**

იღებს ცენზურის ნებართვას „საქართველოს მოამბის“ მეექვსე ნომრის გამოცემაზე. ►

1863

**ივლისი**

ჟურნალ „ცისკარში“ ფსევდონიმით „ქერელი ბეჟა“ და სათაურით „ქართული ლიტერატურა“, იბეჭდება ანტონ ფურცელაძის ვრცელი კრიტიკული წერილი ჟურნალ „საქართველოს მოამბესა“ და მის ავტორებზე. იგი ძირითადად მიმართულია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ფურცელაძე მის ლექსებს „უგვანს“ უწოდებს, ენას კი – „კუდმოკვნიტის“. ჟურნალში გამოქვეყნებული ტექსტებიდან აქებს მხოლოდ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასს“, მაგრამ იგი მიხეილ ყიფიანისა ჰგონია და არა ილიასი. იმის დასამტკიცებლად, თითქოს ილია ჭავჭავაძე ერთსა და იმავე საგანზე სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად ლაპარაკობდეს, ივანე კერესელიძე, მისი ნებართვის გარეშე, ბეჭდავს ილია ჭავჭავაძის პირად წერილს გაბრიელ სულხანიშვილისადმი, რომელშიც შექმნილია „ცისკარში“ „მოლაყბის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატიები. რამდენადაც „ცისკარის“ რედაქტორი არ უთითებს წერილის თარიღს, მკითხველი ვერ მიხვდება, რომ პირად ბარათში ილია ჭავჭავაძე ამ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მხოლოდ პირველ წერილებს აქებს და არა მოგვიანებით ამავე ფსევდონიმით დაბეჭდილ სხვა ავტორებისას. ►

1863

**ივლისი**

ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გაბრიელ სულხანიშვილი აქვეყნებს საპროტესტო წერილს იმასთან დაკავშირებით, რომ ივანე კერესელიძემ და ანტონ ფურცელაძემ ჟურნალ „ცისკარში“ ილია ჭავჭავაძის ნებართვის გარეშე გამოაქვეყნეს მისი ბარათი, რომელშიც აქებდა „მოლაყბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ პირველ წერილებს და თარიღის მიუთითებლობით მკითხველი შეცდომაში შეიყვანეს. ►

1863

**ივლისი**

გამოდის „საქართველოს მოამბის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება „კაცია – ადამიანის?!“ დასასრული, ლექსები: „გუთნისდედა“, „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ და „ლოცვა“. ასევე გრძელდება „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ და სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ ილიასეული თარგმანის ბეჭდვა. ►

1863

**ივლისი**

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქცია გადადის კომენდანტის ქუჩაზე (ამჟამად გრიბოედოვის ქუჩა № 37) ოლღას გარდაცვლილი მამიდის – სიდონია სავარსამიძის სახლში. ►

1863

**22 აგვისტომდე**

წერს პამფლეტს სახელწოდებით „სხარტულა. რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია“. ►



- 1863 22 აგვისტო**  
იღებს ცენზურის ნებართვას „საქართველოს მოამბის“ მეშვიდე ნომრის გამოცემაზე. ►
- 1863 აგვისტოს ბოლო**  
გამოდის „საქართველოს მოამბის“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც ასტრონომით (\*\*\*) იბეჭდება ნაწყვეტი „აჩრდილიდან“ („ლოცვა აჩრდილისა“) და ლექსი „გ. აბხ...“, ფსევდონიმით „გ. ჩ.“ – პამფლეტი „სხარტულა“. ასევე გრძელდება „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ და სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ ილიასეული თარგმანის ბეჭდვა. ►
- 1863 14 სექტემბრამდე**  
თარგმნის სტატიას „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰიუგოს წიგნი“ და ცნობილი ფრანგი ეკონომისტის, ფრედერიკ ბასტიას ნაშრომის ერთ ნაწილს „მცარცველობის ფიზიოლოგია“. ►
- 1863 14 სექტემბერი**  
იღებს ცენზურის ნებართვას „საქართველოს მოამბის“ მერვე ნომრის გამოცემაზე. ►
- 1863 სექტემბრის ბოლო**  
გამოდის ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მერვე ნომერი, რომელშიც იბეჭდება „აჩრდილის“ XXIV თავი და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ გაგრძელება. აქვე კრიპტონიმებით „ბ. ვ.“ ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის თარგმანები: „მცარცველობის ფიზიოლოგია“ ფრედერიკ ბასტიას წიგნიდან და „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰიუგოს წიგნი“. ►
- 1863 19 ოქტომბრამდე**  
თარგმნის ამონარიდს კირაკოზი განძაკეცის 1862 წელს ჟურნალ „რუსსკოე სლოვოში“ დაბეჭდილი თხზულებიდან „სომხეთის ისტორია“, რომელშიც საუბარია საქართველოსა და სომხეთში მონღოლთა შემოსევის პერიოდზე. ►
- 1863 19 ოქტომბრამდე**  
თარგმნის პიერ ჟოზეფ პრუდონის სტატიას „სილარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“. ►
- 1863 19 ოქტომბერი**  
იღებს ცენზურის ნებართვას „საქართველოს მოამბის“ მეცხრე და მეათე ნომრების გამოცემაზე. ►
- 1863 19 ოქტომბრის შემდეგ**  
გამოდის „საქართველოს მოამბის“ მეცხრე ნომერი. მასში ასტრონომით (\*\*\*) ბეჭდავს თავის ლექსებს: „სიხარული“ და „მტკვრის პირას“ და ანდრე შენიეს ლექსის „ზღვათა მფლობელის...“ მისეულ თარგმანს. ამავე ნომერში კრიპტონიმით „ბ. ვ.“ აქვეყნებს წერილს „კირაკოზი განძაკეცი, მწერალი XIII საუკუნისა“ და „მაქსიმე ლალანდიის“ ფსევდონიმით – სტატიას „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“. ►

**1863 29 ოქტომბერი**

თხოვნით მიმართავს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს, გასცეს განკარგულება, რათა მისცენ საუნივერსიტეტო კურსის მოსმენის დამადასტურებელი მოწმობა. ►

**1863 ოქტომბერი**

გამოდის „საქართველოს მოამბის“ მეათე ნომერი. მასში კრიპტონიმით „ბ. ვ.“ იბეჭდება პიერ ჟოზეფ პრუდონის სტატიის „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“ ილიასეული თარგმანი, „მაქსიმე ლალანდის“ ფსევდონიმით გრძელდება მისი სტატიის ბეჭდვა სათაურით „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“, ასტრონომით (\*\*\*) იბეჭდება „ერთი მოთხრობის დასაწყისი“ (პოემის – „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ შესავალი. წყდება სტრიქონზე: „ეხლანდელ დედამ ვეღარ გაზარდოს“) და წერილი „რედაქციისაგან“, 1864 წელს ჟურნალის პროგრამასა და მიმართულებაში მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე. ►

**1863 4 ნოემბერი**

პეტერბურგის უნივერსიტეტის მმართველობა მისი მოთხოვნის საფუძველზე უგზავნის მოწმობას პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ მეცნიერებათა კურსის მოსმენის შესახებ, მაგრამ, რამდენადაც გამოვიდა მე-4 კურსიდან, მოწმობის მიხედვით, სამოქალაქო სამსახურში შესვლის შემთხვევაში უფლება აქვს, ჩაითვალოს მხოლოდ მეორე თანრიგის მოხელედ. ►

**1863 8 დეკემბერი**

გაზეთ „კავკაზში“ ფსევდონიმით „B. Γ.-ჰოი“ იბეჭდება მისი ლექსი „მუშას“ ივან ვოსტორგოვისეული თარგმანი. ►

**1863 19 დეკემბერი**

იღებს ცენზურის ნებართვას „საქართველოს მოამბის“ მეთერთმეტე ნომრის გამოცემაზე. ►

**1863 19 დეკემბრის შემდეგ**

გამოდის „საქართველოს მოამბის“ მეთერთმეტე ნომერი, რომელშიც ასტრონომით (\*\*\*) დაბეჭდილია მისი ლექსი „ხმა სამარიდან“ და კრიპტონიმით „ბ. ვ.“ ფრედერიკ ბასტიას სტატიის „ორნაირი სწავლა“ მისეული თარგმანი. აქვე ქვეყნდება სარედაქციო განცხადება („წარსულმა დრომ მრავალჯერ დაგვიმტკიცა...“), რომელშიც შეჭამებულია „საქართველოს მოამბის“ მიღწევები და ნაკლოვანებები, საუბარია პროგრამაზე, სამომავლო მიზნებსა და ხელმოწერის პირობებზე. ►

**1863 31 დეკემბერი**

იღებს ცენზურის ნებართვას „საქართველოს მოამბის“ მეთორმეტე ნომრის გამოცემაზე. ►

1861-1863 იწყებს მუშაობას მოთხრობაზე, რომელშიც ცდილობს წარმოაჩინოს საზოგადოების ლექში მოხვედრილი ღირსეული ახალგაზრდა ქალის ბედი და ქმნის ნაწყვეტებს სათაურებით: „გუბე“, „ზოგიერთ ხანა მოთხრობისა „მარგალიტი ლექში“, „კატო“ და „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. ►

1861-1863 იწყებს მუშაობას მოთხრობაზე „უღელტეხილი“, მაგრამ აღარ ამთავრებს ►

**1863** თბილისის ფოტოატელიეში იღებს ინდივიდუალურ ფოტოს. ►

**1864 იანვარი**

გამოდის ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ბოლო, მეთორმეტე ნომერი. მასში ილია ჭავჭავაძე არცერთ თავის ტექსტს აღარ აქვეყნებს და განცხადებასაც, მომდევნო წელს ჟურნალზე ხელმოწერის პირობების შესახებ, ხელმოუწერლად აკეთებს. ამ ნომრით წყდება „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ►

**1864 იანვარი**

ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერში იბეჭდება ალექსანდრე ორბელიანის წერილი „მოთმინებისაგან გამოსვლა“, რომელიც გამოწვეულია „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის წარმოებული პოლემიკის გამო პერიოდული გამოცემების მიმართ მკითხველთა გულის აცრუებით. სტატიის ავტორი განმარტავს, რომ პოლემიკა მწერლებს შორის ბუნებრივია და ყველგან ხდება, მაგრამ ამის გამო ჟურნალების გამოწერაზე მკითხველები უარს არ ამბობენ. მისი აზრით, ორი კი არა, უკეთესი იქნებოდა, ქართველებს ათი ჟურნალიც რომ ჰქონოდათ. აქვე „მყვირალა ქართლელის“ ფსევდონიმით იბეჭდება დიმიტრი ყიფიანის წერილი „ჩვენი ნაცარქეჩიები“, რომელშიც ილია ჭავჭავაძეს და თავის ძმისწულ დავით ყიფიანს ეკამათება ქართული ენის საკითხებზე, კერძოდ, ხმარებიდან გამოსული ასოების ამოღებასთან დაკავშირებით. ►

**1864 12 მარტი**

გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება „საქართველოს მოამბის“ რედაქციის განცხადება ჟურნალის დახურვის შესახებ. ►

**1864 მარტი**

ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება სარედაქციო წერილი, რომელიც ნიშნის მოგებით იუწყება „საქართველოს მოამბის“ შესაძლო დახურვის შესახებ და ეს კანონზომიერად არის მიჩნეული. ►

**1864 10 აპრილი**

ნიშნავენ იმერეთში, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. ►

**1864 24-30 აპრილი**

მონაწილეობს თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელზეც იხილავენ საგლეხო რეფორმას. თავგამოდებით იცავს გლეხების მიწიანად გათავისუფლების მოთხოვნას, რის გამოც დაპირისპირება უხდება „მამების“ თაობასთან. კრება 135 ხმით, 4-ის წინააღმდეგ მხარს უჭერს მის წინადადებას. ►

**1864 4 მაისამდე**

მონაწილეობს საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავებაში. წერს თბილისის გუბერნიაში მებატონეთა მფლობელობაში არსებულ მიწებზე დასახლებული გლეხების მიწათმოწყობის პროექტთან დაკავშირებულ კრიტიკულ შენიშვნებს, მაგრამ დოკუმენტს ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში თავისი სახელით წარადგენს ამ საბჭოს წევრი, იურისტი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე. ►

**1864 21 მაისამდე**

ჩადის ქუთაისში და ბინავდება სიმონ ლოღობერიძის ოჯახში. ►

**1864 21 მაისი**

ქუთაისში იღებს მეუღლის მიერ თბილისიდან გაგზავნილ ბარათს. ისევ სწერს, რომ უმისოდ მოწყენილია. ►

**1864 22 მაისი**

საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს ქუთაისიდან თბილისში. ატყობინებს, რომ მისმა იქ გამოჩენამ თავადაზნაურთა შორის აღშფოთება გამოიწვია, რადგან ასოცირდებოდა ყმების გათავისუფლებასთან. სწერს, რომ ოლლას წასაყვანად მისი თბილისში ჩასვლა დამოკიდებულია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის დაბრუნებაზე ქუთაისში, რადგან მისგან უნდა გაიგოს თავისი მოვალეობები. ამავე წერილით თავის ცოლისდას – ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას უთვლის, რომ მისი მეუღლე, დიმიტრი სტაროსელსკი, 4 ივნისს ჩავა ქუთაისში მეფისნაცვალ მიხაილ რომანოვთან ერთად. ►

**1864 24 მაისი**

ქუთაისში სტუმრად მიდის იმხანად გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლობის კანდიდატ ლევან გურიელის ოჯახში და ეცნობა ადგილობრივ საზოგადოებას. ►

**1864 25 მაისამდე**

იღებს მეუღლის წერილს და საჩუქარს – მანუეტების საკინძეს. ►

**1864 25 მაისი**

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის მეუღლეს, მადლობას უხდის წერილისა და საჩუქრისთვის და უყვება ადგილობრივ ამბებს. იმ დროს ქუთაისში უნდა ჩატარებულიყო მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის პირველი არჩევნები. ამასთან დაკავშირებით 4 ივნისს ელოდნენ კავკასიის მეფისნაცვლის – მიხაილ რომანოვისა და მისი მეუღლის – ოლგა ფეოდორის ასულის სტუმრობას, რის გამოც ქუთაისში ჩასული იყო მთელი მაზრის თავადაზნაურობა და ბინის შოვნა ჭირდა. სწერს, რომ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი ისევ არ გამოჩენილა. ასევე, ატყობინებს, რომ თბილისში ჩასვლას აპირებს ლუი სულიეს ცირკი შესანიშნავი ახალი ჯგუფით. ►

**1864 29 მაისი**

წერილს იღებს მეუღლისაგან, რომელიც იმ დროს დის ოჯახთან ერთად მამასთან იმყოფება. ბარათიდან იგებს, რომ მის მიერ რაღაც თანხის დროულად გადაუხდელობის გამო ოლლასთვის მიუკითხავთ. ►

**1864 29 მაისი**

პასუხს უგზავნის მეუღლეს ქუთაისიდან თბილისში. ატყობინებს, რომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მომდევნო დღეს უნდა დაბრუნდეს და თავად, სავარაუდოდ, ერთ კვირაში შეძლებს თბილისში გამგზავრებას მის ქუთაისში წასაყვანად. ►

**1864 30 მაისი**

მეუღლისაგან იღება წერილს, რომელშიც ოლღა ნუხილს გამოთქვამს, რომ გადასახადთან დაკავშირებით მისწერა. იქვე ატყობინებს „პრიკაზისა“ და დამფასებლების აზრს მათი მამულის ღირებულებასთან დაკავშირებით. ►

**1864 30 მაისი**

ხვდება თავის ქვისლს – დიმიტრი სტაროსელსკის, რის შესახებაც სწერს თავის მეუღლეს. ►

**1864 30 მაისი**

წერილს სწერს მეუღლეს ქუთაისიდან თბილისში. ატყობინებს, რომ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის უკვე შეხვდა და ორი კვირით დაეთხოვა, მაგრამ იმის გამო, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა მიხაილ რომანოვმა ქუთაისიდან თავის გამგზავრებამდე აკრძალა ცხენების გაცემა, ილია ჭავჭავაძე ქალაქიდან ვერ გადის. ასევე სწერს, რომ საქირავებელ ბინას ვერაფრით შოულობს. ►

**1864 30-31 მაისი**

შოულობს საქირავებელ ბინას, მეპატრონეს ფასზე ურიგდება და თბილისში მიმავალ დიმიტრი სტაროსელსკის აბარებს, რომ ოლღას უთხრას. ►

**1864 31 მაისი**

ვერ ასწრებს, რომ წინა დღეს მეუღლისადმი დანერგილი ბარათი ფოსტით გაგზავნოს და ატანს თავის ქვისლს დიმიტრი სტაროსელსკის. ►

**1864 5 ივნისი**

მეუღლისაგან ორ წერილს იღებს ერთად. როგორც ჩანს, მისმა ბარათებმა დაიგვიანა და ოლღა საყვედურობს მიუწერლობისთვის. ►

**1864 5 ივნისი**

საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს ქუთაისიდან თბილისში. ატყობინებს, რომ საქირავებელი სახლის პატრონმა მოატყუა და ფასის მომატება მოინდომა, რის გამოც აღარ იქირავა. მისი მეგობრის ძმა – სიმონ ლოლობერიძე სთავაზობს, რომ სანამ ბინას იშოვნინდნენ, ორივენი მის სახლში დაბინავდნენ. ►

**1864 6-7 ივნისი**

ქუთაისიდან თბილისში მოემგზავრება მეუღლის ქუთაისში წასაყვანად. ►

**1864 24 აგვისტომდე**

ქუთაისში იღებს კირილე ლორთქიფანიძის წერილს პეტერბურგიდან. ატყობინებს რომ აპირებს ქართული პოეტური ნაწარმოებების კრებულის გამოცემას და სთხოვს, სასწრაფოდ გაუგზავნოს თავისი ლექსები. ►

**1864 24 აგვისტო**

ქუთაისიდან საპასუხო წერილს უგზავნის პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძეს, უწონებს კრებულის გამოცემის განზრახვას და ჰპირდება თხოვნის აღსრულებას, მაგრამ სთხოვს, რომ ლექსები ხელმოუწერლად დაბეჭდოს, ჰონორარზე კი წინასწარვე უარს ამბობს. ურჩევს, თანხა პეტერბურგში მყოფ ხელმოკლე სტუდენტებს გადასცეს. ►



**1864 29 აგვისტო**

ქუთაისიდან პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძეს წერილთან ერთად უგზავნის თავის ლექსს „ქართველი სტუდენტების სიმღერა“. პოემა „ქართველის დედის“ შესახებ სწერს, რომ ჯერ დასამუშავებელია, მეორე პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ კი არ უგზავნის იმიტომ, რომ ცენზურა მის გავრცელებას არ დაუშვებს. ►

**1864 ივლისი–ოქტომბერი**

სამსახურებრივი საქმეების გამო მოგზაურობს ქუთაისის მაზრის სოფლებში. ►

**1864 ივლისი–ოქტომბერი**

წერილს უგზავნის საჯავახოს უბნიდან ქუთაისში მყოფ მეუღლეს. სთხოვს, ნიკოლოზ აბაშიძეს მისთვის უწყებები გააგზავნინოს, რადგან, რაც ჰქონდა, სულ გახარჯა. აცნობებს, რომ ხუთი სოფელია დარჩა მოსავლელი და ოთხ-ხუთ დღეში დაბრუნდება. ►

**1864 ნოემბრის დასაწყისი**

ქუთაისიდან თბილისში მიემგზავრება კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს გამოძახებით. თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებასთან დაკავშირებით სამუშაოდ გადაჰყავთ აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ ვეღარ ახერხებს ქუთაისში ჩასვლას და მეუღლის წამოყვანას. ►

**1864 4-8 ნოემბერი**

წერილს სწერს მეუღლეს ქუთაისში, ატყობინებს, რომ ახალ სამსახურს იწყებს იგორ სტარიცკისთან და ვერ ჩააკითხავს, უგზავნის მათი ერთად გადაღებული სურათის ეგზემპლარებს ქუთაისელი ახლობლებისთვის დასარიგებლად. სთხოვს, რომ დიმიტრი ვეზირიშვილს გამოჰყვეს თბილისში. ►

**1864 8 ნოემბერი**

ინიშნება მომრიგებელ შუამავლად თბილისის მაზრაში. პირველ ხანებში მისი სამუშაო უბნებია გარეკახეთი და მცხეთა, მოვალეობებში შედის: გლეხებისათვის სანადელო მიწების მიზომვა, მემამულეთა და გლეხთა ნაკვეთების მიწნების დაზუსტება, გარიგების სიგელების შედგენა და სხვ. მის მიერ გლეხთა ინტერესების დაცვა და მიუკერძოებლობა თავადებს აღიზიანებს. ►

**1864 14 ნოემბერი**

თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი კონსტანტინე ორლოვსკი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საფინანსო დეპარტამენტს სწერს, რომ გლეხთა საქმეების მოსაგვარებლად დანიშნულ 12 მომრიგებელ შუამავალზე გამოყოფილი თანხები გაიყვამა 1864 წლის 8 ნოემბრიდან. იქვე დანართის სახით წარმოდგენილია ამ შუამავალთა სია და ილია ჭავჭავაძის გვართან მინიშნებულია, რომ იგი დანიშნა თბილისის მაზრის I განყოფილებაში. ►

**1864 16 ნოემბრამდე**

თბილისიდან ქუთაისში წერილს უგზავნის მეუღლეს. სთხოვს, დეპეშით შეატყობინოს გამომგზავრების დრო, რომ მცხეთაში დახვდეს. სწერს, რომ ორ დღეზე მეტ ხანს ვერ დაელოდება, რადგან მეფისნაცვალ მიხაილ რომანოვთან უნდა გამოცხადდეს. ►

**1864** გამოდის კრებული „სალამური“, რომელშიც იბეჭდება მისი ლექსი „ელეგია“. ►

### **1865 თებერვლამდე**

პეტერბურგში გამოდის კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი კრებული „ჩონგური“, რომელშიც ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „პოეტი“, „ქართველის დედას“, „ხმა სამარიდამ“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „გუთნისდედა“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული...“ „ჩემო კალამო...“ „მუშა“, „ნანა“, „იანიჩარი“, ნაწყვეტი „აჩრდილიდან“ (V თავი) და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (დასაწყისიდან სიტყვებამდე: „იახლა ბატონს თხოვნით, ხვეწნითა“). ►

### **1865 9 მარტი**

დიმიტრი ყიფიანის ვაჟი – ნიკოლოზი პეტერბურგიდან მამისთვის გაგზავნილ წერილში ახსენებს, რომ მოსწონს კირილე ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული კრებული „ჩონგური“ და მასში დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის ლექსები. ►

### **1865 10 აპრილი**

იღებს კოლეგიის რეგისტრატორის ჩინს. ►

### **1865 ივლისი**

ჟურნალ „ცისკარში“ „ღვიმელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ალექსანდრე ცაგარელის წერილი „ჩვენი დროების მწერლები“. ავტორი სხვა საკითხებთან ერთად ეხება დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ „ქართულ ქრესტომატიას“ და გამოთქვამს უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ მასში არ არის შეტანილი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები. ცაგარელის თქმით, ისინი ისე მაღლა დგანან სხვებზე, როგორც ცა არის ამაღლებული მიწიდან. ►

### **1865 სექტემბერი**

ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება აკაკი წერეთლის წერილი „რამოდენიმე სიტყვა „ჩონგურის“ შესახებ“, რომელშიც კირილე ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ ამ კრებულში შემავალი თხზულებებია განხილული. სტატიის ავტორი „კაცია – ადამიანსა?!“ და „გლახის ნაამბობს“ ობოლ მარგალიტებს უწოდებს, ილია ჭავჭავაძეს ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით აყენებს და მათ ჩვენი ლიტერატურის მოსედ და აარონად იხსენიებს. ჟურნალის ამავე ნომერში იბეჭდება ანტონ ხუციშვილის „ბიბლიოგრაფიული ფურცელი“, რომელიც მკითხველს აუწყებს კრებულ „ჩონგურის“ გამოსვლას და ურჩევს შეძენას, რადგან მასში ბევრი კარგი ლექსია დაბეჭდილი. იქვე ციტირებულია ამონარიდი ილია ჭავჭავაძის ლექსიდან „ქართველის დედას“. ►

### **1865 სექტემბერი**

სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით იმყოფება გუდაუთაში და იქიდან დეპეშას უგზავნის მეუღლეს, რომლითაც ატყობინებს, რომ კარგად არის. ►

### **1865 ნოემბრამდე**

ჟურნალ „ჩონგურს“ საცენზუროდ გადასცემენ დავით ჩუბინაშვილს. ის მოითხოვს, რომ „ქართველის დედაში“ ამოშალონ სიტყვები: „სწორობას“ და „თავისუფლებას“, „მუშაში“- „სამართალს“, პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ კი – მთლიანად ამოიღონ ბოლო ათი გვერდი. ►

**1865 ნოემბერი**

ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება დიმიტრი ჯანაშვილის წერილი „მახე“, რომელიც მიმართულია ამავე ჟურნალის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული ალექსანდრე ცაგარელის წერილის – „ჩვენი დროების მწერლები“ წინააღმდეგ. ჯანაშვილი არ თანხმდება მას ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მაღალ შეფასებაში. ►

**1865** მოსკოვში გარდაიცვალა ილიას უფროს ძმის – კონსტანტინე ჭავჭავაძის ქვრივი ბარბარე კუკოლევსკაია და ობლად დარჩა 10 წლის ძმისწული სიმონი. ►

**1865** რვეულში იწერს ხევსურულ ლოცვებს წარწერით „ლოცვანი ხევსურთა დაწერილნი 1865 წელს ხევსურის სიტყვითა“. ►

**1865** წერს „გლახთა განთავისუფლების პირველი დროების სცენებს“. ►

**1866 თებერვალი-მარტი**

გაზეთ „დროების“ პირველი ნომრისათვის წერს სტატიას „ზოგიერთი რამ“. ►

**1866 29 ივლისი**

ზაალ ჭავჭავაძეს მინდობილობას აძლევს მისი ყვარლისა და ახმეტის მამულების სიგელების შესადგენად. ►

**1866 13 ოქტომბრამდე**

წერილს უგზავნის მეუღლეს და ატყობინებს, რომ თბილისში აპირებს წასვლას ჭილდოზე წარდგენასთან დაკავშირებით. ►

**1866 23 ოქტომბერი**

ზაალ ჭავჭავაძე ადგენს ილია ჭავჭავაძის კუთვნილი ყვარლის მამულების სიგელს. ►

**1866 28 ოქტომბერი**

წერილს სწერს მეუღლეს ქვიშხეთიდან დუშეთში. ატყობინებს, რომ ხუთ დღეში ჩააკითხავს და წაიყვანს საგურამოში, მაგრამ იმასაც სწერს, რომ თუ მისი და – ეკატერინე იქ დიდხანს არ რჩება, არ დაელოდოს და თავადვე გაემგზავროს. წუხს, რომ თავის დას – ელისაბედს მუცელი მოეშალა და გამოთქვამს სურვილს, რომ დუშეთში წაიყვანონ. ►

**1866 5-6 ნოემბერი**

ილიას დავალებით ზაალ ჭავჭავაძე ადგენს ილია ჭავჭავაძის კუთვნილი ახმეტის მამულების სიგელს. ►

**1866 8 ნოემბრამდე**

წერილს უგზავნის მეუღლეს მუხრანიდან დუშეთში. სთხოვს საბუთების გაგზავნას გუბერნიის საერო საკრებულოში და იმის გაგებას, თუ როდის აპირებენ მისთვის ჭილდოს მიცემას. ასევე სთხოვს, რომ მისი და – ელისაბედი დუშეთში წაიყვანოს. ►

**1866 8 ნოემბერი**

თბილისის გუბერნიაში გლახთა რეფორმის წარმატებით გატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის კავკასიის დიდი მთავრის წარდგინებით აჭილდოებენ ორი ათასი ვერცხლის მანეთით და ნიშნავენ მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში. ►

**1866 8 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე**

წერილს უგზავნის მეუღლეს მჭადიჯვრიდან დუშეთში. ინტერესდება, ჭილდო სრულად მისცეს თუ დაქვითვით. კითხულობს ახლობლების ამბავს. ►

**1866 ბოლომდე**

ბარათს უგზავნის მეუღლეს დუშეთიდან თბილისში. სწერს, რომ მის გარეშე მოიწინა. სთხოვს, ერთი თვის პროდუქტები იყიდოს და ურჩევს, დუშეთში დავით ციციშვილს გაჰყვეს. ►

**1867 19 იანვარი**

გიორგი წერეთლისათვის გაგზავნილ წერილში კირილე ლორთქიფანიძე აღწერს კრებულ „ჩონგურის“ გამოცემის ისტორიას და ჰყვება, როგორ გაუგზავნა ილიამ „ნანიანა“ და „სტუდენტების სიმღერა“. ეს უკანასკნელი, მისი თქმით, არ დაბეჭდა იმის გამო, რომ სტუდენტებს თავმოწონებად არ აღეჭვათ. იქვე წერს, რომ ამის სანაცვლოდ წიგნში ილიას „კეთილგანზრახვისა და გულკეთილობის“ იმედით, მის დაუკითხავად, შეიტანა უკვე დაბეჭდილი „ქართველის დედას“ და „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ►

**1867 10 თებერვალი**

თბილისის გუბერნიაში გლეხთა რეფორმის გატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის აჭილდოებენ წარჩინების ნიშნით. ►

**1867 6 მაისი**

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე ირჩევენ თსს ბანკის წესდების შემდგენელი კომიტეტის წევრად თელავის მაზრიდან. ►

**1867 17 ივნისი**

წერილს უგზავნის მეუღლეს დუშეთიდან საგურამოში. სწერს, რომ მიემგზავრება ყაზბეგში, სადაც დაყოფს ერთ კვირას ნიკოლოზ ყაზბეგის ოჯახში. ასევე ატყობინებს, რომ მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში მოივლის დუშეთის რაიონის სოფლებს და შემდეგ ჩააკითხავს საგურამოში. ►

**1867 17 ივნისი**

სამსახურებრივი საქმეების აღსასრულებლად კანცელარიის მწერალთან ერთად დუშეთიდან მიემგზავრება ყაზბეგში. ►

**1867 27 ივნისი**

წერილს უგზავნის მეუღლეს ყაზბეგიდან საგურამოში. სწერს, რომ უპასუხისმგებლო მწერლის გამო აგვიანდება და ივლისის პირველ რიცხვებშილა თუ მოახერხებს ჩაკითხვას. ►

**1867 18 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“. ►

**1867** ცალკე წიგნად იკინძება დროებიდან ამობეჭდილი „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“. ►

**1868 1 თებერვალი**

კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს ბრძანებით ინიშნება დუშეთის სამომრიგებლო განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ. ►

**1868 1 თებერვლის შემდეგ**

დუშეთიდან თბილისში წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ ახალ სამსახურში მძიმე პირობები დახვდა და ბინაც ვერ იშოვა. საყვედურობს, რომ ქვეშაგები არ გაუგზავნა; ამის გამო იძულებული იყო, ღამით გაუხდელად სძინებოდა და გაცივდა. ►

**1868 1 თებერვლის შემდეგ**

დუშეთიდან თბილისში წერილს უგზავნის მეუღლეს, რომლითაც ატყობინებს, რომ ბინა ისევ ვერ იშოვა, მაგრამ უკეთ არის. ბოდიშს უხდის წინა წერილის საყვედურებისთვის. ►

**1868 11 მარტი**

გარდაეცვალა სიძე – ელისაბედის ქმარი – ივანე ჭამბაკურ-ორბელიანი. ►

**1868 11 აპრილი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განიხილავს დავით ელიკოვის სარჩელს არუთინ დალაქიშვილის წინააღმდეგ. არუთინის მამასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ელიკოვს უნდა ესწავლებინა მისი შვილისთვის წერა-კითხვა და ანგარიში, რისთვისაც არუთინი ვალდებული იყო სამი წელი ემსახურა მასთან. ელიკოვი ჩიოდა, რომ არუთინმა დროზე ადრე მიატოვა მასთან სამსახური და მოითხოვდა, რომ ვადის ამოწურვამდე ემუშავა. ილია ჭავჭავაძის დადგენილებით ელიკოვის სარჩელი არ კმაყოფილდება, რადგან დალაქიშვილთან დადებული შეთანხმება არაკანონიერი იყო – მამას არ ჰქონდა უფლება შვილი ვინმესთვის მიეჭირავებინა. ►

**1868 19 აპრილამდე**

დუშეთიდან თბილისში მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს და სთხოვს, ნიკო ჭავჭავაძის მეშვეობით გაარკვიოს მისი ძმისწულის ამბავი. ნიკოს ასევე უთვლის, რომ თუ საზაფხულოდ დუშეთში ავა, სამ ოთახს მოუმზადებს. ►

**1868 19 აპრილი**

დუშეთიდან თბილისში მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს. სთხოვს რაღაც საქმის მოგვარებას და მალე დაბრუნებას. მოკითხვას უთვლის ოლღას დას - ევატერინეს და მათ ბებიას. ►

**1868 19 აპრილის შემდეგ**

დუშეთიდან თბილისში მეუღლეს უგზავნის წერილს, რომლითაც ატყობინებს, რომ ორი ოთახი იშოვა, მაგრამ მისთვის ჩაკითხვას ვერ შეძლებს. სთავაზობს, რომ თავად გაემგზავროს ტარანტასით. სწერს, რომ თანამშრომლებით კმაყოფილია და უყვება მის მიერ განხილული საქმეების შესახებ. ►

**1868 26 აპრილი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში ისმენს გრიგოლ კაზაროვის საჩივარს როსტომ მედაპოვის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედება მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში. იბარებენ ბრალდებულსა და მონწიეებს. ►



**1868 30 აპრილი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში იწყებს საამ ფარესოვის საჩივრის განხილვას, რომლის მიხედვითაც იოსებ ოსიტოვს ბრალი ედება სესხად აღებული თანხის დაუბრუნებლობაში. ►

**1868 30 აპრილი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში იწყებს წინამძღვრიანთკარის ტყის მცველის პეტრე ყველაშვილის საჩივრის განხილვას არსენ და გიორგი კახობერიშვილების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალი ედებათ მომჩივანის ცემაში. იბარებს ბრალდებულებსა და მონძეებს. ►

**1868 6 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში ისმენს გიგო ჭიაურის საჩივარს იკოთელი თავადის ბეჟან ფიცხელაურის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებს მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში. მონძეებს იბარებენ 22 მაისისთვის, მაგრამ საქმის განხილვას, რომელიც შერიგებით მთავრდება, ილია ჭავჭავაძე ვერ ესწრება. ►

**1868 7 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში მიჰყავთ უზომოდ მთვრალი დუშელი კონსტანტინე ხარლამპიფვი, რომელსაც ბრალად ედება დუქანში ჩხუბის ატეხვა და ხმლით ადამიანებზე განწევა. ილია ჭავჭავაძის განჩინებით მას გამოსათხიზლებლად ტოვებენ ჰაუპტვახტში. ►

**1868 7 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში აგრძელებს გრიგოლ კაზაროვის საჩივრის განხილვას როსტომ მედაპოვის წინააღმდეგ. ირკვევა, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა მედაპოვმა მართლაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა მომჩივანს. მან ბრალი აღიარა და პატიება სთხოვა დაზარალებულს. რამდენადაც სასამართლოშივე მოხდა მათი შერიგება და ბრალმდებელმა ითხოვა საქმის შეწყვეტა, თხოვნა დაკმაყოფილდა. ►

**1868 7 მაისი**

როგორც დუშეთის მომრიგებელი მოსამართლე, სასამართლოში გამოცხადების მოთხოვნით უწყებას უგზავნის სოფელ იკოთის მოსამართლე ბასილა მემარნეშვილს აზნაურ ბეჟან ფიცხელაურის საქმის განხილვასთან დაკავშირებით. ►

**1868 7 მაისი**

როგორც დუშეთის მომრიგებელი მოსამართლე, სასამართლოში გამოცხადების მოთხოვნით უწყებას უგზავნის ბრალდებულ გიორგი კახობერიშვილს. ►

**1868 7 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში ეცნობა გლახა და აკა ავსაჭანიშვილების საქმეს, რომლებმაც უარი თქვეს პოლიციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დაეტოვებინათ ადამ ყარანგოზოვის კუთვნილი მამული. იბარებენ ბრალდებულებსა და მონძეებს. ►

**1868 8 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განიხილავს გლახა და აკა ავსაჭანიშვილების საქმეს. ბრალდებულები თავს დამნაშავედ ცნობენ პოლიციისთვის დაუმორჩილებლობაში და ეკისრებათ ჯარიმა. ►

**1868 8 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განიხილავს კონსტანტინე ხარლამპიევის საქმეს დუქანში ატეხილი ჩხუბის გამო. მოწმეების ჩვენებით დანაშაული დასტურდება და ბრალდებულს აკისრებენ ოთხი დღით ჰაუპტგახში პატიმრობას. ►

**1868 13 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში ასრულებს წინამძღვრიანთკარის ტყის მცველის პეტრე ყველაშვილის საჩივრის განხილვას არსენ და გიორგი კახობერიშვილების წინააღმდეგ. ყველაშვილის ჩვენებით, მან ნახა, როგორ აფუჭებდნენ ტყეს ძროხები და დააკავა. კახობერიშვილები ითხოვდნენ პირუტყვის დაბრუნებას და როდესაც მან უარი უთხრა, სცემეს. მოწმეების ჩვენებით ბრალი დაუდასტურდა მხოლოდ ერთ ძმას – არსენ კახობერიშვილს და დაეკისრა ფულადი ჯარიმა. გარდა ამისა, ფულადი ჯარიმა დაეკისრა ჭოპორტის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს ნიკოლოზ გულბოთაშვილს, რომელსაც მოწმის სტატუსით უნდა მიეცა ჩვენება და არ გამოცხადდა. ►

**1868 13 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განაგრძობს საამ ფარესოვის სარჩელის განხილვას იოსებ ოსიტოვის წინააღმდეგ. ფულის სესხების შესახებ ბრალდებულის მიერ ხელმოწერილ საბუთთან ერთად მომჩივანი წარმოადგენს მოწმეთა ხელწერილებს სესხების ფაქტის დადასტურებით. ბრალდებული აცხადებს, რომ სესხების საბუთი ყალბია და ყველა მოწმე დაინტერესებული პირია. ილია ჭავჭავაძე ფარესოვს განუმარტავს, რომ მისი ბრალდების სიყალბის დადასტურების შემთხვევაში კანონის წინაშე პასუხის გება მოუწევს და აძლევს საჩივრის უკან წაღების საშუალებას, მაგრამ მომჩივანი უარს ამბობს და სესხის აღების შესახებ ხელწერილი გადასამოწმებლად ეგზავნება თბილისის სამხარეო პროკურატურას. ►

**1868 15 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განიხილავს ქეთევან კორაშვილის საჩივარს, რომელშიც იგი გარდაცვლილი ქმრის დისშვილს, მათე კორაშვილს ბრალს სდებს მის ცემაში, სახლიდან გაგდებაში, ცხენისა და ხარის წართმევაში. მათე კორაშვილი დანაშაულს არ აღიარებს, მაგრამ მოწმეები ქვრივის ბრალდებებს ადასტურებენ. ილია ჭავჭავაძე მათე კორაშვილს დამნაშავედ ცნობს ქალის შეურაცხყოფასა და ხარის მითვისებაში, აკისრებს პირუტყვის დაუყოვნებლივ დაბრუნებას და უსჯის თვენახევრიან პატიმრობას დუშეთის ციხეში, მაგრამ, რამდენადაც მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ კორაშვილი ქვრივის ქმარმა გაზარდა და მემკვიდრეობის უფლებაც მისცა, ცხენის საქმე, როგორც ოჭახის საერთო საკუთრებისა, განსახილველად ეგზავნება სოფლის სასამართლოს. ►

**1868 17 მაისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში იღებს ნიკოლოზ გულბოთაშვილს, რომელსაც ჩვენების მისაცემად სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო დაეკისრა ფულადი ჯარიმა. ირკვევა, რომ დაჯარიმებული საქმის განხილვაზე ვერ გამოცხადდა ფეხის ტრავმის გამო. ილია ჭავჭავაძის დადგენილებით მას სასამართლოში მიუსვლელობას საპატიოდ უთვლიან და ჯარიმისგან თავისუფლდება. ►

**1868 მაისი**

აკაკი წერეთელი, სათაურით „პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“, ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავს პასუხს მიხეილ ბეთანიშვილის კრიტიკაზე და, იმის მაგალითად, თუ როგორი უნდა იყოს კრიტიკა და როგორ უნდა ინერგოდეს კრიტიკული სტატიები, მოჰყავს ილია ჭავჭავაძის მაგალითი. ►

**1868 2 ივნისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში ისმენს ფისი მარლიშვილის საჩივარს თედო და რევამ მარლიშვილების წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალი ედებათ მისი ხეხილის გაჩეხვაში. იბარებენ ბრალდებულებსა და მონშეებს. ►

**1868 4 ივნისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში ისმენს სოფელ ძალიკის მცხოვრებ თევლე თოღუზაშვილის საჩივარს ალექსი ვალიშვილის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედება მომჩივანის ფიზიკურ შეურაცხყოფაში. იბარებენ ბრალდებულსა და მონშეებს. ►

**1868 14 ივნისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში ალექსი ვალიშვილის საქმის განხილვის დაწყებამდე თევლე თოღუზაშვილი ითხოვს საჩივრის მოქმედების შეჩერებას და ხდება მომჩივანისა და ბრალდებულის შერიგება. ►

**1868 15 ივნისი**

ბრალდებულებისა და ორი მონშის გამოუცხადებლობის გამო დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში თედო და რევამ მარლიშვილების საქმის განხილვა არ ხერხდება. გამოძახებულებს ხელახლა ეგზავნებათ უწყებები და ეკისრებათ ჭარიმა. ►

**1868 19 ივნისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში იწყებს ისმაილ კაჭროვეის საჩივრის განხილვას ნაფი კაჭროვეის წინააღმდეგ. მომჩივანი მოითხოვს ბრალდებულის დასჯას, იმის გამო რომ მას უკანონო კავშირი ჰქონდა მის ცოლთან. ►

**1868 4 ივლისი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განაგრძობს საქმის განხილვას ნაფი კაჭროვეის წინააღმდეგ. დაპირისპირებული მხარეებისა და მონშეების ჩვენებათა საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ არ არსებობს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ►

**1868 23 ივლისი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს პიკო ქოჩორაშვილის საჩივარს ქმრის – ქუციკა ქოჩორაშვილის წინააღმდეგ, რომელსაც, მისი ჩვენებით, ათი წლის მანძილზე სახლში ჰყავდა საყვარელი და ცოლი სახლიდან გააგდო. საქმის განსახილველად მოსამართლე ითხოვს ბრალდებულებისა და მონშეების გამოცხადებას. ►

**1868 24 ივლისი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განაგრძობს ქუციკა ქოჩორაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმის განხილვას. ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს. ილია ჭავჭავაძე მხარეებს შერიგებას სთავაზობს, რაზეც ისინი თანხმდებიან. ►

**1869 21 აგვისტოს შემდეგ**

ალექსანდრე ცაგარელი კირილე ლორთქიფანიძეს მიუხედავად სწერს, რომ მოსწონს ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანის?!“ გამოცემა და თუ დრო გამონახა, ძალიან უნდა სტატიის დაწერა მასზე და თანამედროვე ლიტერატურაზე. ►

**1868 12 სექტემბერი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში ადგენს ოქმს გრიგორიანული სარწმუნოების მღვდელ ტერ-სტეპანოვის მიერ წესრიგის დარღვევაზე. საქმე ეხება სასამართლოში ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადებასა და ხმაურის ატეხას, რასაც მოჰყვა მისი დარბაზიდან გაძევება. ►

**1868 22 სექტემბერი**

ოლღა გურამიშვილი იღებს მამის – თადეოზ გურამიშვილის წერილს, რომლითაც რთველზე ეპატიჟება სიძე-ქალიშვილს. ►

**1868 4 ოქტომბერი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განიხილავს ნიკიტა თომაშვილის საჩივარს. იგი ბრალს სდებს მემამულე ალექსანდრე ჩრდილელს მომჩივნის სახლში შევარდნაში, მის დარბევასა და მუქარაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილელი უარყოფს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, მონშეები მომჩივნის ჩვენებას ადასტურებენ. ილია ჭავჭავაძე ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს და უსჯის ორკვირიან შინაპატიმრობას. ►

**1868 14 ოქტომბერი**

მომრიგებელი სასამართლოს დუშეთის განყოფილებაში განიხილავს ბერო გივიშვილის საქმეს, რომელსაც ბრალი ედება სესხის დაუბრუნებლობაში. სასამართლო სარწმუნოდ ცნობს მომჩივან თუმანოვის მიერ წარმოდგენილ სესხის ხელწერილს და ბრალდებულს აკისრებს თანხის უკან დაბრუნებას. მეორე მხრივ, თუმანოვის მოთხოვნას ბრალდებულისაგან დამატებითი პროცენტების მიღების თაობაზე, მიზანშეწონილად არ ცნობს, რადგან ამასთან დაკავშირებით მხარეთა შორის შეთანხმება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ►

**1868 ოქტომბერი**

გამოდის იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“, რომელშიც იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „გაზაფხული“ („... ტყემ მოისხა ფოთოლი“), „მძინარე ყმანვილს“, „არაგვი“ („აჩრდილის“ V თავი), დასაწყისი პოემისა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ და ლექსის „ჩიტი“ თარგმანი. ►

**1868 4 ნოემბერი**

ალექსანდრე ჩრდილელის წინააღმდეგ მომრიგებელი სასამართლოს დუშეთის განყოფილებაში გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ბოქაულის სახელზე წერს სააღსრულებო ფურცელს. ►

**1868 15 ნოემბერი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს გიგოლა ბეჭაურის საჩივარს არუთინ ბოშაშვილის წინააღმდეგ. ბრალდებულისთვის მკურნალობის საფასურის გადახდის შემდეგ მომჩივანმა აღმოაჩინა, რომ მას საექიმო პრაქტიკის უფლება არ ჰქონდა და თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვა. ბრალდებული მოსამართლის წინაშე აღიარებს ფულის მიღების ფაქტს და, რამდენადაც არსებული კანონის თანახმად მას არ აქვს მკურნალობისა და წამლის გამოწერის უფლება, სასამართლოს დადგენილებით ეკისრება მომჩივნისთვის თანხის უკან დაბრუნება. ►



**1868 16 ნოემბერი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს გაბრიელ თეთრუაშვილის განცხადებას, სტეფანე კედელაშვილის ანდერძის საფუძველზე, მეღვინე ელიკოვის სახლის მისთვის მიკუთვნების მოთხოვნით. რამდენადაც თეთრუაშვილის მიერ წარდგენილი ანდერძი ოთხი წლის წინ დაწერილი, დაუმონებელი და ძალადაკარგულია, სასამართლო არ აკმაყოფილებს მომჩივნის პრეტენზიას, რითაც მის გულისწყრომას იმსახურებს ►

**1868 9 დეკემბერი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს გიორგი და ბარძიმ ხიმშიაშვილების სარჩელს გლეხ ოდიშელიძის წინააღმდეგ, რომელმაც თვითნებურად დაიკავა მათი კუთვნილი მიწა. ილია ჭავჭავაძე ამონიშნებს მიწის მფლობელობაზე მომჩივანთა საბუთებს და მათ სარჩელს აკმაყოფილებს. გლეხ ოდიშელიძეს ეკისრება თვითნებურად მითვისებული მიწის გათავისუფლება. ►

**1868 10 დეკემბერი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში იწყებს მეუღლის წინააღმდეგ მიხეილ ბუშკინის საჩივრის განხილვას. მომჩივნის თქმით, როდესაც იგი ანანურიდან გორში გადავიდა საცხოვრებლად, ცოლი თან აღარ გაჰყვა. რამდენადაც მატრონა ბუშკინა ჩანერის გარეშე ცხოვრობს ანანურში, ბუშკინი ითხოვს მის იძულებით გამოსახლებას. ილია ჭავჭავაძე ბრალდებულს იბარებს სასამართლოში. ►

**1868 12 დეკემბერი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განაგრძობს მეუღლის წინააღმდეგ მიხეილ ბუშკინის საჩივრის განხილვას. ესაუბრება ბრალდებულ მატრონა ბუშკინას, რომელიც თანხმდება ქმართან დაბრუნებაზე. ►

**1868 12-14 დეკემბერი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს ივანე ფიცხელაურის საქმეს, რომელსაც ბრალად ედება გლეხ ანდრია ურჯუკაშვილის სასიკვდილოდ დაჭრა. მონმეთა დაკითხვით ირკვევა, რომ დაზარალებული მოჩხუბრების გაშველებისას შემთხვევით დაიჭრა. ბრალდებული ცდილობდა მისთვის სისხლდენის შეჩერებას, მაგრამ ვერ მოახერხა. ილია ჭავჭავაძემ ივანე ფიცხელაური დამნაშავედ ცნო, რადგან, მართალია, უნებლიედ, მაგრამ მან დაჭრა უდანაშაულო ადამიანი. ბრალდებულს სამთვიანი პატიმრობა მიესაჯა და დაეკისრა სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება. ►

**1868 17-18 დეკემბერი**

პეტერბურგიდან იღებს კირილე ლორთქიფანიძის წერილს. ადრესანტი სთხოვს “კაცია – ადამიანის?!” დაბეჭდვის ნებართვას და თან არა ფსევდონიმით, არამედ მისი ხელმოწერით. ►

**1868 19 დეკემბერი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განიხილავს აბრამ პაციევის სარჩელს რძლის წინააღმდეგ. მომჩივნის თქმით, მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ რძალი ხელმეორედ გათხოვდა, ერთი ვაჟი თან წაიყვანა, მეორე კი – ბიძას დაუტოვა. მომჩივანი ითხოვს, რომ მეორე ძმისწულიც მას გადასცენ აღსაზრდელად. ილია ჭავჭავაძე, კანონმდებლობაზე დაყრდნობით, იღებს გადაწყვეტილებას, რომ მცირეწლოვანი ბავშვის დედისაგან მოპოვება მიზანშეწონილი არ არის. შესაბამისად, პაციევის სარჩელი არ კმაყოფილდება. ►



**1868 19 დეკემბერი**

დუშეთიდან პეტერბურგში საპასუხო წერილს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს და ნებას რთავს გამოსცეს „კაცია—ადამიანი?!“ მისი ხელმოწერით. მოთხრობის წინასიტყვაობასთან დაკავშირებით, სწერს, რომ სცადა დაწერა, მაგრამ ბოლოს გედმეტად მიიჩნია. ►

**1868 20 დეკემბერი**

გაზეთი „დროება“ აქვეყნებს დავით ერისთავის მიმოხილვას „წიგნები ს. პეტერბურგიდან“, რომელშიც ნათქვამია, რომ პეტერბურგში ცალკე წიგნად იბეჭდება ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“. ►

**1869 15 იანვრამდე**

წერილს იღებს ვეჟილ იოსებ ორბელიანისგან, რომელიც აწარმოებს მისი დაქვერცხული დის - ელისაბედ ჭავჭავაძე-ორბელიანისა და ელისაბედის მამლის - ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის საქმეს ქონების გაყოფის თობაზე. ადრესანტი ილია ჭავჭავაძეს სთხოვს, ჩავიდეს და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოგვარებაში. ►

**1869 15 იანვარი**

იოსებ ორბელიანს სწერს საპასუხო ბარათს, რომელშიც გამოთქვამს წუხილს, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლია ჩასვლა და უშუალო მონაწილეობა საქმის მოგვარებაში. ცდილობს, შესთავაზოს ორივე მხარისათვის მისაღები პირობები. ►

**1869 15 იანვარი**

დას, ელისაბედ ჭავჭავაძეს სწერს წერილს, რომელშიც ურჩევს, არ დათანხმდეს მამლის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის შეთავაზებას და სამომავლო დავიდარაბის თავიდან ასაცილებლად მოითხოვოს საქმის გათავება ორივე მხარისათვის მისაღები პირობებით. ►

**1869 17 იანვარი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს პოლიციის ბოქაულის მიერ დაკავებული პიროვნების საქმეს, რომელიც თავს ზარაისკიდან სამუშაოს საძებრად ჩამოსულ ვასილი პერევერზოვად აცხადებს. პოლიცია არკვევს, რომ ზარაისკში ასეთი არავინ ცხოვრობს და ბრალდებულის მიერ დასახელებული ქუჩაც არ არსებობს. ვინაობის დამალვისა და ცრუ ჩვენების მიცემის გამო ბრალდებულს უსჯიან გარობგვას და თავისუფლების აღკვეთას 4 წლით. ►

**1869 7 თებერვალი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს ამჩორიკო კუსოვის საქმეს. სარჩელის მიხედვით, ბრალდებულმა სახლიდან გააგდო კანონიერი ცოლი, ხუთი წლის მანძილზე ცხოვრობდა გარდაცვლილი ძმის ცოლთან დამისგან ჰყავდა შვილი. რამდენადაც ბრალდებულები მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებლები არიან, სასამართლო მათ მიიჩნევს მეორე ხარისხის, სისხლის აღრევის დამნაშავეებად, თითოეულს უსჯის 6 თვით მონასტერში ყოფნას და ცოდვის ეკლესიურად მონაწილეობას. ►

**1869 16 თებერვლამდე**

წერს ლექსის „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ საბოლოო ვარიანტს. ►

**1869 16-20 თებერვალი**

ცენზორი კითხულობს ლექსს „ქართველ სტუდენტების სიმღერა“, სათაურად ტოვებს მხოლოდ სიტყვას „სიმღერა“ და წითელი მელნით აღნიშნავს შესასწორებელ ადგილებს. ►

**1869 20 თებერვლის შემდეგ**

ლექსში „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ შეაქვს სწორებები ცენზორის მიერ მითითებულ ადგილებში. ►

**1869 12 მარტი**

ცენზურა გასცემს ნებართვას „კაცია – ადამიანის?!“ ცალკე წიგნად დაბეჭდვაზე. ►

**1869 აპრილი**

პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში იბეჭდება „კაცია – ადამიანი?!“. ►

**1869 მაისამდე**

მიხეილ ჭავჭავაძე, რომელმაც „კაცია – ადამიანის?!“ გამოცემა დააფინანსა, კირილე ლორთქიფანიძისთვის მიწერილ ბარათში უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მიხეილ ბეთანიშვილმა წიგნს მხოლოდ თავისი გვარი დააწერა, არ ახსენა არც ის და არც ქართველთა ამხანაგობა, რომლის ინიციატივითა და მონაწილეობითაც გამოიცა წიგნი. ►

**1869 8 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ გიორგი წერეთელი აქვეყნებს წერილს ახლადდაარსებულ ჟურნალ „მნათობის“ შესახებ და ნიშნისმოგებით იხსენებს ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეს“, რომელიც თანამშრომელთა ნაკლებობის გამო ერთ წელიწადში დაიხურა. ►

**1869 12 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ „იოანე ბოდბელის“ ფსევდონიმით იბეჭდება სტატია „ობლის კვერი ძნელად გამოცხვება“, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, საუბარია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ. ►

**1869 19 ივნისამდე**

გაზეთ „გოლოსში“ იბეჭდება რეცენზია, რომელშიც ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოს საუკეთესო მწერალია, მან შექმნა ახალი ეპოქა და პირველმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში „მოქალაქეობის ელემენტები“. ►

**1869 19 ივნისი**

გაზეთი „დროება“ სტატიით „საბიბლიოგრაფიო ნაწილი“ ეხმიანება „გოლოსში“ დაბეჭდილ რეცენზიას, ეთანხმება ავტორს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მაღალ შეფასებაში, მაგრამ არ იზიარებს იმ აზრს, თითქოს მანამდე ქართველი პოეტები მხოლოდ „მაისის ვარდებს“ და „მთვარიან ღამეებს“ უმღეროდნენ. ამის დასადასტურებლად მიუთითებს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გიორგი ერისთავის შემოქმედებაზე. ►

**1869 ივნისის ბოლო**

თბილისში ჩამოაქვთ და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის წიგნის მაღაზიებს უგზავნიან პეტერბურგში დაბეჭდილ „კაცია – ადამიანს?!“. ►

**1869 9 აგვისტო**

კირილე ლორთქიფანიძე უკმაყოფილოა „კაცია – ადამიანის?!“ გამოცემის დაგვიანებით და ხარისხით. სერგეი მესხისადმი მიწერილ ბარათში იგი აღნიშნავს, რომ ეს ხარვეზები გამომცემელი ამხანაგობისა და მიხეილ ბეთანიშვილის ბრალია. ►

**1869 21 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია პეტერბურგში „კაცია – ადამიანის?!“ დაბეჭდვის შესახებ. ►

**1869 10 სექტემბერი**

იღებს ფორმულარულ ნამსახურობათა სიას, რომელშიც აღნიშნულია, რომ იმჟამად არის დუშეთის რაიონის მომრიგებელი მოსამართლე, ჩინით კოლეგიის რეგისტრატორი, იღებს წელიწადში 2400 მანეთს, აქვს ჭილდოები: წარჩინების ნიშანი, რომელიც მაგრდება მკერდის მარცხენა მხარეს და ვერცხლის მედალი ალექსანდრეს ლენტზე. ►

**1869 18 სექტემბერი**

დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში განიხილავს მემამულე იოსებ კლიშიაშვილის საჩივარს გიო წულიაშვილის წინააღმდეგ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების გამო. ბრალდებულისა და მოწმეების ჩვენებით ირკვევა, რომ წულიაშვილის მიერ მოსარჩელისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებამდე, თავად კლიშიაშვილმა მიაყენა ბრალდებულს ფიზიკური შეურაცხყოფა. ილია ჭავჭავაძეს გამოაქვს დასკვნა, რომ მომჩივანს, კანონის მიხედვით, უფრო მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი. შესაბამისად, მოპასუხე თავისუფლდება ბრალდებისგან, ხოლო მომჩივანს, როგორც არაკეთილსინდისიერ მოსარჩელეს, ეკისრება სასამართლოს ხარჯის გადახდა. ►

**1869 დეკემბრის ბოლო**

გიორგი წერეთლის სახლში საჯაროდ კითხულობს „კაცია - ადამიანს?!“. ►

**1860- 6 დეკემბერი**

იანი

აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, პეტრე უმიკაშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან და გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად ნიკოლოზობის დღესასწაულის მისალოცად მიდის ნიკოლოზ მთვარელიშვილთან. ►

**1869** წიგნში „სასიმღერო ლექსები“ სახელწოდებით „ალბომში“ ქვეყნდება მისი ლექსი „გახსოვს ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში...“. ►

**1870 15 იანვარი**

ალექსანდრე ცაგარელი გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს სტატიას „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელშიც მადლობას უხდის მიხეილ ჭავჭავაძეს „კაცია – ადამიანის?!“ გამოცემის დაფინანსებისთვის. წერილში საუბარია არა მხოლოდ ამ ნაწარმოებზე, არამედ ზოგადად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. ►

**1870 15 იანვარი**

გაზეთ დროების მეორე და მომდევნო ნომრებში იბეჭდება განცხადება იმის შესახებ, რომ სტეფანე მელიქიშვილისა და კომპანიის სტამბაში და ქუთაისის გუბერნიის ტიპოგრაფიაში იყიდება მოთხრობა „კაცია – ადამიანი?!“. ►

**1870 24 თებერვალი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში იწყებს გლახ პეტრიაშვილის სარჩელის განხილვას თავად ხიმშიაშვილის წინააღმდეგ. საქმე ეხება ხარის წართმევას. მომჩივანი მოითხოვს მის დაბრუნებას და მოცდენილი დღეების ანაზღაურებას. ►

**1870 თებერვალი**

ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდება მისი ლექსი „ქართველ სტუდენტების სიმღერა“. ►

**1870 2 მარტი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განაგრძობს გლახი პეტრიაშვილის სარჩელის განხილვას თავად ხიმშიაშვილის წინააღმდეგ. ირკვევა, რომ მომჩივნის ბრალდება, თითქოს თავადმა ხიმშიაშვილმა ხარი წაართვა, არ შეესაბამება სინამდვილეს. ხიმშიაშვილს ბრალდება ეხსნება, მომჩივანს კი ეკისრება სასამართლო ხარჯების ანაზღაურება. ►

**1870 12 მარტი**

მიხეილ ბეთანიშვილი გაზეთ „დროებაში“ ათავსებს შენიშვნას, რომელშიც აღიარებს, რომ „კაცია – ადამიანი?!“ გამოსცა არა პირადად მან, არამედ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ამხანაგობამ. ►

**1870 18 მაისი**

თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებაში შეაქვს მარტისა და აპრილის გადასახადი. ►

**1870 27 მაისამდე**

მთავრდება დუშეთის სასამართლოს მშენებლობა და ტარდება მისი საზეიმოდ კურთხევა. ►

**1870 27 მაისი**

იღებს ამიერკავკასიის კონტროლის პალატის მმართველის თანაშემწის წერილს სასამართლოზე გაწეული ხარჯების ანგარიშის დაზუსტების მოთხოვნით. წერილში ნათქვამია, რომ დანახარჯი შეადგენდა 494 მანეთს და 75 კაპიკს და არა 501 მანეთს. კონტროლის პალატა ითხოვდა განმარტებას, რაში დაიხარჯა დარჩენილი 6 მანეთი და 25 კაპიკი. ►

**1870 9 ივნისი**

პასუხობს ამიერკავკასიის კონტროლის პალატის წერილს, რომელშიც ითხოვდნენ ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებას. მისი განმარტებით, ის 6 მანეთი და 25 კაპიკი, რომლის შესახებაც ეკითხებოდნენ, გადაუხადეს მღვდელსა და მგალობლებს სასამართლოს შენობის კურთხევისას და ეს აღნუსხული იყო სასამართლოს საბუღალტრო წიგნში. ►

**1870 14 ივლისი**

კირილე ლორთქიფანიძე ნიკო ნიკოლაძისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ არ მოსწონს ალექსანდრე ცაგარელის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ და რომ კარგი იქნებოდა, მის საპასუხოდ ნიკო ნიკოლაძეს ვრცლად და საფუძვლიანად განეხილა ილიას ნაწარმოებები. ►



**1870 30 ოქტომბერი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ნიკო ნიკოლაძის ფელეტონი „ჩემ მკითხველს“, რომელშიც იგი საუბრობს ენის სინმინდებზე და უპირისპირდება მათ, ვინც ილია ჭავჭავაძეს ენას უწუნებს, მაგალითად ეფთვიმე წერეთელს. ►

**1870 10 ნოემბერი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს გლეხ ეკალაძის საჩივარს ეგიაზარ ალექსიშვილის წინააღმდეგ. საქმე ეხება მომჩივნის მიწიდან ძნების გატანას. სასამართლო ალექსიშვილს დამნაშავედ ცნობს, უსჯის ექვსი დღით პატიმრობას, მომჩივნისთვის ზარალის ანაზღაურებას და სასამართლო ხარჯების დაფარვას. ►

**1870 23 ნოემბერი**

თბილისში, კერძო ბინაზე, ორ სხვა პიესასთან ერთად იდგმება ილია ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“. იგი სცენაზე წარმოსადგენად შეამოკლა გიორგი თუმანიშვილმა და ილია ჭავჭავაძეს არ მოსწონს ეს გადაკეთებული ვარიანტი. ►

**1870 29 ნოემბერი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სტატია „ქართული შინაური წარმოდგენა“, რომელშიც საუბარია 23 ნოემბერს კერძო ბინაზე წარმოდგენილი „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენების“ შესახებ. ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის ეს ტექსტი საგანგებოდ თეატრისათვის არ დაწერილა, ყოველი სიტყვა და პერსონაჟთა მიხვრა-მოხვრა ნამდვილი ცხოვრებიდან არის აღებული და მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ►

**1870 დეკემბერი**

ჟურნალ „მნათობში“ სათაურით „სიმღერა“ იბეჭდება მისი ლექსი „დედამ რომ შვილი გაზარდოს...“ ►

**1870** ანტონ ფურცელაძის სახლში ესწრება მწერლის ახალი რომანის – „მაცი ხვითის“ საჭარო კითხვას. ►

**1870** მეუღლესთან და დუშეთის საზოგადოებასთან ერთად იღებს სამახსოვრო ფოტოს. ►

**1871 იანვარი**

ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება მისი ლექსები: „ს... ჩ... სას“ („სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი...“) და „მესმის, მესმის სანატრელი...“ ამ უკანასკნელს, რომელიც ეძღვნება ჭუბუბე გარიბალდის და იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ჟურნალის რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე, ცენზურის თვალის ასახვევად, აკეთებს სქოლიოს: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის“. ►

**1871 თებერვლამდე**

მუშაობს „მგზავრის წერილების“ საბოლოო რედაქციაზე. ►

**1871 27 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ „ნიკ. დიმიტრიძის“ ფსევდონიმით იბეჭდება ნიკოლოზ ყიფიანის რეცენზია, რომელშიც საუბარია ჟურნალ „კრებულის“ პირველ ორ ნომერში გამოქვეყნებულ თხზულებებზე. განხილულია ილია ჭავჭავაძის „სცენები მიროვი პოსრედნიკთან“ და „მგზავრის წერილები“. ნათქვამია, რომ მისი ნაწერები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და რომ მათში ბევრი ისეთი საკითხია წამოჭრილი, რომელზე დაფიქრებაც გვმართებს. ►



- 1871 თებერვალი**  
 ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება მისი ლექსები: „ჩ... სას“ („უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...“) და „ახ, სად არიან სიჭაბუკე...“, ასევე – „მგზავრის წერილების“ პირველი ოთხი თავი. ►
- 1871 6 მარტი**  
 თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე ელენა რებინდერი თხოვნით მიმართავს, რომ ბოლომდე დაფაროს საზოგადოებისგან 1862 წელს აღებული სესხი შესაბამისი პროცენტებით. ►
- 1871 19 მარტამდე**  
 ასრულებს მუშაობას პოემის „ქართველის დედა“ მეორე რედაქციაზე. ამატებს ჰიმნს თავისუფლებაზე („თავისუფლებაზე, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი...“) და ჭარის სიმღერას („ქართველო, ხელი ხმაღს იკარ...“). ►
- 1871 19 მარტი**  
 ახლადგადაკეთებულ პოემა „ქართველის დედას“ ჟურნალ „კრებულში“ დასაბეჭდად დუშეთიდან თბილისში, წერილთან ერთად, უგზავნის მეგობარ პეტრე ნაკაშიძეს, რომელსაც ეძღვნება ეს ნაწარმოები. წერილში საუბარია პოემაში ჩართულ ჭარის სიმღერაზე - „ქართველო ხელი ხმაღს იკარ...“, რომელიც ბევრს დღესაც ფოლკლორული თხზულება ჰგონია. ►
- 1871 21 მარტი**  
 თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში იწყებს ბაბისა იკაცაშვილის საჩივრის განხილვას თავისი ქმრის – ასტრახ იკაცაშვილისა და იმავე სოფლის მცხოვრებ გიგი ელოშვილის ქვრივის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთ ბრალი ედებათ არაკანონიერ სქესობრივ ურთიერთობაში. მოწმეები ადასტურებენ ღალატის ფაქტს. ►
- 1871 22 მარტამდე**  
 უბის წიგნაკში იწერს მემამულეთა და გლეხთა ქონებრივ დავებთან დაკავშირებულ დეტალებს და იმ საკითხებს, რომელთა კანონმდებლობითი საფუძვლების დაზუსტებაც სჭირდება. ►
- 1871 22 მარტამდე**  
 უბის წიგნაკში იწერს იმ პიროვნებათა გვარებს, რომლებთანაც აწარმოებს საქმეებს დუშეთის მაზრის სხვადასხვა უბნებში და უკეთებს სათაურებს: „ხევის უჩასტკა“, „ხევსურთ სოფელი“, „მუხრანი“, „წეროვანი“, „დამპალო“, „ქსოვრისი“ და „მჭადისჭვარი“. შემდეგ მოკლედ ინიშნავს, რაზეა დავა და ვის ვისთვის რა აქვს მისაცემი. ►
- 1871 22 მარტამდე**  
 უბის წიგნაკში იწერს მოხვევთა ლოცვებს: „მორიგე ღმერთისადმი“, „სამკვდრო“, „ქორწინებისა“ და იქაურ მკვიდრთა გვარებს. ►
- 1871 22 მარტი**  
 სტუმრად არის სტეფანწმინდაში, დიმიტრი ყაბზეგის ოჯახში. უბის წიგნაკში იწერს მოხვეურ ხალხურ ლექსებს და ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობებს. ►

- 1871 22 მარტის შემდეგ**  
უბის წიგნაკში იწერს ქართველ წმინდანთა ცხოვრების შესახებ მიხეილ საბინინის წიგნისა და მებაღეობაზე კარლ შმიდტის წიგნის სათაურებს. ►
- 1871 8 აპრილი**  
თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განაგრძობს ბაბისა იკაცაშვილის საჩივრის განხილვას ქმრის – ასტრახ იკაცაშვილისა და მისი საყვარლის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძე მხარეებს შერიგებას სთავაზობს და ისინი თანხმდებიან. ►
- 1871 10 აპრილი**  
უბის წიგნაკში მისი და – ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისა უწერს საყიდლების ნუსხას თავისთვის, თავისი ვაჟის – სენოსა და მათი დის – ელისაბედისთვის. ►
- 1871 10 აპრილის შემდეგ**  
უბის წიგნაკში მეუღლისთვის წერს ნივთების ნუსხას, რის ყიდვასაც სთხოვს. ამ ჩამონათვალში შედის ისინიც, რომელთა შეძენაც მისმა დამ – ნინომ დაავალა. ►
- 1871 აპრილი**  
ჟურნალ „კრებულის“ მესამე ნომერში პირველად იბეჭდება ილიას პოემა „ქართველის დედა“, ცენზურის მიერ შეცვლილი სათაურით „დედა და შვილი“. სათაურის ქვეშ არის მინაწერი: „დრამატული ეპიზოდი თამარ მეფის დროებიდან ოსმალებთან ომის წინ. უძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს“. ამავე ნომერში იბეჭდება მისი ლექსი „ჩემო მკვლელო...“ და ჰაინრიხ ჰაინეს ლექსის „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა...“ თარგმანი. ►
- 1871 მაისამდე**  
დას, ელისაბედს წერილით ულოცავს აღდგომას, ატყობინებს, რომ ახლახან ჩამოვიდა ვლადიკავკაზიდან და სთხოვს გააგებონოს, წამოსვლას როდის დააპირებს, რომ ტარანტასი გაუგზავნოს. ►
- 1871 მაისი**  
ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება ილიას ლექსები: „ბევრი ვიტანჯე...“ და „მეცა მქონია კარგი მამული“ (მიბაძვა ჰაინესი). ►
- 1871 29 მაისი**  
პარიზის კომუნის მარცხს ეხმიანება ლექსით „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“. ►
- 1871 29 მაისის შემდეგ**  
წერილს სწერს მეუღლეს. ბოდიშს უთვლის ცოლისდას – ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას, რომ მის დაბადების დღეს ვერ დაესწრო. წუხილს გამოთქვამს პარიზის კომუნის მარცხის გამო. ►
- 1871 19 ივლისი**  
თადეოზ გურამიშვილი წერილს და ხილს უგზავნის სიძე-ქალიშვილს. ►
- 1871 24 აგვისტო**  
წერს ლექსს „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“. ►

**1871 29 აგვისტო**

ამთავრებს ლექსს „ბედნიერი ხალხი“, რომელიც, მისივე განმარტებით, არის იტალიელი პოეტის ჯუზეპე ჯუსტის მიბაძვა. ლექსის შესაქმნელად მისთვის შეიძლებოდა სტიმული მიეცა ჯუსტის ლექსს „ლოკოკინა“, რომელშიც იგი დასცინის ლოკოკინასავით ნიჟარაში შეყუჟულ და სავალალო ხვედრით კმაცოფილ თავის ხალხს. არსებობს საგულისხმო მოსაზრება რეფრენის წარმომავლობასთან დაკავშირებითაც. მიჩნეულია, რომ ის არის პაროდირებული ფორმა არჩილ მეფის თხზულების „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ ერთი სტროფისა, რომელიც რუსეთის იმპერიისა და კერძოდ, პეტრე დიდის ხოტბას ეძღვნება. არჩილი პეტრეს უწონებს იმას, რომ მან მრავალი ერი გახადა „გამგონიერი“, ილია კი – თავის სატირაში წარმოაჩენს, რა ზომამდე მივიდა ქართველთა „გამგონიერობა“. ►

**1871 29 აგვისტო**

პეტრე ნაკაშიძეს, წერილთან ერთად, კრებულში დასაბეჭდად უგზავნის ლექსს „ბედნიერი ხალხი“. იმის გამო, რომ ბარათს ადრესატის გვარი არ აწერია, იგი ადრე პეტრე უმიკაშვილისათვის გაგზავნილად ითვლებოდა. ►

**1871 19 სექტემბრამდე**

თბილისში რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის მოახლოებულ ვიზიტთან დაკავშირებით დგება კომისია მისთვის მისართმევი ადრესის შესადგენად. კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც ახალი (ილია ჭავჭავაძე, ივანე თარხნიშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე, ნიკო ნიკოლაძე), ისე ძველი თაობის წარმომადგენლები (გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, დიმიტრი ჭორჭაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი). პირველი ჯგუფის ძალისხმევით იმპერატორისთვის წარსადგენ ადრესში წერენ უნივერსიტეტის გახსნის თხოვნას. ►

**1871 19-24 სექტემბერი**

იმპერატორისათვის გადასაცემი ადრესის შემდგენელი კომისიის ერთ-ერთი წევრი – ბესარიონ ლოლობერიძე ძველი თაობის წარმომადგენლების პოზიციაზე გადადის. „მამები“, რომელთა მხარესაც უკვე ხმათა უმრავლესობაა, იმპერატორისათვის გადასაცემი ადრესის ტექსტს ცვლიან და თბილისში ვიზიტით მყოფ ალექსანდრე II-ს ქართველი ხალხის სახელით თბილისში სამხედრო სასწავლებლის (კადეტთა კორპუსის) გახსნას სთხოვენ, რაც ისედაც იგეგმებოდა. ►

**1871 სექტემბრამდე**

მუშაობს „მგზავრის წერილების“ საბოლოო რედაქციაზე. ►

**1871 სექტემბერი**

ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება ილიას მოთხრობის – „მგზავრის წერილებიდან“ დასასრული (V–VIII თავები) და ლექსი: „ბედნიერი ხალხი“, რომელიც მწერლის თხზულებათა კრებულებში შესულია სათაურით „ბედნიერი ერი“. ილიასეული შენიშვნები ახლავს ამავე კრებულში დაბეჭდილ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს. ►

**1871 3 ოქტომბერი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება რეცენზია „კრებულის“ მეხუთე ნიგნზე, რომელშიც საუბარია „მგზავრის წერილების“ შესახებ და მაღალი შეფასება ეძლევა ავტორის ნიჭსა და შემოქმედებით ოსტატობას. ►

**1871 ოქტომბრამდე**

თავადამზნაურთა წინამძღოლი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი ითხოვს ბანკის წესდების შემუშავებელ პირველ სარედაქციო კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიც ილია შედიოდა, და ახალ კომიტეტს თავად უდგება სათავეში. ►

**1871 22 მარტიდან 18 ოქტომბრამდე**

გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისაგან რვეულში იწერს ერთი გლეხის მიერ ნათქვამ ლექსს „როსტომ ჰსთქვა...“ და გენერალ გიორგი იესეს ძე ერისთავის ექსპრომტებს მელანიამე. იქვე რუსულ ენაზე იწერს ციტატებს ჰერბერტ სპენსერის სოციოლოგიური ნაშრომიდან. ►

**1871 18 ოქტომბერი**

დუშეთში ყოფნისას გრიგორიანელი მღვდლისგან იწერს ლექსს, რომელშიც ჭავჭავაძეების ღვინოა შექცეული. ►

**1871 18 ოქტომბრიდან**

სხვადასხვა პირებისგან რვეულში იწერს ზეპირსიტყვიერების მასალებს: ილია აფხაზისაგან – გადმოცემას თამარ მეფის ბეჭდის შესახებ და ანდაზებს, კარდანახელებისგან – ხალხურ ლექსებს და გამოცანებს, გიორგი ჭორჭაძისგან – ხალხურ ლექსებს, თუშური პოეზიის ნიმუშებს და პატარა ლექსს, რომელიც სოლომონ ლიონიძის მიერ ნათქვამად არის გავრცელებული. იმავე რვეულში წიგნებიდან იწერს თომას მიუნცერის, ფრანჩესკო გვერაცის, მიქელანჯელო ბუონაროტის, ჰერბერტ სპენსერის, იპოლიტ ტენის, კარლ ლუდვიგ ბერნეს, ჰაინრიხ ჰაინეს, გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგისა და ფრიდრიხ შლოსერის ციტატებს. ►

**1871 7 დეკემბერი**

წერს პამფლეტს სახელწოდებით „გამოცანები“ და ამხელს ძველ თაობას, რომელმაც იმპერატორს უნივერსიტეტის ნაცვლად სამხედრო სასწავლებლის გახსნა სთხოვა. სულ არის ცხრა გამოცანა, რომლებშიც გამოყვანილია ცნობილი სახელმწიფო მოხელეები: თავადაზნაურობის მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილი, სენატორი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი, ყოფილი გენერალი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი დიმიტრი ჭორჭაძე, თბილისის გუბერნიის სამმართველოს წევრი იასე ჭავჭავაძე, „მამათა“ ბანაკის თანამგრძობი ბესარიონ ლოლობერიძე, პოეტი და გენერალი გრიგოლ ორბელიანი და თავად ილია ჭავჭავაძე. ლექსები ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►

**1871 7 დეკემბრის შემდეგ**

წერს „გამოცანების“ გაგრძელებას სათაურით „კიდევ გამოცანები“, რომელიც შეიცავს შვიდ გამოცანას. მათში გამოყვანილია თერგის ოლქის უფროსი მიხეილ ლორის-მელიქოვი, დაღესტნის ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ლევან მელიქიშვილი, გენერალ-ადიუტანტი იოსებ თარხნიშვილი, პოეტი მიხეილ თუმანიშვილი, საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი და თავად ილია ჭავჭავაძე. ლექსები ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►

**1871 7 დეკემბრის შემდეგ**

მიხეილ თუმანიშვილი მამას – გიორგი თუმანიშვილს ოდესიდან გაგზავნილ წერილში უყვება, რომ ნიკო ლოლობერიძემ ჩაუტანა ილია ჭავჭავაძის „გამოცანები“, რომლებშიც კარგად არის დახასიათებული „თბილისის ტუზები“: რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე ბაგრატიონ-მუხრანელები, პლატონ იოსელიანი და იასე ჭავჭავაძე. მისი აზრით ანდრონიკაშვილი და ბაგრატიონ-მუხრანელები ამას ყურადღებას არ მიაქცევდნენ, მაგრამ აინტერესებს, რა თქვა პლატონ იოსელიანმა და ჭავრობდა თუ არა იასე ჭავჭავაძე. ადრესანტის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ილიას ასეთივე პამფლეტები ისაკ და იასონ თუმანიშვილებზე და ნიკო ჭავჭავაძეზეც დაეწერა. ►

**1871 11 დეკემბრამდე**

დუშეთში იღებს ვახტანგ თულაშვილის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს, რომელშიც ადრესანტი სთხოვს მონაწილეობა მიიღოს დეკემბერში თბილისში განზრახულ სალიტერატურო საღამოში. ►



**1871 11 დეკემბერი**

„გამოცანებს“ და „კიდევ გამოცანებს“ წერილთან ერთად დუშეთიდან თბილისში უგზავნის დავით ერისთავს და სთხოვს ავტორის ვინაობის გაუმხელლად გავრცელებას. მისივე განმარტებით, ვინაობის გამხელას იმიტომ ერიდება, რომ ისინი, ვისზეც ეს გამოცანებია, „ყოველსფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება“. ►

**1871 დეკემბრის მეორე ნახევარი**

„გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ ხელნაწერის სახით სწრაფად ვრცელდება ხალხში. სერგეი მესხი კირილე ლორთქიფანიძეს პირად წერილში ძალიან უქვებს ამ პამფლეტებს, მაგრამ არ იცის, რომ ილიასია. ►

**1872 25 იანვრამდე**

პატარა წიგნად გამოდის ხალხური „არსენას ლექსი“ და „მენახირის ნაამბობი“ ილიას პოემიდან „კაკო“ („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“). ►

**1872 28 იანვრამდე**

„გამოცანების“ და კიდევ გამოცანების“ გამო გრიგოლ ორბელიანი წერს და ხელნაწერის სახით ავრცელებს ლექსს „პასუხი შვილთა“. ►

**1872 28 იანვარი**

გრიგოლ ორბელიანის ლექსის „პასუხი შვილთა“ საპასუხოდ წერს და საზოგადოებაში ავრცელებს პამფლეტს „პასუხის პასუხი“. ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. ►

**1872 28 იანვრის შემდეგ**

სერგეი მესხი ქუთაისში მყოფ აკაკი წერეთელს უგზავნის წერილს, რომელშიც უამბობს მამათა და შვილთა პოეტური პაექრობის შესახებ. იგი აღფრთოვანებულია „პასუხის პასუხით“, მაგრამ არ იცის, რომ ილიასია. ►

**1872 5 თებერვალი**

თარგმნის თომას მურის ლექსს „ირლანდიისადმი“. ►

**1872 20 თებერვლამდე**

თბილისში მდებარე კავკასიის სამთო სამმართველოდან წერილს უგზავნის მეუღლეს საგურამოში. ატყობინებს, რომ ის და მისი ქვისლი დიმიტრი სტაროსელსკი მეორე დღეს აპირებენ ასვლას. წუხს, რომ თბილისის სახლს ვერც ყიდის და ვერც აგირავებს. თავის დას – ელისაბედს უთვლის, რომ კარგი ვახშმის თადარიგი დაიჭიროს თხუთმეტამდე კაცისათვის. ►

**1868 11 მარტიდან**

**1872 20 თებერვლამდე**

დუშეთიდან ყვარელში წერილს სწერს მამიდას – მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისას. უყვება, რომ კარგი ცოლი ჰყავს, საქმეებიც კარგად მისდის და აპირებს ყვარელში დამკვიდრებას, რათა თავისი ოჯახით მასთან ერთად იყოს. ►

**1872 20 თებერვალი**

ილიას დაქვრივებული და ელისაბედი ცოლად მიჰყვება ალექსანდრე საგინაშვილს. ►



**1872 მარტის პირველი ნახევარი**

ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება ილიასეული თარგმანი თომას მურის ლექსისა „ირლანდიისადმი“ და მის მიერ სოფ. კარდანახში ჩაწერილი ხალხური ლექსი „ქალმა სთქვა სიზმარი ვნახე...“ აქვე „ნ. დიმიტრიძის“ ფსევდონიმით ქვეყნდება ნიკოლოზ ყიფიანის წერილი „ქართული პოეზიის ნიმუში და იმათი განხილვა“, რომელიც ეძღვნება ილიას ლექს „იანიჩარს“ და წამძღვარებული აქვს მისი ტექსტი. ►

1864 8 ნოემბრიდან

**1872 29 მარტამდე**

400 მანეთს და წერილს უგზავნის მეუღლეს დუშეთიდან თბილისში. სთხოვს, აყიდვინოს და გაუგზავნოს ცხენის აღჭურვილობა. ►

**1872 20 აპრილი**

გარდაეცვალა გამზრდელი მამიდა – მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისა, რის შესახებაც გვიან იგებს და დაკრძალვას ვერ ესწრება. ►

**1872 20 აპრილის შემდეგ**

წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს გამზრდელი მამიდის, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავის გარდაცვალების ამბავს. განიცდის, რომ დროულად არ შეატყობინეს და დაკრძალვას ვერ დაესწრო. კმაყოფილია თავისი ქვისლის, დიმიტრი სტაროსელსკის ბაქოს გუბერნატორად დანიშვნით და აღნიშნავს, რომ ბევრი ნატრობს მასთან სამსახურს. ►

**1872 20 ივნისამდე**

იღებს წერილს პეტრე უმიკაშვილისგან, რომელიც ჟურნალ „კრებულისათვის“ ახალი ნაწარმოებების გაგზავნას სთხოვს. ►

**1872 20 ივნისი**

პეტრე უმიკაშვილს უგზავნის საპასუხო წერილს. წუხს იმის გამო, რომ დატვირთული სამუშაო გრაფიკი შემოქმედებით მუშაობაში ხელს უშლის და ვერაფერს წერს. ►

**1872 25 ივნისი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს მღვდელ გაბრიელ გუდიევის მიმართვას კობის მღვდელმთავრისადმი. ბრალი ედებათ მის სამრევლოში გაჩენილ მკითხავებს, რომელთა საქმიანობაც არყვეს მოსახლეობის რწმენას. რამდენადაც ბრალდებას არ ერთვის მტკიცებულებები, მკითხაობა კი არსებული კანონმდებლობით არ ისჯება, სარჩელი იურიდიულ საფუძველს მოკლებულია და არ კმაყოფილდება. ►

**1872 21 ივლისამდე**

დავით ერისთავისაგან იღებს წერილს თავისი „გამოცანების“ თარგმანით. ►

**1872 22 ივლისამდე**

წერილს უგზავნის ოძისში დავით ერისთავს. აღწერს პოემა „აჩრდილზე“ მუშაობის სირთულეებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტური წყაროების ცალმხრივობაზე. წერილს თან ახლავს მისივე თარგმნილი პირველი ორი „გამოცანა“ (რევაზ ანდრონიკაშვილსა და გიორგი მუხრანბატონზე). ►

**1872 22 -26 ივლისი**

დუშეთში მარტოა და ელის ოძისიდან დავით ერისთავის სტუმრობას. ►

**1872 ივნისი-ივლისი**

აკაკი წერეთელი ჟურნალ „მნათობში“ აქვეყნებს წერილს „ვინ სტყუვის? (ჩვენი ახლანდელი ძველი და ახალი თაობა)“, რომელიც ეხება ილია ჭავჭავაძის „გამოცანებს“. ►

**1872 29 აგვისტო**

დუშეთში წერს სატირულ ლექსს „რჩევა“. მისი შექმნის მიზეზი ხდება სენატორ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის წიგნი „ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი ეროვნული ერთეულების განმანათლებლური მნიშვნელობის შესახებ“, რომელშიც ავტორი ამტკიცებს დიდი ერების მიერ პატარების შთანთქმის აუცილებლობას. ►

**1872 30 აგვისტო**

იღებს პეტრე უმიკაშვილის წერილს, რომელშიც შემფოთებაა გამოთქმული „კრებულის“ მომავალთან დაკავშირებით. ადრესანტი სთხოვს თბილისში დაბრუნებას და მხარში ამოდგომას. ►

**1872 30 აგვისტო**

პეტრე უმიკაშვილს სწერს საპასუხო ბარათს, რომელშიც ურჩევს, როგორმე შეინარჩუნოს „კრებული“ და შეძლებისდაგვარად ჰპირდება დახმარებას. უხსნის, რომ თუ სამსახურს თავს არ დაანებებს, თბილისშიც რომ გადავიდეს, შემოქმედებითი საქმიანობისათვის დრო მაინც არ ექნება. ნატრობს ისეთ სახლს, სადაც მწერლები და ლიტერატურის მოყვარულები შეიკრიბებიან, ახალ თხზულებებს წაიკითხავენ და იმსჯელებენ. წერილთან ერთად „კრებულში“ დასაბეჭდად უგზავნის პოემა „აჩრდილის“ დასაწყისს და „დროებაში“ გამოსაქვეყნებლად – ლექსს „რჩევა“. ►

**1872 8 სექტემბერი**

გაზეთი „დროება“ ხელმოუწერლად აქვეყნებს მის ლექსს „რჩევა“. ►

**1872 11 სექტემბერი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს გლახ დათიკა წამალაძის საჩივარს თავად გიორგი ხიმშიაშვილის წინააღმდეგ. მოწმეთა ჩვენებით ბრალდებულს უმტკიცდება მოსარჩელის ცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მას ესტება სამი თვით პატიმრობა და სასამართლო ხარჯების გადახდა. ►

**1872 15 სექტემბერი**

წერს ლექსს „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...“. ►

**1872 სექტემბერი**

ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება პოემა „აჩრდილის“ XIII, XIV, XVII, XVIII თავები. IX თავი არ იბეჭდება ცენზურის აკრძალვის გამო. ჟურნალის ამავე ნომერში „მ. პეტრიძის“ ფსევდონიმით ქვეყნდება პეტრე უმიკაშვილის წერილი „შეერთებული შრომა ჩვენი ლიტერატურისათვის“, რომელშიც ქართული ლიტერატურის საერთო მიმოხილვასთან ერთად, იგი ეხება ილია ჭავჭავაძის გამოსვლას ლიტერატურულ ასპარეზზე და მის მიერ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემის მნიშვნელობას. ►

**1872 16 ოქტომბერი**

თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში განიხილავს გიორგი ქურხულის საჩივარს მეუღლის წინააღმდეგ. იგი ცოლს უჩივის იმის გამო, რომ ის უარს ამბობს მასთან თანაცხოვრებაზე. ბრალდებული სასამართლოზე არ ცხადდება. მომჩივანი ითხოვს, რომ საქმე მის გარეშე განიხილონ, მაგრამ უარს იღებს. ილია ჭავჭავაძე მას განუმარტავს, რომ საქმე არ ეხება სისხლის სამართლის დანაშაულს და საჩივარი მხოლოდ იმ მოტივით მიიღეს, რომ მხარეები შეერიგებინათ. ►

**1872 1 ნოემბრის შემდეგ**

დუშეთში იღებს ოძისიდან დავით ერისთავის მიერ გაგზავნილ წერილს, რომელშიც სთხოვს ბანკის დაარსებასთან დაკავშირებით დანიშნულ კრებაზე დასწრებას, რადგან აუცილებლად სჭირდება მისი კონსულტაციები ფინანსურ საკითხებზე. ►

**1872 ნოემბრის პირველი დეკადა**

დავით ერისთავს დუშეთიდან ოძისში უგზავნის საპასუხი წერილს, რომლითაც ატყობინებს, რომ ვერ შეძლებს თბილისში ჩასვლასა და თავადაზნაურთა კრებაში მონაწილეობას. ►

**1872 10 ნოემბრის შემდეგ**

დუშეთში იღებს ოძისიდან დავით ერისთავის მიერ გაგზავნილ წერილს. ადრესანტი წუხს, რომ ილია ჭავჭავაძე ვერ ახერხებს ბანკის თემისადმი მიძღვნილ თავადაზნაურთა კრებაში მონაწილეობას, რადგან კომიტეტის სხდომაზე მის გარეშე ვერაფერს გააკეთებენ და იძულებული იქნება არც თავად წავიდეს. სთხოვს, დაწერილი სიტყვა მაინც გაუგზავნოს, რომ კრებაზე წაიკითხონ. ►

**1872 25 ნოემბრამდე**

გადაწყვეტს, დაესწროს ბანკის თემისადმი მიძღვნილ თავადაზნაურთა კრებას და წერს იქ წარმოსათქმელ სიტყვას. ►

**1872 25 ნოემბერი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლ რევამ ანდრონიკაშვილის მიერ მოწვეულ საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს ბანკის წესდების საკითხს. წარმოთქვამს ვრცელ სიტყვას, რომელშიც აკრიტიკებს წესდების შემმუშავებელ კომისიას. აღნიშნავს, რომ ამ ბანკმა სარგებლობა უნდა მოუტანოს ყველას და არა საზოგადოების ერთ ჯგუფს. მისი გამოსვლა სამ საათს გრძელდება და რევამ ანდრონიკაშვილის მომხრეები ერთი მეორის მიყოლებით ტოვებენ დარბაზს. ►

**1872 29 ნოემბერი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სხდომაში, რომელზეც ხმის უმეტესობით იმარჯვებს დიმიტრი ყიფიანისა და მისი პროექტი. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ დაარსდეს თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკი და ირჩევენ წესდების შემმუშავებელ ახალ კომისიას ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. ►

**1872 ნოემბერი**

პატარა შეტყობინებას წერს დისწულის, სიმონ აფხაზის ბარათზე, რომელშიც უხსნის თავის დას, ნინო ჭავჭავაძე-აფხაზს, რატომ წაიყვანა ცხენები საგურამოში. ►

- 1872 1 დეკემბრის შემდეგ**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე 25 ნოემბერს მის მიერ წარმოთქმული ვრცელი სიტყვა იბეჭდება გაზეთ „დროებაში“. ►
- 1872 5 დეკემბერი**  
თავადაზნაურობის საგანგებო კრება იხილავს ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით შედგენილ თსს ბანკის წესდების ახალ პროექტს და ერთხმად იწონებს მას. ►
- 1872 7 დეკემბერი**  
თავადაზნაურობის კრება თსს ბანკის წესდების შემმუშავებელ კომიტეტს აკისრებს ზედამხედველი კომიტეტის ფუნქციებს, რომლის მოვალეობასაც შეადგენს ბანკის დაარსება. მას ირჩევენ ბანკის მმართველად და ანდობენ დირექტორების დასახელებას. იგი ირჩევს დიმიტრი ყაზბეგს და დავით ყიფიანს. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ეს სამი პირი უახლოეს დროში გაემგზავროს პეტერბურგში პროექტის დამტკიცების დასაჩქარებლად და საბანკო საქმის შესასწავლად. ►
- 1872 7 დეკემბრის შემდეგ**  
იღებს შაქრო ხერხეულიძის წერილს საბანკო საქმეებთან დაკავშირებით. ►
- 1872 8 დეკემბრამდე**  
საგუბერნიო კრების გაგრძელების გამო თავადაზნაურობის წინამძღოლ რევამ ანდრონიკაშვილის თხოვნით თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ორჯერ უხანგრძლივებს შვებულებას, რომ შეძლოს ამ კრებებზე დასწრება. ►
- 1872 8 დეკემბერი**  
ბრუნდება თბილისიდან დუშეთში. ►
- 1872 9 დეკემბრამდე**  
თავისი სიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილის – ალექსანდრე საგინაშვილის ოჯახში ეცნობა პოეტის ოთხ წერილს მაიკო ორბელიანისადმი და იწერს მათ. ►
- 1872 9 დეკემბერი**  
ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად კირილე ლორთქიფანიძეს უგზავნის თავისი სიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილ ალექსანდრე საგინაშვილისგან წამოღებულ პოეტის ოთხ ბარათს მაიკო ორბელიანისადმი და სთხოვს, ზუსტად დაბეჭდოს. იქვე აღნიშნავს, რომ არც ბარათაშვილი იყენებდა მის მიერ ხმარებიდან ამოღებულ ასოებს და უხარია ამ საკითხისადმი მათი დამოკიდებულების თანხვედრა. ►
- 1872 9 დეკემბერი**  
მუშაობას იწყებს „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებაზე. ამის შესახებ ატყობინებს კირილე ლორთქიფანიძეს და წინასწარ ითხოვს, ბოლო კორექტურა თავად გააკეთებინოს. ►
- 1872 დეკემბერი**  
ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდება ანტონ ფურცელაძის წერილი „საწყალი კუდაბიკა – კრებულ-დროება“ და იმათი ყვინჩილაობა“, რომელიც მიმართულია „დროებისა“ და „კრებულის“ თანამშრომლების, მათ შორის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ►



- 1872 დეკემბერი**  
 ჟურნალ „კრებულში“ „ნ. სკანდელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ნიკო ნიკოლაძის სტატია „ჩვენი მწერლობა“, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლევა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას და მის მიერ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსებას. ►
- 1872** წერს ლექსის „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ საბოლოო ვარიანტს. ►
- 1873 8 იანვარი**  
 ბრუნდება დუშეთში და თითქმის ასრულებს „გლახის ნაამბობზე“ მუშაობას. ►
- 1873 14 იანვარი**  
 გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ მარტინ ზადეკაშვილის ფსევდონიმით იბეჭდება დავით ერისთავის ფელეტონი „სიზმარი ახალი წლის წინადღით“, რომელშიც ილია ჭავჭავაძე გამოყვანილია საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის ლიდერ ლეონ მიშელ გამბეტად, ნიკო ჭავჭავაძე კი – უსტიციის მინისტრ რესპუბლიკის მოწინააღმდეგე პროკურორ გრანპერედ. ►
- 1873 15 იანვრამდე**  
 მეუღლეს სტუმრად ამგზავრებს ბაქოში, ქვისლის – დიმიტრი სტაროსელსკის ოჯახში. ►
- 1873 15 იანვარი**  
 დუშეთიდან ბაქოში წერილს უგზავნის მეუღლეს, რომელშიც ატყობინებს, რომ „გლახის ნაამბობზე“ მუშაობას აგრძელებს და ურიგო არ გამოდის. ►
- 1873 18 იანვრამდე**  
 იღებს „კრებულის“ რედაქტორ ნიკო ნიკოლაძის წერილს. ადრესანტს გაუგია, თითქოს იგი „გლახის ნაამბობის“ გადაკეთებას აპირებს და შემფოთებას გამოთქვამს. ►
- 1873 18 იანვარი**  
 პასუხობს ნიკო ნიკოლაძის წერილს, უგზავნის „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებას და ამშვიდებს, რომ უკვე დაბეჭდილის გადაკეთებას არ გეგმავს, მხოლოდ უკანასკნელი კორექტურის ნახვას სთხოვს. ბარათიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე აპირებდა „აჩრდილის“ პირველი ნაწილის გაგზავნასაც, მაგრამ გადაიფიქრა. ►
- 1873 20 იანვრის შემდეგ**  
 ჟურნალ „კრებულში“ აქვეყნებს „აჩრდილის“ I, II, III თავებს. ►
- 1873 23 იანვრამდე**  
 ბარათს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს, უგზავნის „გლახის ნაამბობის“ კორექტურას და ჰპირდება, რომ 25 იანვარს გაუგზავნის საკუთარ ლექსებს და ერთს ნიკოლოზ ბარათაშვილისას. ►
- 1873 29 იანვრამდე**  
 ამთავრებს „გლახის ნაამბობზე“ მუშაობას. ►
- 1873 29 იანვარი**  
 დუშეთიდან პეტერბურგში წერილს სწერს კირილე ლორთქიფანიძეს. დილისთვის ჰპირდება ლექსების გაგზავნას და ატყობინებს, რომ „გლახის ნაამბობი“ დაასრულა. ►



- 1873 29 იანვარი**  
კირილე ლორთქიფანიძეს „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად უგზავნის ოცდაათზე მეტ გლეხურ სიმღერას. ►
- 1873 იანვარი**  
ნიკო ნიკოლაძე ჟურნალ კრებულში ბეჭდავს სტატიას „ახალი ახალგაზრდობა“, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას. ►
- 1873 1 თებერვალი**  
წერილს სწერს მეუღლეს დუშეთიდან ბაქოში. ატყობინებს, რომ „გლახის ნაამბობზე“ მუშაობა, როგორც იქნა, დაასრულა და, თითქოს, გულიდან ლოდი მოეხსნა. ასევე სწერს, რომ თუ ბანკის საქმეებზე რუსეთში მოუხდება წასვლა, შეიძლება ბაქოში გაუაროს სანახავად. ►
- 1873 1 თებერვალი**  
იღებს სერგეი მესხის წერილს. ►
- 1873 8 თებერვალი**  
დუშეთიდან ბაქოში წერილს უგზავნის მეუღლეს და ატყობინებს, რომ გადაწყვიტა დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობისთვის თავის დანებება. ►
- 1873 16 თებერვალი**  
აპირებს დაწეროს სტატია, რომელშიც პარალელის გაავლებს შექსპირის ჰამლეტსა და რუსთაველის ტარიელს შორის. ►
- 1873 17-21 თებერვალი**  
თბილისშია ბანკის საქმეების გასარკვევად და მონაწილეობს ლიტერატორთა შეხვედრაში. ►
- 1873 23 თებერვლამდე**  
დუშეთიდან თბილისში წერილს უგზავნის თავის დას – ელისაბედს. სწერს ნიკო ჭავჭავაძის მიერ მის მიმართ გამოვლენილი მტრობის შესახებ, მაგრამ არ უნდა, რომ ელისაბედის მეუღლემ – ალექსანდრე საგინაშვილმა მას ამის გამო საყვედური უთხრას. უგზავნის ასევე მეორე ბარათს, რომელიც ელისაბედმა ნიკო მანსვეტაშვილს უნდა გაუგზავნოს. ►
- 1873 23 თებერვალი**  
წერილს სწერს მეუღლეს დუშეთიდან ბაქოში. ატყობინებს, რომ მისი სამსახურიდან წამოსვლა და ბანკის საქმეებზე რუსეთში გამგზავრება აპრილამდე გადაიდო. უგზავნის ფულს და სწერს, რომ ჯერ ბაქოში გაივლის მის სანახავად და შემდეგ წყლით გაემგზავრება პეტერბურგში. ►
- 1873 23 თებერვალი**  
ბაქოდან იღებს მეუღლის დეპეშას, იგებს, რომ ძალიან ნერვიულობს ნიკო ჭავჭავაძის საქციელის გამო (იგულისხმება ილიას სამსახურიდან წასვლასა და ბანკის დაარსებაში ხელის შეშლა) და იმავე დღეს უგზავნის კიდევ ერთ ვრცელ წერილს. ატყობინებს ქალაქის ამბებს. წუხს, რომ ოლღას თბილისის ბინის გაყიდვა არ ხერხდება. სთხოვს მინდობილობის გაგზავნას იმ შემთხვევისთვის, თუ მყიდველი გამოჩნდება. ►

**1873 26 თებერვალი**

სერგეი მესხი თბილისიდან ციურისში მიმავალი ეკატერინე მელიქიშვილისთვის გაგზავნილ ბარათში წერს, რომ წინა წლის ჟურნალ „კრებულის“ ნომრები ჯერ არ არის გამოსული, რადგან ცენზურამ შეაყოვნა, მიმდინარე წლის პირველი ნომერი კი, მისი აზრით, კარგი იქნება თუნდაც იმიტომ, რომ მასში ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ გაგრძელება იბეჭდება. ►

**1873 თებერვალი**

კირილე ლორთქიფანიძეს დუშეთიდან თბილისში წერილთან ერთად „კრებულში“ დასაბეჭდად უგზავნის „გლახის ნაამბობს“ და სთხოვს, რომ გულწრფელად მისწეროს თავისი აზრი. გარდა ამისა, გამოსაქვეყნებლად უგზავნის თავის ლექსებს: „ვიხილე სატრფო...“, „ჩემო მკვლელო...“ „ს–ს“, „მაშინ დავსტკბები...“ და ერთს ნიკოლოზ ბარათაშვილისას – „დამქროლა ქარმან...“ სთხოვს, გააგებინოს, იბეჭდება თუ არა მისი „ზოგიერთი რამ“. იგი იმდენად დაინტერესებულია ამ სტატიის გამოქვეყნებით, რომ მზად არის, ცენზორს ბევრი დაუთმოს. ►

**1873 თებერვალი**

პარიზში გამგზავრებამდე ნიკო ნიკოლაძე სთხოვს მისი თხზულებების სრულად გამოცემის ნებართვას. ►

**1873 მარტამდე**

დუშეთიდან ბაქოში მოკითხვის წერილს უგზავნის ცოლისდას, ეკატერინე გურამიშვილს. ►

**1873 1 მარტამდე**

გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი სთხოვს მისი თხზულებების სრულად გამოცემის ნებართვას, მაგრამ, რამდენადაც ასეთი შემოთავაზება უკვე ჰქონდა მიღებული ნიკო ნიკოლაძისგან, პასუხის გაცემაზე თავს იკავებს ნიკოლაძის პარიზიდან ჩამოსვლამდე. ►

**1873 1 მარტი**

წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში. ატყობინებს „გლახის ნაამბობის“ ბეჭდვის მდგომარეობას და თავისი ნაწერების გამოცემასთან დაკავშირებით მიღებულ შეთავაზებებს. ►

**1873 2 მარტამდე**

დუშეთის საზოგადოებაში ფულს აგროვებს შიმშილობისგან შევიწროებული ქიზიყელების დასახმარებლად და თავადაც დებს 10 მანეთს. თანხას ქიზიყელებისთვის გასაგზავნად აწვდიან „დროების“ რედაქციას. ►

**1873 8 მარტი**

დუშეთიდან ბაქოში წერილს უგზავნის მეუღლეს. უყვება დუშეთის ამბებს, თავის მოსაზრებებს სამომავლო გეგმებზე და ატყობინებს, რომ პარიზიდან 15 ნახატი გამოიწერა. ►

**1873 9 მარტის შემდეგ**

სერგეი მესხი წერილთან ერთად უგზავნის სარწყავი არხის გიორგი ანდრონიკაშვილისეულ პროექტს და სთხოვს მისწეროს მისი აზრი. გარდა ამისა რჩევას ეკითხება, ვის მიანდოს ქიზიყელებისთვის შეგროვებული ფულის დარიგება. ადრესანტი ილია ჭავჭავაძეს სთავაზობს თბილისში ჩასვლას და ლიტერატურული საღამოს გამართვაში მონაწილეობას. ►

**1873 14 მარტამდე**

დუშეთში მყოფ ილია ჭავჭავაძეს კირილე ლორთქიფანიძე კორექტურის გასაკეთებლად უგზავნს „გლახის ნაამბობის“ ამონაბეჭდს ჟურნალ „კრებულიდან“. ►

**1873 14 მარტი**

მის მიერ შემუშავებულ ბანკის პროექტს პეტერბურგში გზავნიან დასამტკიცებლად. ►

**1873 14 მარტი**

დუშეთიდან თბილისში კირილე ლორთქიფანიძეს სწერს, რა ადგილებია ჩასასწორებელი „გლახის ნაამბობში“ და სთხოვს თერგდალეულების მიერ 1870 წელს თბილისში დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკიდან (ე. წ. ივანოვის ბიბლიოთეკა) გაუგზავნოს რუსული წიგნები: „ფილოსოფია და მეცნიერება. „ნარკვევები თანამედროვე ევროპელი მწერლებიდან“ და „საყოველთაო აღწერა (გეოგრაფია)“. ►

**1873 16 მარტი**

დუშეთიდან ბაქოში მეუღლეს სწერს წერილს, რომლითაც ატყობინებს, რომ „გლახის ნაამბობი“ ჯერ არ დაბეჭდილა. ►

**1873 23 მარტამდე**

დუშეთიდან თბილისში საპასუხო წერილს უგზავნის სერგეი მესხს. უზიარებს თავის აზრს გიორგი ანდრონიკაშვილის პროექტთან დაკავშირებით, ურჩევს, ქიზიყელებისთვის ფულის დარიგება ვინმე ადგილობრივ პირს მიანდოს და ხელი მოაწერინოს ყველას, ვისაც თანხას გადასცემს. თბილისში ჩასვლასთან დაკავშირებით ატყობინებს, რომ სამსახურის გამო ვერ შეძლებს. ►

**1873 23 მარტი**

წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში. სწერს, რომ ძალიან უჭირს უმისობა. სთხოვს, თავის სიძეს - დიმიტრი სტაროსელსკის შეახსენოს, რომ მის ნაცნობ ბერძენს დასაქმებას დაჰპირდა. უყვება, რომ ქიზიყის მოშიშშილე მოსახლეობის დასახმარებლად ირაკლი გრუზინსკიმ საქველმოქმედო კონცერტი გამართა და ათასი მანეთი შეაგროვა. დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კონცერტში მონაწილეობა არ ითაკილა მარიამ (კაკო) ჭავჭავაძემ. წერს, რომ „ეხლანდელს ქონდრისკაცობაში და ზნეობით დავარდნილს დროში მაგისტანა საქმე კაი დედაკაცობად ჩაითვლება“. ►

**1873 31 მარტამდე**

ახალთაობის წარმომადგენლები: შაქრო მალალაშვილი, დიმიტრი ყაზბეგი, სერგეი მესხი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები საგანგებოდ ადიან მასთან დუშეთში იმის სათხოვნელად, რომ თბილისში დაბრუნდეს და სათავგეში ჩაუდგეს ქართულ მწერლობას. ►

**1873 31 მარტი**

დუშეთში იღებს მეუღლის წერილს და უგზავნის პასუხს. აცნობებს, რომ ბანკის პროექტი ადგილზე უკვე დამტკიცდა და გაიგზავნა პეტერბურგში და რომ იმავე დღეს აპირებს განცხადების შეტანას დუშეთიდან დათხოვნის შესახებ. ასევე უზიარებს თავის სიხარულს, რომ ბანკის საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ შეეძლება სახელმწიფო სამსახურისთვის თავის დანებება. ►

**1873 5-10 აპრილი**

ბანკის საქმეებზე იმყოფება თბილისში და თხოვნა შეაქვს საოლქო სასამართლოში სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. სტუმრად იწვევენ ოლლას მამიდაშვილის – ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის ოჯახში. ►

**1873 26 აპრილი**

დუშეთიდან ბაქოში წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ მის ადგილზე ალექსანდრე სავანელს ნიშნავენ, რაც ადგილობრივებს არ სიამოვნებთ. სწერს, რომ მოუთმენლად ელის სამსახურიდან დათხოვნის შეტყობინებას. წუხს, რომ ის პიროვნება, რომელსაც ოლლას მიერ მემკვიდრეობით მიღებული მოზღოვის მამულების საბუთები უნდა გაეფორმებინა, ამ საბუთებიანად სადღაც დაიკარგა. ►

**1873 26 აპრილი**

იღებს მეუღლის მიერ ბაქოდან გამოგზავნილ დეპეშას, იგებს, რომ ყველანი კარგად არიან და მშვიდდება, რადგან სამი კვირის განმავლობაში არ იცოდა მათი ამბავი. ►

**1873 26 აპრილის შემდეგ**

ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება „გლახის ნაამბობის“ დასაწყისი (I–IV თავები) და „აჩრდილის“ გაგრძელება (IV–VIII თავები), ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი გლეხური სიმღერები და ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი წერილი მაიკო ორბელიანისადმი, რომლებსაც წამდვარებული აქვს ილიასეული წინასიტყვაობა. ►

**1873 2 მაისი**

დუშეთიდან ბაქოში აღდგომის მისალოცად დეპეშას უგზავნის მეუღლეს და მისი დის ოჯახს. ►

**1873 4 მაისი**

ერთდროულად იღებს მეუღლის მიერ ბაქოდან გამოგზავნილ სამ წერილს და უგზავნის პასუხს. სწერს ქალაქში მისი ყოფნის ამბებს. უყვება, რომ რამდენიმე დღეა გამოსათხოვარ სადილებს უმართავენ, მაგრამ უმისოდ მოწყენილია. ►

**1873 10 მაისი**

იღებს თავისი ქვისლის - დიმიტრი სტაროსელსკის მიერ ბაქოდან გამოგზავნილ დეპეშას იმის თაობაზე, რომ მის ნაცნობ ბერძენს სამსახური უშოვნა. ►

**1873 11 მაისამდე**

იღებს თავისი დისშვილის - სიმონ აფხაზის წერილს და ფოტოს. იგებს, რომ კარგად სწავლობს და წასახალისებლად საპასუხო წერილთან ერთად ფულსაც უგზავნის. ►

**1873 11 მაისამდე**

თბილისში ვრცელდება ჭორი, თითქოს ილია ჭავჭავაძე აპირებს კენჭი იყაროს თავადაზნაურობის წინამძღოლად. ამიტომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ქალაქში არ ჩადის. ►

**1873 11 მაისი**

წერილს უგზავნის მეუღლეს დუშეთიდან ბაქოში. უხსნის, რომ მასაც ძალიან უმძიმს განშორება, მაგრამ მოთმინება ჰმართებთ. ატყობინებს, რომ თავადაზნაურთა წინამძღოლებად ერთის გარდა ისევ ძველი პირები აირჩიეს. მადლობას უთვლის თავის ქვისლ - დიმიტრი სტაროსელსკის მისი ნაცნობი ბერძენის დასაქმებისთვის. ►

- 1873 14 მაისი**  
საოლქო სასამართლოს ბრძანებით ათავისუფლებენ დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობისაგან. ►
- 1873 17 მაისი**  
წერილს უგზავნის მეუღლეს დუშეთიდან ბაქოში. აცნობებს, რომ როგორც კი გათავისუფლების შეტყობინება მიუვა, საქმეებს მის ადგილზე დანიშნულ ალექსანდრე სავანელს გადააბარებს, ორი დღით თბილისში ჩავა, შემდეგ ერთი კვირით კახეთში გაივლის და იქიდან ბაქოში ჩააკითხავს. ►
- 1873 23 მაისამდე**  
დუშეთის მაზრის უფროსის – ივანე ზუბალაშვილის ოჯახი საზღვარგარეთ მიემგზავრება და ილია ჭავჭავაძე მარტო რჩება მათ სახლში. ►
- 1873 23 მაისი**  
დუშეთიდან თბილისში წერილს უგზავნის თავის დას – ელისაბედს. სწერს, რომ მისი მოადგილის დუშეთში მისვლისთანავე გაემგზავრება თბილისში. ►
- 1873 24 მაისი**  
დუშეთის საზოგადოება უმართავს გამოსათხოვარ სადილს. სუფრასთან პლატონ იოსელიანი წარმოთქვამს სადღეგრძელოს, რომელშიც ეხება დუშეთის მაზრაში ილიას ცხრანლიან ნაყოფიერ მოღვაწეობას და მაღალ შეფასებას აძლევს მის ადამიანურ ღირსებებს. ►
- 1873 24 მაისი**  
დუშეთის მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე თავის შემცვლელად გაგზავნილ ალექსანდრე სავანელს აბარებს სასამართლო საქმეებს. ►
- 1873 25 მაისამდე**  
დუშეთის სამომრიგებლო განყოფილების თანამშრომლებთან და სხვა დუშელ მოხელეებთან ერთად იღებს ფოტოს. ►
- 1873 ივნისის შუა რიცხვებამდე**  
პეტერბურგში გამგზავრების წინ ჩადის ყვარელში და იწყებს სახლის მშენებლობის თადარიგს. ►
- 1873 ივნისის შუა რიცხვები**  
თსს ბანკის წესდების პროექტის დასამტკიცებლად და საბანკო საქმეში პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად, მის მიერ ბანკის დირექტორად არჩეულ დიმიტრი ყაზბეგთან ერთად მიემგზავრება რუსეთში. ►
- 1873 26 ივნისის შემდეგ**  
ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება „გლახის ნაამბობის“ VI-VIII და „აჩრდილის“ XI-XIV თავები. ►
- 1873 ივნისის ბოლომდე**  
ჩადის მოსკოვში, ბინავდება დიდი ბრონის შესახვევის 43 ნომერში და იწყებს ბანკის საქმეების მოგვარებას. ►



**1873 7 ივლისის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „კრებულის“ მესამე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება „გლახის ნაამბობის“ დასასრული (IX-XII თავები) და ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი გლეხური სიმღერები. ►

**1873 12 ივლისი**

წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან ბაქოში, რომლითაც ატყობინებს, რომ კარგად იმგზავრა და იმავე დღეს მიემგზავრება პეტერბურგში. სწერს, რომ ოლღას დისწულის – სიმონ სტაროსელსკის თაობაზე ელაპარაკა ლიცეუმის დირექტორ პავლე ლეონტიევს და მის მიღებაზე თანხმობა მიიღო. მასთან დაკავშირებითვე შეხვდა კონსტანტინე ზახაროვსაც, მაგრამ ელენე ბაგრატიონ-გრუზინსკი და მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელი ვერ ნახა, რადგან აგარაკებზე იყვნენ წასულები. ►

**1873 20 ივლისი**

თავისი ქვისლის, დიმიტრი სტაროსელსკისგან იღებს დეპეშას სახელობის დღის მილოცვით. ►

**1873 26 ივლისი**

პეტერბურგიდან ბრუნდება მოსკოვში. ►

**1873 28 ივლისამდე**

მოსკოვში ყოფნისას პეტროვსკის პარკში მდებარე შატო დე ფლერში ესწრება ფრანგული ტრუპის წარმოდგენას, მაგრამ უკმაყოფილო რჩება. ►

**1873 28 ივლისი**

წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან ბაქოში. ატყობინებს, რომ საბანკო საქმის შესასწავლად არცერთ ბანკში არ უშვებენ. სწერს, რომ ძალიან მოწყენილია მის გარეშე, მაგრამ ფიქრობს, რომ საზოგადო საქმისთვის პირადი მწუხარება უნდა დაითმინონ. სთხოვს, მის მიერ დატოვებული თანხის ნაწილი გაუგზავნოს. ►

**1873 3 აგვისტოს შემდეგ**

მოსკოვიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ვასილ მაჩაბელს. სთხოვს, რომ დიმიტრი ყაზბეგის მიერ მისთვის დატოვებული წიგნები სასწრაფოდ გაუგზავნოს. გარდა ამისა, უშოვოს და გაუგზავნოს საქმიანი მიმონერის ბლანკები და ფორმები. ►

**1873 აგვისტომდე**

მოსკოვიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ალექსანდრე მდივანს. ატყობინებს პეტერბურგის ბანკების ხელმძღვანელთა გვარებს და სთხოვს, ვლადიმერ ბარიატინსკის დახმარებით სარეკომენდაციო წერილები მოუპოვოს, რათა ბანკებმა პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა მისცენ. ►

**1873 3 აგვისტომდე**

საქმიანი ვიზიტით მიდის მოსკოვის ბანკის მმართველის მოვალეობის შემსრულებელ ვოლკოვთან, მაგრამ ვერ ითანხმებს ბანკის მუშაობის საქმეების გასაცნობად ნებართვის მიცემაზე. ►

**1873 3 აგვისტო**

წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან ბაქოში. ატყობინებს, რომ საბანკო საქმის შესწავლა ისევ ფერხდება. დაწვრილებით სწერს, რაში რა თანხა დახარჯა და სთხოვს ფულის გაგზავნას. უხსნის, რომ საქმის დაუმთავრებლად მისი რუსეთიდან დაბრუნება თავად ბანკსაც ავნებს და მის სახელსაც. ►

**1873 3 აგვისტო**

მოსკოვიდან პეტერბურგში წერილს უგზავნს ვასილ მაჩაბელს. სწერს, რომ საბანკო საქმეების გასაცნობად არცერთ ბანკში არ უშვებენ და სთხოვს, იქნებ ვინმესგან შუამდგომლობის მიღება შეძლოს. ►

**1873 14 აგვისტო**

კისლოვოდსკიდან იღებს თავისი დის – ელისაბედის ბარათს, რომლიდანაც იგებს, რომ უკეთ არის. ადრესანტი საყვედურობს წერილების მიუწერლობისთვის. ►

**1873 15 აგვისტო**

მოსკოვში იღებს მეუღლის მიერ ბაქოდან გაგზავნილ წერილს და სწერს პასუხს. უყვება, როგორ ცდილობს რომელიმე ბანკში შეღწევას საქმის პრაქტიკული მხარეების ასათვისებლად, მაგრამ ვერ ახერხებს. მასთან არის ოლღას დისშვილი სიმონ სტაროსელსკი, რომელიც ბაქოდან მოსკოვის ლიცეუმში გადაიყვანეს სასწავლებლად. ცდილობს მისთვის გუვერნანტი ქალის შოვნას. წუხს, რომ არაფერი იცის კახეთში სახლის მშენებლობისა და მოსავლის შესახებ. ►

**1873 18 აგვისტო**

მოსკოვიდან წერილს უგზავნის თავის დას – ელისაბედს და უამბობს, რა დაბრკოლებებს ნააწყდა რუსეთში. სთხოვს გირავნობის ბილეთის გამოხსნას და ხელახლა დაგირავებას. საჭიროების შემთხვევაში ურჩევს იასე ჭავჭავაძეს მიმართოს დახმარებისთვის. ►

**1873 19 აგვისტოს შემდეგ**

ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება „აჩრდილის“ XVII თავი, ლექსი „პარიჟი“ („1871 წელი 23 მაისი“) და ილიას მიერ შეკრებილი გლეხური სიმღერები. ჟურნალის ამავე ნომერში „სკანდელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ნიკო ნიკოლაძის ვრცელი წერილი „გლახის ნაამბობზე“. ►

**1873 21 აგვისტომდე**

წერილს სწერს თავის დას – ნინოს. ატყობინებს, რომ ბანკის საქმეების მოგვარება ჭიანურდება, რადგან ვერცერთ ბანკში ვერ შეაღწია საბანკო საქმის შესასწავლად. სთხოვს, რომ ყვარლის მამულის მოსავლიდან რამე გაყიდოს და ორასიოდე მანეთი გაუგზავნოს. ►

**1873 21 აგვისტო**

მოსკოვიდან პეტერბურგში წერილს უგზავნს ვასილ მაჩაბელს, უზიარებს სიხარულს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსულ ბანკებთან ურთიერთობის მოგვარების იმედი გაჩნდა და სთხოვს „დროების“ იმ ნომრის გაგზავნას, რომელშიც დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის სტატია „ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი და ბ. ლოლობერიძე“. აპირებს, ჩაერთოს ნიკოლაძისა და ბესარიონ ლოლობერიძის პოლემიკაში. ►

**1873 22 აგვისტო**

როგორც იქნა, ახერხებს მოსკოვის საკრედიტო საზოგადოებაში შეღწევას საბანკო საქმის შესასწავლად. ►

**1873 24 აგვისტო**

მოსკოვში იღებს ვასილ მაჩაბლისა და სანდრო ერისთავის ბარათებს და სარეკომენდაციო წერილებს მოსკოვის ბანკში დასაშვებად. ►

**1873 25 აგვისტო**

მოსკოვიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ვასილ მაჩაბელს. აცნობებს, რომ თავისი ქვისლის – დიმიტრი სტაროსელსკის მეგობარ კონსტანტინე ზახაროვის დახმარებით მოახერხა მოსკოვის საკრედიტო საზოგადოებაში შეღწევა საბანკო საქმის გასაცნობად. წერს, რომ შემდეგ პეტერბურგშიც მოუხდება ჩასვლა, სამინათმოქმედო კრედიტის საზოგადოებაში კონსულტაციების მისაღებად. ამავე ბარათში კიდევ რამდენიმე თხოვნით მიმართავს ადრესატს, რომლებიც შეეხება თადეოზ გურამიშვილის სასამართლო დავებს. ►

**1873 25 აგვისტო**

მოსკოვიდან ბაქოში მეუღლეს სწერს წერილს, რომლითაც აცნობებს, რომ ორ დღეში იწყებს საბანკო საქმის შესწავლას. წუხს, რომ წესდების დამტკიცებამდე მისი რუსეთში დარჩენა აუცილებელია. ►

**1873 30 აგვისტო**

სტუმრად არის მიწვეული გენერალ-ადიუტანტ ივან ლაზარევთან. ►

**1873 31 აგვისტო**

წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან ბაქოში, რომლითაც ატყობინებს, რომ ბანკის წესების შესწავლა უკვე დაიწყო. დილიდან ოთხ საათამდე ყოველდღიურად საკრედიტო საზოგადოებაშია და საქმის ნახევარი უკვე აითვისა. ასევე სწერს მისი დისწულის – სიმონ სტაროსელსკის ამბებს. ►

**1873 სექტემბრამდე**

ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება მისი შეკრებილი გლეხური სიმღერები და რაფიელ ერისთავის წერილი „ქართული სახალხო პოეზია“, რომლითაც იგი მიესალმა ილია ჭავჭავაძის მიერ წამოწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს – ფოლკლორული წყაროების გამოცემას. ►

**1873 1 სექტემბერი**

მოსკოვიდან პეტერბურგში წერილს სწერს ვასილ მაჩაბელს და სთხოვს, გაუგოს, გადაუგზავნა თუ არა დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიამ სახელმწიფო საბჭოს ილიას მიერ წარდგენილი ბანკის წესდება. ამას გარდა, სთხოვს იმის გარკვევასაც, მისცემს თუ არა პეტერბურგის სამინათმოქმედო კრედიტის საზოგადოება უფლებას, რომ გაიაროს კონსულტაციები საბანკო საქმესთან დაკავშირებით. ►

**1873 7 სექტემბერი**

საბანკო საქმიანობის შესასწავლად მიემგზავრება მოსკოვიდან პეტერბურგში, სადაც ბინავდება ქარავენის ქუჩის № 18-ის ბინა № 7-ში, მაგრამ ბანკის წესდების დამტკიცება უსაშველოდ ჭიანურდება. ►

**1873 8 სექტემბრის შემდეგ**

ცალკე წიგნად გამოდის რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“. ►

**1873 11 სექტემბერი**

ალექსანდრე ცაგარელი წარწერით უძღვნის თავის წიგნს „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“. ►

**1873 7-12 სექტემბერი**

ბინაზე აკითხავს გიორგი შერვაშიძე, რომელსაც მისი გაცნობა უნდა, მაგრამ შინ არ ხვდება. შემდეგ თავად ეწვევა. სტუმრად დადის პროფესორ დავით ჩუბინაშვილთან, ბარბარე ბაგრატიონთან, ივანე ორბელიანთან და ვლადიმერ ამილახვართან. ►

**1873 22 სექტემბრამდე**

პარიზში მყოფი სერგეი მესხი ფენევიდან იღებს მომავალი მეუღლის – ეკატერინე მელიქიშვილის წერილს, რომელშიც ის „გლახის ნაამბობს“ წარუმატებელ მოთხოობას უწოდებს. ►

**1873 22 სექტემბერი**

სერგეი მესხი პარიზიდან საპასუხო წერილს უგზავნის ფენევაში მყოფ მომავალ მეუღლეს – ეკატერინე მელიქიშვილს. სწერს, რომ „გლახის ნაამბობი“ ტყუილად არ მოსწონებია. მართალია, მთელი მოთხოობა ერთობ იდეალურია, არც ის მღვდელი და არც თვითონ გლახა არ ჩამოგავან რეალურად არსებულ მღვდლებსა და გლახებს და ერთობ ფანტაზიურია, მაგრამ რაც უნდა იყოს, მოთხოობაში „მშვენიერი ტენდენციები და კიდევ უფრო უმშვენიერესი ენაა“. ►

**1873 1 ოქტომბერი**

სადილს უმართავენ ქართველი კანვოელები. ყურადღებით კმაყოფილია, მაგრამ ზედმეტი ქება აწუხებს. ►

**1873 ოქტომბრის დასაწყისი**

ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება მის მიერ შეკრებილი გლეხური სიმღერები. ►

**1873 4 ოქტომბერი**

ერთდროულად იღებს მეუღლის ორ წერილს და მშვიდდება, რომ ყველანი კარგად არიან. ►

**1873 5 ოქტომბრამდე**

პეტერბურგში იღებს დის - ნინოს წერილს, რომლიდანაც იგებს რამდენიმე არასასიამოვნო სიახლეს: მისი ცხენები მოუპარავთ, ვენახი ნაცარს გაუფუჭებია და პურის მოსავალი ცოტა მოსვლიათ. ►

**1873 5 ოქტომბერი**

პეტერბურგიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. სწერს, რომ ძალიან ენატრება, უნდა, რომ გვერდით ჰყავდეს, მაგრამ ხარჭებს ვერ განვდება, რომ ისიც პეტერბურგში ჩაიყვანოს. ►

**1873 10 ოქტომბერი**

პეტერბურგიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ რევამ ანდრონიკაშვილი და ბანკის ზედამხედველი კომიტეტი დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან წესდების დამტკიცებას. გულდანწყვეტილია, რომ ამ საქმის მოსაგვარებლად პეტერბურგში მასთან ერთად ჩასული დავით ყიფიანი და დიმიტრი ყაზბეგი მალევე წავიდნენ და საქმე მხოლოდ მის იმედად დატოვეს. სწერს, რომ მიიღო დების მიერ გაგზავნილი თანხა. სთხოვს, კარდანახში ჩავიდეს და დაელოდოს. აინტერესებს, საწყენად ხომ არ დაურჩათ ოლღას დას და სიძეს, რაც მათი ვაჟის - სიმონის თაობაზე მისწერა. თვლის, რომ უფლება არ ჰქონდა, მშობლებისათვის სიმართლე დაემალა. ►



**1873 ოქტომბრამდე**

პეტერბურგში ეცნობა უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტ ივანე მაჩაბელს და მასთან ერთად იწყებს შექსპირის „მეფე ლირის“ ქართულად თარგმნას. ასევე იწყებს ინგლისური ენის სწავლას. ►

**1873 12 ოქტომბერი**

გაზეთ „დროებაში“, თარიღით „პეტერბურგი 21 სექტემბერს“ იბეჭდება ვასილ მაჩაბლის კორესპონდენცია. მასში ნათქვამია, რომ თბილისის ბანკის წესდებას მინისტრი მალე წარადგენს დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოში. აქვე არის ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები თოთხმეტმარცვლიანი ურითმო ლექსით დედნიდან თარგმნიან შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირს“ და პირველ ნაწილს მალე გაუგზავნიან გამოსაცემად ჟურნალ „კრებულს“. ►

**1873 15 ოქტომბერი**

პეტერბურგიდან წერილს უგზავნის დას – ელისაბედს. ატყობინებს, რომ მიიღო მის მიერ გაგზავნილი თანხა. ასევე, მადლობას უხდის ბანკის ბილეთების დროული დახსნისთვის. ►

**1873 22 ოქტომბერი**

პეტერბურგში ერთბაშად იღებს მეუღლის სამ ბარათს. იგებს, რომ ლექსანდრე საგინაშვილს ვერ მოუხერხებია ოლღას კარდანახში წაყვანა და ის ჭერ კიდევ ბაქოშია. ►

**1873 23 ოქტომბერი**

პეტერბურგიდან საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს და მადლობას უხდის თანადგომისთვის, რომელიც ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვაში ეხმარება. მისი აზრით სიღარიბე ბრძოლაა, სიმდიდრე კი განცხრომა და უმოქმედობა, რომელიც ადამიანს საფლავშიაც ეყოფა. აცნობებს, რომ ბანკის მოხელეები უქრთამოდ საქმეს არ აკეთებენ და წესდების დამტკიცება ჭიანჭურდება. ამის გამო აპირებს, თავაზიანი თხოვნიდან „ჩხუბზე“ გადავიდეს. ►

**1873 3 ნოემბერი**

იღებს მეუღლის ბარათს და იგებს, რომ კასპიის ზღვაზე მიმოსვლის შეჩერების გამო ერთი თვეა ოლღას მისგან წერილი არ მიუღია და ნერვიულობს. ►

**1873 7 სექტემბრიდან 6 ნოემბრამდე**

წერილს სწერს პეტერბურგიდან პეტრე უმიკაშვილს. ეკითხება აზრს „მეფე ლირის“ თარგმანთან დაკავშირებით და ახარებს, რომ სწორედ იმ დღეს მორჩნენ მეორე მოქმედების თარგმნას. ►

**1873 6 ნოემბრამდე**

ივანე მაჩაბელთან ერთად ამთავრებს შექსპირის „მეფე ლირის“ მეორე მოქმედების თარგმნას. ►

**1873 6 ნოემბრამდე**

პეტერბურგში მყოფს ფული უთავდება და სესხულობს ალექსანდრე ერისთავისგან. ►



**1873 6 ნოემბერი**

მიდის ფინანსთა სამინისტროში ბანკის წესდების დამტკიცების ამბის გასაგებად, მაგრამ არავითარი სიახლე არ არის. ►

**1873 6 ნოემბერი**

საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს. სწერს, რომ წესდების დამტკიცება ისევ ჭიანჭურდება, მაგრამ რაკი ხელი მოჰკიდა, საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს. სთხოვს, როცა კარდანახში ჩავა, დანვრილებით მისწეროს, როგორ მიდის მათი სახლის მშენებლობის სამზადისი. ►

**1873 10 ნოემბერი**

იღებს მეუღლის ბარათს, რომლიდანაც იგებს, რომ ჯერ კიდევ ვერ გაემგზავრა კახეთში. ►

**1873 12 ნოემბერი**

საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ ხელმწიფემ ფინანსთა მინისტრს მათი საქმის სახელმწიფო საბჭოში გადაგზავნის ნება მისცა და წარდგინება მზადდება. სწერს, რომ ფული უთავდება და ელის ალექსანდრე ერისთავის დანაპირებ 300 მანეთს, რომელიც თბილისში ჩასვლისთანავე უნდა გაეგზავნა. საყვედურს გამოთქვამს დების მისამართით, რომლებიც თავიანთ ამბავს არ ატყობინებენ. ►

**1873 20 ნოემბრამდე**

სტუმრად დადის პეტერბურგში მცხოვრებ ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისასთან და ივანე ორბელიანთან. ►

**1873 20 ნოემბერი**

წერილს უგზავნის მეუღლეს პეტერბურგიდან და ატყობინებს, რომ წესდება პირველ იანვრამდე წარედგინება სახელმწიფო საბჭოს. შეწუხებულია ცხენების, განსაკუთრებით კი მისი საყვარელი „მიშკას“, დაკარგვით. ►

**1873 ნოემბერი**

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ ქვეყნდება ლექსები: „ჩიტი“, „გაზაფხული“, „არაგვი“ და „მძინარე ყმანვილს“, ასევე „აჩრდილის“ V თავი და „ქიზიყელის“ ფესვდონიმი, ნაწყვეტი პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ►

**1873 3 დეკემბერი**

წერილს უგზავნის მეუღლეს პეტერბურგიდან. ატყობინებს, რომ არ იცოდა მისი კარდანახში წასვლის შესახებ და წინა ბარათი ისევ ბაქოში გაუგზავნა. გული სწყდება, რომ არ შეუძლია მასთან ერთად დატკბეს ალაზნის ველის მშვენიერებით. გამოთქვამს იმედს, რომ იანვარში მაინც მოახერხებს ჩაკითხვას. ►

**1873 6 დეკემბრის შემდეგ**

პეტერბურგიდან პეტრე უმიკაშვილს უგზავნის ნიკო ნიკოლაძისათვის გადასაცემ წერილს. ეს არის გამოხმაურება ნიკოლაძის სტატიაზე „მშვიდობით, მშვიდობით“. ილია ჭავჭავაძე ცდილობს, გადააფიქრებინოს მას სამშობლოს დატოვება და საზოგადოებრივ საქმიანობაზე ხელის აღება. ►

**1873 15 დეკემბერი**

პეტერბურგში მყოფი ილია ჭავჭავაძე დას, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილს ატყობინებს, რომ ოლლა კარდანახშია, რადგან ბაქოში ყოფნა მოსწყინდა. სწერს, რომ საქმეები გამომგზავრების ნებას არ აძლევს, თუმცა იმედი აქვს, რომ იანვარში აუცილებლად დაბრუნდება. ►

**1873 19 დეკემბრამდე**

იღებს რევამ ანდრონიკაშვილის დეპეშას და იგებს, რომ ბანკის ზედამხედველ კომიტეტს მისთვის თანხა და წერილი გაუგზავნია. ►

**1873 19 დეკემბრამდე**

გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძის მიწვევით, მის ოჯახში საჯაროდ კითხულობს ივანე მაჩაბლისა და მის მიერ თარგმნილ „მეფე ლირს“. დამსწრენი აღფრთოვანებული არიან. გადაწყვეტს, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სცენაზეც დადგას. ►

**1873 19 დეკემბერი**

წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან. უყვება „მეფე ლირის“ საჯარო კითხვის ამბავს. გული სწყდება, რომ უფულობის გამო ოლლას თან წაყვანა ვერ შეძლო და დიდი ხნით განშორება მოუხდათ. ►

**1873 26 დეკემბრამდე**

მეუღლისაგან იღებს წერილს და იგებს, რომ ოლლას ექვსი კვირის მანძილზე მისი არცერთი ბარათი არ მიუღია. ►

**1873 26 დეკემბერი**

საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან და სწერს, რომ წერილებს სიღნაღში უგზავნიდა. ასევე აცნობებს, რომ წესდების საქმე ისევ ჭიანურდება და, სავარაუდოდ, პირველ იანვარს წარადგენენ სახელმწიფო საბჭოში. იმედს გამოთქვამს, რომ ახალი წლიდან ბოლო მოეღება მათ განშორებას. ►

**1873 28 დეკემბერი**

გაზეთ „დროებაში“ „ჩვენ უჩინონის“ ხელმოწერით ბეჭდავს სტატიას „უფ. სკანდელის გადაწყვეტილების საპასუხოდ“. ►

**1873** პეტერბურგში ვასო მაჩაბელთან სტუმრობისას, ჭადრაკის თამაშის დროს უღებენ ფოტოს. ►

**1873** პარიზში გამომავალ ქართულ გაზეთ „დროშას“ ნიკო ნიკოლაძე ეპიგრაფად აწერს ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: „თუმცა აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. ►

**1874 1 იანვარი**

ივანე მაჩაბელთან ერთად ამთავრებს „მეფე ლირის“ თარგმნას. ►

**1874 2 იანვრამდე**

იღებს მეუღლის ბარათს და იგებს, რომ ოლლას მისი წერილოები ოქტომბრის შემდეგ არ მიუღია. ►

**1874 2 იანვარი**

მეუღლეს და თავისი დის, ნინოს ოჯახს ბარათით ულოცავს დამდეგ დღესასწაულებს. წუხს, რომ ოლღას მისი წერილები არ მისდის. სთხოვს, ყურადღება არ მოაკლოს ყვარლის სახლის მშენებლობას, რათა მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ იქ ცხოვრება შეძლოს. ►

**1874 6 იანვარი**

მიდის ფინანსთა სამინისტროში თსს ბანკის წესდების დამტკიცების ამბის გასაგებად, მაგრამ დოკუმენტის გადაგზავნა სახელმწიფო საბჭოში ისევ ყოვნდება. ►

**1874 7 იანვარი**

იღებს წერილს მეუღლისგან, რომლისთვისაც უთქვამთ, თითქოს ბანკის წესება დაამტკიცეს და ულოცავს. სწერს, რომ ხელოსანმა კარ-ფანჯარა უხარისხოდ გააკეთა. ასევე ატყობინებს, რომ მისმა სიძემ - ნიკოლოზ აფხაზმა დაკარგული ცხენის კვალს მიაგნო, მაგრამ ერიდება, რომ ახალ პატრონს დაბრუნება მოსთხოვოს. ►

**1874 8 იანვარი**

საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს და აცნობებს, რომ წესდების დამტკიცების ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება. უხარისხო ფანჯრებთან დაკავშირებით ურჩევს, რომ ხელოსნისგან სამუშაო არ ჩაიბაროს, სანამ რიგიანად არ გააკეთებს; სთხოვს, მისმა სიძემ - ნიკოლოზ აფხაზმა მოურავს მის მიერ დატოვებული მინდობილობა გამოართვას და ცხენის თაობაზე საჩივარი შეიტანოს. დებს უთვლის, რომ თავიანთი ამბავი გააგებინონ. ►

**1874 13 იანვარი**

იღებს დის, ელისაბედისა და სიძის - ალექსანდრე საგინაშვილის წერილს. ►

**1874 15 იანვარი**

წერილს უგზავნის მეუღლეს და აცნობებს, რომ წესდება ჯერაც არ წარუდგენიათ სახელმწიფო საბჭოში. წუხს ყვარლის სახლზე, სთხოვს, როგორმე მოიცალოს და საკუთარი თვალით ნახოს, რა მდგომარეობაშია. სთხოვს, შეატყობინოს, როდის გადანყვეტს გამგზავრებას. ►

**1874 23 იანვარი**

წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან. აინტერესებს, შეძლო თუ არა ყვარელში წასვლა და სახლის დათვალიერება. სწერს, რომ ბანკის საქმე ისევ ერთ ადგილზეა გაჩერებული. ►

**1874 29 იანვარი**

არკვევს, რომ ბანკის წესდების დამტკიცებას ფინანსთა მინისტრის მოადგილე აფერხებს. მინისტრ მიხეილ რეიტერნს სთხოვს, რომ საქმესაკრედიტო კანცელარიის დირექტორს გადასცენ და თანხმობას იღებს. ►

**1874 31 იანვარი**

გარკვეული წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ ხერხდება გუბერნატორის თანხმობის მიღება, რომ თბილისის საზამთრო თეატრში კირილე ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით წარმოადგინონ ილია ჭავჭავაძის პიესა „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან“. ►

**1874 1 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია თბილისის თეატრში წინა დღით წარმოდგენილი პიესის „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან“ შესახებ. ►

**1874 4 თებერვლამდე**

იღებს თავისი დის - ნინოს წერილს კარდანახიდან. ►

**1874 4 თებერვალი**

ბანკის წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით ხვდება საკრედიტო კანცელარიის დირექტორ ალექსეი ციმენს და დაწვრილებით განუმარტავს წესდების მუხლებს. ►

**1874 4 თებერვალი**

მოსკოვიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. დაწვრილებით აცნობებს ბანკის ამბებს. სწერს, რომ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ქრთამი ჰქონდა აღებული სლევკოვის წესდების დამტკიცებაში და ამიტომ არ უნდოდა თბილისის ბანკის წესდებისთვისაც მიეცა მსვლელობა. აიძულებს, რომ ერთ-ორ კვირაში დოკუმენტი სახელმწიფო საჭოს წარედგინება. ინტერესდება ყვარლის სახლის ამბებით. სთხოვს, ძალ-ღონე არ დაიშუროს, რათა სამშენებლო მასალა თავმოყრილი დაახვედროს. ჰპირდება, რომ ჩამოსვლის შემდეგ პირადად წაუკითხავს ახლად თარგმნილ „მეფე ლირს“. ►

**1874 10 თებერვალი**

მოსკოვიდან თბილისში გზავნის დეპეშას, რომლითაც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ რევაზ ანდრონიკაშვილს ატყობინებს, რომ წესდების წარდგენა დანიშნულია 18 თებერვლამდე. ►

**1874 11 თებერვალი**

მოსკოვის ბაღში თვალს ადევნებს სადღესასწაულო ცერემონიას, რომელიც ეძღვნება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის ქალიშვილის – მარია ალექსანდრეს ასულ რომანოვას ქორწინებას დიდი ბრიტანეთის უფლისწულ ალფრედ-ერნსტ-ალბერტზე. ►

**1874 17 თებერვალი**

ერთად იღებს მეუღლის ორ წერილს და იგებს ყვარლის სახლის გაქურდვის ამბავს. ►

**1874 17 თებერვალი**

პეტერბურგში მასთან სტუმრად მიდის გარდაცვლილი ძმის - კონსტანტინეს ვაჟი სიმონ ჭავჭავაძე, რომელიც იუნკერთა სასწავლებელში აპირებს შესვლას. ძმისწულის არჩევანი არ მოსწონს და გულწრფელად ეუბნება, მაგრამ მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ გადააფიქრებინებს. ►

**1874 18 თებერვალი**

პეტერბურგიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. უკმაყოფილებას გამოთქვამს მოურავ პეტრე დუდაურსა და ნათესავ გიორგი ჭავჭავაძეზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდნენ მისი სახლ-კარის გაქურდვაში. უყვება ბანკთან დაკავშირებულ ამბებს და გამოთქვამს რწმენას, რომ სააღდგომოდ შინ იქნება. სწერს, რომ შავი ზღვით გაემგზავრება და ქუთაისის გავლით ჩავა კარდანახში. ►

- 1874 26 თებერვლამდე**  
მეუღლისაგან იღებს წერილს და იგებს, რომ მოურავ პეტრე დუდაურს მათი ყვარლის სახლი გაუძარცვავს. წუხს, რომ ღვინო მხოლოდ ოთხი ურემი მოსვლიათ. ►
- 1874 26 თებერვალი**  
წერილს უგზავნის მეუღლეს. კვლავ ინტერესდება ყვარლის სახლის მდგომარეობით და წუხილს გამოთქვამს მოსავლის სიმცირის გამო. დაწვრილებით მოუთხრობს, როგორ ვითარდება ბანკის წესდების დამტკიცების საქმე. უკვე ეჭვი აღარ ეპარება, რომ მათი ხანგრძლივი განშორება მალე დასრულდება. ►
- 1874 8 მარტი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა დაასრულეს შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირის“ თარგმნა და რომ მისი პირველი მოქმედება დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“. ►
- 1874 8 მარტის შემდეგ**  
ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება შექსპირის „მეფე ლირის“ პირველი მოქმედების მისი და ივანე მაჩაბლისეული თარგმანი. ►
- 1874 10 მარტი**  
იღებს მეუღლის მიერ 23 თებერვალს გაგზავნილ წერილს, რომელშიც საყვედურებია გამოთქმული მის მიმართ. ►
- 1874 11 მარტი**  
საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს. ცდილობს, აუხსნას, რომ ტყულად სდებს ბრალს უყურადღებობაში. არწმუნებს, რომ მარტის ბოლოს ან აპრილის პირველ რიცხვებში გაემგზავრება, 15 აპრილისთვის თბილისში იქნება და 4–5 დღეში გაემშურება კარდანახისაკენ. ►
- 1874 19 მარტამდე**  
იღებს მეუღლის წერილს. საყვედურობს, რომ არ გაუგზავნა თავისი ფოტოსურათი და “მეფე ლირის“ თარგმანი. ►
- 1874 19 მარტამდე**  
იღებს ცოლისდის - ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას წერილს, რომელშიც ადრესანტი საყვედურობს მეუღლისადმი უყურადღებობის გამო. ►
- 1874 19 მარტი**  
პეტერბურგიდან კარდანახში წერილს უგზავნის მეუღლეს. მოთმინებით უხსნის, რომ მისი საყვედურები არ დაუმსახურებია. ოღლა სწერდა, რომ სურათი გადაეღო და მისთვის ჩაეტანა, შემდეგ კი ეწყინა, რატომ არ გამომიგზავნეო. რაც შეეხება “მეფე ლირის“ თარგმანს, ტექსტის დიდი მოცულობის გამო შეუძლებელი იყო მისი გადაწერა და გაგზავნა. მიუხედავად უსაფუძვლო საყვედურებისა, მეუღლეს სწერს, რომ მასზე ნაწყენი არ არის და მოუთმენლად ელის შინ დაბრუნებას. ►
- 1874 3 აპრილამდე**  
მოემგზავრება პეტერბურგიდან საქართველოში. ►



**1874 18 აპრილი**

პეტერბურგიდან ზღვით წამოსული, ქუთაისში გზად გავლის დროს, ლიტერატურულ საღამოზე, რომელსაც ორმოცამდე ადამიანი ესწრება, კითხულობს „მგზავრის წერილებს“ და „მეფე ლირის“ თარგმანს. მსმენელები აღფრთოვანებული არიან. ►

**1874 26 აპრილი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია 18 აპრილს ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ საღამოში მისი მონაწილეობის შესახებ. ►

**1874 აპრილის ბოლო**

აკითხავს მეუღლეს კარდანახში და მიდიან ყვარელში. ►

**1874 28 მაისი**

ილია ჭავჭავაძის დიდი ძალისხმევით შედეგად ამტკიცებენ თსს ბანკის წესდებას, რომელიც ძალაში შედის ივნისიდან. ►

**1874 15 ივნისამდე**

ჟურნალ „კრებულს“ დასაბეჭდად გადასცემს „მეფე ლირის“ თარგმანის დარჩენილ ნაწილს. ►

**1874 15 ივნისი**

თბილისიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ვასილ მაჩაბელს, საყვედურობს, რომ ბანკის წესდების ამბებს მის ნაცვლად სხვებისგან იგებს. სთხოვს, დაუზუსტოს და გარკვევით მისწეროს, წესდება რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა, თუ არა. ►

**1874 12 ივლისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლისა და სხვა მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ლექსები. ►

**1874 15 ივლისი**

თბილისში კონსტანტინე ბებუთაშვილის სახლში იმართება შეხვედრა, რომელსაც ესწრება ოცდაათამდე ადამიანი და ილია ჭავჭავაძე კითხულობს ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნილ „მეფე ლირს“. ►

**1874 19 ივლისი**

კონსტანტინე ბებუთაშვილი წერილს სწერს ნიკო ნიკოლაძეს პარიზში და უყვება „მეფე ლირის“ საჯარო კითხვის ამბავს, რომელიც მის სახლში გაიმართა. იგი თარგმანს ბრწყინვალეს უწოდებს და იმედს გამოთქვამს, რომ ზამთარში სცენაზეც დაიდგმება. ►

**1874 აგვისტოს ბოლო**

ყვარლიდან ბრუნდება თბილისში. ►

**1874 სექტემბრამდე**

იაკობ გოგებაშვილი კირილე ლორთქიფანიძეს სწერს, რომ საგანგებოდ გადააწერინა საყმაწვილო რუსული ლექსები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისთვის გასაგზავნად, რომ მათ ეთარგმნათ ქართულად. იქვე სწერს, რომ არ იცის მათი მისამართები და სთხოვს, მისწეროს. ►

- 1874 1 სექტემბერი**  
 მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრების მუშაობაში. დამსწრეთ აცნობს თსს ბანკის წესდების დამტკიცებისა და ზედამხედველი კომიტეტის მიერ განეული მუშაობის დეტალებს. წინადადება შეაქვს, თსს ბანკის მმართველობის ხარჯები შემცირდეს გამგებლისა და დირექტორების ხელფასების ხარჯზე. ირჩევენ ბანკის ზედამხედველ კომიტეტს. კრებაზე ხვდება სიმამრს – თადეოზ გურამიშვილს. ►
- 1874 2 სექტემბერი**  
 წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს ბანკის ზედამხედველი კომიტეტის არჩევნებისა და კრებაზე მამამისთან შეხვედრის ამბავს. ►
- 1874 2 სექტემბერი**  
 სტუმრად მიდის სიმამართან – თადეოზ გურამიშვილთან. ►
- 1874 4 სექტემბერი**  
 მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებაში. მხარს უჭერს კონსტანტინე ბებუთაშვილის წინადადებას, რომ თსს ბანკის წევრებად უნდა მიიღონ მხოლოდ მემამულეები და არა ქალაქის სახლის მეპატრონეები. ეს წინადადება ხმათა უმრავლესობით იმარჯვებს. ►
- 1874 5 სექტემბერი**  
 თსს ბანკის კრებაზე 138 ხმით 12-ის წინააღმდეგ ირჩევენ მის მმართველად. ►
- 1874 6 სექტემბერი**  
 გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სტატია „თბილისის აზნაურობის საგანგებო კრება ბანკის საქმეზე“, რომელშიც საუბარია არჩევნების მიმდინარეობასა და ბანკის მმართველად მის არჩევაზე. ►
- 1874 6 სექტემბერი**  
 თბილისიდან ყვარელში წერილს და თანხას უგზავნის მეუღლეს. აცნობებს, რომ ის ბანკის მმართველად აირჩიეს, სანდრო ერისთავი და ალექსანდრე ჩოლოყაშვილი კი – დირექტორებად. ►
- 1874 16 სექტემბერი**  
 თბილისიდან ყვარელში წერილს და თანხას უგზავნის მეუღლეს. სწერს, რომ ქალაქში ბანკის საქმეების გამო შეყოვნდა. სთხოვს, მის ჩასვლამდე ქვევრები დააარეცხინოს. ►
- 1874 19 სექტემბერი**  
 თბილისიდან მიდის თიანეთში მამულების გაყოფაზე დასასწრებად. ►
- 1874 23 სექტემბრის შემდეგ**  
 თიანეთში ესწრება მამულების გაყოფას. ►
- 1874 სექტემბრის ბოლო**  
 ჩადის მეუღლესთან ყვარელში. ►

**1874 30 ოქტომბერი**

ბარათით აცნობებს მეუღლეს, რომ პეტერბურგში ზღვით გაემგზავრება. უგზავნის 290 მანეთს, უხსნის, ვის რამდენი უნდა მისცეს და სახარჯოდ რამდენი დაიტოვოს. დარიგებებს აძლევს მეურნეობასთან დაკავშირებით. ►

**1874 31 ოქტომბერი**

გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ თსს ბანკის დაარსებასა და ამ საქმეში ილია ჭავჭავაძის როლის შესახებ იბეჭდება ნიკო ნიკოლაძის სტატია „წერილები იმ ქვეყნიდან“. ►

**1874 1 ნოემბერი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია („თბილისის თავადაზნაურობის საადგილმამულო ბანკის...“) ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ჩოლოყაშვილის პეტერბურგში გამგზავრებისა და იქ მოსაგვარებელი საქმეების შესახებ. ►

**1874 2 ნოემბერი**

ზღვით მიემგზავრება პეტერბურგში. ►

**1874 5 ნოემბერი**

ჩადის ოდესაში და ზღვით მგზავრობის გამო ორი დღე კიდევ ცუდად გრძნობს თავს. ►

**1874 7 ნოემბერი**

ოდესის გავლით ჩადის მოსკოვში და იმავე დღეს უგზავნის წერილს მეუღლეს ყვარელში. სწერს, რომ ზღვით მგზავრობა გაუჭირდა. აძლევს დარიგებებს მეურნეობასთან დაკავშირებით. ვარაუდობს, რომ დეკემბერში დაბრუნდება. ►

**1874 8 ნოემბერი**

აპირებს მოსკოვიდან პეტერბურგში გამგზავრებას, მაგრამ იბარებენ პოლტავაში. ►

**1874 19 ნოემბრამდე**

ბანკის საქმეებზე ექვსი დღე იმყოფება პოლტავაში, მაგრამ ვერაფერს აგვარებს. ეცნობა ადგილობრივ ქართველთა სათვისტომოს. ►

**1874 19 ნოემბრამდე**

ფიქრობს, რომ მისი მეუღლე კარდანახშია. ამიტომ დეპეშას და თანხას იქ უგზავნის. ►

**1874 19 ნოემბერი**

მეუღლისგან იღებს წერილს და იგებს, რომ კარდანახში არ წასულა. ►

**1874 19 ნოემბერი**

საპასაუხო წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს პოლტავაში ყოფნისა და უშედეგო მოლაპარაკებების ამბავს. დისწულ გიგო აფხაზს, რომელიც იმ დროს ყვარლის მამულის მოურავად ჰყავდა, აძლევს დარიგებებს მეურნეობასთან დაკავშირებით. ►

- 1874 14 დეკემბერი**  
წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან. ატყობინებს, რომ წინა კვირას აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ საქმე კვლავ შეფერხდა. სწერს, რომ სტუმრად ჰყავს სიმონ სტაროსელსკი. ►
- 1874 15 დეკემბერი**  
ბარათს იღებს მეუღლისაგან. სწერს, რომ მშვიდობით იმგზავრა კახეთამდე და რომ ღვინის მოსავალი კარგი აქვთ. ►
- 1874 15 დეკემბერი**  
წერილს უგზავნის მეუღლეს მოსკოვიდან და ატყობინებს, რომ გაახარა მისმა ბარათმა. სთხოვს, სახლის ასაშენებელი მასალა თავმოყრილი დაახვედროს. ►
- 1874 22 დეკემბერი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს – რევამ ანდრონიკაშვილს პეტერბურგიდან წერილობით ატყობინებს, რომ შეთანხმება შედგა და ორშაბათს, როგორც კი დოკუმენტები გაფორმდება, აპირებს გამომგზავრებას. ითხოვს 250 მანეთის გადარიცხვას პორტრეტების, გაზეთებისა და წიგნების შესაძენად. სთავაზობს, რომ კრება მოიწვიონ 28 იანვარს. ►
- 1874 23 დეკემბერი**  
კიდევ ერთხელ წერილობით ატყობინებს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს რევამ ანდრონიკაშვილს, რომ რუსეთის შიდა ვაჭრობის ბანკთან შეთანხმება შედგა. ასევე შეახსენებს, რომ ელის თანხას. ►
- 1874 26 დეკემბერი**  
პეტერბურგის თავადაზნაურთა ბანკის გამგეობასა და საგარეო ვაჭრობის ბანკთან დებს ხელშეკრულებებს, რომელთა ძალითაც ისინი მიიღებენ თბილისის ბანკის გირაოს ფურცლებს 6 %-იანი სარგებლით. ►
- 1874** ალექსანდრე როინაშვილის ფოტოატელიეში იღებს ინდივიდუალურ ფოტოს. ►
- 1874-** უბის წიგნაკში იწერს, რომ 1874 წელს ბანკის დამაარსებელი იყო 390 კაცი და  
**დან** აკონკრეტებს, რამდენმა მათგანმა რა თანხა შეიტანა. ►
- 1874-** უბის წიგნაკში იწერს, ვის რა თანხა მისცა და ვისგან რამდენი მიიღო.  
**დან** ►
- 1875 1 იანვარი**  
გაზეთი „დროება“ წერილით „რედაქციისაგან“ მკითხველებს აცნობებს, რომ ილია ჭავჭავაძე გაზეთს შეჰპირდა თავისი ახალი ნაწარმოების გადაცემას დასაბეჭდად. აქვე ქვეყნდება ცნობა თსს ბანკის 15 იანვრისათვის გახსნისა და ამ დროისათვის მისი პეტერბურგიდან დაბრუნების მოლოდინის შესახებ. ►
- 1875 6 იანვარი**  
გარდაეცვალა სიმამრი – თადეოზ გურამიშვილი. დასაფლავებას ვერ ესწრება, რადგან პეტერბურგში იმყოფება. ►
- 1875 28 იანვრამდე**  
ბრუნდება პეტერბურგიდან თბილისში. ►

- 1875 28 იანვარი**  
 თსს ბანკის დამფუძნებელთა კრებაზე აქტიურ მონაწილეობას იღებს წესდების საკითხთა განხილვაში. ►
- 1875 30 იანვარი**  
 მონაწილეობს თსს ბანკის დამფუძნებელთა კრებაში, რომელზეც განიხილავენ საწევრო გადასახადების და ბანკის წევრად მიღების საკითხებს. ►
- 1875 3 თებერვალი**  
 მონაწილეობს ბანკის დამფუძნებელთა შეკრებაში და გამოდის საპროგრამო სიტყვით, რომელშიც აყალიბებს საბანკო საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებს. ►
- 1875 5 თებერვალი**  
 გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება 3 თებერვალს ბანკის დამფუძნებელთა კრებაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა და ბანკის საქმიანობის ანგარიში. ►
- 1875 13 თებერვალი**  
 თბილისში სოლოლაკის (ამჟამად გიორგი ლეონიძის) ქუჩაზე ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მუშაობას იწყებს თსს ბანკი. ►
- 1875 19 თებერვალი**  
 გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს სესხის გაცემის პირობებს, რომელშიც დაწვრილებით არის განმარტებული ყველა დეტალი. ►
- 1875 19 თებერვლის შემდეგ**  
 ილია წინამძღვრიშვილს უგზავნის მოკლე ბარათს. უკმაყოფილებას გამოთქვამს ბანკში თანხის დროულად შეუტანლობის გამო და სთხოვს, სასწრაფოდ მოაგვაროს ეს საქმე. ►
- 1875 20 თებერვალი**  
 თბილისიდან ბაქოში უკანასკნელ 40 მანეთს და წერილს უგზავნის მეუღლეს. სთხოვს, მალე დაბრუნდეს, რადგან მის გარეშე ყოფნა ემძიმება. ►
- 1875 22 თებერვალი**  
 გაზეთებში მისი და სხვათა ხელმოწერით იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1876 წლის პირველი იანვრისათვის. ►
- 1875 25 თებერვალი**  
 თბილისიდან ბაქოში წერილს უგზავნის ცოლისდას – ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას. სწერს თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი მეორე მეუღლის, მარიამ დიასამიძისა და შვილების მიერ წამოწყებულ სამემკვიდრო დავაზე. ატყობინებს, რომ მოითხოვა თადეოზის შვილების, ბალიკოსა და ცაცოს, ფსიქიური მდგომარეობის შემოწმება. ►
- 1875 26 თებერვალი**  
 წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში. უყვება თბილისის ბინის რემონტისა და ოთახების კეთილმოწყობის ამბავს. აცნობებს, რომ მომდევნო დღეს საგურამოში აპირებს ასვლას. ►



**1875 27 თებერვალი**

ადის საგურამოში სახლ-კარის დასახედად და მოსავლის დასახედად. ►

**1875 4 მარტამდე**

საგურამოში იღებს გაყიდული ღვინის თანხას და ურიგებს მოჭამაგირეებს. ►

**1875 4 მარტი**

საგურამოდან წერილს უგზავნის ბაქოში მყოფ მეუღლეს და ატყობინებს მამისეული კარ-მიდამოს მდგომარეობის ამბავს. გულნატკენია იმით, რომ თადეოზ გურამიშვილის ქვრივი მარიამ დიასამიძე ცდილობს მთელ ქონებას დაეპატრონოს და გერებს, ოლლასა და ეკატერინეს, არაფერი დაუტოვოს. სთხოვს, რომ მალე დაბრუნდეს. ►

**1875 10 მარტი**

წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან ბაქოში. ულოცავს დისშვილის შეძენას. სთხოვს, წაიკითხოს „ტიფლისსკი ვესტნიკში“ „გლუხარიჩის“ (დავით ერისთავის) კრიტიკა მის შესახებ. სთხოვს, არ აღელდეს და შეეჩვიოს მის შესახებ როგორც კარგის, ისე ავის მშვიდად მოსმენას. ►

**1875 15 მარტამდე**

თბილისშია და იღებს ვასილ მაჩაბლის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილს, რომელშიც საყვედურობს, რომ ტყუილად აწარმოებინა მოლაპარაკებები ერთ-ერთ ბანკთან. ►

**1875 15 მარტი**

თბილისიდან საპასუხო წერილს უგზავნის პეტერბურგში ვასილ მაჩაბელს. უხსნის, რატომ არ შეიძლებოდა დაყოვნება და ბანკის გახსნის გადადება. ახსენებს თავის ნათქვამს, რომ ბანკთან მოლაპარაკებას აზრი ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თავადაზნაურობის კრების გამართვამდე მოესწრებოდა. ასევე, ატყობინებს, რომ ცალკე წიგნად ბეჭდავს „მეფე ლირს“, ხოლო გამოქვეყნების შემდეგ საჯარო კითხვის მოწყობას გეგმავს (როლები განაწილებით). ►

**1875 მარტის შუა რიცხვებამდე**

დიმიტრი ყიფიანის ძმისწული – ფეროსინე ყიფიანი-კლდიაშვილისა იმდენად აღაფრთოვანა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილმა „მეფე ლირმა“, რომ შეისწავლა კორდელიას როლი და სურს ითამაშოს. ►

**1875 17 მარტამდე**

ცოლისდას, ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას ულოცავს მეოთხე ვაჟის, ვსევოლოდის, დაბადებას. ამასთან, დაწვრილებით უამბობს, თუ როგორ მიდის სამემკვიდრეო დავა. იმედოვნებს, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად, საქმე დადებითად გადაწყდება. ასევე, ატყობინებს მის მამიდაშვილ ივანე ბაგრატიონ-მუხრანელთან მომხდარი უთანხმოების ამბებს. ►

**1875 17 მარტამდე**

წერილს უგზავნის იმხანად ბაქოში მყოფ მეუღლეს და უყვება მის მამიდაშვილ ივანე ბაგრატიონ-მუხრანელთან დაპირისპირების ამბავს. ►

- 1875 მარტის შემდეგ**  
წერილს სწერს თავის დას - ელისაბედს და მეუღლესთან, ალექსანდრე საგინაშვილთან ერთად ეპატიჟება საგურამოში, სადაც სტუმრად ეყოლება ნიკო, დავით და იასე ჭავჭავაძეები. ►
- 1875 2 აპრილი**  
გაზეთ „დროებაში“ ცხადდება, რომ პარასკევს, 4 აპრილს გამართება სალიტერატურო-მუსიკალური საღამო დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავისა და სხვათა მონაწილეობით. ►
- 1875 4 აპრილი**  
მონაწილეობს ქართული სცენის სასარგებლოდ გამართულ სალიტერატურო საღამოში. კითხულობს ეპიზოდებს „კაცია – ადამიანიდან?!“ და „მგზავრის წერილებიდან“, ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“, გრიგოლ ორბელიანის „ონიკოვის დარდებს“ და დიმიტრი ყაზბეგის „მავნე სულეებს“. ►
- 1875 9 აპრილი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმ სალიტერატურო საღამოს შესახებ, რომელშიც ის მონაწილეობდა. ►
- 1875 14 აპრილამდე**  
წერილს იღებს კირილე ლორთქიფანიძისაგან კიდევ ერთი სალიტერატურო-მუსიკალური საღამოს თარიღთან დაკავშირებით. ადრესანტი აცნობებს, რომ დანიშნულ დღეს – 18 აპრილს თბილისში დაგეგმილია მუსიკალური საზოგადოების კონცერტი და ახალგაზრდული მეჭლისი, რაც საღამოზე დამსწრეთა რაოდენობას შეამცირებს. ამიტომ რჩევას ეკითხება, ღონისძიება 19 აპრილისთვის ხომ არ გადაიტანონ. ►
- 1875 14 აპრილი**  
კირილე ლორთქიფანიძეს უგზავნის საპასუხო წერილს, რომელშიც იზიარებს მის აზრს საღამოს 19 აპრილისთვის გადადებასთან დაკავშირებით, მაგრამ ურჩევს, რომ სხვებსაც დაეკითხოს. ატყობინებს, რომ საღამოზე წაიკითხავს ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ | კარს და გრიგოლ ორბელიანის ლექსს „იარაღის“. ►
- 1875 19 აპრილი**  
დას – ელისაბედს უგზავნს წერილს, ულოცავს აღდგომას და სთხოვს, საგურამოში დურგალი გაუგზავნოს, რათა საბოლოოდ გაურიგდეს მასალის თაობაზე. ატყობინებს, რომ მის ცოლისდას - ევატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას ვაჟი შეეძინა. ►
- 1875 22 აპრილი**  
მონაწილეობს თბილისის საზაფხულო თეატრის სცენაზე გამართულ სალიტერატურო-მუსიკალურ საღამოში. დიმიტრი ყიფიანთან, აკაკი წერეთელთან, რაფიელ ერისთავთან, პეტრე უმიკაშვილთან, დავით ერისთავთან და სხვებთან ერთად. კითხულობს ნაწყვეტს „კაცია – ადამიანიდან?!“, „მგზავრის წერილებიდან“, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“, გრიგოლ ორბელიანის „ონიკოვის დარდებს“ და დიმიტრი ყაზბეგის „მავნე სულეებს“. საღამოს შემოსავალი, 254 მანეთი, ხმარდება ქართული თეატრის აღდგენას. ►

**1875 17 მაისი**

გაზეთ „კავკაზში“ აქვეყნებს იურიდიული ხასიათის დოკუმენტის „ნოტარიალური დებულების 168-ე მუხლი და მისი გამოყენება თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ“ პირველ ნაწილს. ►

**1875 19 მაისი**

გაზეთ „კავკაზში“ აქვეყნებს იურიდიული ხასიათის დოკუმენტის „ნოტარიალური დებულების 168-ე მუხლი და მისი გამოყენება თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ“ მეორე ნაწილს. ►

**1875 22 მაისი**

გაზეთ „კავკაზში“ აქვეყნებს იურიდიული ხასიათის დოკუმენტის „ნოტარიალური დებულების 168-ე მუხლი და მისი გამოყენება თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ“ ბოლო, მესამე ნაწილს. ►

**1875 ივნისი**

რვეულში იწერს ფრაზებს შვეიცარიელი კულტუროლოგის იოჰან ჰონეგერის წიგნიდან და სხვადასხვა მოაზროვნეთა გამონათქვამებს პუბლიცისტისა და ეთნოგრაფის სერაფიმ შაშკოვის ნაშრომიდან „საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური ეტიუდები“. ►

**1875 29 ივნისამდე**

გაზეთს „დროებას“ გამოსაქვეყნებლად აწვდის სოლომონ დოდაშვილის წერილს და ლექსს სამშობლოსადმი. ►

**1875 ივნისის შემდეგ**

რვეულში აკეთებს ამონარიდებს დოქტორ ბერდისა და ლუცეუს სენეკას თხზულებებიდან. ჟურნალ „რუსსკი ვესტნიკიდან“ იწერს ინფორმაციას „სიბრძნე სიცრუისას“ ერთ-ერთი იგავ-არაკის მსგავსი მოლდავური ფაბულის შესახებ. ►

**1875 4 ივლისი**

თხოვნით მიმართავს თბილისის საოლქო სასამართლოს, რომ წესდებათა ამოქმედების შესახებ 1865 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებისა და მომრიგებელ მოსამართლედ მისი მუშაობის ხუთწლიანი სტაჟის საფუძველზე, ჩარიცხონ თბილისის საოლქო სასამართლო პალატის ნაფიც ვეჟილად. ამასთანავე, აცნობებს, რომ მუდმივ საცხოვრებლად ირჩევს ქალაქ თბილისს და ამ თანამდებობაზე მის დანიშვნას საცხოვრებელი ადგილის შეუსაბამობა არ შეუშლის ხელს. ►

**1875 16 ივლისი**

თბილისის საოლქო სასამართლოს საერთო კრება ითვალისწინებს მის გადამწყვეტილებას საცხოვრებელ ადგილად თბილისის არჩევის შესახებ და აკმაყოფილებს თხოვნას თბილისის სასამართლო პალატის ნაფიც ვეჟილად მისი მიღების შესახებ. კრებას ასევე გამოაქვს დადგენილება ილია ჭავჭავაძისთვის შესაბამისი მოწმობის გაცემისა და ინფორმაციის გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებისა თაობაზე. ►

**1875 19 ივლისი**

იღებს თბილისის საოლქო სასამართლოს პალატაში ნაფიც ვეჟილად მიღების დამადასტურებელ მოწმობას, რომელშიც მის საცხოვრებლად მითითებულია თბილისი. ►

**1875 30 ივლისი**

გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ იგი წერს ახალ მოთხრობას, რომელიც ოქტომბერში მზად იქნება დასაბეჭდად. ▶

**1875 8 სექტემბრის შემდეგ**

მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, რომ თუ ყურძენი შემოსულია, კრეფისათვის მოემზადონ. ▶

**1875 17 სექტემბერი**

გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ მონინავეში მისი გვარი მოხსენებულია კერძო შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოების წევრთა შორის. ▶

**1875-10 ოქტომბერი**

დან საგურამოდან თბილისში მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს. სთხოვს, მივიდეს ბანკში და სანდრო ჩოლოყაშვილისგან თანხა ჩაიბაროს. თუ ის ვეესილზე ხელის მოწერას მოსთხოვს, ან მოაწეროს, ან უთხრას, რომ ილია ჩავა და მოაწერს. ▶

**1875 ოქტომბრის ბოლო**

ძველი და ახალი საუკეთესო თხზულებებისა და სახელმძღვანელოების გამოსაცემად ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის თაოსნობით, თბილისში ყალიბდება წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობა. კომიტეტის წევრები მათთან ერთად არიან: ბესარიონ ლოლობერიძე, ბესარიონ ჭაფარიძე, იასე ჭავჭავაძე, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი თუმანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი და რაფიელ ერისთავი. ▶

**1875 2 დეკემბერი**

ესწრება გაზეთ „დროების“ რედაქციაში გამართულ კრებას, რომლის მიზანია გაზეთისათვის მატერიალური სახსრების გამოძებნა. სთავაზობს, გამართონ სტამბა და მისი შემოსავლით უფასოდ ბეჭდონ გაზეთი. ამისათვის საკუთარ თავზე იღებს 7000 მანეთის შეგროვებას. გარდა ამისა, ჰპირდება, რომ კვირაში ერთ სტატიას დაწერს „დროებისთვის“. ▶

**1875 19 დეკემბერი**

საყვედურით აღსავსე წერილს უგზავნის ყვარელში თავის დისშვილს, ყვარლის მამულის იმჟამინდელ მოურავს გიგო აფხაზს. არიგებს, რომ გაუფრთხილდეს სხვა ადამიანების ინტერესებს და იხელმძღვანელოს მორალით. ▶

**1875** სცენაზე დგამენ ივანე მაჩაბელთან ერთად მის მიერ თარგმნილ „მეფე ლირს“ და ასრულებს კენტის როლს. ▶

**1876 29 იანვარი**

მონაწილეობს კავკასიის მუსიკალური საზოგადოების დარბაზში გამართულ სალიტერატურო საღამოში აკაკი წერეთელთან და ეტლია ბებურიშვილთან ერთად. ძალზე შთამბეჭდავად კითხულობს ეპიზოდს „კაცია – ადამიანიდან?!“. ▶

**1876 1 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ცნობა 29 იანვრის სალიტერატურო საღამოში ილია ჭავჭავაძის მონაწილეობის შესახებ. ▶

- 1876 18 თებერვალი**  
გაზეთ „დროების“ რუბრიკაში „დღიური“ იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძესთან თანამშრომლობით, განზრახული აქვს გაზეთ „გზის“ გამოცემა. ►
- 1876 17 თებერვლამდე**  
თბილისის ფოტოატელიეში იღებს ინდივიდუალურ ფოტოს. ►
- 1876 თებერვლის ბოლომდე**  
პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტების დასახმარებლად აგროვებს ფულს და უგზავნის ალექსანდრე ცაგარელს. ►
- 1876 1 მარტი**  
გაზეთ „დროების“ დაარსების ათ წლისთავთან დაკავშირებით სერგეი მესხთან, აკაკი წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად ხელს აწერს გაზეთ „დროების“ რედაქციის ახალ პირობას. ►
- 1876 2 მარტი**  
განცხადებით გამოდის კავკასიის სასოფლო–სამეურნეო საზოგადოების სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა იმხანად გავრცელებულ საქონლის გატაცებისა და მისი აღმოფხვრის საკითხებს. ►
- 1876 2-3 მარტი**  
სათავადაზნაურო ბანკის დირექტორ დავით ავალიშვილთან ერთად აწარმოებს გაზეთ „დროების“ არსებობის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო წვეულებაში მონაწილეობის მსურველთა ჩაწერას. ►
- 1876 3 მარტი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სერგეი მესხის წერილი გაზეთის 10 წლისთავთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ დღის აღსანიშნავად გამართულ სადილზე ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ნიკო ნიკოლაძემ გაზეთს თანამშრომლობა აღუთქვეს. ►
- 1876 4 მარტი**  
გაზეთ „დროების“ ათი წლისთავისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო სადილზე მონა–პლეზირის ბაღში წარმოთქვამს სიტყვას. ►
- 1876 5 მარტის შემდეგ**  
პეტერბურგიდან იღებს ალექსანდრე ცაგარელის წერილს. ადრესანტი მადლობას უთვლის ქართველი ხელმოკლე სტუდენტებისათვის ფულის გაგზავნის გამო და ერთი სტუდენტისთვის კიდევ ითხოვს დახმარებას. ►
- 1876 7 მარტამდე**  
„ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციაში გზავნის წერილს, რომელშიც აპროტესტებს გაზეთის ადგილობრივი ქრონიკის კორესპოდენტის მიერ საქონლის მოტაცების წინააღმდეგ გასატარებელ ზომებთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების არასწორ გადმოცემას და შეცდომის გამოსასწორებლად უგზავნის თავის რეალურ შეხედულებებს ამ თემაზე. ►



- 1876 7 მარტი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ილიას სიტყვა, რომელიც წარმოთქვა „დროების“ სადღესასწაულო სადილზე. ►
- 1876 7 მარტი**  
გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ ბეჭდავს ილიას წერილს, რომელშიც ავტორი მსჯელობს საქონლის მოტაცების წინააღმდეგ გასატარებელი ზომების შესახებ. ►
- 1876 10 მარტამდე**  
სამემკვიდრეო დავის გამო პირადად შეაქვს არზა გუბერნატორთან და არწმუნებს, რომ უკან არ დაიხვეს და ყოველ ღონეს იხმარს, ოღლა და ეკატერინე გურამიშვილების უფლებების დასაცავად. ►
- 1876 10 მარტი**  
გაზეთ „დროების“ რუბრიკაში „დღიური“ იბეჭდება ცნობა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის გადაწყვეტილებაზე, რომ ითანამშრომლონ „დროების“ რედაქციასთან. ►
- 1876 12 მარტი**  
ასრულებს მუშაობას საპროგრამო სტატიაზე „ზოგიერთი რამ“. ►
- 1876 14 მარტი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სტატია „ზოგიერთი რამ“. ►
- 1876 26 მარტი**  
მისი და სხვათა ხელმოწერით გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება თსს ბანკის მუშაობის პირველი წლის ანგარიში. ►
- 1876 20 აპრილი**  
იხსნება ქუთაისის ბანკი და ილია მის თავმჯდომარედ მხარს უჭერს ბესარიონ ლოლობერიძის კანდიდატურას. ►
- 1876 2-21 აპრილი**  
წერს გამოხმაურებას 2 აპრილს გაზეთ დროებაში გამოქვეყნებულ ნიკო ნიკოლაძის სტატიაზე – „ქუთაისის ბანკის საქმე“, სათაურით „უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“. ►
- 1876 21 აპრილი**  
გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს წერილს „უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“. ►
- 1876 10 მაისი**  
გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ ბეჭდავს ნიკო ნიკოლაძის წერილს „სამინათმოქმედო კრედიტის პრაქტიკა“, რომელშიც გაკრიტიკებულია თსს ბანკის გამგეობა და ეჭვქვეშ არის დაყენებული ზოგადად ამ ბანკის მნიშვნელობა. ►
- 1876 12 მაისი**  
გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ ნიკო ნიკოლაძის მიერ თსს ბანკის შესახებ გამოქვეყნებული კრიტიკული სტატიის გამო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე – ილია ჭავჭავაძე, ორ წევრთან – ალექსანდრე ჩოლოყაშვილთან და დავით ავალიშვილთან ერთად, ამავე გაზეთის რედაქციაში გზავნის წერილს, რომლითაც წარმოდგენილი საკითხების განსახილველად სამედიატორო სასამართლოში იწვევს სტატიის ავტორ ნიკო ნიკოლაძეს და გაზეთის რედაქტორ კონსტანტინე ბებუთოვს. ►

**1876 13 მაისი**

გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“, ნიკო ნიკოლაძის წერილის საპასუხოდ, ქვეყნდება ილია ჭავჭავაძისა და თსს ბანკის გამგეობის წევრების – ალექსანდრე ჩოლოყაშვილისა და დავით ავალიშვილის წერილი რედაქციის მიმართ, რომლითაც ოპონენტებს ინვესტორს სამედიცინო სასამართლოში. აქვე იბეჭდება სარედაქციო შენიშვნა, რომ გაზეთის რედაქტორი კონსტანტინე ბებუთოვი და ნიკო ნიკოლაძე იღებენ გამოწვევას, იმ პირობით, თუ პოლემიკა ინარმოებს პრესის საშუალებით. ►

**1876 14 მაისი**

თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე – ი. ჭავჭავაძე, ორ წევრთან – ალექსანდრე ჩოლოყაშვილთან და დავით ავალიშვილთან ერთად, წერილს გზავნის გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქციაში იმ შენიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც რედაქტორმა გაუკეთა მის 12 მაისის წერილს და განუმარტავს, რომ გაზეთში გამართული პოლემიკა დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს და მკაფიო დასკვნებამდეც ვერ მივიდეს, სამედიცინო სასამართლო კი უფრო მოკლე ხანში, სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებელთა საერთო კრების გამართვამდე (16 მაისამდე) გაარკვევს სიმართლეს. გარდა ამისა, წერილში ნათქვამია, რომ გამგეობის წევრები, პოლემიკაში შეუსვლელად, მიუძღვნიან სპეციალურ სტატიას იმ საკითხების ნათელყოფას, რაზეც იყო საუბარი ნიკო ნიკოლაძის წერილში „სამინათმოქმედო კრედიტის პრაქტიკა“. ►

**1876 მაისის პირველი ნახევარი**

საბანკო საკითხებში სერგეი მესხთან, ნიკო ნიკოლაძესთან და აკაკი წერეთელთან დაპირისპირების გამო ტოვებს „დროების“ რედაქციას. ►

**1876 16 მაისი**

ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს კრიტიკულ წერილს ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ ქუთაისის ბანკის საკითხებთან დაკავშირებით, სათაურით „მრუდე გამოსარჩლება“. ►

**1876 18 მაისი**

თსს ბანკის კრებაზე წარმოთქვამს ვრცელ სიტყვას. ირჩევენ კომისიაში, რომელმაც მთავრობას უნდა წარუდგინოს თხოვნა „პრიკაზის“ ვალების თსს ბანკში გადატანასთან დაკავშირებით. ►

**1876 16-19 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის კრების საქმიანობაში და ხმათა უმრავლესობით ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ. 131-ით 17-ის წინააღმდეგ. ►

**1876 19 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე არჩეულია კომისიაში, რომელსაც ევალება „პრიკაზის“ ვალების თსს ბანკში გადატანასთან დაკავშირებით მთავრობაში წარსადგენი თხოვნის შედგენა. ►

**1876 23 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ მათთან გამოქვეყნებულ წერილებს რუსული გაზეთი „კავკაზი“ დამახინჯებულად ბეჭდავს. მაგალითისთვის მოყვანილია ილია ჭავჭავაძის წერილი ნიკო ნიკოლაძის შესახებ. ►

**1876 23 მაისი**

აკაკი წერეთელი გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს ფელეტონს „ჭიდაობა“, რომელშიც გაშარჟებულია თსს ბანკის კრებაზე ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის გამოსვლები. ►

**1876 25 მაისი**

პარიზიდან იღებს ალექსანდრე ჭყონიას წერილს, რომელშიც ადრესანტი სთხოვს ფინანსურ დახმარებას სწავლის დასასრულებლად. ►

**1876 26 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება თსს ბანკის კრებაზე 18 მაისს მის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ►

**1876 27 მაისი**

გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“, ხელმოწერით „თბილისის სათავადაზნაურო სამინათმოქმედო ბანკის გამგეობის ერთ-ერთი წევრი“, 14 მაისის დაპირებისამებრ, იბეჭდება ვრცელი წერილი „რატომ და რისთვის (პასუხად „სამინათმოქმედო კრედიტის პრაქტიკის“ ავტორს)“, რომელშიც მუხლობრივად არის გაცემული პასუხები სათავადაზნაურო ბანკის მიმართ ნიკო ნიკოლაძის მიერ წაყენებულ პრეტენზიებზე. ►

**1876 28 მაისი**

გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ აქვეყნებს წერილის „რატომ და რისთვის“ მეორე ნაწილს, მინაწერით „პასუხად „სამინათმოქმედო კრედიტის პრაქტიკის“ ავტორს“. ►

**1876 30 მაისი-2 ივნისი**

მისი წერილის „რატომ და რისთვის“ გამო „ტიფლისკი ვესტნიკი“ აქვეყნებს საპასუხო სტატიას „ცხარე პასუხი თბილისის სამინათმოქმედო ბანკის მმართველობას“. ►

**1876 4 ივნისი**

აკაკი წერეთელი გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს კრიტიკულ წერილს ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის კამათის შესახებ ქუთაისის ბანკის საკითხებთან დაკავშირებით, სათაურით „უდროვო ბრძოლა“ ►

**1876 6 ივნისი**

აკაკი წერეთლის საპასუხოდ ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს კრიტიკულ წერილს ქუთაისის ბანკის საკითხებთან დაკავშირებით მისი და ილია ჭავჭავაძის კამათის შესახებ, სათაურით „განა „საჭირო“ უდროა?“ ►

**1876 9, 11 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ ნიკო ნიკოლაძე აქვეყნებს სტატიას „პირველი ნაბიჯი ჩვენი ბანკირებისა“, რომელშიც კრიტიკულად აფასებს ილია ჭავჭავაძისა და ბესარიონ ლოლობერიძის მიერ მოწვეულ ყრილობას ჟურნალ-გაზეთების შესახებ და მათ აზრს გაზეთ „დროებაზე“. იგი წერს, რომ გაზეთის დაარსება მათ კენჭისყრის წინ თავისი კანდიდატის გასაყვანად სჭირდებათ. ►

- 1876 14 ივნისი**  
 ალექსანდრე ჭყონიას პარიზში უგზავნის ბესარიონ ღოღობერიძისა და სტეფანე ზარაფოვისგან მისთვის გადასაცემად მიღებულ თანხას. ►
- 1876 18 ივნისი**  
 თხოვნა შეაქვს კავკასიის საცენზურო კომიტეტში 1877 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. განცხადებას თან ერთვის გაზეთის პროგრამა. ►
- 1876 19 ივნისი**  
 კავკასიის საცენზურო კომიტეტი შუამდგომლობს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს წინაშე 1877 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვის მისაღებად. ►
- 1876 21 ივნისი**  
 გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს წერილს „უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულებე ბანკზე“. ►
- 1876 25 ივნისი**  
 სერგეი მესხი გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს წერილს სათაურით „ახალი ქართული გაზეთი“, რომელშიც საუბრობს ილია ჭავჭავაძის განზრახვაზე ახალი ქართული გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით და გამოთქვამს ეჭვს, რომ მას იგი კერძო ინტერესებისათვის, საკუთარი იდეების გავრცელებისთვის სჭირდება. ►
- 1876 ივნისის შემდეგ**  
 წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ატყობინებს, რომ სახლის პატრონმა ბინა დააცლევინა და ახალი იქირავა. სწერს, რომ ბანკის საქმეების გამო ასვლას ვერ ახერხებს. ქვისლს - დიმიტრი სტაროსელსკის უთვლის, რომ ავჭალის მამულების გათიბვა საჩქაროა და მთიბავი უნდა იშოვონ. ►
- 1876 7 ივლისი**  
 პარიზიდან იღებს ალექსანდრე ჭყონიას წერილს, რომელშიც ადრესანტი აცნობებს, რომ მიიღო მის მიერ გაგზავნილი თანხა. ►
- 1876 30 ივლისი**  
 ალექსანდრე ჭყონია „მაჭახელაძის“ ფსევდონიმით გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს კრიტიკულ წერილს ილია ჭავჭავაძის ახალი გაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებით, სათაურით „დასაბადებელ „დღეურას“. ►
- 1876 8 აგვისტო**  
 გაზეთ „დროების“ რუბრიკაში „დღიური“ იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძემ მონაწილეობა მიიღო ბალკანეთის ნახევარკუნძულის მეგრძოლთა სასარგებლოდ თბილისის კლუბში გამართულ საქველმოქმედო ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოში. ►
- 1876 11 აგვისტო**  
 ილიასა და სხვათა ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1876 წლის პირველის ივლისისათვის. ►

**1876 12 აგვისტო**

წერილს უგზავნის თავის დისწულსა და ყვარლის მამულის მოურავ გიგო აფხაზს. უკმაყოფილოა მისი მუშაობით და აძლევს სამეურნეო ხასიათის დარიგებებს. ►

**1876 17 სექტემბერი**

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო აძლევს 1877 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვას. ►

**1876 17 სექტემბერი**

გაზეთ „დროების“ რუბრიკაში „დღიური“ იბეჭდება ინფორმაცია მომდევნო წლის 1 იანვრიდან ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ახალი, ყოველკვირეული გაზეთის გამოსვლის განზრახვის შესახებ. ►

**1876 სექტემბერი**

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ იბეჭდება ლექსები: „გაზაფხული“, „გუთნისდედა“, „მძინარე ყმაწვილს“, „სიმღერა ამხანაგებისა“ („დედამ რომ შვილი გაზარდოს...“), „სიყვარული მამულისადმი“ („მას აქეთ რაკი შენდამი ვსცან...“), „ქართველის დედას“, „ჩიტი“ და ნაწყვეტები ეპიკური თხზულებებიდან: „აჩრდილი“ (V თავი), „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია – ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“. ►

**1876 19 ნოემბრამდე**

გაზეთ „კავკაზის“ დღიურში გამოთქმულია გაკვირვება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული ხელმოწერა „ივერიაზე“ და საუბარია ამ გაზეთის დაბადებამდე გარდაცვალებაზე. ►

**1876 19 ნოემბერი**

გაზეთი „დროება“ ეხმიანება „კავკაზის“ განცხადებას „ივერიაზე“ ხელმოწერის დაგვიანებასთან დაკავშირებით. წერს, რომ ეს გაზეთი მომდევნო წლის მარტიდან აუცილებლად გამოვა და ხელმოწერის სანარმოებლად ბლანკები უკვე დაბეჭდილია. ►

**1876 26 ნოემბრამდე**

მარი ბროსე მუშაობს „კაცია – ადამიანი?!“ ფრანგულ თარგმანზე. ►

**1876 26 ნოემბერი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პეტერბურგის აკადემიის წევრი – მარი ბროსე ფრანგულად თარგმნის ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „კაცია – ადამიანი?!“ და აპირებს მის გამოქვეყნებას. ►

**1876 28 დეკემბერი**

ცენზურა გასცემს ნებართვას ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ შექსპირიდან თარგმნილი „მეფე ლირის“ წიგნად გამოცემაზე. ►

**1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს, სავარაუდოდ, თბილისიდან საგურამოში და სთხოვს, **დან** რომ ან იმავე საღამოს გაემგზავროს თბილისში ან ფაეტონი წყალთან დაახვედროს და თავად ააკითხავს. ►



- 1876-** სანოვაგეს და წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ატყობინებს, დან რომ შაბათს სტუმრები აპირებენ ასვლას. სთხოვს, სადილად არ დაელოდონ, რადგან თავად მოგვიანებით მივა. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს საგურამოში. აძლევს სამეურნეო ხასიათის დან დარიგებებს და სთხოვს, ხუთშაბათს ეტლი გაუგზავნოს. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს საგურამოში. ატყობინებს, რომ ვექსილის დან გამოსახსნელად თანხა სჭირდება და ვერ შოულობს. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს საგურამოში. მებაღეებთან აბარებს, რომ მყიდველს დან მოურიგდნენ და სწერს ფასებს, რა როგორ გაყიდონ. სთხოვს, რომ თუ ბაყალი ამ ფასებზე არ დათანხმდება, მასთან მიიყვანონ. ►
- 1876-** წერილს, ქინაქინას და ღვინოს უგზავნის მეუღლეს საგურამოში. აძლევს სამეურნეო დან ხასიათის დარიგებებს. ►
- 1876-** წერილს, ახალ ფეხსაცმელს და პროდუქტს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან დან საგურამოში. ►
- 1876-** წერილს და პროდუქტს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ► დან
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, რომ მეტყვევებს დან მის მიერ ნაყიდი ტყეები აჩვენოს და მიწნები მოანიშნინოს. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, რომ ურმები დან გააგზავნოს თბილისში ახალშეძენილი სკამების წასაღებად. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. მოჭამაგირეს უთვლის, რომ დან ცხენებს თივის ნაცვლად ჩალა აძლიოს, რადგან თივა კრამიტისთვის სჭირდება. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. დარიგებებს აძლევს კიტრის დან მოსავალთან დაკავშირებით. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ცოლისდას, ეკატერინე დან გურამიშვილ-სტაროსელსკისას უთვლის, რომ მისი სესხი ნებადართულია და შეუძლია აიღოს. ►
- 1876-** თბილისიდან საგურამოში მეუღლეს უგზავნის წერილს და ვექსილს, რომელზეც დან ხელი უნდა მოაწეროს და დაუბრუნოს. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. აცნობებს, რომ შაბათისთვის დან ვერ ავა და კვირას ცხენები დაახვედროს მცხეთაში. ►

- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. აცნობებს, რომ შაბათისთვის დასვენება დაახვედროს მცხეთაში. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, რომ ორი ცხენი და ფაეტონი გაუგზავნოს და სადილი მოამზადებინოს სტუმრებისთვის. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. აცნობებს, რომ ახალ მეეტლეს გზავნის და სთხოვს, რომ ცხენები ხუთშაბათისთვის გაუგზავნოს მცხეთაში. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, მეორე დღისთვის ცხენები გაუგზავნოს და ბარგი გაატანოს. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, შაბათ დილით თბილისში ან ეტლი გაუგზავნოს ან ორი ცხენი. ►
- 1876-** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. მოურავს უთვლის, რომ ეკიპაჟს თბილისში გაჰყვეს. აცნობებს, რომ ჯაბადარის მეუღლე აპირებს საგურამოში სტუმრად ასვლას. ►
- 1876-** იღებს ალექსანდრე მაყაშვილის ბარათს, რომელშიც სწერს, რომ უგზავნის ღვინოს. ►
- 1877 7 იანვრამდე**  
საცენზურო კომიტეტის სახელზე წერს განცხადებას იმავე წლის მარტიდან ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ გამოსვლის შესახებ და ურთავს პროგრამას. ►
- 1877 7 იანვარი**  
ცენზურა ნებას რთავს, გამოაქვეყნოს განცხადება გაზეთ „ივერიის“ გამოსვლის შესახებ. ►
- 1877 თებერვალი**  
აკეთებს საბოლოო კორექტურას და რამდენიმე ადგილს სტილურად ასწორებს ივანე მაჩაბლისა და მის მიერ თარგმნილ „მეფე ლირში“. ►
- 1877 თებერვლის ბოლომდე**  
წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. წუხს, რომ ავადმყოფობის გამო სამი კვირის განმავლობაში, ვერ შეძლო ასვლა და არ იცის, როგორ არიან ის და ელისაბედი. სწერს, რომ სახლის მშენებლობა ვერა და ვერ დასრულდა, რათა შეძლოს მათი ჩაყვანა. იმედს გამოთქვამს, რომ თვის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება და შეძლებენ ერთად ყოფნას. ►
- 1877 3 მარტამდე**  
იღებს დისწულის, სიმონ აფხაზის დეპეშას. იღებს, რომ ავად არის და აპირებს მის სანახავად გამგზავრებას. ►

**1877 3 მარტამდე**

თბილისიდან საგურამოში წერილთან ერთად მეუღლეს უგზავნის დისწულის, სიმონ აფხაზის დეპეშას, რომელშიც საუბარია მის ავადმყოფობაზე. განზრახული აქვს მასთან გამგზავრება. ოლლას ატყობინებს, რომ მას და ელისაბედს შეუძლიათ სახლის რემონტის დასრულებამდე რედაქციისათვის განკუთვნილ ორ ოთახში დაბინავდნენ. ბარათის ბოლოს სწერს, რომ საგურამოში ავა და ერთად მოილაპარაკებენ, როგორ მოიქცნენ. ►

**1877 3 მარტამდე**

წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობა, სერიით „ქართული მწერლობა“, ექვთიმე ხელაძის სტამბაში წიგნად ბეჭდავს ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ ინგლისურიდან თარგმნილ უილიამ შექსპირის „მეფე ლირს“. ►

**1877 3 მარტი**

ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ გამოვიდა და იყიდება ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი ტრაგედია უილიამ შექსპირისა „მეფე ლირი“. ►

**1877 3 მარტი**

მთაწმინდის ქუჩაზე ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოსვლას იწყებს საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“, რომლის პირველ ნომერშიც, ხელმოუწერლად იბეჭდება „წინასიტყვაობა“, ფელეტონი „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნარკვევ „ცხოვრება და კანონის“ პირველი წერილი. ►

**1877 3 მარტი**

ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ გამოვიდა და იყიდება ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი ტრაგედია უილიამ შექსპირისა „მეფე ლირი“. ►

**1877 6 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ნიკო ნიკოლაძის რეცენზია, სათაურით „ივერიის“ პირველი ნომერი“, რომელშიც ავტორი იწუნებს როგორც გაზეთის ენას, ისე მის შინაარსს. ერთადერთი, რასაც იგი დადებითად აფასებს, არის ნარკვევი „ცხოვრება და კანონი“. ►

**1877 10 მარტამდე**

ვასილ მაჩაბლისგან იღებს ბარათს, რომელშიც თავისთვის და თავისი ძმის, ივანესათვის სთხოვს „ივერიის“ ნომრების გაგზავნას. ►

**1877 10 მარტი**

გამოდის „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი სტატია „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამო“ და ნარკვევ „ცხოვრება და კანონის“ მეორე წერილი. ►

**1877 10 მარტი**

„ივერიის“ პირველი ორი ნომრის კომპლექტებს წერილთან ერთად პეტერბურგში უგზავნის ვასილ მაჩაბელს. სთხოვს, რომ წიგნები მის ძმას – ივანესა და დავით ჩუბინაშვილსაც გადასცეს და ავალებს შეუსყიდოს გაზეთის დასაბეჭდი ქალაქი. ასევე ატყობინებს „მეფე ლირის“ გამოცემას და სთხოვს აცნობოს ძმის მისამართი. ივანე მაჩაბელს, დავით ჩუბინაშვილსა და ალექსანდრე ცაგარელს უთვლის, რომ გაზეთისათვის მასალები მიაწოდონ. ►

- 1877 11 მარტი**  
მარი ბროსე ამთავრებს ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ ფრანგულად თარგმნას (ორი რედაქციით), რისთვისაც წყაროდ იყენებს 1869 წლის გამოცემას. ►
- 1877 12 მარტი**  
თსს ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამონმებს და ამტკიცებს ბანკის წლიურ ანგარიშს. ►
- 1877 17 მარტი**  
გამოდის გაზეთ „ივერიის“ მესამე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „ცხოვრება და კანონის“ მესამე წერილი. ►
- 1877 23 მარტი**  
გაზეთებში, ილიასა და სხვათა ხელმოწერით, იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1877 წლის 1 იანვრისათვის. ►
- 1877 24 მარტი**  
გამოდის „ივერიის“ მეოთხე ნომერი, რომელშიც იბეჭდება მისი „ცხოვრება და კანონის“ მეოთხე წერილის პირველი ნაწილი, სტატია „ჩვენის ქალაქის ჭანმრთელობის საქმე“ და ლექსი „კ. ბ. მ-სას“ („ნუ, ნუ მაყვდრი, რომ ყოველს ჩემგანს...“). ►
- 1877 2 აპრილი**  
გამოდის „ივერიის“ მეხუთე ნომერი, რომელშიც აქვეყნებს მხატვრულ-ისტორიული ხასიათის პროზაულ ტექსტს „ამბავათ გაგონილნი“. ►
- 1877 7 აპრილი**  
გამოდის „ივერიის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც იბეჭდება მისი „ცხოვრება და კანონის“ მეოთხე წერილის მეორე ნაწილი. ►
- 1877 12 აპრილამდე**  
თურქეთში რუსეთის იმპერიის ვიცე კონსული ალექსი წერეთლი მეუღლის – მარინა უსპენსკაიას ხელით, გადასცემს ბარათს, რომელშიც საუბარია რუსეთსა და თურქეთს შორის შესაძლო საომარი კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნების იმედის შესახებ. როგორც ბარათიდან ჩანს, ილია ჭავჭავაძეს ტელეგრაფის საშუალებით უნდა უზრუნველყო ინფორმაციის გადაცემა პეტერბურგისთვის. ფრაზა: „აბა, დანარჩენი თქვენ იცით“ და მინაწერი: „თქვენი სიკეთის მავედრებელი“ მიგვანიშნებს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადრესანტი ამ საქმეში მის დახმარებას. ►
- 1877 15 აპრილი**  
გამოდის „ივერიის“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც აქვეყნებს საკუთარ თარგმანს ალფონს დოდეს მოთხრობისა „უკანასკნელი გასაკვეთი, ნაამბობი პატარა ელზასელია“. ►
- 1877 აპრილის მეორე ნახევარი**  
მასთან სახლში იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ცხვედაძე, ბესარიონ ღოღობერიძე და იაკობ გოგებაშვილი ქმნ-კვ საზოგადოების წესდების პროექტის განსახილველად და გარკვეული ცვლილებები შეაქვთ მასში. ►

**1877 21 აპრილი**

გამოდის „ივერიის“ მერვე ნომერი, რომელშიც უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს თარიღით „ტფილისი, 21 აპრილს“ („ასტყდა ომი!.. ამის მსმენელს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ასტყდა ომი“ ►

**1877 21 აპრილი**

მისი ხელმოწერით ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1877 წლის 1 იანვრისათვის. ►

**1877 25-26 აპრილი**

მონაწილეობს თსს ბანკის კრებაში, რომელიც განიხილავს 1876 წლის საქმიანობის ანგარიშს და ბანკის წესდების ცვლილების პროექტს. ►

**1877 28 აპრილის შემდეგ**

გამოდის „ივერიის“ მეცხრე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „ოსმალის საქართველო“. ►

**1877 5 მაისი**

გამოდის „ივერიის“ მეათე ნომერი, რომელშიც აქვეყნებს კრიტიკულ წერილს „ვიცინოთ თუ ვიტროთ“, გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის არასწორი მეთოდით სწავლების შესახებ. ►

**1877 12 მაისი**

გამოდის „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერი, რომელშიც რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („ინგლისი – მართლა და ცხარი ბაასი...“) ►

**1877 14 მაისი**

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წლიურ კრებაზე ირჩევენ მის ვიცე-პრეზიდენტად. ►

**1877 19 მაისამდე**

ირჩევენ ახლად დაარსებულ ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის წევრად. ►

**1877 19 მაისის შემდეგ**

გამოდის „ივერიის“ მეთორმეტე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიებს: რუბრიკებში „საქართველოს მათიანე“ („ჩვენი გლეხობა და ტყით სარგებლობის საქმე...“) და „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („უცნაური მდგომარეობაა სწორედ რომ...“) ►

**1877 26 მაისის შემდეგ**

გამოდის „ივერიის“ მეცამეტე ნომერი, რომელშიც რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („ეხლანდელმა საფრანგეთის საქმეებმა...“). ►

**1877 29 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება მასწავლებელ ფ. ნათიევის გამობმარეობა ილია ჭავჭავაძის წერილზე „ვიცინოთ თუ ვიტროთ“. ►



**1877 1 ივნისის შემდეგ**

გამოდის „ივერიის“ მეთოთხმეტე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად აქვეყნებს დავით ჩუბინაშვილის ნარკვევის „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“ საკუთარი თარგმანის პირველ ნაწილს და წერილს რუბრიკით „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („საფრანგეთი. ახალს სამინისტროში ბურთი და მოედანი...“). ►

**1877 9 ივნისი**

გამოდის „ივერიის“ მეთხუთმეტე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად განაგრძობს დავით ჩუბინაშვილის ნარკვევის „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“ თარგმანის ბეჭდვას. ►

**1877 15 ივნისის შემდეგ**

გამოდის „ივერიის“ მეთექვსმეტე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილებს: „ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი“ და „ფიცის გვნამს და ბოლო გვაკვირვებს“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პასუხს 29 მაისს „დროებაში“ დაბეჭდილ ფ. ნათიევის წერილზე. აქვე ხელმოუწერლად განაგრძობს დავით ჩუბინაშვილის ნარკვევის „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“ თარგმანის ბეჭდვას. ►

**1877 22 ივნისი**

გაზეთ „კავკაზში“ მისი ხელმოწერით ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1877 წლის 1 ივლისისათვის. ►

**1877 23 ივნისი**

გამოდის „ივერიის“ მეჩვიდმეტე ნომერი, რომელშიც ამთავრებს დავით ჩუბინაშვილის ნარკვევის „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“ საკუთარი თარგმანის ხელმოუწერლად ბეჭდვას. აქვე აქვეყნებს ლექსებს: „ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა...“ და „ს... ჩ...სას“ („სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი“). ►

**1877 3 ოქტომბრამდე**

თბილისიდან საგურამოში მეუღლეს უგზავნის მოკლე ბარათს, რომელსაც თან ურთავს თავისი დის, ელისაბედისა და დისწულის, სიმონ აფხაზის წერილს. ►

**1877 3 ოქტომბერი**

რუსეთ-თურქეთის ომში ელუპება დისწული, სიმონ აფხაზი. ►

**1877 13 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ რუბრიკით „საქართველოს მატთანე“ აქვეყნებს მეთაურს. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სოფლის მოხელეთა არჩევანი“. ამავე ნომერში ქვეყნდება მისი „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („საკვირველი რამ არის...“). ►

**1877 13 ოქტომბრის შემდეგ**

გამოდის კრებული „სალამური ანუ ლექსთა კრება ქართველ მწერალთა“, რომელშიც იბეჭდება მისი ლექსები „ნანა“ და „ელეგია“. ►

**1877 3 ოქტომბრიდან - ოქტომბის შუა რიცხვებამდე**

მოულოდნელად იგებს თავისი დისწულის, სიმონ აფხაზის დალუპვის ამბავს. ►

**1877 3 ოქტომბრიდან - ოქტომბის შუა რიცხვებამდე**

მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს და ატყობინებს თავისი დისწულის, სიმონ აფხაზის დაღუპვის ამბავს. სწერს, რომ თავად აღარ აპირებს საგინაშვილებთან ვახშმად წასვლას, მაგრამ სთხოვს, ის მაინც მივიდეს, რომ მისმა დამ – ელისაბედმა არაფერი იეჭვოს. ►

**1877 10 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ რუბრიკით „საქართველოს მათიანე“ აქვეყნებს მეთაურს. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება“. გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება მისი „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („ჩვენებმა ყარსი აიღეს...“). ►

**1877 14 ნოემბერი**

წერილს უგზავნის მღვდელ ალექსი გულისაშვილს და სთხოვს, დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია კიაზო ჩოლოყაშვილის მამულის შესახებ. ►

**1877 15 ნოემბერი**

ესწერება სათავადაზნაურო ბანკის დამფუძნებელთა კრებას, რომელზეც იხილავენ საზოგადო საჭიროებისათვის ბანკის მოგების განაწილების საკითხს. ►

**1877 17 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („საფრანგეთი. აი დეპუტატთა პალატის წევრთა არჩევანიც...“). ►

**1877 19 ნოემბერი**

თხოვნით მიმართავს გაზ. „კავკაზის“ რედაქტორს, დაუბეჭდოს გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკში“ რედაქტორ კონსტანტინე ბებუთოვის მიერ გამოქვეყნებული შენიშვნის საპასუხო წერილი. ►

**1877 24 ნოემბერი**

გაზეთ „კავკაზში“ ბეჭდავს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ რედაქტორ კონსტანტინე ბებუთოვის მიერ გამოქვეყნებული შენიშვნის საპასუხო წერილს. ►

**1877 24 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ რუბრიკით „საქართველოს მათიანე“ აქვეყნებს მეთაურს. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლეხთა მამულების ვალში გაყიდვა“. ამავე ნომერში ქვეყნდება მისი სტატია რუბრიკით „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („საფრანგეთი. დღე და ღამე საფრანგეთის საქმე უფრო...“). ►

**1877 31 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („საფრანგეთი. განწირულებითი მდგომარეობა საფრანგეთისა...“). ►

**1877 8 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს რუბრიკით „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („საფრანგეთი. მაკ-მაჰონს ძალიან გაუჭირდა...“). ►

- 1877 15 დეკემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილებს რუბრიკებში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („პლევნის დაპყრობამ რუსთა მიერ...“) და „საქართველოს მათიანე“. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლეხები და საიჯარო მამულები“. ►
- 1877 22 დეკემბერი**  
გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას („ყველანი მოელოდნენ, რომ პლევნის აღებას...“). ►
- 1877 29 დეკემბერი**  
გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას („მას აქედ, რაც საფრანგეთში მაკ-მაჰონი ძალაუწებურად...“). აქვე იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ იყიდება ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი ტრაგედია უილიამ შექსპირისა „მეფე ლირი“. ►
- 1877 დეკემბრის ბოლომდე**  
გადაამუშავებს ლექსს „მეფანტურე“ და წარუმძღვარებს ახალშექმნილ პოემას „მეფე დიმიტრი თავდადებული“. ►
- 1877 დეკემბრის ბოლო**  
ირჩევენ კომისიაში, რომელსაც ევალება წერა-კითხვის საზოგადოების წესდების პროექტის გაცნობა ორგანიზაციის წევრებისთვის და მათი ხელმოწერების ორგანიზება. ►
- 1877** ლევან ჭანდიერს უგზავნის მოკლე ბარათს და ეკითხება „დიღმელების საქმის“ ამბავს, რაზედაც იღებს პასუხს, რომ უკვე მოაგვარა. ►
- 1877** სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე, რომელიც განიხილავს მოგების განაწილებას, გამოდის წინადადებით, რომ დაფინანსდეს სათავადაზნაურო სკოლა. ეკატერინე გაბაშვილი წამოაყენებს წინადადებას, რომ თანხა გამოიყოს ქალთა განათლებისთვისაც. ►
- 1878-მდე** იღებს წერილს ვასილ მაჩაბლისგან, რომელიც უწუნებს გაზეთ „ივერიის“ გაფორმებას. სატიტულო გვერდის წარწერას იგი „რუსულ ჩაჩს“ უწოდებს და ურჩევს, რომ შეცვალოს. ►
- 1878 1 იანვარი**  
გიორგი თუმანიშვილი წერილში „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალთვალება“ ეხმაურება „მეფე ლირის“ ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისეულ ქართულ თარგმანს. ►
- 1878 5 იანვარი**  
გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („ახალმა წელიწადმა შესანიშნავი ამბავი მოგვიტანა...“) და რუბრიკაში „საქართველოს მათიანე“ - სტატიას („ჩვენს სამღვდელოებს დიდი სამსახური...“), რომელიც თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სამღვდელოების სამსახური ქვეყნის წინაშე“. ამავე ნომერში ასტრონომით (\*\*\*) ბეჭდავს პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ I-XII თავებს. ►

**1878 12 იანვარი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („რუსის ჯარი თანდათან წინ მიდის სტამბოლისკენ...“). ►

**1878 16 იანვარი**

წევრად ირჩევენ თბილისის ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში. ►

1877 21 დეკემბრიდან -

**1878 19 იანვარმდე**

ჟურნალიდან „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ თარგმნის ამერიკელი მწერლის – ჯორჯ ლეთროპის ნოველას „გარიყული“. რამდენადაც რუსულ წყაროში ტექსტის ავტორი მითითებული არ არის და სათაურიც შეცვლილია (ჰქვია „Нью-Йоркский бродяга“), ტექსტს თავადაც აქვეყნებს ავტორის მითითების გარეშე და შეცვლილი სათაურით „უბინაო კაცი ნუიორკში“. ►

**1878 19 იანვარი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („დაიწყებს კაცი თუ არა ლაპარაკს ეხლანდელს პოლიტიკაზედ...“), სტატიას „შერიგების თაობაზედ ხმები“ („ლონდონიდან 14/26 იანვარს შემდეგი ამბავი მოვიდა...“) და ამერიკელი მწერლის – ჯორჯ ლეთროპის ნოველის „გარიყული“ თარგმანის პირველ ნაწილს სათაურით „უბინაო კაცი ნუიორკში“, ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად. ►

**1878 26 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს „შერიგების თაობაზედ“ („შესწყდა დროებით მაინც, თუ არ სამუდამოდ...“) და ამერიკელი მწერლის ჯორჯ ლეთროპის ნოველის „გარიყული“ თარგმანის მეორე ნაწილს, სათაურით „უბინაო კაცი ნუიორკში“, ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად. ►

**1878 29 იანვარი**

დას – ელისაბედს უგზავნის წერილს, რომელშიც ატყობინებს, რომ მომდევნო დღეს, დილის თერთმეტ საათზე, გრიგოლ ორბელიანთან თავმოყრას აპირებენ ლევან მელიქიშვილი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი და სხვა პირები, მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით და სთხოვს, რომ ელისაბედის ქმარი – ალექსანდრე საგინაშვილიც მივიდეს. ►

**1878 30 იანვარი**

გრიგოლ ორბელიანის სახლში მონაწილეობს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდების პროექტის განხილვაში. პროექტის დასამტკიცებლად მთავრობაში წარდგენას კრება ავალებს დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძესა და ბესარიონ ლოლობერიძეს. ►

**1878 იანვრის შემდეგ**

იღებს ვასილ მაჩაბლის წერილს, რომელშიც ადრესანტი უქვებს პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებულს“. იგი კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ილიამ გაზეთ „ივერიის“ სატიტულო გვერდის გაფორმება შეცვალა. ატყობინებს, რომ მისი ძმა - ივანე მაჩაბელი ბორდოში აპირებს წასვლას მევენახეობა-მელვინეობის შესასწავლად. ►



**1878 2 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („მორიგების პირობათა შესახებ. აი, რა პირობები დაუდგია...“) და ამერიკელი მწერლის ჯორჯ ლეთროპის ნოველის „გარიყული“ თარგმანის ბოლო, მესამე ნაწილს, სათაურით „უბინაო კაცი ნუიორკში“, ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად. ►

**1878 8 თებერვლამდე**

რუსული ჟურნალიდან „პჩელა“ თარგმნის სერბი მწერლის, ჯურა იაკშიჩის მოთხრობას „შვილი მოხუცებულის გამზისა“. რამდენადაც ავტორი რუსულ წყაროში მითითებული არ იყო, ეს ინფორმაცია არც ქართულ თარგმანთან არის. ►

**1878 8 თებერვალი**

გაზეთებში მისი ხელმოწერით ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1878 წლის 1 იანვრისათვის. ►

**1878 9 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად იწყებს ჯურა იაკშიჩის მოთხრობის „შვილი მოხუცებულის გამზისა“ ბეჭდვას. ►

**1878 16 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად განაგრძობს ჯურა იაკშიჩის მოთხრობის „შვილი მოხუცებულის გამზისა“ ბეჭდვას. აქვე აქვეყნებს გაზეთ „ობზორის“ წერილის „ადგილობრივი პრესა“ პასუხად დაწერილ სტატიას „ფიქრი და შენიშვნა“, საავტორო მინაწერით „შემდეგი იქნება“, თუმცა მეტის დაბეჭდვას ცენზურის გამო ვერ ახერხებს. ►

**1878 19 თებერვალი**

გაზეთი „ობზორი“ ხელმოუწერლად ბეჭდავს ნიკო ნიკოლაძის ფელეტონს („საკვირაო საუბრები... პოლემიკა „ივერიასთან“, მართლაც გულგრილია თუ არა პოლემიკისადმი თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. მოწვევა“). ►

**1878 23 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ „ობზორის“ წერილის „ადგილობრივი პრესა“ პასუხად დაწერილი სტატიის „ფიქრი და შენიშვნის“ გაგრძელების ნაცვლად იბეჭდება მისი გამოუქვეყნებლობის მიზეზის სარედაქციო განმარტება: „ადვილად გასაგების მიზეზისა გამო, „ობზორის“ შესახები წერილი არ დაიბეჭდება ამ ნუმერში და საკულოდაც არ დაიბეჭდება იმ გარემოების გამო, რომელიც ჩვენ ხელთ არ არის“. ამჟამად, რომ წერილის გაგრძელების ბეჭდვა ცენზურამ აკრძალა და ეს აკრძალული ნაწილი დღეისთვის დაკარგულია. ►

**1878 23 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად განაგრძობს ჯურა იაკშიჩის მოთხრობის „შვილი მოხუცებულის გამზისა“ ბეჭდვას. ►

**1878 2 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად განაგრძობს ჯურა იაკშიჩის მოთხრობის „შვილი მოხუცებულის გამზისა“ ბეჭდვას. ►



**1878 2 მარტი**

გაზეთ „ობზორში“ ილიასა და სხვათა ხელმოწერით იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1878 წლის 1 თებერვლისთვის. ►

**1878 8 მარტამდე**

ბესარიონ ნიჟარაძე „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად გადასცემს სვანურ ტექსტებს. ►

**1878 8 მარტის შემდეგ**

ალექსანდრე ცაგარელისგან იღებს წერილს, რომელშიც სთხოვს, გაუგზავნოს ბესარიონ ნიჟარაძის მიერ გადაცემული სვანური ტექსტები, რადგან სჭირდებათ გრამატიკული განხილვისთვის. ამავე წერილში ცაგარელი გამოთქვამს სურვილს, რომ მოხერხდეს ბესარიონ ნიჟარაძისთვის უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება ათი თვით მაინც. ►

**1878 9 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ავტორისა და მთარგმნელის მითითების გარეშე ამთავრებს ჯურა იაკშიჩის მოთხრობის „შვილი მოხუცებულის გამზისა“ ბეჭდვას. ►

**1878 5-17 მარტი**

გაზეთ „ობზორში“ მისი და სხვათა ხელმოწერით იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1878 წლის 1 მარტისთვის. ►

**1878 30 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი“ („ამჟამად ქალაქში...“), რომელიც მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქალაქში ჯანმრთელობისთვის დიდი მზრუნველობა და საქმიანობა“. აქვე რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას („ინგლისის. საპოლიტიკო მდგომარეობა ერთი და იგივეა...“). ►

**1878 6 აპრილი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საქართველოს მათიანე“ ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ ქართულსცენაზე“. ასევე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („ინგლისი. გარეშე საქმეთა ახალმა მინისტრმა სოლსბერიმ...“). ►

**1878 7 აპრილი**

გაზეთ „ობზორში“ მისი და სხვათა ხელმოწერით იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1878 წლის 1 აპრილისთვის. ►

**1878 14 აპრილი**

გაზეთ „ობზორში“ ხელმოუწერლად ქვეყნდება ნიკო ნიკოლაძის სტატია „საზოგადოების სწავლული ექსპლოატატორები“, რომელშიც გაკრიტიკებულია ილია ჭავჭავაძისა და ბესარიონ ლოლობერიძის საბანკო პოლიტიკა. ►

**1878 25 აპრილი**

მონანილეობს თსს ბანკის კრებაში, რომელზეც განიხილავენ 1877 წლის ანგარიშს. გაზეთ „ობზორში“ იბეჭდება ამ კრებაზე წაკითხული მოხსენებების ირგვლივ ილია ჭავჭავაძისა და სხვათა განმარტებები. ►

**1878 26 აპრილი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელზეც განიხილავენ ბაქო-თბილისის რკინიგზის კახეთში გაყვანის საკითხს. კრების ზოგიერთი მონაწილე პროექტს არახელსაყრელად მიიჩნევს ცივ-გომბორის ქედთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯებისა და მგზავრების შესაძლო ნაკლებობის გამო. ირჩევენ კომისიაში, რომელსაც ევალება საჭირო საბუთების მომზადება მთავრობისთვის წარსადგენად. ►

**1878 27 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 26 აპრილი“ („ჩვენ რამდენჯერმე გამოგვითქვამს, რომ...“), რომელიც მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სოფლის უფროსის არჩევანი“. ►

**1878 აპრილი**

თსს ბანკის კრებაზე განიხილავენ სამი წლის ანგარიშს, ამტკიცებენ მისი ხელმძღვანელობით შედგენილი წესდების ახალ ვარიანტს და დასამტკიცებლად გზავნიან რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროში. ►

**1878 4 მაისი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („ახალს რასმე აღმოსავლეთის საქმის შესახებ...“). ►

**1878 11 მაისი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საქართველოს მათიანე“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს თარიღით „ტფილისი, 11 მაისი“, რომელიც მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. ►

**1878 ივნისის დასაწყისი**

გამოდის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რომელშიც შეტანილია ლექსი „გაზაფხული“. ►

**1878 8 ივნისი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („პირველ თიბათვეს ბერლინში შეიყარა კონგრესი...“). ►

**1878 15 ივნისი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („კონგრესის სჯა და მოლაპარაკება ღრმა საიდუმლოა...“). ►

**1878 20 ივნისამდე**

ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი დიმიტრი ყაზბეგს უგზავნიან შეთავაზებას, მონაწილეობა მიიღოს მამულიშვილურ წამოწყებაში და გახდეს ქმნ-კგ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი. ►

- 1878 20 ივნისი**  
დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და ბესარიონ ლოლობერიძე ეშნ-კგ საზოგადოების წესდების პროექტს, რომელზეც 123 ადამიანის ხელმოწერაა, დასამტკიცებლად წარუდგინენ კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს უფროს გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის. ►
- 1878 25 ივნისი**  
გაზეთებში მისი ხელმოწერით იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1878 წლის 1 ივნისისთვის. ►
- 1878 29 ივნისის შემდეგ**  
ილია ბახტაძეს აცნობებს, რომ მიიღო მისი კორესპონდენცია, რომელიც მცირეოდენი შესწორებით დაბეჭდა. ►
- 1878 6 ივლისი**  
გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს ლექსის „ვიხილე სატრფო“ განსხვავებულ ვარიანტს („ვნახევი სატრფო“) და უსათაუროს („მაშინ დავსტკებები სრულის სამოთხით...“). ►
- 1878 27 ივლისი**  
გაზეთ „ობზორში“ მისი ხელმოწერით იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1878 წლის 1 ივლისისთვის. ►
- 1878 3 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს რუბრიკაში „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („კონგრესი გათავდა, მაგრამ ხვალინდელს დღეს...“). ►
- 1878 აგვისტოს დასაწყისი**  
გამოდის ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შედგენილი ლექსების კრებული „საჩუქარი ქართველ ყმანვილებს“, რომელშიც დაბეჭდილია ილიას: „გაზაფხული“, „მტკვრის პირას“ და „წუხილი“. ►
- 1878 10 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის პირველ ნაწილს. ►
- 1878 17 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელებას. ►
- 1878 31 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელებას. ►
- 1878 8 სექტემბერი**  
ვასილ კარბელაშვილს ატყობინებს, რომ საქმეზე მოლაპარაკება შეუძლიათ 12 სექტემბერს, საღამოს 6-7 საათზე. ►

**1878 14 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელებას. ►

**1878 28 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელებას. ►

**1878 5 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელებას. ►

**1878 12 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელებას. ►

**1878 19 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელებას. ►

**1878 24 ოქტომბრამდე**

თხოვნით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმართებლობას 1879 წლიდან გაზეთ „ივერიის“ ჟურნალად გადაკეთების ნებართვისათვის. ►

**1878 24 ოქტომბერი**

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო, სამოქალაქო საქმეთა მიმართულების უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის ხელმოწერით, განცხადებით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს 1879 წლიდან ილია ჭავჭავაძისათვის გაზეთ „ივერიის“ ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთების ნებართვის მიცემის შესახებ. ►

**1878 26 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელებას. ►

**1878 28 ოქტომბრამდე**

თბილისიდან მიემგზავრება ყვარელში ნათესავებისა და მისი მამულების გამიჭვნის პროცესში მონაწილეობის მისაღებად. ►

**1878 28 ოქტომბერი**

ყვარლიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ იასე ჭავჭავაძესთან დაბინავდა. სთხოვს, არ მოიწყინოს, რადგან მიწის აზომვას ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება. ►

**1878 1 ნოემბერი**

წარმოებს მამულების გაყოფა მასა და მის ყვარელ ნათესავებს შორის, რის შედეგადაც დგება „ჭავჭავაძეების საკუთრებაში მყოფი ყვარლის აგარაკის აღწერისა და დახარისხების ოქმი“. ►

**1878 2 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელება. ►

**1878 1-3 ნოემბერი**

ყვარელში იმყოფება და ავადმყოფობს. ►

**1878 9 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „საქართველოს მათიანე“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს, რომელიც მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართული საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე“. აქვე ქვეყნდება ალფონს დოდეს მოთხრობის „სახლი იყიდება“ მისეული თარგმანი. ►

**1878 9 ნოემბერი**

მეუღლეს მისი გაგზავნილი წერილები არ მისდის და ამით შემფოთებული დეპეშას უგზავნის. ►

**1878 9 ნოემბერი**

ყვარლიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ იავადმყოფა, მაგრამ უკვე კარგადაა. სთხოვს, იასე ანდრონიკაშვილი ინახულოს და ღვინის ფული გამოართვას, დიმიტრი სტაროსელსკის კი მოაგონოს, რომ ვექსილების მიხედვით 29 რიცხვისთვის უსათუოდ უნდა შეიტანოს 500 მანეთი, რათა კრედიტი არ დაკარგონ. ►

**1878 13 ნოემბერი**

ყვარლიდან თბილისში მეუღლეს უგზავნის წერილს, რომელშიც ატყობინებს, რომ ჭერ ტყის გაყოფის საქმე არ დასრულებულა. აინტერესებს, იასე ანდრონიკაშვილს ღვინის ფული გამოართვა თუ არა. აძლევს სამეურნეო შინაარსის დარიგებებს. ►

**1878 14 ნოემბერი**

წარმოებს მამულების გაყოფა მასა და მის ყვარლელ ნათესავებს შორის, რის შედეგადაც დგება ილია ჭავჭავაძესა და სხვა თანამესაკუთრეთა შორის ყვარლის აგარაკის გაყოფის ოქმი. ►

**1878 15 ნოემბრის შემდეგ**

იღებს დავით კვბელის წერილს, რომელშიც სთხოვს მიიღოს „ივერიის“ თანამშრომლად. ►

**1878 16 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება ალფონს დოდეს მოთხრობის თარგმანი სათაურით „სამი ათასი ფრანკით“ და გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელება. ►

**1878 16 ნოემბერი**

წარმოებს მამულების გაყოფა მასა და მის ყვარლელ ნათესავებს შორის, რის შედეგადაც იწერება ილია ჭავჭავაძესა და სხვა თანამესაკუთრეთა შორის ყვარლის აგარაკის ტყის გამიჯვნის სააღწერო ფურცელი. ►



**1878 22 ნოემბერი**

მეუღლისაგან იღებს დეპეშას. იგებს, რომ კონცერტზე გაცივდა და შეუძლოდა. ►

**1878 23 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელება. აქვე ქვეყნდება სარედაქციო განცხადება იმის თაობაზე, რომ 1879 წლის იანვრიდან გაზეთის ნაცვლად გამოვა ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“. 1877-1878 წლებში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით სულ გამოვიდა ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის 91 ნომერი. ►

**1878 25 ნოემბერი**

წერილს უგზავნის მეუღლეს და უბოდიშებს ბარათის დაგვიანებისათვის. აცნობებს, რომ ღვინო გაყიდა, ტყის გაყოფა დასრულდა და სახნავებისა დარჩა. იმედოვნებს, რომ დეკემბრის პირველ რიცხვებში ერთად იქნებიან. სთხოვს, დეპეშით შეატყობინოს თავისი ჭანმრთელობის ამბავი. ►

**1878 27 ნოემბერი**

ურმებს გზავნის ყვარლიდან საგურამოში, რათა გასაყიდი შეშა ჩამოაზიდინონ ტყიდან. ►

**1878 29 ნოემბერი**

თბილისის სასამართლო პალატა იღებს დადგენილებას ილია ჭავჭავაძისა და მისი ყოფილი თანამესაკუთრეებისათვის მიწების დაკანონების შესახებ. ►

**1878 29 ნოემბერი**

ყვარლიდან თბილისში მეუღლეს უგზავნის წერილს და აძლევს სამეურნეო ხასიათის დარიგებებს. გარდა ამისა, სთხოვს უყიდოს და დავით ციციშვილის ხელით გაუგზავნოს შემოსავალ-გასავლის ორი დავთარი. დავით ქანანოვს უთვლის, რომ იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ის სწერდა, თბილისში დაბრუნების შემდეგ მოელაპარაკება. ►

**1878 30 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ თარგმანის გაგრძელება. ►

**1878 10 დეკემბრამდე**

ყვარლიდან ბრუნდება თბილისში. ►

**1878 27 დეკემბერი**

გრიგოლ ორბელიანისგან ჟურნალ „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად წერილთან ერთად იღებს პლატონ იოსელიანის ნარკვევს „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“. ►

**1878**

მისი ლექსები: „გაზაფხული“, „არაგვი“ და თარგმანი ლექსისა „ჩიტი“ („ყოველთ უწინარეს...“) მიხეილ მაჭავარიანს გადააქვს ნოტებზე და ქვეყნდება წიგნში „სამშობლო ხმები“. ეს არის პირველი ქართული სანოტო გამოცემა. რამდენადაც თბილისში ნოტების ასაწყობი შრიფტი და საბეჭდი მანქანა არ არის, თითოეული ფურცელი ქვაზე იკვეთება და გრავიურის სახით იბეჭდება. ►

- 1878** ჰენრიხ სტრუვე „განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად“ წარწერით უძღვნის წიგნს, რომელშიც დაბეჭდილია მის მიერ კავკასიაში ნაკითხული ლექციები მეღვინეობის შესახებ. ►
- 1878** ალექსანდრე ჩოლოყაშვილთან ერთად თბილისის გუბერნატორს წარუდგენს „თბილისის დამზოგველი საზოგადოების“ წესდების პროექტს. საზოგადოების მიზანია თავისი წევრებისთვის მაღალი ხარისხის სურსათ-სანოვავის მიწოდება ხელმისაწვდომ ფასებში. ►
- 1879-მდე** მამია გურიელი, დავით ერისთავი და ნინო ორბელიანი გამოთქვამენ სურვილს, რომ სცენაზე დადგან ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „მეფე ლირი“, მაგრამ, ილიას აზრით, მუდმივი სცენის დაარსებამდე ამის გაკეთება ნაადრევია. ►
- 1879 3 თებერვალი**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც სრულად ბეჭდავს პოემას „მეფე დიმიტრი თავდადებული“, ხელმოუწერლად აქვეყნებს „შინაურ მიმოხილვას“ („აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ...“), ნარკვევის „ცხოვრება და კანონი“ მესხეთე წერილს და გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის რომანის „რამეთუ ვაცი ვარ“ თარგმანის დასასრულს. აქვე ხელმოწერით „ნ. დავითიშვილი“ ბეჭდავს პუბლიცისტურ წერილს „ფიქრი და შენიშვნა“ („ჩვენის მწერლობის თაობაზედ...“) და სარედაქციო განცხადებას ჟურნალზე ხელმოწერის პირობების შესახებ. ►
- 1879 4 თებერვალი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლის შესახებ. ►
- 1879 7 თებერვლამდე**  
თარგმნის ცნობილი ფრანგი მწერლის, ალფონს დოდეს მოთხრობას „თურკოსი კომმუნელთა შორის“. ►
- 1879 7 თებერვლამდე**  
დებს თანხას ულუკმაპუროდ დარჩენილი ქობულეთელებისთვის გასაგზავნად. ►
- 1879 9 თებერვალი**  
გაზეთ „დროებაში“ კრიპტონიმით „ა“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებულსა“ და მისსავე სტატიაზე „ფიქრი და შენიშვნა“ ალექსანდრე სარაჯიშვილის რეცენზიის პირველი ნაწილი. ►
- 1879 14 თებერვლამდე**  
კრებულ „ალმანახში“ იბეჭდება გიორგი თუმანიშვილის მიმოხილვითი წერილი „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“, რომელშიც ავტორი ილია ჭავჭავაძის ბოლოდროინდელ შემოქმედებას უწოდებს უფერულს მის ადრინდელ ნაწერებთან შედარებით და განსაკუთრებით იწუნებს პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებულს“. ►
- 1879 14 თებერვალი**  
გაზეთ „დროებაში“ მაჭახელიძის ფსევდონიმით ქვეყნდება ალექსანდრე ჭყონიას სტატია „ორიოდე სიტყვა უფ. გ. თუმანიშვილს“. ავტორი არ იზიარებს გიორგი თუმანიშვილის კრიტიკას ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც გამოთქმული აქვს „ალმანახში“ დაბეჭდილ წერილში „ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. ►

**1879 15 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ კრიპტონიმით – „ა“ იბეჭდება პოემა „დიმიტრი თავდადებულსა“ და სტატიამე „ფიქრი და შენიშვნა“ ალექსანდრე სარაჯიშვილის რეცენზიის მეორე ნაწილი. პუბლიკაციაში ილია ჭავჭავაძის ახალი პოემა მის შემოქმედებით უკუსვლად არის შეფასებული. ►

**1879 18 თებერვლის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ცენზურის მიერ აკრძალულ ადგილებში მრავალწერტილებით ბეჭდავს საკუთარ ლექსს „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, მოთხრობას „სარჩობელაზედ“, ხელმოწერით „ნ. დავითიშვილი“ – პუბლიცისტურ წერილს „ფიქრი და შენიშვნა“ („კიდევ ჩვენის მწერლობის თაობაზედ. უფ. თუმანიშვილი და მისი „ალმანახი“), ხელმოწერით „თქვენი თანამშრომელი“ – „სხარტულას“ („ივერიის“ რედაქციას“). აქვე ხელმოწერადაც აქვეყნებს ცნობილი ფრანგი მწერლის, ალფონს დოდეს მოთხრობის „თურკოსი კომმუნელთა შორის“ თარგმანს და „შინაურ მიმოხილვას“ („ყოველ მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი...“). ჟურნალის ამავე ნომერში ქვეყნდება სარედაქციო განცხადება და ულუკმაპუროდ დარჩენილი ქობულეთელებისთვის რედაქციაში შეგროვებული შემოწირულობების სია. ►

**1879 21 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ რუბრიკაში „დიური“ ქვეყნდება ცნობა ულუკმაპუროდ დარჩენილ ქობულეთელთა სასარგებლოდ ლიტერატურული საღამოს გამართვისა და მასში ილია ჭავჭავაძის მონაწილეობის შესახებ. ►

**1879 28 თებერვალი**

მისი ხელმოწერით გაზეთ „კავკაზში“ ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1879 წ. 1 იანვრისათვის ►

**1879 10 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ „გ. უმნიფარიძის“ ფსევდონიმით, სათაურით „შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა: „დიმიტრი თავდადებული“ იბეჭდება გრიგოლ ვოლსკის გამოხმაურების დასაწყისი ალექსანდრე სარაჯიშვილის წერილზე, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული ილია ჭავჭავაძის ახალი პოემა. ►

**1879 11 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ „გ. უმნიფარიძის“ ფსევდონიმით, სათაურით „შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა: „დიმიტრი თავდადებული“ იბეჭდება გრიგოლ ვოლსკის გამოხმაურების დასასრული ალექსანდრე სარაჯიშვილის წერილზე, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული ილია ჭავჭავაძის ახალი პოემა. ►

**1879 15 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება დასაწყისი გიორგი თუმანიშვილის კრიტიკული წერილისა „ორიოდე სიტყვა სტატიებზე: „ფიქრი და შენიშვნა“ და „სხარტულა“ („ივერია“ № 1879). ►

**1879 15 მარტი**

ესწრება პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარის ბესარიონ ღოღობერიძის დაკრძალვას იმერეთის სოფელ გოჩაჭიხაიში. ►

**1879 15 მარტის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მესამე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად იბეჭდება ნეკროლოგი „ბესარიონ ლევანის ძე ლოლობერიძე“, „შინაური მიმოხილვა“ („ბესარიონ ლოლობერიძის დასაფლავება...“), „ცხოვრება და კანონის“ მეექვსე წერილი და ალექსის ბუვიეს რომან „იზას“ თარგმანის პირველი ნაწილი. ასევე, ხელმოწერით „ნ. დავითიშვილი“ ქვეყნდება პუბლიცისტური წერილი „ფიქრი და შენიშვნა“ („გლოვა ბესარიონ ლოლობერიძის“). ►

**1879 16 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება დასასრული გიორგი თუმანიშვილის კრიტიკული წერილისა „ორიოდე სიტყვა სტატიებზე: „ფიქრი და შენიშვნა“ და „სხარტულა“ („ივერია“ № 1879). ►

**1879 25 მარტამდე**

მონაწილეობს ეშნ-კვ საზოგადოების წესდების პროექტის საბოლოო შესწორება-რედაქტირებაში. სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭო წესდებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლის ამოღებას მოითხოვდა, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა დიმიტრი სტაროსელსკიმ ეს მოთხოვნები არ გაიზიარა და მხოლოდ უმნიშვნელო შენიშვნების გათვალისწინება მოითხოვა. ►

**1879 27 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ კრიპტონიმით „ა“ იბეჭდება ალექსანდრე სარაჯიშვილის რეცენზია მოთხრობაზე „სახრჩობელაზე“ და ლექსზე „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?“. იგი მიიჩნევს, რომ ილია ჭავჭავაძის ახალი მოთხრობა მხოლოდ „სალიტერატურო ფორმაა“, რომელშიც მწერალი ცდილობდა ფსიქოლოგიური აზრის ჩასმას, ხოლო რაც შეეხება ლექსს, აღნიშნულია, რომ ამ მწვავე სატირაში ბევრი სამწუხარო სიმართლეა გამოთქმული. ►

**1879 31 მარტი**

მტკიცდება ეშნ-კვ საზოგადოების პროექტი, რომლის შემუშავებაშიც მას დიდი წვლილი მიუძღვის. ►

**1879 4 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, ბანკში შეტანილი თანხების რაოდენობას თარიღების მიხედვით. ►

**1879 11 აპრილის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეოთხე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად იბეჭდება ალექსის ბუვიეს რომან „იზას“ ილიასეული თარგმანის გაგრძელება და „შინაური მიმოხილვა“ („ნუთუ ახალმა ნიაგმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას?“). ►

**1879 14 აპრილი**

მტკიცდება ეშნ-კვ საზოგადოების წესდება, რომლის შედგენაშიც მას დიდი წვლილი მიუძღვის. ►

**1879 18 აპრილი**

დიმიტრი ყიფიანთან ერთად ხელს აწერს მოსაწვევ ბარათებს, რომლებითაც ეშნ-კვ საზოგადოების წევრებს 15 მაისს ეპატიჟებიან საზოგადოების დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მისაღებად. ადრესატებს ასევე ეგზავნება წესდების ნაბეჭდი ტექსტი. ►



- 1879 23 აპრილი**  
ცენზურისგან იღებს „გლახის ნაამბობის“ ცალკე წიგნად გამოცემის ნებართვას. ►
- 1879 30 აპრილი**  
მონაწილეობს თსს ბანკის წლიურ კრებაში, რომელზეც განიხილება ამ ბანკის მმართველობის წლიური ანგარიში. მისი წინადადებით, კრება იღებს გადაწყვეტილებას ქართული თეატრისათვის 3000 მანეთის გამოყოფის შესახებ. ►
- 1879 1 მაისი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სტატია „თბილისის ბანკის კრება“, რომელშიც ნათქვამია, რომ ბანკის მმართველად ისევ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე. ►
- 1879 2 მაისი**  
მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებაში, რომელმაც განიხილა სათავადაზნაურო სკოლის დაარსების საკითხი. ►
- 1879 2 მაისის შემდეგ**  
მონაწილეობს სათავადაზნაურო სკოლის ტიპის არჩევასა და პროგრამის შემუშავებაში. ►
- 1879 5 მაისი**  
გრძელდება თსს ბანკის კრება, რომელიც განიხილავს სათავადაზნაურო სკოლისა და ქშნ-კვ საზოგადოების დახმარების საკითხს. სკოლისთვის უკამათოდ გამოყოფენ 13 500 მანეთს, მაგრამ ქშნ-კვ საზოგადოებისთვის 11 000 მანეთის გამოყოფაზე თანხმობის მისაღებად, ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის დიდი ძალისხმევა და არგუმენტირება ხდება საჭირო. ►
- 1879 10 მაისი**  
მონაწილეობს თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების წლიური კრების მუშაობაში. ►
- 1879 15 მაისი**  
ესწრება ქშნ-კვ საზოგადოების პირველ კრებას, რომელზეც ირჩევენ გამგეობის წევრად 41 ხმით 5-ის წინააღმდეგ. იმავე დღეს გამართულ გამგეობის სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან: დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი, ირჩევენ თავმჯდომარის, დიმიტრი ყიფიანის მოადგილედ. ►
- 1879 18 მაისამდე**  
ხელს აწერს მოსაწვევებს, რომლებითაც კულტურის მოღვაწეებს ეპატიჟება 18 მაისს ქართული თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მისაღებად. ►
- 1879 18 მაისი**  
გრიგოლ ორბელიანისგან იღებს საპასუხო წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ თეატრთან დაკავშირებით გამართულ კრებაზე ვერ მივა, რადგან უნდა დაესწროს ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სხდომას. ქართული თეატრის აღდგენა ადრესანტს ნაადრევად ეჩვენება, რადგან არ არსებობს შენობა და არ გვყავს პროფესიონალი მსახიობები. ►



**1879 18 მაისი**

მონაწილეობს ქართული თეატრალური ამხანაგობის დამფუძნებელ კრებაში. მასთან ერთად არიან საზოგადოების წევრები: დიმიტრი ყიფიანი, გიორგი თუმანიშვილი, დავით ერისთავი, ნიკოლოზ ავალიშვილი, იოსებ ბაქრაძე და ალექსანდრე სარაჯიშვილი. განიხილავენ წესდებს, იღებენ გადაწყვეტილებას მუდმივი დასისა და დრამატული კომიტეტის დაარსების შესახებ. ►

**1879 30 მაისი**

მონაწილეობს ქმნ-კვ საზოგადოების წევრთა საერთო კრებაში და მოხსენებით გამოდის 1879-1880 წლების ხარჯთაღრიცხვის შესახებ. ►

**1879 14 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ სოფელ რუისში სკოლის გახსნის საკითხს. ითხოვენ ინფორმაციის დაზუსტებას სოფლის მცხოვრებთა რაოდენობისა და იმ ინვენტარის შესახებ, რაც დასტირდება ახალგახსნილ სასწავლებელს. ილია ჭავჭავაძის დავალებით თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებს უგზავნიან წერილებს საზოგადოების სასარგებლოდ შეწირული თანხის მიწოდების თხოვნით. საქმისმწარმოებელ იონა მეუნარგიას ავალებენ კანცელარიისათვის ცალკე ოთახის დაქირავებას. ►

**1879 20 ივნისი**

იურისტი დავით ავალიშვილი უფორმებს ხელწერილს, რომლითაც იღებს ვალდებულებას ილია ჭავჭავაძის წინაშე, რომ მასთან ერთად ხელმოწერილი ვექსილი, ათასი მანეთის სესხად აღების თაობაზე, მასვე მიჰყიდოს ან გადასცეს გასანადგურებლად. ►

**1879 23 ივნისი**

წერილობით თხოვნას უგზავნის რაფიელ ერისთავს, რომ ქმნ-კვ საზოგადოების საქმის მწარმოებელ იონა მეუნარგიას გამოუყოს თანხა კანცელარიის მოსაწყობად. ►

**1879 25 ივნისის შემდეგ**

გრიგოლ ორბელიანისგან იღებს წერილს და ახლადდანერვილ ლექსს „ფსალმუნი“. ადრესანტი მოკრძალებულად სთხოვს, ლექსი მეუღლესაც წააკითხოს და თუ მოეწონებათ, გამოაქვეყნოს. ტექსტი იბეჭდება ჟურნალ „ივერიის“ მაის-ივნისის ნომერში. ►

**1879 ივნისის ბოლო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეხუთე-მეექვსე გაერთიანებული ნომერი, რომელშიც იბეჭდება პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. აქვე ხელმოუწერლად ქვეყნდება „შინაური მიმოხილვა“ („ჩვენებური კლასიკური გიმნაზია და ქართველები“) და ალექსის ბუვიეს რომან „იზას“ ილიასეული თარგმანის გაგრძელება. ►

**1879 4 ივლისი**

ქმნ-კვ საზოგადოების სახელით, წერილობით მიმართავს ამბროლაურის რაიონის სოფელ ზნაკვის სკოლის გამგეს, რომ აცნობოს სკოლაში არსებული მდგომარეობა. ►

**1879 12 ივლისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ისმენენ კონსტანტინე მამაცაშვილის პასუხს სოფელ რუისის მცხოვრებთა რაოდენობისა და იმ ინვენტარის შესახებ, რომელიც დასჭირდება ახალგახსნილ სკოლას. იღებენ დადგენილებას სკოლისთვის ავეჯის შესაძენი თანხის, წიგნებისა და სასკოლო ნივთების გაგზავნის შესახებ. ►

**1879 26 ივლისამდე**

პოემას „ქართვლის დედა“ ამზადებს „ივერიაში“ დასაბეჭდად, მაგრამ ჟურნალ „კრებულში“ მისი ამ სათაურით გამოქვეყნების წარუმატებელი მცდელობიდან ხვდება, რომ ცენზურა ამჭერედაც წინააღმდეგი იქნება და თავადვე ცვლის მას სათაურით „დედა და შვილი“. ►

**1879 26 ივლისის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეშვიდე-მერვე გაერთიანებული ნომერი, რომელშიც ბეჭდავს პოემას „დედა და შვილი“, მინაწერით: „დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს“. აქვე ხელმოუწერლად აქვეყნებს შინაურ მიმოხილვას („ძნელი მოვალეობა შინაური მიმოხილვისა ჩვენში...“) და თარგმანებს: ჟიულ კლარეტის რომანის „ერთი უბედურთაგანი“ პირველ ნაწილს, მარიანო ხოსე დე ლარას სატირულ მოთხრობას „ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“ და ალექსის ბუვიეს რომან „იზას“ გაგრძელებას. ►

**1879 ივლისი**

ცალკე წიგნად გამოდის „გლახის ნაამბობი“. ►

**1879 ივლისის ბოლო**

ამონაბეჭდის სახით, ცალკე წიგნად გამოდის პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ►

**1879 6 აგვისტო**

როგორც ქმნ-კგ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს სოფელ ხვანჭკარის მასწავლებელი ლუკა კერესელიძე უგზავნის წერილობით ანგარიშს სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აცნობებს მოსწავლეთა რაოდენობას და იმ სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, რომლებსაც იყენებენ. ასევე ატყობინებს, რომ ესაჭიროებათ საანგარიშო მოწყობილობა. ►

**1879 8 აგვისტო**

მისი ხელმოწერით გაზეთებში იბეჭდება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ბალანსი 1879 წლის 1 ივლისისათვის. ►

**1879 12 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს ნაწყვეტს პოემიდან „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. (ინყება სტრიქონიდან: “მაშინ შევიქენ მე ოცის წლისა...“). ►

**1879 14 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს ნაწყვეტს პოემიდან „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ►

**1879 15 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ ხელმოწერით „ქართული თეატრის მოყვარული“, აქვეყნებს მოწინავეს „ქართული ტრუპის შესახებ“ („დიდის ყურადღებით, დიდის ინტერესით...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვლობათა ოცტომეულში. ►

**1879 1 სექტემბერი**

მისი და სხვა ქართველი მოღვაწეების თაოსნობით დაარსებული თეატრალური დასი წარმოადგენს პირველ სპექტაკლს – ბარბარე ჯორჯაძის კომედიას „რას ვეძებდი და რა ვპოვე“. ►

**1879 3 სექტემბერი**

თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლის დირექტორი სერგეი სტრელეცკი სწერს, რომ რუისის სკოლის მეურვესთან შეთანხმებით ამავე სკოლის მასწავლებლად დანიშნა ნიკოლოზ ტატიშვილი. სთხოვს, შუამდგომლობა გაუწიოს ქმნ-კვ საზოგადოებასთან, რომ ახალმა მასწავლებელმა მიიღოს ჩატარებული გაკვეთილების საფასური. ►

**1879 10 სექტემბერი**

ესწრება ქმნ-კვ საზოგადოების გამგეობის სხდომას, რომელზეც სვამს საკითხს, რომ გამგეობის წევრები მიავლინონ მაზრებში ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან სკოლების გახსნის საკითხებზე მოსალაპარაკებლად. ►

**1879 26 სექტემბრის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეცხრე-მეათე ნომერი, რომელშიც ბეჭდავს თავის ლექსს „აღარც ნატვრა და აღარც იმედია...“. აქვე აქვეყნებს ჟიულ კლარეტის რომანის „ერთი უბედურთაგანი“ გაგრძელების, მარიანო ხოსე დე ლარას მოთხრობის „რა არის საზოგადოება და სად უნდა ვეძებოთ იგი“ და ალექსის ბუვიეს რომან „იზას“ გაგრძელების თარგმანებს. ჟურნალის ამავე ნომერში სერგეი მესხთან ერთად ბეჭდავს სარედაქციო განცხადებას „დროება“-„ივერიის“ გაერთიანებულ გამოცემაზე 1880 წელს. ►

**1879 20 ოქტომბერი**

მონაწილეობს ქმნ-კვ საზოგადოების გამგეობის სხდომაში. ►

**1879 20 ოქტომბერი**

განზრახული აქვს შექსპირის „მეფე ლირის“ დიდ სცენაზე დადგმა მწერლების: დიმიტრი ყიფიანის, ივანე მაჩაბლის, მამია გურიელის, ნინო ორბელიანის, დავით ერისთავისა და სხვათა მონაწილეობით. ამასთან დაკავშირებით წერილს უგზავნის დიმიტრი ყიფიანს და სთავაზობს ლირის როლის შესრულებას. ►

**1879 31 ოქტომბერი**

ქვიშხეთიდან იღებს დიმიტრი ყიფიანის საპასუხო ბარათს. „მეფე ლირის“ ივანე მაჩაბლისა და ილიასეულ თარგმანთან დაკავშირებით ადრესანტი აღნიშნავს, რომ იგი შეადარა პიესის ორიგინალსა და ხუთ სხვადასხვა თარგმანს და დარწმუნდა, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა. მიუხედავად ამისა, მიაჩნია, რომ თარგმანის ენა მწიგნობრული უფროა, ვიდრე სალაპარაკო. ამიტომ სწერს, რომ თუ სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებს, თავის სიტყვებს თავად თარგმნის. ►

**1879 2 ნოემბერი**

წერილს იღებს გრიგოლ ორბელიანისგან. იგი უგზავნის მიხეილ საბინინის ბარათს და სთხოვს, რომ ქმნ-კგ საზოგადოება დაეხმაროს საბინინს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ წიგნზე მუშაობის დასრულებასა და ამ წიგნისთვის ლაიფციგში შეკვეთილი ქართველ წმინდანთა სურათების გამოხსნაში. ►

**1879 15 ნოემბერი**

„დროების“ რედაქტორ სერგეი მესხთან და ამავე გაზეთის გამომცემელ სტეფანე მელიქიშვილთან ერთად, თხოვნა შეაქვს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსთან 1880 წლის 1 იანვრიდან ჟურნალ „ივერიის“ და გაზეთ „დროების“ საერთო რედაქციით გამოცემის ნებართვის შესახებ. განცხადებაში მითითებულია, რომ ჟურნალი „ივერია“ უნდა გამოვიდეს წელიწადში ოთხჯერ, „დროება“ კი – ყოველდღიურად. ►

**1879 16 ნოემბერი**

გაზეთებში იბეჭდება მისი და სერგეი მესხის ერთობლივი განცხადება „დროებისა“ და „ივერიის“ ერთობლივ გამოცემაზე 1880 წელს. ►

**1879 21 ნოემბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს შემოსავალ-გასავალს, ვის რამდენი მისცა და ვისგან რამდენი მიიღო. ►

**1879 22 ნოემბერი**

ქართული თეატრალური ამხანაგობა მათთვის განკუთვნილი 3000 მანეთის გამოყოფის თხოვნით მიმართავს თსს ბანკის ზედამხედველ კომიტეტს. ►

**1879 27 ნოემბერი**

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი სტაროსელსკი შუამდგომლობს ილია ჭავჭავაძესა და სერგეი მესხს საცენზურო კომიტეტის წინაშე, რომ ნება დართონ ჟურნალ „ივერიისა“ და გაზეთ „დროების“ ერთობლივ გამოცემაზე. ►

**1879 26 ნოემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, კრედიტთან დაკავშირებულ თანხებს, თარიღებს, ბილეთის ნომერს და სერიას. ►

**1879 ნოემბერი**

„მეფე ლირის“ დადგმა მწერლების მონაწილეობით არ ხერხდება და მეფე ლირის როლზე მსახიობის შესარჩევად აცხადებს კონკურსს. მსახიობებმა მხატვრულად უნდა წაიკითხონ შექსპირის ტრაგედიის მე-3 მოქმედების მე-3 სურათში წარმოსათქმელი წყევლა. კონკურსი ტარდება ილია ჭავჭავაძის სახლში. მასთან ერთად ჟიურის წევრები არიან: რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი, მიხეილ ბებუთაშვილი და ალექსანდრე ჰალბი. ►

**1879 ნოემბერი**

მეფე ლირის როლზე ირჩევენ კოტე ყიფიანს. ილია ჭავჭავაძე მას თავისთან იბარებს და ურჩევს როლისთვის მოსამზადებლად არ წაიკითხოს კრიტიკული წერილები და რეცენზიები და თავად ჩაუღრმავდეს პერსონაჟის სახეს. ►



**1879 10 დეკემბერი**

ანა მუსხელიშვილი და სიმონ ლოღობერიძემას, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, სთხოვენ, რომ გამგეობამ ქუთაისის სკოლის მზრუნველებად არჩეულ პირებს შეატყობინოს მათი უფლება-მოვალეობები, ხოლო სახალხო სკოლების დირექტორს გაუგზავნოს სკოლის უწყება და პროგრამა. ასევე სურვილს გამოთქვამენ, რომ სასწავლებლის გახსნათან დაკავშირებით განცხადება დაიბეჭდოს გაზეთებში. ▶

**1879 23 დეკემბერი**

მონაწილეობს ეშნ-კვ საზოგადოების გამგეობის სხდომაში, რომელზეც ავალბენ ბათუმის სკოლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას სხვადასხვა პირთან. გარდა ამისა, იღებენ დადგენილებას, რომ მან, დიმიტრი ყიფიანთან და რაფიელ ერისთავთან ერთად, აკონტროლოს სახელმძღვანელოების ენა. ▶

**1879 25 დეკემბერი**

ეშნ-კვ საზოგადოების წევრების, ნიკოლოზ ცხვედაძისა და ივანე მაჩაბლის თანდასწრებით, რაფიელ ერისთავისგან ოფიციალურად იბარებს საზოგადოების შემოსავალ-გასავლის დავთარს. ▶

**1879** ავადმყოფი მარი ბროსე ბაქარია ჭიჭინაძეს უგზავნის წერილს, რომელშიც სთხოვს ილია ჭავჭავაძის თხზულებების გაგზავნას. ▶

**1879** თბილისის გუბერნატორს წარუდგენს „თელავისა და კონდოლის დამზოგველი საზოგადოებების“ წესდებათა პროექტებს. ▶

**1879** ხელმძღვანელობს ბაშკიჩეთის (ამჟამინდელი დმანისი) ადგილობრივი მამასახლისისა და მოსამართლეების არჩევნებს და გამარჯვებულებს განუმარტავს მათ მოვალეობებს. ▶

**1870-1880- იანების გასაყარზე**

ესწრება წვეულებას ვერის ბაღში და უღებენ ფოტოს. ▶

**1880 1 იანვარი**

გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს შინაურ მიმოხილვას, სათაურით „ვისს ნათესსა ვმკით?“. იქვე მისი და სერგეი მესხის ხელმოწერით იბეჭდება განცხადება გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „ივერიის“ ერთობლივი გამოცემის შესახებ და აკაკი წერეთლის საახალწლო ლექსი „მესტვირული“, რომელშიც ერთი სტროფი ილიას ეძღვნება: „ან ახლებზედ გადავიდეთ, ვახსენოთ ჩვენი ილია...“ ▶

**1880 1 იანვარი**

სხვებთან ერთად ხელს აწერს ეშნ-კვ საზოგადოების 1879 წლის ანგარიშს. ▶

**1880 6 იანვარი**

გაზეთ „დროებაში“ ხელმოწერლად აქვეყნებს მონინავეს „რა გავაკეთეთ ბათუმში?“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ▶

**1880 8 იანვარი**

გაზეთ „დროებაში“ ხელმოწერლად აქვეყნებს მონინავეს „არყის ბაჟი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ▶



**1880 9 იანვარი**

გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს „ჩვენი ხელოსნობა და ხელოსნები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 10 იანვარი**

იღებს ალექსანდრე ბერიძის წერილს, რომელშიც სთავაზობს თავის გრაფიურებს ჟურნალ „ივერიისათვის“. ►

**1880 10 იანვარი**

ესწრება ემნ-კგ საზოგადოების გამგეობის სხდომას გრიგოლ ორბელიანთან, რაფილ ერისთავთან, ნიკო ცხვედაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან, ივანე მაჩაბელთან და სხვებთან ერთად. ►

**1880 12 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს წერილისა „თეატრის მათიანე“ („უნინ, როდესაც ჩვენი ქართული წარმოდგენები...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 13 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს წერილისა „თეატრის მათიანე“ („ვიდრე მივყვებით ამ სათაურში მოხსენებულ წარმოდგენების გარჩევას...“). აქვე უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მეთაურს თარიღით „ტფილისი, 13 იანვარს“ („ჩვენი ქვეყანა, სხვაზედ თუ არ მეტი...“), რომელიც მწერლის თხზულებათა ოცტომეულში გამოქვეყნდა სათაურით „ჩვენი ეკონომიკა“. ►

**1880 16 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „ერთს პატარა შემთხვევაზე“ („დღევანდელ ნომრის ახალ ამბებში...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 18 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მეთაურ წერილს თარიღით „ტფილისი, 15 იანვარს“ („როგორც კერძო კაცს, ისე მთელ სახელმწიფოსაც...“). თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თვითმმართველობის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის“. ►

**1880 18 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „თეატრის მათიანე“ („თეატრის ავკარგიანობა და ბედ-იღბალი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 19 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „ასათიანის მოკვლაზედ“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

- 1880 20 იანვარი**  
 მას, როგორც როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დროებით ხაზინადარს, გამგეობა სთხოვს, რომ გადაიხადოს შეკვეთილი მერხების საფასური. ►
- 1880 20 იანვარი**  
 მონაწილეობს ქმნ-კვ საზოგადოების გამგეობის სხდომაში. ►
- 1880 20 იანვარი**  
 გაზეთ „დროებაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს თარიღით „ტფილისი, 18 იანვარს“. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“. ►
- 1880 23 იანვარი**  
 გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს წერილისა „კავკასიის უნივერისტეტი“ („თვითმმართველობის წარმომადგენელ პირმა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1880 24 იანვარი**  
 გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს წერილისა „კავკასიის უნივერისტეტი“ („შემცდარი აზრია, უბრალო შიშია...“). ►
- 1880 25 იანვარი**  
 გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „ვისთვის არის ეს საჭირო?“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1880 26 იანვარი**  
 გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს რუბრიკით „თეატრის მათიანე“ („ჩვენი საზოგადოება მესხის ბენეფისსაც...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1880 29 იანვარი**  
 გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „ფიქრი და შენიშვნა“ („დროების“ 12 ნომერში დაბეჭდილი იყო...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1880 იანვარი**  
 ჟურნალ „ივერიაში“ ბეჭდავს ფრანგი მწერლის, ჟიულ კლარეტის რომანის „ერთი უბედურთაგანი“ ბოლო, მესამე ნაწილს. ►
- 1880 1 თებერვალი**  
 თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას და ხელს აწერს მიღებულ დადგენილებებს, რომელთა საფუძველზეც სოფელ თონეთის მცხოვრებთა თხოვნა სკოლისგახსნისთაობაზედასამტკიცებლადეგზავნებაგუბერნატორს;საზოგადოების წევრებს – გიორგი წერეთელსა და იონა მეუნარგიას ევალებათ ასლების გადამღებ აპარატ ჰექტოგრაფის ფასების გარკვევა და მმართველობისთვის მოხსენება. ►

- 1880 2 თებერვალი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს რუბრიკით „თეატრის მათიანე“ („არ ვიცი, ღვთის წინაშე...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1880 3 თებერვლის შემდეგ**  
ევნატე ინგოროყვასგან (ნინოშვილი) იღებს 3 თებერვლით დათარიღებულ წერილობით ანგარიშს სოფელ ჩოჩხათის სახალხო სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. წერილში აღნუსხულია მოსწავლეთა რაოდენობა, მოცემულია სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ და სასკოლო ინვენტარის სია, რომლებიც ესაჭიროებათ. ►
- 1880 4 თებერვლამდე**  
უბის წიგნაკში იწერს, რა ადგილას რა ღვინო და რამდენი აქვს შენახული, სავარაუდოდ, საუბარია მის ყვარლის მარანზე, რადგან ნახსენებია წოურის და ტურაულის ღვინოები. ►
- 1880 4 თებერვლამდე**  
უბის წიგნაკში იწერს, რომ 4 თებერვალს უნდა დააბრონოს ნასესხები ფული. ►
- 1880 4 თებერვლამდე**  
უბის წიგნაკში იწერს, რაში რა გადაიხადა, ვისი რა მართებს და ვის რამდენი აქვს მისთვის მისცემი. ►
- 1880 4 თებერვლამდე**  
უბის წიგნაკში იწერს ყასბის სახელს, რომელმაც ხარები უნდა უყიდოს. ►
- 1880 4 თებერვალი**  
გაზ. „დროებაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება პუბლიცისტური წერილის „ფიქრი და შენიშვნა“ (უფ. ნიკოლაძის „საახალწლო...“), პირველი ნაწილი. ►
- 1880 6 თებერვალი**  
გაზ. „დროებაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება პუბლიცისტური წერილის „ფიქრი და შენიშვნა“ (უფ. ნიკოლაძის „საახალწლო...“), მეორე ნაწილი („წინადვე უნდა ბოდიში მოვიხადო...“). ►
- 1880 4 თებერვლის შემდეგ**  
უბის წიგნაკში იწერს ოთახების მიხედვით მატერიის ზომებს, სავარაუდოდ, საფარდედ ან კედლებზე გასაკრავად. ►
- 1880 4 თებერვლის შემდეგ**  
უბის წიგნაკში იწერს თანხებს, რაში რა გადაიხადა და ვისგან რამდენი მიიღო. ►
- 1880 4 თებერვლიდან**  
უბის წიგნაკში იწერს თანხას – 7068 მანეთს და ვადას – „17 სექტემბრამდე“. ჩანაწერის მიხედვით, ეს ინფორმაცია უნდა უკავშირდებოდეს გაზეთ „დროებას“. ►

**1880 14 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს თარიღით „ტფილისი, 13 თებერვალს“ („ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკსა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში, სათაურით „ქუთაისის ბანკის უფლებამოსილების გაფართოება“. ►

**1880 15 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „პირველი შკოლა ბათუმში“ („დღევანდელს „დროებაში“ მკითხველი ნახავს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 16 თებერვალი**

ესწრება ეწმ-კვ საზოგადოების გამგეობის სხდომას და სვამს საკითხს ბათუმში სკოლის გახსნის საჭიროების შესახებ. ►

**1880 16 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „კორრესპონდენტი და საზოგადოება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 17 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს თარიღით „ტფილისი, 16 თებერვალს“ („ჩვენ ამას წინათ ავლნიშნეთ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქუთაისის ბანკის ხელსაყრელი პირობები“. ►

**1880 19 თებერვალი**

გაზ. „დროებაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება პუბლიცისტური წერილის „ფიქრი და შენიშვნა“ (უფ. ნიკოლაძის „საახალწლო...“) მესამე ნაწილი („იმ აზრის „უფრო გარკვევით“ გამოსათქმელად...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 21 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „საფუძველი ვავკასიის უნივერსიტეტისა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 21 თებერვალი**

მონაწილეობს დავით სარაჯიშვილის სახლში გამართულ ქართული სათეატრო ამხანაგობის კრებაში. იხილავენ დიმიტრი ყიფიანის წინადადებებს: დეკლამაციისა და დიქციის კლასების გაუქმების, გიორგი წერეთლის პიესისთვის „ოჯახის ასული“ ჭილდოს მინიჭებისა და ამხანაგობის წევრად მიხეილ ბებუთაშვილის მიღების შესახებ. შემოთავაზებულ წინადადებებს მხარს უჭერს კრების მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილი, რაც ხდება დიმიტრი ყიფიანის განაწყენებისა და ამხანაგობიდან გასვლის მიზეზი. ►



**1880 22 თებერვალი**

გაბ. „დროებაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება პუბლიცისტური წერილის „ფიქრი და შენიშვნა“ (უფ. ნიკოლაძის „საახალწლო...“) ბოლო, მეოთხე ნაწილი („უფ. ნიკოლაძის შვილდ-ისარი მიმართლია...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 24 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას რუბრიკით „თეატრის მათიანე“ („პ. უმიკაშვილის ახალს კომედიაზედ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 26 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ერთი შენიშვნა „ტფილისის მოამბეს“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 26 თებერვალი**

სათეატრო ამხანაგობიდან დიმიტრი ყიფიანის გასვლასთან დაკავშირებით გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის საპასუხოდ, ამხანაგობის სხვა წევრებთან: ნიკოლოზ ავალიშვილთან, დავით ერისთავთან, ივანე მაჩაბელთან, დავით სარაჭიშვილთან, გიორგი თუმანიშვილთან და იოსებ ბაქრაძესთან ერთად, გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს წერილს რედაქციისადმი („ბატონო რედაქტორო!“). მასში ნათქვამია, რომ ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ამხანაგობიდან თავის გასვლას წერილობით არ დაადასტურებს, საზოგადოებამ ამის შესახებ გავრცელებულ ხმებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს. ►

**1880 27 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კვ საზოგადოების სხდომას და ხელს აწერს დიმიტრი ყიფიანის მიერ ბანკისთვის მომგებიანი ბილეთების მიყიდვის პირობების შესახებ დადგენილებას. ►

**1880 28 თებერვალი**

გაზეთებში იბეჭდება ქართველი მსახიობების: კოტე მესხის, ვასო აბაშიძის, აქვსენტი ცაგარელის, კოტე ყიფიანისა და სხვათა განცხადება („წერილი რედაქტორთან“), რომელშიც ისინი მოითხოვენ, რომ მთავრობის მიერ ქართული დრამატული საზოგადოების წესდების დამტკიცებამდე თეატრალური დასის ხელმძღვანელობა მიენდოს ახლადარჩეულ პირებს: ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი ყიფიანს, ლუარსაბ მაღალაშვილს, მიხეილ ბებუთაშვილს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, ისაია ფითუაშვილს, სერგეი მესხს და რაფიელ ერისთავს. ►

**1880 29 თებერვლამდე**

რუსულ გაზეთებში იბეჭდება ინფორმაცია ქართულ სათეატრო ამხანაგობასა და დრამატულ დასს შორის მომხდარი უთანხმოების შესახებ და გაზეთი „დროება“ მოხსენიებულია, როგორც ილია ჭავჭავაძისა და მისი პარტიის იარაღი. ►

**1880 29 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „კიდევ „ტფილისის მოამბეს“. წერილში გაკრიტიკებულია გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“, „ობზორი“ და მისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►



**1880 29 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული მისი წერილის გამო ნიკო ნიკოლაძე წერს პასუხს „ბეჭდვითი მეყალბენი“ და ილია ჭავჭავაძეს დუელში იწვევს. დუელის დღედ ინიშნება 1 მარტი. ნიკო ნიკოლაძე სეკუნდანტებად ასახელებს ნიკოლოზ სიმბორსკის და დავით გურამიშვილს, ილია ჭავჭავაძე – იოსებ შალიკაშვილსა და ნიკოლოზ ერისთავს. ►

**1880 1 მარტი**

გაზეთი „ობზორი“ ხელმოუწერლად ბეჭდავს ნიკო ნიკოლაძის მოწინავეს „ბეჭდვითი მეყალბენი“, რომელიც მიმართულია ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების – „დროება“-„ივერიის“ თანამშრომლების წინააღმდეგ. ►

**1880 1 მარტი**

დუელი ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის არ შედგება. ►

**1880 3 მარტი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას და ხელს აწერს დიმიტრი ყიფიანის მიერ ბანკისთვის მომგებიანი ბილეთების მიყიდვის პირობების შეცვლის დადგენილებას. ოქმზე არის დიმიტრი ყიფიანის მინაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ მან ეს ცვლილება გაიზიარა. ►

**1880 4 მარტი**

ხდება ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის ოფიციალური შერიგება და ფორმდება ოქმი, რომლის მიხედვითაც ნიკოლაძემ უკან წაიღო თავისი სიტყვები ილიაზე, რომლებიც „ობზორში“ გამოაქვეყნა, ილიამ კი განაცხადა, რომ არ ამართლებს „დროების“ მოწინავე სტატიების ტონს ნიკოლაძესთან მიმართებით. რამდენადაც ეს წერილები ხელმოუწერლად იყო გამოქვეყნებული და ნიკოლაძე პასუხს ავტორს ვერ მოსთხოვდა, შეთანხმდნენ, რომ შემდგომში ხელმოუწერელ სტატიებზე პასუხს აგებდა რედაქტორი, ნიკოლაძე კი აღარ შეეხებოდა ილია ჭავჭავაძის პირადობას “ობზორში“ ოქმს ხელს აწერენ ნდობით აღჭურვილი პირები: ნიკოლოზ ერისთავი, იოსებ შალიკაშვილი, დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბორსკი ►

**1880 6 მარტი**

გაზეთი „დროება“ აქვეყნებს მოწინავეს („ტრუპპა და კომიტეტი“) ქართულ დრამატულ დასსა და თეატრალურ კომიტეტს შორის წარმოშობილ უთანხმოებათა მიზეზებზე. ►

**1880 8 მარტი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ტიმოთე კონსტანტინოვს ალექსანდრეს ინსტიტუტის ნაცვლად სთავაზობენ ექვსთვიან დაფინანსებას გორის სამოსწავლო სემინარიაში, იმ პირობით, რომ მისი დამთავრების შემდეგ ექვსი წელი იმუშავებს ქმნ-კვ საზოგადოების სკოლაში; გამოყოფენ დახმარებას კავთისხევის სკოლის მშენებლობისთვის, მაგრამ კატეგორიულად ითხოვენ, რომ დანყებით კლასებში სწავლა ქართულ ენაზე იყოს. აკმაყოფილებენ ნიკოითისა და ლანჩხუთის სკოლების მასწავლებელთა თხოვნას წიგნებისა და სასკოლო ნივთების მიწოდებაზე. მიხეილ ყიფიანის მიერ წარმოდგენილ არითმეტიკის სახელმძღვანელოს სახალხო სკოლებისთვის განსახილველად გადასცემენ თედო ჟორდანიასა და ივანე გამყრელიძეს. სტამბას უნაზღაურებენ მეჭლისისთვის დაბეჭდილი აფიშებისა და ბილეთების ხარჯებს. მსჯელობენ კომერციულ ბანკში შეტანილი თანხიდან სარგებლის მიღების შესახებ და ისმენენ ილია ჭავჭავაძის ინფორმაციას საზოგადოების მიერ დაგირავებული მომგებიანი ბილეთების გამოხსნის საჭიროებაზე. ►

**1880 18 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს ნარკვევს „ხიზნების საქმე საიდამ უნდა დანყობილიყო“. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმის თაობაზედ“. ►

**1880 23 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს ნარკვევს „ხიზნების საქმის თაობაზედ“. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმის თაობაზედ“. ►

**1880 5 აპრილი**

მისი და სერგეი მესხის რედაქტორობით გამოდის საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც გრძელდება ალექსის ბუვიეს რომან „იზას“ ილიასეული თარგმანის ბეჭდვა. ►

**1880 5 აპრილი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც აკმაყოფილებენ იაკობ გოგებაშვილის წინადადებას ბანქოს სათამაშო სახლებში ქმნ-კვ საზოგადოების შეწირულობათა ყუთების დადგმის თაობაზე. წყდება საზოგადოების წიგნთსაცავის კანცელარიაში მოწყობა და მისთვის კარადების შეკვეთა. იღებენ დადგენილებას, რომ წიგნებისა და ხელნაწერების შეგროვების მიზნით ქართველ ინტელიგენციასთან აწარმოონ მიმოწერა, წინა წლის ანგარიშის სამუშაო ვერსია დაეგზავნოს საზოგადოების ყველა წევრს და საბოლოოდ შეჭერდეს მათი შენიშვნების გათვალისწინებით. იხილავენ ქუთაისის სკოლის ანგარიშსა და ხარჯთაღრიცხვას ქუთაისის ბანკის ყრილობისთვის წარსადგენად. ►

**1880 5 აპრილის შემდეგ**

წერილობით თხოვნას უგზავნის ქმნ-კვ საზოგადოების წიგნთსაცავის გამგეს, რომ დროებით ათხოვს „ივერიის“ ის ნომრები, როლებშიც მისი ნარკვევი „ცხოვრება და კანონია“ დაბეჭდილი. ►

**1880 6 აპრილი**

ესწრება მოსწავლეთა ლიტერატურულ საღამოს კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც სხვა პოეტების ლექსებთან ერთად, მოსწავლეები კითხულობენ მის „ელეგიას“. ►

**1880 8 აპრილი**

გაზეთი „ობზორი“ ბეჭდავს შენიშვნებს ხიზნების შესახებ გაზეთ „დროებაში“ ილია ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებულ წერილებზე. ►

**1880 9 აპრილი**

გაზეთ „დროებაში“ პეტრე უმიკაშვილი აქვეყნებს გამოხმაურებას ხიზნების თაობაზე ილია ჭავჭავაძის წერილების საპასუხოდ წინა დღეს „ობზორში“ დაბეჭდილი შენიშვნების გამო. ►

**1880 15 აპრილი**

გაზეთი „ობზორი“ ბეჭდავს პასუხს ხიზნების თაობაზე ილია ჭავჭავაძესთან გამართული პოლემიკის შესახებ პეტრე უმიკაშვილის შენიშვნების გამო. ►

**1880 16 აპრილი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ხიზნების თაობაზე ილია ჭავჭავაძისა და „ობზორის“ პოლემიკის შესახებ პეტრე უმიკაშვილის კიდევ ერთი გამოხმაურება, სათაურით „თან-და-თან უფრო ვრწმუნდებით“. მასში გაკრიტიკებულია გაზეთი „ობზორი“, რომელსაც ყველაფერი პიროვნულ დაპირისპირებამდე დაჰყავს. ►

**1880 25 აპრილი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „კალიის გამოსვლა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 26 აპრილი**

გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს დასაწყისს ნარკვევისა „ხიზნების საქმის გამო“. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმის თაობაზე“. ►

**1880 26 აპრილი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ქუთაისის სააზნაურო სკოლის ანგარიშს, იწონებენ იონა მეუნარგიას წინადადებას ქუთაისის სააზნაურო ბანკისთვის შემწეობის თხოვნის თაობაზე და მსჯელობენ სკოლისთვის შენობის დაქირავების საკითხზე. ►

**1880 27 აპრილი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „მთქმელს გამგონი ეჭირება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 29 აპრილი**

გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს ნარკვევის „ხიზნების საქმის გამო“ დასასრულს. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმის თაობაზე“. ►

**1880 2 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის კრებაში, რომელიც განიხილავს 1879 წლის ანგარიშს. ►

**1880 2 მაისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ტუსალებისათვის“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 3 მაისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „საზოგადო ჭირს საზოგადო შველა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 3 მაისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას რუბრიკით „თეატრის მატთანე“ („მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 8 მაისი**

მოკლე მიწაწერა აკეთებს იონა მეუნარგიას მიერ კირილე ლორთქიფანიძისთვის მიწერილ ბარათზე და სთხოვს მსახიობ ესტატე იოსელიანის დროულად გაგზავნას თბილისში. ►

**1880 8 მაისის შემდეგ**

ქართულ თეატრალურ დასში იწვევს მსახიობ ესტატე იოსელიანს. ►

**1880 10 მაისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ამტკიცებენ საზოგადოების ბიბლიოთეკის წესდებას. გაგზავნილი წიგნების მიღებაზე წერილობით დადასტურებას იღებენ სოფლების: ძიმითი, ვანი, ბახვი, სადმელი და კორცხელი მასწავლებლებისგან. წყდება კასპის სკოლისთვის მერხების, ხოლო ნაესაკოვოსთვის სახელმძღვანელოებისა და სხვადასხვა სასწავლო ნივთების გაგზავნის საკითხი. იღებენ დადგენილებას, რომ მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრისა და სოფლის კრების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შემწეობა აღმოუჩინონ სენაკელ მასწავლებელს სოფელ ოფშკვითში სკოლის გასახსნელად. არ კმაყოფილდება კონსტანტინე ყიფიანის თხოვნა ასტრონომიული სურათებისთვის თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით, რადგან მოცემულ ეტაპზე ეს არ არის საზოგადოების პრიორიტეტი. თანხმდებიან, რომ სტიპენდიები პირველ რიგში გაიცეს დამამთავრებელი კურსების სტუდენტებზე. საზოგადოების მდივანს ავალევენ ამ სტუდენტებისა და საზოგადოებისათვის საჭირო მასწავლებელთა რაოდენობის გარკვევას. ►

**1880 12 მაისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერლად აქვეყნებს სტატიას რუბრიკით „თეატრის მათიანე“ („მართალია, უნაკლო არ ყოფილა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 12 მაისი**

პეტერბურგიდან იღებს დიმიტრი ყიფიანის წერილს ქშნ-კვ საზოგადოების წევრებად მისაღები კანდიდატების შესახებ. ►

**1880 13 მაისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერლად აქვეყნებს სტატიას „მაჰმადიან ქართველთა ბედი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 17 მაისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერით „ქართული თეატრის მოყვარე“ აქვეყნებს სტატიას „ქართული თეატრის მათიანე“ („13-ს მაისს იყო მ. მ. საფაროვის ბენეფისი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 19 მაისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მტკიცდება საზოგადოების პირველი წლის მუშაობის ანგარიში და იგეგმება მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვა. გაქარია ჭიჭინაძის მიერ წარმოდგენილი ხელნაწერი წიგნების სია გადასამონწმებლად და ფასზე მოსალაპარაკებლად გადაეცემათ ივანე მაჩაბელს, იონა მეუნარგიასა და გიორგი თუმანიშვილს. კმაყოფილდება დავით ერისთავის თხოვნა საზოგადოების წევრობიდან მისი დათხოვნის შესახებ. ►



**1880 მაისის ბოლო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და ალექსის ბუვიეს „იზას“ მისეული თარგმანის გაგრძელება. ►

**1880 1 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების წლიურ კრებას, რომელზეც კითხულობს საზოგადოების პირველი წლის მუშაობის ანგარიშს. ►

**1880 4 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მსჯელობენ პირველი სექტემბრისთვის თბილისისა და ბათუმის სკოლების გახსნის აუცილებლობაზე, იღებენ დადგენილებას შესასწავლი საგნების, მასწავლებლების მიზიდვის, ინფორმაციის გავრცელების, ხელფასებისა და სხვა ხარჯების შესახებ. ნიკო ცხვედაძეს ავალეებენ იმ ნივთების სიის შედგენას, რომელთა საცავი და მარაგიც სჭირდება საზოგადოებას. საეკლესიო გალობის აღმდგენი კომიტეტის თხოვნის საფუძველზე, ყოველთვიური დახმარება ეძლევა მელქისედეკ ნაკაშიძეს, რომელიც მსურველებს უფასოდ ასწავლის ქართულ გალობას. ►

**1880 10 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას. განიხილავენ ნიკო ცხვედაძის მიერ წარდგენილ შესასყიდი წიგნების სიას. უარყოფითად წყდება გიორგი იოსელიანის მიერ შედგენილი საღმრთო ისტორიის დაბეჭდვის საკითხი, რადგან ეს წიგნი სოფლის სკოლებში სასწავლად არ გამოდგება. დადებითად წყდება ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ნახევარ ფასად შეთავაზებული წიგნების შესყიდვის საკითხი. ბათუმში წასასვლელად და სკოლების მდგომარეობის შესასწავლად სამივლინებო თანხა ეძლევა ნიკო ცხვედაძეს. ►

**1880 27 მაისი-12 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ მისი ხელმოწერით იბეჭდება ქმნ-კგ საზოგადოების საანგარიშო მოხსენება. ►

**1880 17 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სერგეი მესხის წერილი „როგორც ზოგიერთ ავადმყოფს“, რომელშიც საუბარია ნიკო ნიკოლაძის გამოლაშქრებაზე ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ►

**1880 20 ივნისამდე**

ქართული დრამატული დასი მისი რეჟისორობით ამზადებს ახალ პიესას. ►

**1880 20 ივნისი**

ვასო აბაშიძე, ილია ჭავჭავაძისა და თეატრალური ამხანაგობის მიმართ პროტესტის ნიშნად, არ მიდის სპექტაკლზე და წარმოდგენა არ შედგება. ►

**1880 22 ივნისი**

იშლება ქართული თეატრალური ამხანაგობა. ►

**1880 23 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერლად აქვეყნებს სტატიას „სასამართლოები ჩვენში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►



**1880 27 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ქართული ენა სასამართლოებში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 28 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს სტატიისა „ერთი კვირა უცხოეთში“ („ვგონებ უცხო სახელმწიფოთა შორის...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 5 ივლისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს სტატიისა „ერთი კვირა უცხოეთში“ („როდესაც ამ ოთხასის წლის წინათ...“). ►

**1880 10 ივლისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „პირველი შკოლა ბათუმში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 18 ივლისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „სასამართლო და ადგილობრივი ენები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 27 ივლისამდე**

საგურამოში იღებს კოტე ყიფიანის წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ 15 აგვისტოსათვის ქართული დასის ყველა წევრი ადგილზე უნდა იყოს. ►

**1880 27 ივლისი**

საგურამოდან თბილისში საპასუხო წერილს უგზავნის კოტე ყიფიანს. სთხოვს თეატრალურ დასში მისანვევად მსახიობების შერჩევაში დახმარებას და ეპატიჟება საგურამოში ამ საკითხების განსახილველად. ►

**1880 3 აგვისტომდე**

საგურამოშია. ►

**1880 6 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბათომის გუბერნატორის განცხადება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 8 აგვისტომდე**

ის და მისი ნათესავი იოსებ შალიკაშვილი ქმნ-კგ საზოგადოების ბიბლიოთეკას გადასცემენ ხელნაწერ წიგნებს: „ვისრამიანს“, „ქილილა და დამანას“, „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ. ►

**1880 10 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „თახშირის გადახდა ბათომის მაზრაში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 12 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბათუმის მაზრის მოხელეთა მოპყრობა მცხოვრებლებთან“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 15 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ჰიდევ ძველ წიგნებზე“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 21 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „დაბრუნებული აფხაზები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 29 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „იმერელი მოსამსახურენი თბილისში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 4 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც წყდება ხელშეკრულების დადება ქუთაისის სკოლის ცალკეულ თანამშრომლებთან. ბათუმის გუბერნატორის რჩევის თანახმად იღებენ დადგენილებას ადგილობრივ სკოლაში მოლას მიწვევაზე. განიხილავენ თბილისის სკოლის გახსნის საკითხს. ►

**1880 4 სექტემბერი**

სიონის ტაძარში ესწრება მარი ბროსეს პანაშვიდს, რომელსაც იხდიან გაზეთ „დროების“ რედაქციის ინიციატივით. ►

**1880 24 სექტემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „გლეხკაცებისაგან მამულის შეძენა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 სექტემბრის ბოლო**

გრიგოლ ჩარკვიანის სტამბაში ცალკე წიგნად იბეჭდება მისი პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. ►

**1880 3 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც თბილისის სკოლის მასწავლებლად ირჩევენ დავით ღვინიაშვილს და საქმის მწარმოებლად – ანა ქანანოვს. დგინდება ხელფასები, ინიშნება სკოლის გახსნის დღე. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ განცხადება ამის შესახებ ქართულ და რუსულ გაზეთებში სამ-სამჯერ დაიბეჭდოს. თანხმდებიან, რომ პარაკლისი გადაიხადოს ქართველმა მღვდელმა და სწავლა დაიწყოს იმავე დღეს. ►

**1880 15 ოქტომბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „სომხური გაზეთების პოლემიკა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 17 ოქტომბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „მაჰმადიანთ გაქრისტიანება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 4 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ბათუმის სკოლის მასწავლებლად ირჩევენ ალექსანდრე ნანიეშვილს. რაფიელ ერისთავის მიერ დასაბეჭდად წარდგენილ ქრესტომათიას „სკა“ შესაფასებლად გადასცემენ გიორგი წერეთელს, გიორგი უთურგაულს, თედო ჟორდანიასა და პეტრე უმიკაშვილს. იღებენ დადგენილებას, რომ საზოგადოების მიერ ნაყიდი წიგნებიდან ორ-ორი ეგზემპლარი დაეგზავნოს ყველა სასოფლო ბიბლიოთეკას და 500 მანეთის ღირებულების წიგნები დაურიგდეს ღარიბ მასწავლებლებს. დადებითად წყდება თბილისის სკოლაში ათზე მეტი მოსწავლის უფასოდ სწავლებისა და ნიკოლოზ ვუჩეტიჩის საბავშვო წიგნის „წითელი ფარანი“ ქართული თარგმანის დაბეჭდვის საკითხები. ►

**1880 8 ნოემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ქართული ენა ჩვენს საშუალ სასწავლებლებში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 11 ნოემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ახირებული ლოლიკა გაზ. „კავკაზისა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 12 ნოემბერი**

სერგეი მესხთან ერთად განცხადებით მიმართავს საცენზურო კომიტეტს 1881 წლიდან ჟურნალ „ივერიის“ ყოველთვიურად გადაკეთების ნებართვის მისაღებად. ►

**1880 16 ნოემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ვეფხისტყაოსნის“ რედაქცია“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 23 ნოემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „აჭარის მდგომარეობა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 24 ნოემბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს, რამდენი აქვს გადახდილი მღებავისთვის და რამდენი – სახლის გადახურვისთვის. ►

**1880 24 ნოემბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს მისამართს „ლიტენის“ ქუჩაზე და თანხებს, ვის რამდენი აქვს მისთვის მისაცემი. ►

**1880 24 ნოემბერი**

მონანილეობს ქართული მწერლობის მოყვარულთა პირველ ყრილობაში. განიხილავენ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციისა და გამოცემის საკითხებს. რედაქციის გამგედ ირჩევენ გრიგოლ ორბელიანს, თანაშემწეებად - ილია ჭავჭავაძესა და რაფიელ ერისთავს. ►

**1880 25 ნოემბერი**

გაზეთ „დროებაში“ სერგეი მესხთან ერთად ბეჭდავს განცხადებას „დროებისა“ და „ივერიის“ გამოცემის პირობების შესახებ 1881 წლისათვის. ►

**1880 27 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იხილავენ საზოგადოების თავმჯდომარის დიმიტრი ყიფიანის შენიშვნებს. მსჯელობენ წლიური ანგარიშის მომზადებაზე, სასწავლო გარემოს სისუფთავის დაცვასა და მოსწავლეთა დასჯის მიზნით მათი ჩაკეტვის დაუშვებლობაზე. განიხილავენ საზოგადოებისთვის წიგნებისა და სხვა სახის შემოწირულობათა საკითხს; მადლობას უცხადებენ შემომწირველებს. იწონებენ ილია ჭავჭავაძის წინადადებას საზოგადოების სასარგებლოდ მეჭლისის გამართვის შესახებ და ორგანიზებას მასვე ავალებენ. ►

**1880 30 ნოემბერი**

ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება განცხადება 1881 წლიდან „დროებისა“ და „ივერიის“ ერთობლივი გამოცემის შესახებ. ნათქვამია, რომ „ივერია“ გამოვა თვეში ერთხელ, იმავე პროგრამით, როგორც გამოდიოდა. რედაქციის ადგილსამყოფელად მითითებულია გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) გამზირზე ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის სახლი. ►

**1880 5 დეკემბრამდე**

ცალკე წიგნად გამოდის „კაცია – ადამიანი?!“ ►

**1880 6 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „დაბადებამდე სიკვდილი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 8 დეკემბერი**

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი შუამდგომლობს საცენზურო კომიტეტთან, რომ 1881 წლიდან ილია ჭავჭავაძესა და სერგეი მესხს მისცენ ჟურნალ „ივერიის“ ყოველთვიურად გამოცემის ნებართვა. ►

**1880 9 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ქალაქის რჩევის უსაქმობა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►



**1880 11 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ქუთაისის საოსტატო სემინარია“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 12 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ინიშნება ბათუმის სკოლის გახსნის თარიღი. იღებენ დადგენილებებს თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვადასხვა ხარჯების შესახებ. იქვე აღნიშნავენ, რომ თუ სკოლას გამოყოფილი თანხა არ ეყოფა, მომდევნო წელს შეეძლება დამატებითი კრედიტის მოთხოვნა. მადლობას უცხადებენ იოსებ ნაცვლიშვილს შემოწირულობების შეგროვებისთვის და სთხოვენ, გაავრცელოს ინფორმაცია, რომ თითოეული შემომწირველი საზოგადოებისაგან მიიღებს შესაბამის ქვითარს. არ აკმაყოფილებენ ივანე მაჩაბლის წინადადებას საკვირაო სკოლების გახსნის შესახებ, რადგან ამ ტიპის სკოლებმა რუსეთში მოლოდინი ვერ გაამართლა. იღებენ გადაწყვეტილებებს ბიბლიოთეკაში დასადები წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შესაკრავად ყდების შესყიდვისა და საზოგადოების დადგენილებების პრესაში გამოქვეყნების შესახებ. ►

**1880 21 დეკემბერი**

თბილისიდან ბათუმში დეპუტას უგზავნის მასწავლებელ ალექსანდრე ნანეიშვილს. სთხოვს აცნობოს, როდის იქნება შესაძლებელი ბათუმის სკოლის გახსნა, რათა დაგეგმოს ჩასვლის დრო. ►

**1880 24 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბათუმის სკოლა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 25 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ბათუმის სკოლისთვის შენობის დაქირავების, სასწავლო საათების რაოდენობის განსაზღვრისა და პროგრამის დამტკიცების საკითხებს. ►

**1880 31 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „გავლილი 1880 წელიწადი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1880 დეკემბრის ბოლო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ 1880 წლის მეოთხე ნომერი, რომელშიც იბეჭდება ალექსის ბუვიეს რომან „იზას“ ილიასეული თარგმანის დასასრული. ►

**1880** ჟურნალ „ფალანგაში“ იბეჭდება ოსკარ შმერლინგის კარიკატურა: „ქართული ჟურნალისტიკის ძიძა“. ცენტრში დგას ილია ჭავჭავაძე ძიძის ტანსაცმელში ორი „ბავშვით“ – სერგეი მესხითა და ივანე მაჩაბლით ხელში. ►

**1880** თბილისის ფოტოატელიეში იღებს სალონურ ფოტოს. ►



**1880-** იღებს გიგლო ყარალაშვილის წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ უგზავნის  
**დან** ლევან ჭანდიერის მიერ შედგენილ პირობის წერილებს. ►

**1881-** იღებს მარიამ ამილახვრის წერილს თანხის სესხების თხოვნით. ►  
**მდე**

**1881 1 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „საახალწლო მილოცვა“ („ყველა, ვისაც კი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება აქვსენტი ცაგარელის საახალწლო ფელეტონი და პოეტური შარჟი ილია ჭავჭავაძეზე („დაგვიმძიძა, ძლივს-და იძვრის / ეს ჩვენი ახალ წლის კუნძი!..“). ►

**1881 იანვრის დასაწყისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც „შინაური მიმოხილვის“ ნაცვლად აქვეყნებს ცენზურის მიერ შეკვეცილ სტატიას და სათაურად აწერს „შინაური მიმოხილვის მაგიერი“. აქვე ბეჭდავს „ცხოვრება და კანონის“ მეშვიდე წერილს. ►

**1881 4 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ორიოდე სიტყვა „კავკაზს“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 6 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ცნობა რუსთაველზე“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 8 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „მცამეტე გოჭები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 12 იანვარი**

დიმიტრი ყიფიანი წერილობით ატყობინებს საჩხერის აზნაურთა სურვილს, რომ ქმნ-კგ საზოგადოებამ მათთან გახსნას ორკლასიანი სასწავლებელი. იქვე აცნობებს სკოლის მოსწავლეების სავარაუდო რაოდენობას, სთხოვს, უხელმძღვანელოს ამ საქმეს და უზრუნველყოს სანდო მასწავლებლების შერჩევა. ►

**1881 13 იანვრამდე**

დავით ერისთავი გადასცემს მამის, გიორგი ერისთავისთვის მიხეილ ვორონცოვის მეუღლის – ელისაბედ ბრონიცკაია-ვორონცოვას მიერ 1850 წელს მიწერილ ბარათს, რომლიდანაც ჩანს, რომ მთავრობა იმ დროს დიდ ყურადღებას აქცევდა მშობლიური ენის შესწავლის საკითხს. ►

**1881 14 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „წმინდა ნინოს დღეობა“ („ქართველთ ვკვლესია და ქართველი ვრი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 15 იანვრის შემაჯავებელი**

„ივერიის“ რედაქციაში ხვდება მასწავლებლებს, რომლებიც შემფოთებულები არიან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ კირილ იანოვსკის განზრახვით საქართველოს სკოლებში პირველივე წლიდან რუსულის სწავლების დანერგვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ მათგანს, შაქრო კანდელაკს სთხოვს, რომ მიაწოდოს იან ამოს კამენსკის, იოჰან პესტალოცის, ნიკოლოზ ვესელისა და სხვათა პედაგოგიური წიგნები იანოვსკისთვის პასუხის დასაწერად. ამავე მასწავლებლის პირით იაკობ გოგებაშვილს უთვლის, რომ მივიდეს მასთან ამ საკითხთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად. ►

**1881 17 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც კმაყოფილდება იონა მეუნარგიას თხოვნა საზოგადოების მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე. იღებენ დადგენილებას თბილისის სკოლის თანამშრომლებისთვის ხელფასის გაზრდის თაობაზე. მინდობილობას გასცემენ ბათუმში სკოლისთვის მიწის შესარჩევად. თანხმობას უცხადებენ ქუთაისის სააზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, რომ განაგოს სასწავლებლის მატერიალური მხარე, სხვა ასპექტები კი მიანდოს მმართველობას. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ სოფელ ურიათუბნის სკოლის შენობისთვის თანხის გამოყოფამდე დაზუსტდეს ცალკეული დეტალები. იაკობ გოგებაშვილს სარეცენზიოდ გადასცემენ სერგეი მდივანოვის არითმეტიკის სახელმძღვანელოებს. საჩხერის სკოლის ხელმძღვანელის თანამდებობაზე რეკომენდაციას უწევენ მოსე ნათაძეს. ►

**1881 17 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ჩვენი ექიმები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►

**1881 24 იანვრამდე**

ქართული დრამატული ამხანაგობის პირველ სხდომაზე ირჩევენ მის თავმჯდომარედ. ►

**1881 29 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ქალაქის რჩევის სხდომა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►

**1881 30 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „გამბეტას ძლიერება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►

**1881 30 იანვარი**

კირილ იანოვსკის პასუხად დაწერილ მის სტატიასთან დაკავშირებით კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ლევ მოძალევესკი იღებს წერილს, რომ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი დიმიტრისტაროსელსკი თანახმაა სტატიის დაბეჭდვაზე და ფიქრობს, რომ კირილ იანოვსკისაც არ ექნება რაიმე საწინააღმდეგო. მოძალევესკის უჩნდება კითხვა, საიდან ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს ციტირებული მანიფესტის ტექსტი და წერილს ამ შეკითხვით უგზავნეს მას საგურამოში. ►

- 1881 31 იანვრამდე**  
 ჟურნალ „ივერიაში“ იბეჭდება „აჩრდილის“ პირველი ნაწილი (I-XVII თავები) და „შინაური მიმოხილვა“ („ახლად გამართული ბაასი შკოლების თაობაზედ...“). ►
- 1881 31 იანვარი**  
 თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იონა მეუნარგიას, როგორც ყოფილ მდივანს ავალევენ განვლილი წლის ანგარიშის წერილობით წარდგენას. მადლობას უცხადებენ ალექსანდრე როინაშვილს ფოტოპირების შემოწირვისთვის. ინიშნებიან რეცენზენტები პრემიის მისაღებად წარმოდგენილი მასალების განსახილველად. ბათუმის გუბერნატორს აცნობებენ გადაწყვეტილებას ადგილობრივი სკოლის მასწავლებლად ალექსანდრე ნანეიშვილის არჩევის შესახებ. ორგანიზაციის ხაზინადარს ნებას რთავენ, რომ თსს ბანკიდან შეიძინოს გარკვეული თანხის გირავნობის ფურცლები და, საჭიროების შემთხვევაში, დააგირაოს სახელმწიფო ბანკში. ►
- 1881 4 თებერვლამდე**  
 ესწრება ალექსანდრე ყაზბეგის ბენეფისს, რომელზეც წარმოდგენენ ორმოქმედებიან კომედიას „აღმზრდელები“ და ვოდევილს „ყველაფერი ბედზედ არის“. ►
- 1881 4 თებერვალი**  
 გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას რუბრიკით „თეატრის მათიანე“ („მოჩხუბარიძემ დაწერა და წარმოდგინა შარშან...“), რომელშიც საუბარია ალექსანდრე ყაზბეგის პიესასა და მის დადგმაზე. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1881 6 თებერვალი**  
 მონაწილეობს „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის პირველ სხდომაში, რომელსაც თავმჯდომარეობს გრიგოლ ორბელიანი. ილია ჭავჭავაძის წინადადებით იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ერთმა წევრმა ხმამაღლა იკითხოს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და სხვებმა შეაჯერონ ნუსხებთან. ირჩევენ ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარედ. იონა მეუნარგიას ავალევენ, რომ მიხაი გიჩის გადაუთარგმნონ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ილუსტრაციების დასახატად. ►
- 1881 8 თებერვალი**  
 ესწრება კომედიას „ჟოზეფ, პარიზელი კინტო“. ►
- 1881 11 თებერვალი**  
 გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას რუბრიკით „თეატრის მათიანე“ („ჟოზეფზედ“ ლაპარაკი ცოტად დამიგვიანდა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1881 13 თებერვალი**  
 გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს ვრცელ სტატიას „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“, რომელშიც მკაცრად ილაშქრებს ქართულ სკოლებში საგნების რუსულ ენაზე სწავლების წინააღმდეგ. სტატია იბეჭდება რედაქციის შენიშვნით. ►

**1881 13 თებერვალი**

სალამოს ესწრება „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის მეორე სხდომას, რომელიც მიმდინარეობს სათავადაზნაურო ბანკის შენობის დარბაზში. ხმამაღლა კითხულობს პოემის ერთ თავს „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“. ►

**1881 13 თებერვლის შემდეგ**

ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილის წაკითხვის შემდეგ კირილ იანოვსკი თავისი კანცელარიის გამგეს ავალეებს გადასცეს მას, რომ პასუხი მოეწონა და მისი გაცნობა უნდა. ►

**1881 13 თებერვლის შემდეგ**

კირილ იანოვსკის უთვლის, რომ, თუ გაცნობა უნდა, მისი კარი ყველასთვის ღიაა. იანოვსკი აკითხავს, ესაუბრება და სთანხმდება, რომ რუსული ენის სწავლების პირველი წლიდან დაწყების პროექტი არ აამოქმედოს. ►

**1881 17 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ იონა მეუნარგია აქვეყნებს წერილს „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის მეორე სხდომის შესახებ, რომელზეც ილია ჭავჭავაძემ საჭაროდ წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი თავი. მისი დეკლამაციის შესახებ წერს, რომ ძალიან შთამბეჭდავია, მაგრამ ცოტა ერთფეროვანი. ►

**1881 21 თებერვალი**

ბათუმის სკოლის გახსნის დაგვიანების გამო დეპეშას უგზავნის ბათუმში ალექსანდრე ნანეიშვილს და სთხოვს, აცნობოს სკოლის გახსნის თარიღი. ►

**1881 21 თებერვლის შემდეგ**

ალექსანდრე ნანეიშვილისაგან იღებს საპასუხო დეპეშას, რომ სკოლა მზად არის და 25 ან 26 თებერვალს გაემგზავრონ. ►

**1881 23 თებერვალი**

თავმჯდომარეობსქმწ-კგსაზოგადოებისსხდომას, რომელზეცსაქმეთაშწარმოებელს სთხოვენ, ნუსხა შეადგინოს, რა რაოდენობის დაფები მიიღეს მოსკოვიდან და პარიზიდან და როგორ მდგომარეობაშია. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მოსწავლის სკოლაში დატოვებასთან დაკავშირებით იღებენ დადგენილებას, რომ ასეთ შემთხვევაში იგი აუცილებლად უნდა იყოს დაკავებული სწავლით და არ უნდა იყოს ჩაკეტილი. ადგენენ საზოგადოებისთვის შემოთავაზებული წიგნების შესასყიდ ფასებს. წერილობით აცნობებენ ალექსი ჭიჭინაძეს, რომ საზოგადოების წესდების თანახმად, არავის არ აქვს მისგან სასწავლო პროგრამის შეცვლის მოთხოვნის უფლება. შემოწირულობას იღებენ ივანე და კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელებისაგან. ►

**1881 24 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბათუმის მაზრის დაცარიელება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 24 თებერვალი**

მონაწილეობს „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის მესამე სხდომაში. ►



**1881 თებერვლის მეორე ნახევარი**

ჟურნალ „იმედში“ იბეჭდება დავით აბდუშელიშვილის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა „ივერიის“ 1880 წლის მეოთხე და 1881 წლის პირველ ნომრებზე. ავტორი არჩევს მათში გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებს და ზედმეტად მიიჩნევს ალექსის ბუვიეს „იზას“ მსგავსი ნაწარმოებების თარგმნას. ►

**1881 თებერვლის ბოლო**

ჟურნალი „ფალანგა“ აქვეყნებს ა. შვანის კარიკატურას დიალოგით. წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობს ივანე მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძე კი კითხულობს ტექსტს. ►

**1881 1 მარტი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მესამე ნომერი, რომელშიც ბეჭდავს „აჩრდილის“ დასასრულს (XVIII – XXVII თავებს) და „შინაურ მიმოხილვას“ („რუსეთი და მისი საპოლიტიკო საგანი...“). ►

**1881 12 მარტი**

ესწრება ბათუმის სკოლის გახსნას. რამდენადაც სასწავლებელს არ აქვს საკუთარი შენობა, ჰპირდება, რომ ქმნ-კვ საზოგადოება აუგებს. ►

**1881 12 მარტს ან მომდევნო დღეებში**

ბათუმში, ნურიბეგ ხიმშიაშვილის ოჯახში ხვდება აჭარელ საზოგადო მოღვაწეებს ჰუსეინ აბაშიძეს, ჰუსეინ ბეჟანიძეს, გაბუნიას და ესაუბრება სკოლის საკითხებზე. ►

**1881 მარტის პირველი ნახევარი**

გამოდის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი „ბუნების კარის“ მეოთხე გამოცემა, რომელშიც იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები: „ჩიტი“, „სიმღერა ამხანაგებისა“ („დედამ რომ შვილი გაზარდოს...“), ნაწყვეტები პოემებიდან: „აჩრდილი“ (მყინვარის ეპიზოდი), „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და მოთხრობებიდან: „კაცია – ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“. ►

**1881 18 მარტი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც არ კმაყოფილდება საზოგადოების სტიპენდიანტების თხოვნა თანხის მომატებაზე, მაგრამ ისმება მათი უფასო საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი. ივანე როსტომაშვილის არითმეტიკის სახელმძღვანელო სარეცენზიოდ გადაეცემა კონსტანტინე ნაცვლიშვილს. გრიგოლ ჩარკვიანისაგან შემოწირულობის სახით იღებენ მოთხრობის „კაცია - ადამიანი?!“ 50 ეგზემპლარს. ►

**1881 20 მარტი**

დროებაში იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაესწრო ბათუმის სკოლის გახსნას. ►

**1881 21 მარტი**

ხელს აწერს თბილისის საოლქო სასამართლოსთვის წარსადგენ დოკუმენტს მეურვეობასთან დაკავშირებით. ►



**1881 22 მარტი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ჩვენი ახალგაზდობის მოვალეობა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 25 მარტი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას თარიღით „ტფილისი, 24 მარტს“ („მართალია, ბევრი ხანი არ გასულა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში გამოქვეყნდა სათაურით „როგორ პოლიტიკას აირჩევს რუსეთი“. ►

**1881 27 მარტი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „განათლების ახალი მინისტრის დანიშვნა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 28 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება დასაწყისი მის მიერ შედგენილი დოკუმენტისა „წესდებულება ქართულის დრამატულის საზოგადოებისა“. ►

**1881 29 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება დასასრული მის მიერ შედგენილი დოკუმენტისა „წესდებულება ქართულის დრამატულის საზოგადოებისა“. ►

**1881 29 მარტის შემდეგ**

ქართულ და რუსულ ენებზე წიგნად გამოდის მის მიერ შედგენილი „წესდებულება ქართულის დრამატულის საზოგადოებისა“. ►

**1881 31 მარტი**

ილია ჭავჭავაძე და კონსტანტინე ნაცვლიშვილი წერილობითი თხოვნით მიმართავენ დიმიტრი ყიფიანს, როგორც ქშნ-კგ საზოგადოების თავმჯდომარეს, რომ ორგანიზაციისათვის საჭირო სახელმძღვანელოების შესაძენად მოელაპარაკოს პეტერბურგის წიგნის მაღაზიებს. ►

**1881 მარტი**

ჟურნალ „ივერიაში“ აქვეყნებს „შინაურ მიმოხილვას“ („რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა...“) სახელმწიფო უწყებებში ქართული ენის აკრძალვის წინააღმდეგ. არგუმენტირებისას იშველიებს რუსი იურისტისა და სამართალმცოდნის – პროფესორ ვლადიმერ სპასოვიჩის მიერ იურიდიულ საზოგადოებაში 1881 წლის 2 თებერვალს წამოყენებულ მოთხოვნას, რომ სამართალი აუცილებლად უნდა წარმოებდეს იმ ენაზე, რომელზეც ერი ლაპარაკობს. ►

**1881 1 აპრილი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეოთხე ნომერი. ►

**1881 8 აპრილი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „კავკაზის“ აზრი კავკასიის უნივერისტეტზე“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 8 აპრილი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც გამოდის მოხსენებით ბათუმის სკოლის ასაშენებლად გეგმის შედგენასთან დაკავშირებით. ამ საკითხის მოგვარება ევალება ვახტანგ თულაშვილს. იღებენ დადგენილებას ნიკოლოზ ზეიდლიცის ეთნოგრაფიული რუკის 20 ეგზემპლარის შეძენაზე. კმაყოფილდება რაფიელ ერისთავის თხოვნა მოთხრობის „ხატაური“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით. იღებენ დადგენილებას, ისეთი წიგნების გადაწერის შესახებ, რომლებსაც ვერ ყიდულობენ. რაფიელ ერისთავს ევალება განსაზღვროს, რა წიგნების შესყიდვა სჭირდებათ გამომცემელ გრიგოლ ჩარკვიანისაგან. ►

**1881 8 აპრილი**

სწორებების შეტანის შემდეგ ხელს აწერს თსს ბანკის დამფუძნებელთა საერთო კრების ოქმს, რომელშიც საუბარია სწავლა-განათლებისთვის მეტი თანხის გამოყოფაზე. ►

**1881 18 აპრილი**

იღებს დავით კვბელის წერილს მისი კომედიის ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდვის თხოვნით. ►

**1881 23 აპრილი**

1881 წლის 7 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოდან მიღებული უწყების საფუძველზე ითხოვს, გაათავისუფლონ ნაფიცი ვეჭილის თანამდებობიდან. ►

**1881 24 აპრილი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბათუმის ახალი გუბერნატორი“ („ჩვენს გაზეთში იყო ამა წინათ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვლობათა ოცტომეულში. ►

**1881 26 აპრილი**

მონაწილეობს თსს ბანკის კრებაში. კითხულობს ბანკის 1880 წლის მოქმედების ანგარიშს და 1881 წლის ხარჯთაღრიცხვას. ►

**1881 27 აპრილი**

მონაწილეობს „თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების“ კრებაში. ►

**1881 28 აპრილი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სტატია „თფილისის სააზნაურო ბანკის კრება 26 აპრილს“, რომელშიც საუბარია ილია ჭავჭავაძის მიერ წაკითხულ ერთი წლის ანგარიშზე. ►

**1881 28 აპრილი**

ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება თსს ბანკის 1880 წლის მუშაობის ანგარიშის პირველი ნაწილი. ►

**1881 29 აპრილი**

გაზეთებში იბეჭდება თსს ბანკის 1880 წლის მუშაობის ანგარიშის მეორე ნაწილი. ►

- 1881 1 მაისი**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეხუთე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“ („დასაწყისი უარყოფელის მიმართულებისა რუსეთში...“). ►
- 1881 2 მაისი**  
თბილისის საოლქო სასამართლოს დადგენილებით თავისუფლდება ნაფიცი ვეჯილის მოვალეობისგან. ►
- 1881 9 მაისი**  
თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ეცნობიან საერთო კრების წინაშე წარსადგენ ანგარიშს და შეაქვთ სწორებები. სოფელ კავთისხევის სკოლას უთვლიან, რომ მერხები მიღებულია და იბრუნონ წაღებაზე. პეტერბურგის წიგნის მაღაზიის „ფენუ და კორპორაციისაგან“ იღებენ გასაყიდი წიგნების ნუსხას ფასებით, რომელთა განხილვა, წიგნების შერჩევა და წიგნის მაღაზიის გასახსნელად პროექტის დაწერა ევალება ნიკოლოზ ცხვედაძეს. მასვე და რაფიელ ერისთავს ევალებათ პროექტის შედგენა ბიბლიოთეკის გამართვასა და წიგნების მოპოვებაზე. ►
- 1881 15 მაისი**  
სხვებთან ერთად ხელს აწერს ქშნ-კგ საზოგადოების ანგარიშს 1880 წლის 15 მაისიდან 1881 წლის 15 მაისამდე. ►
- 1881 მაისის შუა რიცხვები**  
გაზეთ „ფალანგაში“ იბეჭდება კარიკატურა: ფრაკში გამოწყობილი ილია ჭავჭავაძე – ბანკის მმართველი რევოლუციით ხელში ემუქრება ქართული ტანსაცმლით შემოსილ ილია ჭავჭავაძეს – რედაქტორს. კარიკატურას ახლავს ტექსტი: „ბატონო რედაქტორო, თქვენ შეურაცხყოფა მომაცენეთ მე, როგორც თბილისის სამინათმოქმედო ბანკის მმართველს; გთხოვთ დანიშნოთ დრო და აირჩიოთ იარაღი“. ►
- 1881 26 მაისი**  
თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ქუთაისის სკოლის მზრუნველთა საბჭოსაგან ითხოვენ დეტალურ ინფორმაციას ადგილობრივი სააზნაურო სკოლის გაფართოებასთან დაკავშირებით. იღებენ დადგენილებას, რომ გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნონ ხოლმე სია საზოგადოების მიერ გამოცემული და გასაყიდი წიგნებისა, ფასების მითითებით და მათ გავრცელებაში ჩართონ სკოლის მასწავლებლები. იღებენ დადგენილებას ცალკეული პირების ხელფასის ოდენობასთან და მათი გაცემის ვადებთან დაკავშირებით. ►
- 1881 31 მაისამდე**  
ნათო გაბუნიას საბენეფისოდ მუშაობს „კაცია-ადამიანის“ სასცენოდ კადაკეთებაზე და პიესას არქმევს „მაჭანკალს“. ►
- 1881 31 მაისი**  
ესწრება კომედია „მაჭანკლის“ პირველ წარმოდგენას გრიგოლ არწრუნის თეატრში. ►
- 1881 31 მაისის შემდეგ**  
გაზეთ „ფალანგაში“ იბეჭდება სტატია, რომელშიც აღწერილია ის სიხარული, რომელიც მის ავტორს თეატრალურ აფიშაზე ილია ჭავჭავაძის სახელის დანახვამ, შემდეგ კი სპექტაკლის ნახვამ მოუტანა. ავტორი მოხიბლულია იმით, რომ მოქმედი პირები საოცარი ოსტატობითაა შექმნილი და საუბრობენ წმინდა ქართულ ენაზე. ►

**1881 ივნისის დასაწყისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც ადგილს უთმობს მის ნარკვევებზე „ცხოვრება და კანონი“ ნიკოლოზ ხუდადოვის გამოხმაურების პირველ ნაწილს, სათაურით „უსაფუძვლო წადილი“. სტატიის ავტორი ილია ჭავჭავაძეს ეკამათება საგლეხო რეფორმის ნაკლოვანებათა შესახებ. ►

**1881 7 ივნისი**

ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობა ატყობინებს თბილისის კომერციულ ბანკს, რომ ილია ჭავჭავაძის გამგზავრების გამო მის ნაცვლად საბანკო ქვითრებს ხელს მოაწერს საზოგადოების წევრი ალექსანდრე ჭყონია. ►

**1881 8 ივნისი**

მონაწილეობს ქმნ-კგ საზოგადოების წლიურ კრებაში. კრებას მოახსენებს საზოგადოების მუშაობის ერთი წლის ანგარიშს. ►

**1881 13 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „სწავლა-განათლების საქმე“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 13 ივნისი**

თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულებს ულოცავს სწავლის დასრულებას. ►

**1881 16 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ დადგენილებას, რომ ქუთაისის სააზნაურო სასწავლებლის გაფართოებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. რაფიელ ერისთავს ეძლევა ჰონორარი ივან კრილოვის იგავ-არაკების ქართულად თარგმნისთვის და იღებენ დადგენილებას მის გამოცემაზე. ალექსანდრე ნანიეშვილისგან ითხოვენ წერილობით ინფორმაციას ბათუმის სკოლისთვის დასაქირავებელი შენობის შესახებ. ერთ-ერთ სტიპენდიანტს ცუდი მოსწრების გამო უხსნიან სტიპენდიას. ►

**1881 16 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „კურსშესრულებულებს“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 16-18 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ქმნ-კგ საზოგადოების ერთი წლის ანგარიში. ►

**1881 21 ივნისი**

რაფიელ ერისთავს წერილობით ატყობინებს, რომ ქართული წიგნის მბეჭდავმა საზოგადოებამ ამ ეტაპზე გადაწყვიტა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის დაბეჭდვა. ჰპირდება მისი იგავ-არაკების გამოსაცემად საჭირო თანხის ხელისმომწერთა მეშვეობით შეგროვებას. ►

**1881 21 ივნისის შემდეგ**

გიორგი თუმანიშვილთან და პეტრე უმიკაშვილთან ერთად გამოსაცემად ამზადებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსთა კრებულს. ►



**1881 24 ივნისი**

გურიის სკოლებზე მზრუნველი ანტონ ნაკაშიძე წერილობით სთხოვს ქმნ-კგ საზოგადოების ფინანსურ დახმარებას სოფელ სურეში სკოლის გასახსნელად. ►

**1881 28 ივნისი**

გურიის სკოლებზე მზრუნველი ანტონ ნაკაშიძე დამატებით წერილობით ინფორმაციას აწვდის სურეში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნის აუცილებლობასთან დაკავშირებით. იგი აღწერს სოფლის გეოგრაფიულ მდებარეობას, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას და აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთეულებმა იციან წერა-კითხვა. ►

**1881 2 ივლისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „მინაური მიმოხილვა“ („სახელმწიფო მამულების გაცემის თაობაზედ...“). აქვე გრძელდება მის წერილზე „ცხოვრება და კანონი“ ნიკოლოზ ხუდადოვის გამოხმაურების ბეჭდვა, სათაურით „უსაფუძვლო წადილი“. ►

**1881 8 ივლისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერლად აქვეყნებს სტატიას „სოფლის მწარმოებლები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 14 ივლისი**

წერილობით მიმართავს თბილისის გუბერნატორს თონეთში სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით. ►

**1881 2 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერლად აქვეყნებს სტატიას „მიეცით მამასახლისებს შესაფერი პატივი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 აგვისტოს დასაწყისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მერვე ნომერი. ►

**1881 16 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერით „ქართული თეატრის მოყვარე“ აქვეყნებს სტატიას „ქართული თეატრის შესახებ“ („ორი წელია მას აქვთ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 სექტემბრის დასაწყისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეცხრე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „მინაური მიმოხილვა“ („ბევრს წყალს ჩაუვლია ქვეყანაზედ...“). ►

**1881 3 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც საქმეთა მწარმოებლად ირჩევენ ალექსანდრე სარაჯიშვილს. იმის საფუძველზე, რომ თბილისის გუბერნატორის მიერ 8 ივნისს ხელმოწერილი ბრძანებით წინარეხისა და თონეთის საზოგადოებებს სკოლის გახსნის უფლება მიეცათ, გამგეობის წევრს – იონა მეუნარგიას ავალებენ ამ სოფლებში ჩასვლას და სასწავლებლების გასახსნელად ღონისძიებების გატარებას; გუბერნატორს დასამტკიცებლად უგზავნიან სოფელ სტეფანწმინდის მცხოვრებთა ყრილობის გადაწყვეტილებას სკოლის გახსნის თაობაზე. ►



- 1881 4 სექტემბერი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ახალ ქართულ გაზეთს“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1881 16 სექტემბერი**  
ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობა იღებს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორის ალექსი ჭიჭინაძის წერილს ახალი მასწავლებლების მოწვევის საჭიროების შესახებ. ►
- 1881 16 სექტემბერი**  
წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, რომ ხუთშაბათს მის დას ელისაბედს და დისწულ მაკო აფხაზს ფაეტონი გაუგზავნოს ავჭალაში, მას კი ორშაბათს მცხეთაში ეტლი დაახვედროს. ვარაუდობს, რომ რუსეთში წასვლა არ დასჭირდება. სწერს, რომ წინამურში რთველი 22 სექტემბერს დაიწყონ, როდესაც თავადაც საგურამოში იქნება. ►
- 1881 17 სექტემბერი**  
მონაწილეობს პროფესორ დავით ჩუბინაშვილის, ილია ოქრომჭედლიშვილისა და ალექსანდრე ცაგარელის პატივსაცემად ვერეს ბაღში გამართულ ბანკეტში და სიტყვით მიმართავს დავით ჩუბინაშვილს. წვეულებაზე სვამენ მისი და აკაკი წერეთლის სადღეგრძელოებს. ►
- 1881 18 სექტემბერი**  
თბილისიდან წერილს სწერს მეუღლეს და აცნობებს, რომ მეორე დღეს ანა ლოღობერიძე-მუსხელიშვილისასთან, პროფესორ დავით ჩუბინაშვილთან და დისწულ მაკო აფხაზთან ერთად ავა საგურამოში. სთხოვს, ახალი ეტლი ზემო ავჭალაში დაახვედროს საღამოს მატარებლის ჩამოდგომის დროისთვის. ►
- 1881 19 სექტემბრამდე**  
გიორგი შერვაშიძე სჩუენის ცხენს. ►
- 1881 19 სექტემბერი**  
თბილისიდან წერილს უგზავნის მეუღლეს და აცნობებს, რომ არქეოლოგების პატივსაცემად ორშაბათს დანიშნული წვეულების გამო ვერ ავიდა; ატყობინებს, რომ პარასკევს ოცამდე სტუმარს ელის საგურამოში და სთხოვს, თადარიგის დაჭერას. უგზავნის ხანჭალს, რომ კარგი სამსახურისთვის საჩუქრად გადასცეს მათ მეცხვარეს. ►
- 1881 19 სექტემბერი**  
გაზეთ „დროების“, სტატიაში „ბანკეტი პროფესორ ჩუბინოვის პატივსაცემად“, იბეჭდება მის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ►
- 1881 21 სექტემბერი**  
ესწრება არქეოლოგთა მეხუთე ყრილობის ბოლო სხდომას. ►
- 1881 23 სექტემბერი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „არხეოლოგიურ კრების გათავება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

- 1881 25 სექტემბერი**  
საგურამოში მასპინძლობს დავით ჩუბინაშვილს, ალექსანდრე ცაგარელს და სხვა საზოგადო მოღვაწეებს. ►
- 1881 26 სექტემბერი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერით „ქართული თეატრის მოყვარე“ აქვეყნებს სტატიას „თეატრის შესახებ“ („მკითხველს ამ პასუხით თავს არ შევანწყენ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. გაზეთის იმავე გვერდზე ხელმოწერულად ბეჭდავს წერილს „თფილისის გიმნაზიის იუბილე“. ►
- 1881 27 სექტემბერი**  
ესწრება თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის დაარსებიდან 50 წლისთავის იუბილესა და ბანკეტს. ►
- 1881 1 ოქტომბერი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერულად აქვეყნებს სტატიას „ბ. მარკოვის საჩივარი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1881 ოქტომბრის დასაწყისი**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეათე ნომერი. ►
- 1881 4 ოქტომბერი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერულად აქვეყნებს დასაწყისს სტატიისა „ქართველები საქართველოში“ („უცხო კაცს, რომელი ჩვენს ქვეყანაში მოდის...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1881 7 ოქტომბერი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერულად აქვეყნებს დასასრულს სტატიისა „ქართველები საქართველოში“ („ბევრი ჩვენთაგანი შურის თვალით შესცქერიან...“). ►
- 1881 9 ოქტომბრამდე**  
სამცხე-ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრის ერთწლიანი სამრევლო სკოლის დამაარსებელი მღვდელი ივანე გვარამაძე თხოვნით მიმართავს ქმნ-კგ საზოგადოებას, რომ თავის დაქვემდებარებაში აიყვანოს ხსენებული სკოლა და აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება. ►
- 1881 9 ოქტომბერი**  
ოფიციალური თანხმობის წერილს უგზავნის სამცხე-ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრის ერთწლიანი სამრევლო სკოლის დამაარსებელ მღვდელ ივანე გვარამაძეს; სთხოვს, აცნობოს, რამდენი შეგირდია მისდამი დაქვემდებარებულ სასწავლებელში, რა წიგნები და სასწავლო ნივთები სჭირდებათ. ►

## 1881 ოქტომბრამდე

დავით ერისთავის თხოვნით მიდის სცენისმოყვარეთა რუსული დასის ნიჭიერი დამწყები მსახიობის, ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის თამაშის სანახავად. ესწრებიან ნიკოლოზ ჩერნიშევსკის პიესის „ნამხდარი ცხოვრება“ წარმოდგენას, აღფრთოვანებული რჩებიან ახალგაზრდა მსახიობის თამაშით და წარმოდგენის დასრულების შემდეგ ეცნობიან მას. ირკვევა, რომ იგი იმ სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ვაჟია, რომელიც 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ ენის საკითხებთან დაკავშირებით მამებსა და შვილებს შორის გამართულ პოლემიკაში ჩაება. ილია ჭავჭავაძე გაკვირვებული რჩება, რომ ქართული ენის ასეთი დამცველის ვაჟმა ქართული არ იცის. ლადო ალექსი მესხიშვილი სურვილს გამოთქვამს, რომ მშობლიური ენა შეისწავლოს და ქართულ დასში გადავიდეს. ►

## 1881 28 ოქტომბერი

გაზეთ „შრომაში“ „ყლურნის“ ფსევდონიმით იბეჭდება იუმორისტული ფელეტონი, რომელშიც „ილია ჭავჭავაძე – რედაქტორი“ უჩივის „ილია ჭავჭავაძე – ბანკის მმართველს“ ბანკის დარბაზში „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის სხდომის ჩატარების აკრძალვის გამო. ►

## 1881 30 ოქტომბერი

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბათუმის სკოლა“ („დიდის ამბით, დიდის იმედებით...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

## 1881 1 ნოემბერი

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „იმერული „დანოსები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

## 1881 3 ნოემბერი

ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობას წარუდგენს ილია ოქრომჭედლიშვილის წინადადებას ძველი წიგნების გამოცემის შესახებ, რასაც ყველა მოწონებით ხვდება. ►

## 1881 7 ნოემბერი

მოსკოვში მყოფ ილია ოქრომჭედლიშვილს წერილით ატყობინებს, რომ „ქშნ-კვ საზოგადოებამ“ სიხარულით მიიღო მისი შეთავაზება, დაფინანსდეს ძველი წიგნების, კერძოდ, „ვისრამიანის“ გამოცემა. ►

## 1881 16 ნოემბერი

ესწრება ფრანგულიდან თარგმნილი დრამის „შეშლილია“ და რაფიელ ერისთავის მიერ გადმოკეთებული პიესის „ჭერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ წარმოდგენებს. ►

## 1881 19 ნოემბერი

ჟურნალ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მეთაურს („ჩვენის ქართულის თეატრი საქმე...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურით „ქართული თეატრი, წერილი მეორე“. ოცტომეულში კი - სათაურით „ახალი პიესები ქართულ სცენაზე“. ►

**1881 19 ნოემბერი**

სერგეი მესხთან ერთად განცხადებით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს, მის მიერ გაზეთ „დროების“ რედაქტორის უფლებების სერგეი მესხისათვის გადაცემის შესახებ. ►

**1881 19 ნოემბერი**

გაზეთ „დროებაში“ გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად აქვეყნებს განცხადებას, რომლითაც ეშნ-კგ საზოგადოების გამგეობა სთხოვს სკოლის მასწავლებლებს, მიაწოდონ ინფორმაცია სახელმძღვანელოებით მომარაგებასა და სხვა საჭირობო საკითხებზე. ►

**1881 23 ნოემბერი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერი, რომელშიც იბეჭდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“ („ქვეყანა ვისია?..“) და სარედაქციო განცხადება 1882 წლისათვის ჟურნალ „ივერიის“ გამოცემისა და ხელმოწერის პირობების შესახებ. ►

**1881 23 ნოემბერი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს აცნობებს, რომ თანახმაა ილია ჭავჭავაძის მიერ „დროების“ რედაქტორის უფლებამოსილების სერგეი მესხისთვის გადაცემაზე. ►

**1881 25 ნოემბერი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს აცნობებს, რომ თანახმაა, ჟურნალ „ივერიის“ თანარედაქტორად დაინიშნოს ივანე მაჩაბელი. ►

**1881 26 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ დადგენილებას, რომ ნახევარ ფასად შეიძინონ წიგნის „სიბრძნე სიცრუისა“ 200 ეგზემპლარი. მტკიცდება რაფიელ ერისთავის „იგავ-არაკის“ გამოცემის ხარჯები და საცალო ფასი. იღებენ დადგენილებას, რომ გაზეთ „დროებაში“ ყოველთვიურად დაიბეჭდოს საზოგადოების ანგარიშები. საქართველოსა და ნახევარსფეროების რუკებსა და გლობუსზე მოთხოვნის შესწავლას ავალეებენ იაკობ გოგებაშვილს, იონა მეუნარგიას, ვახტანგ თულაშვილსა და მიხეილ ბებუთაშვილს. იწონებენ პეტრე უმიკაშვილის წინადადებას ჰიგიენაზე, ფიზიოლოგიასა და მედიცინის სხვა საკითხებზე საჯარო ლექციების ჩატარების შესახებ. განიხილავენ ბათუმის სკოლასთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებს და იღებენ დადგენილებას, რომ ყველა ღონე იხმარონ ამ სასწავლებლის შესანარჩუნებლად. ►

**1881 ნოემბერი**

წერილობით მიმართავს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს თონეთში სკოლის გახსნასთან დაკავშირებით. ►

**1881 შემოდგომა**

მისი და სხვა ქართველი მოღვაწეების მოწვევით, „ვეფხისტყაოსნის“ დასასურათებლად თბილისში ჩამოდის მიხაი გიჩი. ►



**1881 3 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იწონებენ ექიმების: კონსტანტინე ბახუტაშვილის, გრიგოლ მაღალაშვილის, გრიგოლ გაბაშვილისა და გიორგი ტარსაიძის შეთავაზებას საჯარო ლექციების თემებისა და განრიგის შედგენასთან დაკავშირებით. იღებენ დადგენილებას, რომ „ვისრამიანი“ გამოიცეს 1200-იანი ტირაჟით და დაიბეჭდოს ორი სხვადასხვა ხარისხის ქალაქში. ►

**1881 4 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „თ. დონდუკოვ- კორსაკოვის დანიშვნაზე“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 9 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „გლეხთაგან მამულების გამოსყიდვა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 16 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „უსაფუძვლო საყვედურები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1881 17 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ათას მანეთს გამოყოფენ სოფლის სკოლებისთვის და ანაწილებენ საჭიროებების მიხედვით. იღებენ დადგენილებას საზოგადოების სასარგებლოდ მეჭლისისა და მუსიკალურ-ლიტერატურული საღამოს გამართვის თაობაზე. ივანე მაჩაბელსა და პეტრე უმიკაშვილს ავალევენ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ნახევარ ფასად შემოთავაზებული წიგნებისა და შემოსაწირი ხელნაწერების ავკარგიანობის შემოწმებას. თანხმდებიან, რომ გამომცემლისგან შეიძინონ „დავითიანის“ 120 ეგზემპლარი. იაკობ გოგებაშვილსა და პეტრე უმიკაშვილს ავალევენ ფოლკლორული მასალის მოძიებაზე პროექტის შედგენას. იწონებენ იაკობ გოგებაშვილის წინადადებას, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სააგენტოები დაარსდეს საქართველოს ყველა ქალაქში. მათი სამოქმედო ინსტრუქციის შემუშავებას ავალევენ იაკობ გოგებაშვილს, ვლადიმერ მიქელაძეს, გიორგი თუმანიშვილსა და ნიკო ცხვედაძეს. ►

**1881 24 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომას, რომელზეც საქმეთა მწარმოებელ ალექსანდრე სარაჯიშვილს ავალევენ სოფლის სკოლების საჭიროებათა სიის შედგენას. ქუთაისის გუბერნიის შესახებ მსგავსი ცნობების მოწოდება ევალევა ადგილობრივ სკოლათა დირექტორს. რუისის სკოლას ეგზავნება წიგნები და სასწავლო ნივთები. გიორგი თუმანიშვილის მოხსენების საფუძველზე იღებენ დადგენილებას, რომ საჯარო სამედიცინო ლექციების ჩასატარებლად დაიქირავონ სახელოსნო სასწავლებლის ან ქალაქის საბჭოს დარბაზი. კაკაბეთის სკოლას სესხად აძლევენ მერხების შესაძენ თანხას. ქუთაისში გაყიდვის საკომისიო პირობებით აგზავნიან საზოგადოების მიერ გამოცემული „იგავ-არაკების“ ას ეგზემპლარს. ►



**1881 დეკემბერი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეთორმეტე ნომერი, რომელშიც ბეჭდავს „შინაური მიმოხილვას“ („კიდევ ლოდინი...“) და სტატიას სათაურით „ხილად“. ►

**1881** ირჩევენ დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ. ►

**1882 7 იანვარი**

ქართული დრამატული დასი მსახიობ ნიკოლოზ თომაშვილის საბენეფისოდ გრიგოლ არწრუნის თეატრში წარმოადგენს მის პიესა „მაჭანკალს“. ►

**1882 8 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბატონყმობის საქმის გათავება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 9 იანვრის შემდეგ**

ინვევენ წინარეხის სკოლაში და მოსწავლეები წარმოადგენენ სპექტაკლს „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, რომელშიც კაკოს როლს ასრულებს ამ სკოლის აღსაზრდელი მიხეილ ქემელაშვილი. ►

**1882 10 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას თარიღით „ტფილისი, 9 იანვარი“ („ცხვრის ფარა რომ მობრუნდება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სხვადასხვა ერების უცნაური მდგომარეობა კავკასიაში“. ►

**1882 12 იანვარი**

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი თანხმობას უცხადებს საცენზურო კომიტეტს, რომ, ილია ჭავჭავაძის მოთხოვნის შესაბამისად, ჟურნალ „ივერიის“ თანარედაქტორად, სერგეი მესხის ნაცვლად, დაინიშნოს ივანე მაჩაბელი. ►

**1882 13 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ჩვენი ფოჩტა და რკინისგზა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 14 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ სახალხო სკოლების დირექციიდან მიღებულ წერილობით ინფორმაციას წინარეხისა და თონეთის სკოლების გახსნის შესახებ. მსჯელობენ ბიბლიოთეკებისთვის აღექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობისა“ და რაფიელ ერისთავის თხზულებათა გაგზავნის თაობაზე. დადებითად წყდება მმართველობის მიერ ახალგორის სკოლისთვის ავეჯის გადაცემის საკითხი. ასაკინძად გადაეცემა „ბუნების კარი“ და „დავითიანი“. ►

**1882 20 იანვარი**

ესწრება დავით ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოკეთებული ვიქტორ სარდუს დრამის „სამშობლოს“ პირველ წარმოდგენას გრიგოლ არწრუნის თეატრში. სპექტაკლის დროს სცენაზე გამოაქვთ ქართული დროშა, რაც ხალხს ისე აღაფრთოვანებს, რომ ყველა ფეხზე დგება და ტაშს უკრავს. აპლოდისმენტები დიდხანს არ წყდება, წარმოდგენის შემდეგ კი დრამატურგი დავით ერისთავი და რეჟისორი მიხეილ ბებუთაშვილი ხელში აყვანილები გაჰყავთ. ►

**1882 21 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „პროვინციალური გაზეთები“. ►

**1882 21 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ლექციების ჩასატარებლად დარბაზის გამოყოფის საკითხს; მსჯელობენ ბათუმის სკოლის მასწავლებლად კაკაბეთის სკოლის პედაგოგ ზაქარია გულისაშვილის დანიშვნის თაობაზე; ეცნობიან პეტრე უმიკაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის ინიციატივას სახალხო მასწავლებლების მიერ ფოლკლორული ნიმუშების შეკრებასთან დაკავშირებით; ამტკიცებენ სოფლის სკოლებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოებისა და ნივთების შესყიდვის ხარჯებს; ისმენენ ნიკო ცხვედაძის წინადადებას სახალხო სკოლების ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით; ეცნობიან ქუთაისის სკოლის ინსპექტორის ანგარიშს და მისსავე აზრს მზრუნველთა საბჭოსთან მოვალეობათა გამიჯვნის შესახებ. ►

**1882 27 იანვარი**

გაზეთ „მრომაში“ „ევ. ბოსლეველის“ ფსევდონიმით იბეჭდება ესტატი მჭედლიძის მიმოხილვა ჟურნალ „ივერიის“ 1881 წლის მეთორმეტე ნომრის შესახებ. სხვა მასალებთან ერთად განხილულია ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვა“ („მთელმა წლევანდელმა წელიწადმა მარტო ლოდინით...“). ►

**1882 28 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ახალციხის ქალთა სკოლისთვის სახელმძღვანელოებისა და ავეჯის, ხოლო ახალქალაქის სკოლისთვის შენობის თანხის გამოყოფის საკითხებს; ამტკიცებენ სასოფლო სკოლათა ბიბლიოთეკებში წიგნების მოხმარებისა და კატალოგის შედგენის წესებს; ყურადღებას ამახვილებენ საყმაწვილო ჟურნალის გამოცემის აუცილებლობაზე. აკმაყოფილებენ ბათუმის სკოლის თხოვნას სასკოლო ნივთების მიწოდებაზე. აღიქვანდრე სარაჯიშვილს ავალეებენ ინფორმაციის შეკრებას სოფელ ჭოლობანში არსებული კერძო სკოლის საჭიროებათა შესახებ. არ იზიარებენ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის მოთხოვნას წინარების სკოლის გეგმის კირილ იანოვსკისეული პროგრამის მიხედვით დამტკიცებაზე; იღებენ დადგენილებას, რომ რუსულის სწავლება დაიწყოს მეორე წლის მეორე ნახევრიდან, მაგრამ, ხელისუფლებასთან დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, ზრდიან სწავლების მთლიან ხანგრძლივობას სამიდან ოთხ წლამდე, რომ რუსულ ენას იმდენივე დრო დაეთმოს, რამდენსაც იანოვსკის გეგმა ითვალისწინებს. ►

**1882 4 თებერვალი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც იბეჭდება ილიასეული „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („ეგრედნოდებული პოლიტიკოსებისგან...“) და განცხადება ჟურნალის გამოცემისა და გამოწერის პირობების შესახებ მისი და ივანე მაჩაბლის ხელმოწერით. ►

**1882 11 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ექიმების მიერ ლექციების წაკითხვის საკითხს და ითხოვენ მათგან პროგრამების წარდგენას. მსჯელობენ ქრესტომატიის მომზადების თაობაზე. ილია ჭავჭავაძეს ავალეებენ სახელმძღვანელოს პროგრამის შედგენას. ისმენენ ბათუმის სკოლის მასწავლებლის წერილობით ინფორმაციას სკოლის შენობის დაქირავების შესახებ. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ქართული წიგნები მიაწოდონ ილია ალხაბიშვილს ჭავახეთისა და ახალციხის მაზრებში გასაგზავნად. განიხილავენ ბიბლიოთეკის საჭირო წიგნებით მომარაგების საკითხს. ამტკიცებენ სხვადასხვა სახის წვრილმან ხარჯს. ►

**1882 10-12 თებერვალი**

მისი და ივანე მაჩაბლის ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება განცხადება, რომ გამოსულია ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი. ►

**1882 18 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ ილიასა და სხვათა ხელმოწერით ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1882 წლის 1 იანვრისთვის. აქვე იბეჭდება სტატია „1 მაისის პანორამა ამერ-იმერთა“, რომელშიც საუბარია სათავადაზნაურო სკოლის დაფინანსებასთან დაკავშირებით გამართული თავადაზნაურთა ყრილობის შესახებ. პუბლიკაციაში ჩართულია ილია ჭავჭავაძის სიტყვა, რომლითაც კრების მონაწილეებს მოუწოდებს, ნადელების ფულის ნახევარი მომავალი თაობის განათლებას შესწირონ და აძლევს პირად მაგალითს. ►

**1882 20 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერადაც აქვეყნებს სტატიას „ქართველთ ქონება ათონის მთაზე“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 23 თებერვლამდე**

წერს პასუხს გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ ხელმოწერით «С. Р» მიხეილ კატკოვის მიერ გამოქვეყნებულ წერილზე „3 თებერვალს, თბილისიდან“, რომელშიც საუბარია ქართული დრამატული დასის მიერ პიესა „სამშობლოს“ წარმოდგენაზე. სტატიაში ქართველები დადანაშაულებულნი არიან სეპარატიზმში და დაცინვით არის მოხსენიებული ქართული დროშა. ►

**1882 23 თებერვალი**

სერგეი მესხს უზგავნის სტატიას „კატკოვის პასუხად“, მოკლე ბარათთან ერთად და სთავაზობს მასალა დაბეჭდვამდე ერთობლივად წაიკითხონ. ►

**1882 24 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება მისი წერილი „კატკოვის პასუხად“. ►

**1882 25 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ისმენენ ქუთაისის დირექციის წერილობით ინფორმაციას იქ არსებული სკოლების მდგომარეობის შესახებ და წყვეტენ მათთვის სახელმძღვანელოების გაგზავნის საკითხს. იღებენ დადგენილებას, რომ ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების მიწოდება სთხოვონ გეოგრაფიულ საზოგადოებას, კავკასიის არქეოგრაფიის კომისიას, სტატისტიკის კომიტეტსა და სხვა დაწესებულებებს. ალექსანდრე სარაჯიშვილს ავალევენ სოფლის სკოლათა შენობებისათვის გეგმის შედგენის ორგანიზებას. მადლობას უხდიან საზოგადოების სასარგებლოდ თანხის შემწირველებს. იხილავენ წინარეხის სკოლის სასწავლო პროგრამის შესახებ იაკობ გოგებაშვილის მიერ მომზადებულ პროექტს. იგი იმაზე მეტ დათმობებს ითვალისწინებს, ვიდრე ეს საზოგადოების წესდების დაურღვევლად არის შესაძლებელი. ამიტომ მხარს არ უჭერენ. თანხმდებიან, რომ ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ შეესაბამება საზოგადოებისთვის წესდებით მინიჭებულ უფლებებს, არ მიიღონ და თუ დირექცია თავის მოთხოვნებს ისევ წამოაყენებს, საკითხის განხილვაში ჩაერთოს პრესა. ►

- 1882 28 თებერვალი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ილია ჭავჭავაძემ მიიღო დეპეშები, რომლებშიც თანადგომასა და მადლობას უცხადებენ სტატიაში „კატკოვის პასუხად“ გამოთქმული მოსაზრებების გამო. ►
- 1882 თებერვლის ბოლო**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც იბეჭდება მისი „პოლიტიკური მიმოხილვა“ („როცა ჩვენ „ივერიის“ იანვრის წიგნში...“). ►
- 1882 4 მარტი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც აზუსტებენ ექიმ ბ. გ. გაბაშვილის სამედიცინო ხასიათის ლექციის წაკითხვის თარიღს. ►
- 1882 9 მარტი**  
გაზეთი „მოსკოვსკი ტელეგრაფი“ ბეჭდავს მისი წერილის „კატკოვის პასუხად“ თარგმანს და სარედაქციო შენიშვნებში უარყოფითად აფასებს რუსი ჟურნალისტის ქცევას. ►
- 1882 9 მარტის შემდეგ**  
მოსკოვიდან იღებს ილია ოქრომჭედლიშვილის წერილს. ადრესანტი კმაყოფილებით ატყობინებს, რომ სტატიაში „კატკოვის პასუხად“ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მხოლოდ მასზე, არამედ მასთან ერთად მყოფ სომხებსა და რუსებზეც. ►
- 1882 მარტის პირველი ნახევარი**  
გამოდის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი „ბუნების კარის“ მეოთხე გამოცემა, რომელშიც იბეჭდება მისი ლექსები: „ჩიტი“, „სიმღერა ამხანაგებისა“ („დედამ რომ შვილი გაზარდოს...“), ნაწყვეტები პოემებიდან: „აჩრდილი“ (მყინვარი), „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, მოთხრობებიდან: „კაცია – ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“. ►
- 1882 16 მარტი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ ილია ჭავჭავაძის სტატია „კატკოვის პასუხად“ გადაბეჭდა რუსულმა გაზეთმა „მოსკოვსკი ტელეგრაფმა“. იქვე ნათქვამია, რომ რუსეთის საზოგადოება აღაშფოთა კატკოვის ცილისწამებებმა, რომლებსაც შეიძლებოდა გამოეწვია ქართველების მიმართ დაპირისპირება. მისი საქციელი დაგმეს სხვა რუსულმა გაზეთებმაც. ►
- 1882 17 მარტის შემდეგ**  
მოსკოვიდან იღებს ილია ოქრომჭედლიშვილის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტს მის სახელზე გაუგზავნია 707 მანეთი, აქედან 700 – თეატრისათვის, 7 კი – ჟურნალ „ივერიის“ გამოსაწერად. ►
- 1882 19 მარტი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად იწყებს ბეჭდვას სტატიისა „ჩვენი საჭიროებანი“ („უმაღლესად გამოცხადებულის ბრძანებით...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1882 20 მარტი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად განაგრძობს ბეჭდვას სტატიისა „ჩვენი საჭიროებანი“ („ათასჯერ თქმულა და ეს უთქმელადაც...“). ►



**1882 21 მარტი**

იღებს წერილს ნურიბეგ ხიმშიაშვილისგან. ადრესანტი აცნობებს, რომ საცხოვრებლად გადადის შავშეთში და სთხოვს შუამდგომლობას წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე, რომ იქ გახსნას სკოლა. საზოგადოების თანხმობის შემთხვევაში სთავაზობს 60-80 მოსწავლეზე სკოლის შენობას და მასწავლებლის საცხოვრებელს. ►

**1882 21 მარტი**

გაზეთი „დროება“ აქვეყნებს თსს ბანკის ზედამხედველი კომიტეტის განცხადებას საზოგადო კრების მოწვევისა და მისი დღის წესრიგის შესახებ. ერთ-ერთ საკითხად დასახელებულია ბანკის გამგეობის წევრთაგან ახალი თავმჯდომარის არჩევა, ილია ჭავჭავაძის ნაცვლად. ►

**1882 25 მარტი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად ასრულებს ბეჭდვას სტატიისა „ჩვენი საჭიროებანი“ („კარგი სამართალი თითქმის ისეთისავე...“). ►

**1882 მარტი**

ჟურნალი „იმედი“ ბეჭდავს სტეფანე ჭრელაშვილის წერილს „დამტვრეული ოცნებანი“, რომელშიც ნაჩვენებია ილია ჭავჭავაძის უდიდესი როლი სამოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში და მისი იდეური ევოლუცია შემდგომ წლებში. ►

**1882 მარტის ბოლო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მესამე ნომერი: რომელშიც იბეჭდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („რა უნდა ჰქონდეს საგნად წესთცვალებადობასა ჩვენსა...“). ►

**1882 1 აპრილი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ დადგენილებას, რომ წინარეხის სკოლაში დროებით გამოიყენონ ბათუმის სასწავლო პროგრამა; ნიკო ცხვედაძეს ავალეზენ სამწლიანი და ექვსწლიანი ახალი პროგრამების შემუშავებაზე მუშაობის დანებებას; ახალციხის ქალთა სკოლისგან მოითხოვენ ინფორმაციის დაზუსტებას იმის თაობაზე, თუ რა დრო ეთმობა ქართულისა და რუსულის სწავლებას და რა თანხა სჭირდება სკოლას თავის შესანახად. გამგეობა არ იღებს ახალქალაქიდან გაგზავნილ თანხას იმის გამო, რომ ეს ფული საზოგადოების სახელზე არ არის შეგროვებული. ნიკო ცხვედაძესა და იაკობ გოგებაშვილს გადასამომწმმებლად გადასცემენ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორის მიერ გაგზავნილ პროგრამებს. მსჯელობენ წინარეხის სკოლის შენობის ადგილის შესახებ და სასწავლო გეგმის შედგენას ავალეზენ ალექსანდრე სარაჯიშვილსა და ნიკო ცხვედაძეს. განიხილავენ ნურიბეგ ხიმშიაშვილის წერილს შავშეთში ქართული სკოლის გახსნის შესახებ. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ზაფხულში მასთან გაგზავნონ საზოგადოების წევრი ინფორმაციის დასაზუსტებლად. ►

**1882 4 აპრილი**

გაზეთი „დროება“ აქვეყნებს თსს ბანკის ზედამხედველი კომიტეტის განცხადებას საზოგადო კრების მოწვევისა და მისი დღის წესრიგის შესახებ. ერთ-ერთ საკითხად დასახელებულია ბანკის გამგეობის წევრთაგან ახალი თავმჯდომარის არჩევა, ილია ჭავჭავაძის ნაცვლად. ►

**1882 4 აპრილი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ერთიც ახალი გამოლაშქრება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►



**1882 8 აპრილი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ნიკო ცხვედაძის მიერ თბილისის გუბერნიის სკოლების დირექციაში გასაგზავნად შედგენილ წერილს წინარეხის სკოლის გახსნის ნებართვის მისაღებად. მსჯელობენ იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის შენიშვნებზე ქუთაისის სააზნაურო სკოლის მიერ წარმოდგენილი პროგრამების შესახებ. ეცნობიან ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორის წერილს მასწავლებლების მოწვევის თაობაზე. ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობას სთხოვენ შუამდგომლობას საზოგადო კრების წინაშე, რათა ბანკის წინა მოგებიდან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირონ 5000 მანეთი. იღებენ გადაწყვეტილებას ალექსანდრე ნანეიშვილის ნაცვლად ბათუმის სკოლის მასწავლებლად სტეფანე ჭრელაშვილის დროებით დანიშვნის თაობაზე. იწონებენ კონსტანტინე ყიფიანის წინადადებას საზოგადოებისთვის კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების შეღავათიან ფასად მიყიდვის თაობაზე. ►

**1882 15 აპრილი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ისმენენ წინარეხში სკოლის გახსნის ნებართვასთან დაკავშირებით თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორთან გასაგზავნ წერილს. წლიური საერთო კრება ინიშნება 23 მაისს. მადლობას უხდებიან ნიკოლოზ ზვიდლიცს სტატისტიკური კომიტეტის მიერ გამოცემული წიგნების შეწირვისთვის. კონსტანტინე ყიფიანის მიერ მიწოდებული ბაბანა ჭილაძის წერილები გადასამოწმებლად გადაეცემა პეტრე უმიკაშვილს. ►

**1882 20 აპრილი**

ქშნ-კგ საზოგადოების გამგეობა მისი და გრიგოლ ყიფშიძის ხელმოწერით წერილს უგზავნის ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძეს და აძლევს მითითებებს ახალი მასწავლებლების შერჩევის თაობაზე. ►

**1882 11-25 აპრილი**

გაზეთი „დროება“ აქვეყნებს თსს ბანკის ზედამხედველი კომიტეტის განცხადებას საზოგადო კრების მოწვევისა და მისი დღის წესრიგის შესახებ. ერთ-ერთ საკითხად დასახელებულია ბანკის გამგეობის წევრთაგან ახალი თავმჯდომარის არჩევა, ილია ჭავჭავაძის ნაცვლად. ►

**1882 25 აპრილის შემდეგ**

შეუძლოდ არის და თავისთან ეპატიჟება კოლა ერისთავს, რომ ბანქოს თამაშით შეიქციონ თავი. ►

**1882 25 აპრილის შემდეგ**

კოლა ერისთავს ბარათით ატყობინებს, რომ სალამოს მასთან აპირებს მისვლას. ►

**1882 28 აპრილი**

მონაწილეობს თავადაზნაურთა სკოლის კომიტეტის სხდომაში. ►

**1882 29 აპრილი**

თავმჯდომარეობს თსს ბანკის სხდომას და კითხულობს განვლილი წლის ანგარიშს. ►

**1882 30 აპრილი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად და უსათუროდ აქვეყნებს ნეკროლოგს („ახლადგარდაცვალებული ერეკლე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ალექსანდრე ბატონიშვილის ძის – ერეკლეს გარდაცვალების გამო“. ►

**1882 1 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სათავადაზნაურო ბანკის კრების ანგარიში. ►

**1882 1 მაისი**

გრძელდება სათავადაზნაურო ბანკის კრება, რომელზეც იხილავენ ტატიშვილის საჩივარს ბანკის თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძის მიმართ. იგი სიტყვით გამოდის და დამაჯერებლად აბათილებს წაყენებულ ბრალდებებს. კრების მონაწილენი აღფრთოვანებულნი რჩებიან მისი გამოსვლით. ►

**1882 3 მაისი**

სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ამომრჩეველთა დაჟინებული მოთხოვნით კენჭისყრის გარეშე, ერთხმად ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ. ►

**1882 4 მაისი**

რუსულ გაზეთებში იბეჭდება ინფორმაცია თსს ბანკის საერთო კრების შესახებ. ►

**1882 5 მაისი**

რუსულ გაზეთებში იბეჭდება ინფორმაცია თსს ბანკის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძის კენჭისყრის გარეშე არჩევის შესახებ. ►

**1882 5 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სათავადაზნაურო ბანკის კრების ანგარიშის დასაწყისი. ►

**1882 6 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სათავადაზნაურო ბანკის კრების ანგარიშის გაგრძელება. ►

**1882 7 მაისი**

ესწრება თავადაზნაურთა კრებას, რომელზეც განიხილავენ სკოლებში ქართულის სწავლებისა და სწავლის საფასურის გადახდის საკითხებს. მოითხოვს გადამხდელთა ხუთ კატეგორიად დაყოფას და მხარს უჭერს გორელთა წინადადებას, რომ ქართულის მასწავლებლის უფლებები გაუთანაბრდეს რუსულისას. წინადადება მტკიცდება 131 ხმით 14-ის წინააღმდეგ. ►

**1882 8 მაისი**

მონაწილეობს თბილისის მაზრის თავადაზნაურთა კრებაში. ცალკეული პირები ითხოვენ კენჭი ეყაროს წინა დღით მიღებულ დადგენილებას სასწავლებლისთვის თავადაზნაურობის მიერ გადასახდელი თანხის შესახებ და იკვეთება, რომ ზოგიერთები უკან დახევას აპირებენ. ილია ჭავჭავაძე დამსწრეთ შეახსენებს, რომ ასეთი საქმისთვის ხელშეწყობა ღირსების საქმეა და კენჭისყრაზე საკითხი დადებითად წყდება. ►

**1882 8 მაისი**

გაზეთ „დროების“ „დღიურში“ ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, თითქოს აპირებდნენ თავადაზნაურობის მარშლად ილია ჭავჭავაძის კანდიდატურის წამოყენებას და უარი განაცხადა. ►

**1882 9 მაისი**

მონაწილეობს თბილისის მაზრის თავადაზნაურთა კრებაში. ►

**1882 15 მაისი**

სხვებთან ერთად ხელს აწერს ქმნ-კვ საზოგადოების ანგარიშს 1881 წლის 15 მაისიდან 1882 წლის 15 მაისამდე. ►

**1882 18 მაისის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეოთხე-მეხუთე გაერთიანებული ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („გაზაფხული ჩვენში განკითხვის დღეა...“). ►

**1882 19 მაისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „რუსის ცრუ პატრიოტს“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 29 მაისი**

თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლ ალექსანდრე ორბელიანთან და სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის წევრებთან ერთად ესწრება მოსწავლეთა უკანასკნელ გამოცდას. გამოცდის შემდეგ ბავშვთა სასაღილოში შესულები შეამჩნევენ, რომ მოსწავლეებს სუფრაზე არ აქვთ ღვინო და ალექსანდრე ორბელიანი გამოთქვამს სურვილს, რომ გაუგზავნონ. ილია ჭავჭავაძე იქვე იწონებს ამ აზრს და ზრუნავს იმაზე, რომ ეს დახმარება ერთჯერადი არ იყოს. იგი დამსწრეთ სთავაზობს, შედგეს თხუთმეტკაციანი სია, რომელთაგან თითოეული სკოლას ყოველწლიურად მიაწვდის ორ-ორ კოკა (64-80 ლიტრი) ღვინოს და თხუთმეტ-თხუთმეტ კოდ (750 კილო) პურს. სტუმრები თანხმდებიან მის წინადადებაზე. ►

**1882 2 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია თბილისის სათავადაზნაურო სკოლასთვის ყოველწლიურად პურისა და ღვინის მიწოდებასთან დაკავშირებით ალექსანდრე ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის წამოწყებაზე. კორესპონდენტი აღნიშნავს, ისეთმა ადამიანებმა დადეს ეს პირობა, რომ აუცილებლად შესრულდებო. ►

**1882 3 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „საყურადღებო შედარება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 6 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებას, რომელზეც განიხილავენ ერთი წლის ანგარიშს. აქტიურად მონაწილეობს ბათუმის სკოლის საკითხის განხილვაში. საზოგადოების თავმჯდომარედ ირჩევენ ივანე ბაგრატიონ-მუხრანელს. ►

**1882 8 ივნისი**

გიორგი ქართველიშვილს ხელწერილით გადასცემს ქმნ-კვ საზოგადოების შემოსავალ-გასავლის წიგნს, 2000 მანეთის ღირებულების კომერციული ბანკის ბილეთებსა და ქვითრებს. ►

**1882 17 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც შემწეობას გამოუყოფენ ახალციხის ქალთა სკოლას და მოითხოვენ, რომ სწავლება ხორციელდებოდეს საზოგადოების მიერ შედგენილი პროგრამით. განიხილავენ წერილობით ინფორმაციას სოფელ ახალგორის სკოლის დახურვის შესახებ და იღებენ დადგენილებას, რომ სასკოლო ნივთები და ავეჯი საზოგადოებას დაუბრუნდეს. იმის გამო, რომ ორგანიზაციას მკაცრად აქვს განსაზღვრული პრიორიტეტები, სტიპენდიას ვერ უნიშნავენ კონსტანტინე ნაცვლიშვილის შვილს და პეტერბურგში უმაღლესი მუსიკალური განათლების მიღებას ვერ უფინანსებენ ვასილ კარბელაშვილს. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელ თომა მთვარელიშვილს შუამდგომლობენ სამოსწავლო მაზრის მზრუნველის წინაშე, რომ გაათავისუფლონ სავალდებულო სამსახურიდან. ეცნობიან ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორის თხოვნას გამოცდებზე საზოგადოების ერთ-ერთი წევრის დასწრების აუცილებლობის შესახებ. არ კმაყოფილდება არსენ კალანდაძის თხოვნა მის მიერ გამოცემული წიგნების შეღავათიან ფასში შესყიდვის თაობაზე. ►

**1882 18 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „სახალხო დროსგატარება“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვრებთა ოცტომეულში. ►

**1882 11-20 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ქმნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►

**1882 20 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბათუმისა და ფოთის შესახებ“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვრებთა ოცტომეულში. ►

**1882 22 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ახალი გაზეთი „ბათუმის ფურცელი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვრებთა ოცტომეულში. ►

**1882 23 ივნისი**

თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორის წერილობით ინფორმაციას ჩატარებული გამოცდების შესახებ. პროგიმნაზიული კლასის გახსნასთან დაკავშირებით სასწავლო ოლქის მზრუნველთან გასაგზავნი წერილის შედგენას ავალეებენ იაკობ გოგებაშვილს. არ იწონებენ მიხეილ ზედგინიძის მიერ შედგენილ ქართული წერის დედანს. თანხმდებიან, რომ დაიბეჭდოს და სახალხო სკოლების ბიბლიოთეკებს დაეგზავნოს წიგნების მოხმარების წესები. ისტორიისა და არითმეტიკის სახელმძღვანელოების რუსულიდან თარგმნას ავალეებენ ივანე მაჩაბელს. განიხილავენ ნესტორ წერეთლის ინფორმაციას სოფ. კუხის საზოგადოების გადაწყვეტილების შესახებ სკოლის გახსნასთან დაკავშირებით. მტკიცდება საკანცელარიო ნივთებისა და წიგნების შესაძენი ხარჯები. ►

**1882 23 ივნისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ქუთაისის ბანკის მდგომარეობა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვრებთა ოცტომეულში. ►



**1882 30 ივნისი**

გაზეთი „შრომა“ არაგველის ფსევდონიმით აქვეყნებს დავით კვბელის წერილს „ვერა ხედავთ ბატ. ილია ჭავჭავაძეს?“, რომელშიც ადანაშაულებს მას ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საქმეებში ჩარევაში. ►

**1882 ივნისის ბოლო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც იბეჭდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („ადამიანი ცალკედ...“). ►

**1882 ივლისამდე**

წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ატყობინებს, რომ ქუთაისიდან დაბრუნდა და ელოდა მოურავ დავით ციციშვილის ჩასვლას, რომელსაც საგანგებოდ დეპეშაც კი გაუგზავნა, მაგრამ ამაოდ. იძულებული გახდა მემანქანის შოვნაზეც და სალენი მანქანის საგურამოში გაგზავნაზეც თავად ეზრუნა. მადლობას უხდის მანქანის ფულის დროულად გაგზავნისთვის. ატყობინებს, რომ შაბათს მასთან ერთად საგურამოში ასვლას აპირებს ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშვილი თამარი და სთხოვს, რომ ცხენები გაუგზავნოს. ►

**1882 4 ივლისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „მავნებელი დედააზრები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 6 ივლისი**

ცხადდება თბილისის სასამართლო პალატაში, სადაც უნდა განხილულიყო „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის, ყოფილი რედაქტორის ილია ჭავჭავაძისა და ამავე გაზეთში გამოქვეყნებული კორესპონდენციის ავტორის ივანე აბაშიძის საქმე ბ. სერჟუტოვსკის საჩივრის გამო, მაგრამ განხილვა გადაიდო. ►

**1882 14 ივლისი**

გაზეთი „შრომა“ „ბოსლეველის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ესტატე მჭედლიძის წერილს „იმედი“ და მისი კრიტიკოს-პუბლიცისტები“, რომელშიც ეკამათება სტეფანე ჭრელაშვილს ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ►

**1882 22 ივლისი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ერთი საისტორიო საგანი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 24 ივლისის შემდეგ**

ოდესიდან ფოთში გზავნიან ილია ჭავჭავაძის მიერ შეკვეთილ სამკალ მანქანას და უგზავნიან შეტყობინებას. ►

**1882 25 ივლისი**

გაზეთ „დროებაში“ მისი ხელმოწერით იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1882 წლის 1 ივლისისთვის. ►

**1882 ივლისის ბოლო**

წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში და აძლევს სამეურნეო ხასიათის რჩევა-დარიგებებს. აცნობებს, რომ მის მიერ გამოწერილი სამკალი მანქანა უკვე გამოგზავნილია და იმედოვნებს, რომ ჭონ პიტსი მემანქანესაც გამოუგზავნის. ►



1882

**ივლისის შემდეგ**

მოკლე ბარათს სწერს მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, მსახური ბიჭის ხელით გაუგზავნოს, რაც კი სახლში სახელოვანი ადამიანების პორტრეტები აქვთ. ინტერესდება, როგორ მუშაობს სალენი მანქანა. ჰპირდება, რომ მომდევნო დღეს თავადაც ავა საგურამოში. ►

1882

**აგვისტოს დასაწყისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეშვიდე-მერვე გაერთიანებული ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („რა ჰქნას ხანდახან შინაურმა მიმოხილველმა...“) და „საპოლიტიკო მიმოხილვა“ („კვლავ გამოვიდა...“). ►

1882

**აგვისტოს პირველი ნახევარი**

წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში და ატყობინებს, რომ მოჭრილი ხეები არასწორად იყო დათვლილი. მოურავ დავით ციციშვილს უთვლის, ხელახლა დათვალოს და სწორი ანგარიში გაუგზავნოს პოვოსკასთან ერთად. სწერს, რომ ეტლი შაბათისთვის დაახვედრონ. ►

1882

**17 აგვისტო**

აკაკი წერეთელი თელავში მის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოში ამბობს: „ჩვენ დროშიც მეთაური და მონინავე იყო თქვენივე შვილი, თავადი ი. ჭავჭავაძე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებით და ამპარტავნებით იგონებს“. ►

1882

**19 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „შენიშვნა“ („ახალ სამსაჯულო კანონების შემდგენელნი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

1882

**2 სექტემბერი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება აკაკი წერეთლის მიერ თელავში მის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელო, რომელშიც მას „ჩვენი დროის მეთაურსა“ და „მონინავეს“ უწოდებს. ►

1882

**3 სექტემბრამდე**

ზაქარია ჭიჭინაძე ცალკე გამოსცემს წიგნს „დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა“, რომელშიც შედის პოემა „დედა და შვილი“ და ლექსები: „ხმა სამარიდამ“, „ქართვლის დედას“, „მესმის, მესმის სანატრელი...“, „პოეტი“, „უსულდგმულო ცხოვრება...“, „პარიჟი ( 1871 წ. 23 მაისი)“, „მტკვრის პირას“, „ჩემო კალამო, ჩემო კარგო...“, „მას აქვთ, რაკი შენდამი ვსცან...“, „მუშა“, „ლოცვა“, „ჩ... სას.“, „კ. ბ. მ—სას“, „ვიხილე სატრფო...“, „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე“, „ჩემო მკვლელი“, „გაზაფხული“ და „ბედნიერი ხალხი“. ►

1882

**6 სექტემბერი**

როგორც ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე თხოვნით მიმართავს თბილისის კომერციულ ბანკს, რომ გამოუწერონ ქვითარი შეტანილ თანხაზე. ►

1882

**9 სექტემბრამდე**

ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობა იღებს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძის დეკემბას შევითხვით, სასწავლო პროგრამების წარდგენასთან დაკავშირებით. ►

## 1882 9 სექტემბერი

ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობა ილიასა და გრიგოლ ყიფშიძის ხელმოწერით წერილს უგზავნის ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძეს და სთხოვს პროგრამების წარდგენას, მათ შორის, ვრცლად განერილი ქართული ენის პროგრამისასაც. ►

## 1882 10 სექტემბრის შემდეგ

ვენიდან იღებს ილია ოქრომჭედლიშვილის საპასუხო წერილს, რომელიც ეხება ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საკითხს. ადრესანტი სწერს, რომ მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ეგულებოდა ძველი მინიატურებიანი „ვეფხისტყაოსანი“ და უნდოდა მისი გამოყენება, მაგრამ მასალა არ გამოდგა სათანადო ხარისხის. ►

## 1882 21 სექტემბერი

თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ სოფ. ხელთუბანში სკოლის გახსნის საკითხს. ეცნობიან ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორის წერილობით ინფორმაციას სხვადასხვა საგნის მასწავლებლების დაქირავების შესახებ. იღებენ ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორის ნებართვას პროგიმნაზიული კლასის გახსნაზე. კმაყოფილდება ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის თხოვნა სტიპენდიანტებისთვის ფულის მიწოდების თაობაზე. მადლობას უცხადებენ გიორგი ქართველიშვილს კანცელარიის მოსაწყობად შეწირული თანხისთვის. განიხილავენ საქმეთმწარმოებლის ინფორმაციას ბათუმის სკოლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. იღებენ დადგენილებას ბიბლიოთეკისთვის წიგნების შეძენაზე. იღებენ შეტყობინებას, რომ ბათუმის სკოლისათვის დაქირავებული ახალი მწიგნობა მეპატრონის ვალის გამო აუქციონზე იყიდება და იღებენ დადგენილებას, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გადარიცხონ დამატებითი სახსრები ისევ ძველი მწიგნობის დასაქირავებლად. ►

## 1882 14 სექტემბერი

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „კავკაზიის რეფორმები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►

## 1882 15 სექტემბერი

ქუთაისში გამომავალ გაზეთ „შრომაში“ „ტარიელის“ ფსევდონიმით იბეჭდება დასაწყისი დავით კვბელის ფელეტონისა „წერილი ტარიელისა ფრიდონთან“, რომელშიც გაკრიტიკებულია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა სათავადაზნაურო ბანკში. ►

## 1882 სექტემბრის პირველი ნახევარი

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეცხრე ნომერი. მასში ხელმოუწერლად ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“ („როცა ერი ყოველს მოვლინებას...“), რომელშიც ავტორი მიესალმება აკაკი წერეთელს სალიტერატურო მოღვაწეობის 25-ე წლისთავს. ►

## 1882 სექტემბრის შუა რიცხვები

ზაქარია ჭიჭინაძე გამოსცემს კრებულს „სალამური“, რომელშიც ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ნანა“, „ელეგია“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და მის მიერ შეკრებილი გლეხური სიმღერები. ►

1882

**26 სექტემბერი**

ქართული დრამატული დასი გრიგოლ არწრუნის თეატრში დგამს მის დრამატულ პოემას „დედა და შვილი“. დედის როლს ასრულებს ნატო გაბუნია, შვილისას – კოტე მესხი. ►

1882

**28 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის უწყებას წინარეხის სკოლის გაუქმების შესახებ. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში ნიშნავენ გალობისა და ქართული ენის მასწავლებლებს. მადლობას უცხადებენ რაფიელ ერისთავს საზოგადოებისთვის „ანდაზებისა“ (900 ც.) და „გრამატიკის სქემის“ (550 ც.) შეწირვის გამო. წერილს უგზავნიან დიმიტრი ყიფიანს მომგებიან ბილეთებთან დაკავშირებით. საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ იაკობ გოგებაშვილს. განიხილავენ წინარეხის სკოლის ანგარიშს და იღებენ გადაწყვეტილებას მისი გაზეთში დაბეჭდვის შესახებ. არ იზიარებენ იაკობ გოგებაშვილის შეთავაზებას ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორისთვის წერილის გაგზავნაზე იმასთან დაკავშირებით, რომ დაწყებით კლასებში გაკვეთილები ჯერ ქართულად აიხსნას და შემდეგ იგივე ითარგმნოს რუსულად. ►

1882

**29 სექტემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას თარიღით „ტფილისი, 28 სექტემბერს“ („ჭეშმარიტებაა, რომ ერი ერთად არ ჩაითვლება...“). მწერლის თხოულობათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „უყურადღებობა ქართული ენის მიმართ“. ►

1882

**29 სექტემბერი**

ქუთაისში გამომავალ გაზეთ „შრომაში“ „ტარიელის“ ფსევდონიმით იბეჭდება დასასრული დავით კვბელის ფელეტონისა „წერილი ტარიელისა ფრიდონთან“. მასში ილია ჭავჭავაძე თავისსავე პერსონაჟ ლუარსაბ თათქარიძესთან არის შედარებული და გამოყვანილია ისე, თითქოა იგი ჭამისა და ძილის გარდა არაფერზე ფიქრობს. ►

1882

**სექტემბერი**

საგურამოში მეუღლეს უგზავნის წერილს, რომლიდანაც ჩანს, რომ აქტიურად არის ჩართული საბანკო საქმიანობაში. ►

1882

**ოქტომბრის დასაწყისი**

წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ატყობინებს, რომ უკმაყოფილოა მოურავის საქმიანობით და მის დათხოვნას აპირებს. აცნობებს, რომ ქათმები იყიდა და ახლა ყურადღების გამოჩენა ჰპირთებთ, რომ არ მოიპარონ. აძლევს სამეურნეო ხასიათის დარიგებებს. ►

1882

**12 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც არ კმაყოფილდება კერძო სკოლის თხოვნა მერხებით მომარაგების შესახებ. ამატინისხევის მასწავლებელს ლუკა რაზიკაშვილს (ვაჟა-ფშაველას) ეგზავნება „ბუნების კარის“ და „დედა ენის“ მოთხოვნილი რაოდენობა. ეცნობიან ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის წერილობით ინფორმაციას თანხის მიღების თაობაზე. იღებენ დადგენილებას, დააკმაყოფილონ გუბერნატორის მოთხოვნა სოფ. ხელთუბნის სკოლასთან დაკავშირებით ქმნ-კვ საზოგადოების მიერ მიღებული დადგენილების რუსულად თარგმნისა და გაგზავნის თაობაზე. საზოგადოების ხაზინადრად ირჩევენ გიორგი ქართველიშვილს. ისმენენ საქმისმწარმოებლის ინფორმაციას ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების წიგნებითა და სასკოლო ნივთებით მომარაგების შესახებ. იაკობ გოგებაშვილს ავალეებენ გაგზავნილი წიგნების, ნივთებისა და ფულადი დანახარჯის გადამოწმებას. ►

- 1882 13 ოქტომბერი**  
სწორებები შეაქვს ქმნ-კგ საზოგადოების თავმჯდომარის, დიმიტრი ყიფიანისთვის პეტერბურგში გასაგზავნ ნერილში. ►
- 1882 ოქტომბრის შუა რიცხვები**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეათე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („საკვირველია მოხელეობის ბედი...“). ►
- 1882 20 ოქტომბერი**  
ესტატე მჭედლიძე, ბოსლეველის ფსევდონიმით გაზეთ „შრომაში“ იწყებს რეცენზიის ბეჭდვას ჟურნალ „ივერიის“ მეოთხე-მეხუთე ნომერზე და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ილია ჭავჭავაძის „შინაურ მიმოხილვას“. ►
- 1882 23 ოქტომბრამდე**  
წერილს სწერს მეუღლეს საგურამოში. მოურავ დავით ციციშვილს უთვლის, ქალაქში ჩავიდეს და დიდი ჭურჭელი ჩაიტანოს მანქანის ზეთისთვის. ►
- 1882 23 ოქტომბრამდე**  
ესწრება ნუშიკო სუმბათაშვილის დაკრძალვას. ►
- 1882 23 ოქტომბერი**  
ბარათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. აცნობებს, რომ უნდა შეხვდეს კაცს, რომლის მოურავად აყვანაც ურჩიეს და თუ მოეწონა, ერთად ავლენ. სწერს, რომ მუშაობს ახალი წესდების პროექტზე, რომელიც უნდა განიხილონ ზედამხედველი კომიტეტის სხდომაზე 25 ოქტომბერს. სთხოვს, ხუთშაბათს ცხენები დაახვედროს სალამოს მატარებლის ჩასვლის დროისათვის. ►
- 1882 20-24 ოქტომბერი**  
მუშაობს ახალი წესდების პროექტზე. ►
- 1882 28 ოქტომბერი**  
თბილისის სასამართლო პალატა იხილავს „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის, ყოფილი რედაქტორის ილია ჭავჭავაძისა და კორესპონდენტ ივანე აბაშიძის საქმეს სერჟუტოვსკის საჩივრის გამო. სასამართლო პალატის განაჩენით სერგეი მესხს აჯარიმებენ 100 მანეთით, ილია ჭავჭავაძეს – 25 მანეთით, კორესპონდენციის ავტორ ივანე აბაშიძეს კი უსჯიან ერთი თვით პატიმრობას. ►
- 1882 10 ნოემბერი**  
ესტატე მჭედლიძე, „ბოსლეველის“ ფსევდონიმით, გაზეთ „შრომაში“ განაგრძობს ჟურნალ „ივერიის“ მეოთხე-მეხუთე ნომერზე დაწერილი რეცენზიის ბეჭდვას. ►
- 1882 14 ნოემბერი**  
კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი ნიკოლოზ ლიხაჩოვი მას, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს მიმართავს თხოვნით, დახმარება გაუწიოს ლითოგრაფ იაკობ უტვენკოს, რომელიც აპირებს თამარ მეფის სურათის ბეჭდვას. ►
- 1882 19 ნოემბერი**  
განცხადებით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს გაბ. „დროების“ რედაქტორის უფლებამოსილების სერგეი მესხისთვის გადაცემის თაობაზე. ►



**1882 20 ნოემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ბათომის სკოლის თაობაზე“ („რამდენიმე საუკუნის განმავლობაში...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 21 ნოემბერი**

მონაწილეობს ქართული მეცნიერული ტერმინების შემუშავებელი კომისიის კრების საქმიანობაში. ►

**1882 ნოემბერი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („ჩვენი საზოგადოება ამ ბოლოს...“) და მისი და ივანე მაჩაბლის ერთობლივი განცხადება ჟურნალ „ივერიის“ გამოცემაზე 1883 წელს. ►

**1882 8 დეკემბერი**

წერილს იღებს გრიგოლ დადიანისგან. ადრესანტი უზიარებს თავის აზრს იმის შესახებ, რომ არ მოსწონს გაზეთი „შრომა“, რადგან ძალიან არქაულ სტილში წერენ. ►

**1882 9 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს სტატიისა „ბათომი და ბათომელები“ („ამ სტრიქონების დამწერმა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1882 10 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს სტატიისა „ბათომი და ბათომელები“ („დიდი დაკვირვება აქაურ ხალხის ცხოვრებისა...“). ►

**1882 19 დეკემბერი**

ქშნ-კგ საზოგადოების სახელით წერილს უგზავნის ბათუმში ლევან მჭედლიშვილს და მადლობას უხდის ბათუმის სკოლისთვის დახმარების აღმოჩენის გამო. ►

**1882 დეკემბერი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეთორმეტე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („ბევრი სთქვეს და ბევრი სწერეს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბ-ნ მეისნერის პროექტი“. ►

**1882-  
დან**

ნათლავს სანდრო და ბარბარე მაყაშვილების ვაჟს - ვახუშტის და უწოდებს ილიას. ►

**1882**

წინარეხის სკოლის პედაგოგ სალომე მაღალაშვილის მიწვევით იაკობ გოგებაშვილთან, ნიკო და იოსებ ცხვედაძეებთან ერთად სტუმრობს წინარეხის სკოლას. ბავშვები კითხულობენ სცენებს „კაკო ყაჩაღიდან“ და ხალხურ ლექსებს. ►

**1883 1 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „საახალწლო“ („ღმერთმა მრავალ ამ დღეს დაგასწროს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►



**1883 5 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „გავლილი წელიწადი ევროპაში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 6 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „გავლილი წელიწადი რუსეთში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 8 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „გამბეტას დამარხვა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 9 იანვარი**

განაგრძობს პოემა „განდეგილის“ წერას. „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს ახალი პოემა არის მთიელთა ლეგენდიდან და მოქმედება ვითარდება მცინვარწვერზე. ►

**1883 9 იანვარი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ვახტანგ ორბელიანის პოეტური გამომხმარება ილია ჭავჭავაძის ლექსზე: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“ სათაურით „სამშობლო ქვეყნის პასუხი“. ►

**1883 11 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „შარშანდელი წალიწადი ჩვენში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 12 იანვარი**

გაზეთ „შრომაში“ მისი და ივანე მაჩაბლის ხელმოწერით ქვეყნდება განცხადება „ჟურნალ „ივერიის“ გამოცემაზე 1883 წელსა“. ►

**1883 12 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „გახშირებული ავადმყოფობა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 14 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „წმინდა ნინოს დღესასწაული“ („დღეს ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 19 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ქალაქის თავის არჩევანი“ („ახალი რჩევა ქალაქისა შესდგა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 20 იანვარი**

გერმანულ ჟურნალში არტურ ლაისტი აქვეყნებს ქართული ლიტერატურის მიმოხილვას სათაურით „მივიწყებული ლიტერატურა“. ►

**1883 21 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ჩვენი თავადაზნაურობა და ერობა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 22 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „საფრანგეთში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 25 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მსჯელობენ სამოსწავლო ოლქის მზრუნველ კირილ იანოვსკისთვის გაგზავნილ და უკან დაბრუნებულ დოკუმენტზე ბათუმის სკოლაში მუსლიმური რჯულის სწავლების პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ვინაიდან აღნიშნულ სკოლაში განათლებას იღებენ როგორც შიიტები, ისე სუნიტები, იანოვსკი ითხოვს პროგრამის შედგენას ამ სარწმუნოების ორივე მიმართულების მიხედვით. იღებენ გადაწყვეტილებას საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნული მეჯლისის თარიღსა და მასზე დასასწრები ბილეთების დაბეჭდვის შესახებ. ბათუმის სკოლის მასწავლებელი მოსენათაძეუგზავნის ორგანიზაციის ახალი წევრებისგან მოკრებილ თანხას. იგი ასევე აცნობებს, რომ შედგა დრამატული წრე, რომელიც წარმოდგენებს გამართავს საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ითხოვს პიესების მიწოდებას. დრამატული ნაწარმოებების შერჩევას ავალებენ გიორგი თუმანიშვილს. არ იზიარებენ იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სანამ უმაღლესი კომიტეტი გაითვალისწინებს გამგეობის მოსაზრებას თონეთისა და ხელთუბნის სკოლებში რუსულის სწავლების შესამეწიოდან დაწყების შესახებ, მისი სწავლება დაიწყონ პირველი კლასის მეორე ნახევრიდან. ►

**1883 25 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ქალაქის თავის არჩევანი“ („გავლილ კვირას, 23-ს იყო პირველი სხდომა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 26 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი“ („დღეს , 26-სს ამ თვისას...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 30 იანვარი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „დრონი იცვალნენ“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 იანვრის ბოლო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა („ფინანსთა მინისტრის განკარგულებით...“). აქვე დაბეჭდილია არტურ ლაისტის წერილის „მივიწყებული ლიტერატურა“ თარგმანის დასაწყისი გერმანული ჟურნალიდან, რომელშიც ილია ჭავჭავაძე აღიარებულია ყველაზე პოპულარულ ქართველ მწერლად. ►

**1883 5 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ერთი სახსართაგანი ჩვენში მეურნეობის წარმატებისთვის“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 6 თებერვალი**

ამთავრებს პოემა „განდეგილის“ წერას. ►

**1883 8 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „სამღვდელოებაზე“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 8 თებერვალი**

დავით სარაჯიშვილის სახლში, ქართული მწერლობის მოყვარულთა წინაშე, კითხულობს პოემა „განდეგილს“, რომელიც მსმენელებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ►

**1883 9 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება არტურ ლაისტის წერილის „მივიწყებული ლიტერატურა“ თარგმანის დასასრული გერმანული ჟურნალიდან. ►

**1883 10 თებერვალი**

გაზეთ დროებაში იბეჭდება ინფორმაცია დავით სარაჯიშვილის სახლში ილია ჭავჭავაძის მიერ წაკითხული ახალი პოემა „განდეგილის“ და იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მან მოახდინა მსმენელებზე. გამოთქმულია კმაყოფილება, რომ იგი ისევ დაუბრუნდა მწერლობას. ►

**1883 12 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს სტატიისა „ჩვენი ჟურნალ-გაზეთების საქმე“ („ორმოცდაათ წელიწადზე მეტია...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1883 14 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს სტატიისა „ჩვენი ჟურნალ-გაზეთების საქმე“ („რა საშუალებითა და ღონისძიებით...“). ►

**1883 16 თებერვლამდე**

ზაქარია მაჭავარიანს მასთან მიჰყავს ახალგაზრდა რომანოზ ფანცხავა გასაცნობად და გრიგოლ ორბელიანის შესახებ მის მიერ დაწერილი მიმოხილვის შესახებ ცნობილი მწერლის აზრის გასაგებად. ილია უწონებს ნიჭს, აძლევს შენიშვნებს და რამდენიმე საათის განმავლობაში ესაუბრება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურაზე. ►

**1883 16 თებერვალი**

თბილისის მუდმივი თეატრის სცენაზე პირველად იდგმება ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის პიესა „მეფე ლირი“, რომელშიც ლირის როლს თამაშობს კოტე ყიფიანი. ►

**1883 17 თებერვალი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გრიგოლ ჩარკვიანის მალაზიაში იყიდება წიგნი „დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა“. ►

**1883 20 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ვინრობა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►

**1883 22 თებერვალი**

მისი ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1883 წლის 1 იანვრისთვის. ►

**1883 23 თებერვალი**

გრიგოლ არწრუნის თეატრში ნატო გაბუნიას ბენეფისზე წარმოადგენენ ილია ჭავჭავაძის „მაჭანკალს“ და „დედა და შვილს“. ►

**1883 24 თებერვალი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ლექციების შესახებ“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►

**1883 28 თებერვალი**

ნიკო ნიკოლაძეს პეტერბურგში წერილთან ერთად უგზავნის „გლახთა განთავისუფლების პირველ დროების სცენების“ და „კაცია ადამიანის“ გამოცემებს. ►

**1883 1 მარტი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც უარს ამბობენ ბიბლიოთეკისშენობისთანამფლობელისგანმისიწილისნახევარფასადშესყიდვაზე. გიორგი საძაგლიშვილის თხოვნის საფუძველზე სახელმძღვანელოებითა და საკითხავი წიგნებით ამარაგებენ სოფელ ვანათის სკოლას. მეჭლისისა და საერთო კრების შესახებ განცხადებების დაბეჭდვის თანხას უგზავნიან გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას. იღებენ დადგენილებას ანასტასია თუმანიშვილის მიერ თარგმნილი დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ დაბეჭდვაზე. ►

**1883 მარტის დასაწყისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება პოემა „განდეგილი“ და „შინაური მიმოხილვა („შორიდან რმ შემოგვხედოს უცხო კაცმა...“). ►

**1883 6 მარტი**

იონა მეუნარგია გაზეთ „კავკაზში“ აქვეყნებს რეცენზიას „განდეგილი“ პოემა ი. ჭავჭავაძისა“. იგი წერს, რომ თხოულების ავტორი მწყემსი ქალის სახით გვიხატავს პოეტს, რომელიც გატაცებულია ბუნების მშვენიერებით. ►



**1883 9 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება განცხადება იმის თაობაზე, რომ მსახიობები კოტე ყიფიანი, ნინო ორბელიანი და ნოდარ ჭორჭაძე 13 მარტს წაიკითხავენ ეპიზოდებს ილია ჭავჭავაძის „განდეგილიდან“ და „კაცია – ადამიანიდან?!“.

**1883 10 მარტი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „სამართალი მსწრაფლი და მართალი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში.

**1883 12 მარტი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „წინამძღოლი არა გვყავს“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში.

**1883 13 მარტი**

გრიგოლ არწრუნის თეატრში გამართულ საღამოზე კითხულობენ ეპიზოდებს ილია ჭავჭავაძის „განდეგილიდან“ და „კაცია – ადამიანიდან?!“.

**1883 15 მარტი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ავსტრიის ვარამი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში.

**1883 16 მარტი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „დიდი ოჯახი დაგვერღვა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში.

**1883 17 მარტი**

ზაქარია ჭიჭინაძე პეტერბურგში ნიკო ნიკოლაძეს წერილით ატყობინებს, რომ სერგეი მესხის ავადმყოფობის გამო „დროება“ შეიძლება ილია ჭავჭავაძემ შეისყიდოს.

**1883 18 მარტი**

თავმჯდომარეობს ქართული დრამატული საზოგადოების მმართველობის სხდომას, რომელზეც საზოგადოების თავმჯდომარედ ირჩევენ დავით ავალიშვილს, იღებენ დადგენილებას, რომ შედგეს ახალი დასი და ქართული თეატრის მართვა თავის თავზე აიღოს მმართველობამ. დასის შედგენას და წარმოდგენების დაგეგმვას ანდობენ ილია ჭავჭავაძეს.

**1883 20 მარტი**

გრიგოლ არწრუნის თეატრში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე აჩვენებენ ცოცხალ სურათებს მისი პოემებიდან: „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „განდეგილი“.

**1883 20 მარტი**

გაზეთ „დროებაში“ დავით სოსლანის ფსევდონიმით იბეჭდება დავით კვბელის „საკვირაო მასლაათი კისრული“, რომელშიც პოემა „განდეგილი“ დაწუნებულია როგორც შინაარსით, ასევე ფორმით.



- 1883 22 მარტი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ისმენენ ინფორმაციას გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების შესახებ და მსჯელობენ დაკრძალვის ღონისძიებებზე. ►
- 1883 22 მარტი**  
ირჩევენ გრიგოლ ორბელიანის დამკრძალავ კომისიაში. წირვა ინიშნება ანჩისხატის, ხოლო დაკრძალვა – ქაშვეთის ეკლესიაში. ►
- 1883 23 მარტი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სარედაქციო წერილი „ჩვენი თეატრის მდგომარეობა“. მასში გამოთქმულია იმედი, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრს, შეძლებს მისთვის სუბსიდიის მოპოვებას. ►
- 1883 23 მარტი**  
ქართულ გაზეთებში ქვეყნდება დრამატული საზოგადოების გამგეობის განცხადება, რომ მუდმივი დასის შედგენის მიზნით მსურველთა სიაში ჩასაწერად მიმართონ ილია ჭავჭავაძეს და კონსტანტინე ყიფიანს. ►
- 1883 26 მარტი**  
გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს მის მოღვაწეობას და საქართველოსთვის დიდ დანაკარგს უწოდებს მწერლის გარდაცვალებას. ►
- 1883 26 მარტის შემდეგ**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მესამე ნომერი. ►
- 1883 27 მარტი**  
გაზეთებში „დროება“ და „შრომა“ ქვეყნდება მის მიერ გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვა. ►
- 1883 30 მარტი**  
ხელშეკრულებას დებს თბილისელ სირაჯებთან საგურამოს მარნიდან ოცდარვა საპალნე (1500-მდე ლიტრი) ღვინის მიყიდვაზე. ►
- 1883 30 მარტი**  
გაზეთ „შრომაში“ დრამატული საზოგადოების გამგეობა აქვეყნებს განცხადებას, რომ მუდმივი დასის შედგენის მიზნით მსურველთა სიაში ჩასაწერად მიმართონ ილია ჭავჭავაძეს და კონსტანტინე ყიფიანს. ►
- 1883 მარტი**  
გაზეთი „კავკაზი“ აქვეყნებს ვლადიმერ მიქელაძის კრიტიკულ წერილს ქართულ ლიტერატურაზე, რომელშიც განხილულია ილია ჭავჭავაძის ნარკვევი „ცხოვრება და კანონი“. ►
- 1883 4 აპრილი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიებს „ქალაქის რჩევას“ და „ხიზნების მდგომარეობა“ („ამ სამის წლის წინედ...“). ტექსტები ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულობათა ოცტომეულში. ►

- 1883 5 აპრილი**  
გაზეთ „შრომაში“ დრამატული საზოგადოების გამგეობა აქვეყნებს განცხადებას, რომ მუდმივი დასის შედგენის მიზნით მსურველთა სიაში ჩასანერად მიმართონ ილია ჭავჭავაძეს და კონსტანტინე ყიფიანს. ►
- 1883 7 აპრილი**  
გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „უცხოეთში“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1883 13 აპრილი**  
ხელს აწერს თსს ბანკის მმართველობის დადგენილებას, რომ მის წევრად ჩაითვალოს ყველა, ვინც შეიტანს საწევრო გადასახადს. ►
- 1883 17 აპრილამდე**  
ქართული დრამატული დასი ილიას რეჟისორობით დგამს პაოლო ჭაკომეტის ხუმთომქმედებიან დრამას „დამნაშავის ოჯახი“. ►
- 1883 17 აპრილი**  
გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება განცხადება, რომ 24 აპრილს საზაფხულო თეატრში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით წარმოდგენილი იქნება პაოლო ჭაკომეტის დრამა „დამნაშავის ოჯახი“ ►
- 1883 19 აპრილი**  
თავმჯდომარეობს ეშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ქუთაისის სათავადაზნაურო ინსპექტორის - ალექსი ჭიჭინაძის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციას სხვადასხვა საგნის პროგრამებზე მმართველობის შენიშვნებთან დაკავშირებით. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ გამოცემისათვის რუსეთის წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტისაგან ითხოვონ კლიშეები და თარგმნის ნებართვა. იღებენ ინფორმაციას, რომ ბათუმის სკოლის შენობის მეპატრონეს აღარ სურს შენობის გაქირავება. ►
- 1883 22 აპრილამდე**  
ილია ჭავჭავაძე ადგენს დრამატული საზოგადოების ახალ დასს. ►
- 1883 24 აპრილი**  
ეშნ-კვ საზოგადოებაში ხვდება სოფელ ვეჭინის სკოლის მასწავლებელ ნიკოლოზ ნათიძეს და აძლევს რჩევებს რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. ►
- 1883 28 აპრილი**  
მეუღლე, ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა უფორმებს მინდობილობას. ►
- 1883 1-4 მაისი**  
მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის სხდომებში. ►
- 1883 8 მაისი**  
გაზეთ დროებაში „დ. სოსლანის“ ფსევდონიმით იბეჭდება დავით კვბელის „საკვირაო მასლაათი. კისრული“. მასში მინიშნებით არის ნათქვამი, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობდა გაზეთ „დროების“ ხელში ჩაგდებას და მის რედაქტორად ნიკოლოზ ქანანოვის დანიშვნას, მაგრამ ივანე მაჩაბელმა „პატარძალი თვალწინ მოსტაცა და თავისთვის წაიყვანა“, ძველი საქმრო კი „ეხლა შორიდამ პირდაღებული უყურებს“. აქვეა საუბარი თსს ბანკის ყრილობაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ. ►

**1883 10 მაისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც აკმაყოფილებენ ცხინვალის სკოლის გამომძიებელ ნიკოლოზ ხიზანიშვილის თხოვნას ვახტან VI-ის „სამართლის წიგნის“ ხელნაწერის დროებით გადაცემაზე. განიხილავენ მეჭლისიდან მიღებულ შემოსავალს. ნიშნავენ საზოგადოების წევრთა წლიურ კრებას. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძისგან იღებენ შეტყობინებას გამოცდების ჩატარების თარიღთან დაკავშირებით. ►

**1883 11 მაისამდე**

განხეთქილებსა დრამატული საზოგადოების მმართველობაში. ილია ჭავჭავაძე უარს ამბობს წარმოდგენების გამართვასა და დრამატული საზოგადოების ხელმძღვანელობაზე. ►

**1883 11 მაისი**

ქუთაისის გაზეთ „შრომაში“ „ბოსლეველის“ ფსევდონიმით იბეჭდება ესტატე მჭედლიძის სტატია „ბატ. ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდევილი“, რომელშიც იგი წერს, რომ ამ ნაწარმოებში გამოხატულია ილიას „პესიმისტური შეხედულება სააქაოზე“. ►

**1883 11 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სტატია „სერგეი მესხის გამოსალმება“, რომელშიც თავს იჩენს ილია ჭავჭავაძესთან შეპირისპირებისა და მისი ნაღვანის დაკნინების გზით სხვისი განდიდების მცდელობის ტენდენცია. სტატიის ავტორის თქმით, სერგეი მესხმა ჯანის სიმრთელე შეაღია ისეთ საქმეს, რომელიც „გაუწყვეტელ შრომას თხოულობს და ვაცს არ აცლის, შექმნას „კაცია – ადამიანი?!“, ან „გლახის ნაამბობი“. გაზეთის ამავე ნომერში ახალი ამბების მიმომხილველი წერს, რომ ქართული დრამატული დასის გაყოფის შემდეგ ორივე ჯგუფს უნდა დაედგა სპექტაკლები, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მსახიობები წარმოდგენებს არ მართავდნენ. ეს ფაქტი მიმოხილვის ავტორს თეატრისთვის საზიანოდ მიაჩნია და სურვილს გამოთქვამს, რომ დასი კვლავ გაერთიანდეს. ►

**1883 24 მაისი**

სირაჯებისგან იღებს მიყიდული ღვინის საფასურის ნაწილს და ამის შესახებ მინაწერს აკეთებს მათთან დადებულ ხელშეკრულებაზე. ►

**1883 28 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ „ნ. ურბნელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ნიკო ხიზანიშვილის წერილი რედაქციისადმი „ჩვენს ლიტერატურულ კეთილ-წესიერებაზე“, რომელშიც აკრიტიკებს ვლადიმერ მიქელაძის მიერ გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილებს. ►

**1883 მაისის ბოლო**

გამოდის „ივერიის“ მეოთხე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა („წლევანდელი კრება ბანკისა მეტად...“). ►

**1883 3 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებას. ►

**1883 23 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ირჩევენ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლებს, განიხილავენ ბათუმის სკოლის მასწავლებლის მოსე ნათაძის წლიურ ანგარიშს. ბათუმის სკოლისთვის მიწის გამოყოფასთან დაკავშირებით იღებენ მზარის გუბერნატორ ალექსი სმეკალოვის წერილს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთავარმართებელ ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის ბრძანებით მიწების ბოძება აკრძალულია როგორც კერძო პირთათვის, ისე საზოგადოებებისათვის. ნიშნავენ თონეთის სკოლის მასწავლებელს. თანხმდებიან ამ მასწავლებლის სექტემბერში გახსნაზე. ვერ აკმაყოფილებენ საგარეჯოში ახალგახსნილი ქალთა სახელოსნო სკოლის თხოვნას მასწავლებლის დანიშვნისა და დაფინანსების შესახებ. ▶

**1883 23 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ „დ. სოსლანის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა დავით კვებლის „კრიტიკული შენიშვნები „ივერია“ წიგნი IV“, რომელშიც ძირითადად განხილულია ილიასეული „შინაური მიმოხილვა“. ▶

**1883 23 ივნისი**

სირაჯებისგან იღებს მიყიდული ღვინის საფასურის ნაწილს და ამის შესახებ მინაწერს აკეთებს მათთან დადებულ ხელშეკრულებაზე. ▶

**1883 24 ივნისი**

წერილობით მიმართავს თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორს ქმნ-კგ საზოგადოების წესდების შესაბამისი პროგრამით სოფელ თონეთში სკოლის გახსნის ნებართვის თაობაზე. ▶

**1883 ივნისი**

ჟურნალ „იზიაშჩნაია ლიტერატურას“ ივნისის ნომერში ქვეყნდება ნიკო ნიკოლაძის მიერ თარგმნილი „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“. ▶

**1883 ივლისის დასაწყისი**

ივანე მაჩაბელი ტოვებს „ივერიის“ თანარედაქტორობას და ილია ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას განაგრძობს დამოუკიდებლად. ▶

**1883 14 ივლისი**

წერს ლექსს „ბაბალეთის ტბა“. ▶

**1883 14 ივლისის შემდეგ**

ჟურნალ „ივერიაში“ აპირებს თავისი ლექსის „ბაბალეთის ტბა“ გამოქვეყნებას და ამონაბეჭდს წარადგენს საცენზურო კომიტეტში, მაგრამ მისი ბეჭდვა იკრძალება. ▶

**1883 18 ივლისი**

მისი ფელეტონის „შინაური მიმოხილვა“ ბეჭდვას კრძალავს საცენზურო კომიტეტი. ▶

**1883 20-22 ივლისი**

საგურამოში მასპინძლობს იონა მეუნარგიას. ▶

**1881 24 ივლისი**

წერილობით მიმართავს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს თონეთის სკოლის მასწავლო პროგრამის დამტკიცების თხოვნით. ▶

**1883 26 ივლისი**

სერგეი მესხის გარდაცვალების გამო მცხეთიდან ქუთაისში სამძიმრის დეპუტას უგზავნის გარდაცვლილის მეუღლეს – ეკატერინეს და ძმას – ნესტორს. უბოდიშებს, რომ დასაფლავებას ვერ დაესწრო. რადგან დროულად არ შეატყობინეს, სად და როდის კრძალავდნენ. ►

**1883 ივლისის ბოლო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეხუთე-მეექვსე ნომრები ერთ წიგნად, რომელშიც დაბეჭდილია მისი „შინაური მიმოხილვა („ყველაფერი საოცარია ამ უცნაურს დროში...“). ►

**1883 6 აგვისტო**

მისი ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1883 წლის 1 ივლისისთვის. ►

**1883 24 აგვისტო**

საგურამოში სტუმრად ჰყავს იონა მეუნარგია. კითხულობს „ილიადას“. ►

**1883 28 აგვისტო**

ბაყალი უწერს ხელწერილს წინამურში ნაყიდი ხილის საფასურისა და გადახდის ვადების მითითებით. ►

**1883 აგვისტოს ბოლო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეშვიდე-მერვე ნომერი ერთ წიგნად, რომელშიც ხელმოუწერლად ბეჭდავს „შინაურ მიმოხილვას“ სათაურით „მითამ და „ახალი რაზმის კაცი“ ანუ ორი ფელეტონი (განხილვა)“, დამატებაში კი მისი ხელმოწერით ქვეყნდება ქშნ-კგ საზოგადოების ანგარიში. ►

**1883 2 სექტემბერი**

გაზეთ „დროებაში“ „ნ. ურბნელის“ ფსევდონიმით ქვეყნდება ნიკო ხიზანიშვილის ლიტერატურული მიმოხილვა „ივერიის“ მეხუთე და მეექვსე ნომრებზე. მასში გულისტკივილია გამოთქმული ჟურნალის ამ ნომრების სიღარიბის გამო. ►

**1883 4 სექტემბერი**

ესწრება სოფელ წინამღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნას და წარმოთქვამს სიტყვას. ►

**1883 4 სექტემბერი**

წერს „შინაური მიმოხილვას“ („ამას წინად, ბატონყმობის გადავარდნამდე...“), მაგრამ საცენზურო კომიტეტი კრძალავს მის დაბეჭდვას. ►

**1883 4 სექტემბერი**

გაზეთ „დროებაში“ ალექსი კვალიაშვილი აქვეყნებს „ივერიის“ მეხუთე-მეექვსე ნომერში საბანკო საკითხების შესახებ ილია ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებული „შინაური მიმოხილვის“ კრიტიკულ ანალიზს. ►

**1882 6 სექტემბერი**

როგორც ქშნ-კგ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე საქმიანი წერილით მიმართავს თბილისის კომერციულ ბანკს. ►



**1883 8 სექტემბერი**

პრესაში იბეჭდება სოფელ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ►

**1883 13 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც წინარების სკოლის მასწავლებლად ნიშნავენ თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსდამთავრებულ სალომე მაღალაშვილსა და ამავე სკოლის მზრუნველ ნიკო ცხვედაძეს უგზავნიან თანხას სკოლის შენობის გადასაკეთებლად. ბათუმის სკოლის მასწავლებელს მოსე ნათაძეს უგზავნიან სასკოლო ინვენტარსა და მოთხოვნილ თანხას. ეცნობიან ბათუმის მაზრის გუბერნატორის ალექსი სმეკალოვისა და გიორგი თუმანიშვილის წერილებს სასკოლო მიწის შესახებ. თონეთის სკოლას უგზავნიან „დედა ენასა“ და სასკოლო ნივთებს. პეტრე უმიკაშვილს ავალეებენ ანასტასია თუმანიშვილი მიერ თარგმნილი დანიელ დედოს „რობინზონ კრუზოს“ შემოწმებას. ►

**1883 19 სექტემბერი**

„დროების“ რედაქციისადმი ალექსანდრე ყაზბეგის მიმართვისა და რედაქციის გამოხმაურების პასუხად, ამავე გაზეთში იბეჭდება კოტე ყიფიანის განმარტებითი წერილი ქართული დრამატული საზოგადოების მმართველობაში მომხდარი განხეთქილების შესახებ. ►

**1883 23 სექტემბრამდე**

დრამატული საზოგადოების მმართველობა ახალი დრამატული დასის შექმნას ავალეებს ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მას ზოგადად თეატრის მართვა მიანდეს, რაც თეატრალური წრეების უკმაყოფილებას იწვევს. ამის გამო იგი უარს ამბობს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე. ►

**1883 24 სექტემბერი**

გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე იბეჭდება ალექსანდრე ნანიშვილის წერილი. მასში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძემ უარი თქვა ახალი დრამატული დასის შედგენაზე. დაპირისპირების მიზეზად დასახელებულია გამგეობის მიერ ისეთი დადგენილების მიღება, რომელიც თავისსავე წესდებას ეწინააღმდეგება. ►

**1883 სექტემბრის ბოლო**

იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ კრებულში „ხომლი“ ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „მძინარე ყმანვილს“, „არაგვი“, „გუთნისდედა“, „ქართვლის დედას“ და ნაწყვეტები პოემებიდან: „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ►

**1883 3 ოქტომბერი**

ალექსანდრე საგინაშვილს ბარათით აცნობებს, რომ გზათა მინისტრს 4 ოქტომბერს 10 საათზე უნდა შეხვდნენ. სთხოვს სასტუმრო „ლონდონში“ მისვლას, სადაც დეპუტაციის წევრები შეიკრიბებიან. ►

**1883 4 ოქტომბერი**

თბილისის გუბერნიის დეპუტაცია, რომლის შემადგენლობაში ილია ჭავჭავაძესთან ერთად შედიან: ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე, ივანე ამილახვარი, ალექსანდრე საგინაშვილი, ივანე ორბელიანი, იასე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე, იასე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ და ერასტი ზაალის ძე ჩოლოყაშვილები და სათავეში უდგას გუბერნიის მარშალი დავით სუმბათაშვილი, რკინიგზის სადგურში ხვდება იმხანად თბილისში გავლით მყოფ გზათა მინისტრ კონსტანტინე პოსეტს და თხოვნით მიმართავს კახეთის რკინიგზის პროექტის დამტკიცების თაობაზე. მინისტრი აღიარებს პროექტის მნიშვნელობას, მაგრამ აღნიშნავს, რომ მთავრობისთვის უფრო პრიორიტეტულია ნოვოროსიისკისა და პეტროვსკის სარკინიგზო ხაზის გაყვანა. ►

**1883 11-12 ოქტომბერი**

გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება დასაწყისი ალექსანდრე ნანეიშვილის წერილისა „ლიტერატურული შენიშვნები „ივერიის“ მეშვიდე და მერვე ნომრებზე“. ►

**1883 25 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას. ეცნობიან გორის მაზრის უფროსის წერილს, რომელშიც საზოგადოებას ატყობინებს გუბერნატორის ბრძანებას წინარეხის სკოლის დახურვასთან დაკავშირებით. იგებენ, რომ სკოლის ბედს გადაწყვეტს სასწავლო ოლქის მზრუნველი. ზუგდიდის მაზრის სოფ. კახათის მასწავლებელი მის მიერ დაარსებული სამრევლო სკოლისთვის ითხოვს შემწეობას წიგნებისა და სასკოლო ნივთების სახით. ამასთან დაკავშირებით ალექსი ჭიჭინაძეს ავალეებენ ინფორმაციის მოპოვებას სკოლისა და მისი დამაარსებლის შესახებ. ამტკიცებენ კანცელარიის ავეჯის განახლებაზე დახარჯულ თანხას. ►

**1883 ოქტომბერი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეცხრე ნომერი, რომელშიც იბეჭდება ცენზურის აკრძალვის შემდეგ მის მიერ გადამუშავებული „შინაური მიმოხილვა“ („ამას წინად, ბატონყმობის გადავარდნამდე...“). ►

**1883 5 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც უარს ეუბნებიან საოსტატო სემინარიის შეგირდს სტიპენდიის დანიშვნაზე. ეცნობიან მასწავლებელ მოსე ნათაძის ინფორმაციას ბათუმის სკოლის მდგომარეობასთან დაკავშირებით. ვინაიდან სკოლისთვის განკუთვნილი მიწის თანხა (7200 მან.) ქალაქს გადაეცა, აღნიშნული საკითხის მოგვარებას ავალეებენ გიორგი თუმანიშვილს. მიხეილ ყიფიანს გადასცემენ თარგმნილი სახელმძღვანელოების ხელნაწერებს დედანთან შესაბამისობის შესამოწმებლად. გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას უგზავნიან თანხას მეჭლისის გამართვის შესახებ განცხადების განთავსებისათვის. ►

**1883 6 ნოემბრის შემდეგ**

გამოდის „ივერიის“ მეათე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („გაუქმდა განსაკუთრებული მთავარმართებლობა კავკასიისა...“) და განცხადება ჟურნალ „ივერიის“ ხელმოწერის პირობების შესახებ. ►

**1883 9-10 ნოემბერი**

გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება დასაწყისი ალექსანდრე ნანეიშვილის სტატიისა „ლიტერატურული შენიშვნები“ „ივერიის“ მეცხრე ნომერში დაბეჭდილ წერილზე „ხილად“. ►

**1883 28 ნოემბერი**

ნიკო ნიკოლაძეს პეტერბურგში წერილთან ერთად უგზავნის „გლეხთა განთავისუფლების დროინდელ სცენების“ და „კაცია – ადამიანის?!“ გამოცემებს. შესჩივის, რომ კარგი მთარგმნელის შოვნა თბილისში ძნელია და თან ძვირი ჯდება. სთხოვს, შეატყობინოს, რა თხზულებების გამოქვეყნება იქნება უფრო საინტერესო რუსული ჟურნალებისთვის და რა დაჯდება მათი თარგმნა. ►

**1883 ნოემბერი**

თბილისიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ ბანკში რევიზია აქვთ და ამიტომ ვერ ადის საგურამოში. სთხოვს, რომ მის დას – ელისაბედს და საგურამოში სტუმრად მიმავალ მათ ნათესავ ბოლდანოვებს ეტლი დაახვედროს მცხეთაში. აინტერესებს, რთველის დაწყებას როდისთვის აპირებენ, რომ შვებულება აიღოს და ჩავიდეს. ►

**1883 1 დეკემბრის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერი, რომელშიც სათაურით „შინაური მიმოხილვა“ („ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს...“) ხელმოუწერლად იბეჭდება მისი პასუხი ეშნ-კვ საზოგადოების მუშაობის ნაკლულოვანებათა შესახებ გაზეთ „დროებაში“ იაკობ გოგებაშვილის მიერ ასევე ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ წერილზე. ამავე ნომერში ქვეყნდება მის მიერ „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“ და „დავითიანიდან“ ამოკრეფილი საანდაზო ფრაზები. ►

**1883 დეკემბრის დასაწყისი**

პეტრე უმიკაშვილთან და ალექსანდრე სარაჯიშვილთან ერთად ამთავრებს „ვისრამიანის“ რამდენიმე ხელნაწერის შეჭერებას, ტექსტის დადგენას და რედაქტირებას. ►

**1883 18 დეკემბერი**

ცენზურა კრძალავს მისი ლექსის „ბაბალეთის ტბა“ ბეჭდვას. ►

**1883 26 დეკემბრამდე**

თარგმნის ცნობილი რუსი მწერლის, ივან ტურგენევის თხზულებებს: „ბაასი“, „ბებერი დედაკაცი“, „ძალლი“, „მათხოვარი“, „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“, „სულელი“ და „ბელურა“. ►

**1883 26 დეკემბრის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეთორმეტე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მის მიერ შეკრებილი „საანდაზო ლექსები“ და ივან ტურგენევის „ლექსნი პროზითა“: „ბაასი“, „ბებერი დედაკაცი“, „ძალლი“, „მათხოვარი“, „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“, „სულელი“ და „ბელურა“. ►

**1883 28 დეკემბრამდე**

წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ატყობინებს, რომ მისი და, ნინო კარგად არის. სთხოვს, თბილისში ჩასვლა არ იჩქაროს, რადგან შეიძლება თავად ავიდნენ საგურამოში. ►

**1883 28 დეკემბრამდე**

იღებს თავისი დის, ნინო ჭავჭავაძე-აფხაზის ბარათს, რომელშიც სწერს თამასუქის შესახებ და მოკითხვას უთვლის მის მეუღლეს. ►

**1883 28 დეკემბრამდე**

იღებს თავისი დის, ნინო ჭავჭავაძე-აფხაზის წერილს. იგი ატყობინებს, რომ სოსიკო ვაჩნაძეს სურს, ილიასგან ათასი მანეთის სესხება. ურჩევს არ მისცეს თანხა, რადგან ამ პიროვნებას მისი ვალიც აქვს და ჯერ არ გადაუხდია. ►

**1883 28 დეკემბერი**

გარდაიცვალა ილიას და – ნინო გრიგოლის ასული ჭავჭავაძე-აფხაზი. ►

**1883 29 დეკემბერი**

გაზეთ „დროებაში“ სიძესთან, ნიკოლოზ აფხაზთან ერთად, აკეთებს განცხადებას თავისი დის, ნინო ჭავჭავაძე-აფხაზის გარდაცვალების შესახებ. ►

**1883 29 დეკემბერი**

გაზეთი „დროებაში“ იბეჭდება გერმანული ჟურნალიდან შესრულებული თარგმანი არტურ ლაისტის წერილისა „ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“. ►

- 1883 30 დეკემბერი**  
ასაფლავებენ მის დას – ნინო ჭავჭავაძე-აფხაზს. ►
- 1883** გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება იონა მეუნარგიას წერილი „განდეგილი“ – ილია ჭავჭავაძის პოემა“. ►
- 1883** ცალკე წიგნად გამოდის პოემა „განდეგილი“. ►
- 1883** გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორ დარსკის აცნობებს, რომ თონეთის სკოლაში სწავლა თავდაპირველად დაიწყება ქართულ ენაზე, რუსული კი დაემატება წლის მეორე ნახევრიდან. ►
- 1883-**  
დან სტუმრად არის ნიკო ხიზანიშვილთან და ელისაბედ ჩერქეზიშვილთან და ნახულობს მათ ახალშობილს. ►
- 1884 იანვრის დასაწყისი**  
პეტრე უმიკაშვილსა და ალექსანდრე სარაჯიშვილთან ერთად განაგრძობს მუშაობას „ვისრამიანის“ საბოლოო რედაქციასა და მის ლექსიკონზე. ►
- 1884 5 იანვრამდე**  
იღებს ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილს და 1700 მანეთს ქართული თეატრალური დასისათვის. ►
- 1884 5 იანვარი**  
წერილს უგზავნის ილია ოქრომჭედლიშვილს მოსკოვში. სთხოვს აცნობოს, ეთანხმება თუ არა ქართული თეატრალური დასისათვის მის მიერ გამოგზავნილი თანხის განაწილების მისეულ სქემას. ►
- 1884 7 იანვრამდე**  
ილია ჭავჭავაძე და პეტრე უმიკაშვილი წერენ „ვისრამიანის“ წინასიტყვაობას სათაურით „ვისრამიანის დაბეჭდვის გამო“. ►
- 1884 7 იანვარი**  
„ვისრამიანის“ კორექტირებასა და ბეჭდვაზე განეული ზედამხედველობისთვის 160 მანეთს გადასცემს პეტრე უმიკაშვილს. ►
- 1884 10 იანვარი**  
თსს ბანკის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ჩოლოყაშვილი აცნობებს, რომ ის მიწვეულია რუსეთის სამინათმოქმედო საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა V ყრილობაზე. ►
- 1884 10 იანვარი**  
გაზეთი „დროება“ აქვეყნებს განცხადებას უახლოეს დღეებში რუსეთის სამინათმოქმედო საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში გმგზავრებასთან დაკავშირებით. ►
- 1884 იანვრის პირველი ნახევარი**  
მიემგზავრება პეტერბურგში სამინათმოქმედო საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად. უნდა განიხილონ, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბანკების გამგეობებსა და დამფასებელ კომისიებს იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკს რჩება გაუყიდავი მამული. ►



- 1884 18 იანვარი**  
ჩადის პეტერბურგში, ბინავდება ვასილ მაჩაბლის ოჯახში და დეპეშას უგზავნის მეუღლეს, რომლითაც ატყობინებს თავის ამბავს. ►
- 1884 18-21 იანვარი**  
ესწრება საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობის ოთხივე სექციის შეხვედრებს და ძალიან დაკავებულია. ►
- 1884 21 იანვარი**  
პეტერბურგიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. აღწერს თავის ყოველდღიურ საქმიანობას და ყრილობის დატვირთულ გრაფიკს. ატყობინებს, რომ ოლღას დისწულს - სიმონ სტაროსელსკის ვალების გამო შეიძლება პრობლემები შეექმნას და ურჩევს, დროზე გაარკვიონ ამ ვალების ზუსტი ოდენობა. ►
- 1884 21 იანვარი**  
თბილისიდან იღებს ქრისტოფერ ხაჩატუროვის წერილს, საგირავნო ფურცლებთან დაკავშირებით. ►
- 1884 22 იანვარი**  
გრიგოლ არწრუნის თეატრში სათაურით „გლახა ჭრიაშვილი“ წარმოდგენენ მის „გლახთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებს“, დივერტისმენტად კი – „განდევილს“. ►
- 1884 29 იანვრამდე**  
რუსეთის საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა მე-5 ყრილობაზე წარმოსათქმელად წერს სიტყვას მიწების შეფასების მაქსიმალური ნორმების დადგენასთან დაკავშირებით. ►
- 1884 29 იანვარი**  
ავადმყოფობის გამო სიტყვით ვერ გამოდის რუსეთის საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობაზე. ►
- 1884 3 თებერვლამდე**  
რუსეთის საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა მე-5 ყრილობაზე წარმოსათქმელად წერს სიტყვას შეღავათების შესახებ. ►
- 1884 3 თებერვალი**  
საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობის სხდომაზე წარმოდგენს თავის მოსაზრებებს დასაგირავნელი მამულების შეფასების და ბანკების მევალეებისათვის შეღავათების დაწესების საკითხებზე. ►
- 1884 თებერვლის დასაწყისი**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მის მიერ „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“ და „გურამიანიდან“ ამოკრებილი „საანდაზო ლექსები“ და განცხადება „ჟურნალი „ივერია“ მომავალ 1884 წ. იანვრიდან“. ►
- 1884 4 თებერვალი**  
თავისი სიძის, ალექსანდრე საგინაშვილისგან იღებს დეპეშას, რომლიდანაც იგებს, რომ მისი დისწულის – მაკო აფხაზის ცოლად თხოვნას აპირებს პოდპოლკოვნიკი დიმიტრი მაყაშვილი. ►



- 1884 5 თებერვალი**  
მუშაობას ამთავრებს საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობა. ►
- 1884 6 თებერვალი**  
რუსეთის სამინათმოქმედო საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა კომიტეტი სთხოვს, მიანოდოს თავისი აზრი V ყრილობის შრომებთან დაკავშირებით. ►
- 1884 8 თებერვალი**  
იღებს დავით ერისთავის წერილს, რომელშიც ურჩევს ბანკის მიერ აბანოს უბნის დაგირავებას, რათა ისიც სომეხმა ვაჭრებმა არ ჩაიგდონ ხელში. ►
- 1884 8 თებერვალი**  
პეტერბურგიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. კმაყოფილებას გამოთქვამს დისწულის, მაკო აფხაზის გათხოვების გამო. სწერს, რომ რეგულარულად ესწრებოდა ყრილობის სხდომებს და ძალიან დაკავებული იყო. ►
- 1884 8 თებერვალი**  
გაზეთ „დროებში“ იბეჭდება დასაწყისი რეცენზიისა ჟურნალ „ივერიის“ 1883 წლის მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრებში გამოქვეყნებულ მასალებზე, მათ შორის ილია ჭავჭავაძის „შინაურ მიმოხილვაზე“. ►
- 1884 6 – 10 თებერვალი**  
რუსეთის საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა მე-5 ყრილობის მასალებში იბეჭდება მისი სიტყვა. ►
- 1884 10 თებერვალი**  
სვიმონ ტაბიძე უძღვნის ლექსს (“სათნო საყვარელ ჩვენთა ივერიელთა...“). ►
- 1884 11 თებერვალი**  
გაზეთ „დროებში“ იბეჭდება დასასრული რეცენზიისა ჟურნალ „ივერიის“ 1883 წლის მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრებში გამოქვეყნებულ მასალებზე, მათ შორის ილია ჭავჭავაძის „შინაურ მიმოხილვაზე“. ►
- 1884 14 თებერვლამდე**  
საადგილმამულო კრედიტის დაწესებულებათა წარმომადგენლების მეხუთე ყრილობის მონაწილეებთან ერთად აუდიენციაზეა ფინანსთა მინისტრთან. ►
- 1884 თებერვლის შუა რიცხვების შემდეგ**  
მოსკოვიდან იღებს ილია ოქრომჭედლიშვილის ბარათს. ადრესანტი სწერს, რომ მოუთმენლად ელის „ვისრამიანის“ დაბეჭდვას. ►
- 1884 19 თებერვლამდე**  
ფოსტის დაბრკოლების გამო ერთად იღებს მეუღლის მიერ გაგზავნილ სამ წერილს. ►
- 1884 19 თებერვალი**  
პეტერბურგიდან თბილისში წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ საქმეებს მორჩა და ერთადერთი დოკუმენტიღა დარჩა ხელმოსაწერი. ასევე სწერს, რომ პირველ მარტს გაემგზავრება პეტერბურგიდან და ორი დღე გაჩერდება მოსკოვში ილია ოქრომჭედლიშვილთან. ►

- 1884 22 თებერვლამდე**  
ბიძაშვილი სოფიო ჭავჭავაძე-ბოლდანიოვის თხოვნით ნახულობს პეტერბურგში მცხოვრებ მის ვაჟ მიხეილს და დედას უთვლის, რომ კარგად არის. ►
- 1884 22 თებერვალი**  
წერილს სწერს მეუღლეს პეტერბურგიდან. ატყობინებს, რომ ბანკის საკითხებთან დაკავშირებით საბუთის ხელმოწერა ჭიანჭურდება და დაპირებისამებრ 1 მარტს ველარ მიემგზავრება. ►
- 1884 22 თებერვალი**  
იღებს იაკობ მანსვეტაშვილის წერილს, რომელშიც სწერს შაქრო მაღალაშვილის მამულის გაყიდვის შესახებ. ►
- 1884 29 თებერვალი**  
წერილს სწერს მეუღლეს პეტერბურგიდან. ატყობინებს, რომ მისი გამგზავრება ისევ ფერხდება. უკვე იმაზეც კი ფიქრობს, თუ არაფერი გამოვიდა, საქმის დამთავრებამდე დაბრუნდეს თბილისში. ►
- 1884 9 მარტი**  
კავკასიის საცენზურო კომიტეტი „ივერიის“ რედაქციას უგზავნის შეტყობინებას რედაქტორის – ილია ჭავჭავაძის თბილისში დაბრუნებამდე ჟურნალის მეორე ნომრის შეჩერების შესახებ და ამას დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგში. ►
- 1884 10 მარტი**  
პეტერბურგიდან თბილისში დეპეშას უგზავნის კავკასიის საცენზურო კომიტეტს „ივერიის“ მეორე ნომრის გამოშვების ნებართვისთვის. სწერს, რომ მის მოვალეობას შეასრულებს გრიგოლ ყიფშიძე. საცენზურო კომიტეტი იქვე აკეთებს მინაწერს, რომ ჟურნალის გამოცემის უფლების სხვისთვის გადასაბარებლად დეპეშის გაგზავნა საკმარისი არ არის. ►
- 1884 10 მარტი**  
წერილს სწერს მეუღლეს პეტერბურგიდან. შეწუხებულია ბანკის საქმეების გაჭიანურებით. იმედი აღარ აქვს, რომ ყველაფერი კარგად მოგვარდება. ამას ერთვის ისიც, რომ მალე ბანკის კრება თბილისშიც უნდა ჩატარდეს და მასზე დასწრებაც აუცილებელია. ►
- 1884 11 მარტი**  
გარდაეცვალა ქვისლი – დიმიტრი სტაროსელსკი. ►
- 1884 15 მარტი**  
ჭერ კიდევ პეტერბურგშია. ამის გამო ვერ ესწრება ქვისლის – კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროს დიმიტრი სტაროსელსკის დასაფლავებას და უგზავნის გვირგვინს. ►
- 1884 20 იანვრიდან 20 მარტამდე**  
ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში ყოფნისას, ვასილ მაჩაბლის ოჯახში საგანგებოდ მასთან შესახვედრად მიდის ქართველი სტუდენტების დელეგაცია: ექვთიმე თაყაიშვილი, მიხაკო მღვდლიაშვილი, და ალექსანდრე ლორთქიფანიძე. აინტერესებთ მისი აზრი, როგორ გამოიყენონ ლიტერატურულ–დრამატულ სადამოზე შემოსული სამი ათასი მანეთი. ილია ურჩევს, რომ თანხა შესანახად გადასცენ ქმნ-კვ საზოგადოებას. სტუდენტები თანხმდებიან და ფულს თბილისში ატანენ ვასილ მაჩაბელს. ►

- 1884 26 მარტამდე**  
ორი თვის პეტერბურგში ყოფნის შემდეგ ბრუნდება თბილისში. ►
- 1884 26 მარტი**  
მისი თბილისში არყოფნის გამო დაგვიანებით გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომერი. ►
- 1884 აპრილის დასაწყისი**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მესამე ნომერი. ►
- 1884 5 აპრილი**  
რუსულ გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“ იბეჭდება მისი პოემა „განდეგილის“ ივან თხორაფევსკისეული თარგმანის მე-7 და მე-8 თავები. ►
- 1884 19 აპრილი**  
რუსულ გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“ იბეჭდება მისი პოემა „განდეგილის“ ივან თხორაფევსკისეული თარგმანის 1-14 თავები. ►
- 1884 25 აპრილი**  
პოლიციის დეპარტამენტი მასზე აწესებს ფარულ მეთვალყურეობას. ილიაჭავჭავაძის სახელზე იხსნება საქმე, რომელშიც ინერება მონაცემები მისი გადაადგილების შესახებ. ►
- 1884 5 მაისი**  
გაზეთ „დროების“ შინაურ ქრონიკაში იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაზეთ „ექოში“ გამოქვეყნდა წერილი „განდეგილის“ ივან თხორაფევსკისეულ თარგმანზე. ►
- 1884 5-6 მაისი**  
მონაწილეობს თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის მოწვეულ თავადაზნაურთა კრებაში და ირჩევს კომისიაში, რომელსაც ევალება შეიმუშაოს სააზნაურო სკოლის მიმართულების საკითხი. ►
- 1884 6 მაისი**  
გაზეთ „დროებაში“ ქმნ-კვ საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ხელმოწერით, სათაურით „წერილი რედაქტორთან“ აქვეყნებს საზოგადოების სასარგებლოდ გამართული მეჭლისის შემოსავლის ანგარიშს. ►
- 1884 8 მაისი**  
თავმჯდომარეობს თსს ბანკის კრებას, რომელზეც იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ერთი წლის მანძილზე კიდევ დაუტოვონ მამებს თავიანთი საარჩევნო ხმების შვილებისთვის გადაცემის უფლება, შემდეგ კი ეს საკითხი საგანგებოდ განიხილონ. ►

**1884 9 მაისი**

თავმჯდომარეობს თსს ბანკის კრებას. კითხულობს ვრცელ მოხსენებას სარევიზიო კომისიის ანგარიშთან დაკავშირებით და ასაბუთებს, რომ კომისიის მიერ ბანკის ნაკლოვანებად მიჩნეული 12 მუხლიდან 11-ს არავითარი ზარალი არ გამოუწვევია. ზოგი მათგანი ეხებოდა საქმის წარმოების პრინციპებს, რომლებიც სხვადასხვა ბანკებს სხვადასხვაგვარი აქვთ და ამით არაფერი შავდება, ზოგი კი გამოწვეული იყო კონკრეტულად თბილისის სათავადაზნაურო ბანკის სპეციფიკით. ერთადერთი შენიშვნა, რომელიც სავსებით სამართლიანი იყო, ეხებოდა მამულების არასწორ შეფასებას, მაგრამ აქ დაშვებული შეცდომებიდანაც უმეტესობა მოვლენათა მოულოდნელი განვითარებით იყო განპირობებული და არა ბანკის ხელმძღვანელობის ან დამფასებლების დაუდევრობით. გულისტკივილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოება უმეტესად ბანკის ნაკლოვანებებზე ლაპარაკობს და ავიწყდებათ დადებითი მხარეები. იგი დამსწრეთ მოაგონებს, რომ თსს ბანკი შეიქმნა მაშინ, როდესაც მთავრობას აკრძალული ჰქონდა ამ რეგიონის მამულების გირაოდ მიღება სახელმწიფო იჭარებსა და „პრიკაში“. შესაბამისად, მამულის დაგირავებით სესხის აღების ერთადერთი საშუალება ეს ბანკი იყო და შემდგომშიც სწორედ მისი წყალობით აღდგა ამ მამულების კრედიტუნარიანობისადმი ნდობა. ილია ჭავჭავაძემ ციფრებით წარმოაჩინა ბანკის მოგების მაჩვენებლები განვლილი ცხრა წლის მანძილზე და განაცხადა, რომ ზარალი, რომელმაც შეიძლება 60-70 ათასი მანეთი შეადგინოს, არაფერია 350 ათას მანეთ მოგებასთან შედარებით, რომელიც ბანკმა მოიტანა. კრებამ მისი გამოსვლა აპლოდისმენტებით მიიღო. ►

**1884 10 მაისი**

თავმჯდომარეობს თსს ბანკის კრებას. ►

**1884 11 მაისი**

გაზეთ „დროებაში იბეჭდება თსს ბანკის წევრთა 7 მაისის კრების ანგარიში, რომელშიც ჩართულია ილია ჭავჭავაძის განმარტება, რატომ არ არის მიზანშეწონილი, რომ ბანკის წევრებმა ხმა გადასცენ ისეთ პიროვნებას, თუნდაც შვილს, რომელიც არ არის ბანკის წევრი. აქვე წარმოდგენილია სარევიზიო კომისიის მოხსენების პირველი ნაწილი. ►

**1884 12 მაისი**

გაზეთ დროებაში გრძელდება თსს ბანკის წევრთა კრების მიმოხილვის ბეჭდვა, სადაც ჩართულია ილია ჭავჭავაძის ვრცელი სიტყვა სარევიზიო კომისიის ანგარიშთან და ბანკის არსებობის ცხრა წლის მანძილზე მის მუშაობასთან დაკავშირებით. ►

**1884 12 მაისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება თსს ბანკის 9 მაისის კრების ანგარიში და ილია ჭავჭავაძის მოხსენება. ►

**1884 12 მაისი**

სამი დღით მიემგზავრება კახეთში. ►

**1884 13 მაისი**

გაზეთ დროებაში გრძელდება 7-10 მაისს ჩატარებული თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ბანკის წევრთა კრების მიმოხილვის ბეჭდვა. შეტანილია ილიას მოსაზრებები მამულების დაფასების ახალი წესის შემუშავების მიმართ ფინანსთა სამინისტროს დამოკიდებულებასა და პეტერბურგში ბირჟის აგენტის დანიშვნის საჭიროებაზე. საგულისხმოა მისი პასუხი ნაპოლეონ ამატუნის გამოსვლაზე, რომელშიც კრების მონაწილეებს ნაციონალიზმში ედებოდათ ბრალი. ილია ჭავჭავაძემ მის სიტყვებს წინდაუხედავი უწოდა და თქვა, რომ ვერც ბანკს და ვერც ამ კრებას ვერავინ შესწამებს მტრობას რომელიმე ერისადმი. ►

- 1884 13 მაისი**  
 რუსულ გაზეთში „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ იბეჭდება მისი ნარკვევის „რა არის ხიზნობა“ თარგმანის პირველი ნაწილი. ►
- 1884 17 მაისი**  
 რუსულ გაზეთში „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ იბეჭდება მისი ნარკვევის „რა არის ხიზნობა“ თარგმანის მეორე ნაწილი. ►
- 1884 21 მაისი**  
 თბილისის გუბერნატორის კანცელარიაში იხსნება საიდუმლო საქმე და 1884 წლის 14 ივლისიდან 1885 წლის 9 ივლისამდე ილია ჭავჭავაძეზე წესდება პოლიციის ზედამხედველობა. ►
- 1884 27 მაისი**  
 მონაწილეობს ქმნ-კგ საზოგადოების კრებაში. ►
- 1884 31 მაისი**  
 გაზეთ „დროებაში“ მისი და სხვათა ხელმოწერით იბეჭდება ქმნ-კგ საზოგადოების მმართველობის განვლილი წლის ანგარიში. ►
- 1884 31 მაისი**  
 სადარბაზო ბარათებს უგზავნის რაფიელ ერისთავს, იაკობ გოგებაშვილს, აკაკი წერეთელს, დავით ერისთავს, გიორგი თუმანიშვილს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, პეტრე უმიკაშვილს, ივანე მაჩაბელს, ეკატერინე გაბაშვილსა და სხვა ქართველ მოღვაწეებს. ეპატიჟება პირველ ივნისს არტურ ლაისტის საპატივცემულო სადილზე. ►
- 1884 მაისის ბოლო**  
 გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება ნაპოლეონ ამატუნის სტატია, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, თითქოს თსს ბანკის კრება სისტემატურად სდევნიდეს ქალაქელებს, რომელთა დიდ უმრავლესობას სომხები შეადგენენ. ►
- 1884 1 ივნისამდე**  
 არტურ ლაისტი თარგმნის ილიას ლექსს „მტკვრის პირზედ“. ►
- 1884 1 ივნისი**  
 ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად რკინიგზის სადგურზე ხდება მისივე მოწვევით საქართველოში ჩამოსულ არტურ ლაისტს. 3 საათზე გერმანელი სტუმრისთვის მართავს სადილს, რომელზეც მიწვეულები არიან ცნობილი მწერლები და ჟურნალისტები. იგი სტუმარს მიმართავს სიტყვით, რომელშიც განსაზღვრავს ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანის საქმეში ლაისტის უდიდეს წვლილს. იმავესაღამოს კიდევ ერთი წვეულება იმართება მტკვრის სანაპიროზე „ვაზის ბაღში“, სადაც არტურ ლაისტი წარმოთქვამს სამადლობელ სიტყვას. ►
- 1884 2 ივნისი**  
 მეგზურობს არტურ ლაისტს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, აჩვენებს რუსთაველის და თამარის სურათებს, ათვალთქვამს საზოგადოების ხელნაწერთა ბიბლიოთეკას. ►



**1884 3 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება მიმოხილვა „ჩვენი სტუმარი არტურ ლაისტი თბილისში“, რომელშიც ჩართულია ილია ჭავჭავაძის მისასალმებელი სიტყვის დასაწყისი. ►

**1884 5 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება მიმოხილვა „ჩვენი სტუმარი არტურ ლაისტი“, რომელშიც ჩართულია ილია ჭავჭავაძის სიტყვის დასასრული. ►

**1884 6 ივნისამდე**

წერს საპასუხო წერილს გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში“ ნაპოლეონ ამატუნის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებზე და არგუმენტირებულად უარყოფს მის ყველა ბრალდებას. ►

**1884 7 ივნისი**

„ნოვოე ობოზრენიეში“ ამავე გაზეთში ნაპოლეონ ამატუნის მიერ გამოქვეყნებული სტატიის პასუხად იბეჭდება ილია ჭავჭავაძის „წერილი რედაქციისადმი“. ►

**1884 9 ივნისი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებული ნაპოლეონ ამატუნისა და ილია ჭავჭავაძის წერილების საპასუხოდ გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სტატია „საბანკო დავიდარაბა გაზეთების ფურცლებზე“. ►

**1884 10 ივნისი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის მოწვეულ თავადაზნაურთა საზოგადოების საგანგებო კრებაში. განიხილავენ სათავადაზნაურო სკოლის პროგრამის შემუშავებული კომისიის მოხსენებას, რომლის წევრიც ის იყო. ►

**1884 12 ივნისამდე**

არტურ ლაისტთან ერთად ესწრება წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გამოცდებს. ►

**1884 12 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება პირველი ნაწილი „თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების“ კრების მიმოხილვისა, რომელშიც იგი მონაწილეობდა როგორც კომისიის წევრი. ►

**1884 13 ივნისი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება დასასრული „თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების“ კრების მიმოხილვისა. ►

**1884 13 ივნისი**

წერილს უგზავნის საგურამოში მეუღლეს. სთხოვს, მომდევნო დღეს სამი შეკაზმული ცხენი დაახვედროს ავჭალაში დილის მატარებლის ჩასვლის დროისთვის. აცნობებს, რომ სირაჯი მიდის ღვინის ამოსაღებად. მოურავ დავით ციციშვილს უთვლის, ღვინის ამოღების პროცესს დაესწროს და სირაჯს ბარათი ჩამოართვას მის მიღებაზე. ►

**1884 14 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ გორის საოსტატო სემინარიადამთავრებული სტიპენდიანტებისთვის დაფინანსების შეწყვეტის საკითხს. კმაყოფილდება ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძის თხოვნა სამოგზაუროდ წასვლასთან დაკავშირებით მისთვის შვებულების მიცემის თაობაზე. ►

**1884 ივნისის შუა რიცხვები**

საგურამოში მასპინძლობს არტურ ლაისტს. მასთან ერთად მინვეულები ჰყვანან: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, დავით მიქელაძე და ალექსანდრე ჭყონია. ►

**1884 ივნისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეხუთე-მეექვსე ნომერი ერთ წიგნად, რომელშიც ქვეყნდება მის მიერ „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“ და „გურამიანიდან“ ამოკრეფილი „საანდაზო ლექსები“ და არტურ ლაისტის წერილის „ქართული ლიტერატურა“ თარგმანი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, განხილულია „გლახის ნაამბობი“ და „კაცია – ადამიანი?!“. ►

**1884 13 ივლისი**

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი გუბერნატორისგან ითხოვს ნებართვას ილია ჭავჭავაძეზე, როგორ პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პიროვნებაზე, ფარული მეთვალყურეობის დასაწყისებლად. ►

**1884 20 ივლისი**

იღებს რამაზ ანდრონიკაშვილის ბარათს თსს ბანკის მიერ გრიგოლ არწრუნის ქარვასლის შექმნასთან დაკავშირებით. ►

**1884 21 ივლისი**

თბილისის პოლიცმაისტერი გასცემს ბრძანებას ილია ჭავჭავაძეზე პოლიციის მეთვალყურეობის დაწყების შესახებ. ►

**1884 23 ივლისის**

დავით ერისთავი კისლოვოდსკიდან პეტერბურგში ნიკო ნიკოლაძეს ატყობინებს, რომ ილია ჭავჭავაძეს დიდი გეგმები აქვს გრიგოლ არწრუნის ქარვასლასთან დაკავშირებით. ►

**1884 29 ივლისი**

ცენზურა გასცემს „ვისრამიანის“ დაბეჭდვის ნებართვას. ტექსტს წინ უძღვის პეტრე უმიკაშვილისა და ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა. ►

**1884 31 ივლისი**

თბილისის პოლიცმაისტერი წერილობით მოახსენებს გუბერნატორს, რომ ილია ჭავჭავაძეოჯახთან ერთად იმყოფებასაგურამოში და ამის შესახებ ინფორმირებულია დუმეთის მაზრის უფროსი. ►

**1884 9 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ „ნ. ურბნელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ნიკო ხიზანიშვილის „ლიტერატურული ქრონიკის“ პირველი ნაწილი. მასში განხილულია ჟურნალ „ივერიის“ მეხუთე-მეექვსე ნომერი და არტურ ლაისტის წერილი „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. ►

**1884 10 აგვისტომდე**

გამოდის „ვისრამიანი“ ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე სარაჯიშვილისა და პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ►

**1884 10 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ „ნ. ურბნელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ნიკო ხიზანიშვილის „ლიტერატურული ქრონიკის“ გაგრძელება. მასში განხილულია ჟურნალ „ივერიის“ მესუეთე-მეექვსე ნომერი და არტურ ლაისტის წერილი „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. ►

**1884 12 აგვისტო**

სურამში გამართულ თეატრალურ წარმოდგენაზე სხვა დადგმებთან ერთად თამაშობენ ილია ჭავჭავაძის პიესას „სცენა მომრიგებელ მოსამართლესთან“, რომელშიც გლახა ჭრიაშვილის როლს არაჩვეულებრივად ასრულებს სოფრომ მაგალობლიშვილი. ►

**1884 13 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება ცნობა, რომ „ვისრამიანის“ რედაქტორებს ილია ჭავჭავაძეს, ალექსანდრე სარაჯიშვილსა და პეტრე უმიკაშვილს განზრახული აქვთ გამოსცენ ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში „ამირან-დარეჯანიანი“. ►

**1884 18 აგვისტო**

გაზეთ „დროებაში“ „ნ. ურბნელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ნიკო ხიზანიშვილის „ლიტერატურული ქრონიკის“ გაგრძელება. მასში საუბარია ილია ჭავჭავაძის მოთხოვნებზე და გაზიარებულია არტურ ლაისტის აზრი, რომ იგი ახალი ბელეტრისტიკის ფუძემდებელია. საინტერესოდ არის წარმოჩენილი საზოგადოების რეაქცია „კაცია – ადამიანზე?!“. ნათქვამია, რომ ისინი, ვინც მის პერსონაჟებში საკუთარ თავს ხედავენ, ავტორს „გიჟს“ უწოდებენ. ►

**1884 აგვისტო**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეშვიდე-მერვე ნომრები ერთ წიგნად, რომელშიც ქვეყნდება მის მიერ ამოკრეფილი „საანდაზო ლექსები“ და ქმნ-კვ საზოგადოების ერთი წლის ანგარიში მისი ხელმოწერით. ►

**1884 აგვისტო**

განცხადებით მიმართავს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს სენაკის სკოლის გახსნასა და მის ინსპექტორად სამსონ ყიფიანის დანიშვნის შესახებ. ►

**1884 5 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ დადგენილებას ხელთუბნის სკოლის მასწავლებლის დანიშვნის თაობაზე. მოთხოვნილი წიგნები ეგზავნება წინამძღვრიანთკარის სკოლას, ხოლო სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები და თანხა წამლების შესაძენად - სოფელ სურების სკოლას. სურამიდან იღებენ საქველმოქმედო წარმოდგენიდან შემოსულ თანხას. მადლობას უცხადებენ ილია ოქრომჭედლიშვილს საზოგადოებისთვის ანდრეევის (ამჟამად გ. ჩუბინაშვილის) ქუჩაზე მდებარე შენობის შემოწირვის გამო. იღებენ გადაწყვეტილებას ალექსანდრე ყაზბეგის წიგნების შესყიდვის თაობაზე. ►

- 1884 13 სექტემბერი**  
თბილისის პოლიცმაისტერი წერილობით უპატაკებს გუბერნატორს ილია ჭავჭავაძეზე ფარული მეთვალყურეობის შედეგებს. ►
- 1884 19 სექტემბერი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ქუთაისის სააზნაურო სკოლაში ახალი მასწავლებლის მოწვევის საკითხს. ქუთაისის სკოლების დირექტორს ეგზავნება სამეგრელოში გადატანილი სკოლის სასწავლო გეგმა. კმაყოფილდება ბათუმის სკოლის მასწავლებლის, მოსე ნათაძის თხოვნა შემოსული თანხის სკოლის საჭიროებისამებრ განკარგვასთან დაკავშირებით. მოთხოვნილი წიგნები ეგზავნება ხარკოვის უნივერსიტეტს. არ კმაყოფილდება ნიკოლოზ მთვარელიშვილისა და ივანე გამყრელიძის თხოვნა ხელნაწერი წიგნების სახლში გატანაზე. სოფელ თონეთის სკოლასთან დაკავშირებით მამასახლისს ეგზავნება თხოვნა, რომ შეუდგეს შენობის აგებას, სწავლა კი დაიწყოს 1 ოქტომბერს. ►
- 1884 27 სექტემბერი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ გადაწყვეტილებას წინამძღვრიანთკარის სკოლისთვის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ 50 ცალის გაგზავნაზე. ►
- 1884 27 სექტემბერი**  
გიორგი ქართველიშვილის სახლში ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით იმართება კრება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენისა და გამოცემის საკითხებთან დაკავშირებით. მას ირჩევენ სარედაქციო კომისიაში. ►
- 1884 29 სექტემბერი**  
პირობას დებს წიგნის გამომცემელ ვარლამ ჭილაძესთან თავისი თხზულებების გამოცემის თაობაზე. ►
- 1884 სექტემბერი**  
განცხადებით მიმართავს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს სოფელ ბურნათში სკოლის გახსნის განზრახვასთან დაკავშირებით. ►
- 1884 1 ოქტომბერი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ სოფელ წინამძღვრიანთკარში სხვა ადგილებიდან ჩამოსული მოსწავლეების საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხს და იღებენ დადგენილებას, რომ ილია წინამძღვრიშვილს გამოუყონ შესაბამისი თანხა. ►
- 1884 3 ოქტომბერი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორისგან იღებენ მოთხოვნას, რომ სკოლებისთვის შესანიერი წიგნები მას გადაუგზავნონ და ის განკარგავს. ამასთანავე იღებენ მითითებას, რომ წიგნები აუცილებლად იყოს მოწონებული სახალხო განათლების სამინისტროს მიერ. ►
- 1884 4 ოქტომბერი**  
გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება სტატია იმის შესახებ, რომ ევროპელი მწერლებისგან განსხვავებით ქართველ ავტორებს არა თავიანთი ნაწერებით, არამედ სხვადასხვა საქმიანობითუხდებათ თავისშენახვა. ამფონზესასიამოვნოსიახლედარისდანახული ის ფაქტი, რომ წიგნების გამომცემელმა ვარლამ ჭილაძემ ხელშეკრულება დადო ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან მათი თხზულებების გამოცემასთან დაკავშირებით. მან თავად იკისრა ბეჭდვის მთელი ხარჯები და ავტორებს დაჰპირდა შემოსავლის ნახევარს. ►



**1884 10 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ქუთაისის სკოლის ინსპექტორს ატყობინებენ, რომ ახალი მასწავლებელი მხოლოდ საცდელი გაკვეთილების წარმატებით ჩატარების შემდეგ უნდა აიყვანოს. ბათუმიდან იღებენ ფილიმონ ქორიძის მიერ გამართული კონცერტიდან შემოსულ თანხას. ილია ოქრომჭედლიშვილს კიდევ ერთხელ სწერენ მადლობას შენობის შემოწირვისთვის, მაგრამ ატყობინებენ, რომ პრიკაზის ვალის გამო შენობის გადაფორმება წამგებიანია და უარის თქმა უხდებათ. ►

**1884 13 ოქტომბერი**

გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ ილია ჭავჭავაძეს განზრახული აქვს საჯარო ლექციების წაკითხვა „ვეფხისტყაოსანზე“ ქშნ-კგ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ►

**1884 18 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ სანევროების გადახდის დაგვიანების საკითხსა და საზოგადოების მატერიალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებელ გზებს, ასევე ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის წერილს ძველ სენაკში სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს ერთხელ კიდევ უდასტურებენ, რომ ვაკანსიაზე მასწავლებელი უნდა დაინიშნოს მხოლოდ საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარების შემდეგ. ►

**1884 ოქტომბერი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეცხრე-მეათე ნომრები ერთ წიგნად. ►

**1884 1 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ნიკოლოზ ცხვედაძესა და გიორგი თუმანიშვილს ვვალეობათ სოფლებში მცხეთასა და ვაყაში სკოლების გახსნასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს ცირკულარებისა და იურიდიული მხარის შესწავლა საჩივრის დასაწერად, რომელიც გამგეობაში განხილვის შემდეგ უნდა გაეგზავნოს ოლქის მზრუნველს და, საჭიროების შემთხვევაში, უმაღლეს ორგანოებს. იღებენ დადგენილებას, რომ სკოლების შემოსავლებიდან დარჩენილი თანხები იყოს მათსავე ხელუხლებელ ანგარიშზე. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლიდან იღებენ ინფორმაციას, რომ ვერცერთი კანდიდატის მიერ ჩატარებულმა სამაგალითო გაკვეთილებმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები. ►

**1884 8 ნოემბერი**

ქშნ-კგ საზოგადოების მმართველობა ხარკოვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას სწირავს სხვადასხვა ავტორთა წიგნებს. ჩამონათვალში არის ილია ჭავჭავაძის „განდევილი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“. წიგნების სიას ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე. ►

**1884 10 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც უარს ეუბნებიან ჟურნალ „ნობათის“ გამომცემელს, ანდრია ლულაძეს თანხის სესხებაზე, რადგან ეს ორგანიზაციის წესდებას ეწინააღმდეგება. განიხილავენ სოფელ დირბში იერუსალიმის მონასტრის კუთვნილი მამულების გამგებლის წინადადებას იქ სკოლის დაარსების შესახებ. ►



**1884 30 ნოემბერი**

ესწრება ქართული პრესისა და თეატრალური დასის მიერ თბილისელ ფრანგთა საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საქველმოქმედო წარმოდგენას გრიგოლ არწრუნის თეატრში. იმავე საღამოს სიტყვას წარმოთქვამს „დროების“ რედაქციაში საფრანგეთის კონსულ მ. მეიერის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე. ►

**1884 შემოდგომა**

გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები ატყობინებენ, რომ პეტერბურგში სასწავლებლად მყოფი ვაჟა-ფშაველა უსახსრობის გამო საქართველოში დაბრუნდა. სთავაზობენ ფულის შეგროვებას, რომ ახალგაზრდა მწერალს ბერლინის უნივერსიტეტში გააგრძელებინონ სწავლა. იმ მოტივით, რომ ვაჟა გერმანიაში „ფანდურს მალლა ჭერში შესდებს“ და „უკეთეს შემთხვევაში ფილოსოფიას დაენათება“, ილია ჭავჭავაძე არ უჭერს მათ მხარს და გამოსავალს იმაში ეძებს, რომ რედაქციამ ჰონორარი დაუნიშნოს და ვაჟამ მთაშივე გააგრძელოს წერა. ►

**1884 2 დეკემბრამდე**

იონა მეუნარგია, ილია ჭავჭავაძის რჩევით, მურიესა და ზუტენერების დახმარებით, ასრულებს მუშაობას „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანზე. ►

**1884 2 დეკემბერი**

გაზეთ „დროების“ მიმოხილვაში ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის მიერ „დროების“ რედაქციაში 30 ნოემბერს, საფრანგეთის კონსულის მ. მეიერის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა („დღეს ჩვენმა პატარა ლიტერატურამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში გამოქვეყნდა სათაურით „სიტყვა წარმოთქმული თბილისელ ფრანგთა საზოგადოებისთვის გამართულ საღამოზე“. ►

**1884 5 დეკემბრამდე**

სოლოლაკში, ახალ ბებუთოვის ქუჩაზე (ამჟამად ლადო ასათიანის ქუჩა) გადააქვს ჟურნალ „ივერიის“ რედაქცია. ►

**1884 11 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ნიკოლოზ ცხვედაძის მიერ წარმოდგენილ საჩივარს სოფლებში მცხეთასა და ვაკეში სკოლების გახსნასთან დაკავშირებით შექმნილ წინააღმდეგობებზე და იღებენ დადგენილებას, რომ ეს საჩივარი მცირეოდენი სწორებებით გაეგზავნოს კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს კირილ იანოვსკის. ხელთუბნის სკოლის მასწავლებელს ეგზავნება მოთხოვნილი სახელმძღვანელოები და ეძლევა უფლება, რომ რუსულის სწავლა დაიწყო მაშინ, როცა მოსწავლეები ამისათვის მზად იქნებიან. ბათუმის სკოლას ატყობინებენ, რომ მეორე მასწავლებლის აყვანის შესაძლებლობა იმჟამად არ არის და ურჩევენ სწავლა ორ ცვლად წარმართონ. შემოწირულობას იღებენ ფილიმონ ქორიძის მიერ გამართული კონცერტის შემოსავლიდან. სოფელ ვანში ახალგახსნილ სკოლას ეგზავნება სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები. იაკობ გოგებაშვილს ევალება, შეისწავლოს ქუთაისის სათავდაზნაურო სკოლიდან დასამტკიცებლად გამოგზავნილი პროგრამები. ►

**1884 13 დეკემბერი**

წერილს იღებს სამასწავლებლო ინსტიტუტის ქართველ მონაფეთაგან, რომლებიც სთხოვენ ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორობა „ღირსეულ შემცვლელს“ გადააბაროს. ►

**1884 15 დეკემბრის შემდეგ**

იღებს კირილე ლორთქიფანიძის წერილს. ბარათში ნათქვამია, რომ ქუთაისში გაზეთ „შრომის“ თანამშრომლებმა და რამდენიმე განათლებულმა პირმა გადაწყვიტეს წიგნების გამომცემელი წრის დაფუძნება. წესდება შეადგინა ალექსანდრე ჭყონიამ. ადრესანტი სთხოვს, როგორც ქმნ-კგ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, რომ საზოგადოებამ თავის დაქვემდებარებაში მიიღოს და მფარველობა გაუწიოს ამ წრეს. ამასთანავე წინასწარვე აცნობებს, რომ წიგნის გამოცემის საკითხში ისინი სრულ ავტონომიას ითხოვენ, საზოგადოების აგენტებად კი ასახელებენ: ალექსი ჭიჭინაძეს, ესტატე მჭედლიძეს, სილოვან ხუნდაძეს და კირილე ლორთქიფანიძეს. ►

**1884 16 დეკემბერი**

ქართული დასი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის ორმოქმედებიან კომედიას „მაჭანკალი“. ►

**1884 დეკემბრის შუა რიცხვები**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეთერთმეტე-მეთორმეტე ნომრები ერთ წიგნად, რომელშიც იბეჭდება მისი განცხადება მომდევნო წელს ჟურნალზე ხელმოწერის პირობების შესახებ. ►

**1884 29 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ბათუმის სკოლას აცნობებენ, რომ დამატებით საგნად ფრანგულის შესწავლა დაწყებით კლასებში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული არ არის და ვერ დაამტკიცებენ. მოზდოკის ქართულ დასახლებას სთხოვენ დამატებითი ცნობები მოაწოდონ სკოლის გახსნასთან დაკავშირებით. ილია ჭავჭავაძეს სარეცენზიოდ გადასცემენ სოფრომ მგალობლიშვილის მიერ გადმოკეთებულ წიგნს „შესანიშნავი ბავშვები“. არ კმაყოფილდება ვარლამ გაბიჩვაძის თხოვნა „ქართული წერის დედნის“ გამოსაცემად მისთვის ფულის სესხებაზე. იწონებენ კირილე ლორთქიფანიძის შეთავაზებას სახელმძღვანელოების ბეჭდვასა და გავრცელებაში დახმარებასთან დაკავშირებით. ►

**1884** ჟურნალ „ნობათში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსზე „ნანა“ შექმნილი მუსიკის ნოტები, ჩანერილი რომანოზ ძამსაშვილის მიერ. ►

**1884** მისი ხელმოწერით ბროშურად გამოდის თსს ბანკის მმართველობის 1884 წლის ანგარიში. ►

**1884** ასრულებს ქმნ-კგ საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობას და საქმიან ქალაქებს ხელს აწერს, როგორც „თავმჯდომარის მაგიერი“. ►

**1885 4 იანვარი**

სოფელ ქვემოჭალის სკოლაში იმართება საქველმოქმედო კონცერტი სკოლის დასახმარებლად, რომელზეც მასწავლებელი კითხულობს ილია ჭავჭავაძის პოემას „დედა და შვილი“. ►

**1885 23 იანვარი**

ნატო გაბუნიას ბენეფისზე წარმოადგენენ ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანიდან?!“ აქვსენტი ცაგარელის მიერ გადმოკეთებულ კომედია-ფარსს „მკითხავი“. ►

**1885 იანვარი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად იწყებს გეორგ ებერსის ნოემანის „ასული ფარაონისა“ მისეული თარგმანის ბეჭდვას. ►

**1885 12 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვსაზოგადოების სხდომას, რომელზეც ყოფილ სტიპენდიანტს შეახსენებენ, რომ ყოველთვიური შემოსავლიდან ფული უნდა გადადოს და მის დაფინანსებაზე დახარჯული თანხა საზოგადოებას ნელ-ნელა დაუბრუნოს. სენაკის მაზრის სოფელ გულეკარის სკოლას ეგზავნება სახელმძღვანელოები. ნიკოლოზ ქანანოვისთვის სარეცენზიოდ გადაცემული ანატომიის სახელმძღვანელო ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და უბრუნდება ავტორს. იღებენ დადგენილებას ჟურნალ „ნობათის“ ხუთი ეგზემპლარის გამოწერაზე. ►

**1885 22 თებერვალი**

მისი და სხვათა ხელმოწერით, იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1885 წლის 1 იანვრისთვის. ►

**1885 26 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ამტკიცებენ წინა სხდომიდან განვლილი პერიოდის წვრილმან ხარჯებს. ილია ჭავჭავაძეს ავალეებენ პასუხი მისწეროს თბილისის გუბერნატორს ხაზინიდან სკოლების საჭიროებისთვის თანხის გაცემასთან დაკავშირებით. ისმენენ ანგარიშს „ვისრამიანის“ გაყიდვებთან დაკავშირებით. სენაკის მაზრის სააგენტოს ეგზავნება თანხის მოსაკრები კვიტანციები. იღებენ დადგენილებას დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ ანასტასია თუმანიშვილისეული თარგმანის დაბეჭდვის შესახებ. თანხმდებიან, რომ ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად ილია ჭავჭავაძესთან ერთად გაემგზავროს საზოგადოების საქმეთა მწარმოებელი გრიგოლ ყიფშიძეც. ►

**1885 თებერვალი**

ჟურნალ „თეატრში“ ხელმოუწერლად იბეჭდება იუმორისტული ლექსი „როდისა ვართ ბედნიერი?“, რომელშიც ერთი სტროფი ეძღვნება ჟურნალ „ივერიას“: „ჩვენი ზანტი „ივერია“ / „ცოტა უფრო გაცხარდება / და სიდიდით ვერ აჭობებს / ან მას „ბანკის განცხადება“. ►

**1885 თებერვალი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისი „შინაური მიმოხილვა“ („დადგა მარხვა სინანულისა...“) და გეორგ ებერსის ნოემანის „ასული ფარაონისა“ მისეული თარგმანის გაგრძელება. ►

**1885 6 მარტის შემდეგ**

დავით სარაჯიშვილის ოჯახში სტუმრობიდან მომავალი ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკოლოზობერიძე და ილია ჭავჭავაძე საუბრობენ ალექსანდრე ცაგარელის კვლევების შესახებ მეგრულ ენასთან დაკავშირებით. ნიკოლოზობერიძე გამოთქვამს წუხილს, რომ ქართველებმა ცნობილი მეცნიერი მშობლიური ენის მტრად შეერაცხეს და კვლევებზე ხელი ააღებინეს. ილია ჭავჭავაძე ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ მისი ნაშრომები ცუდად გამოიყენა რუსეთის ხელისუფლებამ. ►

**1885 15 მარტამდე**

პეტრე ნაკაშიძე უგზავნის სტატიას ჟურნალ „ივერიაში“ დასაბეჭდად. ►

- 1885 15 მარტამდე**  
პეტრე ნაკაშიძეს ატყობინებს, რომ მის მიერ გაგზავნილი სტატია ჩასასწორებელია. ►
- 1885 15 მარტი**  
იღებს პეტრე ნაკაშიძის ბარათს. სწერს, რომ გადახედავს თავის ნაწერს და ჩაასწორებს. ►
- 1885 19 მარტი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც გამოდის სიტყვით ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად გორდში საზოგადოების წარმომადგენლების გაგზავნასთან დაკავშირებით. იღებენ დადგენილებას ქმნ-კვ საზოგადოების სასარგებლოდ მეჭლისის გამართვის თაობაზე. ნიკოლოზ ცხვედაძეს, დავით ერისთავსა და ვასილ თუმანიშვილს ვვალეებათ მისი ორგანიზება. ►
- 1885 29 მარტამდე**  
ირჩევნ თავმჯდომარედ კომისიისა, რომელსაც ვვალეება აღწეროს და თბილისში ჩამოიტანოს ეკატერინე ჭავჭავაძის უფროსი ვაჟის ნიკოლოზ დადიანის მიერ ქმნ-კვ საზოგადოებისთვის შემოწირული ქართული ხელნაწერების მამისეული მდიდარი ბიბლიოთეკა. ►
- 1885 29 მარტი**  
ნიკოლოზ დადიანის მიერ ქმნ-კვ საზოგადოებისთვის გადაცემული ბიბლიოთეკის აღწერისა და თბილისში ჩამოტანის მიზნით სამეგრელოში ჩასვლამდე ჩერდება ქუთაისში. მასთან ერთად არიან: ვასილ მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, იონა მეუნარგია და დავით ერისთავი. ►
- 1885 30 მარტი**  
თბილისის გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტი აცნობებს, რომ აირჩიეს საზოგადოების საპატიო წევრად. ►
- 1885 მარტი**  
გამოდის მიხეილ ნასიძის მიერ შედგენილი „ქართული ქრესტომათია“, სადაც ქვეყნდება ლექსი „გაზაფხული“, ნაწყვეტები „კაცია – ადამიანიდან?!“, „გლახის ნაამბობიდან“ და „განდევილიდან“. ►
- 1885 მარტი**  
გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მესამე ნომერი, რომელშიც გრძელდება გეორგ ებერსის რომანის – „ასული ფარაონისა“ ილიასეული თარგმანის ბეჭდვა. ►
- 1885 3 აპრილამდე**  
ქუთაისიდან გორდში მიჰყვებიან სიმონ ღოღობერიძე და სამსონ ყიფიანი. ►
- 1885 3 აპრილი**  
ილია ჭავჭავაძე და კომისიის სხვა წევრები ჩადიან სოფელ გორდში და იბარებენ ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკას. ►



- 1885 3 აპრილი**  
თბილისის პოლიცმაისტერი წერილობით უპატაკებს გუბერნატორს ილია ჭავჭავაძის ქუთაისში გამგზავრების შესახებ. ►
- 1885 3 აპრილის შემდეგ**  
ბანძაში სტუმრად არის იურისტ მექი ფალავასთან, ცაიში – იონა მეუნარგიასთან. ათვალეერებს ზუგდიდის მთავრის სასახლეს, იბარებს ნიკოლოზ დადიანისეული ბიბლიოთეკის ნაწილს და საღამოს ისევ ცაიში ბრუნდება. ►
- 1885 4 აპრილი**  
ცაიშიდან წამოსული ღამეს ათევს ახალსენაკის სასტუმროში. ►
- 1885 5 აპრილი**  
ახალსენაკიდან მიემგზავრება თბილისში. ძალიან კმაყოფილია სამეგრელოში მოგზაურობით და თავის განწყობას გამოხატავს სიტყვებით: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე“. ►
- 1885 7 აპრილი**  
ჟურნალი „თეატრი“ აქვეყნებს მხატვარ ალექსანდრე ბერიძის მიერ შესრულებულ ილია ჭავჭავაძის პორტრეტს. ჟურნალთან ერთად ხელმოწერებს ურიგდებათ ამ პორტრეტის თითო ეგზემპლარი. ►
- 1885 16 აპრილი**  
გორდიდან ჩამოტანილ ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკას აბარებენ ქმნ-კგ საზოგადოების მმართველობას. აღნუსხვის შედეგად ირკვევა, რომ იგი შეიცავს 169 ხელნაწერ და 10 ნაბეჭდ წიგნს. ჩაბარების აქტს ხელს აწერენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, დიმიტრი ჯანაშიელი და ივანე მაჩაბელი. ►
- 1885 16 აპრილი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ნიკოლოზ დადიანს უცხადებენ მადლობას წიგნების შემოწირვისთვის, იღებენ დადგენილებას ამ წიგნების კატალოგის შესადგენად და სთხოვენ თავის პორტრეტს ბიბლიოთეკაში დასაკიდად. იღებენ შემოწირულობას 31 მარტს გამართული სალიტერატურო და მუსიკალური საღამოს შემოსავლიდან. იაკობ გოგებაშვილს ავალეებენ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ანგარიშის შემოწმებას. საზოგადოების წევრთა საერთო კრებას ნიშნავენ 19 მაისისთვის. ►
- 1885 17 აპრილი**  
საცენზუროდ წარადგენს გაზეთ „ივერიას“, რომელშიც უნდა დაბეჭდილიყო მისი „შინაური მიმოხილვა“ („ერთხელ და ერთხელ შემოღებუღია...“), მაგრამ ცენზორი ნებართვას არ გასცემს. ►
- 1885 27-28 აპრილი**  
ესწრება თსს ბანკის კრებას. განიხილავენ განვლილი ათი წლის ანგარიშს და გამგეობის მოხსენებას. მონაწილეობს ბანკის ბარალის დაფარვის საკითხებთან დაკავშირებულ კამათში. ►
- 1885 აპრილი**  
ჟურნალ „ივერიაში“ ხელმოუწერლად გრძელდება გეორგ ებერსის რომანის „ასული ფარაონისა“ მისეული თარგმანის ბეჭდვა. ►



- 1885 1 მაისი**  
 თსს ბანკის კრებაზე კენჭისყრის გარეშე ერთხმად ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარედ. ►
- 1885 14 მაისი**  
 მონანილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლის დავით სუმბათაშვილის პატივსაცემად გამართულ გამოსათხოვარ ნადიმში და სიტყვით მიმართავს მას. ►
- 1885 15 მაისამდე**  
 წერილობით სთხოვს რაფიელ ერისთავს, მასთან მივიდეს ძალზე საჭირო საქმის გამო. ►
- 1885 15 მაისი**  
 ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებაზე ირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარედ. ►
- 1885 მაისის პირველი ნახევარი**  
 მონანილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელიც განიხილავს სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხს. ►
- 1885 16 მაისი**  
 თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც წინარების სკოლას სხვადასხვა ნივთებისა და წიგნების შესაძენად გამოუყოფენ თანხას, იაკობ გოგებაშვილს ავალევენ ბათუმის სკოლის ანგარიშის შემოწმებას. იოსებ დავითაშვილისგან შემოწირულობის სახით იღებენ სადურგლო სახაზავებს. ამტკიცებენ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის საგამოცდო წესებსა და „ვისრამიანის“ გაყიდვით შემოსულ თანხას. ►
- 1885 27 მაისი**  
 ქმნ-კვ საზოგადოების სახელით მადლობას უხდის ნიკოლოზ დადიანს მისი ოჯახის უმდიდრესი ბიბლიოთეკის საზოგადოებისათვის გადაცემის გამო. ამასთან, აცნობებს, რომ ის ერთხმად აირჩიეს საპატიო წევრად. ►
- 1885 28 მაისი**  
 თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ ნიკოლოზ ლოლობერიძეს, ხოლო ხაზინადრად - გიორგი ქართველიშვილს. ►
- 1885 30 მაისი**  
 თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც პეტრე მირიანაშვილს ავალევენ, გაარკვიოს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შესასყიდად შემოთავაზებული წიგნების ფასები. თანხმდებიან, რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნების თავმოყრა და დაცვა მნიშვნელოვანია ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიისათვის. იღებენ დადგენილებას, რომ მცხეთისა და ვაყის სკოლები შემოვიდნენ საზოგადოების გამგებლობის ქვეშ. იწონებენ ილია ჭავჭავაძის შეთავაზებას, რომ საზოგადოების ანგარიშები დაიბეჭდოს „ივერიაში“ და გამოიცეს ცალკე წიგნად. ამისათვის გამოყოფენ საბეჭდი ქაღალდის საფასურს. საზოგადოების მდივნად ირჩევენ იაკობ გოგებაშვილს, ხოლო საქმეთა მწარმოებლად - ნიკოლოზ მთვარელიშვილს. ►

**1885 30 მაისი**

მისი აქტიური მონაწილეობით ქშნ-კვ საზოგადოების წიგნსაცავი ზაქარია ჭიჭინაძისგან შეღავათიან ფასებში იძენს 265 ძველ და ახალ ნაბეჭდ წიგნს. ►

**1885 მაისი**

წერს ხიზანთა დებულების პროექტს და სტამბურად დაბეჭდილს დასამტკიცებლად წარადგენს მთავარმართებლის საბჭოში. ►

**1885 ივნისის დასაწყისი**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეოთხე-მეხუთე ნომრები ერთ წიგნად, რომელშიც იბეჭდება გეორგ ებერსის რომანის „ასული ფარაონისა“ ილიასეული თარგმანის გაგრძელება. იქვე დამატების სახით ქვეყნდება ქშნ-კვ საზოგადოების განვლილი წლის საქმეთწარმოება, რომელსაც ხელს აწერს, როგორც თავმჯდომარის მოადგილე. ►

**1885 15 ივნისი**

თბილისის პოლიცმაისტერი წერილობით უპატაკებს გუბერნატორს ილია ჭავჭავაძის თბილისიდან საგურამოში გამგზავრების შესახებ. ►

**1885 ივნისის შუა რიცხვები**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც იბეჭდება გეორგ ებერსის რომანის – „ასული ფარაონისა“ ილიასეული თარგმანის ბოლო ნაწილი. ►

**1885 8 ივლისი**

თბილისის პოლიცმაისტერი წერილობით უპატაკებს გუბერნატორს ილია ჭავჭავაძის საგურამოდან თბილისში ჩამოსვლის შესახებ. ►

**1885 15 ივლისი**

მიემგზავრება საგურამოში. ►

**1885 28 ივლისის შემდეგ**

გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეშვიდე ნომერი. ►

**1885 4 აგვისტო**

გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება დასაწყისი ნიკოლოზ გულაკის სტატიისა „ვისრამიანი“ ჭავჭავაძის, სარაჭიშვილისა და უმიკაშვილის რედაქციით“. ►

**1885 5 აგვისტოს შემდეგ**

იღებს საგურამოდან მეუღლის მიერ გაგზავნილ ბარათს. იგებს, რომ ოლღა ძალიან განიცდის სმენის დაქვეითებას, ამიტომ გაურბის საზოგადოებას და იმედი აღარ აქვს, რომ ამ პრობლემას რაიმე ეშველება. ►

**1885 5 აგვისტოს შემდეგ**

საპასუხო წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ანუგემებს, რომ სმენის გამოსწორება შესაძლებელია და სთავაზობს მომდევნო წელს ევროპაში სამკურნალოდ წასვლას. ამავე ბარათით ატყობინებს, რომ ვასილ მაჩაბლის შვილის ნათლობაზეა მიწვეული და მოკითხვას უთვლის იმ დროს საგურამოში მყოფ არტურ ლაისტს. ►

**1885 5 აგვისტოს შეხვედრა**

მოკლე ბარათს და ჟურნალ „Изящная Литература“-ს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. აცნობებს, რომ უკვე შეუთანხმდა ზუბალაშვილს სახლის თაობაზე. სწერს, ოცი რიცხვისთვის ჩამოვიდეს, რომ ერთად გადავიდნენ ახალ სახლში. ►

**1885 7 აგვისტო**

ათონელი ბერი ბენედიქტე (ბარკალაია) წარწერით უძღვნის ა. კალინოვსკის წიგნს „სად არის სიმართლე? ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. ►

**1885 9, 10, 13, 15 აგვისტო**

გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება გაგრძელება და დასასრული ნიკოლოზ გულაკის სტატიისა „ვისრამიანი“ ჭავჭავაძის, სარაჯიშვილისა და უმიკაშვილის რედაქციით“. ►

**1885 20 აგვისტო**

მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადადის სოლოლაკში, ახალ ბებუთოვის ქუჩაზე (ამჟამად ლადო ასათიანის ქუჩა). ►

**1885 22 აგვისტო**

გაზეთ „დროების“ გამომცემელი გიორგი ქართველიშვილი თხოვნით მიმართავს ბეჭდვით საქმეთა და კავკასიის მთავარ სამმართველოებს ივანე მაჩაბლის გადაყენების გამო „დროების“ რედაქტორად ილია ჭავჭავაძის დამტკიცების შესახებ. ►

**1885 22 აგვისტო**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ბათუმის სკოლას ეგზავნება შენობის დასაქირავებელი თანხა. იღებენ დადგენილებას ბაქარია ჭიჭინაძისგან წიგნების გარკვეულ ფასად შესყიდვის შესახებ. სოფელ დიდი თონეთის სკოლის ანგარიში განსახილველად გადაეცემა იაკობ გოგებაშვილს. იღებენ დადგენილებას დიდი თონეთისა და ხელთუბნის სკოლებისთვის სასწავლო ნივთებისა და სახელმძღვანელოების გაგზავნის შესახებ. ►

**1885 22 აგვისტო**

განცხადება შეაქვს ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოში გაზეთ „დროების“ რედაქტორად მისი დამტკიცების თხოვნით. ►

**1885 28 აგვისტო**

წერილით ულოცავს დიმიტრი ყიფიანს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად არჩევას და იქვე აღნიშნავს, რომ ასეთი წინამძღოლის ყოლა მისალოცია იმერეთისთვისაც. ►

**1885 28 აგვისტო**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი წერილობით აცნობებს მთავარი სამმართველოს კანცელარიას, რომ სასურველი არ არის გაზეთ „დროების“ გადაცემა ილია ჭავჭავაძისათვის, რადგან მისი რედაქტორობის შემთხვევაში ივანე მაჩაბელი, რომელიც არაკეთილსაიმედოდ იქცეოდა, კვლავ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გაზეთის გამოცემაში. ►

**1885 1 სექტემბრის უმღდე**

დიმიტრი ყოფიანისგან იღებს სამადლობელ წერილს, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად არჩევის მოლოცვისათვის. ►

**1885 8 სექტემბერი**

ჟურნალ „თეატრის“ რუბრიკაში „ჩვენ ლიტერატურაზე“ რაჟდენ ჩიკვაიძე „ალისუბნელის“ ფსევდონიმით განიხილავს ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „კაცია – ადამიანი?!“, ადარებს მას რუსი კლასიკოსის ნიკოლოზ გოგოლის მოთხრობას „ძველი დროის მემამულეები“ და წერს, რომ ქართველ მწერალს ყველაფერი რეალური ყოფიდან აქვს აღებული და ნიჭიერებით გოგოლსაც კი აღემატება. ►

**1885 11 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ თბილისის გუბერნატორისა და კავკასიაში სწავლა-აღზრდის მზრუნველის წერილებს საზოგადოების ცალკეულ დარღვევებთან დაკავშირებით და გზავნიან პასუხს. ამ დარღვევების გამოსასწორებლად საზოგადოება ითხოვს ხელთუბნის სკოლის მასწავლებლად სასულიერო სემინარიადამთავრებული სეით გამრეკელის დანიშვნას და მცხეთისა და ვაყის სკოლების გამართვის ნებართვას. წინარეხის სკოლის მზრუნველ იოსებ ცხვედაძის თხოვნის საფუძველზე გუბერნატორს აცნობებენ, რომ სოფლის მოსახლეობას სკოლის შესანახად ევალება 250 და არა 300 მანეთის აკრება. წინამძღვრიანთკარის სკოლას ეგზავნება სასკოლო ნივთები და სახელმძღვანელოები. თონეთის სკოლის მასწავლებელი ჭილდოვდება ერთი თვის ჯამაგირით. ილია ჭავჭავაძე გამოდის ქშნ-კვ საზოგადოებისთვის ვერაზე ორსართულიანი სახლის შექმნის ინიციატივით, მაგრამ გამგეობა მიიჩნევს, რომ ხარჯს ვერ განვდებიან და წინადადება არ კმაყოფილდება. ►

**1885 13 სექტემბრამდე**

საგურამოში ეპატიჟება პეტრე უმიკაშვილს. ►

**1885 13 სექტემბერი**

ბარათს უგზავნის პეტრე უმიკაშვილს და უბოდიშებს, რომ ვეღარ ახერხებს საგურამოში წასვლას. სთავაზობს, ან მეორე დილას შეხვდნენ და ერთად წავიდნენ, ან პეტრე იმ დღესვე გაემგზავროს და თავად მეორე დღეს შეუერთდება. სწერს, რომ ოლღას ძალიან გაუხარდება მისი ნახვა. ►

**1885 15 სექტემბერი**

წერილს იღებს ქშნ-კვ საზოგადოების სასარგებლოდ გამართული წარმოდგენიდან შემოსული თანხის შესახებ და აკეთებს მასზე მინაწერს. ►

**1885 25 სექტემბერი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტისგან ითხოვს დადასტურებას, რომ აქვს ჟურნალ „ივერიის“ გამოცემის ნებართვა. ►



**1885 3 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ წინარეხის სკოლიდან მიღებულ ანგარიშს მოსწავლეთა რაოდენობისა და დასწრების შესახებ. პასუხად სწერენ, რომ სწავლა 1 სექტემბერს უნდა დაიწყოს და საჭიროა ყოველგვარი ღონისძიება იხმარონ იმისათვის, რომ მოსწავლეები არ აცდენდნენ. ბათუმის სკოლის მასწავლებელ მოსე ნათაძეს უგზავნიან შენობის საქირავებელ თანხას. წინარეხის, ბათუმისა და ხელთუბნის სკოლებს ეგზავნება სასკოლო ნივთები და სახელმძღვანელოები. შემოწირულობის სახით იღებენ საცირკო წარმოდგენის გამართვიდან შემოსულ თანხას. იღებენ დადგენილებას, რომ სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ ქართული თარგმანი გაეგზავნოს საცენზურო კომიტეტს დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად. ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებენ თელავის ქალთა სასწავლებლის თხოვნას, რომ სასწავლებელზე ზრუნვა მთლიანად ქმნ-კგ საზოგადოებამ იკისროს, მაგრამ ჰპირდებიან შუამდგომლობას ქალაქის თვითმმართველობასთან და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში აღუთქვამენ მეურვეობას. მოთხოვნილ წიგნებს უგზავნიან ხელთუბნის სკოლას და ანასტასია თუმანიშვილს აცნობებენ გადასახადის ოდენობას თავადაზნაურებისა და სასულიერო პირების შვილებისათვის. ილია ბაგრატიონ-მუხრანელისაგან იძენენ „ქართლის ცხოვრების“ მე-17 საუკუნის ხელნაწერს. საზოგადოების კანცელარიისა და წიგნთსაცავისთვის ქირაობენ შენობას. ▶

**1885 3 ოქტომბერი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი გასცემს ცნობას, რომ ილია ჭავჭავაძეს აქვს ჟურნალ „ივერიის“ გამოცემის უფლება. ▶

**1885 8 ოქტომბრამდე**

მონაწილეობს გაზეთ „დროების“ დახურვის გამო იოსებ მელიქიშვილთან გამართულ კრებაში. საუბარია ამ გაზეთის ვალებზე და დგება კომიტეტი, რომელმაც უნდა შეაგროვოს სახსრები მათ გადასახდელად. ილია ჭავჭავაძეს ირჩევენ კომიტეტის თავმჯდომარედ. ▶

**1885 8 ოქტომბერი**

თხოვნით მიმართავს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის გამგებელს და საცენზურო კომიტეტს ჟურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების შესახებ. ▶

**1885 9 ოქტომბრამდე**

წერილს იღებს დავით მესხისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ ქუთაისში უარს ამბობენ მიემგვლონ ივანე მაჩაბელს გაზეთ „დროების“ ვალის გადახდაში. ▶

**1885 9 ოქტომბერი**

საპასუხო წერილს უგზავნის დავით მესხს ქუთაისში. გულნატკენია „დროების“ ვალის გადახდაში დახმარებაზე ქუთაისელთა უარით. წერს, რომ ყველა ღონეს იხმარს საჭირო სახსრების შესაგროვებლად და იმის დასამტკიცებლად, რომ „საზოგადოება უმწეოდ არ უშვებს უსამართლოდ დასჯილს“. ▶

**1885 15 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც აკაკი წერეთელს, გიორგი იოსელიანსა და ალექსი მირიანაშვილს ევალებათ შეარჩიონ საზოგადოების მიერ გამოსაცემი წიგნები. სენაკის სათავადაზნაურო სკოლის საზეიმო კურთხევაზე დასწრების თხოვნით მიმართავენ აკაკი წერეთელს. შემოწირულობის სახით იღებენ დაბა სურამში გამართული ორი წარმოდგენიდან შემოსულ თანხას. ▶

**1885 22 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ისმენენ მოხსენებას საზოგადოების დამფუძნებლების, ნამდვილი და საპატიო წევრების რაოდენობის შესახებ. იღებენ დადგენილებას საწევრო გადასახადების შეკრების წესში კორექტივების შეტანასთან დაკავშირებით. ►

**1885 29 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც არ კმაყოფილდება ბათუმის სკოლის მასწავლებლის თანამდებობაზე წარმოდგენილი ორი კანდიდატურა, რადგან გამგეობის გადაწყვეტილებით სკოლაში უნდა მოხდეს საფუძვლიანი ცვლილებები. იღებენ დადგენილებას, რომ საზოგადოებისთვის თანხების მოზიდვის საქმე მიენდოთ გიორგი ქართველიშვილს, ალექსანდრე ჩოლოყაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს. ბათუმის სკოლის მასწავლებელს აჭილდოვებენ პრემიით. მტკიცდება წარმოდგენის გამართვის, კანცელარიისა და სხვა წვრილმანი ხარჯები. ►

**1885 ოქტომბერი**

ალექსანდრე ჭყონია ნიკო ნიკოლაძეს პეტერბურგში ატყობინებს, რომ საცენზურო კომიტეტიდან პეტერბურგში გადაგზავნეს ილია ჭავჭავაძის თხოვნა გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვის თაობაზე და საზოგადოების სახელით სთხოვს გაიგოს პასუხი. ►

**1885 ოქტომბერი**

იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ „ბუნების კარში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ლოცვა“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზე“, თარგმანი „ჩიტი“, ნაწყვეტები ეპიკური თხზულებებიდან: „განდევილი“, „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია – ადამიანი?!“ და მისი „სიტყვა თქმული სამეურნეო სკოლის გახსნის ჟამსა სოფელს წინამძღვრიანთკარში“. ►

**1885 ოქტომბერი**

ფრანგულ გაზეთ „პარიზში“ იბეჭდება პოემა „განდევილის“ კანდიანი-კოლონასეული პროზაული თარგმანი. ►

**1885 1 ნოემბერი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი შუამდგომლობს მთავარმართებლის კანცელარიის წინაშე ილია ჭავჭავაძისთვის ჟურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების ნებართვის მისაცემად. ►

**1885 4 ნოემბერი**

ანდრია ლულაძე წერილობითი თხოვნით მიმართავს ეშნ-კვ საზოგადოების თავმჯდომარეს – ილია ჭავჭავაძეს, რომ საზოგადოებამ თავის დაქვემდებარებაში მიიღოს და მფარველობა გაუწიოს პედაგოგიურ ჟურნალ „ნობათს“. ►

**1885 5 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ილია ჭავჭავაძის წინადადებით იღებენ დადგენილებას, რომ შეიძინონ კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მასალების ყველა ტომი, რომელიც ბიბლიოთეკას არა აქვს. იღებენ დადგენილებას, რომ საგანგებოდ გამოყოფილმა კომისიამ წარმოადგინოს პროექტი გამოსაცემი ან სათარგმნი სახელმძღვანელოებისა. დიდი თონეთის სკოლას შუამდგომლობას უწევს სახაზინო მამულების გამგებელთან სახელმწიფო ტყიდან სკოლისათვის საჭირო შეშის გამოტანის ნებართვის მისაღებად. ასევე იღებენ დადგენილებას შეიძინონ ვასილი პოტოს რუსულენოვანი ხუთტომეული „კავკასიის ომი ცალკეულ ნარკვევებში, ეპიზოდებში, ლეგენდებსა და ბიოგრაფიებში“. ►

**1885 ნოემბერი**

გრიგოლ ყიფშიძეს უგზავნის არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანს“. სთხოვს დაბეჭდოს მის მიერ მიცემული სათაურით, ავტორისა კი სქოლიოში ჩაიტანოს. ტექსტი იბეჭდება ჟურნალ „ივერიის“ ბოლო ნომერში. სულ 1880-1885 წლებში გამოვიდა ამ ჟურნალის 74 ნომერი. ►

**1885 3 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც გამგეობა უარს ამბობს მათი ნებართვის გარეშე თარგმნილი ფიზიკის სახელმძღვანელოს ბეჭდვაზე. ნიკოლოზ ცხვედაძეს ევალეზა მოამზადოს წერილი სახალხო სკოლების დირექტორთან გასაგზავნად მცხეთისა და ვაყის სკოლების დირექტორებად სანდო კანდიდატების წარდგენასთან დაკავშირებით. ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ანტონ ფურცელაძეს ავალეზენ ქართულად დაწერილი რომანის „ბაბა-ამირიანის“ გადანერას. იღებენ გადაწყვეტილებას ზაქარია ჭიჭინაძისაგან წიგნებისა და პოლიევექტოს კარბელაშვილისგან ძველი მონეტების შეძენის თაობაზე. მადლობას უცხადებენ ილია ჭავჭავაძეს ცხრა ხელნაწერი წიგნის შეწირვისთვის. ►

**1885 4 დეკემბერი**

ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველო წერილობით მიმართავს კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის გამგეს ილია ჭავჭავაძისათვის ყოველდღიურ გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვის მისაცემად. ►

**1885 8 დეკემბერი**

ჟურნალ „თეატრის“ რუბრიკაში „ჩვენ ლიტერატურაზე“ რაჟდენ ჩიკვაძე „ალისუბნელის“ ფსევდონიმით წერს „ივერიის“ მიმართ მკითხველის უმადურობაზე. მისი აზრით ჟურნალის ხარისხს ავტორთა მოტივაცია განაპირობებს. ამიტომ ხელახლა წამოჭრის საკითხს ლიტერატურული ფონდის დაარსებასთან დაკავშირებით. ►

**1885 18 დეკემბერი**

აგროვებს ხელმოწერებს გაზეთ „ივერიაზე“. ►

**1885 20 დეკემბრამდე**

ექვთიმე ხელაძის სტამბაში ბეჭდავს გაზეთ „ივერიის“ სარეკლამო ფურცელს და პროგრამას. ►

**1885 20 დეკემბრამდე**

გაზეთის დასაბეჭდად ასოებს საქართველოშივე ასხმევენებს. ►

**1885 20 დეკემბრამდე**

ილია ოქრომჭედლიშვილს უგზავნის წერილს, რომელშიც სთხოვს, რომ პეტერბურგში შეუძინოს ქალაქი გაზეთ „ივერიის“ დასაბეჭდად. ►

**1885 20 დეკემბერი**

საპასუხო ბარათს უგზავნის იონა მეუნარგიას, თან ურთავს გაზეთ „ივერიის“ პროგრამას და სთხოვს სტატიების მიწოდებას. ამავე თხოვნას უთვლის ნიკო ნიკოლაძესაც. ►

- 1885 30 დეკემბერი**  
სადარბაზო ბარათებით ინვესტს რაფიელ ერისთავს, აკაკი წერეთელსა და დავით ერისთავს. სთხოვს, ერთად აღნიშნონ ახალი წელი და გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლა. ►
- 1885 30-31 დეკემბერი**  
აკაკი წერეთლის მიპატიჟების პასუხად იღებს შეტყობინებას, რომ თბილისში არ იმყოფება. ►
- 1885 31 დეკემბერი**  
გაზეთ „ივერიის“ რედაქციის დარბაზში ახალბებუთოვის ქუჩაზე ახალი წლის და გაზეთის პირველი ნომრის მოლოდინში მასპინძლობს ორმოცამდე მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს: რაფიელ ერისთავს, ნიკო ხიზანიშვილს, კოლა ერისთავს, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებს, სტეფანე ჭრელაშვილს და სხვ. ►
- 1885 დეკემბრის ბოლო**  
ალექსანდრე ყაზბეგს, სოფრომ მგალობლიშვილს, ნიკო ლომოურს, ეგნატე იოსელიანს, დავით კარიჭაშვილს, მიხეილ მაჩაბელსა და სხვებს სტამბურად დაბეჭდილიწერილითაცნობებს, რომ 1886 წლის 1 იანვრიდან გამოვაყოველდღიური გაზეთი „ივერია“, უგზავნის პროგრამას და სთხოვს თანამშრომლობას. ►
- 1885 დეკემბრის ბოლო**  
ეჭვთიშე ხელაძის სტამბაში იბეჭდება სარეკლამო ფურცელი, რომელიც იუწყება, რომ 1886 წლის 1 იანვრიდან ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვა ყოველდღიური გაზეთი „ივერია“. ►
- 1885** მასპინძლობს გერმანიიდან მეორედ ჩამოსულ არტურ ლაისტს და მისგან საჩუქრად იღებს მიუნხენში გამოცემულ წიგნს „გოეთეს გალერია“, რომელშიც წარმოდგენილია გერმანელი კლასიკოსის მიერ შექმნილ პერსონაჟთა ილუსტრაციები. ►
- 1885** არტურ ლაისტი საგურამოში ილია ჭავჭავაძის დახმარებით იწყებს ქართველ პოეტთა ლექსების თარგმნას. ►
- 1885** ესწრება ალექსანდრე ოსტროვსკისა და ნიკოლოზ სოლოვიოვის კომედიის „ბედნიერი დღე“ წარმოდგენას, სადაც ფოსტის მოხელის როლში არაჩვეულებრივად თამაშობს ნოდარ ჯორჯაძე (საბუელი). ►
- 1885** მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის თსს ბანკის მმართველობის განვლილი წლის ანგარიში. ►
- 1885** ეშმ-კვ საზოგადოების წიგნსაცავს სწირავს ჟურნალ „ივერიის“ ყველა ნომერს, 10 „ქართლის ცხოვრებას“, 2 „სიტყვის კონას“, 7 ქართულ ხელნაწერ წიგნს, 9 ხელნაწერს და ძველებურ მონეტებს. ►
- 1886 1 იანვარი**  
ილია ჭავჭავაძის რედაქტორ-გამომცემლობით გამოდის გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც უსათაუროდ და ხელმოუწერლად იბეჭდება მისი მოწინავე „ტფილისი, 31 დეკემბერი“ (თხზულებათა კრებულებში სათაურად აქვს „ივერიის წინასიტყვაობა“) და ასტრონომით (\*\*\*) წერილი „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ („წავიდა ძველი წელიწადი...“). ►



**1886 2 იანვარი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი წერილობით მიმართავს თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს გაზეთ „ივერიის“ პროგრამის ცენზურის ნებადაურთველად დაბეჭდვის გამო და მოითხოვს მესტამბე ექვთიმე ხელაძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. ►

**1886 4 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 3 იანვარი“ („აზიაში რუსეთი და ინგლისი...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ავღანისტანის საქმე“. ►

**1886 4 იანვარი**

როგორც „ივერიის“ რედაქტორი ქმნკ-გ საზოგადოებისგან იღებს ოფიციალურ თხოვნას, რომ რედაქციამ უსასყიდლოდ უგზავნოს საზოგადოებას გაზეთის ყველა ნომერი. ►

**1886 5 იანვრამდე**

ჟურნ. „ივერიის“ გაზეთად გადაკეთებასთან დაკავშირებით სტამბურად ნაბეჭდ წერილს უგზავნის იმ პირებს, ვისთან თანამშრომლობასაც ისურვებდა. მათ შორის არიან: ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ეგნატე იოსელიანი, მიხეილ მაჩაბელი და ალექსანდრე ყაზბეგი. ►

**1886 5 იანვარი**

სხვა კოლეგებისაგან განსხვავებით, აკაკი წერეთელს, რომლის ღვანლის „გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელია“, უგზავნის ვრცელ წერილს, საგანგებოდ სთხოვს გაზეთ „ივერიაში“ თანამშრომლობას და დასძენს, რომ უმისობა გაზეთისთვის დიდი დანაკლისი იქნება. ►

**1886 5 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „ტფილისი, 4 იანვარი“ („როცა 6 სექტემბერს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბოლგარიის ამბები“. გაზეთის ამავე ნომერში ხონელის ფსევდონიმით იბეჭდება ილია ბახტაძის „სახელდახელო“, რომელშიც აღწერილია გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლა და საზეიმო თავყრილობა რედაქტორის სახლში. აქვეა დავით ერისთავის ნაკვესი „ექსპრომტი ახალი წლის ღამეს ნათქვამი „ივერიის“ რედაქციაში“: „ღმერთმა ინებოს, ილია, / არ მოგერიოს ძილია / და კარგათა გაგებარდოს / ეს მამისერთი შვილია!“ ►

**1886 8 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 7 იანვარს“ („პატიოსანი და ყოვლად მაღალზნეობისანი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქალი მასწავლებელი“. ►

**1886 9 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მოწინავეს „ტფილისი, 8 იანვარს“ („თუმცა ინგლისში ვიგებმა...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ვიგები და ტორები“. ►



**1886 10 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 იანვარს“ („გუშინდელ და დღევანდელ „ივერიის“ ფელეტონში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა“. ►

**1886 11 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 იანვარს“ („ეგრედ წოდებული „აღმოსავლეთის საქმე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „აღმოსავლეთის საქმე“. ►

**1886 12 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 იანვარს“ („ქვეყანაზედ არ არის იმისთანა სულიერი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სახასო გლეხთა მდგომარეობა“. აქვე „ხონელის“ ფსევდონიმით ქვეყნდება ილია ბახტაძის „სახელდახელო“, რომელშიც განხილულია სხვადასხვა პირთა მოსაზრებები გაზეთ „ივერიის“ შესახებ. ►

**1886 14 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 იანვარს“ („1550 წელნადზედ ცოტა მეტ-ნაკლებია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „წმინდა ნინოს დღესასწაული“. ►

**1886 15 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 იანვარს“ („ებლანდელს ყოფას ბალკანიის პატარა...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბალკანიის სახელმწიფოები“. ►

**1886 16 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 იანვარს“ („დღე-დღეზედ მოველოდებით დეპეშას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პარნელი და ირლანდიის საკითხი“. ►

**1886 17 იანვარამდე**

უბის წიგნაკში იწერს თემებს, რომლებზეც წერს სტატიებს. ესენია: პოლონელების განდევნა პრუსიიდან, კახეთის რკინიგზა, საკომლო მიწები და სხვ. ►

**1886 17 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 იანვარს“ („ჩვენ მოგვივიდა უცხოეთიდან ერთი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართული ენის ნორმების შესახებ“. ►

**1886 17 იანვარი**

გამომცემელი ვარლამ ჭილაძე ქუთაისიდან პეტერბურგში წერილით ატყობინებს ნიკო ნიკოლაძეს, რომ ილია ჭავჭავაძესთან დადო ხელშეკრულება მისი ნაწერების გამოცემის შესახებ. ►

**1886 18 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 18 იანვარს“ („გერმანიის პარლამენტმა დაიწყო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პოლიაკების განდევნა პრუსიიდან“. ►

**1886 19 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 19 იანვარს“ („მეორე დღესაც, ესე იგი ჩვენებურად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პოლიაკების განდევნა პრუსიიდან“. ►

**1886 19 იანვარი**

იღებს ივანე ხატიამვილის წერილს, რომელშიც საუბარია „ივერიაში“ ქართული ენის მართლწერის საკითხებთან დაკავშირებით დაბეჭდილ ალექსანდრე მირიანაშვილის სტატიამზე. ►

**1886 21 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 20 იანვარს“ („მას აქეთ, რაც „ივერია...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „შინაურ საქმეთა გამო“. ►

**1886 22 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 21 იანვარს“ („ჯერ ჩვენში ისიც არ არის გამოკვლეული...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „შინაურ საქმეთა გამო“. ►

**1886 23 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 იანვარს“ („თქმა არ უნდა, ძნელი გასამიჯნავია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მე“ და „ჩვენ“. ►

**1886 24 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 იანვარს“ („მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დავით მეფის ხსოვნის დღე“. ►

**1886 25 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 იანვარს“ („ჩვენი საუბარი „შინა“ და „შინაურობამდე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „შინა და შინაურობა“. ►

**1886 26 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 იანვარს“ („კაცმა რომ ჩვეულებრივი ნაჭეგ-უკუჭეგობა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „აღმოსავლეთის საქმე“ და დიპლომატია“. ►

**1886 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 იანვარს“ („რუსეთში დიდი ხანია დიდი სჭა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლახკაცობა და საკომლო მამული“. ►

**1886 29 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 იანვარს“ („ჩვენ ამას წინად მეთაურს წერილებში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბისმარკის პოლიტიკა“. ►

**1886 30 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 იანვარს“ („ჩვენს გუშინდელს გაზეთში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სახელმწიფო ტყეების საქმე“. ►

**1886 31 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 იანვარს“ („გერმანია შემდგარია რამდენისამე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბისმარკი და პრუსიის ლანდტაგი“. ►

**1886 იანვრის ბოლოდან**

ჟურნალ „თეატრში“ იბეჭდება განცხადება, რომ წიგნის მალაზიაში იყიდება მხატვარ ალექსანდრე ბერიძის მიერ შექმნილი ქართველი პოეტებისა და მწერლების პორტრეტები, მათ შორის, ილია ჭავჭავაძისა. ►

**1886 1 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 იანვარს“ („ივანე სერგეის ძე აქსაკოვი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ივანე აქსაკოვის გარდაცვალება“. ►

**1886 1 თებერვალი**

გაზეთ „თეატრში“ „მთიულის“ ფსევდონიმით იბეჭდება სტატია „ყოველდღიური გაზ. „ივერია“, რომელშიც საუბარია ილია ჭავჭავაძის რედაქტორ-გამომცემლობით გამომავალ გაზეთზე. ►

**1886 2 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 თებერვალს“ („როგორც ეტყობა, ბისმარკი აღარა...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბისმარკი და რომის პაპი“. ►

**1886 2 თებერვალი**

გაზეთისთვის იძენს ქალაქს. ►

**1886 4 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 თებერვალს“ („ეს თითქმის სამი კვირა არის...“) თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლადსტონი და სალიუსბერი ირლანდიის საკითხზე“. ►

**1886 5 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 თებერვალს“ („გუშინ ჩვენს გაზეთში გამოცხადებული...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართველი სტუდენტობა რუსეთში“. ►

**1886 6 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 5 თებერვალს“ („ბოლგარიისგან აწვნილს საქმეს...“) თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „რუსეთის გავლენის შესუსტება ბოლგარიაში“. ►

**1886 7 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 თებერვალს“ („რუსეთის დიპლომატურმა გაზეთმა...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ავსტრია და რუსეთი ბოლგარიის საკითხში“. ►

**1886 13 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 12 თებერვალს“ („სახელოვანის ინგლისის მეცნიერის...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საფრანგეთი 1886 წელს“. ►

**1886 14 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 თებერვალს“ („მეორე დიდი და ძლიერი სახელმწიფო...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დიდი ბრიტანეთი“. ►

**1886 15 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 თებერვალს“ („შიგნით ინგლისს ბევრი ტკივილი...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ინგლისის კოლონიები“. ►

**1886 16 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 თებერვალს“ („მესამე დიდი სახელმწიფო ევროპისა...“) თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ავსტრო-ვენგრია“. ►

**1886 18 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 17 თებერვალს“ („ავსტრიას ბედმა არგუნა...“) თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ავსტრია და მისი ეროვნული პრობლემები“. ►

**1886 19 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 თებერვალს“ („მეოთხე სახელმწიფო, რომელსაც ეხლანდელს...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „იტალია“. ►

**1886 20 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 თებერვალს“ („იტალიას ერთი იმისთანა სატკივარი...“) თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „იტალია და რომის პაპი“. ►



- 1886 21 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 თებერვალს“ („ვიდრე გერმანიის ვითარებას შევუდგებოდეთ...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები ევროპაში“. ►
- 1886 22 თებერვალი**  
გაზეთ „თეატრში“ „დავით სოსლანის“ ფსევდონიმით იბეჭდება დავით კვებლის სტატიის „მე თუ ჩვენ? შენ თუ თქვენ?“ დასაწყისი. იგი მიმართულია გაზეთ „ივერიისა“ და მასში დაბეჭდილი ილიასეული ფელეტონების წინააღმდეგ. ►
- 1886 25 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 თებერვალს“ („1870 წლამდე, როგორც მოგეხსენებათ...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბისმარკის საგარეო პოლიტიკა“. ►
- 1886 26 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 თებერვალს“ („ჩვენა ვსთქვით გუმინდელს ნომერში...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ეკონომიკური განწყობილობა გერმანიაში“. ►
- 1886 27 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 თებერვალს“ („შინაური საქმეები გერმანიას...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გერმანიის შინაური საქმეები“. ►
- 1886 28 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 თებერვალს“ („ბისმარკი არაფერს არ ერიდება...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბურჟუათა წყობა გერმანიისა“. ►
- 1886 1 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 თებერვალს“ („ეხლანდელი სამინისტრო სახელმწიფოთა...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ“. ►
- 1886 1 მარტი**  
გაზეთ „თეატრში“ „დავით სოსლანის“ ფსევდონიმით იბეჭდება დავით კვებლის სტატიის „მე თუ ჩვენ? შენ თუ თქვენ?“ დასასრული. იგი მიმართულია გაზეთ „ივერიისა“ და მასში დაბეჭდილი ილიასეული ფელეტონების წინააღმდეგ. ►
- 1886 2 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 მარტს“ („ვინც ჩვენებურს სოფლებს...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“. ►
- 1886 4 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 მარტს“ („საკვირაო ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სახასო გლეხთა მამულების შესახებ“. ►

**1886 5 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 5 მარტს“ („ჯერ თუმცა მარტო ამბავად...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის რკინიგზა“. ►

**1886 6 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 6 მარტს“ („კახეთზედ რომ არ გაიყვანეს...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება საერთო სათაურით „კახეთის რკინიგზა“. ►

**1886 6 მარტი**

ქართულ დრამატულ საზოგადოებში შეაქვს სანევრო გადასახადი. ►

**1886 7 მარტამდე**

ალექსანდრე ჭყონიას, იაკობ გოგებაშვილს, პეტრე უმიკაშვილს, ივანე მაჩაბელს და ქართული ენისა და ლიტერატურის სხვა გულშემმატკივრებს უგზავნის სტამბურად დაბეჭდილ უწყებას იმის შესახებ, რომ 8 მარტს „ივერიის“ რედაქციაში გაიმართება სხდომა სალიტერატურო ქართულის სადავო საკითხებთან დაკავშირებით. ►

**1886 7 მარტი**

იღებს წერილს ალექსანდრე ჭყონიასგან, რომელიც ატყობინებს, რომ ქალაქში არყოფნის გამო ვერ დაესწრება საგრამატიკო საკითხების განსახილველად დანიშნულ კრებას. წერილში პუნქტობრივადაა ჩამოყალიბებული ადრესანტის აზრი ქართული ენის მართლწერის საკითხებთან დაკავშირებით. ►

**1886 8 მარტი**

წერილს უგზავნის საცენზურო კომიტეტის მდივან ლუკა ისარლიშვილს და სთხოვს, არ შეაფერხოს „საგრამატიკო საკითხების პროგრამის“ ბეჭდვაზე ნებართვის გაცემა, რადგან იგი გაზეთში უნდა გამოქვეყნდეს. ►

**1886 8 მარტი**

გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში მისი თაოსნობით ტარდება ქართული ენის მესვეურთა თათბირი სალიტერატურო ქართულის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად. ►

**1886 8 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 7 მარტს“ („გათავდა თუ არა ბოლგარეთ-სერბიის საქმე...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბალკანიის ნახევარკუნძული და ევროპის სახელმწიფოები“. ►

**1886 9 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 8 მარტს“ („ევროპაში დღეს ორი სახელმწიფო...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბისმარკი და გლადსტონი“. ►

**1886 9 მარტი**

გაზეთ „თეატრში“ „დავით სოსლანის“ ფსევდონიმით იბეჭდება დავით კვბელის სტატია „წერილი მეგობართან“, რომელშიც გაკრიტიკებულია გაზეთ „ივერიის“ მიმართულება, დაწუნებულია მისი ლიტერატურული ნაწილი, განსაკუთრებით კი – განყოფილებები „დამაკვირდი“ და „ნაკვესი“. ►

**1886 10 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 მარტს“ („რუსეთის რუკას რა შეხედავს კაცი...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „რუსეთის საზღვაო გზები“. ►

**1886 11 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 მარტს“ („დღეს ევროპაში სამი უმთავრესი...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მუშათა ყოფაცხოვრების საქმე ევროპაში“. ►

**1886 12 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 11 მარტს“ („სახასო სოფლის მიწების დაყოფვა...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, ოცტომეულში კი – „სახასო სოფლის მიწები“. ►

**1886 13 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 12 მარტს“ („დღესაც დარჩენილი და ძველ გუჯრებში...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, ოცტომეულში კი – „სახასო სოფლის მიწები“. ►

**1886 14 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 მარტს“ („უკანასკნელმა პოლიტიკურმა ამბებმა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ისევ აღმოსავლეთის საქმის გამო“. ►

**1886 15 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 14 მარტს“ („რუსეთის мир-ში ადგილმამული ყოველს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „რუსეთის Мир და სოფლის მამულები“. ►

**1886 16 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 15 მარტს“ („გუშინდელს ნომერში ჩვენი აზრი...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება საერთო სათაურით „რუსეთის Мир და სოფლის მამულები“. ►

**1886 18 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 მარტს“ („ხელახლად აირია, როგორც სჩანს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბალკანეთის საქმეები“. ►

**1886 19 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 მარტს“ („ჩვენ წინანდელ წერილებში...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, ხოლო ოცტომეულში – „მამულების დაყოფა სოფლის განაჩენში“. ►

**1886 20 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 მარტს“ („ეხლანდელი საპოლიტიკო ყოფა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საპოლიტიკო ყოფა ევროპაში“. ►

**1886 21 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 მარტს“ („ჩვენ წინადავე ვსთქვით, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მუშათა ანღრევა“. ►

**1886 22 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 მარტს“ („წელიწადი ისე არ გავა, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მამულის დაზღვევა სეტყვისაგან“. ►

**1886 23 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 მარტს“ („ამ მოკლე ხანში გლადსტონი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლადსტონის კანონპროექტი ირლანდიის შესახებ“. ►

**1886 25 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 მარტს“ („ამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარმა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ირლანდია და ინგლისი“. ►

**1886 27 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 მარტს“ („ეკონომიურის წყობის შესახები საქმე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ეკონომიკური წყობა ინგლისისა“. ►

**1886 28 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 მარტს“ („ნორმანებმა რომ დაიპყრეს ინგლისი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მინათმფლობლობა ინგლის-ვალისისა“. ►

**1886 29 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 მარტს“ („მეორე ნაწილი ეხლანდელის ინგლისისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მინათმფლობლობა შოტლანდიისა“. ►

**1886 30 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 მარტს“ („ირლანდია, რომელსაც თვითონ იქაურნი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ირლანდიის ისტორია“. ►



**1886 30 მარტი**

გაზეთ „თეატრში“ „დავით სოსლანის“ ფსევდონიმით იბეჭდება დავით კვბელის სტატიები „ნახე ბიჭი“ და „ქართული გაზეთის რედაქციაში (სიზმარი)“, რომლებიც მიმართულია „ივერიისა“ და მისი რედაქტორის წინააღმდეგ. ►

**1886 31 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 31 მარტს“ („ვიდრე ინგლისი დაისაკუთრებდა ირლანდიას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ირლანდიის დაპყრობა“. ►

**1886 1 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 1 აპრილს“ („რაკი ირლანდიაში სამი მეოთხედი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ირლანდიის სილატაკის მიზეზები“. ►

**1886 2 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 1 აპრილს“ („ჩვენა ვსთქვით, რომ ირლანდიაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მოუსავლიანობა ირლანდიაში“. ►

**1886 4 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 3 აპრილს“ („შიშვით სიკვდილმა, გახიზვამ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „აჯანყებები ირლანდიაში“. ►

**1886 5 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 4 აპრილს“ („ქვეყნიერობაზედ ბევრი არ არის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „იერიში მიწათმფლობელებზე ინგლისში“. ►

**1886 6 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 5 აპრილს“ („სახელოვანი კანონი გლადსტონისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლადსტონის კანონი მიწათმფლობელების მიმართ“. ►

**1886 6 აპრილი**

გაზეთ „თეატრში“ იბეჭდება დასაწყისი სილოვან ხუნდაძის წერილისა „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“. მასში გაკრიტიკებულია ილია ჭავჭავაძე და გაზეთ „ივერიის“ თანამშრომლები. ►

**1886 8 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 7 აპრილს“ („ბალკანეთის ნახევარკუნძულის საქმენი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საბერძნეთი და ბალკანეთის საქმეები“. ►

**1886 9 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 აპრილს“ („ჩვენი, ქართველების ხასიათი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თავადაზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“. ►

**1886 10 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 აპრილს“ („გაზეთებმა გვაუწყეს, რა ამბავი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლადსტონის კანონპროექტის გამარჯვება“. გაზეთის ამავე ნომერში, „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიძის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ლექსს „ამონვდილს ხმალსა მტრისასა...“. ►

**1886 10 აპრილი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც საზოგადოების ფინანსური მხარის გასაძლიერებლად იღებენ დადგენილებას სალიტერატურო-სასიმილერო სალამოს გამართვის თაობაზე. გადანყვეტილების თანახმად სალამოში მონაწილეობა უნდა მიიღონ ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და რაფიელ ერისთავმა. გარდა ამისა, იგეგმება საცირკო წარმოდგენისა და ჭიდაობაში შეჯიბრის გამართვა. ილია ჭავჭავაძეს სთხოვენ კახეთიდან მომღერალთა გუნდისა და მოჭიდავე ნესტორ ესებუას მონწვევას. ►

**1886 13 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 აპრილს“ („ქრისტე აღზდგა!.. აღზდგა ჭვარცმული...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქრისტე აღსდგა“. ►

**1886 13 აპრილი**

გაზეთ „თეატრში“ იბეჭდება დასასრული სილოვან ხუნდაძის წერილისა „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“, „მთიულის“ ფსევდონიმით – სატირული ფელეტონი „კისრული“ და „ანტონ კათალიკოზის“ ხელმოწერით – „დეპეშა“ (საიქიოდან) გაზეთ „ივერიის“ რედაქტორს და მის თანამშრომლებს“. სამივე სტატიაში არის გაზეთ „ივერიის“, მისი რედაქტორისა და პუბლიკაციების ენის კრიტიკა. ►

**1886 17 აპრილამდე**

მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავის საიუბილეოდ ქმნ-კვ საზოგადოებისა და გაზეთ „ივერიის“ სახელით დეპეშებს უგზავნის მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორს, არმენოლოგ ნიკიტა ემინს. ►

**1886 17 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 აპრილს“ („ცოტას დარჩა და საქმემ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საბერძნეთი და ევროპის ქვეყნები“. ►

**1886 18 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 აპრილს“ („გუშინდელს «Новое обозрение»-ს ნომერში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დასავლეთის ეტიკეტი“. ►

**1886 19 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 აპრილს“ („გაზეთებს თანდათან სტამბის წამლის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ევროპა ომის მოლოდინში“. ►

**1886 20 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 აპრილს“ („გლადსტონის კანონ-პროექტმა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პარლამენტი და გლადსტონის კანონპროექტი“. აქვე „ლარიდის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსს „ხმალი იმოდენს ვერას იქმს...“ ►

**1886 20 აპრილი**

გაზეთ „თეატრში“ „რ. ალისუბნელის“ ფსევდონიმით იბეჭდება რაჭდენ ჩიკვაიძის წერილი „ჩვენ პუბლიცისტებთა მიმართ“, რომელშიც გაკრიტიკებულნი არიან ილია ჭავჭავაძე და „ივერიის“ თანამშრომელი ილია ხონელი. ►

**1886 21 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 აპრილს“ („მარშან იუსტიციის სამინისტროს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მომრიგებელი სასამართლოების შესახებ“. ►

**1886 23 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 აპრილს“ („დადგა გაზაფხული, ბუნებამ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მოსავლის მავნებლებთან ბრძოლის შესახებ“. ►

**1886 24 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 აპრილს“ („ერის ძალა და ღონე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სერბიის განსაცდელი“. ►

**1886 25 აპრილამდე**

ვაჟა ფშაველას პოემა „მოხუცის ნათქვამს“, რომელიც სამი წელი ელოდა საბავშვო ჟურნალ „ნობათში“ გამოქვეყნებას, ხმამაღლა კითხულობენ „ივერიის“ რედაქციაში. ილია ჭავჭავაძის თხოვნით გრიგოლ ყიფშიძე ტექსტს მეორედაც კითხულობს, ამის შემდეგ კი დიდი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი ილია დამსწრეთ ეუბნება: „არა, ჩვენ ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!“. იგი ვაჟა-ფშაველას უნიშნავს ჰონორარს და სთხოვს, რომ რეგულარულად უგზავნოს გაზეთ „ივერიას“ თავისი თხზულებები. ►

**1886 25 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 აპრილს“ („ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ახალი დასის მოლოდინში“. ►

**1886 26 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 აპრილს“ („სერბიასა და ბოლგარიას გარდა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საბერძნეთი თოფქვეშ“. ►

**1886 27 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 26 აპრილს“ („ჩვენი ხალხი ძველის დროიდანვე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი“.

**1886 28 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 27 აპრილს“ („უკანასკნელ დეპეშებს რომ დავაკვირდეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ევროპა ომის წინ“.

**1886 29 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 29 აპრილს“ („აპრილის დასასრული და მაისის დასაწყისი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოებათა საანგარიშო კრებები“.

**1886 30 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 30 აპრილს“ („ამ უკანასკნელს ორმოცს წელიწადში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლადსტონის ღვაწლი“.

**1886 4 მაისი**

გრიგოლ არწრუნისეულ ქარვასლაში (დღევანდელი თბილისის ისტორიის მუზეუმის შენობა) თავმჯდომარეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წლიურ კრებას.

**1886 4 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 2 მაისს“ („უმეცრება – აი უმთავრესი სენი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი ხალხი და განათლება“. აქვე „ლარიძის“ ფსევდონიმით აქვეყნებს საკუთარ სენტენციას „კეთილშობილთ მტერთა შორის მოციქული ნამუსია“.

**1886 5 მაისი**

თავმჯდომარეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წლიურ კრებას.

**1886 6 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 5 მაისს“ („იყო დრო, როცა ნავთის ხმარება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ნავთობის ბაჟი“.

**1886 6 მაისი**

ესწრება ქართული დრამატული საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას, რომელიც ტარდება ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორის“ პირველად წარმოდგენის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით.

**1886 6-7 მაისი**

თავმჯდომარეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წლიურ კრებას.



**1886 9 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 მაისს“ („ეჭვს მაისს ჩვენის დრამატულის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გოგოლის „რევიზორის“ საიუბილეოდ“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიძის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსს „შუბი დიდია და მძლავრი...“ ▶

**1886 9 მაისი**

გაზეთ „კავკაზში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია ილია ჭავჭავაძის წერილები ხიზნების შესახებ. ▶

**1886 11 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 10 მაისს“ („დიდი ხანია გამოცხადებული იყო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის კრების გამო“. ▶

**1886 12 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 12 მაისს“ („თვითმოქმედება, თავით თვისით საქმის აჩენა...“) თხზულებათა კრებულებში იბეჭდება საერთო სათაურით „თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის კრების გამო“. ▶

**1886 13 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 13 მაისს“ („ჩვენ გუშინდელ ნომერში ვსტყვით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება საერთო სათაურით „თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის კრების გამო“. ▶

**1886 15 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 მაისს“ („ევროპის დიპლომატების ყურადღება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გერმანიის ურთიერთობა ინგლის-საფრანგეთთან“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში, „ლარიძის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ლექსს „თუ სახელის შოვნა გინდა...“ ▶

**1886 15 მაისი**

ირჩევენ ქმნ-კვ საზოგადოების თავმჯდომარედ. ▶

**1886 17 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 მაისს“ („ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტის მიმნიჭებელ...“). მწერლის თხზულებათა ანთომეულში სხვა წერილებთან გაერთიანებულია სათაურით „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“, ოცტომეულში კი დაბეჭდილია სათაურით „გლადსტონის ახალი პროექტი და ირლანდიის საკითხი“. ▶

**1886 18 მაისი**

ესწრება რუსი მსახიობის – ვლადიმერ ჩარსკის (ჩისტიაკოვის) დასის მიერ დადგმულ „ჰამლეტს“ გრიგოლ არწრუნის თეატრში. ▶

**1886 18 მაისის შემაჯავებელი**

უბის წიგნაკში იწერს შენიშვნებს შექსპირის „ჰამლეტის“ რუსულ წარმოდგენასთან დაკავშირებით. ►

**1886 20 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 მაისს“ („გლადსტონის პროექტი ირლანდიის პარლამენტის გამო...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სხვა წერილებთან გაერთიანებულია სათაურით „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“, ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბრძოლა პარლამენტში გლადსტონის პროექტის გამო“. ►

**1886 21 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 მაისს“ („კარგი გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევენება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი“. ►

**1886 22 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება დიმიტრი ყიფიანის გამოხმაურება ამავე გაზეთის 13 და 14 მაისის ნომრებში გამოქვეყნებულ ილია ჭავჭავაძის მონინავეებზე თბილისისა და ქუთაისის ბანკების შესახებ. ►

**1886 24 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 მაისს“ („გაზეთმა „კავკაზ“-მა ამ უკანასკნელ დროს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გაზეთ „კავკაზის“ წერილების გამო“. გაზეთის ამავე ნომერში ქუთაისის ბანკის თემას ეხმიანება აკაკი წერეთელი. ►

**1886 25 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი მონინავეწერილისათარიღით „ტფილისი, 24 მაისს“ („ჩვენჩვენი აზრიწარმოვსთქვით ორს მეთაურს წერილში...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სხვა წერილებთან გაერთიანებულია სათაურით „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“), ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან თბილისის საადგილმამულო ბანკის გამო“. ►

**1886 27 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 26 მაისს“ („არამცთუ საზოგადოებრივს საქმეში, კერძო კაცის საქმეშიაც...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სხვა წერილებთან გაერთიანებულია სათაურით „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“), ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან თბილისის საადგილმამულო ბანკის გამო“. ►

**1886 28 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 27 მაისს“ („თქვენ უნდა გეფიქრათ, ჩვენს მინისტრებსაო, –ბრძანებს ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სხვა წერილებთან გაერთიანებულია სათაურით „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“), ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან თბილისის საადგილმამულო ბანკის გამო“.

**1886 29 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 28 მაისს“ („რამდენსაც ტყეში შორსა და შიგნით შესდიხართ...“) მწერლის თხზულებათა ათტომეულში სხვა წერილებთან გაერთიანებულია სათაურით „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“), ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან თბილისის საადგილმამულო ბანკის გამო“. გაზეთის ამავე ნომერში ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „ცალკე საკითხავები“ (ბ-ნი დიმიტრი ყიფიანის წერილის გამო).

**1886 30 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 30 მაისს“ („ბ-ნი ყიფიანი ეუბნება ბანკებს...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სხვა წერილებთან გაერთიანებულია სათაურით „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“), ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან თბილისის საადგილმამულო ბანკის გამო“.

**1886 გაზაფხული**

სტუმრობს სათავადაზნაურო სკოლის პანსიონს, სიტყვით მიმართავს მოსწავლეებს და იწვევს თავისთან სახლში.

**1886 1 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით თარიღით „ტფილისი, 31 მაისს“ („ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი რომ...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სხვა წერილებთან გაერთიანებულია სათაურით „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“), ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან თბილისის საადგილმამულო ბანკის გამო“. გაზეთის იმავე ნომერში აქვეყნებს დიმიტრი ყიფიანის საპასუხო წერილს ბანკის საკითხებთან დაკავშირებით „ბატონო რედაქტორო!“.

**1886 4 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 3 ივნისს“ („ეს ერთი თვე, თუ მეტ-ნაკლები, იქნება, რაც გაზეთები ლაპარაკობენ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დავა საზღვრის გამო რუსეთსა და ჩინეთს შორის“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიძის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ლექსს „სიკვითით სძლიე შენს მტერსა...“

**1886 5 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს: „ტფილისი, 4 ივნისს“ („კაცობრიობის წინსვლას სათავეში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლადსტონის პროექტი ირლანდიის თვითმმართველობის შესახებ“. ►

**1886 6 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს: „ტფილისი, 5 ივნისს“ („რით გათავდება გლადსტონის მეცადინეობა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ირლანდიის თვითმმართველობის უფლება და მისი მოწინააღმდეგენი“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიძის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ლექსს „ვაჟკაცთ ცრემლსა რად უძრახვენ...“ ►

**1886 7 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად იწყებს ვრცელი პოლემიკური ხასიათის სტატიის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 6 ივნისს“ („ბ-ნი აკაკი წერეთელი თავის წერილში, რომელიც „ივერიის“ № 110-ში იყო დაბეჭდილი..“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „აკაკი წერეთელი და ბანკი“. ►

**1886 8 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 7 ივნისს“ („ჩვენ წინა წერილში აკაკის საპასუხოდ ისა ვსთქვით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სხვა წერილებთან ერთად სათაურით „აკაკი წერეთელი და ბანკი“. ►

**1886 10 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 9 ივნისს“ („საადგილმამულო კრედიტის აკკარგიანობის დაფასება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სხვა წერილებთან ერთად სათაურით „აკაკი წერეთელი და ბანკი“. ►

**1886 11 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ასრულებს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 10 ივნისს“ („ბანკიც იგივე რუღეტკა იყოვო“, – ბრძანებს ბ-ნი აკაკი წერეთელი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სხვა წერილებთან ერთად სათაურით „აკაკი წერეთელი და ბანკი“. ►

**1886 11 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ ფრანგმა მწერალმა ქალმა კანდიანი კოლონამ პროზაულად თარგმნა ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“. ►

**1886 12 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 11 ივნისს“ („ევროპას რომ კაცმა თვალი გადაავლოს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ევროპის პოლიტიკური ვითარების მიმოხილვა“. გაზეთის ამავე ნომერში იწყება ქმნ-კვ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიშის ბეჭდვა. ►



**1886 13 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 12 ივნისს“ („მთელი ევროპის ჟურნალ-გაზეთობა ეხლა თითქმის მარტო ბავარიის კოროლის ამბავზეა მოცლილი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბავარიის მეფე ლუდვიგ II“. გაზეთის ამავე ნომერში გრძელდება ქმნ-კგ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიშის ბეჭდვა. ►

**1886 14 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 13 ივნისს“ („გუშინ დეპეშამ მოგვითხროს ამბავი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პრინციების განდევნის საქმე“. გაზეთის ამავე ნომერში გრძელდება ქმნ-კგ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიშის ბეჭდვა. ►

**1886 15 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 14 ივნისს“ („ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ყოვლად სამწუხარო ამბავი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პასუხი „Новое Обозрение“-ს“. გაზეთის ამავე ნომერში გრძელდება ქმნ-კგ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიშის ბეჭდვა. ►

**1886 15 ივნისი**

ქმნ-კგ საზოგადოების სახელით წერილობითი თხოვნით მიმართავს გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჯავახიშვილის მემკვიდრეებს, რომ ნება დართონ საზოგადოებას, გამოსცეს ამ პოეტთა თხზულებები. ►

**1886 17 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 16 ივნისს“ („ბავარიის კოროლის უცნაურმა სიკვდილმა ყურები აცქვიტინა დიპლომატიას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბავარია და ბისმარკი“. გაზეთის ამავე ნომერში გრძელდება ქმნ-კგ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიშის ბეჭდვა. ►

**1886 18 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 17 ივნისს“ („გაზეთებს ერთი ასეთი ზორობა ამბავი არ გამოჰპარვიათ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა“. ►

**1886 19 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 18 ივნისს“ („ინგლისის პარლამენტი დათხოვნილია და ახლა არჩევანია დანიშნული...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დასთა შორის ბრძოლა პარლამენტში“. ►

**1886 20 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 19 ივნისს“ („ბალკანეთის ნახევარკუნძულის საქმე ნამეტნავად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „რუსეთი და ბულგარეთი“. ►

**1886 21 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 20 ივნისს“ („ყოფნა თუ არყოფნაო“ – წარმოსთქვა ერთხელ შექსპირის ჰამლეტმა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბრძოლა გლადსტონის პროექტის გამო“. ►

**1886 22 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 21 ივნისს“ („21-ს ივნისს საქართველოს ეკვლესია ადიდებს სახელს მეფის ლუარსაბისას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ლუარსაბ წამებული“. ►

**1886 24 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 23 ივნისს“ („ბულგარეთის მთავარმა ალექსანდრემ ლამის ხელახლად აშალოს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მთავარი ალექსანდრე და ბალკანეთის პრობლემა“. ►

**1886 25 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 24 ივნისს“ („ქალაქებს მინიჭებული აქვთ უფლება შინაურის, ესე იგი, საქალაქო საქმეების თვითმართველობითი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის თეატრის მშენებლობის გამო“. გაზეთის ამავე ნომერში გრძელდება ქმნ-კვ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიშის ბეჭდვა. ►

**1886 26 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 25 ივნისს“ („დღეს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის წერილი...“) თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დიმიტრი ყიფიანი და საადგილმამულო ბანკი“. გაზეთის იმავე ნომერში ქვეყნდება დიმიტრი ყიფიანის გამოხმაურება („ბატონო რედაქტორო“) ბანკთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებულ წერილებზე. ►

**1886 27 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება აკაკი წერეთლის სტატია „ბ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ“. იქვე, „დამაკვირდის“ რუბრიკაში ილია ჭავჭავაძე „ლარიძის“ ფსევდონიმით ბეჭდავს თავის ლექსს „წუთისოფელი ესეა...“ ►

**1886 28 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 27 ივნისს“ („კვლავ მოიგრაგნა პოლიტიკური ცა ღრუბლებითა და ლამის კვლავ ატყდეს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბულგარეთის მთავრის სიტყვა და მისი შედეგი“. ►

**1886 28-29 ივნისი**

მეუღლესა და მის დისწულ სვიმონ სტაროსელსკისთან ერთად ესწრება გამოცდებს სოფელ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. ►

**1886 29 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 28 ივნისს“ („ჩვენ აუარებელი ლექსები მოგვდის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“.

**1886 1 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 30 ივნისი“ („ჩვენს გაზეთში ამას წინათ კორრესპონდენცია იყო დაბეჭდილი ბათუმიდან და აღწერილი იყო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბათუმის პორტო–ფრანკოს გაუქმება“).

**1886 2 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი 1 ივლისი“ („ბევრი ხანი არ არის, რაც სოფელს წინამძღვრიანთკარში დუშეთის მაზრაში, გაიმართა ქართული სამეურნეო სკოლა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „წინამძღვრიანთკარის ქართული სამეურნეო სკოლა“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიძის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსს „ვაჟკაცად იმას არ ვაქებ...“

**1886 3 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ გრძელდება ქმნ-კვ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიშის ბეჭდვა.

**1886 4 ივლისი**

წერილს უგზავნის დიმიტრი ყიფიანს ბანკში დასაგირავებელი მიწის ნაკვეთის გვემასთან და განჩინების შედგენასთან დაკავშირებით.

**1886 4 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 ივლისი“ („დღევანდელი პოლიტიკური ყოფა-ცხოვრება ევროპისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პოლიტიკური ვითარება ევროპაში“. გაზეთის ამავე ნომერში სრულდება ქმნ-კვ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიშის ბეჭდვა.

**1886 5 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად იწყებს პოლემიკური შინაარსის ვრცელი მონინავე სტატიის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 4 ივლისი“ („ბატონი დიმიტრი ყიფიანი ერთს დროს სულ სხვა აზრისა ბძანდებოდა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კამათი კვლავ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის საკითხებზე“.

**1886 6 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 5 ივლისი“ („წინა წერილში ხომ ვნახეთ, რომ ბ-ნმა ყიფიანმა მის მიერ განზრახულ ბანკს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კამათი კვლავ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის საკითხებზე“.

**1886 8 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 7 ივლისი“ („ეხლა განვიხილოთ, რაგვარ იცვალა ბ-ნ ყიფიანის აზრი მამულს გაუსყიდებლობაზე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კამათი კვლავ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის საკითხებზე“. ►

**1886 9 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 8 ივლისი“ („წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ 1884 წ. ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა წარუდგინა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კამათი კვლავ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის საკითხებზე“. ►

**1886 10 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 ივლისი“ („გუშინდელმა დეპეშამ, დღეს დაბეჭდილმა ჩვენს „ივერიაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გლადსტონის სამინისტროს გადადგომა“. ►

**1886 11 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 ივლისი“ („გამოჩენილი მაღალაზროვანი ფილოსოფოსი კუშმა პრუტკოვი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პასუხი „ტურისტს““. ►

**1886 12 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 11 ივლისი“ („წინად მოგახსენებთ, რომ ბ-ნი ყიფიანი 1884 წელს გორის თავადაზნაურთა კრების წინამე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კამათი კვლავ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის საკითხებზე“. ►

**1886 13 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 12 ივლისი“ („რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი სარგებელს ახდევინებს, იმ ზომით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კამათი კვლავ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის საკითხებზე“. ►

**1886 15 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 14 ივლისი“ („მეორე მუხლი, რომელზედაც ბ-ნს ყიფიანს დაუპირებია მაგრად დგომა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კამათი კვლავ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის საკითხებზე“. ►

**1886 16 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 ივლისი“ („1870 წლის დამარცხება საფრანგეთს აქამდე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთის სამხედრო მინისტრი გენერალი ბულანჟე“. ►



**1886 17 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ასრულებს პოლემიკური წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 16 ივლისი“ („მესამე უკანასკნელი მუხლი, რომლიდანაც არგამოსვლას ბ-ნი ყიფიანი გვპირდება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კამათი კვლავ დიმიტრი ყიფიანთან ბანკის საკითხებზე“. ►

**1886 17 ივლისი**

ესწრება ტაძრის დღესასწაულს ავლაბრის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში. წირვას ატარებს ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) სხვა არქიმანდრიტებთან ერთად. გალობენ ქართულ საგალობლებს, წირვის შემდეგ ქადაგებს მღვდელი სოლომონ შოშიაშვილი. ►

**1886 18 ივლისი**

გაზეთ „ივერიის“ „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიძის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ლექსს „კაცად მაშინ ხარ საქები...“ ►

**1886 19 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 18 ივლისი“ („ირლანდიას ნატვრის განხორციელებისათვის ორი სხვადასხვა გზა აქვს ამორჩეული“). მწერლის თხზულებათა ცხრატომეულში სათაურად აქვს „ინგლის-ირლანდიის ურთიერობა“, ოცტომეულში – „ირლანდიის საკითხი და სალუსბერის სამინისტრო“. ►

**1886 20 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 19 ივლისი“ („საფრანგეთი დღესაქამომდე გასტირის მშვენიერს ელზას-ლოტარენს, რომელიც წაართვა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ომის საფრთხის წინ“. ►

**1886 21 ივლისი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტს სთხოვს ნებართვას, რომ ექვთიმე ხელაძეს, წიგნად გამოცემის მიზნით, ამოაბეჭდინოს „ივერიის“ სხვადასხვა ნომრებში „ნაკვესებისა“ და „დამაკვირდის“ რუბრიკებში გამოქვეყნებული მასალა. ►

**1886 21 ივლისი**

საგურამოში მასპინძლობს ქართველ მოღვაწეებს: პეტრე უმიკაშვილს, ილია ოქრომჭედლიშვილს, ილია წინამძღვრიშვილს, ილია ბახტაძეს, გრიგოლ ყიფშიძეს, ალექსანდრე ჭყონიას, გიორგი ქართველიშვილს, სოლიკო და მიხეილ მაჩაბლებს და დიმიტრი ბაქრაძეს. მსჯელობენ ქმნ-კვ საზოგადოებისთვის ქართული წიგნების გამოსაცემად და მოგების მისაღებად სტამბის შექმნაზე. ღირებულება განისაზღვრა 15 ათასი მანეთის ოდენობით. მის დაფარვას საკუთარ თავზე იღებენ ილია ოქრომჭედლიშვილი და გიორგი ქართველიშვილი. ►

**1886 22 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 21 ივლისი“ („ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ამას წინად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ომის საფრთხის წინ“. ►

**1886 22 ივლისი**

გაზეთ „თეატრში“ იბეჭდება დასაწყისი ალექსი კვალიაშვილის სტატიისა „წერილი რედაქტორთან“. იგი უკავშირდება აკაკი წერეთლის პუბლიკაციას „ბანკის გამო“ და ამავე თემაზე გამოქვეყნებულ ილია ჭავჭავაძის მოწინავეებს. ►

**1886 24 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 23 ივლისი“ („ვინ არ იცის, რომ ჩვენს მონასტრებსა და ძველის-ძველ ეკლესიებში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი“. ►

**1886 24 ივლისის შემდეგ**

პეტერბურგიდან იღებს რუსი ორიენტალისტის ალექსეი გრენის წერილსა და მის ნაშრომს ქართული ენის შესახებ. ►

**1886 25 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 24 ივლისი“ („საკვირველს და თან სამწუხარო სანახავს წარმოადგენს დღეს ევროპა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დაძაბულობა ევროპაში“. ►

**1886 26 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 25 ივლისი“ („საფრანგეთი, ეს დაუძინებელი მტერი გერმანიისა, დღესაქამომდე საშიში არ იყო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბისმარკი და საფრანგეთი“. ►

**1886 27 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 26 ივლისი“ („როცა ბისმარკი კისინგენში დღეს ბადესა ჰქსოვს საფრანგეთის გასაბმელად...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა“. ►

**1886 29 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 28 ივლისი“ („ბალკანეთის ნახევარკუნძული კიდევ არ დაწყნარებულა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბალკანეთის პრობლემა და ევროპა“. ►

**1886 29 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ მისი ხელმოწერით ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1886 წლის 1 ივლისისათვის. ►

**1886 29 ივლისი**

გაზეთ „თეატრში“ იბეჭდება დასასრული ალექსი კვალიაშვილის სტატიისა „წერილი რედაქტორთან“. ►

**1886 30 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 ივლისი“ („ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლიტიკური ვითარება ევროპაში და ბისმარკი“. ►

**1886 31 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 ივლისი“ („ამბობენ, ჩვენი ვაჭრები და სოვდაგრები ფულიანი ხალხიაო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა. ლითოგრაფიის ქვის მადნის აღმოჩენის გამო“. ►

**1886 1 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 ივლისი“ („ამას წინად ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ენისღეღების საქმე“; გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება დიმიტრი ყიფიანის „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც მიმართულია თსს ბანკის შესახებ ილიასული მონინავეების წინააღმდეგ. ►

**1886 2 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 აგვისტო“ („დიპლომატია, როგორც ეტყობა, დიდს ფაცაფუცშია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბისმარკის საგარეო პოლიტიკა და ავსტრია“. ►

**1886 3 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად იწყებს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 2 აგვისტო“ („პატივცემულმა გაზეთმა „Кавказ“-მა, რომელმაც ამ ბოლო დროს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში გაერთიანებულია სხვა სტატიებთან სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 3 აგვისტომდე**

-დან ნინო ანდრონიკაშვილისაგან იღებს ბარათს, რომელშიც სთხოვს დაეხმაროს ვინმე გურასპაშვილს, სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით მიღებაში. ►

**1886 3 აგვისტო**

-დან საპასუხო ბარათს უგზავნის ნინო ანდრონიკაშვილს. მადლობას უხდის თბილი მოკითხვისთვის, მისი თხოვნის პასუხად კიატყობინებს, რომ შეუძლია გურასპაშვილი სახელმწიფო ხარჯით მიაღებინოს თბილისის სამეურნეო სკოლაში. ►

**1886 5 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 4 აგვისტო“ („ჯერ მინამ „Кавказ“-ის გადაწყვეტილს განაჩენს გავარჩევდეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 6 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 5 აგვისტო“ („საჭირო არ არის საისტორიო გამოძიებათა ბარდებში გაებას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 8 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მოწინავე სტატიისა თარიღით „ტფილისი, 7 აგვისტო“ („ავსტრია ამ უკანასკნელ საუკუნეში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ავსტრია-გერმანიის ურთიერთობა“. ►

**1886 9 აგვისტო**

გაზეთ „თეატრში“ იბეჭდება ალექსი კვალიაშვილის წერილი „სათავად—აზნაურო ბანკების გამო“, რომელიც ეხმიანება აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკას ბანკის საკითხებთან დაკავშირებით. ►

**1886 9 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე სტატიისა თარიღით „ტფილისი, 8 აგვისტო“ („გუშინდელს ნომერში, რამდენადაც გარემოებამ ხელი შეგვიწყო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ავსტრია-გერმანიის ურთიერთობა“. ►

**1886 10 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 9 აგვისტო“ („ჩვენ წინა წერილში („ივერია“ № 170“) სხვა ქვეყნების ისტორია ვიმოწმეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 12 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 11 აგვისტო“ („მეცნიერთაგან გამოძიებულია, რა ხნიდამ ჩამოვარდა იგი წესი სხვისი მიწის ხმარებისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 13 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 12 აგვისტო“ („იტალიაში, რომერის სიტყვით, ხიზნობის მსგავსი წესით ხმარება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიდის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსს „გებრალეობდეს, ნუ ჰრისხავ...“ ►

**1886 14 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 13 აგვისტო“ („წინა წერილებიდან სჩანს, რომ ამგვარი მფლობელობა და ხმარება მიწისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►



**1886 15 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 14 აგვისტო“ („მთავარს მინისტრად შეიქმნა თუ არა ინგლისში სალისბერიო, ამბობენ გაზეთები...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთს საქმე და ევროპის პრესა“.

**1886 17 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 16 აგვისტო“ („ლალისა და სამსახურის უცვალეზადობა მინისმფლობელობაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“.

**1886 19 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 18 აგვისტო“ („ხიზნობის ბუნებას შინაგანი აზრი რომ გაუხსნიჭოთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიდის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსს „მადლმა სთქვა, წუთისოფელში...“

**1886 20 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს 15 აგვისტოს მონინავე წერილის დასასრულს თარიღით „ტფილისი, 19 აგვისტო“ („ვინც ყურს ადევნებს დეპეშებს ბოლგარიის საქმეთა თაობაზედ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთის საქმე და ევროპის პრესა“.

**1886 21 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 20 აგვისტო“ („ჩვენ ჩვენის შეძლებისამებრ გამოვიძიეთ მიზეზი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიდის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსს „არა, არ ვუქებ ვაჟკაცსა...“

**1886 22 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 აგვისტო“ („ჩვენი ქვეყანა მიწათმომქმედი ქვეყანაა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მამულების გამიჭვნა“.

**1886 23 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 აგვისტო“ („უკანასკნელი დეპეშა, ჩვენს გაზეთში უკვე დაბეჭდილი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ალექსანდრე მთავრის დაბრუნება ბულგარეთში“.

**1886 24 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 23 აგვისტო“ („ჩვენს წესდებულებას სასოფლო მართველობისას ბევრი ნაკლულებანება აქვს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“.

**1886 26 აგვისტოს შემდეგ**

საქმიან წერილს იღებს ბათუმის სკოლის მასწავლებლის მოსე ნათაძისგან. ►

**1886 27 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 25 აგვისტო“ („ბოლგარიის საქმე სწორედ წაჭეგ-უკუჭეგობის თამაშობასა ჰგავს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ალექსანდრე მთავრის გადადგომა და ევროპის დიპლომატია“. ►

**1886 27 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს ალექსი კვალიაშვილის მიმართვას რედაქტორისადმი. წერილის ავტორი ცდილობს დააკონკრეტოს ამავე გაზეთის 24 აგვისტოს ნომერში ილია ბახტაძის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სოფლის სასამართლოებში მიკიტანი და გლეხი სხვადასხვა უფლებებით სარგებლობენ. კვალიაშვილის მტკიცებით ამის მიზეზი არა კანონი, არამედ მოხელეთა კორუმპირებულობაა. ►

**1886 28 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 27 აგვისტო“ („ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ „აქაურს უმაღლესს მთავრობას...“). თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“. ►

**1886 29 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 28 აგვისტო“ („დადგა აგვისტოს ნახევარი და მოვიდა განკითხვის დღე შვილებისა და მშობლებისათვის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვერძო სკოლების საკითხი“. გაზეთის იმავე ნომრის „დამაკვირდის“ რუბრიკაში „ლარიძის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსს: „ჭკუამ სთქვა წუთისოფელსა...“ ►

**1886 2 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 1 სექტემბერი“ („ჩვენ წინა წერილში ხიზნობის თაობაზე დავპირდით მკითხველებს, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 3 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 2 სექტემბერი“ („სისმონდი, რომელზედაც სტიუარტ მილლი სწერს, რომ ზედმინწევნი იცისო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 4 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 3 სექტემბერი“ („ემილ დე-ლაველე თავის გამოჩენილ თხზულების ერთს კარს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 5 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 4 სექტემბერი“ („ჩვენ წინადავე ვსთქვით, რომ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თავი ხიზნობაში შეაფარაო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 5 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ხელთუბნის სკოლას ეგზავნება მოთხოვნითი სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები. ალექსეი გრენის თხზულებას ქართული ენის შესახებ სარეცენზიოდ გადასცემენ დავით ბაქრაძეს. ►

**1886 6 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 5 სექტემბერი“ („აქაურს გაზეთებში უკვე გამოცხადებულია უმაღლესი ბძანება...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „საქართველოდან და კავკასიიდან ჯარისკაცთა განწვევის გამო“, ხოლო ოცტომეულში - „ამიერკავკასიის მცხოვრებთაგან ჯარისკაცთა განწვევის გამო“. ►

**1886 7 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 სექტემბერი“ („სასოფლო მართველობის ახლად შედგენილს პროექტში...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „სოფლის მართველობის რეფორმის საკითხები“, ხოლო ოცტომეულში - „სასოფლო მმართველობის ახალი პროექტი“. ►

**1886 10 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 სექტემბერი“ („თუ ვიტყვით, რომ ეხლანდელი ევროპა არეულ-დარეულია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დაძაბულობა ევროპაში“. ►

**1886 11 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 სექტემბერი“ („ბოლგარიიდან სასუგემო ამბები არ მოდისო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთის მთავრის არჩევის საკითხი“. ►

**1886 12 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 11 სექტემბერი“ („ჩვენი წერილები ხიზნობის თაობაზედ სავსე არ იქნება, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 13 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 12 სექტემბერი“ („უფრო მომეტებული ნაწილი ხიზნებისა ტფილისის გუბერნიაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“. ►

**1886 14 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ასრულებს ვრცელი ნარკვევის გამოქვეყნებას თარიღით „ტფილისი, 13 სექტემბერი“ („ქუთაისის გუბერნიაში სულ 2532 კომლი ხიზანი ითვლება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხიზნების საქმე“.

**1886 14 სექტემბერი**

ქართულ თეატრში სეზონის გახსნაზე ესწრება ვასო აბაშიძის მიერ გადმოკეთებული კომედიის „ეხლანდელი სიყვარული“ წარმოდგენას.

**1886 16 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მეთაური წერილისა თარიღით „ტფილისი, 15 სექტემბერი“ („მუსლიმანები, მაჰმადის რჯულის მადიდებელნი, კარგა ბლომა ნანილს შეადგენენ კაცობრიობისას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მაჰმადიანთა გაერთების საკითხი“.

**1886 17 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მეთაური წერილისა თარიღით „ტფილისი, 16 სექტემბერი“ („ჩვენ გუშინ დავპირდით მკითხველებს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მაჰმადიანთა გაერთების საკითხი“. გაზეთის იმავე ნომერში აქვეყნებს სტატიას „ქართული თეატრი“ („გუშინ, 15 სექტემბერს, პირველად გაიღო ქართული თეატრის კარი...“).

**1886 18 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 სექტემბერი“ („ბოლგარიაში ვერაფერი სანუგეშო ამბებია თურმე დღეს...“). თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დიდი სახელმწიფოები და ბულგარეთის საქმე“.

**1886 19 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 სექტემბერი“ („ამ შვიდისა თუ რვა წლის წინად...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თამბაქოს მოყვანისა და გასაღების საქმე“.

**1886 20 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 სექტემბერი“ („საფრანგეთი და ინგლისი ეხლა მეტად აშლილები არიან...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისის საგარეო პოლიტიკა“.

**1886 21 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 სექტემბერი“ („ჩვენ გუშინწინდელ ნომერში ვთქვით, რომ მოუთმენლად მოეღიან...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ავსტრია-უნგრეთი და ბულგარეთის საქმე“.



**1886 23 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მოწინავე სტატიისა თარიღით „ტფილისი, 22 სექტემბერი“ („ჩვენ ამას წინად ვაუწყებ ჩვენს მკითხველს, რომ ბ-ნი მთავარმართებლის ბძანებით...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „სოფლის მეურნეობის რეფორმის საკითხი“, ოცტომეულში - „სათემო მიწათმფლობელობის პროექტის გამო“. ►

**1886 24 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე სტატიისა თარიღით „ტფილისი, 23 სექტემბერი“ („სათემო სასამართლოს პროექტით მინიჭებული აქვს უფლება...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „სოფლის მეურნეობის რეფორმის საკითხი“, ოცტომეულში - „სათემო მიწათმფლობელობის პროექტის გამო“. ►

**1886 25 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მოწინავე სტატიისა თარიღით „ტფილისი, 24 სექტემბერი“ („ინგლისის ქვედა პალატაში დიდი ლაპარაკი გაიმართა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „განხეთქილება პარლამენტში საგარეო პოლიტიკის გამო“. ►

**1886 26 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე სტატიისა თარიღით „ტფილისი, 25 სექტემბერი“ („ლაბუშერი რადიკალია და დიდი მომხრე გლადსტონისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „განხეთქილება პარლამენტში საგარეო პოლიტიკის გამო“. ►

**1886 28 სექტემბერი**

ესწრება ქართული დრამატული საზოგადოების მიერ წარმოდგენილ „ხანუმას“ კოტე ყიფიანის მონაწილეობით, კოტე მესხის მიერ გრიგოლ რჩეულიშვილისგან გადმოკეთებული დრამის „თამარ ბატონიშვილი“ მეოთხე მოქმედებას და ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და დავით აწყურელის (გამყრელიძის) „ლეკურს“. ►

**1886 28 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 27 სექტემბერი“ („ბოლგარიაში რომ საქმეები აიშალა და ალექსანდრე მთავარი დაეთხოვა ბოლგარიას...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ისევ ბულგარეთის საქმე და ევროპის ქვეყნები“. გაზეთის იმავე ნომერში აქვეყნებს მოთხრობის „ოთარაანთ ქვრივი“ X თავს, სათაურით „ერთი ხანა მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“. ►

**1886 29 სექტემბრის შემდეგ**

საქმიან წერილს იღებს ბათუმის სკოლის მასწავლებლის მოსე ნათაძისგან. ►

**1886 30 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მოწინავე სტატიისა თარიღით „ტფილისი, 29 სექტემბერი“ („იგი პროექტი საგლეხო მართველობის განკარგებისა...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხები“, ხოლო ოცტომეულში - „საგლეხო მმართველობის ზედამხედველობის ახალი წესი“. ►

**1886 30 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ემნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად ამტკიცებენ სპირიდონ ჯორჯიკიას და მმართველობისაგან ითხოვენ თანხმობას. თონეთის სკოლის მასწავლებლად ნიშნავენ ლუკა რაზიკაშვილს (ვაჟა-ფშაველას). მტკიცდება სხვადასხვა წვრილმანი ხარჯები. ►

**1886 1 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე სტატიისა თარიღით „ტფილისი, 30 სექტემბერი“ („ჩვენ გუშინდელს წერილში მოვიყვანეთ სიტყვა-სიტყვით...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხები“, ხოლო ოცტომეულში - „საგლეხო მმართველობის ზედამხედველობის ახალი წესი“. ►

**1886 3 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 2 ოქტომბერი“ („ჩვენს თეატრს მართალის თეატრის ფერი დაედვა მას აქეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თეატრის როლი ერის ცხოვრებაში“. ►

**1886 4 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 3 ოქტომბერი“ („დღევანდელი პოლიტიკა ევროპისა თითქმის მარტო ბალკანეთის ნახევარკუნძულის საქმეზედ ჰტრიალებს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთს საქმე და რუსეთ-ავსტრია-უნგრეთი“. ►

**1886 5 ოქტომბერი**

გრიგოლ არწრუნისეულ თეატრში ესწრება ქართული დრამატული საზოგადოების მიერ წარმოდგენილ ალექსანდრე ოსტროვსკისა და ნიკოლოზ სოლოვიოვის კომედიას „ბედნიერი დღე“, ალექსანდრე ცაგარელის ვოდევილს „ონბაზი“ და დივერტისმენტს, ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვა-აბაშიძის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ვასო აბაშიძის, დავით ანწყურელის (გამყრელიძის), ლადო ალექსი-მესხიშვილის, ვალერიან გუნისასა და სხვათა მონაწილეობით. ►

**1886 5 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 4 ოქტომბერი“ („ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „იმიგრაცია საქართველოდან“. ►

**1886 7 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 6 ოქტომბერი“ („ბოლგარიის ამბებმა მიიზიდეს ყურადღება ყველასი იმოდენად...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისის საშინაო პოლიტიკა“. ►

**1886 7 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს რუბრიკაში „ქართული თეატრი“ („გუშინდელი დღე ვერაფერ ბედნიერ დღედ ჩაითვლება ჩვენის თეატრისთვის...“). მწერლის თხოულობათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ზოგიერთი დადგმის შესახებ ქართულ სცენაზე“. ►

**1886 8 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 7 ოქტომბერი“ („ლორდი რანდოლფ ჩერჩილი სახელოვანის...“). მწერლის თხოულობათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ჩერჩილის მისია ბერლინსა და ვენაში“. ►

**1886 9 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 8 ოქტომბერი“ („ჩვენის ტფილისის სასამართლო პალატის მატრიანეში...“). მწერლის თხოულობათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართული გაზეთის „დროების“ რედაქტორის ივანე მაჩაბლის გასამართლება“. ►

**1886 10 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 9 ოქტომბერი“ („ეხლანდელს მოქმედს კანონებში ერთი დიდი ნაკლი არის...“). მწერლის თხოულობათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მუშის დაქირავების კანონის ნაკლი“. ►

**1886 10 ოქტომბრის შემდეგ**

იღებს ალექსანდრე ყაზბეგის წერილს გაზეთ „ივერიაში“ ბათუმის სკოლის მასწავლებელ მოსენათაძის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მან ყაზბეგისაგან სკოლის სასარგებლოდ მიიღო თანხა, რომელიც ქშნ-კვ საზოგადოებას გადასცა. ადრესანტი აზუსტებს, რომ საუბარია საზოგადოებისგან დამოუკიდებლად გამართული ჭიდაობის ორგანიზებიდან შემოსულ ფულზე. ►

**1886 11 ოქტომბრამდე**

ვასილ პეტრიაშვილთან, ნიკო ცხვედაძესთან და ანტონ ფურცელაძესთან ერთად სტუმრად არის მუხრანში ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელთან. ►

**1886 11 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავს წერილისა თარიღით „ტფილისი, 10 ოქტომბერი“ („საფრანგეთის გაზეთის „Temps“-ის სიტყვით...“). მწერლის თხოულობათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა“. ►

**1886 12 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავს წერილისა თარიღით „ტფილისი, 11 ოქტომბერი“ („ჩვენ გუშინ ვსთქვით, რომ საქმეთა ვითარებამ გერმანია...“). მწერლის თხოულობათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა“. ►

## 1886 14 ოქტომბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 ოქტომბერი“ („გერმანიაში ერთი მშვიდობიანი, ჩუმი, სხვასავით არაჩხავანა საზოგადოება არის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამინათმოქმედო პოლიტიკის გამო გერმანიაში“. ►

## 1886 14 ოქტომბერი

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორის შეტყობინებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სკოლების დირექტორი მოითხოვს სწავლების დაწყებას მეგრულ ენაზე. გამგეობა საპასუხო წერილს უგზავნის სენაკის სკოლის ინსპექტორს და აცნობებს, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობის ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სკოლების დირექტორთან პირდაპირი მოლაპარაკებით. ალექსეი გრენს უკანვე უბრუნებენ მის მიერ განსახილველად წარმოდგენილ ხელნაწერს, რადგან მისი ამოკითხვა შეუძლებელია. სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს უგზავნიან ხელთუბნის სკოლას. ►

## 1886 15 ოქტომბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 14 ოქტომბერი“ („ერთი დიდი უბედურება სოფლისა მაშინ არის, როცა რაიმე საქმე აუჩნდება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ახალი კანონი სოფლის „პოერნიების“ შესახებ“. ►

## 1886 16 ოქტომბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 ოქტომბერი“ („მივაქცევთ ჩვენის მკითხველების ყურადღებას ერთს მონერილს ამბავს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „შავი ქვის მრეწველობის საქმე“. ►

## 1886 17 ოქტომბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 16 ოქტომბერი“ („გუშინ მოვახსენეთ ჩვენს მკითხველებს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ახალი კანონი სოფლის „პოერნიების“ შესახებ“. ►

## 1886 18 ოქტომბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მონინავეს „ტფილისი, 17 ოქტომბერი“ („გუშინდელს „ივერიაში“ მოყვანილია ცნობა, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართული თეატრი და მაყურებელი“. ►

## 1886 19 ოქტომბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 ოქტომბერი“ („როგორც ეტყობა, ბოლგარიის საქმეთა მსვლელობა ახალს ხანაში უნდა ჩადგეს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბალკანეთის ნახევარკუნძული და ევროპის პოლიტიკა“. ►



**1886 19 ოქტომბერი**

ქართულ თეატრში ესწრება ბარბარე ჭორჭაძის კომედიის „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ წარმოდგენას. ►

**1886 21 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 ოქტომბერი“ („შარშან ენკენისთვეში ბოლგარიამ ისე მოულოდნელად...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთისა და რუმელიის საკითხი“. ►

**1886 22 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 22 ოქტომბერი“ („კარგა ხანია, რაც ევროპაში აბრეშუმის ჭიის ჭირი გაჩნდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მეაბრეშუმეობა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში“. გაზეთის ამავე ნომრის რუბრიკაში „ქართული თეატრი“ აქვეყნებს ხელმოუწერელ რეცენზიას („სცხოვრებს სოფელში ერთი ხანშიშესული, ძველებური ქვრივი თავადისშვილი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბარბარე ჭორჭაძის პიესა „რას ვეძებდი და რა ვპოვე“. ►

**1886 22 ოქტომბერი**

ქართულ თეატრში ესწრება კომედია „ცოლი – მეუღლეს“ წარმოდგენას. ►

**1886 24 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 ოქტომბერი“ („რუსეთის გაზეთები თითქმის ერთხმად ამტკიცებენ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რუსეთის ინტერესები ბულგარეთისადმი“. ►

**1886 24 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „ქართული თეატრი“ აქვეყნებს ხელმოუწერელ რეცენზიას („ორშაბათს, ამ 22 ოქტომბერს ქართულმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა ერთი კამედია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ცოლი-მეუღლე“ ქართულ სცენაზე“. ►

**1886 25 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 24 ოქტომბერი“ („ჩვენ ამას წინათ ვსთქვით, რომ სახელმწიფო სამინისტროს მიერ საზღვარგარედ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მეაბრეშუმეობა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში“. ►

**1886 26 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 ოქტომბერი“ („სალუსბერის სამინისტრომ ძალიან ხმა მოიწვრილა და ხმამაღალი ბაიათები...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მდგომარეობა ევროპაში და ევვიპტის პრობლემა“. ►

**1886 28 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 ოქტომბერი“ („ეგვიპტის გამო საფრანგეთისა და ინგლისის კინკლაობამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დაძაბულობა საფრანგეთსა და ინგლისს შორის ეგვიპტის გამო“. ►

**1886 29 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 ოქტომბერი“ („ამას წინად დეპეშიდამ შეიტყობდნენ ჩვენი მკითხველები...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთი და რუსეთი“. ►

**1886 30 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 ოქტომბერი“ („მოსკოვში არის ერთი საზოგადოება, რომელსაც ეძახიან...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მებაღეობის საზოგადოების შექმნის მნიშვნელობა“. ►

**1886 31 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 ოქტომბერი“ („რამოდენა შეუძლიან ჩვენს ქვეყანას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებლის შესახებ“. ►

**1886 ნოემბრიდან**

უბის წიგნაკში იწერს ივნისისა და ნოემბრის თვეების ხარჯებს. ►

**1886 2 ნოემბერი**

ესწრება გაბრიელ სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალას“ წარმოდგენას. ►

**1886 4 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 ნოემბერი“ („ჩვენმა სასიყვადულო გაბრიელ ეპისკოპოსმა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ნინო ბაგრატიონი. ნეკროლოგი“. ►

**1886 4 ნოემბერი**

ნინო დადიანი-ბაგრატიონის შესახებ ამ დღეს დაბეჭდილ სტატიასთან დაკავშირებით იონა მეუნარგია ეუბნება, რომ ტექსტი სტამბაში წაიკითხა, ძალიან მოსწონს, მაგრამ კარგი იქნებოდა, სახარების სიტყვებიც რომ ჩაერთო: „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო“. ილია ჭავჭავაძე ეთანხმება, მაგრამ სტატია უკვე დაბეჭდილია და სწორების შეტანა - დაგვიანებული. ►

**1886 5 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს რუბრიკაში „ქართული თეატრი“ („ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართულს დრამატულს საზოგადოებას მუდმივ თამაშობისათვის მოუწვევია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გაბრიელ სუნდუკიანცის „ხათაბალა““. ►

**1886 6 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 5 ნოემბერი“ („ავსტრია-ვენგერიის დელეგაციის წევრმა სმოლკამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლის-ავსტრიის პოლიტიკური ურთიერთობა“. ►

**1886 7 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 6 ნოემბერი“ („ამ სამს-ოთხს წელიწადში სოფლის ჭირნახულის ფასმა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ“. ►

**1886 8 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 7 ნოემბერი“ („ევროპაშიაც დიდი ხანია შეჰნიშნეს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ“. ►

**1886 12 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 ნოემბერი“ („ბოლგარიის ეხლანდელთა ბედის გამგებელთა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რუსეთ-ბულგარეთის ურთიერთობის გამწვავება“. ►

**1886 13 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 ნოემბერი“ („როცა ინგლისის აღმოსავლეთის საქმის გამო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „აზრი ინგლისის პოლიტიკაზე“. ►

**1886 14 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 13 ნოემბერი“ („1879 წელსა შესდგა წერა-კითხვის ქართველთა შორის გამავრცელებელი საზოგადოება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამო“. ►

**1886 15 ნოემბერი**

ქართულ თეატრში ესწრება ლადო აღნიაშვილის გუნდის კონცერტს იოსებ რატილის ლოტბარობით. ►

**1886 16 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 15 ნოემბერი“ („ჩვენ ვსთქვით წინა წერილში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამო“. ►

**1886 16 ნოემბერი**

ქართულ თეატრში ესწრება ვასო აბაშიძის დრამის „შემლილია“ და რაფიელ ერისთავის ვოდვეილის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ წარმოდგენებს. ►

**1886 18 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასაწყისს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 17 ნოემბერი“ („შაბათს, 15 ნოემბერს, ერთი ფრიად სასიამოვნო და ახალი ამბავი მოხდა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართული ხალხური მუსიკა“. ►

**1886 19 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 18 ნოემბერი“ („რომ ქართული სიმღერა და გალობა ევროპიულს არა ჰგავს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართული ხალხური მუსიკა“. ამავე ნომერში, ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს რუბრიკაში „ქართული თეატრი“ („ჩვენის ქართულის თეატრის საქმე თანდათან უფრო კეთდება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ახალი პიესები ქართულ სცენაზე“. ►

**1886 20 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 19 ნოემბერი“ („ბოლგარიის საქმე არ ასვენებს ევროპასა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დაძაბულობა ევროპაში ბულგარეთის გამო“. ►

**1886 21 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 20 ნოემბერი“ („ინგლისმა უკვე გააბა თურმე თავისი ემბაკური ქსელი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის დიდი სახელმწიფოები და ეგვიპტე-ბალკანეთის პრობლემა“. ►

**1886 23 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 22 ნოემბერი“ („ინგლისმა, ავსტრია-ვენგრიამ, იტალიამ და საფრანგეთმა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რას ფიქრობს ბისმარკი“. ►

**1886 23 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს განცხადებას 1887 წლისათვის ამავე გაზეთის გამოცემისა და ხელმოწერის პირობების შესახებ. ინფორმაცია წლის ბოლომდე იბეჭდება გაზეთის ყველა ნომერში. ►

**1886 23 ნოემბერი**

ქართულ თეატრში ესწრება მაკო საფაროვას ბენეფისს, სადაც წარმოდგენენ დავით ერისთავის მიერ გადმოკეთებულ „დავიდარაბას“ და თავად მაკო საფაროვას მიერ გადმოკეთებულ „ბარაქალა მასწავლებლოს“. ►

**1886 25 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 24 ნოემბერი“ („ჩვენ წინა წერილებში ვსთქვით, რომ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთის მთავრის არჩევა და ევროპის სახელმწიფოები“. ►



**1886 27 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასაწყისს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 26 ნოემბერი“ („საქართველო, როცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ათონის ქართული სავანის შესახებ“. ამავე ნომერში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს რუბრიკაში „ქართული თეატრი“ („ვერაფერი ხელობაა თეატრის რეცენზენტობა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თეატრის რეცენზენტი“). ►

**1886 28 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 27 ნოემბერი“ („იმის შიში, რომ ქართველებს მონასტრები იერუსალიმში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ათონის ქართული სავანის შესახებ“. ►

**1886 29 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 28 ნოემბერი“ („ვის არ მოეხსენება, რომ მას აქეთ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბაჟის შემოღების გამო“. ►

**1886 30 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 29 ნოემბერი“ („27 ნოემბრის დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ საფრანგეთის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ფრეისინეს სამინისტროს გადადგომა“. აქვე „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ხელმოწერით, სათაურით „წერილები გადაღმითგან“ და ქვეშ მინაწერით „წერილი პირველი“ აქვეყნებს ფელეტონს („ჩემო თადეოზ! კარგა ხანია მე შენთან ლაპარაკი შევსწყვიტე...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1886 30 ნოემბერი**

ქართულ თეატრში ესწრება პეტრე უმიკაშვილის კომედიის „ალერსთა ბადე“ წარმოდგენას. ►

**1886 2 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 1 დეკემბერი“ („გერმანიის რაიხსტაგში, როგორც მოგეხსენებათ, მთავრობამ შეიტანა წინადადება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ჭარის გაძლიერების საკითხი რაიხსტაგში“. ამავე ნომერში „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ხელმოწერით, სათაურით „წერილები გადაღმითგან“ და ქვეშ მინაწერით „წერილი მეორე“ („ჩემო თადეოზ, მუსიკოსები და მხატვრები...“) აქვეყნებს ფელეტონს. ►

**1886 3 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 2 დეკემბერი“ („ინგლისის სამინისტრო, არ ითქმის, რომ დღეს დიდს გაჭირვებაში არ იყოს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისის საგარეო პოლიტიკა და საფრანგეთი“. ►

**1886 4 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „ქართული თეატრი“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს („ჩვენის თეატრის ერთ დიდი ნაკლი ის არის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართული თეატრის ნაკლოვანებანი“. ►

**1886 7 დეკემბერი**

ქართულ თეატრში ესწრება ვიქტორიენ სარდუს პიესის „გავიყარენით“ წარმოდგენას. ►

**1886 8 დეკემბერი**

გაზეთ „კავკაზში“ მისი ხელმოწერით იბეჭდება გაზეთ „ივერიის“ ხელმოწერის პირობები 1887 წლისათვის. ►

**1886 9 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 დეკემბერი“ („ფრეისინეს სამინისტრო დაეთხოვა სამსახურს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ფრეისინეს სამინისტროს გადადგომის მიზეზი“. ►

**1886 10 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასაწყისს ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 9 დეკემბერი“ („ჩვენ ამას წინადა ვსთქვით, რომ თუ რომელიმე საგანი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“. ►

**1886 11 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს გაგრძელებას ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 10 დეკემბერი“ („გუშინ ჩვენი ლაპარაკი იმაზედ შევაყენეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“. ►

**1886 12 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 დეკემბერი“ („ბოლგარიის საქმემ მაინც ფეხი წინ ვერ წადგა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთის საქმე“. ►

**1886 13 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 დეკემბერი“ („სალუსბერის სამინისტროს ბედი ინგლისში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სალუსბერის სამინაო პოლიტიკა“. ►

**1886 14 დეკემბერი**

ქართულ თეატრში ესწრება დავით აწყურელის (გამყრელიძის) ბენეფისს, რომელზეც წარმოადგენენ აქვსენტი ცაგარელის „ხანუმას“. ►

**1886 16 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 15 დეკემბერი“ („დღეს ჩვენ „უეცარ შემთხვევად“ გადმოცემული გვაქვს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ხანძარი ქართულ თეატრში“. ►

**1886 17 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „ქართული თეატრი“ ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს რეცენზიისა („7-ს დეკემბერს ქართულს თეატრში წარმოადგინეს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გავიყარენით“ და „ხანუმა“. ►

**1886 18 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 17 დეკემბერი“ („ბოლგარიის მთავრად დღეს ორი კანდიდატია...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამეგრელოს მთავრის კანდიდატობა ბულგარეთში“, ოცტომეულში კი სათაურით „ბულგარეთის მთავრის ორი კანდიდატი“. ►

**1886 18 დეკემბერი**

ესწრება ფრანგი დრამატურგის ოგიუსტ ვაკერის კომედიის „ჟან-ბოდრის“ ივანე მაჩაბლისეული თარგმანის წარმოდგენას მაკო საფაროვა-აბაშიძის რეჟისორობით, კოტე მესხისა და კოტე ყიფიანის მონაწილეობით. ►

**1886 19 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „ქართული თეატრი“ ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას რეცენზიისა („ჩვენ წინად მოვიყვანეთ ლომინაძის ცოლის სიტყვები...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გავიყარენით“ და „ხანუმა“. ►

**1886 20 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს გაგრძელებას ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 19 დეკემბერი“ („წინა წერილში ჩვენა ვსთქვით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“. ►

**1886 21 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს გაგრძელებას ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 20 დეკემბერი“ („რომ 1886 წელს გაძლიერდა ჩვენში პურის ვაჭრობა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“. ►

**1886 23 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 22 დეკემბერი“ („ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქართველი სტუდენტობა რუსეთში“, ოცტომეულში კი სათაურით „ნუ ვიქნებით გულგრილნი“. გაზეთის ამავე ნომრის რუბრიკაში „ქართული თეატრი“ ხელმოუწერლად აქვეყნებს რეცენზიის დასასრულს („ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ ლომინაძის ახალგაზრდა ცოლი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გავიყარენით“ და „ხანუმა“. ►

**1886 24 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 დეკემბერი“ („იგი პანია კრედიტი, რომელიც ასე აუცილებლად საჭიროა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პანია კრედიტი“. ►

**1886 25 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 დეკემბერი“ („დაუძიმდა კაცთა ნათესავსა ძველი რჭული...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქრისტეშობა“. ►

**1886-** უბის წიგნაკში იწერს პრუსიის ლანდტაგში და საფრანგეთის პალატაში რომელ  
**დან** დაჯგუფებაში რამდენი კაცია. ►

**1886-** უბის წიგნაკში იწერს, როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანის  
**დან** ფიზიოლოგიურმა თავისებურებებმა მის მოღვაწეობაზე და მოიხმობს ნაპოლეონ I-ის მაგალითს, რომელსაც, ძალიან ნელი პულისის გამო, აღაგზნებდა მხოლოდ ბრძოლის ველი. ►

**1887 1 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 დეკემბერი“ („ესეც კიდევ ერთი წელიწადი ჩაბარდა თავის პატრონს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რით იმართლებს თავს ეს ძველი წელიწადი“. ►

**1887 4 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით 3 იანვარი“ („ამ შვიდის წლის წინათ „ივერიაში“, როცა ჯერ ჟურნალი იყო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო (წერილი პირველი)“. გაზეთის იმავე ნომერში იბეჭდება რაფიელ ერისთავის საახალწლო პოეტური მილოცვები ილია ჭავჭავაძისადმი „გლახისაგან“ და „ვაჭრისაგან“. ►

**1887 6 იანვარი**

განაგრძობს მუშაობას „ოთარაანთ ქვრივის“ ტექსტზე. ►

**1887 6 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს გაგრძელებას ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 5 იანვარი“ („ჩვენი წერილები პურის ვაჭრობის თაობაზედ ჩვენში სავსე არ იქნება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“. ►

**1887 8 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს დასასრულს ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 7 იანვარი“ („საკვირველი გახშირება სამინათმომქმედო მაშინებისა ამერიკაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“. ►



**1887 9 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი 8 იანვარი“ („რუსეთში დიდძალი ფაბრიკები და ქარხნებია ბამბეულობის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი“. ►

**1887 10 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 9 იანვარი“ („საკვირველი გახშირება სამინათმომქმედო მაშინებისა ამერიკაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი“. ►

**1887 11 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 იანვარი“ („ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „იასე ანდრონიკაშვილი“. ►

**1887 12 იანვარი**

როგორც თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ხელშეკრულებას დებს გრიგოლ არწრუნისეული შენობის თეატრად გადასაკეთებლად, მოსახატად, ვენტილაციისა და გათბობის დასაყენებლად. ►

**1887 12 იანვრის შემდეგ**

როგორც თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ხელშეკრულებას დებს იტალიელ მხატვარ ჯუმეპე მილიართან 1 სექტემბრამდე თეატრისათვის ფარდისა და დეკორაციების მოსახატად. ►

**1887 13 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 იანვარი“ („მთელი ევროპაა და თ. ბისმარკის სიტყვა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბისმარკის სიტყვა სამხედრო კანონის შესახებ“. ►

**1887 14 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 იანვარი“ („ამ მთავარ-მინისტრობიდან გადამდგარ ფრეისინეს მაგიერ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის ზრუნვა“. ►

**1887 16 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 იანვარი“ („მთელი ევროპა სცდილობს, ღვიძლი უპოვოს ბისმარკის სიტყვასა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „აჟიოტაჟი ბისმარკის სიტყვის გამო“. ►

**1887 17 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 იანვარი“ („1866 წელს, როცა ბისმარკმა დაუპირა ავსტრიას ომი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბელგიის საომარი მზადება“. ►

**1887 17 იანვარი**

გაზეთ „კავკაზში“ მისი ხელმოწერით ქვეყნდება განცხადება გაზეთ „ივერიის“ ხელმოწერის პირობების შესახებ 1887 წლისათვის. ►

**1887 18 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 17 იანვარი“ („რა ჰქმნას კარგმა მონარდებმა, დროზედ შაში თუ არ მოვა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ნავთის საქმე კაკასიაში“. ►

**1887 20 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 19 იანვარი“ („ჩვენ წინა წერილში ნავთზედ ჩამოვადგეთ ლაპარაკი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ნავთის საქმე კაკასიაში“. ►

**1887 21 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოწერლად აქვეყნებს დასასრულს ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 20 იანვარი“ („ამ წინაზე ჩვენა ვსთქვით, რომ უთვალავი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ნავთის საქმე კაკასიაში“. ►

**1887 22 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 იანვარი“ („რუსეთის გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საშემოსავლო გადასახადის შემოღება“. ►

**1887 23 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 იანვარი“ („ამ უკანასკნელი დღეების გაზეთებს რომ ყური უგდოს კაცმა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობის გამწვავება“. ►

**1887 24 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 იანვარი“ („ბულგარიის საქმემ დღეს თავისი პირველხარისხოვნება დაკარგა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის წვრილ სახელმწიფოთა საომარი მზადება“. ►

**1887 25 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 იანვარი“ („რუსეთის ჟურნალ-გაზეთობამაც, როგორც იქნა, მიაქცია ყურადღება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ჭაჭისაგან არყის გამოხდაზე შეღავათიანი საბაჟო წესების შემოღება“. ►

**1887 27 იანვარი**

რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისგან იღებს შეტყობინებას, რომ აირჩიეს ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად. ►

**1887 27 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 26 იანვარი“ („ჩვენ რამდენისამე დღის წინად მოვიხსენიეთ, რომ გერმანიაში ატეხილი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პარლამენტი თუ სამინისტრო“. ►

**1887 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 27 იანვარი“ („ინგლისის სამინისტრომ ხმა პატარა დაიმდაბლა...“), მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სალუსბერის სამინისტროს გასაჭირი“. ►

**1887 28 იანვარი**

ენწრება აკაკი წერეთლის პიესა „თამარ ცბიერის“ პრემიერას. ►

**1887 29 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 28 იანვარი“ („ბოლგარიის საქმე იქამდე ინახეს გაუთავებლად...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულგარეთის საქმის მშვიდობიანად დამთავრების ცდა“. ►

**1887 30 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 29 იანვარი“ („ამ რამდენიმე წლის წინად ყველა სახელმწიფოს ევროპაში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „იტალიის მიერ მასსოვას დაპყრობის მცდელობა“. ►

**1887 31 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 30 იანვარი“ („კარგა ხანია, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარია ეგრედწოდებული...“), მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გემსკი ნაჩალნიკის“ შემოღების აუცილებლობა“. აქვე რუბრიკაში „ქართული თეატრი“ ხელმოუწერლად აქვეყნებს რეცენზიას („ოთხშაბათს, 28-ს იანვარს, ბ-ნ საფაროვა-აბაშიძის საბენეფისოდ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თამარ ცბიერი“ და „მეტლისი იტალიელებით“ ქართულ სცენაზე“. ►

**1887 1 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 31 იანვარი“ („ევროპის დიპლომატიამ დაქანცულმა და მოღალულმა ბოლგარიის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „აბისინიის სახელმწიფოს რაობა“. ►

**1887 4 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 3 თებერვალი“ („ქალაქს მასსოვას უჭირავს ერთი პატარა კუნძული...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „იტალიასა და აბისინიას შორის ურთიერთობის გამწვავება მასსოვას გამო“. ►

**1887 5 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 4 თებერვალი“ („ის გაჭირებული მდგომარეობა, რომელმაც ამ რამდენისამე ხნის წინად...“) მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დაძაბული პოლიტიკური ვითარება ევროპაში“. ►

**1887 6 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 5 თებერვალი“ („თ. ბისმარკი, ეტყობა, ეხლა ისე ყოვლად ძლიერად არა ჰგრძნობს თავის თავსა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბისმარკის ავტორიტეტის შესუსტება გერმანიაში“. ►

**1887 7 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 6 თებერვალი“ („ბატონი ა. ს. ერმოლოვი, თუ არა ვცდებით, შარშან თუ შარშანწინ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ერმოლოვი და ჩრდილო კავკასიის ღვინოები“. ►

**1887 8 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 17 ოქტომბერი“ („ლოლიკა თითქოს ბაჟს რასმე ემალებაო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ყალბი და ნამდვილი“. ►

**1887 20 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 19 ოქტომბერი“ („კვირანდელს ნომერში ჩვენმა მეთაურმა წერილმა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ყალბი და ნამდვილი“. ►

**1887 22 ოქტომბრამდე**

ცალკე წიგნად ბეჭდავს „ივერიის“ დამაკვირდის რუბრიკაში გამოქვეყნებულ გამონათქვამებს, მათ შორის „ლარიძის“ ფსევდონიმით დაბეჭდილ 14 საკუთარ ლექსს და სენტენციას. ►

**1887 22 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაიბეჭდა და იყიდება „დამაკვირდი ანუ აფორიზმები, ძველთა და ახალთა ბრძენთა“. ►

**1887 22 ოქტომბერი**

წერილს დაახლოებით გამოცემულ წიგნებს უგზავნის მოსკოვში ილია ოქრომჭედლი შვილს. ატყობინებს, რომ ეშნ-კვ საზოგადოებამ დაიწყო ძველი წიგნების მომზადება გამოსაცემად და აინტერესებთ, აღმოუჩინს თუ არა ფინანსურ დახმარებას. ბარათში ასევე საუბარია დავით ჩუბინაშვილის იუბილეს შეფერხების შესახებ, ჩამოთვლილია ბოლო პერიოდში „ივერიის“ რედაქციის მიერ გამოცემული წიგნები და ნათქვამია, რომ შესანიშნავი გამოდის ქართული თეატრის გადაკეთებული და განახლებული შენობა. ►

- 1887 24 ოქტომბრის შემდეგ**  
ირჩევენ დიმიტრი ყიფიანის გადმოსვენებისა და დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიაში. ►
- 1887 28 ოქტომბერი**  
ხელს აწერს დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკულად დაღუპვის გამო თსს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის მიერ გარდაცვლილის ქვრივის – ნინო ჭილაშვილ-ყიფიანისათვის გაგზავნილ სამძიმრის წერილს. მისი წინადადებით ოჯახისთვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად ქვიშხეთში საგანგებოდ გზავნიან ვალერიან გუნიას. ►
- 1887 29 ოქტომბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 28 ოქტომბერი“ („თავზარის დაცემამდე შემადრწუნებელი ამბავი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალება“. ►
- 1887 30 ოქტომბერი**  
თსს ბანკის დარბაზში მართავს კრებას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის საორგანიზაციო საკითხები. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ხარჯები მთლიანად გაიღოს ბანკმა. ►
- 1887 31 ოქტომბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 30 ოქტომბერი“ („ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დიმიტრი ყიფიანი“. ►
- 1887 1 ნოემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 31 ოქტომბერი“ („არა გვგონია ჩვენს მკითხველებში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ყრმობა დიმიტრი ყიფიანისა. მის საკუთარ ნაწერთაგან“. ►
- 1887 4 ნოემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 3 ნოემბერი“ („კაცი მოკვდა ან მოჰკვლეს...“) მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დიმიტრი ყიფიანი“. ►
- 1887 8 ნოემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 7 ნოემბერი“ („უფროს-ერთი ადამიანი ისე გაივლის ხოლმე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დიმიტრი ყიფიანი“. ►
- 1887 8 ნოემბერი**  
დიმიტრი ყიფიანის ოჯახის წევრებთან, აკაკი წერეთელთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად წინ მიუძღვის დაკრძალვის პროცესიას. მისი გვარი შეაქვთ იმ პირთა ოცკაციან სიაში, რომლებმაც, პოლიციის მკაცრი განკარგულების მიუხედავად, ბოლომდე მიაცილეს ცხედარი და დაესწრნენ დასაფლავებას. სიტყვით არ გამოსულა, მხოლოდ გვერდით მდგომით უთხრა: „რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არ სჭობიაო!“ ►



## 1887 8 ნოემბრის შემდეგ

იღებს სტუდენტ ივანე ბახუტაშვილის წერილს. ადრესანტი გაღიზიანებულია გაზეთ „ივერიის“ სტატიით, რომელშიც ნათქვამია, რომ ქალაქის საბჭომ მას წინდაუხედავად დაუნიშნა სტიპენდია, რადგან, მის განათლებაზე შეეძლოთ ეზრუნათ ექიმ ძმებს, სტიპენდია კი უნდა მისცემოდა რომელიმე ხელმოკლე სტუდენტს. ►

## 1887 10 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 ნოემბერი“ („საერო განათლება ისეთი საგანია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პირველდაწყებით სკოლებში სწავლების გაუმჯობესების საკითხი“. ►

## 1887 12 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 ნოემბერი“ („ჯერ, როცა ჩვენს ქალაქში დეპუტით ამბავი მოვიდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რუვიეს სამინისტროს გადადგომა“. ►

## 1887 13 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 ნოემბერი“ („ერთი დიდი ნაკლულევიანება ჩვენებურის სოფლებისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვენახებისა და ჭირნახულის წანახედობა და მისი საწინააღმდეგო ზომები“. ►

## 1887 17 ნოემბერი

კოტე ყიფიანისთვის გასაგზავნად ვალერიან გუნიას გადასცემს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე მიტანილი გვირგვინების სამგლოვიარო ლენტებს. უთვლის, რომ დეპუტებს ჯერ ვერ მიაწვდის, რადგან საცენზურო კომიტეტს უნდა წარუდგინოს, როგორც ნივთმტკიცება. ხელისუფლებას გაუჩნდა ეჭვი, რომ სამგლოვიარო დეპუტები საერთოდ არ არსებობდა და ილია ჭავჭავაძე თავად თხზავდა მათ „ივერიაში“ დასაბეჭდად. ამავე მიზეზით დროებით ვერ უგზავნის ვერც შეკრებილი და დახარჯული თანხის ანგარიშებს. ►

## 1887 18 ნოემბერი

ვალერიან გუნია სამგლოვიარო ლენტებთან ერთად წერილს უგზავნის კოტე ყიფიანს ქვიშხეთში და უთვლის ილიას ჭავჭავაძის დანაბარებს. ►

## 1887 18 ნოემბერი

გაზეთ ივერიაში ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა „იცვნე იგინი კარავსა შენსა ხდომისაგან ენათასა“ („იმდენად იმატა ჩვენში ამ დღემდის მწერლობამ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა თხზულებათა ოცტომეულში. ►

## 1887 20 ნოემბერი

გაზეთ ივერიაში ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა „იცვნე იგინი კარავსა შენსა ხდომისაგან ენათასა“ („მართლა რომ საკვირველი და მიუწოდომელი დარჩებოდა ჩვენთვის...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1887 24 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 ნოემბერი“ („კარგა ხანია, რაც რუსეთი ეჭვის თვალით...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბისმარკის ორპირი პოლიტიკა რუსეთის მიმართ“. ►

**1887 27 ნოემბერი**

დავით ერისთავი წერილთან ერთად უგზავნის გრიგოლ ორბელიანის ლექსის რუსულ თარგმანს. ►

**1887 6 დეკემბერი**

ამთავრებს მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ წერას. ►

**1887 6 დეკემბრის შემდეგ**

ახალდასრულებულ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“ საჯაროდ კითხულობს სოლოლაკში, დავით სარაჯიშვილის სახლში ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების: რაფიელ ერისთავის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლის, პეტრე უმიკაშვილის, გრიგოლ ვოლსკისა და სხვათა წინაშე. ►

**1887 9 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 დეკემბერი“ („საფრანგეთმა საკვირველი ბენვის ხიდი გამოიარა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთის ბნეობრივი ძალ-ღონე მამულის სიყვარულშია“. ►

**1887 10 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 დეკემბერი“ („ჩვენში ამ ბოლო ხანებში ერთი საოცარი ამბავი მოხდა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გაზეთ „მშაკის“ გამოხდომა“. ►

**1887 11 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 დეკემბერი“ („ევროპის ჟურნალ–გაზეთობას ტყვია–წამლის სუნი მოედინათ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის საომარი მზადება“. ►

**1887 15 დეკემბერი**

ესწრება სათავადაზნაურო ბანკის თეატრის კურთხევას. ►

**1887 16 დეკემბერი**

თხოვნით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ნება დართონ ცალკე წიგნად დაბეჭდოს მის მიერ „ივერიაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ხევისურული პოეზიის ნიმუშები. ►

**1887 16 დეკემბერი**

ესწრება თეატრალური სეზონის გახსნას სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ახალ შენობაში. წარმოადგენენ გიორგი ერისთავის „გაყრას“ და დავით ერისთავის მიერ გადმოკეთებულ ვოდვილს „საძაგელი“. ►

**1887 17 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 დეკემბერი“ („მკითხველი, რასაკვირველია, ყურადღებას მიაქცევდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე მყუდროებამ დაისადგურა“. ►

**1887 18 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 დეკემბერი“ („იმ სახელმწიფოებსაც კი, რომელნიც ძლიერ და შემძლე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაგროვილი ჭარბი სიმდიდრე“. ►

**1887 19 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 დეკემბერი“ („კავკასიის სამკურნალო საზოგადოების უკანასკნელს კრებაზე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბათუმის ჰავის ავკარგიანობის შესახებ“. ►

**1887 20 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 დეკემბერი“ („ვის არ წაგიკითხავთ ჩვენი აქაური რუსული...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გაზეთი „კავკაზი“ და ქართველი ხალხი“. ►

**1887 21 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ეშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ხელთუბნის სკოლის მასწავლებელს იბარებენ თბილისში ცალკეული საკითხების გასარკვევად და სასოფლო სკოლების დირექტორთან ანგარიშის წარსადგენად. მსჯელობენ საქმეთა მწარმოებლის მოხსენებაზე წიგნის მაღაზიისა და სამკითხველოს მოწყობასთან დაკავშირებით. ►

**1887 23 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 დეკემბერი“ („ამბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“. ►

**1887 24 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება რეკლამა, რომ სადღესასწაულოდ იყიდება ილია ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეთა ნამდვილი კახური ღვინოები. ►

**1887 25 დეკემბრის შემდეგ**

პეტერბურგიდან იღებს ახალგაზრდა მხატვარ გიგო გაბაშვილის წერილს. ადრესანტი მადლობას უხდის თანხის გაგზავნისათვის. ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეთა ნამდვილი კახური ღვინოები. ►

**1887 25 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 დეკემბერი“ („გილოცავთ წმინდა დღეს ქრისტეს შობისას...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქრისტეშობის მოლოცვა“. ►

**1887 29 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 დეკემბერი“ („ამ უკანასკნელს ხანებში ქუთაისი მეტად აღშფოთებული...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქუთაისის საქალაქო არჩევნების მოლოდინში“. ►

**1887 30 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 დეკემბერი“ („ჩვენი გაზეთი მეტად ჰფრთხილობს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის“. ►

**1887 31 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 დეკემბერი“ („ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თვითმოქმედებისათვის“. ►

1875-

**1887** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. მოურავ დავით ციციშვილს უთვლის, თუ ღვინოებს ადგილზე ვერ გაყიდის, მცხეთაში ჩაიტანოს. თუ იმავე დღეს არ გაიყიდა, ქვევრებში გადაიტანოს, მაგრამ წინასწარ შეამოწმოს, რომ კარგად იყოს გარეცხილი. ►

1875-

**1887** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში და სთხოვს, რომ შაბათს მცხეთაში დაახვედროს ცხენი. მოურავ დავით ციციშვილს უთვლის, როცა ღვინოს ამოიღებს, ოთხი კასრი საუკეთესო ღვინო სახლისთვის გადაინახოს. ►

1882-

**1887** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში და ატყობინებს, რატომ ვერ შეძლო წინა დღეს ასვლა. მექანიკური მანქანა გასაკეთებლად ჰქონდათ მიტანილი თბილისში, ინგლისელი მეწარმის, რუკის საბეინკლო ქარხანაში, იმ დღეს უკვე შეკეთებული იყო და უკან უნდა წაეღოთ, მაგრამ მოურავმა დავით ციციშვილმა არ ჩააკითხა, მან კი დაღამებამდე ეძებდა ურემები მანქანის გასაგზავნად. ამის გამო საყვედურს უთვლის მოურავს, მეუღლეს კი უბოდიშებს აუსვლელობის გამო. მეორე დღეს ბანკში გაყიდვებია დანიშნული და არ უნდა, ნამგზავრი და გადაღლილი მივიდეს. ►

1882-

**1887** წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში და აძლევს სამეურნეო ხასიათის დარიგებებს. მოურავ დავით ციციშვილს უთვლის, თბილისში ჩაიტანოს ღვინის კასრები და ჭურჭელი მანქანის ზეთისთვის. ►

1886-

**1887** აპირებს მეფე ლირის დადგმას, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ პეტრე გრუზინსკიმ, თათარყან დადემქელიანმა და მარიამ ორბელიანმა, თავად კი ლირის როლი უნდა ითამაშოს, მაგრამ წარმოდგენის მოწყობა მთავრობის ჩარევის გამო არ ხერხდება. ►



- 1887** შაბათ-კვირას საგურამოში ასულ ილია ჭავჭავაძეს მოურავის სიზარმაცე და დაუდევრობა მოთმინებიდან გამოიყვანს. მის წყრომას ოლღა თავის თავზე იღებს, ფიქრობს, რომ მის მიმართ გული გაუგრილდა, თბილისში დაბრუნებულს უგზავნის წერილს და უზიარებს თავის განცდებს. ►
- 1887** საპასუხო ვრცელ წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. არწმუნებს, რომ მოურავზე იყო გაბრაზებული და არა მასზე. უხსნის, რომ ძველებურად უყვარს, მაგრამ ჭეშმარიტი გრძნობა „კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში“. ამიტომ სთხოვს, გულში ჩაჰხედოს და დარწმუნდება, რა დიდი სიყვარულია იქ მისი „კარგის ოლიკოსი“. ►
- 1887** მისი ხელმოწერით ქართულ და რუსულ ენებზე წიგნად გამოდის თსს ბანკის 1886 წლის ანგარიში. ►
- 1887** არტურ ლაისტი ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დახმარებით იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნას. ►
- 1887-**  
**დან** უბის წიგნაკში იწერს მისთვის საინტერესო ცნობებს ეგვიპტის ისტორიიდან. ►
- 1887-**  
**დან** უბის წიგნაკში იწერს შესაძენი ისტორიული ხასიათის რუსულენოვანი წიგნების ჩამონათვალს. ►
- 1888 1 იანვარი**  
„ივერიის“ საახალწლო ნომერში პეტრე უმიკაშვილს ხელმოუწერლად უძღვნის თავის ლექსს „წუთისოფელი ესეა...“ ►
- 1888 1 იანვარი**  
ჟურნალ „თეატრში“ ხელმოუწერლად იბეჭდება „ივერიისადმი“ მიძღვნილი საახალწლო ექსპრომტი: „გიხდება სიდარბაისლე, / წინ-დახედული დინჯობა, / არათ განყენდა ხანდის-ხან / გამოგეჩინა ფიცხოება“. ►
- 1888 5 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ I-III თავებს და უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 4 იანვარი“ („ძველმა წვილწადმა იჭინტყლა, იჭინტყლა და ბოლოს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვეროპის პოლიტიკის დაუდგრომლობა“. ►
- 1888 6 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ IV-VI თავებს და უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 5 იანვარი“ („ლორდ ჩერჩილის მოსვლა რუსეთში, ჩვენის ფიქრით...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ჩერჩილის ვიზიტი რუსეთში“. ►
- 1888 8 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ VII-VIII თავებს და უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 7 იანვარი“ („გერმანია დღეს ინგლისსა სწამებს ორგულობას...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისისა და გერმანიის ინტერესების შეჯახება პოლიტიკურ სარბიელზე“. ►

**1888 9 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 იანვარი“ („თუ ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებას ჩაუკვირდებით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კრიტიკული აზრის უქონლობა“. ►

**1888 12 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ IX-X თავებს და უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 იანვარი“ („ჩვენ ვნახეთ, რომ ინგლისი ვერაფერი საიმედო სახელმწიფოა გერმანიისათვის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიისა და ავსტრიის ურთიერთობა“. ►

**1888 13 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ XI-XIII თავებს. ►

**1888 14 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 იანვარი“ („14 იანვარი ყოვლად სადიდებელი დღეა ყოველი ქართველისათვის“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქართველი ერი და ღვანლი წმინდა ნინოსი“. ►

**1888 17 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ XIV–XVI თავებს და უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 იანვარი“ („ჩვენში სალიტერატურო მოღვაწეობა საერთოდ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გაზეთი „მეურნე““. ►

**1888 19 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ XVII–XVIII თავებს და უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 იანვარი“ („კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტმა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სტატისტიკის საკითხებზე“. ►

**1888 20 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ XIX–XX თავებს და უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 იანვარი“ („არის ქვეყანაზე ბევრი იმისთანა საგანი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „არ გათეთრდება ყორანი“. ►

**1888 21 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „ოთარაანთ ქვრივის“ უკანასკნელ XXI–XXII თავებს და უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 20 იანვარი“ („ჩვენს ვენახებს შარშანდელ წელს ეწვია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვაზის ავადმყოფობა მილდიუ“. ►

**1888 22 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 იანვარი“ (ლორდი ჩერჩილი რომ რუსეთში წავიდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისის პოლიტიკური აზრის ახალი მიმართლება“. ►

**1888 23 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 იანვარი“ („ქვეყანაზედ მრავალგვარი ავკაცობაა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ისევ გაზეთ „კავკაზის“ გამოლაშქრების გამო“. ►

**1888 24 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 იანვარი“ („არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დავით აღმაშენებელი“. ►

**1888 26 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 იანვარი“ („რაც უფრო მეტი ხანი გადის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ხელობის სწავლების სიკეთე სოფლის სკოლებში“. ►

**1888 27 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 26 იანვარი“ („ის საშინელი ჭირი ვენახებისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვაზის ავადმყოფობა მილდიუ“. ►

**1888 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 27 იანვარი“ („ჩვენა ვსთქვით წინა წერილებში, რომ მილდიუ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვაზის ავადმყოფობა მილდიუ“. ►

**1888 29 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 28 იანვარი“ („ამერიკაში, საცა პირველ გამოჩნდა მილდიუ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვაზის ავადმყოფობა მილდიუ“. ►

**1888 30 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 29 იანვარი“ („ჩვენა ვსთქვით, რომ მეცნიერებმა წამალი უპოვეს მილდიუსა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვაზის ავადმყოფობა მილდიუ“. ►

**1888 31 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 იანვარი“ („გუშინწინ ჩვენს გაზეთში ერთმა ჩვენის სცენის მოყვარემ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დრამატული საზოგადოების“ გასაჭირი“. ►

**1888 2 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 თებერვალი“ („ახალმა წელიწადმა დიდი სამშვიდობო იმედი მოგვცა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საიდუმლო შეთანხმების გამომხეურება“. ►

**1888 7 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 თებერვალი“ („მთელი ქვეყანაა და თ-ის ბისმარკის სიტყვა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ფლოკეს მოსალოდნელი გამინისტრება“. ►

**1888 10 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 თებერვალი“ („ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინგლისმა ცოტად თუ ბევრად...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის გავლენის შესუსტება ევროპაში“. ►

**1888 11 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 თებერვალი“ („სალისბერის უკანასკნელმა სიტყვამ სულ ერთიანად...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სალუსბერის სიტყვა“. ►

**1888 12 თებერვლამდე**

იღებს ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) წერილს, რომელშიც ადრესანტი რაღაც საქმეში შუამდგომლობას სთხოვს. ►

**1888 12 თებერვალი**

საპასუხო წერილს უგზავნის ალექსანდრე ეპისკოპოსს (ოქროპირიძეს). აღუთქვამს, რომ სიხარულით კისრულობს მის სამსახურს, თუმცა ეგვი ეპარება, რომ მისმა შუამდგომლობამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს. ►

**1888 12 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 თებერვალი“ („ყველანი იძახოდნენ, რომ ინგლისი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისის ორჭოფული პოლიტიკა“. ►

**1888 16 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 თებერვალი“ („მთელი ევროპა მიქცეულია ეხლა იმაზედ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოსალოდნელი ცვლილება საფრანგეთის მთავრობაში“. ►

**1888 16 თებერვალი**

წერილს უგზავნის გრიგოლ ყიფშიძეს, ავალებს დაესწროს „სამედიცინო საზოგადოების“ სხდომას, რომელზეც განიხილავენ ავჭალის წყლის საკითხს და გაზეთისათვის დაწეროს ანგრიში. ასევე სასურველად მიაჩნია იმ კრების გაშუქებაც, რომელსაც მომდევნო დღეს ქალთა გიმნაზიის დარბაზში ატარებს ანასტასია თუმანიშვილი. ►

**1888 17 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 თებერვალი“ („გუშინ ჩვენ ჩამოვაგდეთ სიტყვა მასზედ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოსალოდნელ ახალ კავშირში ინგლისის მონაწილეობის მიზეზები“. ►



**1888 18 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 თებერვალი“ („ამიერკავკასიისათვის ერთი ფრიად საყურადღებო საქმეა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „შავი ზღვისპირეთის დასახლების საკითხი“. ►

**1888 19 თებერვალი**

ესწრება სათავადაზნაურო სკოლის შენობაში გამგეობის მიერ მონწვეულ სხდომას, რომელზეც გიმნაზიის ახალი დირექტორი ლევან ვაჩნაძე განიხილავს სასწავლებელში განსახორცილებელ ცვლილებებს. ►

**1888 21 თებერვალი**

გაზეთ „ნოვოე ობობრენიეში“ იბეჭდება მისი ლექსის „გახსოვს, ტურფავ...“ დავით ერისთავისეული რუსული თარგმანი. ►

**1888 23 თებერვლამდე**

გამოდის დავით კვბელის წიგნი „კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა). ►

**1888 23 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისათარიღით „ტფილისი, 22 თებერვალი“ („კარგახანია, ჩვენს საზოგადოებაში ჰტრიალებს აზრი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „არსებული სათავადაზნაურო სკოლის გადაკეთების აუცილებლობა“. ►

**1888 24 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 თებერვალი“ („დღეს ევროპაში აქეთ მოიხედავ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ომის საწინააღმდეგო მოძრაობის გაძლიერება ევროპაში“. ►

**1888 25 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 24 თებერვალი“ („თ-დი ლევან ვაჩნაძის მოხსენება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „არსებული სათავადაზნაურო სკოლის გადაკეთების აუცილებლობა“. ►

**1888 26 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 25 თებერვალი“ („19-ს თებერვალს, როცა ჩვენის სათავადაზნაურო სკოლის თაობაზე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „არსებული სათავადაზნაურო სკოლის გადაკეთების აუცილებლობა“. ►

**1888 27 თებერვლის შემდეგ**

წერილს იღებს არტემ ფირალიშვილისგან. ადრესანტი გადასცემს რუსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ შელგუნოვის თხოვნას, დაეხმაროს მის ვაჟ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შელგუნოვს, რომელიც იმპერატორის ბრძანებით ექვსი წლით ჩამოაქვეითეს რიგით ჯარისკაცად და განიცდის რეპრესიებს. ►

**1888 27 თებერვლის შემდეგ**

საპასუხო წერილს უგზავნის არტემ ფირალიშვილს. ბოდიშს უხდის პასუხის დაგვიანებისათვის და აცნობებს, რომ ნიკოლოზ შელგუნოვის შვილის მდგომარეობის შესამსუბუქებლად თხოვნით მიმართა გენერალ-მაიორ ქიშმიშევს, რომელმაც დახმარება აღუთქვა. წერს, რომ გარკვეული დროის შემდეგ გენერალს ისევ შეახსენებს დანაპირებს, რადგან სტუდენტობის წლებიდან დიდ პატივს სცემს უფროს შელგუნოვს და ძალიან უნდა, რომ თხოვნა შეუსრულოს. ►

**1888 1 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 29 თებერვალი“ („ან გარდაცვალებული იმპერატორი გერმანიისა...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „იმპერატორ ვილჰელმის პიროვნების მნიშვნელობა გერმანიისათვის“. ►

**1888 8 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 7 მარტი“ („2-ს მარტს დეპეშა მოვიდა ბერლინიდან...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის ახალი იმპერატორი“. ►

**1888 9 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 8 მარტი“ („მართალია, სამშვიდობო ნიავმა დაუბერა...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთობის მოგვარების გზები“. ►

**1888 10 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 9 მარტი“ („რამდენიმე დღე რუსეთიდან ფოსტა არ იყო...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „იმპერატორ ფრიდრიხის პიროვნული ღირსებები“. ►

**1888 12 მარტის შემდეგ**

იღებს დიმიტრი ბაქრაძის წერილს, რომლიდანაც იღებს, რომ ადრესანტმა უდროობის გამო ჯერჯერობით ვერ მოახერხა დაერიგებინა სურამის ხეობაში დაბარალეულ გლეხთათვის შეგროვებული თანხა. ►

**1888 13 მარტის შემდეგ**

პეტერბურგიდან იღებს გიგო გაბაშვილის წერილს. ატყობინებს, რომ წარმატებით დაასრულა პროფესორ ვილევალდეს კლასი სამხატვრო აკადემიაში და თბილისში საქმიანობის გასაგრძელებლად სჭირდება 200 მანეთის ღირებულების სამხატვრო მოწყობილობა. სთხოვს ილია ოქრომჭდლიშვილთან შუამდგომლობას და სწერს, რომ თავს არ ზოგავს მისი ნდობის გასამართლებლად. ►

**1888 15 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 14 მარტი“ („საკვირველი ქვეყანაა ეს საფრანგეთი...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთის უღონობისა და უძლურების მიზეზი“. ►

**1888 16 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 მარტი“ („მართლად არის ნათქვამი, დრონი მეფობენო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თავადაზნაურობის ფერისცვალება“. ►

**1888 16 მარტი**

იღებს ბანკის თეატრის შენობაზე მომუშავე მღებავის წერილობით ანგარიშს და მინაწერებს აკეთებს მასზე. ►

**1888 17 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 მარტი“ („ჩვენ მოგვივიდა გუმინ ერთი პატარა წიგნაკი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სკოლების ერთი დიდი ნაკლი“. ►

**1888 18 მარტამდე**

მიხეილ ხელთუფლიშვილისგან იღებს „ივერიაში“ გამოსაქვეყნებელ სტატიას და წერილს, რომელშიც სთხოვს, არ ეუხერხულოს სტატიის დაბეჭდვა იმის გამო, რომ მასში მისი ქებაა. ადრესანტი მის დარწმუნებას ცდილობს იმის ხაზგასმით, რომ „ივერია“ ერთადერთი არასპეციალური ქართული გაზეთია და თუ რედაქტორი თავს შეიკავებს მასზე გამოთქმული დადებითი აზრების ბეჭდვისგან, ამით სიმართლე შეიზღუდება. ►

**1888 18 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება მიხეილ ხელთუფლიშვილის წერილი „რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“, მაგრამ, მიუხედავად ავტორის თხოვნისა, ილია ჭავჭავაძე მაინც ამოკლებს იმ ადგილებს, სადაც მისი ქებაა. ►

**1888 20 მარტი**

„მკითხველი შიოს“ ფსევდონიმით წიგნად გამოდის შიო დავითაშვილის კრიტიკული ნარკვევი „ჩატეხილი ხიდი“ – „ოთარაანთ ქვრივის“ განხილვა“. ►

**1888 21 მარტამდე**

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს ცნობას, რომ აპირებს ილია ჭავჭავაძის მოთხრობების „ოთარაანთ ქვრივისა“ და „კაცია – ადამიანის?!“ გამოქვეყნებას. თარგმანებზე მუშაობენ ივან თხორაშვიცკი, დავით ერისთავი და თეოდორ ვიშნევსკი. ►

**1888 21 მარტი**

გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს ინფორმაციას „ნოვოე ობოზრენიეს“ განზრახვის შესახებ, რომ გამოაქვეყნოს „ოთარაანთ ქვრივისა“ და „კაცია – ადამიანის?!“ რუსული თარგმანები. ►

**1888 22 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 მარტი“ („მას შემდეგ, რაც იმპერატორი ვილჰელმი გარდაიცვალა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის გაურკვეველი მომავალი“. ►

**1888 23 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 მარტი“ („ჩვენ ერთხელაც გვითქვამს და ეხლაც კიდევ მიზეზი გვაქვს ვთქვათ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თავადაზნაურობის უქმობით ჩვენი მინა-წყლის დაკარგვა“. ►

**1888 24 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 მარტი“ („სიტყვამოსწრებული სახელოვანი პოეტი გერმანიისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „იონა მეუნარგიას მომავალი ლექციები გრიგოლ ორბელიანზე“. ►

**1888 29 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 მარტი“ („ძალიან ამბებია ამ ბოლოს დროს ევროპაში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია თავიანთ შინაურ საქმეებს მიუბრუნდნენ“. ►

**1888 30 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 მარტი“ („ჩვენ გადავავალიერეთ გამოცხადებული...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მამულების გამიჯნა“. ►

**1888 31 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 მარტი“ („გერმანიას დაუდგა ახალი ხანა ცხოვრებისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ახალი ხანა გერმანიის ცხოვრებაში“. ►

**1888 5 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 აპრილი“ („ჯერ გობლეს სამინისტრო ფეხზედ იდგა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლიტიკურ დასთა სიმრავლე საფრანგეთში“. ►

**1888 5 აპრილის შემდეგ**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ განსვენებული დიმიტრი ყიფიანის სახელზე ვალად დარჩენილ თანხას, რომელიც ნახსენები იყო განვლილი წლის ანგარიშში. იღებენ დადგენილებას, რომ ვალი დაიფაროს საზოგადოების თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძის მიერ შეტანილი ამავე ოდენობის თანხიდან, რათა დიმიტრი ყიფიანის სახელზე ვალი აღარ ირიცხებოდეს. ►

**1888 6 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 5 აპრილი“ („ყველას მოეხსენება გაზეთებიდამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლიტიკურ დასთა ბრძოლა საფრანგეთში“. ►



**1888 7 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 აპრილი“ („მაშინ, როდესაც საფრანგეთი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბისმარკის კრიზისი“. ►

**1888 14 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 აპრილი“ („დღევანდელს დღეს ევროპაში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის იმპერატორის, ფრიდრიხ III-ის ავადმყოფობა“. ►

**1888 15 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 აპრილი“ („ერთის გაზეთის კორრესპონდენტი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გენერალი ბულანჟე – საფრანგეთის მხსნელი“. ►

**1888 17 აპრილამდე**

გამოდის ინიციატივით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ტირაჟით (2200 ც.) გამოიცეს, რადგან თუ ამ პოემას მაღალი ხარისხით დაბეჭდავენ, მასზე დიდი მოთხოვნა იქნება. ►

**1888 20 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 აპრილი“ („ევროპამ რაც გინდ ძლიერად იღვანოს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მედიატორთა სამუდამო სასამართლოს დაწესება ჩრდილო-ამერიკაში“. ►

**1888 21 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 აპრილი“ („ინგლისის სვე-ბედის გამგეობას...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ლიბერალთა და კონსერვატორთა დასები ინგლისში“. ►

**1888 25 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 აპრილი“ („რა მოიტანა ქვეყნად მკვდრეთით დღეს აღდგენილმა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „აღდგომის მაღლი და ჭეშმარიტება“. ►

**1888 აპრილი**

გამოდის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი „ბუნების კარის“ მე-6 გამოცემა, რომელშიც ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ჩიტი“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზედ“, „სიტყვა თქმული სამეურნეო სკოლის გახსნის ჟამს სოფელს წინამძღვრიანთკარში“ და ნაწყვეტები: „განდევილიდან“, „აჩრდილიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“, „კაცია – ადამიანიდან?!“ და „გლახის ნაამბობიდან“. ►

**1888 მაისამდე**

უბის წიგნაკში იწერს საბანკო ანგარიშსწორებებს. ►

**1888 მაისამდე**

სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მასპინძლობს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველოლოგ უილიამ მორფილს და უძღვნის ახალგამოცემულ დასურათებულ „ვეფხისტყაოსანს“. ►

**1888 მაისიდან**

უბის წიგნაკის ცხრილში იწერს საბანკო ანგარიშსწორებებს. ►

**1888 4 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 3 მაისი“ („გაზეთებმა მოგვიტანეს ამას წინათ ამბავი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პედაგოგიის საფუძვლები“. ►

**1888 5 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 4 მაისი“ („ჩვენ წინა წერილში იმაზედ შევსწყვიტეთ სიტყვა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პედაგოგიის საფუძვლები“. ►

**1888 6 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 5 მაისი“ („ჩვენ წინა წერილში ლაპარაკი გქქონდა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პედაგოგიის საფუძვლები“. ►

**1888 8 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 7 მაისი“ („მოკლედ რომ მოვსჭრათ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პედაგოგიის საფუძვლები“. გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის სტატიის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“ დასაწყისი. ►

**1888 11 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 10 მაისი“ („ვიტტორინო და-ფელტრე, – რომელიც, როგორც წინადა ვსთქვით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პედაგოგიის საფუძვლები“. ►

**1888 12 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავსს თარიღით „ტფილისი, 11 მაისი“ („მას აქეთ, რაც გერმანიის ტახტზე ავიდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის შემფოთება იმპერატორ ფრიდრიხის ავადმყოფობის გამო“. ►

**1888 13 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 მაისი“ („არც ერთს ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ებრაელთა საკითხზე“. ►

**1888 14 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 მაისი“ („როგორც გუშინნა ვსტყვით...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის პოლიტიკის შეფასება რუსულ პრესაში“. ►

**1888 14 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა საერთო კრებას, სადაც განიხილავენ წლიურ ანგარიშს და დავით ავალიშვილი გამოდის ამ ანგარიშის დამტკიცების წინააღმდეგ. ►

**1888 15 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 მაისი“ („26-ს აპრილს კავთისხევის სასოფლო სკოლამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კავთისხევის სასოფლო სკოლის 10 წლისთავი“. ►

**1888 16 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა საერთო კრებას, რომელზეც მტკიცდება მომდევნო წლის ბიუჯეტი. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ დაეხმარონ თბილისის სათავადაზნაურო სკოლას, გაზეთ „მეურნის“ რედაქციას, თელავის დედათა სასწავლებელს, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლას და ქართულ დრამატულ საზოგადოებას. ►

**1888 17 მაისი**

წერილობითი თხოვნით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, დართონ ნება, რომ ცალკე წიგნად დაბეჭდოს გიორგი წერეთლის თხზულება „მამიდა ასმათი“, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ იყო გამოქვეყნებული. ►

**1888 17 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის წევრთა საერთო კრების მუშაობაში, რომელზეც მსჯელობენ ბანკის ანგარიშის, თეატრის აშენებისა და ქარვასლის გადაკეთების ხარჯების საკითხებზე. ►

**1888 17 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 16 მაისი“ („ივერიის“ წარსულს 3-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნ ნ. გ.-ლის წერილი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თერგ–დალეულნი“ და „ახალი თაობა“. ►

**1888 18 მაისი**

ვრცელი განმარტებითი მოხსენებით გამოდის თსს ბანკის წევრთა საერთო კრებაზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით. 111 ხმით 9-ის წინააღმდეგ ხელახლა ირჩევენ ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ. ►

**1888 18 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 17 მაისი“ („რამ დასეტყვა და დაანაცრა ჩვენი ახალი თაობა?..“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თერგ–დალეულნი“ და „ახალი თაობა“. ►

**1888 19 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 მაისი“ („მას აქეთ, რაც ბანკი დაარსებულა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კრება ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა (16 მაისს)“. ►

**1888 20 მაისამდე**

უბის წიგნაკში იწერს საკითხებს, რომელთა შესახებაც უნდა ისაუბროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე. მუხლობრივად განიხილავს კახეთში რკინიგზის გაყვანის დეტალებს, სად უნდა იყოს სადგურები, რომელ მდინარეებზე აიგოს ხიდები და სხვ. ►

**1888 20 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 19 მაისი“ („ჩვენა ვსთქვით, რომ ჩვენის ახალითაობის შექმნაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თერგ–დალეულნი“ და „ახალი თაობა“. ►

**1888 20 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ინფორმაციას 1886 წელს სახელმწიფო ღალატში ბრალდებული ძმების – ლიონელო და ვიტორიო ვეკების, გრაფ დორიდესის და პაპთან დაახლოებული პირების – ბოკანის და ვანუტელის შესახებ. ►

**1888 21 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 20 მაისი“ („ჩვენ, ვგონებთ, საერთოდ ნათლად ვუჩვენეთ მკითხველს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „თერგ–დალეულნი“ და „ახალი თაობა“. ►

**1888 21 მაისი**

მონაწილეობს ქშნ-კგ საზოგადოების კრებაში, რომელზეც ერთხმად ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარედ. ►

**1888 21 მაისი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელიც განიხილავს კახეთის რკინიგზის, სათავადაზნაურო სკოლისთვის ფულის განწერისა და სხვა საკითხებს. ►

**1888 24 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის სტატიის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“ გაგრძელება. ►



**1888 25 მაისამდე**

ეკატერინე მელიქიშვილი-მესხისა ხელშეკრულებას დებს ილია ჭავჭავაძესთან იმის თაობაზე, რომ გაზეთ „ივერიის“ მომდევნო ნომერი დაიბეჭდება მის საოჯახო სტამბაში. დოკუმენტში პუნქტობრივადაა ჩამოყალიბებული ორივე მხარის უფლება-მოვალეობები. ►

**1888 25 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის სტატიის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“ გაგრძელება. ►

**1888 28 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 მაისი“ („რამდენად დამაბრკოლებელია წარმოებისა და მრეწველობისათვის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამეურნეო იარაღი მრეწველობისათვის“. ►

**1888 29 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის სტატიის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“ გაგრძელება. ►

**1888 მაისის ბოლო**

მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქმნ-კგ საზოგადოების ანგარიში. ►

**1888 2 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის სტატიის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“ გაგრძელება. ►

**1888 5 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 ივნისი“ („გერმანიას ეწვია ძლიერი ისტორიული განსაცდელი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხი“. გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის სტატიის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“ გაგრძელება. ►

**1888 12 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის სტატიის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“ გაგრძელება. ►

**1888 15 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის სტატიის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“ დასასრული. ►

**1888 16 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 ივნისი“ („დიდი ხანია, რაც ევროპის პოლიტიკის სათავეში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის ახალი იმპერატორი ვილჰელმ II“. ►

**1888 17 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 ივნისი“ („გუშინდელს მეთაურში ის აზრი წარმოვსთქვით...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის პოლიტიკა რუსეთისა და საფრანგეთის მიმართ“. ►

**1888 18 ივნისი**

მონანილეობს საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაში. ►

**1888 19 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 ივნისი“ („ბ-ნი პ. უმიკაშვილი გუშინდელს წერილში შეეხო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოძრავი სკოლები და ბიბლიოთეკები სოფლად“. ►

**1888 19 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ მიზეზებს, რამ გამოიწვია ქუთაისის სკოლის ოთხკლასდამთავრებულების ცუდი შედეგები გიმნაზიაში მისაღებ გამოცდებზე. გრიგოლ ვოლსკის ავალებენ ადგილზე ჩასვლას, ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დონის შემოწმებას და იმის გარკვევას, თუ რამდენად აკმაყოფილებს თანამდებობრივ მოთხოვნებს ამ სკოლის ინსპექტორი. ►

**1888 21 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 ივნისი“ („დიდი ხანია ისმოდა ხმა, რომ უმაღლესი მთავრობა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ახალი ასიგნაციების შემოღება“. ►

**1888 22 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 ივნისი“ („მაშინ, როცა მთელის ევროპიის გაზეთები...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სალუსბერისა და გლადსტონის დასთა დაპირისპირება“. ►

**1888 23 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 ივნისი“ („Новое Обозрение“-ს გუშინდელს ნომერში (№ 1553)...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ტფილისის და ქუთაისის ქართული საადგილმამულო ბანკების შეერთების საკითხებზე“. ►

**1888 25 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 ივნისი“ („წარსულს წელს საერო განათლების სამინისტრომ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოსამზადებელი კლასები გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში“. ►

**1888 ივნისის ბოლო**

არტურ ლაისტთან ერთად ესწრება მოსკოვიდან ჩამოსულ ილია ოქრომჭედლიშვილის საპატივცემულოდ დილომში ივანე მუხრანბატონთან გამართულ წვეულებას. ►

**1888 3 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 ივლისი“ („ვილჰელმ მეორის გაიმპერატორებას გერმანიაში..“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის მიერ რუსეთთან კავშირის ძიება და ინგლის-საფრანგეთის იგნორირება“. ►

**1888 4 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 ივლისი“ („ერთ დროს დიდი და გაცხარებული ლაპარაკი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დედათა ემანსიპაციის შესახებ“. ►

**1888 8 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 7 ივლისი“ („ივერიის“ №№ 92-96 მეთაურების საგნად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პედაგოგიის საფუძვლები“. ►

**1888 9 ივლისამდე**

ირჩევენ თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების შეერთების საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში. ►

**1888 9 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 8 ივლისი“ („ვიტორინომ, ვერჟერიომ და რეჯიომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პედაგოგიის საფუძვლები“. ►

**1888 10 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 9 ივლისი“ („ამაოდ არ ჩაიარა საპედაგოგიო მეცნიერებისათვის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პედაგოგიის საფუძვლები“. ►

**1888 10 ივლისის შემდეგ**

იღებს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ უილიამ მორფილის წერილს, რომელშიც ადრესანტი მადლობას უხდის გულთბილი მიღებისათვის. სწერს, რომ კითხულობს ქმნ-კვ საზოგადოებისა და პირადად მის მიერ მიძღვნილ ქართულ წიგნებს. აცნობებს, რომ ამზადებს სტატიას ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ენის შესახებ. ►

**1888 15 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 ივლისი“ („ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ისტორია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რუსეთის ნათელღების ცხრაასი წელი“. ►

**1888 17 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 ივლისი“ („წელს დანიშნულია და ამ ცოტას ხანში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „წოდებათა თანასწორობა არჩევნებში სოფლად“.

**1888 20 ივლისი**

მცხეთელი გლეხობისგან იღებს ანგელოზის დღის მილოცვას. დეპეშაში გამოთქმულია იმედი: „როგორც შენმა სეხნიამ, წმინდა ილიამ არ დატოვა ხალხი თავისი უნუგემოდ და დაუტოვა მას გამაკურნებელი სამოსელი თვისი, ეგრე შენ არ გაუშვებ უნუგემოდ დაჩაგრულ ქართველებსა“.

**1888 28 ივლისი**

გაზეთ ივერიის რედაქცია ახალ-ბებუთოვის ქუჩიდან გადააქვს ფრეილინას ქუჩა № 5-ში (ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან) და მისი ოჯახიც იქვე გადადის საცხოვრებლად.

**1888 30 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ მისი ხელმოწერით ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1888 წლის 1 ივლისისთვის.

**1888 3 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 აგვისტო“ („არც ერთი სენი ადამიანისა იმისთანა საზარელი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დაცოფიანების შემცირების ღონისძიებათა პროექტი“.

**1888 4 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 აგვისტო“ („მთელი ვახეთი მოდებულია თურმე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვაზის სენი მილდიუ და მასთან ბრძოლა“.

**1888 14 აგვისტომდე**

უილიამ მორფილისგან იღებს ინგლისურ გაზეთ „აკადემიის“ იმ ნომერს, რომელშიც გამოქვეყნდა ამ ინგლისელი პროფესორის ნარკვევი „ქართული ენა და მწერლობა“.

**1888 აგვისტოს შუა რიცხვები**

„სანდალას“ ფსევდონიმით გამოდის გაქარია ჭიჭინაძის წიგნი „წერილები ქართულს მწერლობაზე“. ბატონყმობის თემამე საუბრისას განხილულია „გლახის ნაამბობი“.

**1888 24 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 აგვისტო“ („ვერაფერი სანატრელია ის დღე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვაზის დასენიანებასთან დაკავშირებით სხვა სარჩო-საბადებლის ძიება“.



**1888 25 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 აგვისტო“ („ქვეყანაზედ რომ მარტო ბ-ნნი შავროვები იყვენ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ხოლერის აცრის სახსარი“. ►

**1888 აგვისტო**

სწორებები შეაქვს ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში სასწავლო საგნების სწავლების მეთოდების შესახებ შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტში. ►

**1888 1 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 აგვისტო“ („ჯერ შარშანვე ასტყდა ჩვენში ლაპარაკი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სათავადაზნაურო სკოლის გადაკეთების შესახებ“. ►

**1888 6 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ეცნობიან თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის უარყოფით პასუხს მცხეთაში სკოლის გახსნაზე. სახელმძღვანელოებსა და სასკოლო ნივთებს უგზავნიან ბათუმის სკოლის მასწავლებელს, ხოლო კრებაზე დასასწრებად სამგზავრო თანხას - მოსე ნათაძესა და სალომე მაღალაშვილს. ეცნობიან ინფორმაციას საზოგადოების მიერ სკოლებში გაგზავნილ წიგნებზე „რობინზონ კრუზოსა“ და „იგავ-არაკებზე“ მოთხოვნების შესახებ. ►

**1888 7 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 სექტემბერი“ („იმპერატორი გერმანიისა ფრიდრიხი რომ გარდაიცვალა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვილჰელმ II-ის სურვილი ალაგმოს სამინისტროებისა და ბისმარკის თვითნებობა“. ►

**1888 8 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 7 სექტემბერი“ („ამ მოკლე ხანში გერმანიამ ორი იმპერატორი დამარხა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის პოლიტიკა ევროპისა და აზიის ქვეყნების მიმართ“. ►

**1888 12 სექტემბრიდან**

უბის წიგნაკის ცხრილში იწერს საბანკო ანგარიშსწორებებს. ►

**1888 13 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს ფელეტონის „ორნი არიან, ტოლნი არიან, ანუ აგანგალა განგალა, შაროვი და სანდალა“ დასაწყისს („ეს მეცხრამეტე საუკუნე, რომელიც ჰა, სულის დაღევაამდეა...“). ►

**1888 13 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ქუთაისის სკოლის მასწავლებლის სილოვან ხუნდაძის საჩივარს, იმასთან დაკავშირებით, რომ მას უკანონოდ ჩამოართვეს სასწავლო საათები. ქუთაისში საგანგებოდ იგზავნებიან ალექსანდრე ჭყონია და იაკობ მანსვეტაშვილი ამ საკითხისა და სხვა გარემოებების დაწვრილებით გამოსარკვევად. ►

**1888 14 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 სექტემბერი“ („ერთი დიდი დანაკლისი ამიერკავკასიისა ის არის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „უმაღლესი სასწავლებლის უქონლობა ამიერკავკასიაში“. აქვე ხელმოუწერლად აქვეყნებს ფელეტონის „ორნი არიან, ტოლნი არიან, ანუ აგანგალა განგალა, შაროვი და სანდალა“ გაგრძელებას („დიდი უმადურობა იქნება მეცხრამეტე საუკუნის წინაში...“). ▶

**1888 16 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 სექტემბერი“ („დღეს დასრულდა ფელეტონი სანდალას წიგნის თაობაზედ...“) მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სანდალას წიგნის გამო“. ამავე ნომერში ხელმოუწერლად ასრულებს ბეჭდვას ფელეტონისა „ორნი არიან, ტოლნი არიან, ანუ აგანგალა განგალა, შაროვი და სანდალა“ („რა შეცდომებია ჩვენი მამაპაპური ისეთი, რომ ჩვენს სანდალას...“). ▶

**1888 20 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ალექსანდრე ჭყონიასა და იაკობ მანსვეტაშვილის ანგარიშს ქუთაისის სკოლის რევიზიასთან დაკავშირებით. იღებენ დადგენილებას, რომ სკოლის ინსპექტორი სპირიდონ ჭორჯიკია გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან და დარჩეს რიგით მასწავლებლად იმავე სკოლაში, ხოლო სილოვან ხუნდაძე დათხოვნილ იქნას ქუთაისის სკოლის მასწავლებლობიდან, მაგრამ ნება მიეცეს, რომ იმსახუროს ქმნ-კვ საზოგადოებისადმი დაქვემდებარებულ რომელიმე სხვა სკოლაში. ▶

**1888 21 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 სექტემბერი“ („საფრანგეთს, რომელიც არ აძლევს მოსვენებას თ. ბისმარკსა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბისმარკის მდგომარეობის შერყევა“. ▶

**1888 22 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 სექტემბერი“ („გუშინ გავისხენეთ, რომ აბ ბოლო ხანებში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „იმპერატორ ფრიდრიხ III-ს დღიურის შესახებ“. ▶

**1888 23 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 სექტემბერი“ („პური და ერთობ ხორბალეულობა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოუსავლიანობა და პურ-ხორბალეულის გაძვირება“. ▶

**1888 სექტემბერი**

ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოდის ოლივერ უორდროპის წიგნი „საქართველოს სამეფო“, რომელშიც მიმოხილულია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა და ჩართულია მისი პორტრეტი. წიგნში წარმოდგენილია „ქართველის დედის“ ოთხი ტაეპის პოეტური თარგმანი და „აჩრდილის“ ნაწყვეტების პროზაული თარგმანი. ▶

**1888 5 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 ოქტომბერი“ („მთელი ჟურნალ-გაზეთობაა და იმპერატორ ვილჰელმის სტუმრად წასვლა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის იმპერატორის ვიზიტი იტალიასა და ავსტრიაში“. ▶

**1888 6 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 5 ოქტომბერი“ („ამ უკანასკნელს წლებში უმაღლესმა მთავრობამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მინათმოქმედების გასაჭირი“. ▶

**1888 12 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 11 ოქტომბერი“ („ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია მასზედ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „არყის გამოხდის წესების შეცვლის აუცილებლობა“. ▶

**1888 13 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 ოქტომბერი“ („საფრანგეთი დღეს დიდს ჭაპან-წყვეტასა და გაჭირებაშია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთის კონსტიტუციის ხელახლა გადახედვის მომხრენი და უარმყოფელნი“. ▶

**1888 14 ოქტომბერი**

თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორს წარუდგენს ვლადიკავკაზის სკოლისთვის ქართული ენის სწავლების მეთოდიკას და მასწავლებლად სთავაზობს ივანე ბედელაძის კანდიდატურას. ▶

**1888 20 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 ოქტომბერი“ („მკვიდრთა ჭანის სიმრთელე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამკურნალო ღონისძიებათა შესახებ რუსეთის გუბერნიებში“. ▶

**1888 21 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 ოქტომბერი“ („ბევრი ლაპარაკია, მაგრამ ჭერ არავის გამოუცვნია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის შემოფოთება გერმანიის შეიარაღების გამო“. ▶

**1888 24 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 ოქტომბერი“ („თუმცა ყველგან და ყოველის მხრით იძახიან...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლიტიკური ვნებათაღელვა ევროპაში“. ▶

**1888 28 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 ოქტომბერი“ („იტალიაში მისვლა მეტად ძნელ და მძიმე საქმედ არის მიჩნეული...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რომის პაპის უკმაყოფილება გერმანიის მთავრობით“. ►

**1888 29 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 ოქტომბერი“ („ნუთუ მართლა საფრანგეთი ასე განმარტოებულია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის ქვეყნების დამოკიდებულება საფრანგეთისადმი“. ►

**1888 ოქტომბერი**

მასთან სტუმრად არიან ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) და მღვდელი ვასილ კარბელაშვილი. ლაპარაკობენ „ვისრამიანზე“, რომელიც სწორედ იმ დროს იბეჭდებოდა. შემდეგ გადადიან კერძო საუბარზე და ალექსანდრე ეპისკოპოსი, რომელსაც ყური მოუკრავს, იღია ჭავჭავაძე ბანქოს თამაშობსო, ეუბნება, არ შეიძლება „კაცია – ადამიანის?!“ და „გლახის ნაამბობის“ შემქმნელი თავის დროს ასეთ რამეზე ფლანგავდესო. იღია პასუხობს, რომ ეს მისთვის განტვირთვაა, რომელიც ძალების მოკრებაში ეხმარება. ►

**1888 ოქტომბერი**

მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქშნ-კვ საზოგადოების ანგარიში 1888 წლის 1 სექტემბრამდე. ►

**1888 1 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 ოქტომბერი“ („ამ ბოლოს ხანებში ჩვენმა კავკასიამ მოიზიდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მეურნეობის სიკეთე სოფლად ყველას საქმეა“. ►

**1888 3 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 ნოემბერი“ („ჩვენი გულითდი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „წოდებათა თანასწორობა“. ►

**1888 4 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 ნოემბერი“ („ქალაქში ეხლა ზოგიერთ შორის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თეატრის მშენებლობის შეჩერება“. ►

**1888 5 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 ნოემბერი“ („ქალაქის საბჭოსგან ამორჩეულმა კომისიამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კვლავ თეატრის მშენებლობის შესახებ“. ►



## 1888 9 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 ნოემბერი“ („კვირანდელის ნომრის მეთაურში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ნარსულის ნეშტთა შეურაცხყოფა ბარბაროსობაა“. ►

## 1888 8 მაისიდან 10 ნოემბრამდე

ილია ჭავჭავაძე დ იაკობ მანსვეტაშვილი ხელს აწერენ დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვლადიკავკაზის სკოლის ქართველი მოსწავლეები საგნებს გაივლიან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სასწავლო გეგმისა და ეშნ-კვ საზოგადოების წესდების თანახმად. აქვე ჩამოყალიბებულია სხადასხვა საგნის: საღვთო სჯულის, არითმეტიკის, ქართული და რუსული ენების სწავლების მეთოდები. ►

## 1888 10 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 ნოემბერი“ („ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირველ დამხობა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ერი და ისტორია“. ►

## 1888 12 ნოემბერი

სტატიასთან ერთად იღებს დავით კლდიაშვილის წერილს, რომელშიც სთხოვს, რომ მიწოდებული მასალა დაბეჭდოს „ივერიაში“. ტექსტი ფსევდონიმით „დროებით ჩამოსული ბათუმში“ „ივერიაში“ ქვეყნდება 1888 წლის 16 ნოემბერს. მასში საუბარია ბათუმის თვითმმართველობის, ინტელიგენციისა და სკოლის პრობლემებზე. ►

## 1888 16 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 ნოემბერი“ („კვირა დღეს, ამ 13-ს ნომბერს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კაცი ჭერ კაცი უნდა იყოს“. ►

## 1888 16 ნოემბერი

ქართულ დრამატულ საზოგადოებას სწირავს 40 მანეთს. ►

## 1888 18 ნოემბრამდე

მოსკოვიდან იღებს ილია ოქრომჭედლიშვილის წერილს, რომელშიც საუბარია პროფესორ დავით ჩუბინაშვილისათვის იუბილეს გადახდის შესახებ. ►

## 1888 18 ნოემბერი

საპასუხო ბარათს უგზავნის მოსკოვში პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილს და გულისტკივილით სწერს დავით ჩუბინაშვილის იუბილესადმი საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულების შესახებ. ►

## 1888 23 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 ნოემბერი“ („რარიგად აერია ადამიანს გზა-კვალი ყოველსფერში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „Новое Время“ – ავენიანი და მეჭორე გაზეთი“. ►

**1888 24 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 ნოემბერი“ („ჭერ არა ყოფილა ქვეყანაზედ სახელმწიფო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამთა კავშირი“ ფანფალებს უღონობით“. ►

**1888 26 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 ნოემბერი“ („მოზარდ თაობის გონებითს დაქანცვაზე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოზარდი თაობა – ადამიანის თვალი და მერმისის იმედი“. ►

**1888 29 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 ნოემბერი“ („გუშინწინ, 26 ნოემბერს, კრება ჰქონდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება“. ►

**1888 30 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 ნოემბერი“ („ჩვენ წინა წერილში ჩვენი სიხარული გამოვაცხადეთ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამეურნეო საზოგადოების კავშირი“. ►

**1888 31 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 ნოემბერი“ („რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ზეთისხილის ხე კავკასიაში“. ►

**1888 9 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 დეკემბერი“ („ერთი დიდი და ფრიად მძიმე ვალდებულება სახელმწიფოსი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ობლებზე ზრუნვა დიდი და მძიმე ვალდებულებაა“. ►

**1888 10 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ სახალხო სკოლების დირექტორის მონწერილობას ხელთუბნისა და ზოგიერთ სხვა სკოლაში არსებული დარღვევების შესახებ. წერილში ნათქვამია, რომ: ცალკეული საგნების სწავლება არ არის სათანადო დონეზე, საღმრთო წერილს ასწავლის საერო პირი და ზოგიერთი საგნის სწავლება მიმდინარეობს ისეთი სახელმძღვანელოთი, რომელიც მთავრობის მიერ არ არის მონონებული. ნიკოლოზ ცხვედაძეს ევალება, რომ საკითხის განხილვის დროს გამოთქმული მოსაზრებები წერილობით ჩამოაყალიბოს დირექტორისთვის პასუხის გასაგზავნად. გრიგოლ ტატიშვილისაგან იძენენ მის მიერ დასურათებული საბავშვო წიგნის „პირუტყვების ამბები“ მთლიან ტირაჟს. რევიზიას აგზავნიან ხელთუბნის, წინარეხისა და თონეთის სკოლებში. ილია წინამძღვრიშვილის თხოვნით ხელფასს უნიშნავენ წინამძღვრიანთკარის დაბალი კლასების ორ მასწავლებელს. ►

**1888 11 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 10 დეკემბერი“ („ჩვენ აღრევაც გვითქვამს, რომ ეხლანდელს დროს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „უარმყოფელობა ჩვენში“. ►

**1888 13 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 დეკემბერი“ („დედათა საქმე, რომელიც ჩვენში მონათლულია ქალების საქმედ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დედათა საქმე“. ►

**1888 14 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 13 დეკემბერი“ („ჯერ ეს ვიკითხოთ, – რა არის ბუნებითად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „უარმყოფელობა ჩვენში“. ►

**1888 15 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 დეკემბერი“ („საითაც კი მიიხედავთ ჩვენში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კვალად თვითმოქმედების შესახებ“. ►

**1888 20 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 დეკემბერი“ („ვის არ წაგიკითხავთ ჩვენი აქაური რუსული გაზეთი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საადგილმამულო გადასახადი ამიერკავკასიაში“. ►

**1888 21 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 დეკემბერი“ („სახელმწიფო სათავადაზნაურო და საგლეხო ბანკების დაარსება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სათავადაზნაურო და საგლეხო ბანკების დაარსება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში“. ►

**1888 23 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 დეკემბერი“ („სახელმწიფო სათავადაზნაურო და საგლეხო ბანკები დღეს არა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სახელმწიფო სათავადაზნაურო და საგლეხო ბანკების უმთავრესნი საფუძველნი“. ►

**1888 24 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 დეკემბერი“ („ჩვენა ვსთქვით წინა წერილში, რომ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბანკის სესხის თაობაზე“. ►

- 1888 27 დეკემბრის შემდეგ**  
უბის წიგნაკის ცხრილში იწერს სხვადასხვა პირთა საბანკო ანგარიშსწორებებს. ►
- 1888 29 დეკემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 28 დეკემბერი“ („სხვაგან, საცა სიფრთხილე, წინდახედულება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვალი მაინც ვალია“. ►
- 1888 30 დეკემბერი**  
მონაწილეობს კავკასიის სასოფლო–სამეურნეო საზოგადოების კრებაში, რომელიც განიხილავს თბილისის საბაღოსნო სკოლის წლიურ ხარჯთაღრიცხვას. ►
- 1888** მწერალი გრიგოლ მაჩტეტი უძღვნის საკუთარ წიგნს „სილუეტები. ახალი მოთხრობები და ნოველები“. წარწერაში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძის პოეზია, მის ქვეყანასავით მშვენიერი და მოწყვნილია. ►
- 1888** რაფიელ ერისთავი ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივს“ უძღვნის ლექსს, რომელშიც აღნიშნავს, რომ მოსწონს მისი მთავარი პერსონაჟი. ►
- 1888** გიორგი ქართველიშვილთან, დიმიტრი ბაქრაძესთან და ივანე მაჩაბელთან ერთად ირჩევენ თბილისში რუსთაველის ძეგლის ასაგებად შექმნილ კომისიაში, მაგრამ მთავრობა არ გასცემს დედაქალაქში ძეგლის აგების ნებართვას. ხელისუფლების განჩინებით მონუმენტის აღმართვა ნებადართულია მხოლოდ მოღვაწის დაბადების ადგილას. ►
- 1888-**  
**დან** ბიძაშვილიშვილი ალექსანდრე მაყაშვილი და მისი მეუღლე ბარბარე ყარალაშვილი შესჩივიან, რომ მათი ვაჟი ილია, რომელიც თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ჰყავთ მიბარებული, კარგად არ სწავლობს. ილია ჭავჭავაძე ამის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ ნაადრევად დაიწყო შვილის განათლებაზე ზრუნვა. მისი აზრით, იმისათვის, რომ ბავშვს გონება გაეხსნას, სასურველია 8 წლამდე ბუნებასა და ხალხში იყოს. ►
- 1888-**  
**დან** უბის წიგნაკში იწერს ინფორმაციებს სხვადასხვა ჟურნალებიდან და წიგნებიდან. მათში საუბარია იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. ►
- 1888-**  
**დან** უბის წიგნაკში იწერს შემთხვევებს კონკრეტულ საბანკო საქმეებთან დაკავშირებით. ►
- 1888-**  
**დან** უბის წიგნაკში იწერს რუსულენოვანი წიგნებისა და ჟურნალების სიას. ►
- 1888-**  
**დან** უბის წიგნაკში სათაურით „ფელეტონისათვის“ იწერს მომავალი სტატიის თემებს და მინიშნებებს. ►



**1888-**

დან უბის წიგნაკში იწერს რუსულენოვანი წიგნებისა და ჟურნალების სიას და რამდენიმე მათგანს გვერდით უწერს თავისი თანამშრომლების გვარებს, რომელთათვისაც, სავარაუდოდ, აპირებს ამ წიგნების გადაცემას. ►

**1888-**

დან იღებს იონა მეუნარგიას წერილს, რომელშიც სთხოვს, ბანკმა თავდაპირველად შეთავაზებულზე მეტი სესხი მისცეს სალომე დადიან-მიურატისას. ►

**1888-**

დან საპასუხო წერილს უგზავნის იონა მეუნარგიას, სალომე დადიანი-მიურატის საბანკო სესხთან დაკავშირებით. განუმარტავს, რომ კანონის თანახმად, ამ მამულზე სესხად გასაცემი თანხის მაქსიმუმი არის 24 000 მანეთი და სამინისტრომ შეიძლება მეტი არ დაამტკიცოს. ►

**1889 1 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 დეკემბერი“ („დადგა ახალი წელიწადი და ნება გვიბოძეთ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საახალწლო მილოცვა“. გაზეთის ამავე ნომერში „რედაქტორი-გამომცემელი შერმადინის“ ფესვდონიშით იბეჭდება იაკობ მანსვეტაშვილის „საახალწლო მილოცვა“ ილიასადმი („ნუ უღალატებ მერანსა / „ჩოტკი“ ძირს დადე, ილია, / ყველა ეს წავა, გაქრება, / დარჩება „განდეგილია“.) ►

**1889 10 იანვარამდე**

ირჩევენ ვაზის დაავადებასთან მებრძოლი კომისიის წევრად. ►

**1889 10 იანვარი**

მონანილეობს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ყრილობაში, სადაც განიხილავენ ვაზის დაავადებასთან მებრძოლი კომისიის მოხსენებას. ►

**1889 10 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 9 იანვარი“ („ჩვენ, რაც შევიძელით, ვაუწყებ ჩვენს მკითხველებს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“. ►

**1889 11 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 10 იანვარი“ („ყველაზე უწინარეს საცნობელი ის არის, რომ საგლეხკაცო ბანკი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“. ►

**1889 12 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 11 იანვარი“ („ერთი დიდი საგრძნობელი წუნი საგლეხკაცო ბანკისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“. ►

**1889 13 იანვარი**

იხდის დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილის მიერ საგურამოში არენდით აღებული მიწის გადასახადს და ნიკო ნიკოლაძე უფორმებს ხელწერილს. ►

**1889 17 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 იანვარი“ („დღევანდელი ევროპა ჰგავს იმ კაცსა, რომელიც...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მილიტარობა ევროპაში“. ►

**1889 17 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ საზოგადოებისა და მისი წიგნთსაცავისთვის შენობის აგების საკითხს. იაკობ გოგებაშვილის აზრით იგი შეიძლება აშენდეს თსს ბანკის შენობის გვერდით. ივანე მაჩაბელი აყენებს წინადადებას, რომ თავადაზნაურთა საზოგადო კრებისაგან ითხოვონ ამ მიწის ნაკვეთის უფასოდ დათმობა, ხოლო ბანკისგან - მისი აშენება და წლიური ქირის აღება დანახარჯის ასანაზღაურებლად. იღებენ დადგენილებას, რომ უპირველეს ყოვლისა გამოცხადდეს შემომწირველთა ხელმოწერა. განიხილავენ წინარეხის თონეთისა და ხელთუბნის სკოლების მასწავლებლებისათვის ხელფასის მომატების საკითხს, მაგრამ, რამდენადაც ეს არის საზოგადოების წევრთა საერთო კრების კომპეტენცია, გადაწყვეტილების მისაღებად ელოდებიან მომდევნო ასეთი კრების ჩატარებას. ►

**1889 19 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ „ივერიელის“ ხელმოწერით აქვეყნებს ფელეტონს „ამბავი ყბად ასაღები და წყალ-წასაღები“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად გამოქვეყნდა მწერლის თხზულებათა ცხრატომეულში. ►

**1889 20 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 იანვარს“ („ბულანჟე ამოირჩია პარიჟმა, მაგრამ პარიჟს ისეთი გავლენა აღარა აქვს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულანჟე ამოირჩია პარიჟმა“. ►

**1889 22 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 იანვარი“ („რა არის სიმდიდრე ერისა? ასში და ათასში ერთის სიმდიდრეში ჯდომა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რა არის სიმდიდრე ერისა?“. ►

**1889 23 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 იანვარი“ („ეგრედნოდებულს „სამთა კავშირს“ შედგენილს გერმანიის პოლიტიკოსთ მიერ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამთა კავშირს“ ფესვები აწყდება“. ►

**1889 26 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 იანვარი“ („გაზეთებს დღეს ჩრდილში აქვთ მიყენებული ყველა სხვა საქმეები...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ავსტრი-ვენგრიის ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება“. ►

**1889 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 იანვარი“ („არიან ზოგი იმისთანა ქვეყნები, საცა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პრესა და პირადობა“. ►

**1889 29 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 იანვარი“ („განმეორება იქნება ათსჯერ თქმულისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მამულების გამიჯვნა“. ►

**1889 იანვარი**

გაზეთ „თეატრში“ იბეჭდება მისდამი მიძღვნილი საახალწლო შარჟები „გოგოჭურის“ ფსევდონიმით ვაჟა-ფშაველასი („რასაც კი ხელი ჩასჭიდე, / გამოდის მეთაურო, / დიდს მანძილს მალე გაივლის, / როგორაც ბედაურო...“ და „ზაყელის“ ფსევდონიმით შიო ქუჩუკაშვილისა („შუბლი გახსენი, გამოკრთეს / კლავკნით ლაჟვარდი ცისანი, /ათ ახალგაზრდას ნათქომსა / ერთი სჯობს მოხუცისანი, / შუქს კიდევა ჰფენს ქვეყანას / ჩასვლისას სხივნი მზისანი...“). ►

**1889 4 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას თარიღით „ტფილისი, 3 თებერვალი“ („დიდი ხანია, სჩივიან ჩვენი მემამულენი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება“. ►

**1889 5 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 თებერვალი“ („ერთი არასასიამოვნო თვისება დაეკვება აქაურს სომხის ლიტერატურას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპო“ და სომხის ლიტერატორები“. ►

**1889 8 თებერვალი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი გასცემს ქმნ-კგ საზოგადოების მიერ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემის ნებართვას. ►

**1889 10 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 თებერვალი“ („ბატონ სვიმონ ვეზიროვის წერილი შესახებ ვაზის ავადმყოფობისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში“. ►

**1889 11 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 თებერვალი“ („ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კომიტეტი საადგილმამულო გადასახადის განერისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საადგილმამულო გადასახადის განერის კომიტეტის დადგენილება ტფილისის გუბერნიაში“. ►

**1889 12 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 თებერვალი“ („ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“. ►

**1889 14 თებერვლის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს პეტერბურგში შესაძენი, წიგნების ჩამონათვალს, მათ ფასებს და მალაზიის მისამართს. ►

**1889 17 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 თებერვალი“ („კიდევ ერთი ახალი პროცესი მკურნალთა შორის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პროცესი მკურნალთა შორის“. ►

**1889 21 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 თებერვალი“ („დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირობს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“. ►

**1889 22 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 თებერვალი“ („დასავლეთ ევროპის დიდს სახელმწიფოებს რომ ვაცმა...“) მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამთა კავშირის“ ბატონობის დასუსტება ევროპაში“. ►

**1889 22 თებერვლის შემდეგ**

„ივერიის“ რედაქცია რუსი მეცნიერისა და მეურნის ვასილ ტაიროვისგან საჩუქრად იღებს ორ სტატიას მევენახეობის საკითხებზე: „ზოგიერთი კავკასიური ღვინის ანალიზი“ და „ვაზის სოკოვანი დაავადებები“. ►

**1889 23 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 თებერვალი“ (გლევკაცთა ყოფა-ცხოვრება და ქონებითი შემძლებლობა...) მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გლევკაცთა უნუგემო ყოფა-ცხოვრება“. ►

**1889 24 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 თებერვალი“ („ოცს თებერვალს, ორშაბათს დღეს, ქალაქის საბჭოში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ტფილისში ჯანმრთელობისა და სანიტარული საქმის ვითარება“. ►

**1889 25 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 თებერვალი“ („ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“. ►



**1889 26 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 თებერვალი“ („ერთაშორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლისღვრა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“. ►

**1889 28 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 თებერვალი“ („ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ყაზახის აშინოვის ამბავი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ყაზახის აშინოვის ამბავი“. ►

**1889 28 თებერვალი**

სოფელ ნიქოზის ტაძრის განმაახლებელი კომიტეტის წევრები ივანე სულხანიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი (კირიონ II) და იოანე დავითაშვილი სთხოვენ, რომ გაიღოს ფულადი ან სხვა სახის შეწირულობა ეკლესიის აღსადგენად. ►

**1889 5 მარტი**

ბანკის თეატრში კოტე ყიფიანი კითხულობს „განდევილს“ და დივერტისმენტში აჩვენებენ ცოცხალ სურათებს ამავე პოემიდან. ►

**1889 7 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი 6 მარტი“ („რაც გინდა დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქალთა სასწავლებელი“. ►

**1889 7 მარტი**

ესწრება გუბერნატორის მიერ მონვეულ სხდომას, რომელზეც განიხილავენ საადგილმამულო გადასახადის განერის საკითხს. ►

**1889 8 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი 7 მარტი“ („ეხლანდელ მთავარ მინისტრს საფრანგეთისას, ტირარს აბრალებენ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბულანჟეს ხმაური საფრანგეთში“. ►

**1889 9 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 მარტი“ („გუშინ უკანასკნელი კრება მოხდა კომიტეტისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კრება საადგილმამულო გადასახადის განერის თაობაზე“. ►

**1889 14 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 მარტი“ („ერთი მეტად ხელისშემშლელი მიზეზი და გარემოება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბათომის მინათმფლობელობის საქმე“. ►

**1889 15 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 მარტი“ („ჩვენის ფიქრით, საკუთრების საქმე ბათომში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საკუთრების საქმე ბათომში“. ►

**1889 16 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 მარტი“ („თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ...“) მწერლის თხზულებათა ცხრატომეულში ტექსტი დაიბეჭდა სათაურით „დედათა საქმე“ (წერილი მესამე), ათტომეულსა და ოცტომეულში კი სათაურით „დედათა საქმის გამო“. გაზეთის ამავე ნომერში „ქართველი ქალის“ ფსევდონიმით იბეჭდება ელისაბედ ჩერქეზიშვილის „შენიშვნა ქალების აღზრდა-განათლების შესახებ ჩვენში“, რომელიც წარმოადგენს ამავე საკითხზე ილია ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებული წერილების გამოხმაურებას. ►

**1889 21 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 მარტი“ („ამიერკავკასია მიწის პოხიერებით და ჰავითა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მორწყვის საქმე წინათ და ეხლა“. ►

**1889 22 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება განცხადება, რომ 25 მარტს ქშნ-კგ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება სალიტერატურო საღამო ილია ჭავჭავაძის, დავით ერისთავისა და სხვათა მონაწილეობით. ►

**1889 25 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება განცხადება, რომ იმ დღეს იმართება სალიტერატურო საღამო ილია ჭავჭავაძის, დავით ერისთავისა და სხვათა მონაწილეობით. ►

**1889 25 მარტი**

მონაწილეობს ქშნ-კგ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ დიდ სალიტერატურო და სამუსიკო საღამოში. კითხულობს გიორგის სიკვდილის სცენას „ოთარაანთ ქვრივიდან“ და ხალხი სულგანაბული უსმენს. ►

**1889 31 მარტი**

ილია ჭავჭავაძე და იაკობ მანსვეტაშვილი წერილობითი თხოვნით მიმართავენ სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორ მიხეილ ვლადისლავლევს, რომ დროულად დაუბრუნოს ქშნ-კგ საზოგადოების ბიბლიოთეკას ფარსადან გორგიჯანიძის მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი მუსლიმანთა სამართლის წიგნის „ჯამი აბასის“ ხელნაწერი. ►

**1889 მარტის ბოლო**

მასპინძლობს მოსკოვიდან ჩამოსულ ლაზარევის ინსტიტუტის ყოფილ პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილს. ►

**1889 2 აპრილამდე**

ამონაწერებს აკეთებს ჰერბერტ სპენსერის „სოციოლოგიის საფუძვლებიდან“ და ედუარდ ტეილორის „პირველყოფილი კულტურიდან“. ციტატებს ამავე ავტორთა წიგნებიდან მოგვიანებით იყენებს ნარკვევში „აი ისტორია“. ►

**1889 2 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იწყებს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი პირველი („წლევანდელ თებერვლისა და მარტის ნომრებში...“). ნარკვევის დანერა განაპირობა ივანე ჭაბადარის მიერ „სევერნი ვესტნიკის“ თებერვლისა და მარტის ნომრებში გამოქვეყნებულმა წერილებმა „Письма о Грузии“. ►

**1889 2 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში რუსულად იწერს ალფონს კარის სიტყვებს: „თუ ეროვნული მოღვაწე უგულოა, დიდხანს ვიფიქრებ იმაზე, ღირს თუ არა მისი აყვანა ლაქიად“. ►

**1889 4 აპრილი**

სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით წერს სტატიას „წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე“, წერილი პირველი („პატივცემულო თადეოზ! მრავალი კოკა წყალი ჩაივლიდა ავლაბრის ხიდს ქვეშ...“). ►

**1889 5 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ „სვიმონიძის“ ფსევდონიმით იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის სტატია 25 მარტს გამართული სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს შესახებ და გადმოცემულია ის ინტერესი და აღფრთოვანება, რაც ილია ჭავჭავაძის გამოსვლამ გამოიწვია. ►

**1889 15 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მეორე („ჩვენა ვნახეთ, რომ ავტორმა „Письма о Грузии“-სამ, თავდათავ საგნად...“). ►

**1889 16 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მესამე („ახლა გავსინჯოთ, თავის უარარაო და ფუჭის საგნის...“). ►

**1889 22 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მეოთხე („ავტორი „Письма о Грузии“-სა, თავის მეორე წერილის ბოლოში..“). ►

**1889 25 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ხელმოწერით ბეჭდავს სტატიას „წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე“ – წერილი პირველი („პატივცემულო თადეოზ! მრავალი კოკა წყალი ჩაივლიდა ავლაბრის ხიდს ქვეშ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►

**1889 28 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით აქვეყნებს გაგრძელებას სტატიისა „წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე“ (პატივცემულო თადეოზ! მკვდრის თავები მეცნიერებს დავანებოთ...“ ►

**1889 29 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მეხუთე („მოგვითხრა რა თავისებური ისტორია მოსობთა...“). ►

**1889 30 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მეექვსე („იმ წარამარა სიარულით, რომელიც წინა...“). ►

**1889 აპრილის ბოლო**

ქართველი ხალხის სახელით დაბადების სამოცდაათ წლისთავს ულოცავს, ალბომსა და დასურათებულ „ვეფხისტყაოსანს“ უძღვნის გერმანელ პოეტ ფრიდრიხ ბოდენშტეტს. ►

**1889 5-8 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის წლიური კრების საქმიანობაში. ►

**1889 9 მაისი**

მონაწილეობს ქართველი საზოგადოების მიერ კონსტანტინე მამაცაშვილის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმში. ►

**1889 11 მაისი**

ქშნ-კგ საზოგადოების საქმეთა მწარმოებელ ნიკოლოზ მთვარელიშვილს გადასცემს 4 ცალი „ვეფხისტყაოსნის“ თანხას. ►

**1889 16 მაისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თხოვნას ქშნ-კგ საზოგადოების წიგნთსაცავში დაცული „ქართლის მოქცევის“ ხელნაწერის მოკლე ვადით თხოვების თაობაზე. რამდენადაც სწორედ იმჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ ხელნაწერის გამოცემაზე, მოსკოველ მეცნიერებს ატყობინებენ, რომ სანამ წიგნი არ გამოქვეყნდება, ხელნაწერის ადგილზე დატოვება აუცილებელია, მაგრამ თუ ძალიან ეჩქარებათ, დაუმზადებენ ასლს. იღებენ დადგენილებას ქუთაისის სკოლის რევიზორებისათვის ვლადიმერ მიქელაძის გაგზავნის შესახებ. გაქარია ჭიჭინაძისგან იძენენ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ სამ წიგნს. ►

**1889 23 მაისი**

„ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებული ივანე ჯაბადარის წერილის „ღია მიმართვა „ივერიელებს“ პასუხად „გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „გზადაგზა და სხვათაშორის“. ►

**1889 28 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს სატირულ ფელეტონს სათაურით „სახელდახელო. სახელდახელოს დეპეშა (ყბად-ასალები და წყალ-წასალები)“. გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება სტეფანე ჭრელაშვილის წერილი „მცირე შენიშვნა (ცხრათავიანი და ბაყბაყ დევი)“, რომელიც მიმართულია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის ნიკო ნიკოლაძისეული შეფასების წინააღმდეგ. ►



- 1889 მაისი**  
ილია ჭავჭავაძის ნარკვევ „აი ისტორიასთან“ დაკავშირებით ივანე ჭაბადარი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ბეჭდავს წერილს „ღია მიმართვა „ივერიელებს“. ►
- 1889 7 ივნისი**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მერვე („ჩვენ, რასაკვირველია, სახეში არა გვექონია და არაცა გვაქვს...“) ►
- 1889 8 ივნისი**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მეცხრე („ჩვენ ვშიშობთ, რომ რაც წინა წერილში ვთქვით...“). ►
- 1889 9 ივნისი**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მეათე („წინა წერილიდამ ვნახეთ, როგორ მოიხმარა...“) ►
- 1889 23 ივნისი**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მეთერთმეტე („ბაიერნისაგან ზეგარდმო შთაგონებულმა ავტორმა...“) ►
- 1889 ივნისი**  
პეტერბურგში წიგნად გამოდის ქართველ პოეტთა ლექსების ივან თხორუფევსკისეული რუსული თარგმანი. მასში დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის ლექსები: „გაზაფხული“ და „იანიჩარი“ და პოემა „განდევილი“. ►
- 1889 ივნისის ბოლო**  
მისი თაოსნობით ქმნ-კვ საზოგადოება ალექსანდრე ცაგარელს პეტერბურგში უგზავნის „ვეფხისტყაოსნის“ გიორგი ქართველიშვილისეულ გამოცემას ორიენტალისტთა მერვე საერთაშორისო კონგრესის საპატიო თავმჯდომარის, შვეციისა და ნორვეგიის მეფის – ოსკარისათვის მისართმევად. ►
- 1889 2 ივლისამდე**  
ბერძენი გეოლოგი ოსიპოვი ატყობინებს, რომ მცხეთაში, ბაგინეთის კოშკის ნანგრევებში მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა უნდა იყოს და აჩვენებს სამთამადნო ძიების დროს ნაპოვნ ქვას ადამიანის გამოსახულებითა და წარწერით. ►
- 1889 2 ივლისის შემდეგ**  
ბერძენ გეოლოგ ოსიპოვის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესახებ ატყობინებს დიმიტრი ბაქრაძეს. იგი იღებს გათხრების წარმოების ნებართვას, მაგრამ მოუცლელობის გამო საქმეს გადააბარებს ახალგაზრდა ექვთიმე თაყაიშვილს. ►
- 1889 2 ივლისის შემდეგ**  
გათხრების დროს დიმიტრი ბაქრაძესთან, ექვთიმე თაყაიშვილთან და სხვა პირებთან ერთად უღებენ ფოტოს. ►

**1889 ივლისის დასაწყისი**

მოსკოვიდან იღებს ალექსანდრე ცაგარელის წერილს. ატყობინებს მეფე ოსკარისათვის მისართმევი „ვეფხისტყაოსნის“ მიღებას და დამატებით სთხოვს ალექსანდრ ბობრინსკის მიერ ფრანგულად და არტურ ლაისტის მიერ გერმანულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსნებს“. ►

**1889 11 ივლისი**

ხელწერილს აძლევს თბილისელ ბაყალ სვიმონ არუთინოვს, რომ მიჰყიდის წინამურსა და საგურამოში მონეულ მოსავალს. ►

**1889 11 ივლისის შემდეგ**

წერილთან ერთად საოჯახო ნივთებს და სურსათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ატყობინებს, რომ მისმა დამ, ელისაბედმა იალტიდან მიულოცა ოლღას სახელობის დღე. ►

**1889 18 ივლისამდე**

გურბუფიდან იღებს დის – ელისაბედის წერილს. იგებს, რომ მშვიდობით იმგზავრა და კარგად დაბინავდა. ►

**1889 18 ივლისი**

საპასუხო წერილს სწერს დას – ელისაბედს. ატყობინებს, რომ თბილისშია და აპირებს საგურამოში წასვლას. ოლღას დიდი სამზადისი აქვს მისი დღეობისთვის, რომელზეც ძალიან ბევრი სტუმარი აპირებს მისვლას. მოკითხვას უთვლის კატოს და წუხილს გამოთქვამს, რომ ისინი მის დღეობას ვერ დაესწრებიან. ►

**1889 19 ივლისი**

მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, მომდევნო დღეს ეკიპაჟი დაახვედროს მცხეთაში დილის მატარებლის ჩამოდგომის დროისთვის. ატყობინებს, რომ სტუმრად ეყოლებათ ნიკოლოზ მაყაშვილი თავისი ოჯახით, ილია ოქრომჭედლიშვილი ცოლ-შვილით და სხვები. ►

**1889 20 ივლისი**

იღებს ქიზიყელების მიერ გამოგზავნილ დეპეშას, რომელშიც ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებენ. ►

**1889 21 ივლისი**

იღებს ილია ალხაზიშვილის წერილს, რომლითაც ატყობინებს, რომ გაუგზავნა თავისი ნაშრომები. ►

**1889 22 ივლისამდე**

დასთან, ელისაბედთან ერთად იძენს ორსართულიან სახლს ნიკოლოზის ქუჩის № 21-ში (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის ქ. № 7). ►

**1889 22 ივლისამდე**

ხელშეკრულებას აფორმებს ოსედა შახნაზაროვთან, რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელს ევალება სარემონტო სამუშაოების შესრულება მის ახლადშეძენილ სახლში. საქმის წარმოებას ავალებს ფილიპე ჩიკვაიძეს. ►

**1889 27 ივლისი**

„ივერიის“ რედაქცია გადააქვს თავისი ახალი საცხოვრებელი სახლის შენობაში და გაზეთზე უთითებს მისამართს: „კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში“. იგივე მისამართი მოგვიანებით მითითებულია სხვაგვარად: „ნიკოლოზის ქუჩის № 21“. ამჟამად ეს არის ივანე ჭავჭავაძის ქ. № 7, სადაც განთავსებულია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. ►

**1889 29 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ასრულებს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „აი ისტორია“, წერილი მეთორმეტე („ჩვენ ერთს წინა წერილში ერთი იმისთანა საქმე...“). ►

**1889 1-2 აგვისტო**

წერილს უგზავნის გრიგოლ ყიფშიძეს და ატყობინებს, რომ მის მიერ გაგზავნილი მასალა გაზეთში დასაბეჭდად არ გამოდგება. ურჩევს, თუ ფელეტონები დააკლდებათ, რაიმე თარგმნონ. ►

**1889 20 აგვისტომდე**

უბის წიგნაკში იწერს კარ-ფანჯრის ზომებს თბილისში ახალნაყიდი სახლისთვის. ►

**1889 20 აგვისტომდე**

უბის წიგნაკში იწერს თავისი დის, ელისაბედისთვის გამორთმეული თანხიდან რამდენი რაში დახარჯა, რა უყიდა პირადად მას და ფულის სახით რამდენ-რამდენი დაუბრუნა სხვადასხვა დროს. დანახარჯების ჩამონათვალში ნახსენებია მიხეილ გრუზინსკისთვის მიცემული თანხები. ►

**1889 20 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს, ვის რა თანხები გადაუხადა. ►

**1889 ზაფხული**

მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. უჩივის საშინელ სიცხეებს და სახლების გაუთავებელ მშენებლობას. სთხოვს, შაბათისთვის მცხეთაში ცხენები გაუგზავნოს. ►

**1889 სექტემბრამდე**

წერილს სწერს დიმიტრი ბაქრაძეს და სთხოვს, ათხოვოს ალბომი ქართველ მეფეთა გამოსახულებებით. ►

**1889 2 სექტემბერი**

უბის წიგნაკში იწერს, ვის რა თანხები გადაუხადა. ►

**1889 17 სექტემბრიდან**

უბის წიგნაკში იწერს 11 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე რომელ დღეებში ისვენებდნენ მელიქა და კალატოზი, რომლებიც, სავარაუდოდ, თბილისში შეძენილი სახლის რემონტზე მუშაობდნენ. ►

**1889 17 სექტემბრიდან**

უბის წიგნაკში იწერს ხეებზე ჭიების დასახოცი წამლის მომზადების წესს. ►

**1889 17 სექტემბრიდან**

უბის წიგნაკში იწერს კარ-ფანჯრის, გალესვის, შპალერის გაკვრის, შეღებვის და პარკეტის დაგების ფასებს. იქვე აღნიშნავს, რომ სანდროს 300 მანეთი ვალი გადაიხადა. ►

**1889 20 ივლისიდან - 22 სექტემბრამდე**

წერილს იღებს თავისი დის - ელისაბედისგან. იგი მადლობას უხდის ფულის გაგზავნისთვის და ატყობინებს, რომ აპირებს ლივადიაში ჩასვლას. წუხს, რომ ილიას სახელობის დღეს ვერ დაესწრო. ►

**1889 22 სექტემბერი**

წერილს უგზავნის თავის დას – ელისაბედს ვარშავაში. მოიკითხავს თავის დისწულ მაკო აფხაზს და მის მეუღლე დიმიტრი მაყაშვილს. უყვება სახლების გაქირავების ამბავს და უგზავნის მათი ძმისწულის – სენო ჭავჭავაძის როსტოვის მისამართს. ►

**1889 30 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ წინამძღვარიანთკარის სკოლისათვის ფინანსური დახმარების განწესა და ბათუმის ქალაქის სამმართველოს მიერ სკოლის ასაშენებლად მიწის გამოყოფის საკითხებს. კმაყოფილდება კავკავის მეურნე კომიტეტის თხოვნა ადგილობრივი სკოლებისთვის საჭირო წიგნებისა და სასკოლო ნივთების გაგზავნის შესახებ და დადებითად წყდება საზოგადოების საცავისთვის ხელნაწერების (ეტრატზე ნაწერი „სვინაქსარი“, მეტაფრასი, „სახარება“) შესაძენად თანხის გამოყოფის საკითხი. ►

**1889 10 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ბათუმის სკოლის მასწავლებლისგან მიღებულ ცნობებზე დაყრდნობით მომზადდეს წერილი ბათუმის ქალაქის სამმართველოსადმი სკოლის შენობისათვის მიწის გამოყოფის თაობაზე. დადებითად წყდება წინამძღვარიანთკარის სკოლისთვის თანხის, წიგნებისა და სასკოლო ნივთების გაგზავნის საკითხი და წინარეხის სკოლის მზრუნველის იოსებ ცხვედაძის თხოვნა სკოლის შესაკეთებლად თანხის გამოყოფის თაობაზე. ►

**1889 14 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 მარტი“ („ეს მესამე წელიწადია თითქმის, რაც ევროპის პოლიტიკა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპაში ყველას ხელი ხმლის ვადაზე უჭირავს“. ►

**1889 15 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 ოქტომბერი“ („კარგა ხანია, ხმა იყო დავარდნილი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ნავთის საქმის მომავალი კავკასიაში“. ►



**1889 17 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 ოქტომბერი“ („ცოტად თუ ბევრად სარწმუნო კაცები ამბობენ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სახელმწიფო ბანკის გამართვა თავადაზნაურთათვის“. ►

**1889 18 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 ოქტომბერი“ („დიდი ხანია, როგორც ევროპასა, ისეც რუსეთში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „უყურადღებობა ვარჯიშის მიმართ ეხლანდელ სკოლებში“. ►

**1889 20 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 ოქტომბერი“ („ფილოქსერა- ეს ყველა ჭირზედ უდიდესი ჭირი ვაზისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ფილოქსერა“. ►

**1889 22 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 ოქტომბერი“ („ერთი სასიამოვნო ამბავი კიდევ მოგვიტანა გუშინდელმა დეპუტამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სახელმწიფო ბანკის შეღავათიანი კრედიტი თავადაზნაურთათვის“. ►

**1889 24 ოქტომბრამდე**

წერილს უგზავნის იმ დროს ცენზორის თნამდებობაზე მყოფ რაფიელ ერისთავს და სთხოვს, მიხეილ ნასიძის ლექსში არ ამოშალოს სიტყვები „Многие лета“. ►

**1889 24 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 ოქტომბერი“ („ინგლისი დღევანდელ პოლიტიკის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპა გაყოფილია ორ ბანაკად“. ►

**1889 27 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 26 ოქტომბერი“ („დღეს ჩვენშიაჲ კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ისევ განათლების საკითხებზე“. ►

**1889 28 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 27 ოქტომბერი“ („ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ ქართველობა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ისევ განათლების საკითხებზე“. ►

**1889 29 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 ოქტომბერი“ („ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ბერლინში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რუსეთის იმპერატორის ვიზიტი გერმანიაში“. ►

**1889 31 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 ოქტომბერი“ („მაშინ, როდესაც გერმანიის იმპერატორი მოგზაურობს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „არეულობა იტალიასა და საფრანგეთს შორის“. ►

**1889 1 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 ოქტომბერი“ („მთელი ჟურნალ-გაზეთები ევროპისა დღეს მარტო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის იმპერატორის ვიზიტი სტამბოლში“. ►

**1889 2 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 ნოემბერი“ („კრიტიკის კუნძულის აშლილობამ წინააღმდეგ ოსმალეთისა...“). მწერლის თხზულებათა ათტომეულში დაიბეჭდა სათაურით „აშლილობა კრიტიკის კუნძულზე“, ხოლო ოცტომეულში – სათაურით „არეულობა კრეტას კუნძულზე“. ►

**1889 3 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 ნოემბერი“ („რალაც დომხალი კეთდება დღევანდელ პოლიტიკისაგან...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გაურკვევლობა დღევანდელ პოლიტიკაში“. ►

**1889 3 ნოემბერი**

ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობის სახელით გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის ამავე საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ 8 ოქტომბერს ბათუმში გამართული ლატარიის მონაწილეებს. ►

**1889 5 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 4 ნოემბერი“ („ძლივს, ძლივს მოვესწარი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „Новое Обозрение“-ს წერილის გამო“. ►

**1889 7 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 6 ნოემბერი“ („შემდეგ იმისთანა საუცხოვო „წყობილსიტყვაობისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „Новое Обозрение“-ს წერილის გამო“. ►

**1889 8 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 7 ნოემბერი“ („ჩვენ ვნახეთ, რომ „Новое Обозрение“-მ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „Новое Обозрение“-ს წერილის გამო“. ►

**1889 12 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების წლიურ კრებას, რომელიც განიხილავს საზოგადოების მოქმედების ანგარიშსა და მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვას, წიგნების ბეჭდვის საკითხს და სხვ. ►

**1889 14 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 ნოემბერი“ („დეპეშებმა ერთი თითქმის მოულოდნელი ამბავი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მმართველობის შეცვლა ბრაზილიაში“. ►

**1889 ნოემბრის შუა რიცხვებამდე**

წერილების ციკლის „აი ისტორია“ წერისა და გამოქვეყნების პროცესში ან მომდევნო უახლოეს ხანებში ქმნის იმავე ციკლის კიდევ ორ წერილს – მეშვიდეს („ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი...“) და მეთოთხმეტეს („თუმცა პირდაპირ არ გვითქვამს...“), მაგრამ აღარ აქვეყნებს. მწერლის თხზულებათა კრებულებში ეს ორი ტექსტი იბეჭდება სათაურით „დამატება წერილებისა „აი ისტორია““. ►

**1889 16 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 ნოემბერი“ („გერმანიის იმპერატორის ყოფნამ საბერძნეთსა და ნამეტნავად სტამბოლში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ავსტრიის საქმეები ბალკანეთში“. ►

**1889 21 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 ნოემბერი“ („გაზეთებს თითქო საფანელი შემოაკლდათ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთის ახალი პარლამენტი და იმპერატორ ვილჰელმ II-ის სტამბოლში ვიზიტის ნაყოფი“. ►

**1889 24 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 ნოემბერი“ („შესაძლოა განა, კაცი თავის თავზედ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „უნაღვლოდ ყოფნა, როცა გარს ამდენი სანაღვლეებელია“. ►

**1889 26 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 ნოემბერი“ („24-ს ნოემბერს ტფილისის სასამართლომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სამართალი და ზღვევა“. ►

**1889 28 ნოემბერი**

ქმნ-კვ საზოგადოება წერილობითი თხოვნით მიმართავს, რომ მცხეთის ახლოს არქეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად დიმიტრი ბაქრაძისათვის მისი ინიციატივით გამოყოფილი თანხა შეავსოს 25 მანეთით. ►

**1889 28 ნოემბრის შემდეგ**

მცხეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიებისათვის ახერხებს ახლობელთა წრეში 100 მანეთის შეგროვებას. გათხრები ორ-სამ კვირას გრძელდება. აღმოაჩენენ I საუკუნის კედლის პოლიქრომული მოხატულობის ფრაგმენტს ქალღვთაების გამოსახულებით. ►

**1889 29 ნოემბერი**

იაკობ გოგებაშვილისაგან იღებს წერილს და ოთხ ქრონიკალურ ცნობას, რომლებსაც აქვეყნებს გაზეთ „ივერიაში“. ►

**1889 5 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 დეკემბერი“ („აი რა მოუწერია აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პასუხი კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებას პეტერბურგიდან“. ►

**1889 13 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 დეკემბერი“ („ჯერ კიდევ თითქმის პირველ ხანებში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამთა კავშირის მოსალოდნელი დასასრული“. ►

**1889 16 დეკემბერი**

ქშნ-კგ საზოგადოება იღებს ილია ჭავჭავაძის სახელზე გამოგზავნილ სამადლობელ წერილს შვეციისა და ნორვეგიის მეფის – ოსკარისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის მიწოდებისთვის. ►

**1889 17 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 დეკემბერი“ („აზია, რომელიც ერთს დროს მამამთავარი იყო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „აზია წინათ და ეხლა“. ►

**1889 20 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 დეკემბერი“ („სპარსეთსაო, – ამბობს ერთი კორესპონდენტი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დღევანდელი სპარსეთი“. ►

**1889 22 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ხელმოწერით აქვეყნებს სტატიას სათაურით „ნიგნი გადამიდგან“ („ნავიკითხე, ჩემო თადეოზ, „ივერიის“ 265-ე ნუმერში...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად გამოქვეყნდა მის თხზულებათა ცხრატომეულში. ►

**1889 24 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 დეკემბერი“ („ჩვენს გაზეთს არაერთხელ ჩამოუგდია საუბარი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სწავლების წესი რუსეთის გიმნაზიებში“. ►

**1889 29 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 დეკემბერი“ („ეს ოცდაათ წელიწადზე მეტია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ვაზის სწეულებანი“. ►



**1889 30 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 დეკემბერი“ („ევროპაში, როგორც მოეხსენება მკითხველს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საახალწლო მილოცვები“. ▶

**1889 31 დეკემბრამდე**

წერს მოთხრობას „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. ▶

**1889** მისი ხელმოწერით წიგნად გამოდის ქშნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ▶

**1889** მისი ხელმოწერით წიგნად გამოდის თსს ბანკის მმართველობის საანგარიშო მოხსენება საერთო კრებისადმი. ▶

**1889** ალექსანდრე როინაშვილის ფოტოატელიეში იღებს ინდივიდუალურ ფოტოს. ▶

**1880 ბოლო**

-იანის ალექსანდრე როინაშვილის ფოტოატელიეში იღებს ინდივიდუალურ ფოტოს. ▶

**1880 ბოლო**

-იანის ალექსანდრე როინაშვილის ფოტოატელიეში იღებს ინდივიდუალურ ფოტოს. ▶

**1889** კრებულ „ჩანგში“ ქვეყნდება მისი ნაწარმოებები: „ბედნიერი ხალხი“, „ჩ...სას“, „ს... ჩ...სას“, „ბევრი ვიტანჯე...“, „ხმა სამარიდამ“, „გუთნისდედა“, „უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...“, „სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი...“, „ჩემო მკვლელო!...“, „გახსოვს, ტურფავ...“ ნაწყვეტები: „განდეგილიდან“, „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან“ და ივანე მაჩაბელთან ერთად მის მიერ თარგმნილი შექსპირის „მეფე ლირიდან“. ▶

**1889** პოემა „განდეგილის“ გამოსვლიდან ექვსი წლის შემდეგ, ილია ბახტაძე რუსულ ენაზე აქვეყნებს წერილს „Легенда о „Гандегили“. იგი მკითხველს აცნობს იმ ლეგენდას, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ილია ჭავჭავაძის ეს თხზულება. ▶

**1889** დიმიტრი ბაქრაძის სახლში სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ესწრება ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენებას პარხლის სახარებისა და შატბერდის კრებულის შესახებ. ▶

**1890 1 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება მისი ახალი ნაწარმოები „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ ქვეშ მინაწერით „საახალწლო მოთხრობა“. გაზეთის ამავე ნომერში „დონ-იაგოს“ ფსევდონიმით იბეჭდება იაკობ მანსვეტაშვილის საახალწლო მილოცვები ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი, მათ შორის „ივერიის“ რედაქტორისადმი. ▶

**1890 1 იანვარი**

ივანე მაჩაბელი სთხოვს ბანკიდან ათასი მანეთის წინასწარ მიცემას, მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი რამის გაკეთება კანონით არ შეიძლება, უარს ეუბნება. ▶

**1890 1 იანვრის შემდეგ**

ივანე მაჩაბელი წერილობითი თხოვნით მიმართავს თსს ბანკის გამგეობას, რომ დივიდენდის ანგარიშში წინასწარ მისცენ ათასი მანეთი, მაგრამ ისევ უარს იღებს, რაც იწვევს მის განაწყენებას ილია ჭავჭავაძეზე. ▶

**1890 5 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 იანვარი“ („ახალმა წელიწადმა ერთი საყურადღებო ამბავი მოგვიტანა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის პოლიტიკა ახალი წლისთვის“. ►

**1890 9 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 იანვარი“ („ბოლგარიამ ხელახლად ააყაყანა ევროპის დიპლომატია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის ინტერესი ბულგარეთისადმი“. ►

**1890 11 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 იანვარი“ („ამ ბოლოს ხანებში ძალიან გახშირდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სასწავლო პროგრამების შეცვლის აუცილებლობა რუსეთში“. ►

**1890 14 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 იანვარი“ („ყოველი სახელმწიფო ევროპისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის ხარბი ხელი საყოველთაო საქმეებში“. ►

**1890 17 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 იანვარი“ („ჩვენ ამას წინათ ვაუწყებ ჩვენს მკითხველებს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ჟურნალ-გაზეთების თვალთ“. ►

**1890 21 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 იანვარი“ („დასავლეთს ევროპას, დიდ ატლანტიკის ოკიანეს პირად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“. ►

**1890 24 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 23 იანვარი“ („ბატონყმობა გაუქმდა რუსეთში თუ არა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის“. ►

**1890 25 იანვარი**

-დან თსს ბანკის დირექტორ გიორგი თარხნიშვილს ატყობინებს, რომ 7 საათამდე სახლიდან ვერ გავა და თუ საჭიროება მოითხოვს, შინ მიაკითხონ. ►

**1890 26 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 25 იანვარი“ („ჩვენ ამას წინათ საუბარი ჩამოვადგეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის“. ►

**1890 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 იანვარი“ („საკვირველი კაცი ბძანდება ეხლანდელი ახალგაზდა იმპერატორი გერმანიისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ახალგაზრდა იმპერატორ ვილჰელმის დაინტერესება მუშა ხალხის ბედით“. ►

**1890 29 იანვარი**

მოსკოვში, ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ გამართულ საღამოზე დგამენ ცოცხალ სურათებს ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევილიდან“. ►

**1890 31 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 იანვარი“ („ჩვენ ამას წინათ გერმანიის იმპერატორის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გერმანიის საშინაო პოლიტიკა“. ►

**1890 იანვარი**

ჟურნალ „ჭეჭილში“ იბეჭდება მისი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. ►

**1890 2 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 თებერვალი“ („დღე ყოველ გვესმის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი ლონდონში“. ►

**1890 4 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 თებერვალი“ („დიდი ხანია ისმოდა საზოგადოებასა საერთოდ და...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ეკლესიების შემოსავალ-გასავლის საქმე“. ►

**1890 7 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 თებერვალი“ („ერთი უდიდესი საჭიროება სახელმწიფოსი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოსალოდნელი საყოველთაო აღწერა რუსეთის იმპერიაში“. ►

**1890 7 თებერვალი**

წერილს უგზავნის გრიგოლ ყიფშიძეს და ატყობინებს, რომ მის მიერ გაგზავნილი მასალა არ მოსწონს, თუმცა თუ საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლია დაბეჭდოს. იმ შემთხვევაში, თუ არ დაბეჭდავენ, თავად დაწერს მეთაურს. ►

**1890 9 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 თებერვალი“ („ყველას, დიდია თუ პატარა, გაგონილი აქვს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ახალი კანონპროექტი „უკანონოდ“ შობილთათვის“. ►

**1890 13 თებერვალი**

ესწრება დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვას დიდუბის ეკლესიის ეზოში და ცხედარს ამკობს გვირგვინით, რომელსაც აწერია: „საფლავი შენისთანა კაცისა, სალოცავია მამულისა“. ►

**1890 13 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 თებერვალი“ („დიდი უბედურება გვეწვია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების გამო“. ►

**1890 13 თებერვლის შემდეგ**

თავმჯდომარეობს გაზეთ „ივერიის“ რედაქციის გაფართოებულ სხდომას, რომელზეც განიხილავენ დიმიტრი ბაქრაძის ოჯახის მიერ შემოწირული თანხის განკარგვის საკითხს. საუბარია მისი სახელობის მუზეუმის აგებაზე ან გუჯრებისა და საისტორიო მასალების გამოცემაზე. ►

**1890 14 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი 13 თებერვალი“. („13 თებერვალს, სამშაბათს, დაასაფლავეს დიმიტრი ბაქრაძე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლი“. ►

**1890 18 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 თებერვალი“ („დიდი რამ არის, ვინც იცის კარგად წაკითხვა წასაკითხისა..“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კარგად წაკითხვა წასაკითხისა..“. ►

**1890 21 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 თებერვალი“ („ერთი დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის მოწყობილობისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სოფლად ხარჭის მოკრების და მისი შენახვის ნაკლი“. ►

**1890 21 თებერვალი**

მისი და სხვათა ხელმოწერით გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1890 წლის 1 იანვრისთვის. ►

**1890 21 თებერვლის შემდეგ**

ილია ჭავჭავაძის, ლევან ჭანდიერის, ივანე ხატისოვისა და სხვათა ხელმოწერით გამოდის ბროშურა სასოფლო საზოგადოებათა მიერ საზოგადო სარგებლობის კაპიტალის წარმოქმნის წესების შესახებ. ►

**1890 23 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 თებერვალი“ („მუშა ხალხის საქმემ, რომელიც გერმანიის იმპერატორმა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მუშა ხალხის საქმე გერმანიაში“. ►



**1890 25 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 თებერვალი“ („მარშანდელმა წელიწადმა თითქმის სრულად მოიძინა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კალიასთან ბრძოლის აუცილებლობა“. ►

**1890 25 თებერვალი**

ესწრება ქმნ-კვ საზოგადოების გამგეობის სხდომას. ►

**1890 27 თებერვალი**

მონანილეობს თბილისის გუბერნატორთან გამართულ თათბირში. განიხილავენ სოფლად პურის მაღაზიების მონყობის საკითხს და ირჩევენ საორგანიზაციო კომისიაში. ►

**1890 28 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 თებერვალი“ („აქაურ გაზეთების მკითხველებმა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მკურნალის მოქალაქეობრივი მოვალეობა“. ►

**1890 თებერვალი**

ჟურნალი „თეატრი“ „წყალტუბელის“ ფსევდონიმით აქვეყნებს გიორგი იოსელიანის წერილს „ეპისტოლე წყალტუბელისა ილიას მიმართ“, რომელიც მიმართულია „ივერისა“ და მისი თანამშრომლების წინააღმდეგ. ►

**1890 4 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 მარტი“ („ყველას შეტყობილი ექმნება ის სამნუხარო ამბავი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ტრაგედია მცხეთაში“. ►

**1890 8 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 7 მარტი“ („ალიანქოთი, რომელიც ამ ბოლოს ხანებში ასტყდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ხმაური საკრედიტო საზოგადოებაში“. ►

**1890 10 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 მარტი“ („ჩვენს გუშინდელს გაზეთში გამოცხადებული იყო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ხუთსარგებლიანი გირავნობის ფურცლის შემოღების აუცილებლობა“. ►

**1890 13 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავეწერილისათარიღით „ტფილისი, 10 მარტი“ („ჩვენისათავადაზნაურო ბანკის ან მომქმედს წესდებაში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების შესახებ“. ►

**1890 14 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 13 მარტი“ („მოწინააღმდეგენი იმ დივიდენტისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების შესახებ“. ►

**1890 16 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 15 მარტი“ („ქ. ტფილისში, ახალციხესა, გორსა და დაბა კოჭორში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ჩვენი ქალაქების სამწუხარო მდგომარეობა“. ►

**1890 16 მარტი**

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძეს წერილობით აცნობებს ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის 25 თებერვლის დადგენილებას იმის თაობაზე რომ რუსულ ენაზე ოქმი უნდა შედგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგთა შეკრებას ესწრება ქართული ენის არმცოდნე მასწავლებელი. ►

**1890 18 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 17 მარტი“ („თ. ბისმარკი, ეს სახელოვანი, ეს გენიოსი კაცი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბისმარკის გადადგომა“. ►

**1890 22 მარტამდე**

წერილს უგზავნის და გადაუდებელ საქმეზე თავისთან იწვევს გრიგოლ ყიფშიძეს. სთხოვს, რომ თან წაიღოს შევითხვები, რომლებიც ლეონარდ ზაგურსკიმ ჩააწერინა. ►

**1890 23 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 22 მარტი“ („დღეს აქამომდე მთელის ქვეყნის სალაპარაკო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „უთანხმოება იმპერატორ ვილჰელმ II-სა და ბისმარკს შორის“. ►

**1890 24 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 23 მარტი“ („მოვიდა გაზაფხული და საცაა გამოიტანს კვირტსა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ვენახების წამლობის შესახებ“. ►

**1890 24 მარტი**

ავგალის ქუჩაზე მდებარე მისი საცხოვრებელი სახლიდან იპარავენ ოქროს საათს, თანხას და ძველი გაზეთების დიდ შეკვრებს. სასამართლო ბრალს სდებს კედლების მღებავ ხელოსანს. ►

**1890 25 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 24 მარტი“ („თანდათან ირკვევა, რომ თ. ბისმარკი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „შინაური აშლილობა გერმანიაში“. ►

**1890 28 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 მარტი“ („დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ჰტრიალებს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბანკის საადგილმამულო კრედიტის გამო“. ►

**1890 31 მარტი**

ელის სტუმრებს და წერილს უგზავნისს პეტრე უმიკაშვილს. სთხოვს, ეწვიოს, რათა ერთად გაიხსნილონ და „ივერიასთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრონ. ►

**1890 31 მარტი**

აღდგომის ღამეს წვეულება აქვს, მეგობრებთან ერთად იხსნილებს და ხვდება ბრწყინვალე დღესასწაულს. ►

**1890 1 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 მარტი“ („ამ მოკლე ხანში ევროპას ბევრი რამ მოსალოდნელი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა“. ►

**1890 8 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 7 აპრილი“ („დღეს აქამომდე არ გათავებულა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ევროპა პოლიტიკურ ცვლილებების მოლოდინში“. ►

**1890 11 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 აპრილი“ („განსამართლების ახალმა წესდებამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კანონმდებლობა კერძო ვეცილობის წინააღმდეგ“. ►

**1890 17 აპრილამდე**

უბის წიგნაკში იწერს ამონარიდს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“. ►

**1890 17 აპრილიდან**

უბის წიგნაკში იწერს სათავადაზნაურო სკოლის დაფინანსებასთან დაკავშირებით ბანკის მიერ სხვადასხვა დროს გადადგმულ ნაბიჯებს. ►

**1890 17 აპრილიდან**

უბის წიგნაკში იწერს „ჰ“-ს ხმარების მაგალითებს წმინდა წერილიდან. ►

**1890 17 აპრილიდან**

უბის წიგნაკში იწერს იმ პერიოდში როდის რა თანხა მისცა თავის დას – ელისაბედს. ►

**1890 17 აპრილიდან**

უბის წიგნაკში იწერს, რომ 1885 წლის 16 აპრილს სათავადაზნაურო ბანკს შესთავაზა საზოგადო მოხმარების ვაპიტალის მთლიანად სათავადაზნაურო სკოლისთვის დახარჯვა. ►

**1890 12–18 აპრილი**

მონაწილეობს თსს ბანკის წლიური კრების მუშაობაში. აქტიურ მონაწილეობას იღებს დივიდენდების, ვენახის მავნებლებთან საბრძოლველად თანხის გამოყოფის, დრამატული საზოგადოებისა და გაზეთ „მეურნეს“ დახმარების, ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და სხვა საკითხების შესახებ გამართულ კამათში. კვლავ ირჩევენ ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ. ►

**1890 18 აპრილი**

კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს მიწვევით მონაწილეობს სხდომაში, რომელიც განიხილავს თსს ბანკის მოგების განაწილების საკითხს. ►

**1890 20 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების კომიტეტის ერთი წლის ანგარიში, რომელსაც ხელს აწერს, როგორც ამ კომიტეტის წევრი. ►

**1890 8 მაისის შემდეგ**

პეტერბურგიდან იღებს დავით ჩუბინაშვილის წერილს, რომლიდანაც ჩანს, რომ ადრესანტი ქმნ-კვ საზოგადოების მიერ დაარსებული სასწავლებლებისთვის უფასოდ უგზავნის მის მიერ გამოცემული ქართულ-რუსული ლექსიკონის 300, რუსულ-ქართულის 26 და გრამატიკის 50 ეგზემპლარს. ►

**1890 27 მაისი**

სათავადაზნაურო ბანკის თეატრში ესწრება უილიამ შექსპირის „მეფე ლირის“ წარმოდგენას ცნობილი იტალიელი მსახიობის ერნესტო როსის მონაწილეობით. ►

**1890 29 მაისი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „ახალი ამბავი“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს ერნესტო როსის მონაწილეობით გამართული წარმოდგენის შესახებ („კვირას, 27 მაისს, სახელგანთქმულმა მთელს ევროპაში არტისტმა როსიმ წარმოადგინა თავადაზნაურთა ბანკის თეატრში „მეფე ლირი“ შექსპირისა“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ერნესტო როსი „მეფე ლირის“ როლში“. ►

**1890 9 ივნისი**

ალექსანდრე ჭყონია „ივერიის“ რედაქციას უძღვნის თავის წიგნს „ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე“. წყარო: ა. ჭყონია, „ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე“. ტფ., 1890. FS 5208/09 – რარიტეტის განყოფილება, ი. ჭავჭავაძის კოლექცია. ►

**1890 17 ივნისი**

ესწრება ერნესტო როსის გამოსათხოვარ წარმოდგენას - შექსპირის „ჰამლეტს“. ►

**1890 18 ივნისი**

სიტყვით მიმართავს ერნესტო როსის მტკვრის სანაპიროზე, „ვაზის“ ბაღში მის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე. ►



- 1890 18 ივნისი**  
ერნესტო როსის საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზე იტალიელ მსახიობთან, ივანე თარხნიშვილთან და სხვა სტუმრებთან ერთად უღებენ ფოტოს. ►
- 1890 25 ივნისი**  
გაზეთ „ივერიის“ რედაქცია მსახიობ ერნესტო როსისაგან იღებს დეპეშას, რომელშიც იგი მადლობას უხდის ყველას არაჩვეულებრივი მასპინძლობისთვის და იმედს გამოთქვამს, რომ კიდევ მოახერხებს საქართველოში ჩამოსვლას. ►
- 1890 28 ივნისი**  
ესწრება იოზეფ რატილის ქართული გუნდის კონცერტს გერმანელთა დასახლებაში. ►
- 1890 ივნისი**  
თბილისსა და საგურამოში მასპინძლობს იტალიელ მსახიობ ერნესტო როსის. ►
- 1890 20 ივლისი**  
ილიაობის აღსანიშნავ წვეულებას მართავს საგურამოში. მიწვეულ სტუმრებთან, მღვდელ გიორგი ასათიანთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვებთან ერთად უღებენ ფოტოს. ►
- 1890 20 ივლისი**  
საგურამოში ილიაობის დღესასწაულზე აუბთან მდგომს უღებენ ფოტოს მიწვეულ სტუმრებთან ერთად. ►
- 1890 28 ივლისი**  
მისი და სხვათა ხელმოწერით გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება თსს ბანკის ბალანსი 1890 წლის 1 ივლისისთვის. ►
- 1890 30 ივლისამდე**  
პეტერბურგიდან იღებს დავით ჩუბინაშვილის წერილს. ატყობინებს, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოდის საქართველოში მისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში მონაწილეობისთვის. ►
- 1890 30 ივლისი**  
დეპეშას გზავნის ქუთაისში, დავით ჩუბინაშვილის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო წვეულებაზე წასაკითხად. ►
- 1890 4 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 3 აგვისტო“ („ქუთაისის ბანკის წლევეანდელ კრების გამო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის საქმე“. ►
- 1890 5 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 4 აგვისტო“ („ჩვენ მინამ ვიტყოდეთ რასმე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის საქმე“. ►

**1890 8 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 7 აგვისტო“ („ადვილად ასაკინძი და გამოსარკვევი არ არის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის საქმე“. ►

**1890 9 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 8 აგვისტო“ („ჩვენ წინა მეთაურ წერილიდამ ვნახეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის საქმე“. ►

**1890 10 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 9 აგვისტო“ („ჩვენ წინა მეთაურ წერილიდამ ვნახეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის საქმე“. ►

**1890 12 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 11 აგვისტო“ („სწორედ მოგახსენოთ, არც ზედამხედველი კომიტეტი...“). ეს არის დასასრული სტატიისა, რომელიც მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის საქმე“. ►

**1890 18 აგვისტო**

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს მისი წერილის „ქუთაისის ბანკის საქმე“ რუსული თარგმანის დასაწყისს რედაქციის შენიშვნებით. ►

**1890 19 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ხელმოწერით აქვეყნებს სტატიას სათაურით „წერილი მეგობართან“ („დავუბრუნდეთ ძველს ამბავს...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ცხრატომეულში. ►

**1890 19 აგვისტო**

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს მისი წერილის „ქუთაისის ბანკის საქმე“ რუსული თარგმანის გაგრძელებას რედაქციის შენიშვნებით. ►

**1890 21 აგვისტო**

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს მისი წერილის „ქუთაისის ბანკის საქმე“ რუსული თარგმანის დასასრულს რედაქციის შენიშვნებით. ►

**1890 21 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ხელმოწერით აქვეყნებს სტატიას სათაურით „წერილი მეგობართან“ („28 თიბათვეს შევესწარი რატილის ხოროს გალობას...“). ►

**1890 31 აგვისტო**

ქუთაისიდან იღებს პეტრე უმიკაშვილის ბარათს, რომელშიც ადრესანტი და ალექსანდრე ნანეიშვილი თანხმობას სთხოვენ ქუთაისის ბანკის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მისი ვრცელი წერილის ბროშურად გამოცემაზე. ►

**1890 31 აგვისტო**

წერილს უგზავნის ალექსანდრე ნანეიშვილს ქუთაისში და თანხმობას აძლევს ქუთაისის ბანკის შესახებ „ივერიაში“ დაბეჭდილი მისი წერილის ბროშურად გამოცემაზე, მაგრამ ურჩევს, რომ იგი გაზეთის რედაქციის სახელით არ გამოაქვეყნონ. ►

**1890 1 სექტემბრის შემდეგ**

საყვედურს ეუბნებიან, რომ არ შეხვდა თბილისში რამდენიმე დღით მყოფ რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრ ივან ვიშნეგრადსკის და არ წარუდგინა ბათუმელების თხოვნა თბილისის ბანკისთვის ბათუმის მამულების გირაოდ მიღების ნებართვის მიცემასთან დაკავშირებით. ►

**1890 5 სექტემბრამდე**

თბილისში ჩამოსულს, სახლში ხვდება ალექსანდრე ნანეიშვილის მიერ ქუთაისიდან გამოგზავნილი წერილი, რომელიც ილიას 31 აგვისტოს ბარათის მიღებამდე, სექტემბრის პირველსავე დღეებშია დაწერილი. საქმე ეხება ქუთაისის ბანკის შესახებ წერილების ბროშურად გამოცემის საკითხს, რაზეც ილია ჭავჭავაძეს დასტური უკვე მიცემული აქვს. ►

**1890 5 სექტემბერი**

საპასუხო წერილს უგზავნის ქუთაისში ალექსანდრე ნანეიშვილს. ურჩევს, რომ ქუთაისის ბანკის შესახებ ბროშურაზე გამომცემლად ვინმე ადგილობრივი პირი იყოს მითითებული, რომ ილია ჭავჭავაძეს არ მიეწეროს მისი გამოცემა-გავრცელება. ►

**1890 10 სექტემბერი**

ცენზურა გასცემს ნებართვას მისი ბროშურის „ქუთაისის ბანკის საქმე“ დაბეჭდვაზე. ►

**1890 18 სექტემბერი**

ცენზურა გასცემს ნებართვას მისი ბროშურის „ქუთაისის ბანკის საქმე“ დაბეჭდვაზე ახალი სათაურით „ქუთაისის ბანკის კომიტეტი და ბ-ნი ჩიკვაძე“. ►

**1890 19 სექტემბერი**

იღებს პოლონელი ექიმის ჰენრიხ როძევიჩის წერილს. სთხოვს გაუგზავნოს ქმნ-კვ საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერი კარაბადინიდან ამონაწერები „ქვის ავადმყოფობის“ შესახებ. ►

**1890 30 სექტემბერი**

გაზეთ „მწყემსში“ იბეჭდება დასაწყისი რედაქტორ დავით ღამბაშიძის სტატიისა „მწარე ფიქრები“, რომელშიც გაკრიტიკებულია ილია ჭავჭავაძის რედაქტორული მოღვაწეობა „დროებასა“ და „ივერიაში“. ►

**1890 ოქტომბრამდე**

ბარათს უგზავნის დავით ერისთავს, რომელშიც კოტე ყიფიანს უთვლის, მიაკითხოს ბანკში ან სახლში. ►

**1890 1 ოქტომბერი**

ვალერიან გუნია წარწერით უძღვნის „საქართველოს კალენდარს“. ►

- 1890 2 ოქტომბერი**  
 ესწრება ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ორბელიანის დაკრძალვას. ქმნ-კვ საზოგადოებისა და „ივერიის“ რედაქციის სახელით გარდაცვლილის კუბოს ამკობს გვირგვინებით. ►
- 1890 14 ოქტომბერი**  
 დავით ერისთავის გარდაცვალების გამო გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს ნეკროლოგს „თ. დავით გიორგის ძე ერისთავი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1890 15 ოქტომბერი**  
 გაზეთ „მწყემსში“ იბეჭდება დასასრული რედაქტორ დავით ღამბაშიძის სტატიისა „მწარე ფიქრები“, რომელშიც გაკრიტიკებულია ილია ჭავჭავაძის რედაქტორული მოღვაწეობა „დროებასა“ და „ივერიაში“. ►
- 1890 16 ოქტომბრამდე**  
 გამოდის ბროშურა „ქუთაისის ბანკის საქმე“, წერილები ილია ჭავჭავაძისა, რომელსაც აწერია, რომ იბეჭდება ავტორის ნებართვით. ►
- 1890 19 ოქტომბერი**  
 ნიკო ხიზანიშვილს ეპატიჟება საგურამოში გიგა და ალექსანდრე ყიფშიძეებთან ერთად. ►
- 1890 30 ოქტომბერი**  
 იღებს მცხეთის საზოგადოების წერილს, რომელშიც ულოცავენ ანგელოზის დღეს. ►
- 1890 30 ოქტომბერი**  
 იღებს მოურავ მიხეილ გოცირიძის წერილს, რომელშიც სწერს სამეურნეო-საოჯახო საკითხების შესახებ. ►
- 1890 2 ნოემბერი**  
 გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 1 ნოემბერი“ („გაგონილა იმისთანა ამბები, რაც ქუთაისის ბანკის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო“. ►
- 1890 3 ნოემბერი**  
 გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 2 ნოემბერი“ („დღე ისე არ გადის, რომ ახალი სამწუხარო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო“. ►
- 1890 3 ნოემბერი**  
 გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო „ივერიაში“ დაბეჭდილი მისი წერილის რუსულ თარგმანს რედაქციის შენიშვნებით. ►
- 1890 6 ნოემბერი**  
 იაკობ მანსვეტაშვილთან ერთად წერილს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძის იმის დასაზუსტებლად, თუ ვისი შემოწირული იყო მის მიერ ქმნ-კვ საზოგადოებისთვის გადაცემული თანხა. ►



**1890 6 ნოემბერი**

იაკობ მანსვეტაშვილთან ერთად თხოვნით მიმართავს კირილე ლორთქიფანიძეს, დააბრუნოს ქმნ-კვ საზოგადოების წიგნთსაცავიდან გატანილი წიგნები. ►

**1890 21 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც პატივს მიაგებენ გარდაცვლილი წევრების: დიმიტრი ბაქრაძის, ანა ლოლობერიძე-მუსხელიშვილისასა და ვახტანგ ორბელიანის ხსოვნას. განიხილავენ წლიურ ანგარიშს და მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვას. გამგეობას ავალებენ მოძრავი სკოლების გახსნის პირობების შესწავლას და დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის წერა-კითხვის საზოგადოებისთვის გადაცემაზე მოლაპარაკების წარმოებას. იღებენ დადგენილებას, რომ შედგეს საზოგადოების კუთვნილი ძველი ფულების კატალოგი და ექსპონატები გაამრავალფეროვნონ ერთნაირი მონეტების გაცვლის გზით. საპატიო წევრებად ირჩევენ გაბრიელ ეპისკოპოსს და იაკობ გოგებაშვილს. ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მადლობას უცხადებენ მიხეილ ყიფიანს; განსაზღვრავენ მდივნისა და მისი თანაშემწის ხელფასებს. ►

**1890 ნოემბერი**

მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქმნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►

**1890 დეკემბრამდე**

იღებს დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, გიორგი თუმანიშვილის წერილობით თხოვნას, რომ მიმდინარე ზამთარს ვასო აბაშიძის მიერ შედგენილ დასს დაუთმოს თეატრის შენობა და ამის შესახებ აცნობოს მის დამქირავებელს. ►

**1890 2 დეკემბერი**

ქართული დრამატული დასის მსახიობები: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მიხეილ დიდებულიძე, დავით გამყრელიძე და სხვები, ალექსანდრე ნებიერიძის რეჟისორობით წარმოადგენენ აქვსენტი ცაგარელის მიერ ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანიდან?!“ გადაკეთებულ პიესას „მკითხავი“. ►

**1890 9 დეკემბერი**

ესწრება ნატო გაბუნია-ცაგარელის საბენეფისოდ წარმოდგენილ აქვსენტი ცაგარელის დრამებს „მტარვალი“ და „ქართვლის დედა“. ►

**1890 12 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ წლიურ ანგარიშს და ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის საკითხს. ამტკიცებენ გრიგოლ ვოლსკის მიერ ბათუმში ჩატარებული კონცერტის ანგარიშს. ►

**1890 16 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერლად აქვეყნებს წერილს „ახალი დრამების გამო“. ►

**1890 16 დეკემბერი**

პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები მართავენ კავკასიურ საღამოს, რომლის მესამე განყოფილებაშიც წარმოადგენენ ცოცხალ სურათებს „განდეგილიდან“. ►

**1890 დეკემბერი**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან დებს ხელშეკრულებას მისი ნაწერების სრული კრებულის ერთგზის გამოცემის შესახებ. დოკუმენტში აღნიშნული პირობების თანახმად, ავტორმა და გამგეობამ თანაბრად უნდა გაიყონ მოგება და, გარდა ამისა, ავტორს უსასყიდლოდ უნდა მიეცეს 20 ეგზემპლარი. ►

**1890** განცხადებით მიმართავს თსს ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, რომ შემოსავლის 35 % მოხმარდეს ვაზის ავადმყოფობა მილდიუსთან ბრძოლას და სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობას. ►

**1890** რუსი პოეტი და მთარგმნელი ვასილი ველიჩკო დიდი პატივისცემით უძღვნის თავის წიგნს „აღმოსავლური მოტივები (ლექსები)“. ►

**1890** იწყებს მოთხრობის წერას, სათაურით „პატარა ამბავი“, მაგრამ აღარ განაგრძობს. ►

**1890** იწყებს მოთხრობის წერას, სათაურით „დედის ანდერძი“, მაგრამ აღარ განაგრძობს. ►

**1890**

-დან დას, ელისაბედს სთხოვს, გაუგზავნოს საპარსი იარაღები, რომელბიც დევს კაბინეტის ერთ-ერთ ფანჯარაზე. ►

**1891 2 იანვარი**

ილია ჭავჭავაძემე კვლავ წესდება პოლიციის ზედამხედველობა. ►

**1891 5 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც გამოყოფენ თანხას მასწავლებელ მოსე ნათაძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად და მისი შვილის სათავადაზნაურო სკოლაში სწავლების დასაფინანსებლად; განიხილავენ ბათუმის სკოლაში მასწავლებლად მუშაობის მსურველთა სიას; იღებენ დადგენილებას „დედა ენის“ მერვე გამოცემის დაბეჭდვაზე. ►

**1891 10 იანვრის შემდეგ**

ბათუმის სკოლის დირექტორად ახალდამტკიცებულ მიხეილ შარაშიძეს ინვესს თავისთან და ურჩევს მუსლიმანი ქართველებისადმი ფრთხილ მიდგომას. ►

**1891 14 იანვარი**

როგორც ქშნ-კგ საზოგადოების თავმჯდომარე წერილს იღებს მიხეილ ყიფიანისაგან. იგი აუწყებს, რომ ყაზბეგში არის ერთი ძველი შენობა, რომელიც ჭერ სამხედროებს ეკავათ, შემდეგ სასულიერო ნოდებას გადასცეს, მაგრამ არავინ იყენებს. სკოლისთვის მისი ან სამუდამოდ ან 10 წლით დათმობის თხოვნით წერილი გაუგზავნიათ ეგზარქოსისთვის და ითხოვენ მასთან შუამდგომლობას, რომ უარი არ უთხრას. გარდა ამისა, აცნობებს, რომ ყაზბეგში განათლების მესვეურები არიან ანდრია კობაიძე და გიორგი ლუდუშაური. ითხოვს, რომ სკოლის გახსნა დაამთხვიონ სტეფანწმინდობის დღესასწაულს, მანამდე კი გაუგზავნონ წიგნები და დაფები. ►

- 1891 18 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ 20 იანვარს, მსახიობ ალექსანდრე ნებიერძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის პიესა „მაჭანკალი“. ►
- 1891 20 იანვარი**  
მსახიობ ალექსანდრე ნებიერძის საბენეფისოდ წარმოდგენენ ილია ჭავჭავაძის პიესა „მაჭანკალს“. ►
- 1891 31 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 იანვარი“ („გათავდა არჩევანები ქალაქის ხმოსანთა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“. ►
- 1891 7 თებერვალი**  
გაზეთი „ივერია“ ახალი ამბების რუბრიკაში აქვეყნებს ცნობას ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათ ტომად გამოცემის განზრახვის შესახებ. ►
- 1891 8 თებერვალი**  
გაბრიელ ეპისკოპოსს წერილობით ატყობინებს ქმნ-კგ საზოგადოების საერთო კრების დადგენილებას, მწიგნობრობის გავრცელების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მისი საპატიო წევრად არჩევის შესახებ. ►
- 1891 13 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 თებერვალი“ („ჩვენ არასდროს არა გვჭერებია, რომ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დასაწყისი სამთა კავშირის დასასრულისა“. ►
- 1891 15 თებერვლის შემდეგ**  
იღებს გაბრიელ ეპისკოპოსის საპასუხო წერილს ქუთაისიდან, რომელშიც დიდ მადლობას უხდის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას საპატიო წევრად არჩევისთვის და აღუთქვამს, რომ ჭეროვან მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების საქმიანობაში. ►
- 1891 19 თებერვალი**  
წერილს უგზავნის ვლადიკავკაზში მიხეილ ყიფიანს ყაზბეგში სკოლის გახსნის თაობაზე. ►
- 1891 20 თებერვალი**  
მისი ხელმოწერით გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება თსს ბანკის ბალანსი 1891 წლის 1 იანვრისათვის. ►
- 1891 7 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 მარტი“ („ჩვენის ქალაქის თვითმართველობისათვის ორი ძალიან მოულოდნელი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“. ►

- 1891 7 მარტი**  
 ოდესის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტი კონსტანტინე ამირაჯიბი ნოვოროსიის ქართველი სტუდენტების სახელით უგზავნის შემოწირულობას ქშნ-კვ საზოგადოებისათვის. ►
- 1891 10 მარტი**  
 გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 მარტი“ („ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მიხილ ყიფიანი“. ►
- 1891 11 მარტი**  
 ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის წევრებთან და მდივანთან ერთად ხელს აწერს საერთო კრებისადმი მიმართვის ტექსტს. მასში ნათქვამია, რომ გიორგი ქართველიშვილი საზოგადოებას გადასცემს მის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ 800 და „საქართველოს ისტორიის“ 1000 ეგზემპლარს. გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის ნახევარი უნდა დაუბრუნდეს გამომცემელს, ნახევარი კი დარჩეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ►
- 1891 22 მარტი**  
 ნოვოროსიის სტუდენტების მიერ შემოწირულ თანხას გადასცემს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ►
- 1891 23 მარტი**  
 გაზეთ „ივერიაში“ სათაურით „გრ. ელისევი“ ხელმოუწერლად აქვეყნებს რუსი მწერლისა და პუბლიცისტის გრიგოლ ელისევის ბიოგრაფიას. ►
- 1891 5 აპრილი**  
 გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება განცხადება, რომ ტიგრან ფირუმიანმა სომხურად თარგმნა „კაცია – ადამიანი?!“. იგი თავდაპირველად დაიბეჭდება ჟურნალ „მურჭში“, შემდეგ კი გამოიცემა ცალკე წიგნად. ►
- 1891 21 აპრილი**  
 პოეტი ალექსანდრე ნავროცკი ავტოგრაფით უძღვნის საკუთარ თარგმანს ლექსისა „გაზაფხული“. ►
- 1891 22 აპრილი**  
 პეტრე უმიკაშვილი ალექსანდრე ნანეიშვილსადმი მიწერილ ბარათში ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს, როგორც გონიერ, შორსმჭვრეტელ, ღირსეულ და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანს, მაგრამ ნაკლებად აქტიურ ჟურნალისტს. აქვე საუბარია ბანკის არჩევნების შესახებაც. ►
- 1891 27 აპრილი**  
 გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს ნეკროლოგს სათაურით „ნიკოლოზ ვასილის ძე შელგუნოვი“. ►
- 1891 30 აპრილი**  
 ქშნ-კვ საზოგადოების სახელით მადლობას უხდის თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს – არქიმანდრიტ ნიკოლოზ ზიოროვს ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბის“ მიწოდებისთვის. ►



**1891 1 მაისი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულ ნიკოლოზ გულაკის სტატიაში ჩართულია მისი ლექსის „გაზაფხული“ ალექსანდრე ნავროცკისეული თარგმანი. ►

**1891 4 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 3 მაისი“ („ყოველს წელიწადს რუსეთში და ჩვენს ქვეყანაშიაც...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რამდენი უნდა მიეცეს მუშაკაცს ცეცხლის გასაქრობად“. ►

**1891 6 მაისი**

პეტერბურგის მეფრინველეობის საზოგადოება სწერს, რომ მისი წერილი და თანხა გადაუგზავნეს სოფელ ვიტოვოს მეფრინველეობას. ►

**1891 14 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე კითხულობს მოხსენებას მისი მმართველობის მოქმედების შესახებ და განმარტავს პეტერბურგის საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა კრებაზე გამოთქმულ მოსაზრებას მოგებიდან ვადაგადაცილებული სესხის თანდათან გამორიცხვის შესახებ. ►

**1891 15 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე ვრცლად პასუხობს ივანე და მიხეილ მაჩაბლების ბრალდებებს; საუბრობს კონვენსიის, ბირჟაზე ფულის რაოდენობისა და იაფი კრედიტის შესახებ; განმარტავს, რატომ გადაინაცვლეს მსესხებლებმა საკრედიტო საზოგადოებებში; მოიხმობს სხვადასხვა ბანკის მაგალითებს იმის დასამტკიცებლად, რომ წლების მიხედვით მსესხებელთა რაოდენობა ხან მატულობს და ხან კლებულობს; ამბობს, რომ კონვენსიის პროცესი რუსეთის სხვადასხვა ბანკებში პრობლემებით მიდის და ვიდრე თბილისის ბანკი ამ გზას დაადგებოდეს, უმჯობესია, ნახოს როგორი შედეგი მოჰყვება ამას სხვაგან და გაითვალისწინოს. იმავე დღეს პეტერბურგიდან იღებს დეპეშას, რომ მინისტრმა თბილისის ბანკს ნება დართო გამოეცა ხუთპროცენტიანი გირავნობის ფურცლები და საღამოს სხდომაზე დამსწრეთ აცნობს ამის შესახებ. ►

**1891 16 მაისი**

ესწრება „თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების“ კრებას. გამოდის წინადადებით, რომ დაჩქარდეს თავადაზნაურთა შორის ფულის გაწერა, შემუშავდეს სკოლის პროექტი და თბილისის სათავადაზნაურო სკოლას დაემატოს მესამე კლასი. ►

**1891 16 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებას განუმარტავს, რა ღონისძიებები უნდა გაატაროს ბანკმა, რომ მსესხებლებმა მისი პირობები ამჭობინონ საკრედიტო საზოგადოებებისას. ►

**1891 17 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე გამოთქვამს აზრს იმის თაობაზე, თუ რამდენი პროცენტი უნდა დააკლდეს სესხს. ►

**1891 18 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე საუბრობს მამულის დაფასების წესების, კარგი დამფასებლების შერჩევის მნიშვნელობისა და ბანკის მიერ გამოცდილების შედეგის გამო შედეგების გაუმჯობესების შესახებ. ►

**1891 19 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე ივანე მაჩაბლის ბრალდებების საპასუხოდ, განმარტავს, რამ გამოიწვია მათი დაპირისპირება თბილისის სათავადაზნაურო ბანკში. მოხსენების დამთავრების შემდეგ დარბაზი ფეხზე აღგომითა და ტაშით ხვდება და მოითხოვენ, რომ კენჭისყრის გარეშე დარჩეს ბანკის მმართველის თანამდებობაზე. მისი თხოვნით კენჭისყრა მაინც ტარდება და იმარჯვებს 351 ხმით 58-ის წინააღმდეგ. ივანე მაჩაბელი უარს ამბობს ბანკში მუშაობის გაგრძელებაზე. ►

**1891 20 მაისი**

გაზეთ „ივერიის“ ბეჭდვას იბარებს მაქსიმე შარაძე. სტამბა მოწყობილია ილია ჭავჭავაძის სახლის სარდაფში. ►

**1891 21 მაისი**

გაზეთის საშუალებით მადლობას უცხადებს ყველას, ვინც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დეპეშებით მიულოცა ბანკის თავმჯდომარედ არჩევა. ►

**1891 25 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საერთო კრების დახურვისას მის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ►

**1891 1 ივნისი**

ექიმი სპირიდონ ვაწაძე დიდი პატივისცემით უძღვნის წიგნად გამოცემულ თავის დისერტაციას, ჯანმრთელ და დაავადებულ ორგანიზმზე მინერალური წყლების ზემოქმედების შესახებ. ►

**1891 ივნისის დასაწყისი**

ქმნ-კვ საზოგადოება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის უფლებას გადასცემს „ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობას“. ►

**1891 5 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ ადგილს უთმობს ივანე მაჩაბლის პუბლიკაციას „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელშიც ავტორი ითხოვს, უცვლელად დაბეჭდონ მისი მოსაზრებები ბანკის თაობაზე და ბოლო სიტყვის თქმის უფლება დაუტოვონ. ილია ჭავჭავაძე წერილს სქოლიოში ურთავს თავის სარედაქციო შენიშვნას. იგი თანხმობას გამოთქვამს დაბეჭდოს ბანკის სხდომათა ანგარიშებთან დაკავშირებით ივანე მაჩაბლის სწორებანი და წერილები ბანკის შესახებ, მაგრამ ბოლო სიტყვის გადაცემის პირობას არ აძლევს, რადგან ეს ყოველთვის გაზეთის რედაქტორის პრეროგატივაა და მან უნდა განსაზღვროს, როდის მიიჩნიოს ამონაწერი საპოლემიკო საკითხი. ეს შენიშვნა („რაც შეეხება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის ანგარიშის...“) მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რედაქტორის შენიშვნა“. ►

**1891 6 ივნისი**

ივანე მაჩაბელი წერილს უგზავნის აკაკი წერეთელს პეტერბურგში და უყვება სათავადაზნაურო ბანკის წლიურ კრებაზე მომხდარ ამბებს. მიიჩნევს, რომ ილია ჭავჭავაძის გამარჯვება არ იყო სამართლიანი და ბანკიდან პროტესტის ნიშნად წავიდა. სწერს, რომ აპირებს „ნოვოე ობოზრენიესა“ და „ივერიაში“ დაბეჭდოს წერილები, რომელთა მეშვეობითაც გამოააშკარავებს ბანკში მიმდინარე მოვლენებს. სთხოვს, თვალი ადევნოს ამ პოლემიკას. ►

**1891 7 ივნისი**

დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო ქშნ-კვ საზოგადოების სახელით სამძიმრის დეპეშას უგზავნის პეტერბურგში მის მეუღლეს – ეკატერინე ჩუბინაშვილისას. ►

**1891 7 ივნისი**

დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო გაზეთ „ივერიის“ რედაქციის სახელით სამძიმრის დეპეშას უგზავნის პეტერბურგში მის მეუღლეს – ეკატერინე ჩუბინაშვილისას. ►

**1891 7 ივნისი**

დეპეშას უგზავნის პეტერბურგში ალექსანდრე ცაგარელს და სთხოვს, პირადად მისი, გაზეთ „ივერიის“ რედაქციისა და ქშნ-კვ საზოგადოების სახელით გვირგვინებით შეამკოს განსვენებული დავით ჩუბინაშვილის ცხედარი. ►

**1891 9 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს ნეკროლოგს სათაურით „დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი“. სტატია ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვლობათა ოცტომეულში. ►

**1891 10 ივნისი**

სამადლობელ დეპეშას იღებს დავით ჩუბინაშვილის ქვრივისა და შვილისაგან მწუხარების ჟამს თანაგრძნობისთვის. ►

**1891 18 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს სხვადასხვა პირთა მისამართებს, მათ შორის ექიმი ტრუბაჩოვისას, რომელთანაც იგი 1891 წლის ივლისში მკურნალობდა. ►

**1891 ივნისის ბოლომდე**

ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობა თბილისის კომერციულ ბანკს წერილობით აცნობებს, რომ ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში გამგზავრების გამო მის ჩამოსვლამდე საბუთებს ხელს მოაწერს გამგეობის წევრი ალექსანდრე ჭყონია. ►

**1891 ივნისის ბოლო**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ივანე მაჩაბელი ბეჭდავს „წერილს რედაქციისადმი“. მასში ნათქვამია, რომ გაზეთში გამოქვეყნებული თავადაზნაურობის კრების ანგარიშები სინამდვილეს არ შეესაბამება. აქვე განიხილავს ილია ჭავჭავაძისთან კონფლიქტის საკითხს. ►

- 1891 ივნისის ბოლო**  
საბანკო საქმეების მოსაგვარებლად და სამკურნალოდ მეუღლესთან ერთად მიემგზავრება მოსკოვსა და პეტერბურგში. მას დიაბეტის ფონზე ღვიძლი აწუხებს, ოღდა კი უჩივის სმენის დაქვეითებას და სჭირდება საზღვარგარეთ მკურნალობა. ►
- 1891 3 ივლისი**  
პეტერბურგიდან წერილობით ატყობინებს გიორგი თარხნიშვილს, რომ კონვენსიის საკითხი წინ მიიწევს. ამასთან სთხოვს გაუგოს, გადაურიცხა თუ არა თავადმა გიორგი ანდრონიკაშვილმა 1300 მანეთი. ეს თანხა სჭირდება მეუღლის სამკურნალოდ წასაყვანად საზღვარგარეთ და ძალიან ნერვიულობს მისი ჩარიცხვის დაგვიანების გამო. საკუთარ ჯანმრთელობაზე სწერს, რომ სერიოზულადაა შერყეული და ექიმების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ►
- 1891 3 ივლისი**  
პეტერბურგიდან წერილობით აიმედებს თსს ბანკის გამგეობას, რომ კონვენსიის საკითხი დადებითად გადაწყდება. მინისტრისგან ელის ნებართვას და აპირებს სტენოგრაფიული ანგარიშების დაწვრილებით გაცნობას, რათა თბილისში დაბრუნების შემდეგ სრული ცოდნით აღჭურვილი შეუდგეს სესხების კონვენსიას. ►
- 1891 18 ივნისიდან 4 ივლისამდე**  
პეტერბურგშია და უბის წიგნაკში იწერს, რომ 1-დან 3 საათამდე ბანკში უნდა შეხვდეს ბარონ ფონ ვიტეს. ►
- 1891 4 ივლისამდე**  
მეუღლესთან ერთად მოსკოვშია და მკურნალობს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკაში პროფესორ გრიგოლ გახარინთან. ►
- 1891 4 ივლისი**  
მისი მკურნალი ექიმები მართავენ კონსილიუმს და იზიარებენ გრიგოლ გახარინის დიაგნოზს, რომ მას აქვს დიაბეტი და ამასთან ერთად, დაწყებული აქვს მარილების დალექვა ღვიძლში. ►
- 1891 4-7 ივლისი**  
პეტერბურგშია და უბის წიგნაკში იწერს, რომ წერილი გააგზავნა ბანკის გამგეობაში. ►
- 1891 9 ივლისი**  
პეტერბურგიდან კიდევ ერთ წერილს უგზავნის თსს ბანკის გამგეობას და ატყობინებს რომ კონვენსიასთან დაკავშირებით მინისტრის ნებართვის მისაღებად საჭიროა ბანკის წევრთა საერთო კრების თანხმობა. ►
- 1891 9-10 ივლისი**  
პეტერბურგშია. უბის წიგნაკში იწერს, რომ წერილი და კრებული გააგზავნა ბანკის გამგეობაში და შესთავაზა საგანგებო კრების მოწვევა. ►



- 1891 21-22 ივლისი**  
მეუღლესთან ერთად მიემგზავრება პეტერგოფის დასათვალიერებლად. ►
- 1891 23 ივლისი**  
მეუღლესთან ერთად პეტერგოფიდან ბრუნდება პეტერბურგში. ►
- 1891 23 ივლისი**  
თბილისიდან იღებს გიორგი თარხნიშვილის წერილს, რომელშიც ადრესანტი სთხოვს კონვერსიასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებას. ►
- 1891 25 ივლისამდე**  
პოეტი და საზოგადო მოღვაწე მამია გურიელი უძღვნის ნიკოლოზ ნეკრასოვის მის მიერ თარგმნილ ლექსს „სამშობლო“. ►
- 1891 25 ივლისი**  
პეტერბურგიდან თბილისში გიორგი თარხნიშვილს უგზავნის დეპეშას საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციით. ►
- 1891 26 ივლისი**  
პეტერბურგიდან თბილისში გიორგი თარხნიშვილს უგზავნის წერილს და უფრო დაწვრილებით განუმარტავს კონვერსიის დეტალებს. გარდა ამისა, ატყობინებს, რომ გიორგი ანდრონიკაშვილს ჭერაც არ გაუგზავნია დაპირებული თანხა და მისი მეუღლე, რომელსაც საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა ესაჭიროებოდა, ამის გამო ვერ მიდის. ►
- 1891 3 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს ნეკროლოგს პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – მამია გურიელის შესახებ. სტატია იღია ჭავჭავაძის სახელით დღემდე არ არის გამოქვეყნებული. იგი დაიბეჭდება მწერლის თხოულებათა ოცტომეული მე-19 ტომში. ►.
- 1891 15 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „ნარკვევი“ (ჟურნალ-გაზეთებიდან). იღია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►
- 1891 8 სექტემბერი**  
დეპეშით ატყობინებს გაზეთ „ივერიის“ რედაქციას, რომ პროფ. დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა გადაეცა ქშნ-კვ საზოგადოებას, ხოლო მისი კატალოგის შედგენა ითავა პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა. ►
- 1891 14 სექტემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 13 სექტემბერი“ („ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პროფესორ დ. ი. ჩუბინაშვილის მემკვიდრეების კეთილი თაოსნობა“. ►
- 1891 სექტემბრის შუა რიცხვები**  
მეუღლესთან ერთად ბრუნდება საქართველოში. ►

- 1891 15 სექტემბრამდე**  
იღებს ბესარიონ ნიჟარაძის წერილს, რომელშიც სთხოვს თბილისში ქშნ-კ საზოგადოების მდივნად გადმოყვანას. ►
- 1891 15 სექტემბერი**  
საპასუხო წერილით ბესარიონ ნიჟარაძეს ატყობინებს, რომ ქშნ-კ საზოგადოების გამგეობა თანახმაა საზოგადოების მდივნად მის დანიშვნაზე, მაგრამ იმავე ხელფასით. ►
- 1891 14 ოქტომბერი**  
იღებს ლევან ჭანდიერის წერილს. სთხოვს 250 მანეთს ნინა ანდრონიკაშვილის ვალის დასაფარად. ატყობინებს კახეთში მოწეული ყურძნის მოსავლის მდგომარეობას. ►
- 1891 14 ოქტომბერი**  
იღებს ალექსანდრე სარაჯიშვილის ბარათს და დიმიტრი ბაქრაძის სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად შეგროვებულ თანხას. ►
- 1891 16 ოქტომბერი**  
თავმჯდომარეობს ქშნ-კ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ გრიგოლ ვოლსკის მიერ ბათუმში საზოგადოების სასარგებლოდ გამართული კონცერტის ანგარიშს; ისმენენ ინფორმაციას დავით ჩუბინაშვილის მემკვიდრეთაგან მისი ბიბლიოთეკის, დიმიტრი ყიფიანისგან მის მიერ პროზად თარგმნილი შექსპირის დრამების და დავით ციციშვილისგან ოცდაცხრა ძველი სიგელისა და დოკუმენტის შემოწირვის შესახებ. იღებენ დადგენილებას სტეფანწმინდაში სკოლის დაარსებისა და საზოგადოების გამოცემების იაკობ მანსვეტაშვილთან დაბეჭდვის თაობაზე. ►
- 1891 18 ოქტომბერი**  
ქშნ-კ საზოგადოების სახელით წერილობით სთხოვს ალექსანდრე ხახანაშვილს დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენას. ამასთან, უხსნის, რამდენად საშურია ამ საქმის დროულად მოგვარება და აღუთქვამს, რომ მგზავრობის, პეტერბურგში ცხოვრებისა და საქმესთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს საზოგადოება აუნაზღაურებს. ►
- 1891 23 ოქტომბერი**  
თავმჯდომარეობს ქშნ-კ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილება კავკავის ქართულ სკოლაში მეორე მასწავლებლის დანიშვნისა და თბილისის საკვირაო სკოლისთვის სახელმძღვანელოების გადაცემის საკითხები. ►
- 1891 ოქტომბრის ბოლომდე**  
ანტონ ფურცელაძისგან იღებს, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის მესუთეკლასელების მიერ გაკვეთილის ერთობლივი გაცდენის გამო სასწავლებლის გამგეობას მიუღია დადგენილება მათთვის საყვედურის გამოცხადების და ერთ-ერთი მათგანის – ფილიპე გოგიჩაიშვილის სემინარიიდან გარიცხვის შესახებ. მისთვის უცნობ მოსწავლეთა გამოსასარჩლებლად მიდის საქართველოს ეგზარქოს პალადისთან და ხანგრძლივი საუბრის შედეგად არწმუნებს, რომ გადაიფიქრონ მოსწავლეთა დასჯა. ►

**1891 31 ოქტომბრის შემდეგ**

მოსკოვიდან იღებს ალექსანდრე ხახანაშვილის წერილს. ატყობინებს, რომ მზად არის ჩავიდეს პეტერბურგში და გასამრჯელოს გარეშე შეადგინოს დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი. სთხოვს, გაუგზავნოს ინსტრუქცია, მგზავრობისა და ბინის დასაქირავებელი თანხა. ►

**1891 1 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 ოქტომბერი“ („ჩვენის ქალაქის საბჭოს ყოფაცხოვრებას...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქალაქის გამგეობის მტკივნეული საკითხები“. ►

**1891 3 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 ნოემბერი“ („გარედამ მაყურებელი ჩვენის ქალაქის ძველ გამგეობის ამბებისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქალაქის ძველი გამგეობის მუშაობის შესახებ“. ►

**1891 6 ნოემბრის შემდეგ**

თედო ჟორდანიას გაზეთ „ივერიაში“ ექვთიმე თაყაიშვილს ბრალს სდებს მისი ხელნაწერი რვეულის მითვისებაში. იგი ამტკიცებს რომ ნაწერები ილია ჭავჭავაძეს ათხოვა და არა ექვთიმე თაყაიშვილს. ილია ექვთიმე თაყაიშვილს ბოდიშს უხდის, რომ ასეთი ცილისმწამებლური წერილი მის გაზეთში დაიბეჭდა და ურჩევს, სამედიატორო სასამართლოს მიმართოს. ექვთიმე თაყაიშვილს აზრი მოსწონს, მაგრამ არ იცის, ვინ აირჩიოს მედიატორებად და ილია რეკომენდაციას უწევს იმ დროს ექვთიმესთვის უცნობ თავის მეგობარ ივანე პოლტარაცკის. ►

**1891 7 ნოემბერი**

იღებს რუსი პოეტის, მარია დავიდოვას წერილს. ადრესანტი მადლობას უხდის კრებულის მიწოდებისთვის, უგზავნის ლექსებს და საკუთარ შრომას მოცარტის შესახებ. ►

**1891 10 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 ნოემბერი“ („სიმინდი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ და იმერეთში საკუთრივ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სიმინდის საქმე იმერეთში“. ►

**1891 14 ოქტომბერი – 11 ნოემბერი**

უბის წიგნაკში იწერს პიროვნებათა სახელებს და თანხებს, რომლებიც, სავარაუდოდ, მათ გადაუხადა. ►

**1891 13 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 ნოემბერი“ („მას აქედ, რაც საფრანგეთის ესკადრა კრონშტატში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვინ ვისთვის ლესავს ხმალს ევროპაში“. ►

**1891 13 ნოემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რა თანხა აიღო მოურავმა შეშაში. ►

**1891 17 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 ნოემბერი“ („ბ-ნი იზმაილოვის ამორჩევა კანონიერად ცნობილ იქნა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“. ►

**1891 26 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 ნოემბერი“ („დაბრუნდება თუ არა ბისმარკი თავის უწინდელ თანამდებობაზე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კომენტარი ბისმარკის პოზიციის გამო“. ►

**1891 დეკემბრის დასაწყისი**

ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობა იწყებს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის ბეჭდვას. ►

**1891 5 დეკემბერი**

-დან ბარათს უგზავნის ნიკო ხიზანიშვილს და სთხოვს მასთან მისვლას. ►

**1891 11 დეკემბერი**

მაქსიმე შარაძე იღებს ილია ჭავჭავაძის თხოვნით პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილ სანოტო ნიშნების შრიფტს მისი სტამბისთვის. ►

**1891 11 დეკემბერი**

ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობა მისი ხელმოწერით რწმუნების ქალაქს და ინსტრუქციას უგზავნის ალექსანდრე ხახანაშვილს დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის ასაღწერად. ►

**1891 11 დეკემბერი**

ქართულ თეატრში ესწრება დავით ერისთავის „სამშობლოს“ განახლებულ წარმოდგენას. ►

**1891 13 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში „თეატრის მათიანე“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „დავით ერისთავის „სამშობლოს“ განახლებული დადგმა“. ►

**1891 13 დეკემბერი**

ვალერიან გუნია წარწერით უძღვნის მის მიერ გამოცემულ „საქართველოს კალენდარს“. ►

**1891 22 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 21 დეკემბერი“ („ამ უკანასკნელ ხანებში ამბავი მოვიდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დღევანდელი თავადაზნაურობის სატკივარი“. ►

**1891 24 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 23 დეკემბერი“ („ჩვენ ამას წინად ვსთქვით, რომ შევიწროებული მდგომარეობა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დღევანდელი თავადაზნაურობის სატკივარი“. ►



**1891 25 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 24 დეკემბერი“ („წარსულ კვირა დღის მეთაურში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დღევანდელი თავადაზნაურობის სატკივარი“. ►

**1891 27 დეკემბერი**

დროებით წყდება მასზე დაწესებული პოლიციის ზედამხედველობა. ►

**1891 28 დეკემბრამდე**

განცხადებით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ გაზეთ „ივერიის“ რედაქტორად 1891 წლის 28 დეკემბრიდან დროებით დანიშნონ გრიგოლ ყიფშიძე. ►

**1891 დეკემბერი**

იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ კრებულში „ხომლი“ ქვეყნდება მისი ლექსები: „მძინარე ყმაწვილს“, „გუთნისდედა“, „ქართვლის დედას“, ნაწყვეტები პოემებიდან: „აჩრდილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდევილი“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ►

**1891 დეკემბრის ბოლო**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება ცნობა მომდევნო წლის იანვრის პირველ რიცხვებში ბანკის საქმეებთან დაკავშირებით მისი პეტერბურგში მოსალოდნელი გამგზავრების შესახებ. ►

1875-

**1891** მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სწერს, რომ ვექსილი აქვს გამოსახსნელი და ამიტომ შეიძლება ვერ ავიდეს. ოლღას დისშვილ თამარს უგზავნის მის სახელზე მისულ ამანათს. ►

1881-

**1891** თბილისიდან წერილს უგზავნის მეუღლეს და აცნობებს, რომ საგურამოში ასვლას აპირებენ ოლღას დისწული, თამარ სტაროსელსკაია და მისი მეუღლე პავლე კილდიშევი. სთხოვს შაბათს საღამოს ცხენები დაახვედროს მცხეთაში მატარებლის ჩამოდგომის დროისთვის. ►

**1891** პეტერბურგში გამოდის ილია ჭავჭავაძის ლექსზე „ნანა“ მელიტონ ბალანჩივაძის მიერ შექმნილი რომანსის ნოტები. ლექსის ტექსტი წარმოდგენილია ქართულ და რუსულ ენებზე. რუსული თარგმანი ეკუთვნის იაკობ ივაშკევიჩს. ►

**1891** საგურამოში მასპინძლობს გერმანელ მთამსვლელს, მოგზაურსა და გეოგრაფს გოტფრიდ მერცბახერს. ►

**1891** აკეთებს შენიშვნებს ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელის“ ტექსტზე. ►

1891-

დან ოჯახში სადილად ეპატიჟება ნიკო ხიზანიშვილს. ►

**1891-**

**დან**

წერილს იღებს დიმიტრი ფურცელაძისგან, რომელიც შეახსენებს, რომ არის სათავადაზნაურო ბანკის დაარსებიდან მისი წევრი, 70 წლის სამსახურის შემდეგ დარჩენილია ულუკმაპუროდ და ითხოვს ბანკიდან შემწეობას. წერილში მითითებულია თბილისის მისამართი, სადაც მისი ავტორი დროებით ცხოვრობს. ►

**1891-**

**დან**

უბის წიგნაკში იწერს ფორმულას, როგორ გამოიანგარიშება საბანკო პროცენტი დღეების მიხედვით და შემდეგ ითვლის 1890-1891 წლების კონკრეტულ მაგალითზე. იქვე იწერს ტულის, მოსკოვისა და ნიჟეგოროდის ბანკების მონაცემებს, მსჯელობს წესდების იმ პუნქტებზე, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული მამულის შეფასებას. ►

**1892-**

**მღე**

რუსეთიდან იწერს ინკუბატორს და საგურამოში იწყებს ქათმების მოშენებას. ►

**1892 5 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება მისდამი მიძღვნილი ექსპრომტები: „დაბერებულა როსტომი, / აბჯართა ჰზიდავს ვეღარა...“, „ჭერად ის ჰხურავ ჩვენს ერსა, / ბოძადაც უდგა ძირშია“. ►

**1892 9 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 8 იანვარი“ („იმისთანა უმაგალითო და შემადრწუნებელი უბედურება, რომელმაც სასიხარულო დღესასწაული...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“). ►

**1892 17 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 16 იანვარი“ („ნათლისღების დღეს მომხდარმა უბედურობამ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“). ►

**1892 1-18 იანვარი**

წერილობით სთხოვს გრიგოლ ყიფშიძეს, გაუგზავნოს ნიკოლოზ ზუბალაშვილის მიერ საბჭოში წარმოთქმული სიტყვა, რადგან სურს გამოხმაურება დაწეროს. ►

**1892 19 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 18 იანვარი“ („ამ ნათლისღების უბედურობის ვაი-ვაგლახში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“). ►

**1892 23 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 იანვარი“ („ქუთაისის საზოგადო საქმეთა მიმდინარეობამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქუთაისის არჩევნების გამო“. ►

- 1892 26 იანვარი**  
 მონაწილეობს ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებაში და ხმათა დიდი უმრავლესობით ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარედ. ►
- 1892 28 იანვარი**  
 თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ პარასკევა დადიან-ვიტგენშტეინისას, ხაზინადრად – დიმიტრი ფავლენიშვილს და მდივნად – ნიკოლოზ მთვარელიშვილს. ►
- 1892 29 იანვარი**  
 გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 25 იანვარი“ („წლევანდელს „ივერიაში“ (№№ 18, 19) დაბეჭდილი იყო ივრის ხეობიდან...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საზოგადო საქმეთა გამო“. ►
- 1892 იანვრის ბოლო**  
 მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქმნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►
- 1892 თებერვლამდე**  
 ბანკში კრედიტის დასაფარად შეაქვს ვლადიმერ ჯანდიერის 1000 მანეთი. ►
- 1892 თებერვლამდე**  
 უბის წიგნაკში იწერს, ვის რამდენი გადაუხადა. ►
- 1892 1 თებერვალი**  
 გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 1 თებერვალი“ („ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ ჯანდიერის სარჩელმა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საზოგადო საქმეთა გამო“. ►
- 1892 3 თებერვალი**  
 თედო ჟორდანიასა და ექვთიმე თაყაიშვილის დავის განსახილველად მასთან იკრიბებიან სამედიცინო სასამართლოს წევრები: ალექსანდრე ტყონია, გიორგი წერეთელი, ივანე პოლტარაძე, გიორგი იოსელიანი და ნიკო ხიზანიშვილი. საკითხის განხილვის შემდეგ იღებენ განჩინებას, რომლის მიხედვითაც ასკვნიან, რომ თედო ჟორდანიამ თავად ათხოვა ექვთიმე თაყაიშვილს რვეული და გულმავინცობის გამო დასდო ბრალი. მხარეებს ურჩევენ მშვიდობიან მორიგებას. ►
- 1892 5 თებერვალი**  
 გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება ცნობა „კაცია – ადამიანის?!“ რუსულად თარგმნისა და დასაბეჭდად გადაცემის შესახებ. ►
- 1892 21 თებერვალი**  
 გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 20 თებერვალი“ („ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელსაც სახელადა აქვს „ხმა შორიდან...“) მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. ►

**1892 22 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ მისი ხელმოწერით იბეჭდება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ბალანსი 1892 წლის 1 იანვრისთვის. ►

**1892 27 თებერვალი**

მონაწილეობს ლევან მელიქიშვილის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიაში. ►

**1891 დეკემბერი**

**1892 თებერვალი**

რომანოზ ფანცხავა და ნიკო ხიზანიშვილი ყოველკვირეულად სტუმრობენ და გვიანობამდე რჩებიან მასთან. ►

**1892 3 მარტი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას. იღებენ დადგენილებას, რომ სახალხო ბიბლიოთეკები გაიმართოს საქართველოს ისეთ სოფლებშიც კი, სადაც სკოლა ჯერ არ არის, მაგრამ არიან წერა-კითხვის მცოდნეები. თითოეული ბიბლიოთეკის გამართვაზე თავდაპირველად უნდა დაიხარჯოს ათი ათას მანეთამდე და შემდეგ დაემატოს ახალი წიგნები. განისაზღვრა ბიბლიოთეკის გახსნისთვის აუცილებელი პირობები და ჩამოყალიბდა გამგეთა მოვალეობები. თანხმდებიან, რომ მიღებული დადგენილებები გამოცხადდეს გაზეთში და გამგეობამ თბილისისა და ქუთაისის ბანკებს თხოვნით მიმართოს ამ მნიშვნელოვან საზოგადო საქმეში დასახმარებლად. ივანე მაჩაბლის წინადადებით გამგეობის თავმჯდომარეს და საქმეთა მწარმოებელს ანიჭებენ აუცილებლობის შემთხვევაში გამგეობის თანხმობის მიუღებლად ორდერით ფულის გამოტანის უფლებას. ალექსანდრე სარაჯიშვილის მიერ გამოსაცემად წარმოდგენილ თურქულიდან თარგმნილ თხზულება „ძმა-მამალს“ სარეცენზიოდ გადასცემენ გიორგი იოსელიანს, ალექსი ჭიჭინაძეს და იაკობ გოგებაშვილს. დადებითად წყდება პარმენ თვალჭრელიძის წიგნის „შალვას თავგადასავალი“ შეღავათიან ფასში შესყიდვის საკითხი. ალექსანდრე გუბალაშვილს თხოვნით მიმართავენ, რომ საზოგადოებას შესწიროს მუზეუმის ასაგები ადგილი. ►

**1892 მარტის დასაწყისი**

ქართული წიგნების ბეჭდვის ამხანაგობა ამთავრებს მის თხზულებათა ოთხტომეულის პირველი ტომის ბეჭდვას. ►

**1892 10 მარტი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მსჯელობენ წიგნით ვაჭრობის ინსპექტორის მიერ საზოგადოების მალაზიებში აღმოჩენილ ხარვეზებზე – მთავრობის მონუმობის არქონასა და ჩამონათვალში ახალი წიგნების შეუტანლობაზე. თხოვნით მიმართავენ გუბერნატორს დასახელებული მონუმობის მისაცემად; წიგნების სიის სისრულეზე პასუხისმგებლობას იღებს დავით კარიჭაშვილი. გამოყოფენ თანხას ლატარეის გასამართად; კმაყოფილდება ივანე მაჩაბლის თხოვნა გამგეობის წევრობიდან გადადგომაზე და მის ნაცვლად იწვევენ მიხეილ მაჩაბელს. გამგეობისთვის გამოსაქვეყნებლად გადაცემული ძველი თხზულება „თაზო მომღერალი“ სარეცენზიოდ გადაეცემა გიორგი იოსელიანს. წიგნების „მაცი ხვითია“ (ანტონ ფურცელაძე), „დემონი“ (მიხეილ ლერმონტოვი), „ზადიგი“, „უმანკო“ (ვოლტერი) და „მაჰმადის ცხოვრება“ გამომცემლებს სთავაზობენ საკომისიო ანაზღაურებას; იღებენ გადაწყვეტილებას ზაქარია გრიჭუროვისაგან წიგნის „Русское слово“ ორივე ნაწილის შესყიდვის შესახებ. ►



**1892 10 მარტი**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სწირავს ერეკლე მეფის, თეიმურაზ მეორის, დარეჯან დედოფლისა და კათალიკოს ანტონ მეორის სურათებს. ►

**1892 11 მარტი**

სტუმრად არის კოლა ერისთავთან და ბარათს უგზავნის გრიგოლ ყიფშიძეს, რომ გაუგზავნოს „ივერიის“ ის ნომრები, რომლებშიც ვაჟა-ფშაველას პოემებია დაბეჭდილი. ►

**1892 16 მარტი**

როგორც ქშნ-კვ საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ მაჩაბელს სწერს, რომ ივანე მაჩაბელმა დატოვა საზოგადოების გამგეობა და ორგანიზაციის გადანაცვლებით სთავაზობს გამგეობის წევრობას. ►

**1892 16 მარტიდან**

ილია ჭავჭავაძის ოფიციალურ შეტყობინებაზე, რომ ის აირჩიეს ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის წევრად, მიხეილ მაჩაბელი ზედვე აწერს, რომ უარს ამბობს შეთავაზებაზე, რადგან, მისი აზრით, გამგეობის წევრების ამორჩევა არაკანონიერად მოხდა. ►

**1892 17 მარტი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იაკობ გოგებაშვილს ავალებენ ქართული სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოსაცემად ექვსი ათასი მანეთის გამოყოფის თხოვნით ბანკში წარსადგენი მოხსენების მომზადებას; სახალხო სკოლების დირექტორის დავალებით ცდილობენ გაარკვიონ, ვინ გასცა ნებართვა სკოლებში გიორგი იოსელიანის „საღვთო ისტორიის“ სწავლებაზე; კმაყოფილდება ქუთაისის საკვირაო სკოლის ხელმძღვანელთა თხოვნა წიგნების გაგზავნაზე; მადლობას უთვლიან თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს, ყაზბეგში შემონირულობების ყუთის დადგმაში დახმარებისთვის; უარს ეუბნებიან გრიგოლ ჩარკვიანს მის სტამბაში გამგეობის წიგნების განსხვავებული პირობებით ბეჭდვაზე. ისმენენ ანასტასია წერეთლის მოხსენებას იმ წიგნებთან დაკავშირებით, რომელთა თარგმნა ან გადმოკეთებაც საინტერესო იქნებოდა ქართველი მკითხველისთვის; თანხმდებიან, რომ ეს წიგნები შეისყიდონ და სარეცენზიოდ გადასცენ ნიკოლოზ მთვარელიშვილს. ხელს აწერენ მიმდინარე წლის საერთო კრების პროტოკოლს და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას; ფასდაკლებით იძენენ მიხეილ საბინინის წიგნს „საქართველოს სამოთხე“. აკმაყოფილებენ იაკობ გოგებაშვილის თხოვნას „დედა ენის“ და „ბუნების კარის“ ბეჭდვის დასაწყებად თანხის გამოყოფის თაობაზე. ►

**1892 24 მარტი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მადლობას უთვლიან იოსებ ისარლიშვილს საზოგადოებისთვის არქიმანდრიტ ვარლამ ერისთავის რუსულენოვანი წიგნის „მოკლე ქართული გრამატიკა“ და ხელნაწერის „პანთეონი ქართული პოეზიისა“ (მეფეების: თეიმურაზის, არჩილის, ვახტანგისა და სხვათა ლექსების) შეწირვისათვის. წიგნ „სიმრთელის კიდობნის“ ავტორ ილია სულაქველიძეს და წიგნების „სამი ცელქი“, „ძუნწი“, „პირუტყვების ამბები“ (შიო ქუჩუკაშვილი) და „დემონი“ (ლერმონტოვი) გამომცემლებს უხდიან გაყიდვებით შემოსული თანხის საკომისიოს. მტკიცდება სხვადასხვა წვრილმანი ხარჯები. ►

## 1892 27 მარტამდე

გამოდის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხტომეულის პირველი ტომი. მასში შესულია ლექსები: „ყვარლის მთებს“, „სანთელი“, „ხმა სამარიდამ“, „გაზაფხული“ (ვიმ გაზაფხული), „ჩიტი“ (ვგალობ და ვგალობ), „სიმღერა“, „გუთნისდედა“, „გიყვარდეს“, „სიმშარი“, „ლოცვა“, „უცხოეთში“, „ლოთის რჩევა“, „როდემდის“, „ვიხილე სატრფო...“, „ერთხელ ჰჭდა...“, „ქართველის დედას“, „ბევრი ვიტანჯე...“, „მეცა მქონია კარგი მამული...“, „გავსწორდეთ, ბედო!..“, „ვაი! მას, ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად...“, „ციურნი ხმები“, „ალაზანს“, „ნანა“, „ელეგია“, „მტკვრის პირას“, „ოჰ, სად არიან...“, „მიძინარე ქალი“, „მწუხარება“, „მუშა“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „ს... ჩ...სას“, „ჩ...სას“, „პოეტი“, „მესმის, მესმის...“, „ქართველ სტუდენტების სიმღერა“, „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე“, „ჩემო მკვლელო“, „იანიჩარი“, „გახსოვს, ტურფავ...“, „დაბნელდა სული...“, „უსულდგმულო ცხოვრება...“, „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაკი...“, „ჩემო კალამო“, „გ. აბხ(აზს)“, „პარიჟი ( 1871 წ. 23 მაისი)“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით...“, „ბედნიერი ერი (ხალხი)“, „რჩევა“; თარგმანებს და გადმოკეთებულ თხზულებებს: „ჩიტი“, „ბედა მქადაგებელი“, „რა ტკბილ არს...“, „სტიროდეთ!“, „ჭემმარიტება“, „წინასწარმეტყველი“, „როცა შევეყრებ...“, „ლოყით მოეპყარ...“, „ჩრდილნი მაღალ მთებისა“, „ჰაჭი-აბრევი“, „კართა თანა“; პოემები: „დედა და შვილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „აჩრდილი“ ( აკლია XXII – XXIII თავები). ►

## 1892 29 მარტი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 მარტი“ („ჩვენ კარგა ხანია მას აქედ, რაც ჩვენს მკითხველებს ვაუწყებ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ფიქრები გლეხკაცის გაღონიერებაზე“. ►

## 1892 31 მარტამდე

ვახტანგ ორბელიანის ლექსების კრებულისთვის წერს პოეტის ბიოგრაფიას. ►

## 1892 31 მარტამდე

წერილით ატყობინებს კოლა ერისთავს, რომ შეასრულა მარიამ ორბელიანის თხოვნა და დაწერა მისი მამის, ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია. სთხოვს, საღამოს ისიც მივიდეს მარიამ ვახტანგის ასულთან, რომ მათ ერთად წაუკითხოს ბიოგრაფიის ტექსტი. ►

## 1892 12 აპრილი

ნიკო ხიზანიშვილთან ერთად ესწრება „სამშობლოს“ წარმოდგენას. მთავარ როლს ასრულებს მსახიობი ვიქტორ გამყრელიძე. ►

## 1892 14 აპრილამდე

წერს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ თავისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გაგრძელებას, მაგრამ აღარ აქვეყნებს („ჩვენ ჩვენი წინანდელი მეთაური წერილი...“; „ჩვენ სახეში არა გვქონდა...“) მწერლის თხზულებათა კრებულებში შეტანილია ნარკვევში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. ►

**1892 14 აპრილი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგსაზოგადოების სხდომას, რომელზეც წყდება ქობულეთში სკოლის დაარსებისათვის საჭირო ცნობების შეკრება; კმაყოფილდება წინარეხის, ხელთუბნისა და თიანეთის სკოლების მასწავლებელთა თხოვნა საწავლო ნივთების გაგზავნასთან დაკავშირებით. ნიკოლოზ მთვარელიშვილი კითხულობს დასკვნას მისთვის სარეცენზიოდ გადაცემულ რუსულ წიგნებზე: „მოთხრობები მიწასა და ცაზე“, „მინდვრებისა და ტყეებისთვის მავნე მწერების შესახებ“, „მინისძვრებსა და ცეცხლისმფრქვეველ მთებზე“, „სითბოსა და ჰაერზე“, „წყლის სამ ფორმაზე“, „საუბრები ბუნებაზე“ და „ღვთიურ სამყაროზე“. მისი წინადადებით იღებენ გადაწყვეტილებას ამ წიგნების თარგმნასა და ცალკეული ადგილების ქართველი მკითხველის ინტერესების შესაბამისად ადაპტირებაზე. მადლობას უცხადებენ ბესარიონ ლომინაძეს, ბესარიონ ნიჟარაძესა და ვასილ ბიბილაშვილს ხელნაწერი წიგნის („მოთხრობა სჯულთა უმღვთოთა თათრისათა გამოკრებული და სიტყვის გებაი ქრისტიანეთა მიერ, თქმული ბატონიშვილის ბაგრატიისა“), სვანეთში ნაპოვნი ორი ისრისა და ორი ხელნაწერი რვეულის გადაცემისთვის, რომლებშიც შედიოდა ლექსები, ავგაროზი და შელოცვის ქალაქი. ხელთუბნის სკოლას ეგზავნება იაკობ გოგებაშვილის წიგნები „ხომლი“, „იავნანამ რა ჰქნა“, „ხატის მიზეზი“ და „რუსსკოე სლოვო“, კრილოვის იგავ-არაკები, რაფიელ ერისთავის ლექსები, აკაკი წერეთლის „კიკოლას ნაამბობი“, დიმიტრი მაჩხანელის „ძმური სიტყვა“, ლადო აღნიაშვილის „ანი“ და „ბანი“, შიო მღვიმელის (ქუჩუკაშვილის) „ძუნწი“ და „სამი ცელქი“, ვუჩეტიჩის „წითელი ფარანი“, ვაჟა-ფშაველას ნაწერები, „ვეფხისტყაოსანი“, „ჭეჭილი“, ალექსანდრე ჭყონიას „ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“. გიორგი წერეთლის მიერ დასაბეჭდად წარმოდგენილი წიგნი „რუხი მგელი“ განსახილველად გადაეცემა ნიკოლოზ მთვარელიშვილს. ▶

**1892 15 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ასტრონომით (\*\*\*) ქვეყნდება მისი „ნიკოლოზ ბარათაშვილი (პატარა ეტიუდი ერთის წერილიდამ ამოღებული)“. მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება, როგორც ნაწილი ვრცელი ნარკვევისა „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. ამავე ნომერში ხელმოუწერლად აქვეყნებს თეატრალურ რეცენზიას „ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლში“. ▶

**1892 18 აპრილი**

მონაწილეობს წიგნების ბეჭდვის ქართველთა ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრებაში და უარს ამბობს თავმჯდომარედ არჩევამზე. ▶

**1892 19 აპრილამდე**

ანონიმურად გამოდის ივანე მაჩაბლის ბროშურა „თ. ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“, რომელშიც უარყოფითად არის შეფასებული მისი საქმიანობა არა მხოლოდ ბანკში, არამედ გაზეთში, წერა-კითხვის გამავრცელებელ, დრამატულ, სათავადაზნაურო სკოლის დამფუძნებელ საზოგადოებებში და სხვ. ▶

**1892 19 აპრილის შემდეგ**

გაზეთი „კავკაზი“ მიმოიხილავს ივანე მაჩაბლის წიგნს „თ. ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“. ▶

**1892 19 აპრილის შემდეგ**

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ მიმოიხილავს ივანე მაჩაბლის წიგნს „თ. ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“. ▶

**1892 19 აპრილის შემდეგ**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ვლადიმერ მიქელაძე „ვეტერანის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ვრცელ რეცენზიას ივანე მაჩაბლის წიგნზე „თ. ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“ სათაურით „განაწყენებული უძღურება, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“. მასში განმარტებულია, რამ გამოიწვია ივანე მაჩაბლის დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან. ►

**1892 19 აპრილის შემდეგ**

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს ივანე მაჩაბლის გამოხმაურებას ვლადიმერ მიქელაძის წერილზე „განაწყენებული უძღურება, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“. ავტორი აღშფოთებულია ამ სტატიის მისი პუბლიკაციის ასეთი შეფასებით. ►

**1892 21 აპრილი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც კმაყოფილდება ხელთუბნის სკოლის მასწავლებლის თხოვნა მოსწავლეებისთვის მისაცემი მონუმენტების ბლანკებისა და სასაჩუქრე წიგნების გაგზავნასთან დაკავშირებით. ნიკო ხიზანიშვილს, ივანე მაჩაბელს და აკაკი წერეთელს გამოეყოფათ მათი წიგნების: „ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“, „ჰამლეტი“, „ოტელო“ და „სამგვარი სიყვარული“ გაყიდვების საკომისიო თანხა. თანხმდებიან ბანკის მსახურებისთვის სააღდგომო პრემიის მიცემაზე. იაკობ გოგებაშვილს, ალექსანდრე ჭყონიასა და ექვთიმე თაყაიშვილს ავალებენ იმ წიგნების ჩამონათვალის შედგენას, რომლებიც უნდა შეისყიდონ პეტერბურგში. კმაყოფილდება ქართველ ქალთა კომიტეტის თხოვნა საზოგადოების სასარგებლოდ ლატარიის გამართვასთან დაკავშირებით. იღებენ დადგენილებას გიორგი წერეთლის „რუხი მგელის“ დაბეჭდვაზე. ►

**1892 25 აპრილი**

გაზეთ ივერიაში იბეჭდება რეკლამა: „ისყიდება კახეთის საუკეთესო ღვინოები თ. ილია ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეთა“, მითითებულია ფასები და მისამართი. ►

**1892 29 აპრილი**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცემს ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, იოსებ დავითაშვილისა და მამია გურიელის თხზულებათა გამოსაცემი ფონდის შესაქმნელად „ივერიის“ რედაქციაში შეკრებილ 3081 მანეთს და 19 კაპიკს. ►

**1892 30 აპრილი**

გაზეთ „მწყემსში“ „სოფლის მღვდლის“ ფსევდონიმით იბეჭდება რედაქტორ დავით ლამბაშიძის სტატია „მწარე ფიქრები“. გაკრიტიკებულია ილია ბახტაძისა და დიმიტრი ნადირაძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიები, რომლებშიც მხილებულია სამღვდლოება. სტატიის ავტორი აქედან ასკვნის, რომ გაზეთი „ივერია“ სასულიერო წოდებას უპირისპირდება. ►

**1892 5 მაისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც აკეთებს განცხადებას, რომ დიმიტრი ბაქრაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, იოსებ დავითაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგისა და მამია გურიელის ფონდების დასაარსებლად „ივერიის“ რედაქციაში შეგროვებული თანხა ექვსი თვის ვადით შეიტანა საკომერციო ბანკში, რათა 3 პროცენტით გაზრდილიყო. სკოლების შესამოწმებლად ინიშნებიან რევიზორები: ნიკოლოზ მთვარელიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსი ჭიჭინაძე და ექვთიმე თაყაიშვილი. კმაყოფილდება ანასტასია თუმანიშვილის თხოვნა ლატარიის გასამართად თანხის გამოყოფის შესახებ და მტკიცდება სხვა წვრილმანი ხარჯები. ►



**1892 11 მაისი**

დავით კარიჭაშვილს, როგორც გამგეობის წევრს, კომერციულ ბანკში შესატანად გადასაცემს ქშნ-კვ საზოგადოების მომგებიან ბილეთებს. ►

**1892 11 მაისი**

მონაწილეობს იასე ანდრონიკაშვილის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიაში. თავისი ოჯახისა და ქშნ-კვ საზოგადოების სახელით განსვენებულის კუბოს ამკობს გვირგვინებით. ►

**1892 12 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას. არგუმენტირებულად პასუხობს დამსწრეთათვის ანგარიშების დაბეჭდილი სახით მიუწოდებლობის გამო გამგეობის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიაზე. ►

**1892 13 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება თსს ბანკის წევრთა 12 მაისის კრების ანგარიში. ►

**1892 13 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას. ივანე მაჩაბლის, დიმიტრი მუსხელიშვილისა და სხვათა კრიტიკული გამოსვლების საპასუხოდ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბანკის მოგება არ გაზრდილა და გამგეობას საქმე არ მომატებია, განმარტავს, რომ საქმის მატება უკავშირდება ყოველწლიური ოპერაციების მატებას. მოჰყავს მაგალითები ცნობილი ბანკებისა, რომელთა მოგებაც წლების მიხედვით ხან კლებულობს და ხან მატულობს, რადგან ეს სხვადასხვა გარემოებით არის განპირობებული. შემდეგ ასახელებს ორ მნიშვნელოვან არგუმენტს იმის საილუსტრაციოდ, თუ, რა სირთულეების წინაშე დგას თსს ბანკის დამფასებელი რუსეთის ბანკების დამფასებლებისაგან განსხვავებით. რუსეთში წინდანიწვე არის დადგენილი ფასები ადგილების მიხედვით და მიწის მფლობელებს საკუთრების საბუთები სრულიად მოწესრიგებული აქვთ. კენჭისყრის საფუძველზე არ იღებენ გამგეობის წინადადებას ბათუმსა და ბაქოში სააგენტოების გახსნასთან დაკავშირებით. ►

**1892 14 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას და მოხსენებას აკეთებს იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მიიღეს პეტერბურგში იმპერიის სხვადასხვა ბანკის წარმომადგენელთა შეკრებაზე მამულების დაფასების საკითხებთან დაკავშირებით. განმარტავს, რომ თბილისის ბანკისთვის დაფასების წესების შედგენისას იხელმძღვანელეს ამ კრებაზე მიღებული და მინისტრის მიერ დამტკიცებული საერთო გადაწყვეტილებებით, მაგრამ დაამატეს მცირეოდენი ნიუანსები ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. სთავაზობს ამ წესების მიღებას ერთი წლით და შემდეგ, შედეგების მიხედვით, მის გადახედვას. დღის მეორე ნახევარში გამართულ სხდომაზე დამსწრეთ განუმარტავს, რომ ბანკის შესატანის უსაზღვროდ გადავადება არ შეიძლება, რადგან ამ თანხამ გირავნობის ფურცელთა მეპატრონეები უნდა დააკმაყოფილოს. სტიქიით ან უბედური შემთხვევით დაზარალებულთა ოჯახებისთვის შეღავათის განწევასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ შესატანის დაგვიანებისთვის ბანკი მათ 12%-იანი ჭარბის ნაცვლად 6%-იანს უწესებს, მაგრამ ამაზე მეტი შეღავათის განწევა არ შეუძლია. ►

**1892 14-15 მაისი**

მონაწილეობს სათავადაზნაურო სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების კრებაში. განიხილავენ სკოლისთვის შენობის შეძენის საკითხს. ►

**1892 16 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას, რომელზეც განმარტავს ქარვასლის ვალის დაჩქარებით გადახდისა და დივიდენდის გაუქმების საჭიროებას. კამათში ებმებიან მიხეილ და ივანე მაჩაბლები, გრიგოლ გაბაშვილი და სხვები. ხმაურს იწვევს ნიკო ნიკოლაძის რეპლიკა სხდომის მონაწილეთა „არა გულწრფელობის“ შესახებ. ირკვევა, რომ ამ კრებამდე ყველა მოითხოვდა დივიდენდის გაუქმებას და რატომღაც, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ეს წინადადება წამოაყენა, უცებ საწინააღმდეგო აზრზე დადგნენ. იღებენ დადგენილებას დივიდენდის გაუქმებისა და ქარვასლის ვალის დაჩქარებით გადახდის შესახებ. საღამოს სხდომაზე, რომლის დროსაც განიხილავენ ბანკის აგენტების მოწვევის, ბანკის გამგეობის წევრებისა და სხვა მოსამსახურეების ხელფასების საკითხებს, ნიკოლოზ ხუდადოვი მოითხოვს, რომ ხელფასები შემცირდეს, მაგრამ მის წინადადებას მხარს არ უჭერენ. ილია ჭავჭავაძე ასაბუთებს, რომ აგენტების მოწვევა ბანკის მუშაობას არ გააუმჯობესებს და კრება თანხმდება, რომ მათი მოწვევა საჭირო არ არის. ►

**1892 17 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის წერილი „სახელდახელო ყბად-ასალები და წყალ-წასალები ამბავი“. იგი ეხება ბანკის კრებებს, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ უავტოროდ გამოსულ ბროშურას და ივანე მაჩაბლის მოქმედებას. წერილის ავტორი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მწერალი თავისი გაზეთის თანამშრომლებს არ აძლევს ბანკის საკითხებთან დაკავშირებით მისი დასაცავი სტატიების გამოქვეყნების ნებას. ამავე ნომერში Plebs-ის ფსევდონიმით იბეჭდება ნიკო ხიზანიშვილის წერილი „მასლაათი ჩვენებურ ოპოზიციის შესახებ“. ►

**1892 17 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას. გამომსვლელთა არაკომპეტენტურ მოთხოვნებზე, რომ ყველა მსესხებელს მიეცეს შეღავათები და აიკრძალოს ჭარიმები, პასუხობს, რომ ვერცერთი ბანკი ამას ვერ გააკეთებს, ჭარიმები სახელმწიფო ბანკშიაც კი არის, ხოლო დახმარებას ბანკი გასცემს შემოსავლის სიდიდის მიხედვით. აქვე მოჰყავს ფინანსთა მინისტრის აზრი ფასდაკლების ზღვართან დაკავშირებით და დამსწრეთ უხსნის, რომ გირავნობის ფურცლების ფასის მეტ-ნაკლებობა ბირჟაზეა დამოკიდებული. კრება 237 ხმით 21-ის წინააღმდეგ მის პოზიციას უჭერს მხარს. ►

**1892 17 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ნაკვესი მიხეილ მაჩაბლის შესახებ, რომელიც ბანკის კრებებზე ყველაფერში უპირისპირდება ილია ჭავჭავაძეს. გაშარჟებულია ამ პიროვნების ამბიციური კილო და ნათქვამია: „ჭერ ილია ჭავჭავაძისთვის ავტორიტეტობა არ ჩამოურთმევია და იმის ფეხში არ ჩამდგარა და რარეგად ბატონურად ლაპარაკობს... მაშინ რაღა გვეშველება, როცა ილია ჭავჭავაძეს გვირგვინს ახდის და თითონ დაიხურავსო“. ►

**1892 18 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას. იწონებს ბანკის შემოსავლიდან ქალთა სასწავლებლის დასაარსებლად შემოწირულობის გამოყოფას. იმის გამო, რომ თანხის ნაკლებობის გამო განათლების სამინისტროდან უარი მოუვიდათ თბილისში სატექნიკო სასწავლებლის გახსნაზე, მხარს უჭერს ვასილ მაჩაბლის წინადადებას, რომ დააფინანსონ საცხენისიდან თელავში გადატანილი სასწავლებელი. ►

**1892 19 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას. ივანე მაჩაბლის ბრალდების გასაბათილებლად დეტალურად ასაბუთებს ზაალ და ალექსანდრე ჯანდიერების მამულის გაყიდვის კანონიერებას. ირკვევა, რომ ეს გამოიწვია თანხის დროულად შეუტანლობამ და მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის გაურკვევლობამ. თან მამული შეისყიდა მათი ძმის – ვლადიმერის მეუღლემ იმ მოტივით, რომ ისევ მეპატრონეებს დაუბრუნებდა. დარბაზში მყოფი ალექსანდრე ჯანდიერი ადასტურებს კიდევ, რომ არავითარი პრეტენზია არ აქვს ბანკის გამგეობის მიმართ. ►

**1892 26 მაისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც გამოყოფენ თანხას მღვდელ-მონაზონ ბენედიქტე ბარკალაიას წიგნისათვის „სარკვე კაცის შინაგანი ცხოვრებისა, რომლის შემწეობით თვითეულს შეუძლია გასწორება თავისის სულიერ მდგომარეობისა“. იღებენ დადგენილებას წინარეხის სკოლის კურსდამთავრებული რვა მოსწავლის წიგნებით დაჭილდოების შესახებ. ნიკოლოზ მთვარელიშვილს ავალებენ წიგნების შერჩევას და ამავსკოლის 1890–1891 წლების ანგარიშის შემოწმებას. კმაყოფილდება ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის თხოვნა სახალხო ბიბლიოთეკისთვის წიგნების გადაცემის შესახებ. სხვადასხვა სკოლაში სარევიზიოდ იგზავნებიან ალექსი ჭიჭინაძე და ექვთიმე თაყაიშვილი. მტკიცდება სკოლის დამამთავრებელი მოწმობების საბოლოო ფორმა და იგზავნება დასაბეჭდად. გამოსაცემად წარმოდგენილი თარგმანები: ალექსანდრე ივანოვის „ცა და დედამიწა“ და ნიკოლოზ ლესკოვის „მშვენიერი აზა“ სარეცენზიოდ გადაეცემა გიორგი იოსელიანსა და ექვთიმე თაყაიშვილს. ქართველთა ამხანაგობის გამომცემლობის წინაშე შუამდგომლობას უწევენ შიო ქუჩუკაშვილს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემისათვის ტექსტების გადანერის თანხის მისაღებად. ►

**1892 30 მაისამდე**

წიგნების ბეჭდვის ქართველთა ამხანაგობა პეტერბურგიდან დაგვიანებით იღებს ილია ჭავჭავაძის პორტრეტს, რომელიც უნდა დართვოდა მის თხზულებათა პირველ ტომს. ►

**1892 30 მაისი**

გაზეთი „ივერია“ მკითხველებს აუწყებს, რომ ქართველთა ამხანაგობამ, რომელიც გამოსცემს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულებს, მიიღო მისი ახალი ფოტო პეტერბურგიდან და პირველი ტომის მყიდველებს შეუძლიათ თანდართული ძველი ფოტო გადაცვალონ ახალზე. ►

**1892 30 მაისი**

გაზეთ „მწყემსში“ იბეჭდება რედაქტორ დავით ღამბაშიძის სტატია „მწარე ფიქრები“, რომელშიც გაკრიტიკებულია თსს ბანკის გამგეობის მუშაობა და ივანე მაჩაბელთან დაპირისპირებაში დადანაშაულებულია ილია ჭავჭავაძე. ►

- 1892 30 მაისის შემდეგ**  
დავით სარაჯიშვილის მეუღლეს - ეკატერინეს უძღვნის თავის პორტრეტს და ზედწაუნწერს ლექსს „ეკატერინე სარაჯიშვილისას“. ►
- 1892 3 ივნისი**  
ქართულ დრამატულ საზოგადოებში შეაქვს სანევრო გადასახადი. ►
- 1892 მაისის ბოლო–ივნისის დასაწყისი**  
თსს ბანკის კრებაზე ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის გამართულ პოლემიკასთან დაკავშირებით გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს პავლე იაკიმოვის წერილს. ►
- 1892 მაისის ბოლო–ივნისის დასაწყისი**  
თსს ბანკის კრებაზე ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის გამართულ პოლემიკასთან დაკავშირებით გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს ნიკო ნიკოლაძის წერილებს. ►
- 1892 29 მაისი – 4 ივნისი**  
გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ „გ. მაიაშვილის“ ფსევდონიმით იბეჭდება გიორგი ზდანევიჩის ვრცელი რეცენზია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხტომეულის პირველ ტომზე. ►
- 1892 4 ივნისი**  
ქართულ დრამატულ საზოგადოებში შეაქვს სანევრო გადასახადი. ►
- 1892 4 ივნისი**  
ესწრება დრამატული საზოგადოების საგანგებო კრებას. ასაბუთებს ივანე მაჩაბლის მიერ 12 აპრილს საზოგადოების რიგით სხდომამზე ჩატარებული კომიტეტის არჩევნების უკანონობას და ინიშნება ახალი არჩევნები. ►
- 1892 9 ივნისამდე**  
გამოდის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხტომეულის მეორე ტომი. მასში შესულია მოთხრობები: „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია – ადამიანი?!“. ►
- 1892 9 ივნისამდე**  
ქართველთა ამხანაგობა იწყებს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მესამე ტომის ბეჭდვას. ►
- 1892 9 ივნისის შემდეგ**  
იბეჭდება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხტომეულის მესამე ტომი, რომელშიც შედის: „გლახთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“, „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ და „ამბავად გაგონილი“. ასევე თარგმანები, ივანე ტურგენევის: „ბაასი“, „ბებერი დედაკაცი“, „ძალი“, „მათხოვარი“, „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“, „სულელი“ და „ბელურა“; ალფონს დოდეს „უკანასკნელი გასაკვეთი“, „ნაამბობი პატარა ალბასელისა“ და „თურკოსი კომმუნელთა შორის“, მარიანო ხოსე დე ლარას „ვაქებ და ამასაც ხომ არ დამიშლიან!“ და ჯურა იაკშიჩის „შვილი მოხუცებულის გამზისა“. წიგნის გასაყიდად გატანა გაურკვეველი მიზეზების გამო გვიანდება. ►



**1892 17 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ბათუმის სკოლის მასწავლებელ მიხეილ შარაშიძის წლიურ ანგარიშს. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორის ანგარიშს განსახილველად გადასცემენ ალექსი ჭიჭინაძეს. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ 40-პროცენტიანი ფასდაკლებით შეიძინონ ას-ასი ეგზემპლარი წიგნებისა: სოფრომ მგალობლიშვილის „გმირისეულის ქალი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, პარმენ ცახელიასა და სხვათა ლექსები. მტკიცდება ჩატარებული ლატარეის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და ქალთა კომიტეტისათვის მოგების ნაწილის გადარიცხვა. იღებენ გადაწყვეტილებას „ქართლის ცხოვრების“ და მისი ფრანგული თარგმანის, რუსული წიგნის „ქართველ მეფეთა მიმოწერა“ და სხვ. შეკვეთაზე. არ კმაყოფილდება ვალერიან გუნიას თხოვნა კალენდრის დასაბეჭდი კლიშეების გამოსაწერი თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით. მხარს უჭერენ იაკობ გოგებაშვილის თხოვნას, რომ ეგზარქოსმა „დედა ენის“ მერვე გამოცემა დაამტკიცოს სამრევლო სკოლების სახელმძღვანელოდ. გამგეობის შუამდგომლობა საჭირო ხდება იმიტომ, რომ ეპარქიის სხდომაზე საუბარი იყო ამ წიგნის სახელმძღვანელოდ გამოყენების აკრძალვაზე. ►

**1892 5 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 ივლისი“ („ეს ოცი დღეა, რაც ბაქო დამ გვეწვია ქოლერა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქოლერის ეპიდემია ტფილისში“. ►

**1892 12 ივლისი**

თბილისის გუბერნატორს ატყობინებს, რომ საგურამოში არის ადამიანის უეცრად ავად გახდომის საეჭვო შემთხვევა და, რადგან არსებობს ქოლერის გავრცელების საფრთხე, სთხოვს გადაამოწმონ. ►

**1892 ივლისის შუა რიცხვები**

ერთ-ერთ პირველს შეაქვს შეწირულობა ქოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. ►

**1892 11 აგვისტო**

მონაწილეობს თსს ბანკის საგანგებო კრებაში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა თბილისის გუბერნიის სოფლებში ქოლერის გავრცელებისა და დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად 12000 და დამატებითი 8000 მანეთის გამოყოფის და ამ თანხების განკარგვაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის საკითხი. ილია ჭავჭავაძე ჯერ სიტყვით გამოდის იმ აზრის მხარდასაჭერად, რომ თანხის განკარგვაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მხოლოდ პეტრე გრუზინსკი და ეს ფული არ უნდა გადანაწილდეს მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლებზე. მეორედ სიტყვით გამოდის დამატებითი თანხის გამოყოფის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი გამომსვლელის განაცხადს, ბანკს ფული არ აქვს და ვერ გასცემსო, პასუხობს: „როგორ თუ არა აქვს... მაშ ვისა აქვს, თუ არ ბანკს!... ნუთუ ხალხის ჭანმრთელობა არ ღირს იმად, რომ დავხარჯოთ, რამდენიც დასჭირდება ამ საქმეს...“. საბოლოოდ მხარს უჭერენ როგორც თავდაპირველად განსაზღვრული, ისე დამატებითი თანხის გამოყოფას. ►

**1892 აგვისტოს მეორე ნახევარი**

გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ პეტერბურგიდან მიიღეს პროფესორ დავით ჩუბინაშვილის წიგნები, მაგრამ არც მათ შორის არის და არც თანდართულ კატალოგში იხსენიება უცხოენოვანი გამოცემები, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის შესასწავლად. რამდენადაც დავით ჩუბინაშვილის და მისი შვილის სურვილი იყო, რომ ყველა წიგნი, რომლებიც საქართველოს შეეხება, დაცული ყოფილიყო თბილისში, გამოთქმულია სურვილი, რომ მის სახლში დარჩენილი სხვა წიგნებიც მიაწოდონ საზოგადოებას. ►

**1892 22 აგვისტო**

რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ქვეყნდება მისი ლექსის „გავსწორდეთ ბედო“ ვასილი ველიჩკოსეული თარგმანი. ►

**1892 ზაფხული**

თბილისში ჩასულს მისი და ელისაბედი მძიმე ავადმყოფი ხვდება. გასასინჯად მიჰყავს ცნობილი ინფექციონისტი ევგენი კრასნოგლიადოვი. როგორც ჩანს, შიშობენ ქოლერაზე. ექიმი დამაიმედებელს ვერაფერს ეუბნება და ილია დამწუხრებულია. ►

**1892 ზაფხული**

წერილს უგზავნის მეუღლეს საგურამოში. აცნობებს, რომ ელისაბედი ძალიან მძიმედ არის ავად და სთხოვს, თბილისში ჩამოვიდეს. ►

**1892 სექტემბრამდე**

თბილისის გუბერნატორი გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე სთხოვს, შეისწავლოს ვითარება თბილისისა და დუშეთის მაზრებში ქოლერის ეპიდემიასთან დაკავშირებით. ►

**1892 1 სექტემბრის შემდეგ**

მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქშნ-კვ საზოგადოების განვლილი წლის ანგარიში. ►

**1892 13 სექტემბერი**

ძალზე განიცდის ყრმობისდროინდელი მეგობრის ივანე პოლტორაცკის გარდაცვალებას და ესწრება მის დაკრძალვას სოფელ ოქროყანაში. ►

**1892 16-18 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ დადგენილებას, რომ ნისიად მისცენ წიგნები ოზურგეთსა და სენაკში გახსნილ მაღაზიებს. თანხას გამოყოფენ ხელნაწერის „ცხენების აქიმობა“ დასაბეჭდად. მსჯელობენ კავკავის სკოლის ანგარიშისა და დიდი მის სკოლისთვის გაკვეთილების განრიგის შედგენის შესახებ. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ არ დაიქირავონ დამატებითი შენობა დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის წიგნებისთვის. ამ წიგნების კატალოგის შედგენას ავალევენ საქმეთმწარმოებელს. იღებენ იაკობ გოგებაშვილის წინადადებას ადგილობრივი კომიტეტის მიერ ბათუმის სკოლის ანგარიშის შემოწმებისა და გამგეობაში გაგზავნის შესახებ. კავკავის სკოლის კომიტეტისგან ითხოვენ თვიური ხარჯთაღიწების მინოდებას. ალექსანდრე ჭყონიას გადასასინჯად გადასცემენ მაღაზიის წიგნების კატალოგს. დადებითად წყდება თონეთის სკოლისთვის წიგნებისა და სასკოლო ინვენტარის გაგზავნის საკითხი. ►

**1892 26 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 სექტემბერი“ („ქოლერა განელდა, მხოლოდ ალაგ-ალაგ კიდევ...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ჩვენი დაქვეითება სწავლა-განათლების საქმეში“. ►

**1892 სექტემბერი**

თბილისისა და დუშეთის მაზრებში ქოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ვრცელ ანგარიშს წარუდგენს თბილისის გუბერნატორ გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეს, რომელიც ანგარიშზე აკეთებს მინაწერს, რომ იგი უაღრესად კეთილსინდისიერად და ამომწურავად არის შესრულებული. ►

**1892 2 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ სექტემბერში მაღაზიისა და კანცელარიის დანახარჯს და აკმაყოფილებენ წინარეხისა და ხელთუბნის სკოლების თხოვნას წიგნებისა და სასკოლო ინვენტარის მიწოდების შესახებ. განიხილავენ ბათუმის სკოლაში თანამშრომლის ქოლერით დაავადების შემთხვევის გამო სწავლის შეწყვეტის საკითხს და მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლას ავალებენ გრიგოლ ვოლსკის. მაღაზიისთვის იძენენ იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ წიგნს „კუნწულა ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის“. მადლობას უცხადებენ თედო სახოკიას და სხვებს შემოწირულობებისათვის. იღებენ დადგენილებას, რომ საზოგადოების საწევრო თანხით შეიძინონ სარგებლიანი საბანკო ქაღალდები. ►

**1892 ოქტომბრის დასაწყისი**

წალკიდან თბილისში საგანგებოდ ჩამოსული დეპუტაცია მადლობას უხდის ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოჩენილი დახმარებისათვის. ►

**1892 9 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნემტის განჭიდან გადმოსვენების საკითხს. ►

**1892 14 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც თანხას გამოუყოფენ მაქსიმე შარაძეს გიორგი წერეთლის „რუხი მგელის“, მონწივების, ოფიციალური ბლანკების, მოსაწვევი ბარათებისა და ქვითრების დასაბეჭდად. დადებითად წყდება კავკასის სკოლის მასწავლებლის თხოვნა სასკოლო წიგნების მიწოდების შესახებ. თანხა გამოიყოფა ბათუმის სკოლის შენობის დასაქირავებლად. წყდება სასკოლო წიგნების მიწოდება სოფ. ქაქუთში გახსნილი სამრევლო სკოლისთვის. მადლობას უხდის გიორგი საძაგლიშვილს, რომელმაც საზოგადოების ბიბლიოთეკას შესწირა: „სიბრძნე-სიცრუისას“ ხელნაწერი, ქართული ანბანი ხუცურითა და მხედრულით დაწერილი და დაბეჭდილი მოსკოვში 1825 წელს, ათანასე ნიქოზელის „შენდობის წიგნი“ და სხვ. დადებითად წყდება ალექსანდრე ივანოვის წიგნის „ცა და ქვეყანა“ დაბეჭდვის საკითხი ხოლო უარყოფითად ნიკოლოზ ლესკოვისა და ნიკოლოზ ჟივოტოვსკის წიგნებისა: „მშვენიერი აზა“ და „სითბო და ჰაერი“. ►

**1892 15 ოქტომბრამდე**

წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობა ამთავრებს მისი თხოულებების მეოთხე ტომის ბეჭდვას. ►

**1892 15 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში შეგროვებულ 1000 მანეთს გადასცემს ქოლერით დაზარალებული გლეხების ფონდს. ►

**1892 20 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც გამოყოფენ ზაქარია გრიჭუროვის მაღაზიიდან ნისიად წამოღებული წიგნების საფასურს. ხელთუბნის სკოლას ეგზავნება ხელსაქმის მასალის შესასყიდი თანხა. ამავე სკოლის კურსდამთავრებულები საჩუქრდებიან წიგნებით. ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას ეძლევა გაყიდული წიგნების საკომისიო. ►

**1892 ოქტომბრის ბოლო**

თელავში იმართება თავადაზნაურობის კრება ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის დასაარსებლად, სადაც თავად ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლოყაშვილი გამოდის წინადადებით, რომ ამხანაგობის წესდების შესადგენად ილია ჭავჭავაძეს მიმართონ. ►

**1892 1 ნოემბერი**

თსს ბანკის მმართველობა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდს ახდევინებს ბანკის ყოფილი დირექტორის დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანის სულის მოსახსენიებლად. ►

**1892 ნოემბრის დასაწყისი**

გასაყიდად გამოდის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მეოთხე ტომი, რომელშიც დაბეჭდილია მის მიერ თარგმნილი ალექსის ბუვიეს რომანი „იზა“. ►

**1892 5 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ივანე მაჩაბელს გამოეყოფა მისი წიგნების საფასური. განიხილავენ დილომში სკოლის გახსნის ნებართვის საკითხს. დადებითად წყდება საჭავახოს სამრევლო სკოლის მასწავლებლის თხოვნა სახელმძღვანელოებისა და სასკოლო ინვენტარის მიწოდების შესახებ. მსჯელობენ ლავრენტი ბროსეს მიერ საზოგადოებისათვის მამის ნაწერებისა და ბროშურების შეწირვის თაობაზე. მტკიცდება სასკოლო ნივთების გაგზავნა ბათუმის სკოლისთვის და წიგნებისა - რუსეთისა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლებისთვის. ►

**1892 12 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 ნოემბერი“ („ჩვენში მეტად გაძლიერდა ის ზრი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი“. ►

**1892 13 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 ნოემბერი“ („წარსულს ოთხშაბათ ჩვენს ქალაქის საბჭოს მოუხდა გასინჯვა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“. ►

**1892 13 ნოემბრის შემდეგ**

გაზეთ „კავკაზში“ სათაურით „სახელდახელო შენიშვნები“ იბეჭდება ილია ბახტაძის გამოხმაურება ილია ჭავჭავაძის 13 ნოემბრის მონინავე წერილზე. ►



**1892 15 ნოემბერი**

დეკანოზი დავით ღამბაშიძე გაზეთ „მწყემსში“ აქვეყნებს სტატიას „მწარე ფიქრები“, რომელშიც აკრიტიკობს ილია ჭავჭავაძეს იმის გამო, რომ ბრალი დასდო ივანე მაჩაბელს მარი ბროსეს პრემიის თანხის დაუბრუნებლობაში. ►

**1892 25 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ერთი თვის შემოსავალ-გასავალს. გამოყოფენ აბრამ აკოფოვისთვის წიგნების აკინძვის საფასურს და ბათუმის სკოლისთვის შეშის შესაძენ თანხას. დადებითად წყდება თიანეთის სკოლის მასწავლებლის თხოვნა შენობის შეკეთებისა და სკოლისთვის საჭირო ინვენტარის გაგზავნის თაობაზე. აღგენენ, რომ რამდენიმე ცალი „ბუნების კარი“ და „დედა ენა“ მიაწოდონ მეორე საკვირაო სკოლას. არ კმაყოფილდება ნიკოლოზ ხიზანიშვილის თხოვნა ძველი ხელნაწერების სახლში წაღების ნებართვის მიცემაზე. განიხილავენ თიანეთის სკოლაში ინსპექტორის დასწრების დროს ბავშვების დაუსწრებლობის საკითხს და მსჯელობენ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ძველი სენაკის განყოფილების ანგარიშზე. იაკობ გოგებაშვილის წინადადებით თანხა გამოიყოფა სვანეთში გახსნილი სკოლისთვის. დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარიას) მოთხოვნა „ფეჩია“ გადასამონმებლად გადაეცემა ალექსანდრე ჭყონიასა და გიორგი წერეთელს. ►

**1892 26 ნოემბერი**

გაზეთ „კავკაზში“ ილია ბახტაძის მიერ გამოქვეყნებული წერილის „სახელდახელო შენიშვნები“ საპასუხოდ წერს სტატიას სათაურით „გაზეთი „კავკაზი“ და მისი სახელდახელო შენიშვნები“ კონვერსიის შესახებ. ►

**1892 26 ნოემბრის შემდეგ**

ქალაქის სესხის კონვერსიის საკითხზე მისი და ილია ბახტაძის პოლემიკას ფელეტონით ეხმაურება გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“. ►

**1892 29 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ „გ-რი“-ს ფსევდონიმით იბეჭდება ივანე გომელაურის სტატია, რომელშიც მოთხოვნილია, რა სიამოვნებით ისმენდნენ თუშები ილია ჭავჭავაძის პოემებს: „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, რომლებსაც ის უკითხავდა და გამოთქმულია სურვილი, რომ უნდა არსებობდეს ასეთი ტექსტების იაფფასიანი გამოცემები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის. ►

**1892 ნოემბრის მეორე ნახევარი**

„ივერიის“ რედაქციის საშუალებით თანხას გზავნის თედო ჟორდანიას წიგნის „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“ ორი ტომის შესაძენად. ►

**1892 1 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ერთი თვის შემოსავალ-გასავალს. იაკობ გოგებაშვილს გამოუყოფენ რვეულების საფასურს და ამტკიცებენ წვრილმან ხარჯებს. მსჯელობენ კავკაზის სკოლის შენობის აგების საკითხზე და მადლობას უხდიან რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიის საზოგადოებას წიგნების მიწოდებისთვის. თანხა გამოიყოფა 19 დეკემბერს საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნული წარმოდგენისთვის. ►

**1892 12 დეკემბრამდე**

გაზეთ „კავკაზში“ ილია ხონელის (ბახტაძის) სტატიის „პასუხი პასუხზე“ გამოქვეყნების შემდეგ გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ ბეჭდავს ქალაქის სათათბიროს საფინანსო კომისიის თავმჯდომარის, მიხეილ თამამშევის პატარა წერილს „ისევ კონვენსიის შესახებ“. ▶

**1892 13 დეკემბერი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ბეჭდავს ამავე გაზეთში მიხეილ თამამშევის მიერ გამოქვეყნებული წერილის „ისევ კონვენსიის შესახებ“ საპასუხო სტატიას სათაურით „ასეა კი?“. ▶

**1892 20 დეკემბრამდე**

უბის წიგნაკში პუნქტებად იწერს კახეთის რკინიგზის დაფინანსებასთან დაკავშირებულ რისკებს. ▶

**1892 20 დეკემბერი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრების საქმიანობაში, რომელზეც განიხილავენ კახეთის რკინიგზის დაფინანსების საკითხს. გამოდის მოსაზრებით, რომ დაფინანსება მოხდეს ე. წ. ობლიგაციური წესით. სთავაზობენ კომისიის წევრობას, რომელმაც უნდა გამოძებნოს ფულის შოვნის გზები, მაგრამ უარს ამბობს. ▶

**1892 24 დეკემბერი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ქვეყნდება მისი წერილი „საქალაქო სესხების კონვენსიის საკითხზე“. ▶

**1892 25 დეკემბერი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ბეჭდავს ქალაქის სესხის კონვენსიის საკითხზე მიხეილ თამამშევის წერილის პასუხს. ▶

**1892 26 დეკემბერი**

ესწრება ივანე კერესელიძის დაკრძალვას და მიცვალებულის ცხედარს ამკობს გვირგვინებით ქშნ-კვ საზოგადოებისა და „ივერიის“ რედაქციის სახელით. ▶

**1892** საქართველოს კალენდარში იბეჭდება ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. ▶

**1892 31 დეკემბერი**

ვალერიან გუნია უძღვნის „საქართველოს კალენდარს“. ▶

**1892** თარგმნის ნიკოლოზ ნეკრასოვის უსათაურო ლექსს სათაურით „ნატვრა“. ▶

**1892**

გამოდის კრებული „ჩანგი“, რომელშიც იბეჭდება მისი: „მძინარე ყმანვილს“, „ქართველის დედას“, „გ. აბხ...“, „ბედნიერი ერი“, „რჩევა“, „იანიჩარი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, „ლოცვა“, „მას აქედ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული...“ „მესმის, მესმის სანატრელი...“ „ნანა“, „ტყემ მოისხა ფოთოლი...“ „ელეგია“ (მკრთალი ნათელი საცხე მთვარისა...) „უსულდგმულო ცხოვრება“, „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!...“, „ციურნი ხმები“, „მძინარე ქალი“ „პოეტი“, „დედა და შვილი“, „გლახთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“, ნაწყვეტი „აჩრდილიდან“ (V თავი) და თარგმანები: „ირლანდიისადმი“, „ზღვათა მფლობელის...“ „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა...“ „ბედა მქადაგებელი“, „სტიროდეთ (ებრაული მელოდია)“ და „ნატვრა“. ▶

- 1892** იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ „ბუნების კარში“ ქვეყნდება მისი ნაწარმოებები: „ჩიტი“, „ლოცვა“ „ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზე“, ნაწყვეტები „გლახის ნაამბობიდან“, „აჩრდილიდან“, „განდევილიდან“, „კაცია – ადამიანიდან?!“ და „სიტყვა, თქმული სკოლის გახსნის ჟამს სოფელ წინამძღვრიანთკარში“. ►
- 1892** ათასი მანეთი შეაქვს ბანკში ლევან ჯანდიერის კრედიტის დასაფარად. ►
- 1892** **წლის ბოლო**  
იღებს იოსებ მრევლიშვილის წერილს. ატყობინებს, რომ დახურა პანსიონი და უბრუნებს ბინის ქირას. ►
- 1893** **1 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს „შინაურ მიმოხილვას“ თარიღით „ტფილისი, 1 იანვარი“ („შემოვდგი ფეხიო, გწყალობდეს ღმერთიო...“). ►
- 1893** **8 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 7 იანვარი“ („ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. ►
- 1893** **16 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ „ივერიელის“ ხელმოწერით იწყებს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „გაზეთი „Новое Обозрение“ და კახეთის რკინისგზა“ („ჩვენის თავადაზნაურობის მხიარულება და კარგს გუნებაზე ყოფნა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1893** **17 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ „ივერიელის“ ხელმოწერით განაგრძობს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „გაზეთი „Новое Обозрение“ და კახეთის რკინისგზა“ („შეიძლება გვიპასუხოს ვინმემ, რომ მკვიდრთა ჯიბე განყალდება...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1893** **19 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ „ივერიელის“ ხელმოწერით ამთავრებს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „გაზეთი „Новое Обозрение“ და კახეთის რკინისგზა“ („ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა ვსთქვათ იმ აზრის შესახებ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1893** **21 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 20 იანვარი“ („ბატონყმობის გაუქმებას, გლეხთა განთავისუფლებას...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საკომლო მამულების ახალი კანონპროექტის გამო“. ►

**1893 24 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 იანვარი“ („პოლიტიკური მდგომარეობა დღევანდელის ევროპისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში“. ►

**1893 27 იანვარი**

ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე „რ. დ. ღაძე“-ს ფსევდონიმით აქვეყნებს დასაწყისს სტატიისა „ფუტკრების დედო და თავადი ილია გ. ჭავჭავაძე, გაზ. „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი“. წერილში გაკრიტიკებულია მისი როგორც ლიტერატურული, ისე საზოგადო მოღვაწეობა. ►

**1893 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ივერიელი“ იწყებს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „მოვალეობა ჩვენის თავადაზნაურობისა“ და ქვესათაურით „კიდევ „Новое Обозрение“-სა და კახეთის რკინისგზის გამო“ („ჩვენის ფიქრით, მხოლოდ მაშინ ვერას დაამუნათებს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1893 30 იანვარი**

გრიგოლ ყიფშიძეს სწერს, რომ მომდევნო დღის „ბურნაში“ დავით ღამბაშიძეზე არაფერი დაბეჭდოს და, ზოგადად, სასაცილოდ არავინ აიგდონ. ►

**1893 30 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ივერიელი“ განაგრძობს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „მოვალეობა ჩვენის თავადაზნაურობისა“ და ქვესათაურით „კიდევ „Новое Обозрение“-სა და კახეთის რკინისგზის გამო“ („სამადსამი გზაა, ჩვენის ფიქრით, რომ გაჩნდეს ის ძალ-ღონე...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1893 31 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ივერიელი“ ამთავრებს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „მოვალეობა ჩვენის თავადაზნაურობისა“ და ქვესათაურით „კიდევ „Новое Обозрение“-სა და კახეთის რკინისგზის გამო“ („ერთს სიტყვას კიდევ ვიტყვით და გავათავებ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1893 31 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებას. ►

**1893 იანვარი**

უკრაინული ჟურნალი „პრავდა“ აქვეყნებს მისი ლექსის „გაზაფხული“ ოლექსანდრ ლოტოცკისეულ თარგმანს. ►

**1893 2 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „თქვენი თანამშრომელი“ აქვეყნებს წერილს „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►



**1893 9 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 თებერვალი“ („ამას წინად მემკვიდრე ცესარევიჩი ეწვია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლიტიკური ვითარება ევროპაში“.

**1893 9 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მტკიცდება იაკობ გოგებაშვილისა და ვალერიან გუნიასათვის სახელმძღვანელოების თანხის გამოყოფა; ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობას უგზავნიან გაყიდვების საკომისიოს. დადებითად წყდება სამტრედიის წიგნის მაღაზიის მეპატრონე იასონ კაპანაძის თხოვნა მისთვის საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნების გაყიდვის ნებართვის მიცემის თაობაზე. განიხილავენ ბიბლიოთეკისთვის წიგნის „წესდებულება ქართველთ თავადაზნაურთათვის“ შექმნის საკითხს. დავით კარიჭაშვილს ავალევენ სახალხო ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების სიის შედგენას. მადლობას უცხადებენ კირიონ საძაგლიშვილს, რომელმაც საზოგადოებას შესწირა: მე-18 საუკუნის ხელნაწერი „სძლისპირნი“, ანტონ კათალიკოსის „რიტორიკა“, ძველი აღთქმის აპოკრიფი, ანა ერისთავი-ბაგრატიონის წერილი მოსკოვის მიტრიპოლიტისადმი და თამარ მეფის მონეტები.

**1893 14 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 თებერვალი“ („ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ლაპარაკია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ისევ კახეთის რკინისგზის გამო“.

**1893 14 თებერვალი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა საგანგებო კრებას და კითხულობს გამგეობის წერილს, რომელშიც მოთხოვნილია კახეთის რკინიგზის ასაშენებლად 15 ათასი მანეთის გამოყოფა. განმარტავს, რომ რკინიგზის მშენებლობისთვის თანხის გაღება არ ეწინააღმდეგება ბანკის წესდებას და, მიუხედავად იმისა, რომ ბანკს მიმდინარე წელს საზოგადო საჭიროებისათვის გათვალისწინებულ ხარჯებში თანხის ეს ოდენობა მთლიანად არა აქვს, შესაძლებლად მიიჩნევს, იგი გამოიყოს თავისუფალი ფულიდან და შემდგომში მოხდეს მისი შევსება საზოგადო საჭიროების თანხებიდან. ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამ წინადადებას მხარს არ უჭერს. ილია ჭავჭავაძე გამოკვეთს კახეთში რკინიგზის გაყვანის განსაკუთრებულ საჭიროებას. მისი გამოსვლა უმრავლესობის განწყობას ცვლის. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას საგანგებო კომისიის შექმნისა და მოთხოვნილი 15 ათასი მანეთის მისთვის გადაცემის შესახებ.

**1893 15 თებერვალი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა საგანგებო კრებას. ზედამხედველი კომიტეტის წევრ ალექსანდრე კობიაშვილის კითხვას, რატომ არ გამოაქვეყნა ბანკის გამგეობამ კონვერსიის ჩატარების წესი, რომ ყველას ჰქონოდა მისი დანვრილებით გაცნობის შესაძლებლობა, პასუხობს, რომ საცენზურო კომიტეტი კრძალავს სამინისტროს წესების გამოქვეყნებას. კრების მონაწილეთა თხოვნით დანვრილებით განმარტავს, რა იგულისხმება ბანკის „თავისუფალ“ ანუ „სამოქმედო ფულში“. ივანე მაჩაბლის განაცხადს, რომ კონვერსიის ჩატარებლობაში პირადად ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის ბრალი, პასუხობს, რომ 1891 წელს კონვერსიის გადადება გამოიწვია რუსეთში არსებულმა მძიმე სოციალურმა ფონმა და ფასების დავარდნამ. კონკრეტული თარიღებით და ციფრებით განამტკიცებს თავის ნათქვამს, შემდეგ კი კრებას უხსნის, რომ ამჯერად კონვერსიის ჩატარება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ეს იყო 1891 წელს, რადგან არსებობს სახელმწიფო ბანკის დახმარების შესაძლებლობა. იქვე პასუხობს კითხვას, რატომ ჭობს კონვერსიის ჩატარება მამულების გადაგირავებას.

**1893 15 თებერვალი**

ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე „რ. დ. ღა-ძე“-ს ფსევდონიმით აქვეყნებს დასასრულს სტატიისა „ფუტკრების დედო და თავადი ილია გ. ჭავჭავაძე, გაზ. „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი“. იგი წერს ილია ჭავჭავაძის მტრულ დამოკიდებულებაზე საქართველოში გამომავალი სხვა ჟურნალ-გაზეთებისადმი და მოითხოვს, რომ ფსევდონიმებს ამოფარებულმა „ივერიის“ ავტორებმა თავიანთ კრიტიკულ წერილებს საკუთარი სახელი და გვარი მოაწერონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათზე პასუხი უნდა აგოს რედაქტორმა. ►

**1893 16 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მსჯელობენ სკოლების შესანახი თანხის მოძიების გზების შესახებ. აკმაყოფილებენ რუისის სკოლის მასწავლებლისა და სახალხო ბიბლიოთეკის თხოვნას საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნების მიწოდებაზე. ისმენენ ინფორმაციას საზოგადოების სასარგებლოდ 19 დეკემბერს გამართული კონცერტის თაობაზე. ►

**1893 17 თებერვალი**

თელავში გამართულ კახეთის მევენახეთა კრებაზე ირჩევენ ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის წესდების შემმუშავებელ კომისიაში. ►

**1893 28 თებერვალი**

მისი წერილის „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ“ პასუხად გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ორი გამოხმაურება. ხელმოუწერელ სტატიაში „სწავლის საქმე ჩვენში“ გამოთქმულია აზრი, რომ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორს საქმე საფუძვლიანად არ შეუსწავლია და ისე იძლევა დარიგებებს. კონსტანტინე მამაცაშვილის წერილიდან „კიდევ სათავადაზნაურო სკოლის გამო“ ჩანს, რომ ავტორი კლასიკური განათლების მომხრეა და არ ეთანხმება ილია ჭავჭავაძეს სამეურნეო სასწავლებლის უპირატესობასთან დაკავშირებით. ►

**1893 2 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 მარტი“ („ამას წინად მოვიხსენიეთ, რომ სამეურნეო...“). მწერლის თხოულობათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამეურნეო მცენარეთა დაზღვევა“. ►

**1893 2 მარტი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მადლობას უცხადებენ ბაქოელ თანამემამულეებს მათ მიერ გამართული ქართული საღამოს შემოსავლიდან თანხის შეწირვისთვის. განიხილავენ კავკავის ქართული სკოლის მზრუნველთა კომიტეტის თხოვნას შენობის ასაგებად სიმონ საყვარელიძის მიერ ნაანდერძევი თანხის დროულად გამოტანისა და ლატარეის გამართვის აუცილებლობის თაობაზე. აკმაყოფილებენ პეტრე უმიკაშვილის თხოვნას მის მიერ ნათარგმნი ორი ნაწარმოების „ცისა და ქვეყნის ამბავი“ და „აუცვრით ბავშვებს“ დაბეჭდვის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილს ავალევენ ხელნაწერების: „საქართველოს ცხოვრება“ და „ისტორია დარღვევისათვის უკანასკნელ წმინდა ქალაქისა იერუსალიმისა რომაელთა კეისრისა ტიტესაგან“ გადამონშებას. ამტკიცებენ ხაზინადარის მიერ საბანკო ქალაქის შესყიდვის საკითხს და ხელმეორედ ითხოვენ კავკავის სკოლის კომიტეტის თვიურ ანგარიშს. ►

**1893 6 მარტი**

გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს თსს ბანკის ბალანსს 1893 წ. 1 იანვრისათვის. ►

**1893 7 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ადგილს უთმობს სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ მისი წერილის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ ვრცელ გამოხმაურებას სათაურით „ხმა იმერეთიდან“, რომელსაც ხელს აწერს „მოხუცი პედაგოგი“. ►

**1893 10 მარტი**

თბილისის გუბერნატორი პოლიციის დეპარტამენტს უგზავნის უწყისს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ მოქალაქეთა შესახებ. მასში სხვა 76 პირს შორის დასახელებულია ილია ჭავჭავაძე, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება. ►

**1893 17 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ადგილს უთმობს კორესპონდენციას ხონიდან, რომელშიც საუბარია ადგილობრივი სემინარიის დირექტორთან მოსწავლეთა დაპირისპირებაზე. ნათქვამია, რომ მოსწავლეები გაიფიცნენ და საპროტესტო აქციის შეწყვეტაზე დაითანხმა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილემ, მიხეილ ზავადსკიმ. იგი მოსწავლეებს დაჰპირდა, რომ სასწავლებლიდან არავინ გაირიცხებოდა და ოლქის მზრუნველის ჩამოსვლამდე დირექტორი მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ მიიღებდა. სტატია იწვევს ილია ჭავჭავაძისადმი, როგორც გაზეთის რედაქტორისადმი სამოსწავლო ოლქის ხელმძღვანელობის უკმაყოფილებას. ►

**1893 17 მარტის შემდეგ**

ხონის სემინარიაში მოსწავლეთა გაფიცვის ამსახველი კორესპონდენციის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნების გამო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი ილია ჭავჭავაძისგან ითხოვს გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფას. საცენზურო კომიტეტის დადგენილებით „ივერიის“ რედაქციას გამოსაქვეყნებლად ეგზავნება მიხეილ ზავადსკის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი ტექსტი. ►

**1893 18 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს დასაწყისს წერილისა „ჟიულ ფერრი“ („1878 წელს კაბინეტის პრეზიდენტმა დიუფორმა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1893 20 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს დასასრულს წერილისა „ჟიულ ფერრი“ („1887 წლის 10 დეკემბრამდე...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1893 28 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება განცხადება, რომ სააღდგომოდ იყიდება „საუკეთესო ღვინოები კნ. ი. გ. ჭავჭავაძისა და სხვა კახეთის მემამულეებისა“. ►

**1893 მარტის ბოლო**

მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქმნ-კგ საზოგადოების ანგარიში. ►

**1893 13 აპრილი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ალექსანდრე ჭყონიას გამოუყოფენ წიგნის „ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის“ საავტორო თანხას. იღებენ გადაწყვეტილებას საზოგადოების საერთო კრების 1893 წლის 31 იანვრის ოქმიდან გადასასინჯი საკითხების გადმოწერაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნემტის გადმოსვენების ორგანიზებაში საზოგადოების სახელით მონაწილეობას ანდობენ ალექსანდრე ჭყონიას და გიორგი იოსელიანს. გამოიყოფა ალექსანდრე ივანოვის წიგნის „ცა და დედამიწა“ თარგმანის ცენზორთან წარსადგენი ეგზემპლარის გადაწერის თანხა. იღებენ დადგენილებას, რომ წერილობითი პასუხი გაეცეს სიმონ წერეთლის მიერ გაზეთ „კვალის“ მე-13 ნომერში დაბეჭდილ პუბლიკაციას „თ. ჟორდანიას მიერ შეგროვებული სიგელ-გუჯრების და სხვა მასალების ბედი“. ►

**1893 15 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს თემებს და წიგნების ავტორებს, გვერდით კი უთითებს პუბლიცისტებს, რომლებმაც, სავარაუდოდ, ამ თემებზე უკვე დაწერეს ან უნდა დაწერონ. მოხსენიებულ პირთა შორის არიან: კამილ ფლამარიონი, ალექსანდრე ცაგარელი, მოსე ჭანაშვილი, იაკობ მანსვეტაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ხიზანიშვილი და დავით მიქელაძე. ►

**1893 18 აპრილი**

რომანოზ ფანცხავა „ხომლეღის“ ფსევდონიმით გაზეთ „კვალში“ იწყებს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“. იგი მაღალ შეფასებას აძლევს სამოციანელთა ღვანლს, რომლის ლიდერიც ილია ჭავჭავაძე იყო. აღნიშნავს, რომ ქართულ მწერლობას სიცოცხლე და აზრიანობა სწორედ ამ დროს დაეტყო. ►

**1893 19 აპრილი**

ემანუილ შვარცისგან ყიდულობს წისქვილის თვლებს. ►

**1893 20 აპრილი**

გაზეთ „ივერიის“ რედაქცია საცენზურო კომიტეტს წარუდგენს მიხეილ ზავადსკის დაპირებების უარყოფის ამსახველი ტექსტის ქართულ თარგმანს, საცენზურო კომიტეტი კი დაჟინებით მოითხოვს მის რუსულად გამოქვეყნებას. ►

**1893 20 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის წლიურ კრებას, რომელზეც განიხილავენ განვლილი წლის ანგარიშს. ►

**1893 21 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის წლიურ კრებას, რომელზეც განიხილება ახალი წევრების მიღების საკითხის გაჭიანურების მიზეზები. ►

**1893 22 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრებას, რომელზეც სიტყვით გამოდის ბანკის შემფასებელი კომისიის ინსტრუქციასთან დაკავშირებით. ►

**1893 22 აპრილი**

თბილისიდან განჯაში ილია ჭავჭავაძის დავალებით მიემგზავრებიან ქშნ-კგ საზოგადოების გამგეობის წევრები გიორგი იოსელიანი, ალექსანდრე ჭყონია და პოეტის ბიძაშვილი პოდპოლკოვნიკი გიორგი ორბელიანი. ►



**1893 23 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრებას, რომელზეც სიტყვით გამოდის წინამძღვრიანთკარის რევიზიასთან დაკავშირებით. დამსწრეთარწმუნებს, რომ ილია წინამძღვრიშვილი სიხარულით იღებს ყველას, ვისაც სურს გაეცნოს სკოლის მუშაობას. ►

**1893 24 აპრილი**

იღებს დეპემას განჭიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის პოვნის შესახებ. ►

**1893 24 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრებას. დამსწრეთ განუმარტავს, რომ სათავადაზნაურო სკოლის გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ბანკის წინა წლის მოგების შესაბამისად და არა სამომავლო შესაძლო შემოსავალზე დაიმედებით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გასაჭირი შეექმნას თავად ბანკს. ►

**1893 25 აპრილი**

მონაწილეობს განჭიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენებისა და დიდუბეში დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიაში. წარმოთქვამს სიტყვას. ►

**1893 25 აპრილი**

რომანოზ ფანცხავა „ხომლელის“ ფსევდონიმით გაზეთ „კვალში“ განაგრძობს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“. იგი საუბრობს „მამებისა“ და „შვილების“ დაპირისპირებაზე, რომელიც ილია ჭავჭავაძის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა, და „შვილების“ გამარჯვებაზე. წერს, რომ ახალგაზრდა ლიბერალებს ეროვნული ინტერესებისათვის არასოდეს უმტყუნიათ. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ მიერ სოციალური პრობლემების გაშუქებას, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბატონყმობის გაუქმების საქმეში. გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება აკაკი წერეთლის გამოცანები საზოგადო მოღვაწეებზე, მათ შორის ილია ჭავჭავაძეზე: „როგორც ღრუბელთ წინამძღვარსა / უყვარს გრგვინვა, ჭექა-ჭუქი, / რომ მის ფრთებქვეშ შეიფაროს / წინილა და ბატის ჭუკი“. ►

**1893 25 აპრილის შემდეგ**

მოკლე ბარათს უგზავნის დას, ელისაბედს. დომინიკა ერითავის თხოვნასთან დაკავშირებით სწერს, რომ ხუთი ათასი დესეტინა მუხნარი გასაყიდად არა მხოლოდ მას არა აქვს, არც ეგულება საქართველოში ისეთი ვინმე, ვისაც შეიძლება ჰქონდეს. ►

**1893 26 აპრილი**

პირადად მიდის საცენზურო კომიტეტში და უარს აცხადებს მიხეილ ზავადსკის „უარყოფის“ რუსულად გამოქვეყნებაზე იმ მოტივით, რომ მას უფლება არა აქვს ქართულ გაზეთში რუსული ტექსტის დაბეჭდვისა, მაგრამ საცენზურო კომიტეტი აიძულებს. ►

**1893 26 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრებას, რომელზეც ამბობს, რომ ბანკმა ჯერ ვალი უნდა გაისტუმროს და შემდეგ გასცეს ფული სხვადასხვა ხარჯებისათვის. ►

**1893 27 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ რუსულ ენაზე იბეჭდება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილის მიხეილ ზავადსკის „წერილი რედაქციისადმი“, რომელშიც უარყოფილია მისი დაპირებები ხონის სემინარიის სტუდენტებისადმი. წერილის მიხედვით, ის იმთავითვე არწმუნებდა მათ, რომ ვინც მორჩილებას არ გამოიჩინდა, ყველანი დაისჯებოდნენ. წერილს ახლავს სარედაქციო შენიშვნა, რომ იბეჭდება კავკასიის საცენზურო კომიტეტის განკარგულებით. ►

**1893 27 აპრილი**

გაზეთებში იბეჭდება მის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დიდუბეში დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა. მწერლის თხზულებათა კრებულებში გამოქვეყნებულია სათაურით „სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე“ ►

**1893 27 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრებას, რომელზეც გამოდის წინადადებით, რომ სკრის მამული თავადაზნაურობამ შეიძინოს სამეურნეო სკოლის გასახსნელად. ►

**1893 28 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრებას, რომელზეც სიტყვით გამოდის ვაზის დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და პეტერბურგში ბანკის საკითხებთან დაკავშირებულ მივლინებებზე. ►

**1893 27-29 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრებას, რომელზეც იღებენ გადაწყვეტილებას კახეთის დამშეული სოფლებისათვის ბანკის მოგებიდან თანხის გამოყოფის შესახებ ►

**1893 აპრილის ბოლო**

ჟურნალ „მომამბეში“ ქვეყნდება მისი მონაწილეობით შექმნილი კახეთის მევენახეთა ამხანაგობის წესდების პროექტი. ►

**1893 5 მაისამდე**

157 ხმით ირჩევენ თბილისის ქალაქის გამგეობის ხმოსნად. ►

**1893 6 მაისი**

გიორგი წერეთელი ნიკო ზუბალაშვილს და ნიკო ცხვედაძეს აცნობებს რომ სომხური გაზეთების რედაქტორების ინფორმაციით, სომეხი ახალგაზრდები ეწინააღმდეგებიან ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძისა და მათ არჩევას ქალაქის საბჭოში. ►

**1893 8 მაისი**

ტარდება ქართველ ხმოსანთა კრება, რომლის წევრებსაც გიორგი წერეთელი აცნობებს, რომ სომხური გაზეთების „მშაკის“ და „მურჩის“ მომხრეები მხარს დაუჭერენ ქართველ კანდიდატებს, თუ მათ რიგებში არ იქნებიან ნიკო ზუბალაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე. თავად გიორგი წერეთელი ადასტურებს ამ ინფორმაციას, მაგრამ უარყოფს, რომ განცხადება გაკეთდა კრებაზე, ►

**1893 9 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ მიხეილ ნასიძე „პაატას“ ფსევდონიმით აქვეყნებს წერილს სახელდახელო: (ყბად-ასაღები წყალ-წასაღები ამბავი), რომელშიც მიმოიხილავს გაზეთ „კვალის“ რეაქციას სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. ►

**1893 11 მაისი**

ესწრება თსს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომას, რომელზეც განიხილავენ მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენი ღონისძიებების შესახებ მის მიერ შედგენილ პროექტს. თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრების დამშეულ მცხოვრებლებს გამოუყოფენ 6000 მანეთს. იქმნება სპეციალური კომიტეტი, რომელიც იძენს ხორბალს და შეღავათიან ფასებში ურიგებს მოსახლეობას ან აძლევს ნისიად მოსავლის აღებამდე. ►

**1893 15 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება გიორგი წერეთლის, წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიც იგი აცხადებს, რომ სომხური გაზეთების რედაქტორების უარყოფითი დამოკიდებულება ნიკო ზუბალაშვილის, ნიკო ცხვედაძის, ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის კანდიდატებად არჩევასთან დაკავშირებით მან გააცნო არა კრებას, არამედ პირადად ნიკო ზუბალაშვილსა და ნიკო ცხვედაძეს. სტატიას დართული აქვს რედაქციის შენიშვნა: „ამ საქმეში ვინ არის მართალი, ბ-ნი გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი თუ „ივერიის“ რედაქცია, ამის პასუხი თავის დროზედ იქმნება. რედ.“ ►

**1893 15 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 მაისი“ („ხვალ დანიშნულია არჩევანი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში სათაურით „ახალი ხმოსნების არჩევნები“. ►

**1893 16 მაისი**

იმართება თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა არჩევნები, რომელზეც ირჩევენ 498 ხმით 438-ის წინააღმდეგ, მაგრამ საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო არჩევნებს უკანონოდ ცნობს და ნიშნავს ახალ არჩევნებს 30 მაისისთვის. ►

**1893 16 მაისი**

რომანოზ ფანცხავა „ხომლეღის“ ფსევდონიმით გაზეთ „კვალში“ განაგრძობს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“. იგი წერს, როგორ დააქვეითა ლიტერატურა არა ცხოვრების, არამედ მკითხველის ფეხის ხმის ადევნებამ. ადრე თუ იგი სარკვე იყო, ახლა ამ დანიშნულებას ღალატობს. ავტორს მოჰყავს ციტატა ილია ჭავჭავაძის მეთაური წერილიდან. ►

**1893 23 მაისი**

რომანოზ ფანცხავა „ხომლეღის“ ფსევდონიმით გაზეთ „კვალში“ ასრულებს ვრცელი წერილის ბეჭდვას სათაურით „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“. იგი ვრცლად საუბრობს „ივერიელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ილია ჭავჭავაძის წერილზე „მოვალეობა ჩვენი თავადაზნაურობისა“ და სავსებით იზიარებს მის პოზიციას. ►

**1893 25 მაისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც გამოიყოფა თანხა ზაქარია ჭიჭინაძის, ვასილ სულხანიშვილისა და დავით კარიჭაშვილს ნაწარმოებების შესასყიდად. ბიბლიოთეკისთვის იძენენ ხელნაწერს „ბეჟან მანიჭანიანი“. კმაყოფილდება თხოვნა ხევსურეთში და გრემისხევში წიგნების გაგზავნაზე. მსჯელობენ ახალსოფლის მცხოვრებთა თხოვნაზე სასკოლო გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ. გასაყიდ წიგნებს ფასდაკლებით აწვდიან ბათუმში ახალგახსნილ მაღაზიას. მადლობას უცხადებენ მიხეილ ამირიძეს, პეტრე მირიანაშვილსა და კონსტანტინე ყიფიანს ხელნაწერების შეწირვისთვის. ნიშნავენ რევიზორებს თიანეთის, ბათუმის, სენაკის, კავკავის, წინარეხისა და ხელთუბნის სკოლებში გასაგზავნად. ►

**1893 29 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს მეთაურს „ახალი არჩევანები“ („ხვალ ხელახლად უნდა მოხდეს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1893 30 მაისი**

საქალაქო საბჭოს წევრობის იმ კანდიდატებთან ერთად, რომლებიც განმეორებითი არჩევნების წინ განვითარებული მოვლენების საფუძველზე მიიჩნევდნენ, რომ ამორჩევა ამჭერადაც ეროვნული ნიშნით მოხდებოდა და არა საზოგადოებრივი დამსახურების მიხედვით, უარს ამბობს მასში მონაწილეობის მიღებაზე. ქართველთაგან ამ არჩევნებში მონაწილეობას იღებს მხოლოდ კონსტანტინე კალოუბნელი და გიორგი წერეთელი. ►

**1893 მაისი**

მისალოც დეპეშას უგზავნის თავად ეროთეოზ ერისთავს ვლადიკავკაზში ქართული სკოლის შენობის საძირკვლის კურთხევისთან დაკავშირებით. ►

**1893 1 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება ინფორმაცია საქალაქო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე ქართველი კანდიდატების მიერ უარის თქმის თაობაზე: „რადგან 16 მაისის არჩევანებს ისეთი ხასიათი დაეტყო და ისეთი არა სასურველი ტენდენცია დაერთო, რომელიც შესაძლოა ეხლაც არ ასცდეს არჩევანებს... კენჭის ყრაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა ბ–ნ გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა, რომელმაც თავი გამოირიცხა ქართველთაგან“. იმ კანდიდატებს შორის, რომლებმაც უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე, იყო ილია ჭავჭავაძეც. ►

**1893 4 ივნისი**

დავით მიქელაძესა და არტურ ლაისტან ერთად ჩადის თელავში. ►

**1893 9 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ პაატას ფსევდონიმით იბეჭდება მიხეილ ნასიძის სტატია „სახელდახელო“, რომელშიც საუბარია „ივერიისადმი“ ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორ დავით ღამბაშიძის მოთხოვნაზე ფსევდონიმების გახსნასთან დაკავშირებით. ნასიძე აღნიშნავს, რომ თუ „მწყემსის“ რედაქტორი ანონიმურობის წინააღმდეგია, მაშინ თავადაც მიმართოს ამ პრინციპს და გაამხილოს თავისი ავტორობა გაზეთ „მწყემსისა“ და „პასტირში“ ფსევდონიმებით გამოქვეყნებულ თავის წერილებზე. ►



**1893 11 ივნისი**

თელავის თეატრის დარბაზში თავმჯდომარეობს ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის დასაარსებლად გამართულ კახეთის მევენახეთა კრებას. განიხილავენ წესდების პროექტს, რომლის შედგენაშიც ის აქტიურად მონაწილეობდა. თავადების ნაწილი გამოდის ამხანაგობაში დაბალი კლასების წარმომადგენელთა შესვლის წინააღმდეგ, მაგრამ იგი იმდენად არგუმენტირებულად უსაბუთებს გლახთა მონაწილეობის აუცილებლობას, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს. სადილზე წარმოთქვამს სამადლობელ სიტყვას. ►

**1893 16 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება გიორგი წერეთლის საპროტესტო წერილი რედაქციისადმი. იგი აზუსტებს, რომ ქალაქის საბჭოში კენჭის მყრელთა შორის, მის გარდა, კიდევ ერთი ქართველი იყო - კონსტანტინე კალოუბნელი, მონაწილეობის მიღებაზე კი უარი, ქართველების გარდა, ზოგიერთმა რუსმა, სომეხმა და გერმანელმაც თქვა. ►

**1893 17 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ „ნადიკვარელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ილია ზარაფიშვილის კორესპონდენცია ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის დასაარსებლად გამართული კახეთის მევენახეთა კრების შესახებ, რომელშიც ჩართულია ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ►

**1893 18 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ „ნადიკვარელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ილია ზარაფიშვილის კორესპონდენცია „წერილი კახეთიდან“. მასში საუბარია კახეთის მევენახეთა კრების და ილია ჭავჭავაძის პასუხების შესახებ ადგილობრივთა შეკითხვებზე. ►

**1893 18 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის მიერ თელავის თეატრში მევენახეთა კრებაზე წარმოთქმული სიტყვა („შეერთებული ძალა თითქმის ყოვლად შემძლებელია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში ტექსტი დაიბეჭდა სათაურებით „სიტყვა, წარმოთქმული ღვინით ვაჭრობის წესდების განხილვისას“. ►

**1893 18 ივნისი**

კახეთიდან ბრუნდება თბილისში. ►

**1893 20 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ „ნადიკვარელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ილია ზარაფიშვილის კორესპონდენცია „წერილი კახეთიდან“ თელავში ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად გამართული სადილის შესახებ და ჩართულია მისი სიტყვა. მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ილიას პასუხი სამეურნეო სკოლის მნიშვნელობის შესახებ“. ►

**1893 23 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ მაღაზიისთვის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა III ტომის შესყიდვის გადაწყვეტილებას. იაკობ მანსვეტაშვილს გამოუყოფენ თანხას წიგნისთვის „კიკოლას ნაამბობი“. უარს ეუბნებიან თიანეთისა და ახალსოფლის მოსახლეობას სასკოლო გადასახადისგან გათავისუფლებაზე. მადლობას უცხადებენ ბათუმის სკოლის მღვდელ სიმონ თოთბაძეს მოსწავლეებისთვის საღმრთო წერილის უსასყიდლოდ სწავლებისთვის. ►

**1893 2 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 ივლისს“ („ხშირად გვესმის საყვედურია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გაზეთის კორესპონდენტის მოვალეობა“. ►

**1893 5 ივლისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მსჯელობენ კავკასის სკოლის შენობის შესახებ, ამტკიცებენ ზაქარია ჭიჭინაძისთვის გადასაცემ საკომისიო თანხას. იღებენ დადგენილებას, რომ ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტებს მათი მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდონ საზოგადოების მიერ გამოცემული და მისთვის შემოწირული წიგნები. ►

**1893 7 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ სათაურით „წერილი ქუთაისიდან“ და ქვესათაურით „რედაქციის მიმართ“ ხელმოუწერლად აქვეყნებს მეთაურს („ქუთათურები ვერ დაიკვებენ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1892-1893 9 ივლისამდე**

იღებს წერილს თავისი დის, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაგან, რომელიც ინტერესდება მათი სახლის მდგომარეობით. ►

**1892-1893 9 ივლისი**

საპასუხო წერილს უგზავნის დას, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისას და ატყობინებს, რომ მის სახლში ყიფიანის ავეჯი და ნივთები ალაგია, თუმცა ზოგიერთი ოთახის მონესრიგება მაინც მოხერხდა. ►

**1893 18 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 ივლისი“ („ბევრმა მაგალითებმა წინადაც და ნამეტნავად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“. ►

**1893 20 ივლისი**

საგურამოში „ილიაობის“ აღსანიშნავ წვეულებაზე უღებენ ფოტოს იმ გლეხებთან ერთად, რომლებიც ულოცავენ სახელობის დღეს. ►

**1893 20 ივლისი**

საგურამოში ილიაობის დღესასწაულზე სუფრასთან უღებენ ფოტოს. ►

**1893 22 ივლისის შემდეგ**

წერილს სწერს გრიგოლ ყიფშიძეს, მეღვინეობის შესახებ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მის სტატიასთან დაკავშირებით. სთხოვს, გაუგზავნოს ლონდონიდან მიღებული წერილი, რომელიც პუბლიკაციაშია ნახსენები. ►

**1893 24 ივლისამდე**

იღებს მრავალ მისალოც დეპეშას და წერილს. ►

- 1893 24 ივლისი**  
გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის მათ, ვინც მიულოცა სახელობის დღე 20 ივლისი. ►
- 1893 ივლისი**  
უკრაინულ ჟურნალ „პრავდის“ ივლისის ნომერში ფსევდონიმით „ვ. ჩაიჩენკო“ იბეჭდება მისი ლექსების: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ და „გ. აბხ...“ ბორის გრინჩენკოსეული თარგმანები. ►
- 1893 3 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 აგვისტო“ („მინადმომქმედს, ხვნა-თესვის, ვენახისა და...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მინადმომქმედის ორგვარი გაჭირება“. ►
- 1893 10 აგვისტო**  
სოფელ ხაშში იმართება თბილისის სასულიერო სემინაიის მოსწავლეთა ლიტერატურული საღამო, რომელზეც კითხულობენ ლექსებს და ეპიზოდებს მოთხრობიდან „კაცია – ადამიანი?!“. ►
- 1893 17 აგვისტო**  
იღებს ნიკოლოზ ასათიანის წერილს, რომელშიც საუბარია საბუთების დაკარგვაზე. ►
- 1893 29 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ქვეყნდება მეთაური „სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I“ („დღეს ჩვენს ქალაქში მოელიან...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში . ►
- 1893 31 აგვისტო**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ვალერიან გუნიას, იაკობ გოგებაშვილს, ვასილ კარბელაშვილსა და ალექსანდრე ხახანაშვილს გამოეყოფა წიგნებისა და რვეულების საფასური. არ კმაყოფილდება დიმიტრი ბაქრაძის ქვრივის შეთავაზება „საქართველოს ისტორიის“ გამოცემის ერთიანად შესყიდვის შესახებ და სენაკის სკოლის ყოფილი მასწავლებლის მოსე ბურჯანაძის საჩივარი მისი უკანონოდ გათავისუფლების თაობაზე. განიხილავენ, მაგრამ არ იზიარებენ ქუთაისის სახალხო სკოლათა დირექტორის მოთხოვნას სენაკის სკოლის ინსპექტორობიდან სამსონ ყიფიანის გადაყენებისა და ამ სკოლაში სწავლების მეგრულ ენაზე შემოღების თაობაზე. ►
- 1893 1 სექტემბრის შემდეგ**  
მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქმნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►
- 1893 9 სექტემბერი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც კმაყოფილდება კავკასის, თონეთისა და ხეთის სკოლების მასწავლებელთა თხოვნა სასკოლო წიგნებისა და ინვენტარის მიწოდებაზე; მასწავლებელი გრიგოლ ბურჭულაძე ახალციხეში ინიშნება წიგნების გამავრცელებლად; იღებენ დადგენილებას ივან კრილოვის არაკებისა და ქართული ანბანის მოძრავი ასოების ხელმეორედ გამოცემის შესახებ და თანხმდებიან, რომ რუსეთის საიმპერატორო თავისუფალ საეკონომიო საზოგადოებასთან არსებულ კომიტეტს მიაწოდონ მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებული ანგარიშები; განიხილავენ სახალხო სამკითხველოს გამგის ანასტასია წერეთლის თხოვნას ბიბლიოთეკისთვის უფრო დიდი დარბაზის დაქირავების საჭიროების შესახებ და კიდევ ერთხელ მიმართავენ თხოვნით საქართველოს ეგზარქოსს, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ბოლო რედაქცია სახელმძღვანელოდ დაამტკიცოს სამრევლო სკოლებისთვის. ►

**1893 23 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც წიგნების საფასურს უნაზღაურებენ გიორგი ქართველიშვილსა და დიმიტრი ბაქრაძის ქვრივს; ფასდაკლებით იძენენ კონსტანტინე თავართქილაძისთვის გასაგზავნ სახელმძღვანელოებს და არჩევენ წიგნებს წყალტუბოს სამკითხველოსთვის. აცხადებენ მიღებას თონეთის სკოლის მასწავლებლის ვაკანტურ თანამდებობაზე; მსჯელობენ კავკავის სკოლის მასწავლებლისა და სახალხო სკოლების დირექტორის მიმოწერის შესახებ; წინარების სკოლას უგზავნიან წიგნებსა და სასკოლო ინვენტარს, ხოლო თბილისის საკვირაო სკოლის მასწავლებელს - სახელმძღვანელოებს; აკმაყოფილებენ ანტონ ნატროშვილის თხოვნას მისი წიგნის „კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და სავარჯიშო მოქმედებათა წარმოების მასალებისა“ გამოცემის შესახებ. ►

**1893 26 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება მეთაური „დროგადასული სისტემა“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვლობათა ოცტომეულში. ►

**1893 29 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 სექტემბერი“ („გუშინ ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო...“). მწერლის თხოვლობათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სასარგებლო საბანკო კრედიტისათვის“ . ►

**1893 29 სექტემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ თონეთის სკოლის მასწავლებლის ვაკანტური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთებს და მასწავლებლის მოვალეობის შესრულებას დროებით ავალეებენ ტერენტი წერეთელს. სენაკის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორის დათხოვნისა და მეგრულ ენაზე სწავლების შემოღების მოთხოვნის პასუხად ქუთაისის სახალხო სკოლათა დირექტორს უგზავნიან იაკობ გოგებაშვილის მიერ მომზადებულ ვრცელ ანგარიშს. ►

**1893 30 სექტემბერი**

ივანე მაჩაბელი ჟურნალ „მწყემსში“ ბეჭდავს „წერილს რედაქციის მიმართ“, რომელშიც ცდილობს, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები მარი ბროსეს პრემიის დასაარსებლად გაზეთ „დროებაში“ შეგროვებული თანხის დაუბრუნებლობაზე ილია ჭავჭავაძისკენ მიმართოს. გაზეთის ფინანსურ გასაჭირს და დახურვას იგი იმით ხსნის, რომ ბანკების სარეკლამო განცხადებები ჟურნალ „ივერიაში“ თავსდებოდა და არა „დროებაში“. გარდა ამისა, წერს, რომ ამ თანხის შეგროვება იმ კომიტეტს უნდა ეკისრა, რომელიც „დროების“ ვალების გასასტუმრებლად შეიქმნა და რომელსაც ილია ჭავჭავაძე ედგა სათავეში. ►

**1893 6 ოქტომბრამდე**

ირჩევენ მთავარმართებლის მიერ შექმნილ კომისიაში, რომელსაც ევალება აზნაურ მგალობლიშვილებისა და მათ მინაზე გადასახადების გადაუხდელად მობინადრე თათრების საქმის განხილვა. ►



**1893 8 ოქტომბერი**

ინყებს მოგზაურობას ქართლის სოფლებში. და სტუმრობს ნიკო ერისთავს სოფელ ახალგორში. მასთან ერთად არიან „ივერიის“ თანამშრომლები: ალექსანდრე და გიგა ყიფშიძეები, დავით მიქელაძე, ლევან ჭანდიერი და სხვები. შეხვედრაზე სკოლის მოსწავლეები მღერიან მის ტექსტებზე „გაზაფხული“ („ტყეს ესხმება ფოთოლი...“) და „ქართველო ხელი ხმაღს იკარ...“ შექმნილ სიმღერებს. ►

**1893 9 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს წერილისა „მოკითხული საზოგადო ფული“ („საკვირველი კაცია თ. ივ. მაჩაბელი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თბულებათა ოცტომეულში. ►

**1893 15 ოქტომბერი**

სტუმრად არის ქვიშხეთში ლუარსაბ ყიფიანთან და ესწრება მისი ქალიშვილის, სოფიო ყიფიანისა და პეტრე მაჭავარიანის ქორწილს. მასთან ერთად არიან დავით მიქელაძე, გიორგი ჟურული, პავლე ყიფიანი, გრიგოლ ყიფშიძე და სხვები. ►

**1893 15 ოქტომბრის შემდეგ**

სოფიო ყიფიანისა და და პეტრე მაჭავარიანის ქორწილის შემდეგ მასპინძლობენ დიმიტრი ყიფიანის ოჯახში. სადღეგრძელოში უდიდეს შეფასებას აძლევს დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას, მას „ხუროთმოძღვარს“ უწოდებს, საკუთარ თავს კი - მის „კალატომს“. ქვიშხეთიდან მომავალს სადგურამდე მიაცილებს თაყვანისმცემელთა დიდი ჯგუფი. ►

**1893 15 ოქტომბრის შემდეგ**

იღებს ეკატერინე გაბაშვილის წერილს. მასში საყვედურია გამოთქმული იმის გამო, რომ გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში „ხმა საზოგადოებიდგან“ დასმულია საკითხი, სად გაქრა მარი ბროსეს სახელზე შემონირული ფული, რომელიც სერგეი მესხმა გადასცა ივანე მაჩაბელს. ►

**1893 16 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ადგილს უთმობს გიორგი წერეთლის სტატიას „თ. ი. მაჩაბლის წამების ამბავი“, რომელიც წარმოადგენს გამოხმაურებას მარი ბროსეს სახელობის ფონდის გარშემო ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის წერილებზე. ►

**1893 21 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ადგილს უთმობს მის წერილზე „თ. ივ. მაჩაბლისა და ბროსეს პრემიის გამო“ ივანე მაჩაბლის გამოხმაურებას სათაურით „პასუხად დარბაისელ გაზეთის დარბაისელ რედაქტორს“. ავტორი მას ინვესს მედიატორთა სამართალში. ►

**1893 22 ოქტომბერი**

ქშნ-კგ საზოგადოების სახელით მისალოც დეპეშას გზავნის ვლადიკავკაზში ქართული სკოლის ახალი შენობის გახსნასთან დაკავშირებით. ►

**1893 23 ოქტომბერი**

ალექსანდრე ყიფშიძე წერილს სწერს ძმას ზაქარია ყიფშიძეს მოსკოვში და დანვრილებით მოუთხრობს ქართლ-კახეთში ილია ჭავჭავაძის მოგზაურობის ამბავს. ►

**1893 24 ოქტომბრამდე**

ლევან ჭანდიერთან, ალექსანდრე ჩოლოყაშვილთან, დავით მიქელაძესთან გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებთან ერთად სტუმრად არის სალოლაშენში, სარდიონ და მაკინე ამირეჯიბების ოჯახში და ავტოგრაფს ტოვებს მათი ცნობილი სუფრის შუაგულში. ამ სუფრას ოჯახის ყველა საპატიო სტუმარი აწერდა ხელს და ამირეჯიბების ქალიშვილები ფერადი ნართით ქარგავდნენ. დიასახლისი ჩუქნის თავის თარს გრიგოლ აბაშიძის ლექსთან ერთად, რომელშიც აკროსტიქსა და მაჭამაში იკითხება სახელი „ილია“: „ინებე თარი სახსოვრად, გვასმინე კვლავ ხმა ტკბილია, / ლამაზ შენს ივერს ჩასთვლიმა, დაუფრთხე მამაცს ძილის, / ახ, ნეტავი შენ, ცის მადლით გაქვს შუბლი აღბეჭდილია“. იქვე უძღვნიან მეორე აკროსტიქსაც: „იღვანე სამშობლოსათვის, / ლესე კალმისა წვერია, / იხარებს შენი ქვეყანა / არ დაგივიწყებს ერია“.

**1893 24 ოქტომბერი**

ინვევენ სოფელ წვერის მემამულეების აბელ და იულია კალატოზიშვილების ოჯახში. მასთან ერთად არიან ალექსანდრე ყიფშიძე, პეტრე და მიხეილ გრუზინსკები და სხვ. შეხვედრის დროს საუბრობს სინდისის შესახებ.

**1893 29 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ „ა. ჯ.“-ს ფსევდონიმით იბეჭდება სტატია „მოდის და ნუ იტყვი“. მასში გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ ქართული დრამატული საზოგადოების კრებას მხოლოდ 14 წევრი დაესწრო. სტატიაში მოხმობილია ვრცელი ციტატები ილია ჭავჭავაძის წერილიდან „ზოგიერთი რამ“, რომლებშიც საუბარია ერის გათიშულობისა და გულგრილობის დამღუპველობაზე. ავტორი მიგვანიშნებს, რომ დრამატული საზოგადოების წევრების უგულისყურობა თეატრის ბედისადმი, რომელიც ჩვენი ენისა და კულტურის მნიშვნელოვანი საყრდენია, ზიანს აყენებს ერთიან ეროვნულ საქმეს.

**1893 31 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება დასასრული სტატიისა „მოკითხული საზოგადო ფული“ („მართლა და, თ. ივანე მაჩაბლისა არ იყოს...“). იგი არ იღებს მაჩაბლის გამოწვევას საკითხის სამედიატორო სასამართლოში განხილვაზე. წერს, რომ თუ რამ სათქმელი ჰქონდა ბანკის კრებაზე შეეძლო ეთქვა.

**1893 ოქტომბერი**

ქმნ-კვ საზოგადოების სახელით ვრცელ მოხსენებით ბარათს წარუდგენს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ კირილ იანოვსკის და ითხოვს სენაკის სათავადაზნაურო სკოლის გამგის თანამდებობაზე სამსონ ყიფიანის დატოვებას.

**1893 4 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 4 ნოემბერი“ („ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება“.

**1893 9 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ადგილს უთმობს ივანე მაჩაბლის საპასუხო წერილს „უკანასკნელი პასუხი“, რომლითაც ის ილია ჭავჭავაძეს ბრალს სდებს საბანკო საქმის უცოდინრობაში და კვლავ ინვევს სამედიატორო სამართალში.

- 1893 11 ნოემბერი**  
გაზეთი „კავკაზში“ იბეჭდება მოთხრობის „სარჩობელაზედ“ არტემ ახნაზაროვისეული თარგმანის დასაწყისი. ►
- 1893 12 ნოემბერი**  
გაზეთი „კავკაზში“ იბეჭდება მოთხრობის „სარჩობელაზედ“ არტემ ახნაზაროვისეული თარგმანის დასასრული. ►
- 1893 15 ნოემბერი**  
ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე „სოფლის მღვდლის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „მწარე ფიქრები“, რომელშიც აკრიტიკებს ილია ჭავჭავაძეს იმის გამო, რომ ბრალი დასდო ივანე მაჩაბელს მარი ბროსეს პრემიის თანხის დაუბრუნებლობაში. ►
- 1893 16 ნოემბერი**  
ქშნკ-გ საზოგადოების სახელით წერილს უგზავნის იმ პირებს, ვისაც დავალებული აქვთ ბათუმის სკოლის მშენებლობა, რომ მიღებული შემოწირულობები გადასცენ გრიგოლ ვოლსკის და მშენებლობის საქმეებს გაუძღვენ შედგენილი გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ►
- 1893 19 ნოემბერი**  
ხელს აწერს თსს ბანკის გამგეობის სხდომის ოქმს, რომელზეც არ იქნა გაზიარებული ივანე მაჩაბლის წინადადება მივლინებების დროის წინასწარ განსაზღვრასთან დაკავშირებით. ►
- 1893 20 ნომბერი**  
ნოტარიუსი აცნობებს, რომ გადასახდელი აქვს ვექსილით ნაკისრი თანხა. ►
- 1893 21 ნოემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 ნოემბერს“ („ბატონი იზმაილოვი უკვე ამორჩეულ იქმნა ქალაქის მოურავად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“. ►
- 1893 22-24 ნოემბერი**  
მონაწილეობს მთავარმართებლის საბჭოს სხდომებში, რომლებზეც განიხილავენ სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად თანხების მოზიდვის საკითხს. ►
- 1893 28 ნოემბერი**  
გაზეთ ივერიის რედაქცია გადადის ნიკოლოზის ქუჩის 21 ნომერში. ►
- 1893 30 ნოემბერი**  
„ივერიის“ რედაქციაში რჩევის მისაღებად აკითხავენ თბილისის სემინარიის მოსწავლეთა აჯანყების მონაწილეები და აცნობენ პეტიციას. კითხულობს მოთხოვნებს და ახალგაზრდებს ურჩევს, რომ პოლიციას და ჟანდარმერიას გაფიცვის პოლიტიზირების საბაზი არ მისცენ. ►
- 1893 3 დეკემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 დეკემბერი“ („კვირას, 28 ნოემბერს, ჩვენს გაზეთში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქუთაისის ბანკის შესახებ“. ►

**1893 6 დეკემბრამდე**

ქალაქ თელავში ნათესავები და მეგობრები გამოსათხოვარ ნადიმს უმართავენ მამრის უფროს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს. წვეულებაზე სვამენ ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოს და გივი ვახვახიშვილი ყველას სახელით უგზავნის დეპეშას. ►

**1893 6 დეკემბერი**

საპასუხო დეპეშას უგზავნის გივი ვახვახიშვილს და მადლობას უხდის ყურადღებისთვის. ►

**1893 9 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ისმენენ ინფორმაციას წინარეხის სკოლის მასწავლებლის მიერ მოვალეობის უპასუხისმგებლოდ შესრულების შესახებ; იღებენ დადგენილებას იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ხელახლა გამოცემის თაობაზე; ირკვევა, რომ ელისაბედ ორბელიანის მიერ საზოგადოებისთვის ნაანდერძევი ყულარის მამული ვალში იყო გაყიდული. ნიკო. ცხვედაძეს ავალეებენ მოლაპარაკების წარმოებას გრიგოლ ვოლსკისთან ბათუმის სკოლის შენობის რემონტთან დაკავშირებით. ►

**1893 16 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ამტკიცებენ გაყიდული წიგნების ხარჯს; გამოყოფენ თანხას ბათუმის სკოლაში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. ხელშეკრულებას აფორმებენ იაკობ გოგებაშვილთან „დედა ენის“ მეათედ გამოცემასთან დაკავშირებით. ამტკიცებენ ნიკო ცხვედაძისა და ნიკოლოზ მთვარელიშვილის მიერ გადამონმბეულ ერთი წლის ფინანსურ ანგარიშს. ►

**1893 18 დეკემბერი**

ქაშუეთის ეკლესიაში ესწრება ალექსანდრე ყაზბეგის პანაშვიდს. ►

**1893 19 დეკემბერი**

ესწრება ქაშუეთის ეკლესიიდან ალექსანდრე ყაზბეგის ნეშტის გამოსვენების ცერემონიას. ►

**1893 31 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 დეკემბერი“ („ჩვენ მოგვივიდა მთავრობისაგან დამტკიცებული...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი“ . ►

**1893 31 დეკემბერი**

ქართველი მარქსისტები ისიდორე რამიშვილი და არსენ წითლიძე სთხოვენ წიგნების შეწირვას გურიის სოფელ აკეთში დაარსებული წიგნთსაცავისთვის. ილია ჭავჭავაძე გადასცემს თავისი ნაწერების ოთხტომეულს და ახალი წლის შესახვედრად ოჯახში ეპატიჟება. სტუმრად წასვლამდე ისინი წიგნების დასატოვებლად თავიანთ ლიდერ ეგნატე ნინოშვილთან შეივლიან და საყვედურს მიიღებენ, როგორ მიაკითხეთ შემოწირულობის თხოვნით კაცს, რომელსაც ხალხთან არავითარი საერთო არა აქვსო. ისიდორე რამიშვილი და არსენ წითლიძე, რომლებიც მის გავლენას განიცდიან, ილია ჭავჭავაძესთან წვეულებაზე აღარ მიდიან. ►



**1893 დეკემბერი**

წერილს უგზავნის გრიგოლ ყიფშიძეს, საყვედურობს, რომ ის და მისი ძმა ალექსანდრე რედაქციაში აღარ დადიან და არ ატყობინებენ გაზეთის ახალი ნომრისთვის მასალები აქვთ თუ არა. სწერს, რომ ასე მუშაობა აღარ შეიძლება და იანვრიდან თავადაც აპირებს თავის დანებებას. ►

**1893** ესწრება ექვთიმე თაყაიშვილისა და თავის ყრმობისდროინდელ მეგობარ ივანე პოლტარაცკის ქალიშვილის – ნინოს ქორწილს. ►

**1893** ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში იბეჭდება ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ. ►

**1893** პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი წარწერით უძღვნის თავის წიგნს „საქართველოში ქრისტიანობის შემოღების წყაროები“. ►

**1893** ვასილი ველიჩკოს წიგნში „აღმოსავლური მოტივები“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსების: „გაზაფხული“, „ლოცვა“ და „ჩემს ბედს“ თარგმანები. ►

**1893** გაზეთ „კვალში“ იბეჭდება სტატია „მოგზაურობა კახეთში თავ. ი. ჭავჭავაძისა“ ►

**1893** ალექსანდრე ხახანაშვილი „ნოვოე ობოზრენიეში“ აქვეყნებს წერილს „რუსულ-ქართული პარალელები პოეზიაში“, რომელშიც გვთავაზობს ილია ჭავჭავაძის „განდევილისა“ და შილერის „ორლეანელი ქალწულის“, როგორც ორი რომანტიკული სიუჟეტის პარალელურ ანალიზს ერთი ნიშნით – აუსრულებელი აღთქმა და ღვთიური მადლის დაკარგვა. ►

**1893-**  
**დან** სტუმრად ჰყავს ნიკო ლომოური და ყურადღებას ამახვილებინებს თხზულებათა მეორე ტომში, „გლახის ნაამბობის“ ტექსტში დაშვებულ უზუსტობაზე. წერია, „მიიღეთ და სვით, ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის განტეხილი“, „დანთხეულის“ ნაცვლად. ილია ჭავჭავაძე უბის წიგნაკში ინიშნავს შეცდომას, რომელიც ტექსტის აკრეფის დროს დაუშვიათ. ►

**1893-**  
**დან** სარემონტო სამუშაოებისათვის ხელოსანს, რომელიც ნიკო ცხვედაძეს გაუგზავნია, უხდის 100 მანეთს. ►

**1893-**  
**დან** ეცნობა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინეს“. როცა იმ ეპიზოდს კითხულობს, სადაც ქრისტინე აკვანში ტოვებს ბავშვს და თბილისში მიდის, კითხვას წყვეტს და ამბობს, რომ ქართველი დედისთვის ასეთი ქცევა არადამაჯერებელია. ►

**1894 1-2 იანვარი**

გაზეთ „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებთან ერთად სტუმრად არის ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეებთან სოფელ სალოლაშენში. ►

**1894 3 იანვარი**

მომრიგებელი შუამავალი გიორგი ციციშვილი ინვევს ხვედურეთში. ილია ჭავჭავაძე თანმხლებ პირებთან ერთად სტუმრობს მის ოჯახს და საზოგადოება საოცარი აღფრთოვანებით ხვდება. ►

**1894 3 იანვრის შემდეგ**

ქართლში მოგზაურობისას მაკინე ამირეჯიბის სიმღერებით მოხიბლული ილია ჭავჭავაძე მას საჩუქრად უგზავნის თავისი ნაწერების ოთხტომეულს წარწერით: „რაც სიტყვას აკლდეს, ბუნებით, თქვენმა ხმამ შეასრულოსო“. ►

**1894 იანვრის დასაწყისი**

ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება მისი ეტიუდი „უცნაური ამბავი“ მინაწერით „გაგრძელება იქნება“. ►

**1894 6 იანვარი**

გაზეთ „კვალში“ „ვარდენ ღვანკითელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ვარდენ ყიფიანის საახალწლო შარჟი გაზეთ „ივერიისადმი“: „ახალიწელი ამას გირჩევს / „შური“ განაგდე განზეო, / თორემ ხომ ხედავ, გარს მტრები / დაგხარხარობენ თავზეო“. ►

**1894 9 იანვარი**

ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებას. ►

**1894 14 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ჟურნალ „მოამბის“ პირველი ნომრის მიმოხილვისას სტეფანე ჭრელაშვილი ილია ჭავჭავაძის „უცნაურ ამბავთან“ დაკავშირებით იმედს გამოთქვამს, რომ ამ ეტიუდს მართლაც მოჰყვება გაგრძელება და მკითხველს ჰპირდება, რომ ბოლომდე გამოქვეყნების შემდეგ ისაუბრებს მასზე. ►

**1894 16 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 იანვარი“ („ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს...“). მწერლის თხოულებათა ათტომეულში სათაურად აქვს „ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ“, ოცტომეულში კი – „ქუთაისის ბანკის შესახებ“. ►

**1894 21 იანვარი**

ბარათს უგზავნის გიორგი თარხნიშვილს და ატყობინებს, რომ მოკლევადიანი სესხის გაცემაზე იოსებ მელიქიშვილის თხოვნის დაკმაყოფილებამდე საფუძვლიანად შეისწავლოს საქმის დეტალები და თუ ყველაფერი რიგზე აღმოჩნდება, მისცეს სესხი 2000 მანეთის ოდენობით. ►

**1894 22 იანვარი**

ალექსანდრე ყიფშიძე თავის ძმას ბაქარიას მოსკოვში უგზავნის წერილს და აღწერს სალოლაშენსა და ხვედურეთში ილიასთან ერთად მოგზაურობას. ►

**1894 23 იანვარი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ ჰაკელისაგან იღებს წერილს გრიფით „საიდუმლო“, რომელშიც მისგან, როგორც რედაქტორისგან, ითხოვს ინფორმაციას, ვის ეკუთვნის ინიციალები „ი. კ“. ამ კრიპტონიმით იყო ხელმოწერილი 1893 წლის ოქტომბერში საცენზურო კომიტეტში წარდგენილი სტატია „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“, რომლის ბეჭდვაც აიკრძალა. ►

**1894 26 იანვარი**

საპასუხო წერილს უგზავნის კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ჰაკელს. აუწყებს, რომ გასული წლის სექტემბერში შედგა ეგზარქატის ეპარქიალური კრება ქართული ეკლესიის საჭირობოთო საკითხების შესახებ. ამ თავყრილობზე გაზეთ „ივერიას“ წარმოადგენდა მწერალი და პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც გაზეთისგან დაევალა იქ გამოთქმული შეხედულებების სტატიის სახით ჩამოყალიბება. გოგებაშვილმა შეასრულა დავალება და ეს წერილი წარედგინა საცენზურო კომიტეტს „ი. კ.“-ს ფსევდონიმით. ►

**1894 26 იანვარი**

სერგი ჭაფარიძე ოდესის ქართველ სტუდენტთა სახელით გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს, რომელშიც მადლობას უცხადებს ილია ჭავჭავაძეს მათი ბიბლიოთეკისთვის თავისი თხზულებების ოთხი ტომის შეწირვისათვის. ►

**1894 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს სტატიისა თარიღით „ტფილისი, 27 იანვარი“ („მოგეხსენებათ, კახეთის მემამულეთა შორის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის მევენახეთა საზოგადოების დაარსება“. ►

**1894 29 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას სტატიისა თარიღით „ტფილისი, 28 იანვარი“ („გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ გაჭირებული და უნუგემო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის მევენახეთა საზოგადოების დაარსება“. ►

**1894 30 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ვარშავის ქართველ სტუდენტთა სახელით ნიკოლოზ შენგელია აქვეყნებს წერილს, რომელშიც მადლობას უხდის ილია ჭავჭავაძეს ვარშავის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკისათვის გაზეთ „ივერიის“ კომპლექტისა და თავის თხზულებათა ოთხტომეულის გაგზავნისთვის. ►

**1894 30 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს სტატიისა თარიღით „ტფილისი, 29 იანვარი“ („კახეთის ვენახების პატრონთა საზოგადოების“ აზრით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის მევენახეთა საზოგადოების დაარსება“. ►

**1894 იანვარი**

გაზეთ „კვალის“ საახალწლო ნომერში ქვეყნდება სახუმარო გასართობები, საახალწლო მილოცვები მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სავსეა სარკაზმით: „ბევრი კარგი შენ შეგვძინე, / მაგრამ ბოლოს დაძაბუნდი; / ბევრმა ქებამ გადაგრია, / შური გვიგე და დაჩუმდი“. ►

**1894 5 თებერვალი**

სადოლაშენის მკვიდრი ანდრია ნადირაძე ზაქარია ყიფშიძეს მოსკოვში უგზავნის წერილს და აღწერს ილია ჭავჭავაძის ქართლში მოგზაურობას. ►

**1894 6 თებერვალი**

გაბ. „კვალში“ „მაზაკვალის“ ფსევდონიმით იბეჭდება გიორგი წერეთლის რეცენზია ჟურნალ „მოამბის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებებზე და უარყოფითად არის შეფასებული ილია ჭავჭავაძის ეტიუდი „უცნაური ამბავი“. ►

**1894 10 თებერვალი**

ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსი „კითხვა-პასუხი“. ►

**1894 10 თებერვალი**

ქართული თეატრის ყოფილი მოლარე სონა ედილაშვილი წერილს უგზავნის მოსკოვში ბაქარია ყიფშიძეს, უყვება იანვარში ილია ჭავჭავაძის ქართლში სტუმრობის ამბავს და დასძენს, რომ მისი თანმხლები პირები თავიანთ თავს ხუმრობით „პევეჩებს“ (მგალობლებს) ეძახდნენ და ამბობდნენ, ილია ჩვენი მღვდელთმთავარიაო. ►

**1894 14 თებერვალი**

იღებს წერილს მოსე თოიძისგან, რომელიც სთხოვს ფულად დახმარებას, რათა გამოსცეს ლითოგრაფიულად ქართველ ისტორიულ პირთა: თამარ მეფის, ერეკლე მეორის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველისა და ქეთევან დედოფლის პორტრეტები. ეს გამოცემა ხორციელდება ქმნ-კვ საზოგადოების მხარდაჭერით. ►

**1894 19 თებერვალი**

იღებს დიმიტრი ჭავჭავაძის წერილს, რომელშიც ადრესანტი სთხოვს თანხის სესხებას რამდენიმე დღით. ►

**1894 28 თებერვალი**

ივანე ბარათაშვილისგან იღებს წერილს, რომელშიც ადრესანტი სთხოვს სათავადაზნაურო ბანკიდან 1500 მანეთის სესხად მიცემას. ►

**1894 2 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ სტეფანე ჭრელაშვილი ბეჭდავს რეცენზიას ჟურნალ „მოამბის“ 1894 წლის მეორე ნომერზე და, სხვა პუბლიკაციებთან ერთად, განიხილავს ილია ჭავჭავაძის ლექსს „კითხვა-პასუხი“. სტატიის ავტორი არ იზიარებს გაზეთ „კვალში“ გიორგი წერეთლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს ილია ჭავჭავაძეს აღარ აინტერესებს თავისი ქვეყნის მაჭისცემა და ამის დასადასტურებლად მთლიანად მოჰყავს მისი ეს ახალი ლექსი. ►

**1894 28 თებერვალი - 5 მარტი**

„ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებთან: დავით მიქელაძესთან, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებთან ერთად სტუმრად არის გორში და ესწრება შეჯიბრებას კრივში. ►

**1894 10 მარტი**

პეტერბურგშია და დეკემბით აცნობებს გრიგოლ ყიფშიძეს, რომ დასაბეჭდად გადასცეს „ივერიის“ მეორე ნომერი. ►

**1894 11 მარტი**

უბის წიგნაკში იწერს, ვისთვის რა თანხა აქვს მისაცემი და ვისგან რამდენი – ასაღები. ►



**1894 11 მარტდან**

უბის წიგნაკში მუხლებად იწერს ბანკთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. ►

**1894 17 მარტი**

თსს ბანკის მმართველობის წევრ ალექსანდრე ვახვახიშვილთან ერთად წერილს უგზავნის ქრისტეფორე მამაცაშვილს ოთხპროცენტიანი გირავნობის ფურცლების გამოშვების ნებართვის მისაღებად. ►

**1894 თებერვალი-მარტი**

ესწრება სახალხო დღესასწაულ „ისპანახობას“, რომელმაც ჩაანაცვლა მთავრობის მიერ აკრძალული „ყვენობა“. მედღესასწაულეებთან ერთად, რომლებსაც ამ ზემის სიმბოლო, ქალაქის გვირგვინები ახურავთ, თბილისელი ფოტოგრაფი გრიგოლ ბაბალოვი უღებს ჭგუფურ ფოტოს. ►

**1894 მარტის ბოლო**

ოზურგეთში „პ. ოცხანელის“ ხელმოწერით გამოდის კონსტანტინე თავართქილაძის მიერ შედგენილი კრებული „სონარი“, რომელშიც ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ელეგია“, „გუთნისდედა“ და „ქართვის დედას“. ►

**1894 1 აპრილი**

იღებს წერილს პეტრე უმიკაშვილისგან, რომელიც უგზავნის ალექსანდრე ორბელიანის მეუღლის, ეკატერინე ზაალის ასულ ბარათაშვილ-ორბელიანის რამდენიმე წერილის ასლს ჟურნალ „მოამბეში“ დასაბეჭდად. ►

**1894 1 აპრილიდან**

ამზადებს სიტყვას ბანკის კრებაზე გამოსასვლელად. უბის წიგნაკში იწერს და აანალიზებს საბანკო საქმეებთან დაკავშირებით მისი და ივანე მაჩაბლის კონკრეტულ ქმედებებს წლების მიხედვით. მოჰყავს ცალკეულ პირთა მიერ ბანკში ჩადებული და გაყიდული მამულების მაგალითები. ►

**1894 1 აპრილიდან**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერებს მოხსენებისათვის, რომელშიც აკრიტიკებს ივანე მაჩაბლის გამონათქვამებს. ►

**1894 1 აპრილიდან**

უბის წიგნაკში იწერს ინფორმაციებს გაზეთ „რუსსკიე ვედომოსტის“ 1894 წლის იანვარ-აპრილის ნომრებიდან და აკეთებს ჩანაწერებს ბანკის შესახებ. ►

**1894 12 აპრილი**

ხელს აწერს თსს გამგეობის სხდომის ოქმს, რომელზეც მიიღეს დადგენილება გამგეობისთვის მეოთხე წევრის დამატების თაობაზე. ►

**1894 24 აპრილი**

სილოვან ხუნდაძე გაზეთ „კვალში“ სათაურით „მკითხველის შენიშვნები“ ბეჭდავს კრიტიკულ რეცენზიას ილია ჭავჭავაძის პოემაზე „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ►

- 1894 28 აპრილი**  
იღებს ალექსანდრე ნებერიძის წერილს, რომელშიც სთხოვს, რომ ვინმესთან მოაწყოს მოურავად. ►
- 1894 აპრილი**  
მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის თსს ბანკის განვლილი წლის ანგარიში. ►
- 1894 1 მაისი**  
თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს წერილობით ინფორმაციას აწვდის ქართველთა სეპარატიზმის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ამ მოძრაობის ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული ჭკუითა და მდგომარეობით გამოირჩევა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ასევე ნათქვამია, რომ მასთან გამართულ საიდუმლო კრებებზე განიხილავენ სხვადასხვა საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებს. ►
- 1894 1 მაისი**  
თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ მუზეუმის შენობის ასაგებად პროექტის შეკვეთის საკითხს და ამისათვის გამოყოფენ 150 მანეთს. ►
- 1894 8 მაისი**  
სილოვან ხუნდაძე გაზეთ „კვალში“ სათაურით „მკითხველის შენიშვნები“ აქვეყნებს დასაწყისს რეცენზიისა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომზე. ►
- 1894 8 მაისი**  
„ივერიაში“ დასაბეჭდად იღებს გრიგოლ ნიკოგოსოვის წერილს და მის უკვე გამოქვეყნებულ სტატიებს ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ. ►
- 1893 15 აგვისტოდან**  
**1894 12 მაისამდე**  
იღებს ვრცელ ანონიმურ წერილს ხელმოწერით „ერთი ქართველთგანი“. ადრესანტი თანაუგრძობს იმის გამო, რომ ძალიან ბევრი მტერი ჰყავს, რომლებიც საზოგადოებას არწმუნებენ: ადამიანებს წოდების მიხედვით აფასებს, ნიჭიერებს გზას უღობავს, მხოლოდ თავისი ჭიბისთვის ზრუნავს და სხვ. ურჩევს, ღირსეულად დააფასოს გრიგოლ ყიფშიძე და გაარკვიოს, რაზეა გულნატკენი, რადგან მათი დაშორება მოწინააღმდეგეებს კიდევ უფრო გაათამამებს. წერს, რომ დავით მიქელაძეს გაზეთისთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია. სთავაზობს „ივერიაში“ დააბრუნოს ალექსანდრე ნიკიტინი და სხვა ძველი მწერლები. გარდა ამისა, აცნობებს, რომ მისი მოწინააღმდეგეები საბანკო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ზენოლას ახდენენ ქართლის მოსახლეობაზე, ყველას არწმუნებენ, უმრავლესობა ჩვენ გვიჭერს მხარს და თქვენი თითო-ოროლა კენჭი ვერაფერს გადაწყვეტსო. სწერს, რომ ნიკოლოზ დიასამიძე ილიას მომხრეებს იუღებს და გამყიდველებს უწოდებს. ►
- 1894 12 მაისი**  
ესწრება თსს ბანკის წევრთა საერთო კრებას. სხდომის თავმჯდომარის არჩევის დროს ოპოზიცია ცდილობს საკუთარი ძალის წარმოჩენას და ამტკიცებს, თითქოს ზედამხედველი კომიტეტის წევრს არ ჰქონდეს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება. ირკვევა, რომ წესდებაში ასეთი შეზღუდვა არ არის და წინა წლებში სხდომის თავმჯდომარეობად იყვნენ ზედამხედველი კომიტეტის არათუ წევრები, თავმჯდომარეც კი. შესაბამისად, ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს არ ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება და ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კრების თავმჯდომარედ. ►

**1894 13 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა საერთო კრებას და კითხულობს საანგარიშო მოხსენებას. ხშირია ოპოზიციის გამოსვლები მის წინააღმდეგ. მართალია, პრეტენზიებს ვერ ასაბუთებენ, მაგრამ წლიური ანგარიშის დამტკიცება ჭიანურდება. ►

**1894 14 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა საერთო კრებას, რომელზეც გრძელდება წლიური ანგარიშის განხილვა. ოპოზიციონერები, ილია ჭავჭავაძის დადანაშაულების მიზნით, მოითხოვენ ბანკის მიერ მიღებული ზარალის ცალკეული შემთხვევების განხილვას მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი საბუთებით ნათელი ხდება, რომ დამნაშავეა მიწის დამფასებელი, კერძოდ, ივანე მაჩაბელი. ►

**1894 15 მაისი**

თსს ბანკის წევრთა საერთო კრებაზე ისევ გრძელდება წლიური ანგარიშის განხილვა. ბანკის მმართველობის ხარვეზების წარმოჩენის მიზნით ოპოზიციას საუბარი ისევ გადააქვს კერძო შემთხვევების განხილვაზე, მაგრამ რეალურად ვერ ასაბუთებს, რაშია დამნაშავე მმართველობა, პირიქით, ივანე მაჩაბლის ბრალეულობას ამტკიცებს ბანკისთვის ზარალის მომტანი მამულის მფლობელიც. ივანე მაჩაბელი გამოსვლისას ხშირად იმეორებს ფრაზას, რომ ბევრი რამ აქვს სათქმელი, მაგრამ ვერცერთ დამაჯერებელ ფაქტს ვერ ასახელებს მმართველობის წინააღმდეგ. დღის ბოლოს სიტყვით გამოდის ილია ჭავჭავაძე და თავისი არგუმენტირებული მსჯელობით ალაფრთოვანებს არა მხოლოდ მომხრეებს, ოპოზიციონერებსაც. ►

**1894 16 მაისი**

თსს ბანკის წევრთა საერთო კრებაზე ოპოზიციური დაჯგუფება უკვე აშკარად აცხადებს, რომ მათი მიზანია დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან, რომელსაც ბანკი არასწორი მიმართულებით მიჰყავს. ვრცელი, მაგრამ არაარგუმენტირებული სიტყვით გამოდის მიხეილ მაჩაბელი. ოპოზიციონერები ამტკიცებენ, რომ მათ გარეშე ბანკი დაიღუპებოდა, მაგრამ ვერ განმარტავენ, ილია ჭავჭავაძის პრინციპებიდან რა არის ბანკისთვის საზიანო და რას სთავაზობენ საზოგადოებას მათ ნაცვლად. თავის მხრივ, ილია ჭავჭავაძე კრებას აცნობს ზუსტ ციფრებს, რა საქმიანობით შემოიფარგლება ივანე მაჩაბლის დამსახურება ბანკის წინაშე და გამოდის წინადადებით, რომ მისი და ივანე მაჩაბლის საბანკო საქმიანობა შეისწავლოს საგანგებო კომისიამ და ის, ვისაც დამნაშავედ სცნობენ, სამუდამოდ ჩამოშორდეს საზოგადოებრივ ასპარეზს. ილია ჭავჭავაძის ამ ხანგრძლივი გამოსვლის შემდეგ, რომელმაც გააბათილა გამგეობის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები, წლიური ანგარიში მტკიცება. ►

**1894 18 მაისი**

თსს ბანკის წევრთა საერთო კრებაზე გამოდის გამგეობისთვის მეოთხე წევრის დამატების მოთხოვნით, რადგან ბანკმა უნდა დაინყოს ქვეყნის მეურნეობის აღორძინებაზე ზრუნვა და გამგეობას საქმე მოემატება. მის წინააღმდეგ ისევ აქტიურობს მიხეილ მაჩაბელი. იგი ცდილობს საზოგადოების დარწმუნებას, რომ გამგეობისთვის ახალი წევრის დამატების არავითარი საჭიროება არ არსებობს და ამის მოთხოვნა ილია ჭავჭავაძეს მხოლოდ თავისი მომხრეების რაოდენობის გასაზრდელად დასჭირდა. მისი გამოსვლა მოკლებულია არგუმენტირებას და საზოგადოებას ვერ არწმუნებს. კენჭისყრის შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას გამგეობისთვის ერთი წევრის (დირექტორის) დამატების შესახებ. ►

**1894 19 მაისი**

იღებს ელისაბედ ხათაძის წერილს. ატყობინებს, რომ მისი შვილი მოეწყო საცხენეთის სასწავლებელში და სთხოვს ფინანსურ შემწეობას გზის ხარჯის დასაფარად. ►

**1894 19 მაისი**

ესწრება თსს ბანკის სხდომას, რომელიც განიხილავს გრიგოლ არწრუნის სახლისა და ქარვასლის ბანკის ან თავადაზნაურობის მფლობელობაში გადასვლის საკითხს. ივანე მაჩაბელი და ოპოზიცია მოითხოვენ ამ შენობების გაყიდვას. სიტყვით გამოდის ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც კრიტიკულად აფასებს ილია ჭავჭავაძისთვის სახელის გასატეხად ბანკში ჩამოყალიბებული ოპოზიციის საქმიანობას და გამოხატავს თავის სრულ თანადგომას მისდამი. ამბობს, რომ ჭავჭავაძის პარტიას არ ეკუთვნის, რადგან მას პარტია არა აქვს და არც სჭირდება. ყველა გონიერი ქართველი ისედაც უნდა ხვდებოდეს მისი მოღვაწეობის მნიშვნელობას. ►

**1894 19 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ „ილ. პონტელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ილია ჩიქოვანის წერილი „ვისი ბრალია?“ რომელშიც საუბარია ბანკთან დაკავშირებულ მოვლენებში აკაკი წერეთლის ჩარევის მცდელობაზე თავისი წერილებით „ნოვოე ობოზრენიესა“ და „კვალში“. ნათქვამია, რომ პუბლიკაციები მოტივირებულია არა ჭეშმარიტების ძიებით, არამედ ივანე მაჩაბლის პიროვნული მხარდაჭერის სურვილით. ►

**1894 20 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ „ილ. პონტელის“ ფსევდონიმით იბეჭდება ილია ჩიქოვანის წერილი ბანკის კრებებთან დაკავშირებით, რომელშიც ნაჩვენებია ივანე მაჩაბლის მომხრეთა უსუსური ბრალდებები. სტატიაში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე არის საბანკო საქმის საუკეთესო მცოდნე, ღრმად განათლებული და ნიჭიერი ადამიანი და ბანკის მმართველის თანამდებობაზე მას კონკურენციას ვერავინ გაუწევს. ►

**1894 20 მაისი**

სიტყვით გამოდის თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების კრებაზე. ვრცლად პასუხობს შეკითხვას, მართლა აპირებს თუ არა სააზნაურო სკოლის დახურვას. ამ სკოლისადმი საკუთარი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ კითხულობს ამონარიდებს ბანკის სხდომათა ოქმებიდან, საიდანაც ჩანს მისი რეგულარული მხარდაჭერა სკოლისადმი. შემდეგ დამსწრეთ განუმარტავს, რომ ამ სასწავლებლისთვის აუცილებელია დამოუკიდებლობა, რაც მას ბანკის დახურვის შემთხვევაშიც კი, შეაძლებინებს არსებობას. დამსწრენი ოვაციებით ხვდებიან მის სიტყვებს. ივანე მაჩაბელი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საზოგადოების განსაწყობად, დამსწრეთ შეახსენებს, რომ იგი თავისი პამფლეტით „გამოცანები“ დაუპირისპირდა თავადაზნაურობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს და ისე გამოჰყავს, თითქოს მასში დიმიტრი ყიფიანიც იყო გაკიცხული. ეს განცხადება დამსწრეთა საპირისპირო რეაქციას იწვევს, მომხსენებლის საწინააღმდეგოდ. ►

**1894 21 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ „ქუთათური დამსწრის“ ფსევდონიმით იბეჭდება ვასილ ყიფიანის სტატია, რომელშიც საუბარია ოპოზიციის მიერ ქართლელთა და კახელთა დაპირისპირების პროვოცირებაზე თსს ბანკის კრებებზე ხმათა უმრავლესობის მოსაპოვებლად. ავტორი შეაგონებს მათ, რომ ეს უკეთური ხერხია, რომელიც ძირს უთხრის საზოგადო საქმეს. ►



**1894 21 მაისი**

ესწრება თსს ბანკის სხდომას და თავის გამოსვლაში დივიდენდებთან დაკავშირებით, აღნიშნავს მათი განახევრების საჭიროებას (20-დან 10 პროცენტამდე) და იმ 10 პროცენტის გამოყენებას სამეურნეო კაპიტალის შესადგენად, მაგ. სასოფლო კრედიტის დასაარსებლად და სხვ. ►

**1894 21 მაისი**

გარდაეცვალა დისწული მარიამ (მაკო) ნიკოლოზის ასული აფხაზი-მაცაშვილისა. ►

**1894 22 მაისი**

დისწულის გარდაცვალების გამო ვერ ესწრება თსს ბანკის კრებას. ►

**1894 22 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ „მეველის“ ფსევდონიმით იბეჭდება დავით მიქელაძის წერილი თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების 20 მაისის კრების შესახებ და ნათქვამია, რომ ივანე მაჩაბლის მიერ „გამოცანების“ დაწერის ბრალად წაყენება ილია ჭავჭავაძისთვის ყოვლად სამარცხვინო და უკადრისი ხერხი იყო. ►

**1894 23 მაისი**

ესწრება თსს ბანკის სხდომას და გამოდის ე. წ. „ვექილობების“ წინააღმდეგ. საუბარია საკამათო საკითხებთან დაკავშირებით ბანკის წევრების მიერ საკუთარი პოზიციის წერილობით დაფიქსირებაზე. ილია ჭავჭავაძე დამსწრეთ სთხოვს ყურადღება მიაქციონ, რომ ოპოზიციის მხარდამჭერთა ასობით ასეთი წერილი ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი. შემდეგ მოჰყავს კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ „ვექილობების“ მეშვეობით როგორ აკარგვინებდნენ ხმებს პირადად მას. აღმოჩნდა, რომ თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი აგროვებდა ასეთ წერილებს ვითომდა ილია ჭავჭავაძის მხარდასაჭერად, მაგრამ ისინი ბანკამდე არ მიდიოდა. ამავე სხდომაზე შთამბეჭდავი სიტყვით გამოდის პედაგოგი ვასილ ყიფიანი. იგი ამბობს, რომ თავდაპირველად სიხარულით შეხვდა ბანკში ოპოზიციის გაჩენას, რადგან მიაჩნია, რომ ჭანსალი ოპოზიცია საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს, მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ არსებულ ოპოზიციას მხოლოდ პირადული მოტივები ამოძრავებდა, ისიც, ისევე, როგორც ნიკო ნიკოლაძე და ბევრი სხვა, ჩამოშორდა მათ. ►

**1894 23 მაისი**

გარდაცვლილი დისწულის მარიამ (მაკო) აფხაზი-მაცაშვილის მეუღლესთან – დიმიტრი მაცაშვილან, მამასთან – ნიკოლოზ შერმაზანის ძე აფხაზთან და დეიდასთან – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილთან ერთად გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს განცხადებას პანაშვიდების შესახებ, რომლებიც ჩატარდება კუკიაზე მდებარე მის საცხოვრებელ სახლში. ►

**1894 24 მაისი**

დილის 9 საათზე მის დისწულ მარიამ აფხაზ-მაცაშვილისას კუკიიდან მიასვენებენ ქაშვეთის ეკლესიაში და წირვის შემდეგ კრძალავენ ვერის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში. ►

**1894 24 მაისი**

ესწრება თსს ბანკის სხდომას და გამოდის სათავადაზნაურო სკოლისთვის სოფელ სკრის მამულის შეძენის წინადადებით. კრება მხარს უჭერს მის ინიციატივას. ►

**1894 25 მაისი**

დავით გურამიშვილს უგზავნის წერილს და სთხოვს, ნიკო ნიკოლაძეს აცნობოს, რომ საღამოს 6 საათზე უსათუოდ მივიდეს მასთან მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით. ►

**1894 25 მაისი**

ესწრება თსს ბანკის სხდომას, რომელზეც განიხილავენ ოპოზიციის კრიტიკას მის წინააღმდეგ. გამომსვლელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კამათმა მათი ბრალდებები არ დაადასტურა. კენჭისყრის წინ ნიკო ნიკოლაძე დამსწრეთ აცნობს ილია ჭავჭავაძის წინადადებას მისი საქმიანობისა და მის წინააღმდეგ ივანე მაჩაბლის ბრალდებების შესასწავლად კომისიის შექმნის მოთხოვნით. ამ შეთავაზებას არ ეწინააღმდეგება არც ივანე მაჩაბელი. თანხმდებიან, რომ ის, ვისაც კომისია დამნაშავედ ცნობს, ჩამოშორდება საზოგადოებრივ საქმიანობას. ამავე დღის ბოლოს ტარდება არჩევნები. გამგეობის მეოთხე წევრად ირჩევენ მიხეილ გრუზინსკის, დამფასებელი კომისიის თავმჯდომარედ კონსტანტინე ფურცელაძეს, ხოლო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ, 989 ხმით 334-ის წინააღმდეგ - ისევ ილია ჭავჭავაძეს. ►

**1894 26 მაისი**

ესწრება თსს ბანკის სხდომას, რომელზეც ბოდიშს უხდიან იმ უსამართლო ბრალდებებისთვის, რომელთა მოსმენაც უხდებოდა ორი კვირის განმავლობაში კრების მსვლელობის დროს. სხდომის მიზანია იმ კომისიის ამორჩევა, რომელმაც უნდა შეისწავლოს ილია ჭავჭავაძის მიმართ ივანე მაჩაბლის მიერ წაყენებული ბრალდებები და გაარკვიოს, ვინ არის მართალი. ივანე მაჩაბელი, რომელიც თავდაპირველად დასთანხმდა ბანკის კრების მიერ კომისიის არჩევას, ამჯერად მოითხოვს სამედიატორო სამართალს, როდესაც ორივე მხარე ასახელებს სამსამ წარმომადგენელს, ისინი ირჩევენ კიდევ ერთს და ყველანი ერთობლივად განიხილავენ საქმეს, მაგრამ ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგია, რადგან სამედიატორო დავები უსასრულოდ შეიძლება გადაიდოს და გაჭიანურდეს. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს გიორგი თარხნიშვილის მაგალითი, რომელსაც ივანე მაჩაბელმა ერთი წლის წინ საქმის ასეთივე განხილვა შესთავაზა, მაგრამ დღესაც არ განუხილავთ. ►

**1894 27 მაისი**

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად ვერაზე, „კინგრუსტის“ ბაღში მართავს სადილს საადგილმამულო ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ მისი არჩევის გამო. ►

**1894 28 მაისი**

ივანე მაჩაბელი გაზეთ „კავკაზში“ აქვეყნებს განცხადებას, რომელშიც ცდილობს ახსნას, რატომ თქვა უარი კომისიის შექმნაზე. მისი აზრით, ბანკის წევრთა მიერ ამორჩეული კომისია შეიძლებოდა მიკერძოებული ყოფილიყო. ის ისევ იმეორებს თავის ბრალდებებს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, ადანაშაულებს მას უზრუნველობაში, საბანკო საქმის უცოდინრობასა და მიკერძოებულობაში. ►

**1894 29 მაისი**

„ივერიაში“ იბეჭდება გაზეთ „კავკაზში“ ივანე მაჩაბლის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თარგმანი. ►

**1894 27- 30 მაისი**

ესწრება თსს ბანკის კრებას და მხარს უჭერს სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლეების კოტე ელიოზიშვილისა და ნიკოლოზ ჯანდიერისათვის სტიპენდიების დანიშვნას სამედიცინო განათლების მისაღებად. ►

**1894 30 მაისი**

იღებს ნინო ანდრონიკაშვილის წერილობით მილოცვას თსს ბანკის თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით. ►

**1894 31 მაისი**

გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის ყველას, ვინც თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევა დეპუტებითა და წერილებით მიულოცა. ►

**1894 3 ივნისი**

იღებს ავეტ ავშანოვის წერილს თსს ბანკში სახლის დაგირავების განზრახვასთან დაკავშირებით. ►

**1894 3 ივნისი**

იღებს ელიზბარ გუგუშვილის წერილს გორის თავადაზნაურობის წინამძღოლ ივანე სულხანიშვილთან დაკავშირებით. ►

**1894 8 ივნისი**

იღებს ეკატერინე ნიკოლაძის წერილს თსს ბანკში სახლის დაგირავებასთან დაკავშირებით. ►

**1894 11 ივნისი**

გაზეთ „ივერიის“ „დამაკვირდის“ რუბიკაში აქვეყნებს საკუთარ სენტენციას: „ანთებული სანთელი ჩაიწვის და ჩაქრება, ხოლო ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამიდგან შვილზედ გადადის, შვილიდგან შვილიშვილზედ უფრო განდიდებული, უფრო გაძლიერებული“. ►

**1894 19 ივნისი**

გიორგი ქართველიშვილი წერილობით სთხოვს ძმისწულის, მიხეილ ქართველიშვილის ბუღალტრის თანაშემწედ დანიშვნას თსს ბანკში. აცნობებს, რომ ეს ახალგაზრდა მანამდე მასთან მუშაობდა, არის მშვიდი ხასიათის და კარგად იცის საბუღალტრო საქმე. ►

**1894 28 ივნისამდე**

გამოდის ვახტანგ ორბელიანის ლექსების კრებული, რომელსაც წამძღვარებული აქვს ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი წინასიტყვაობა „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანისა“. ►

**1894 6 ივლისი**

გაზეთ „ივერიის“ „დამაკვირდის“ რუბიკაში ასტრონომით (\*\*\*) აქვეყნებს ქრისტიანულ სწავლებაზე დამყარებულ და მის მიერ ჩამოყალიბებულ სენტენციას „ყოველთვის უნდა გახსოვდეთ დღე აღსასრულისა, რათა უფრო გონივრად იცხოვროთ“. ►

- 1894 9 ივლისი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება სილოვან ხუნდაძის სტატიის „მკითხველის შენიშვნები“ გაგრძელება. ►
- 1894 10 ივლისი**  
გაზეთ „ივერიის“ „დამაკვირდის“ რუბიკაში ასტრონომით (\*\*) აქვეყნებს საკუთარ სენტენციას „მდიდარს უფრო ადვილად აძლევენ საჩუქრად, ვიდრე ღარიბს სესხად“. ►
- 1894 13 ივლისი**  
თავმჯდომარეობს ეშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც კმაყოფილდება ბათუმის სკოლის კომიტეტის თხოვნა შენობის დასამთავრებლად საჭირო თანხის სასწავლებლის წლიური ფინანსებიდან გამოყოფის თაობაზე. ამავე სკოლის მზრუნველად ირჩევენ ექიმ გრიგოლ ვოლსკის. ►
- 1894 15 ივლისი**  
მონაწილეობს ქართული დრამატული საზოგადოების კრებაში და, როგორც ბანკის მმართველობის თავმჯდომარე, დამსწრეთ ჰპირდება, რომ საზოგადოება თეატრის შემოსავლიდან მიიღებს ათას მანეთს, ხოლო თუ შენობას მოიჭარადრე გამოუჩნდება, წარმოდგენის დღეებში გადასახდელი ექნებათ მხოლოდ 80 მანეთი. ►
- 1894 17 ივლისი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება სილოვან ხუნდაძის სტატიის „მკითხველის შენიშვნები“ დასასრული. ►
- 1894 ჩათვლით 19 ივლისი**  
საგურამოს ძველ ხის სახლში სტუმრად ჰყავს და, ელისაბედ საგინაშვილი, თამარ დოდაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი, ნიკო ხიზანიშვილი და სხვები. ►
- 1894 20 ივლისი**  
საგურამოში იხდის სახელობის დღესასწაულს. ►
- 1894 29 ივლისი**  
გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის მათ ვინც დეპეშებითა და წერილებით მიულოცა სახელობის დღე. ►
- 1894 25 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 აგვისტო“ („როგორც წინად, ისე დღეს ეგრედ წოდებული „სამთა კავშირი“...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამთა კავშირი“. ►
- 1894 27 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 აგვისტო“ („ჩვენ გუშინწინ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საფრანგეთს და გერმანიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დასაწყისი“. ►



- 1894 28 აგვისტომდე**  
სიტყვებით: „რითაც ვიყავ მოქადული, / ყველა მე შენ განაცვალე...“, იწყებს ახალი ლექსის წერას და ქმნის ორ განსხვავებულ ვარიანტს. ტექსტი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ►
- 1894 28 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 28 აგვისტო“ („გაჭივრებულმა მდგომარეობამ სოფლის მეურნეობისამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სოფლის მეურნეობა რუსეთში“. ►
- 1894 30 აგვისტო**  
იღებს აბდულ მიქელაძის წერილს და მის მიერ შეკრებილ არქეოლოგიურ ნივთებს ქშნ-კვ საზოგადოებისათვის. ►
- 1894 3 სექტემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 სექტემბერი“ („გაზეთები იუნყებიან, რომ სექტემბერში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მამულების გამიჭვნის თაობაზე“. ►
- 1894 4 სექტემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 სექტემბერი“ („ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენში მოდის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მინისტრის მოლოდინში“. ►
- 1894 8 სექტემბრამდე**  
მარჯორი უორდროპისაგან იღებს წერილს. ადრესანტი სთხოვს „განდევლის“ ინგლისურად თარგმნისა და გამოცემის ნებართვას. ►
- 1894 8 სექტემბერი**  
საპასუხო ბარათს უგზავნის მარჯორი უორდროპს, სწერს, რომ ძალზე მოხარულია მისი ყურადღებით, თანხმობას აძლევს პოემა „განდევლის“ ინგლისური თარგმანის გამოცემაზე და ძმასთან ერთად ეპატიჟება საქართველოში. ►
- 1894 10 სექტემბერი**  
წერილს იღებს ბაზალეთელი ხელმოკლე აზნაურის გაბრიელ ჩრდილელისგან. სთხოვს მატერიალურად დაეხმაროს მის ვაჟ იოსებს გიმნაზიაში სწავლის გასაგრძელებლად. ►
- 1894 18 სექტემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „Wasiani, W.“ იბეჭდება ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატია, რომელშიც საუბარია მარჯორი უორდროპის მიერ ილია ჭავჭავაძის „განდევლის“ ინგლისურად თარგმნის განზრახვასა და ამის შესახებ პროფესორ უილიამ მორფილის აზრის შესახებ. ►
- 1894 18 სექტემბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 18 სექტემბერი“ („ბ-ნი მინისტრი სახელმწიფო ქონებათა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე“. ►

**1894 21 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 21 სექტემბერი“ („ჩვენ წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე“. ►

**1894 22 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიის“ „დამაკვირდის“ რუბიკაში ასტრონომით (\*\*) აქვეყნებს მის მიერ ჩამოყალიბებულ სენტენციას „არაფერია ამ ქვეყნად მუდმივი, ცვლილებების მეტი“. ►

**1894 25 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 25 სექტემბერი“ („ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ მიმართულება შეიცვალოს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მიწათმოქმედების სწორად წარმართვისათვის“. ►

**1894 30 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიის“ „დამაკვირდის“ რუბიკაში ასტრონომით (\*\*) აქვეყნებს მის მიერ ჩამოყალიბებულ სენტენციას „მრავალსიტყვაობა, ამოსიტყვაობა, ბოროტსიტყვაობა და ცრუსიტყვაობა და-ძმანი არიან“. ►

**1894 2 ოქტომბერი**

იღებს დავით ავალიშვილის წერილს ვექსილის ვადის თაობაზე. ►

**1894 2 ოქტომბერი**

იღებს დავით ავალიშვილის წერილს კახეთში რკინიგზის გაყვანის საჭიროების შესახებ. ►

**1894 ოქტომბრის დასაწყისი**

თსს ბანკის ზედამხედველი კომიტეტის კრებაზე საბანკო სისტემაში ახალი კანონების შემოღებასთან დაკავშირებით ირჩევენ კომისიაში პეტრე გრუზინსკისთან და ალექსანდრე კობიაშვილთან ერთად. ►

**1894 9 ოქტომბერი**

ანტონ ფურცელაძე „ივერიაში“ აქვეყნებს აკაკი წერეთლის საპასუხო წერილს „ქურდის თავზე ქუდი იწვის!“, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, საუბრობს ილია ჭავჭავაძესთან თავის საქმიან ურთიერთობაზე. იგი განმარტავს, რომ მას და ილიას ბევრ საკითხთან დაკავშირებით ჰქონიათ კამათი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ხელს ბანკში მათ თანამშრომლობას. ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიასთან დაკავშირებით იგი წერს, რომ ამ უაზრო დაპირისპირებამ ილია ჭავჭავაძეს ვერაფერი ავნო, საზოგადო საქმე კი დააზიანა. იგი დასძენს: „მთელი ათი წელიწადი ბრბო მოთარეშეთა მისდგომიხართ ამ ერთს, ჩვენებრივ ხორცმესხმულს კაცს, რომელსაც, როგორათაც ყველა კაცს, უეჭველია მრავალი ნაკლი უნდა ჰქონდეს, და ერთი შეცდომა ვერ უპოვნეთ, ერთი შეცდომა ვერ დაუმტკიცეთ...“. ►

## 1894 11 ოქტომბერი

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მტკიცდება წიგნების დასაკაზმის, შესასყიდი და გამსაღებლებისათვის გადასახდელი თანხები. განიხილავენ უმაღლესი მთავრობის წინაშე ქმნ-კვ საზოგადოების მიმართვას იმის მოთხოვნით, რომ შეწყდეს ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობის მიერ საზოგადოების ხელშეშლა უკვე დაარსებულთა მსგავს საფუძველზე ახალი სკოლების გახსნის საქმეში. კამათის შემდეგ თანხმდებიან, რომ მოცემულ ეტაპზე მსგავსი მიმართვით მიზანს ვერ მიაღწევენ და უარს ამბობენ მის გაგზავნაზე. ►

## 1894 22 ოქტომბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს „ტფილისი, 22 ოქტომბერი“ („მიცვალება ან ღვთის მიერ განსვენებულის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების გამო“. ►

## 1894 30-31 ოქტომბერი

მონანილეობს თსს ბანკის საგანგებო კრებაში. განიხილავენ გრიგოლ არწრუნისეული ქარვასლის შესყიდვის საკითხს. ებმება კამათში ივანე მაჩაბელთან, რომელიც ბანკის მიერ ქარვასლის შესყიდვის წინააღმდეგია. ►

## 1894 8 ნოემბერი

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც კმაყოფილდება ბათუმის სკოლის მასწავლებლის თხოვნა მაჰმადიანი მონაფეებისთვის წიგნების „ბუნების კარი“, „დედა ენა“ და რვეულების მიწოდების შესახებ. სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები ეგზავნება ხეთისა და წინარეხის სკოლებს; წინარეხის სკოლაში საყოფაცხოვრებო პირობების მოსაგვარებლად საჭირო ზომების მიღებას ავალებენ სკოლის მზრუნველ იოსებ ცხვედაძეს და სოლომონ მალაქაშვილს. არ კმაყოფილდება ნიკო მთვარელიშვილის შუამდგომლობა მოთხოვნის „სოფლის მოღვაწენი“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით, რადგან იგი გამგეობის სხვა წევრებმა არ მოინონეს. ►

## 1894 12 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევილის“ ინგლისურად მთარგმნელი ქალი - მარჯორი უორდროპი უკვე გამოემგზავრა საქართველოში და იმჟამად თბილისში მყოფი მისი ძმა - ოლივერ უორდროპი სტამბულში დახვდება. ►

## 1894 12 ნოემბრის შემდეგ

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება კორესპოდენცია, რომელშიც ვინაობის დაუსახელებლად საუბარია საჩხერელ ფერშალზე, რომლის უყურადღებობასაც ემსხვერპლა ადამიანი. გაზეთის გაცნობის შემდეგ პიროვნება, რომლის შესახებაც ყოფილა საუბარი - იოანე მამუკოვი საჩივარს წერს გაზეთ „ივერიისა“ და მისი რედაქტორის სახელზე და ბრალს სდებს მათ ცილისწამებაში. ►

## 1894 25 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 25 ნოემბერი“ („ერთი უდიდესი საქმე სამსოფლიო პოლიტიკისათვის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისმა პირი იბრუნა რუსეთისკენ სამეგობროდ“. ►

**1894 26 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 ნოემბერი“ („მართლმსაჯულება, სამართლის ქმნა ერთი იმისთანა საჭიროებაა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მართლმსაჯულება ქვეყნისა და ერის სამსახურში“. ►

**1894 1 დეკემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ ერთი თვის შემოსავალ-გასავალს. იაკობ გოგებაშვილს გამოუყოფენ რვეულების საფასურს და ამტკიცებენ წვრილმან ხარჯებს. მსჯელობენ კავკასის სკოლის შენობის აგების საკითხზე და მადლობას უხდებიან რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიის საზოგადოებას წიგნების მიწოდებისთვის. თანხა გამოიყოფა ასევე იმ კომისიისთვის, რომელიც 19 დეკემბერს მართავს წარმოდგენას საზოგადოების სასარგებლოდ. ►

**1894 2 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 დეკემბერი“ („ჩვენ ამას წინად დავიწყეთ საუბარი იმაზედ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისის პოლიტიკის ახალი მიმართულება“. ►

**1894 4 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 დეკემბერი“ („ინგლისი ერთი იმისთანა ქვეყანაა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისის ფლოტის ბატონობა საზღვაო-სავაჭრო საქმიანობაში“. ►

**1894 4 დეკემბერი**

მწერალ ევატერინე გაბაშვილთან, მეუღლესთან და დასთან, ელისაბედთან ერთად მცხეთის რკინიგზის სადგურში ხვდება ინგლისელ მწერალ ქალ მარჯორი უორდროუს, რომელსაც იმ დროს განზრახული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული პოეზიის შედევრების ინგლისურად თარგმნა. ►

**1894 7 დეკემბერი**

მონაწილეობს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოში გამართულ აგრონომთა თათბირში, რომელზეც იხილავენ ვენახების მეპატრონეთათვის ბანკიდან სესხის მიცემის საკითხს. ►

**1894 13 დეკემბერი**

მარჯორი უორდროუს წარწერით უძღვნის საკუთარი თხზულებების ოთხ-ტომეულს. ►

**1894 15 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 დეკემბერი“ („ფინანსთა სამინისტროში დღეს აღძრულია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის“. ►

**1894 4-25 დეკემბერი**

სამი კვირის მანძილზე მასპინძლობს მარჯორი უორდროუსა და მის დედას თბილისსა და საგურამოში. ►



**1894 დეკემბრის მეორე ნახევარი**

ლექსად წერს სატირულ-იუმორისტულ ფელეტონს „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“ გაზეთ „კვალსა“ და მის თანამშრომლებზე. პერსონაჟებად გამოყვანილნი არიან: გიორგი წერეთელი, ზოილი (დავით კვბელი), სილოვან ხუნდაძე, ილია ხონელი (ბახტაძე), აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, მიშო (მიხეილ მაჩაბელი), გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები, ივანე მაჩაბელი, ნიკო ცხვედაძე და იაკობ გოგებაშვილი. ►

**1894** იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ჩიტი“, „ლოცვა“, და „ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზედ“; ნაწყვეტები პოემებიდან: „აჩრდილი“, „განდეგილი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია – ადამიანი?!“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდის ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ და „სიტყვა, თქმული სამეურნეო სკოლის გახსნის ჟამს სოფელ წინამძღვრიანთკარში“. ►

**1894** მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქმნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►

**1894** პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „ცნობები ქართული დამწერლობის შესახებ“. ►

**1894** „საქართველოს კალენდარში“ ფსევდონიმით „ი-ნი ამერი“ იბეჭდება ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესახებ. ►

**1894** „კავკასიის კალენდარში“ რუსულ ენაზე იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1884 წელს ჟურნალ „ნობათში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსზე „ნანა“ შექმნილი მუსიკის ნოტები, ხოლო 1890 წელს ჟურნალ ჭეჭილში გამოქვეყნდა მისი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. ►

**1894-**  
**დან** ვარშავის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება ალექსანდრე მიქაბერიძე და განზრახული აქვს სამსახურის დაწყება. იგი გადაწყვეტს, გაეცნოს ილია ჭავჭავაძეს და რჩევა ჰკითხოს. ილია უხსნის, რომ საქართველოში, პოლონეთისგან განსხვავებით, კერძო დაწესებულებები ძალიან ცოტაა, მაგრამ დასაწყისისთვის სახელმწიფო დაწესებულებებშიც შეიძლება გამოცდილების შეძენა და სასარგებლო საქმის კეთება. ალექსანდრე მიქაბერიძე ითვალისწინებს მის რჩევას და 3-4 წლის მანძილზე მუშაობს ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ თბილისის გიმნაზიებში. ►

**1894-**  
**დან** უბის წიგნაკში იწერს, წიგნების ნუსხას და ფასებს. ►

**1895 1 იანვარი**

გაზეთ „კვალში“ „დავით სოსლანის“ ფსევდონიმით იბეჭდება დავით კვბელის საახალწლო შარჟები ქართველ მოღვაწეებზე, მათ შორის ილია ჭავჭავაძეზე: „ძლიერს მორჩილობს ყოველი / იგიცა, ვინც ორგულია, / ღმერთმან ინებოს, სოფელი / არ დაგრჩეს უმადურია“. აქვე გიორგი წერეთელი იწყებს სტატიის პუბლიკაციასათაურით „კვალი. ორიწლისნაღვანი“, რომელშიც უპირისპირდება გაზეთ „ივერიას“, მის რედაქტორსა და თანამშრომლებს. ►

**1895 1 იანვარი**

„ფირუზას“ ფსევდონიმით და სათაურით „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“ „ივერიაში“ ინყებს სატირული ჰამფლეტის ბეჭდვას გაზეთ „კვალის“ თანამშრომლებზე. ►

**1895 4 იანვარი**

„ფირუზას“ ფსევდონიმით „ივერიაში“ განაგრძობს „ორხმიანი საახალწლო ოპერეტის“ ბეჭდვას. ►

**1895 4 იანვარი**

იაკობ გოგებაშვილთან, ნიკო ცხვედაძესთან და ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად წერილს უგზავნის საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მეცენატ ალექსანდრე გუბალაშვილს და ქმნ-კგ საზოგადოების სახელით სთხოვს, შემოსწიროს სასტუმრო „ლონდონის“ მიმდებარე ტერიტორია წიგნსაცავის ასაშენებლად. ►

**1895 5 იანვარი**

„ფირუზას“ ფსევდონიმით „ივერიაში“ განაგრძობს „ორხმიანი საახალწლო ოპერეტის“ ბეჭდვას. ►

**1895 6 იანვარი**

„ფირუზას“ ფსევდონიმით „ივერიაში“ განაგრძობს „ორხმიანი საახალწლო ოპერეტის“ ბეჭდვას. ►

**1895 8 იანვარი**

„ფირუზას“ ფსევდონიმით „ივერიაში“ განაგრძობს „ორხმიანი საახალწლო ოპერეტის“ ბეჭდვას. ტექსტს აწერია „შემდეგი იქნება“, მაგრამ მის წერას აღარ განაგრძობს. ►

**1895 8 იანვარი**

გაზეთი „კავკაზი“ აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან ერთად დაესწრო თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ალექსანდრე გრიბოედოვის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმს საახალწლო ნაძვისხესთან. ბავშვებს დაურიგეს წიგნები და ტკბილეული. ►

**1895 11 იანვარი**

კავკასიის სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ქმნ-კგ საზოგადოების სახელით აცნობებს, რომ სამოქალაქო გუბერნატორისგან მიიღეს სახალხო სეირნობისა და ლატარეის გამართვის ნებართვა და სთხოვს ამ ღონისძიებებისთვის გამოუყოს მუშტაიდის ბაღი. ►

**1895 13 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 13 იანვარი“ („ყველაზე უდიდესი ამბავი ამ ბოლო ხანებისა...“). მწერლის თხოულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები“. ►

- 1895 15 იანვრამდე**  
გიორგი წერეთელი გაზეთ „კვალი“ განაგრძობს სტატიის პუბლიკაციას სათაურით „კვალი. ორი წლის ნაღვანი“. იგი ამტკიცებს, რომ საქალაქო არჩევნებში სომეხთა გამარჯვება სავსებით ლოგიკურია, რადგან მათ ბევრად მეტი ამომრჩეველი ჰყავთ. მეორე მხრივ, მისი აზრით, აბსურდულია ხმების თანაბრად განაწილების მოთხოვნა და ამაზე აყალმაყალის ატეხა, რასაც, მისი თქმით, აკეთებს ილია ჭავჭავაძე. ►
- 1895 იანვრის შუა რიცხვები**  
დავით გურამიშვილი წარუდგენს ახალგაზრდა გიორგი ლასხიშვილს და სთხოვს მის მიღებას გაზეთ „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლად. ილია ჭავჭავაძე თანხმდება და ლასხიშვილი მეორე დღიდან იწყებს მასთან მუშაობას. ►
- 1895 17 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 17 იანვარი“ („ჩვენ წინა მეთაურში გამოვთქვით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები“. ►
- 1895 18 იანვარი**  
ქმნკ-გ საზოგადოების სახელით თხოვნით მიმართავს თბილისის საქალაქო საბჭოს, რომ 20 თებერვალს საქველმოქმედო კონცერტის ჩასატარებლად დაუთმოს მათი სხდომათა დარბაზი. ►
- 1895 19 იანვარი**  
მონაწილეობს თბილისის გუბერნატორთან გამართულ თათბირში, რომელზეც განიხილავენ სოფლის მმართველობაში გასატარებელ ცვლილებებსა და სასამართლოების მოწყობის საკითხს. ►
- 1895 25 იანვარი**  
ქალაქის თავის თანამდებობაზე ლუკა ასათიანის არჩევის მხარდასაჭერად იმყოფება ბათუმში. ხვდება დავით კლდიაშვილს, ივანე მესხს, გიორგი ჟურულის მშობლებს, ადგილობრივ ინტელიგენციას. სტუმრობს გრიგოლ ვოლსკის. არჩევნები ლუკა ასათიანის გამარჯვებით მთავრდება. ►
- 1895 5 თებერვალი**  
ქმნკ-გ საზოგადოების სახელით თხოვნით მიმართავს იოსებ რატილს, რომ მონაწილეობა მიიღოს 20 თებერვლის საქველმოქმედო კონცერტში თავის გუნდთან ერთად. ►
- 1895 10 თებერვალი**  
კავკასიის ოლქის მზრუნველს ქმნკ-გ საზოგადოების სახელით აცნობებს თუ რა ლექსების წაკითხვას აპირებენ 20 თებერვლის კონცერტზე (მათ შორის არის მისი ლექსის „გავსწორდეთ, ბედო...“ ვასილი ველიჩკოსეული თარგმანი) და კითხვით მიმართავს, ხომ არ შეხვდებიან ამის გამო რაიმე წინააღმდეგობას. ►
- 1895 21 თებერვალი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ამტკიცებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების დასაბეჭდ და ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის წიგნების მისაწოდებელ ხარჯებს. სამადლობელ წერილს უგზავნიან მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას კავკასიის არქეოლოგიური მასალების სამი ტომის გამოგზავნისთვის. დიმიტრი ფავლენიშვილის ნაცვლად ხაზინადრადროებიანიშნავენგამგეობისწევრპედაგოგნიკომთვარელიშვილს. განიხილავენ იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო მთვარელიშვილის შენიშვნებს ქუთაისელი პედაგოგის სამსონ დათეშიძის მიერ მომზადებული „დედა ენის“ შესახებ და თანხმდებიან, რომ მისი გამოცემა არსებული სახით მიზანშეწონილი არ არის. ►

**1895 28 თებერვალი**

ქმნ-კ საზოგადოების სახელით წერილობითი თხოვნით მიმართავს თბილისის გუბერნატორს, რომ დეფიციტის დასაფარავად ნება დართოს საზოგადოებას, მოაწყოს სახალხო სეირნობა და გამართოს ლატარეა. ►

**1895 თებერვალი**

გიორგი წერეთელი გაზეთ „კვალში“ ასრულებს სტატიის პუბლიკაციას სათაურით „კვალი. ორი წლის ნალვანი“, რომელიც მიმართულია გაზეთ „ივერიის“ წინააღმდეგ. ►

**1895 თებერვლის შემდეგ**

რვეულში იწერს მასალებს გაზეთ „კვალიდან“ და აკეთებს კრიტიკულ კომენტარებს. სავარაუდოდ, აგროვებს მასალას სტატიის დასაწერად. ►

**1895 5 მარტი**

მონაწილეობს ქმნ-კ საზოგადოების წლიურ კრებაში და 336 ხმით 3-ის წინააღმდეგ ირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარედ. ამავე კრებაზე მის მეუღლეს, ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძისას ირჩევენ საზოგადოების საპატიო წევრად. ►

**1895 5 მარტი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება დასაწყისი ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილისა „გაზეთი „ივერია“ და ეროვნება“. მასში ნათქვამია, რომ „ივერიის“ მესვეურთა აზრით, პარტიების არსებობა ჩვენი ცხოვრების ბუნებრივ მოთხოვნილებას არ შეადგენს. მათ მიაჩნიათ, რომ „ჩვენ ყველას ერთი საქმე, ერთი მიზანი გვაქვს – ეროვნების დაცვა“. პუბლიკაციის ავტორი ცდილობს რუსეთისა და ევროპის მაგალითზე მკითხველი დაარწმუნოს, რომ პარტიების არსებობა აუცილებელია. ►

**1895 7 მარტი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კ საზოგადოების სხდომას, რომელზეც საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ ნიკო ცხვედაძეს, ხაზინადრად – ნიკოლოზ მთვარელიშვილს და მდივნად – დავით კარიჭაშვილს. კმაყოფილდება თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორის შუამდგომლობა იმხანად გარდაცვლილი მათი კოლეგის – მოსე ნათაძის შვილისთვის სასწავლო წლის მეორე ნახევარში სწავლის ხარჯის დაფარვის თაობაზე. დადებითად წყდება ვალერიან გუნიას წიგნის „ქართული მიწერ-მოწერის კრებული“, სასწავლო ნივთებისა და აქვსენტი ცაგარელის „სამი კომედიის“ თონეთისა და კავკავის სკოლებისთვის გაგზავნის საკითხი. ►

**1895 12 მარტი**

მეუღლის, ოლღა გურამიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით მართავს წვეულებას. სტუმრად მყოფი გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და ილია ნაკაშიძე ერთუზიანობით საუბრობენ რუსეთში მეფობის გადაგდებისა და კონსტიტუციური წყობილების დამყარების აუცილებლობაზე, ილია ჭავჭავაძე კი ეუბნება, რომ ასეთი ცვლილებები საქართველოსთვის არახელსაყრელი იქნება. მისი თქმით, არსებულ ვითარებაში ჩვენი ქვეყანა ახერხებს რუსეთისთვის ფეხის აწყობას, მაგრამ თუ ეს დიდი იმპერია თავისუფლებას მოიპოვებს, სწრაფად წავაწინ, ჭერ ეკონომიკურად დაგვიპყრობს, შემდეგ კი ან გაგვარუსებს, ან აღგვგვის დედამიწის პირიდან. ►



**1895 12 მარტი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გაგრძელება ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილისა „გაზეთი „ივერია“ და ეროვნება“. მასში ნათქვამია, რომ გაზეთი „ივერია“ უპირისპირდება ყოველგვარ ახალ აზრს და რომ სამოციან წლებში შემუშავებულმა ეროვნულმა პრინციპმა ფასი დაკარგა. ავტორის აზრით, გაზეთი „კვალი“ და ჟურნალი „მოამბე“ განსხვავებული აზრის შემწყნარებლები და უფრო პროგრესულები არიან. ►

**1895 31 მარტი**

იღებს ზაქარია ერისთავის წერილს, რომლიდანაც იღებს, რომ ადრესანტი საკუთარი სახსრებით აპირებს სოფელ ოძისში სამეურნეო სკოლის გახსნას. ►

**1895 11 აპრილი**

ალექსანდრე ხახანაშვილი გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს რეცენზიას ვახტანგ ორბელიანის ლექსების წიგნზე და ეხება ილია ჭავჭავაძის მიერ „მშვენივრად შედგენილ“ ბიოგრაფიასაც. ►

**1895 12 აპრილამდე**

„ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებთან ერთად გორში ესწრება კრივს. ►

**1895 25 აპრილი**

იღებს ზაქარია ერისთავის წერილს, რომელშიც სთხოვს, მფარველობა გაუწიოს სოფელ ოძისში მის მიერ წამოწყებულ საქმეს. ►

**1895 26 აპრილი**

იმასთან დაკავშირებით, რომ თსს ბანკის გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა საყვედური გამოთქვა საიპოთეკო ფურცლების გაცემის შეჩერების თაობაზე, ილია ჭავჭავაძე დავით ავალიშვილთან და მიხეილ გრუზინსკისთან ერთად წერს განმარტებით ბარათს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ასეთი დროებითი შეჩერება, ბანკის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, აპრობირებული მეთოდია სხვა ბანკებშიც და კლიენტურის დაკარგვას არ იწვევს. ►

**1895 29 აპრილი**

ცალკე ბროშურად იბეჭდება ილია ჭავჭავაძის, დავით ავალიშვილისა და მიხეილ გრუზინსკის მიერ დაწერილი განმარტებითი ბარათი იმის თაობაზე, თუ რატომ არ გასცა თბილისის სათავადაზნაურო ბანკმა საიპოთეკო ფურცლები მსესხებლებზე. ►

**1895 7 მაისი**

მონაწილეობს თბილისის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს თსს ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და გრიგოლ არწრუნისეული ქარვასლის შეძენის საკითხებს. ►

**1895 9-11 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის წლიური კრების საქმიანობაში. ►

**1895 12 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე დამსწრეთ არწმუნებს, რომ არ დააჩქარონ წესდებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტების მინისტრთან წარდგენა, ორივე განიხილონ, შეაჯერონ და გაუმჯობესებული ერთი ვარიანტი წარადგინონ. იგი დასძენს, რომ თავადაზნაურთა პროექტში უმეტესად ამ წოდების ინტერესებია გათვალისწინებული, ხოლო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის მიერ მომზადებულში – ბანკის ყველა წევრისა. ►

**1895 13-14 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე მისი ინიციატივით მუხლობრივად განიხილავენ წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ ერთი მხრივ თავადაზნაურთა საკრებულოსა და ბანკის ზედამხედველი კომიტეტის და, მეორე მხრივ, გამგეობის მიერ მომზადებულ პროექტებს და ხმათა უმრავლესობით იღებენ დადგენილებას, რომ დასამტკიცებლად გაგზავნონ მეორე. ►

**1895 15-17 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე ებმება კამათში სათავადაზნაურო სკოლის დაფინანსებასთან დაკავშირებით და ამბობს, რომ არსებული დადგენილებით სკოლას უნდა მიეცეს მოთხოვნილი 51 ათასი მანეთი. კითხულობენ კრებისადმი მიხეილ მაჩაბლის მიმართვას, რომელშიც მისთვის სიტყვის მიუცემლობის გამო შეურაცხყოფილია სხდომის თავმჯდომარე. წერილი იწვევს ხმაურს. ილია ჭავჭავაძე ითხოვს, რომ კრებამ ფარული კენჭისყრით გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მაჩაბლის წერილისადმი. დამსწრეთა უმრავლესობა ფეხზე ადგომით ღიად ადასტურებს, რომ არ იზიარებს მაჩაბლის პრეტენზიებს. ►

**1895 18-19 მაისი**

მუშაობს პეტერბურგიდან მოვლინებულ რევიზორ ევსტაფი დობეცკისთან, რომელიც ამოწმებს თსს ბანკის ფინანსურ საქმიანობას. აღმოჩნდება მხოლოდ უმნიშვნელო ხარვეზები საქმის წარმოებაში. ►

**1895 19 მაისი**

თსს ბანკის რევიზიის დასრულების შემდეგ თბილისიდან მიმავალ რევიზორ ევსტაფი დობეცკის ივანე მაჩაბელი გადასცემს მოხსენებით ბარათს, რომელშიც ბანკის მუშაობის უარყოფითი შეფასებების გარდა საუბარია მიღებულ ბარალზე. ►

**1895 19 მაისის შემდეგ**

ივანე მაჩაბლის მიერ რევიზორ ევსტაფი დობეცკისთვის გადაცემული მოხსენებითი ბარათის პასუხად ილია ჭავჭავაძე, დავით ავალიშვილი და მიხეილ გრუზინსკი წერენ განმარტებით ბარათს. ისინი ამტკიცებენ, რომ ბანკი დაბარალდა სწორედ ივანე მაჩაბლის მიერ გატარებული არასწორი საბანკო პოლიტიკის გამო. ►

**1895 20 მაისი**

ესწრება თსს ბანკის წლიურ კრებას, რომელიც განიხილავს რევიზიის შედეგებს. ►

**1895 24 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება თსს ბანკის კრებაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა („მე, ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს“. ►

**1895 24 მაისი**

იღებს კონსტანტინე ყიფიანის წერილობით თხოვნას, რომ განიხილოს მისი კანდიდატურა შემფასებელი კომისიის წევრად. ►

**1895 24 მაისის შემდეგ**

თბილისის საოლქო სასამართლო იხილავს თედო სახოკიას საჩივარს „ივერიის“ რედაქტორ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. უკმაყოფილების მიზეზი ხდება ამ გაზეთში გამოქვეყნებული არტემ ახნაზაროვის წერილი თედო სახოკიას მიერ შეკრებილ და გამოცემულ „აკაკის ნაკვესებზე“. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ წიგნში შეტანილი გამონათქვამები უხამსი, უწმანური და უკადრისია, ერთი ნაწილი კი ამ ავტორს საერთოდ არ ეკუთვნის. ►

**1895 27 მაისი**

ფინანსთა სამინისტროს არაპირდაპირი მოსაკრებლების დეპარტამენტის დირექტორი წერილობითი თხოვნით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მეღვინეობის დარგში დიდი გამოცდილების მქონე პიროვნებას, მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში, რომლის მიზანია ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების გაუმჯობესება. ►

**1895 28 მაისი**

გიორგი ქორქია წერილობით სთხოვს გარკვეული თანხის სესხებას ათი დღის ვადით. ►

**1895 9 ივნისამდე**

ავსტრიიდან იღებს გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ ჰუგო შუხჰარდტის წერილს. ადრესანტი სთხოვს გაზეთ „ივერიის“ იმ ნომრების გაგზავნას, რომლებშიც მოთავსებულია დავით ჩუბინაშვილის ნარკვევი „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“. ►

**1895 9 ივნისი**

თბილისის სასამართლო განიხილავს საჩხერელი ფერშლის - იოანე მაშკოვის საჩივარს გაზეთ „ივერიისა“ და მისი რედაქტორის - ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ 1894 წლის 12 დეკემბერს ამ გაზეთში გამოქვეყნებული კორესპოდენციის გამო, რომლის მიხედვითაც საჩხერელი ფერშლის (გვარი დასახელებული არ ყოფილა) უყურადღებობას ემსხვერპლა ადამიანის სიცოცხლე. სასამართლო ილია ჭავჭავაძეს უდანაშაულოდ ცნობს. ►

**1895 11 ივნისი**

მონაწილეობს კონსტანტინე მუხრან-ბატონის სახლში გამართულ თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს ქარვასლის შესყიდვის საკითხს. ►

**1895 11 ივნისის შემდეგ**

ავსტრიიდან იღებს გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ ჰუგო შუხჰარდტის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ადრესანტი იწყებს „მგზავრის წერილების“ კითხვას. ►

**1895 13 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც გამოყოფენ წიგნების დასაკაზმ თანხას და მიხეილ ნასიძის ჰონორარს წიგნისთვის „ქართული ქრესტომატია უმცროს კლასებისათვის“. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად იჩვენ სიმონ ლოღობერიძეს. თანხმდებიან, რომ პეტერბურგის, მოსკოვისა და ხარკოვის წერა-კითხვის კომიტეტებს წერილობითი თხოვნა გაუგზავნონ მათ მიერ გამოცემული წიგნების, პროგრამების, წესდებებისა და სასკოლო ბლანკების მისაწოდებლად. ►

**1895 25 ივნისი**

გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ აქვეყნებს ცნობას, რომ ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ერნსტ ლეიდენი აღძრავს საქმეს „ივერიის“ რედაქტორის - ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. მისი უკმაყოფილება გამოიწვია პუბლიკაციამ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისში ვიზიტის დროს ექიმი ლეიდენი პაციენტებს თანხაზე ვეაჭრებოდა და ერთ-ერთი მათგანი კონსულტაციის გარეშე დატოვა. ლეიდენის თქმით ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია და პუბლიკაცია ცილისწამებაა. ►

**1895 25 ივნისის შემდეგ**

ბროშურის სახით გამოდის რევიზორ ევსტაფი დობეცკის სახელზე შედგენილი განმარტებითი ბარათი, როემლსაც ხელს აწერენ თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე და წევრები: დავით ავალიშვილი და მიხეილ გრუზინსკი. ►

**1895 ივნისი**

ჟურნალი „რუსკაია მისლ“ ბეჭდავს ალექსანდრე ხახანაშვილის ვრცელ სტატიას ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. ►

**1895 ივლისიდან**

ალექსანდრე ხახანაშვილის სტატიას ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ეხმაურება ბაქოში გამომავალი რუსული გაზეთი „კასპია“. ავტორის აღშფოთებას იწვევს ხახანაშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის შედარება პუშკინთან, ლერმონტოვთან და გოგოლთან. ►

**1895 2 ივლისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გაგრძელება ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილისა „გაზეთი „ივერია“ და ეროვნება“. მასში საუბარია „ივერიის“ კონსერვატივიზმზე და ნათქვამია, რომ ამ გაზეთის თვალთახედვის ისარი ერთ წერტილზეა დამდგარი, მას ის აზრები შეუსისხლხორცებია, რაც 50 წლის წინათ იყო ევროპაში და მოძველდა. ►

**1895 3 ივლისი**

ქმნ-კვ საზოგადოების გამგეობის სახელით წერილობით მიმართავს კირილე ლორთქიფანიძეს, რომ თანდართული სიის მიხედვით შეაგროვოს საწევრო გადასახადები. ასევე, სთხოვს დააზუსტოს, ხომ არ არის სიაში ისეთი პირი, რომელსაც აღარ სურს საზოგადოების წევრობა. ►

**1895 3 ივლისი**

ქმნ-კვ საზოგადოების გამგეობის სახელით წერილს უგზავნის ამ საზოგადოების დამხმარე წევრს საჩხერეში ბეჟან წერეთელს მის მაზრაში საწევრო გადასახადების დროული აკრეფის, ცალკეულ წევრთა მისამართების დაზუსტებისა და სააგენტო დავთრების გადაგზავნის თხოვნით. ►

**1895 9 ივლისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება დასაწყისი ნოე ჟორდანიას წერილისა „მოამბე“, „ივერია“ და ეროვნება“, რომელშიც ცილს სწამებს „ივერიას“, თითქოს იგი კაპიტალიზმის გავლის გარეშე პირდაპირ სოციალიზმში შესვლას აღუთქვამდეს მკითხველს. ►



- 1895 11 ივლისი**  
საგურამოდან ჩამოსული დაგვიანებით იგებს პეტრე ნაკაშიძის გარდაცვალების ამბავს. ►
- 1895 11 ივლისი**  
სამძიმრის წერილს უგზავნის პეტრე ნაკაშიძის მეუღლეს, ბაბალეს და დიდ გულისტკივილს გამოთქვამს საუკეთესო მეგობრის გარდაცვალების გამო. ►
- 1895 16 ივლისი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გაგრძელება ნოე ჟორდანიას წერილისა „მოამბე, „ივერია“ და ეროვნება“. მასში ნათქვამია, „ივერია“ გამუდმებით იმეორებს: ეკონომიკური წყობილება ის საფუძველია, რომელზეც შენდება ერის პოლიტიკური და იურიდიული წყობილება, მაგრამ, როცა ჩვენი ცხოვრების შესახებ მსჯელობს, ამას მუდამ ივიწყებსო. ►
- 1895 20 ივლისი**  
„ილიაობის“ დღესასწაულის აღსანიშნავ წვეულებაზე უღებენ ფოტოს, რომელზეც სტუმრებთან ერთად უსმენს საზანდარს,. ►
- 1895 22 ივლისი**  
პოეტის ქალი დომინიკა ერისთავი, რომელიც წერდა „განდეგილის“ ფსევდონიმით, უძღვნის ლექსს („ირგვლივ მთებს მწვანე მანტია წამოუბურავს გმირულად...“). ►
- 1895 25 ივლისი**  
იღებს დავით ავალიშვილის წერილს მის მიერ გადახდილ ორ ვექსილთან ერთად და სთხოვს, მეორე დღეს ბანკში მისვლას. ►
- 1895 27 ივლისი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გაგრძელება ნოე ჟორდანიას წერილისა „მოამბე, „ივერია“ და ეროვნება“. ავტორი ცდილობს გერმანიისა და საფრანგეთის მაგალითზე მკითხველის დარწმუნებას, რომ ილია ჭავჭავაძეს არ ესმის ეკონომიური ცვლილებების აუცილებლობა ერის განვითარებისთვის. ►
- 1895 ივლისი**  
ხელოსანთა არტელის წესდების პროექტის მისთვის გასაცნობად საგურამოში აკითხავენ მიხა ჩოდრიშვილი და გიორგი ლასხიშვილი. ილია ჭავჭავაძეს იდეა ძალიან მოსწონს და მოხარულია, რომ ხელოსანმა ჩარჩებს თავი დააღწიოს, მაგრამ შენიშნავს, რომ წესდებაში ხელოსანთა მხოლოდ უფლებებზეა საუბარი და არაფერია ნათქვამი მოვალეობებზე, რაც ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული. ►
- 1895 6 აგვისტო**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)“ („ფრიად საყურადღებო წერილი დაიბეჭდა...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად გამოქვეყნდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში სათაურით „ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდამ (სახალხო სკოლების უფლებათა შესახებ)“. ►
- 1895 6 აგვისტო**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გაგრძელება ნოე ჟორდანიას წერილისა „მოამბე“, „ივერია“ და ეროვნება“. ავტორი „ივერიას“ ბრალს სდებს, თითქოს ბრმად მიჰყვებოდეს რუსეთის ნაროდნიკების უტოპიურ თეორიას და ამ გაზეთს „ტეტიათა მოტრფიალეს“ უწოდებს. ►

**1895 13 აგვისტო**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება დასასრული ნოე ჟორდანიას წერილისა „მოამბე“, „ივერია“ და ეროვნება“. ავტორის თქმით, გაზეთი „ივერია“ გლახობას ამო დამპირებებს აძლევს, მაგრამ რეალურად არ ესმის მისი ინტერესები. იგი ურჩევს ამ გაზეთს, „უარყოს თავისი პოლიტიკურ-ეროვნული ლტოლვილებანი - ან თანახმად ეკონომიკური მოძღვრებისა, სრულიად გაკონსერვატორდეს ან უარყოს თავისი ეკონომიკური მოძღვრება და გაპროგრესისტდეს“. ►

**1895 18 აგვისტო**

წერილობით ატყობინებს თსს ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, რომ უგზავნის ივანე მაჩაბლის მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების პასუხად დაწერილი „განმარტებითი ბარათის“ ათ ეგზემპლარს. ►

**1895 24 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)“ („სოხუმიდგან გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ სწერენ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ) („ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი ცილს სწამებს ქართველობას)“. ►

**1895 აგვისტოს ბოლო**

სტამბურად იბეჭდება და გასაყიდად გამოდის მხატვარ მოსე თოიძის მიერ შექმნილი მისი პორტრეტი. ►

**1895 8 სექტემბრამდე**

წერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. ატყობინებს, რომ პარასკევს კრწანისის ბრძოლაში დაღუპულთა პანაშვიდია, გაზეთის ნომერი უნდა მოამზადოს და ამიტომ საგურამოში ვეღარ ავა. უკმაყოფილებას გამოთქვამს ცხენების დაკარგვის გამო. ►

**1895 8 სექტემბერი**

წერილობით ატყობინებს თსს ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, რომ ივანე მაჩაბელმა შეაფასა არა 10 მამული, არამედ -61 და მონაწილეობა მიიღო 103 მამულის შეფასებაში. ►

**1895 10 სექტემბრამდე**

მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან. ატყობინებს, რომ საქმეების გამო ვერ ადის საგურამოში. სთავაზობს, ეკიპაჟით ჩავიდეს თბილისში კვირას, რათა ორშაბათს ერთად დაესწრონ კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ პანაშვიდს. ►

**1895 10 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 სექტემბერი“ („ხვალ, 11 სექტემბერს, კრწანისის მინდორზე პანაშვიდია დანიშნული...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კრწანისის გმირთა მოსახსენებლად“. ►

**1895 11 სექტემბერი**

მეუღლესთან ერთად ესწრება კრწანისის ბრძოლის ასი წლისთავის აღსანიშნავ მსვლელობას და პანაშვიდს კრწანისის ველზე. მსახურებას ატარებს ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე). ►

- 1895 1 ოქტომბერი**  
 რუსი პოეტი ვასილი ველიჩკო წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს. ►
- 1895 4 ოქტომბერი**  
 სიტყვით მიმართავს რუს პოეტ ვასილი ველიჩკოს, ქართულ თეატრში მის პატივსაცემად გამართულ სადილობე. ►
- 1895 9 ოქტომბერი**  
 მონაწილეობს რაფიელ ერისთავის საიუბილეო კომიტეტის სხდომაში, რომელზეც საბოლოოდ დგინდება საიუბილეო ზეიმის დაწვრილებითი პროგრამა. ►
- 1895 13 ოქტომბერი**  
 იაკობ გოგებაშვილი ითვალისწინებს ეშნ-კვ საზოგადოების წესდების მერვე პარაგრაფს საპატიო წევრებად იმ პირების არჩევის შესახებ, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მწიგნობრობის გავრცელებაში და საზოგადოების საპატიო წევრობის კანდიდატებად წერილობით ასახელებს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. ►
- 1895 22 ოქტომბერი**  
 სიტყვით გამოდის რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის საღამოზე. მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს იუბილარისადმი გრიგოლ აბაშიძის მიერ მიძღვნილი ლექსი. იმავე საღამოს ესწრება ქარვასლის საზამთრო ბაღში გამართულ ვახშამს და იქაც გამოდის სიტყვით. წვეულებაზე საგანგებოდ სვამენ მის სადღეგრძელოს. ►
- 1895 24 ოქტომბერი**  
 გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება ეშნ-კვ საზოგადოების ადრესი რაფიელ ერისთავისადმი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო, რომელსაც გამგეობის წევრებთან ერთად ხელს აწერს საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე. ►
- 1895 ოქტომბრის ბოლო**  
 სტამბურად იბეჭდება და იყიდება საფოსტო ქაღალდები ილია ჭავჭავაძის სურათით. ►
- 1895 1 ნოემბრამდე**  
 წერილს იღებს ჰუგო შუხპარდტისგან მისთვის საჭირო ლიტერატურის გაგზავნის თხოვნით. ►
- 1895 1 ნოემბერი**  
 ეშნ-კვ საზოგადოების გამგეობა ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილ საპასუხო წერილთან ერთად ჰუგო შუხპარდტს უგზავნის მის მიერ მოთხოვნილ ლიტერატურას, საზოგადოების წიგნის მაღაზიის კატალოგს და სხვა წიგნებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ადრესატს გამოადგება. ►
- 1895 5 ნოემბერი**  
 გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 4 ნოემბერი“ („გუშინდელმა კორესპონდენციამ თელავიდან..“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. ►

**1895 8 ნოემბერი**

მონაწილეობს თავადაზნაურთა კომისიის სხდომაში, რომელსაც მინდობილი აქვს სოფელ ოძისში ზაქარია ერისთავის მამულში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საკითხის გარკვევა. ►

**1895 9 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 9 ნოემბერი“ („ჩვენს მეთაურში ამ რამდენიმე დღის წინაა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. ►

**1895 13 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებას, რომელზეც განიხილავენ გამგეობის მოხსენებას დამატებითი ხარჯების შესახებ. ►

**1895 14 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 14 ნოემბერი“ („შუაგული, შუანასკვი ეგრედნოდებულ აღმოსავლეთის საქმისა ოსმალეთია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“. ►

**1895 14 ნოემბრის შემდეგ**

ახლო აღმოსავლეთის შესახებ გამოქვეყნებული მისი მოწინავეს საპასუხოდ გაზეთ „კვალში“ „ხომლელის“ ფსევდონიმით იბეჭდება რომანოზ ფანცხავას გამოხმაურება სათაურით „მოგიერთი ფიქრი“. ►

**1895 16 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 16 ნოემბერი“ („ჩვენ ამას წინაა ორს მეთაურ წერილში..“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. ►

**1895 16 ნოემბერი**

პროფესორ ჰუგო შუხჰარდტს საჩუქრად უგზავნის „ნარკვევებს ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“ და „ივერიის“ იმ ნომრებს, რომლებშიც დაბეჭდილია სტატია „კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“. უხსნის, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის მისი დაინტერესება ქართული კულტურით. ►

**1895 17 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 17 ნოემბერი“ („მეორე საგანი „კახეთის მეურნეთა კავშირისა“ იგია..“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. ►

**1895 19 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 19 ნოემბერი“ („საოცარი მდგომარეობაა დღევანდელის პოლიტიკისა ევროპაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ოსმალეთის არეულობა და ევროპა“. ►



**1895 19 ნოემბერი**

იღებს ზაქარია ერისთავის წერილს, რომელშიც ატყობინებს, რომ სურს ვასილ პეტრიაშვილის დანიშვნა ოძისის სამეურნეო სასწავლებლის დირექტორად. ►

**1895 23 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 23 ნოემბერი“ („იქნება ომი თუ არა? სულ ყველანი დღეს ამას ჰკითხულობენ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „იქნება ომი თუ არა“. ►

**1895 24 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 ნოემბერი“ („დიდი ხანია ევროპის მეცნიერნი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ციხეში ჭდომა უფრო ახშობს ზნეობას, ვიდრე აფხიზლებს“. ►

**1895 26 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 ნოემბერი“ („ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქალაქში გახშირებული მითქმა-მოთქმა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ელექტრონით განათება თბილისისა“. ►

**1895 27 ნოემბერი**

ჰოგო შუხპარდტისგან იღებს სამადლობელ წერილს გაგზავნილი წიგნებისა და გაზეთებისთვის. ►

**1895 29 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 29 ნოემბერი“ („ჩვენ ამას წინად მოკლედ აღვნიშნეთ ის საგნები...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. ►

**1895 ნოემბრის მეორე ნახევარი**

რუსი კომპოზიტორის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ შედგენილ წიგნში „ქართული ხალხური სიმღერა და მისი თანამედროვე მდგომარეობა (ნოტები)“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის „ელეგიის“ ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე და სიმღერის ნოტები. ►

**1895 3 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს ვრცელი მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 3 დეკემბერი“ („მართალია, ბევრი ლაპარაკი იმისთანა საქმეზე...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. ►

**1895 5 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 5 დეკემბერი“ („ყოველ მხრიდამ სწორედ შესაძრწუნებელი ამბები მოდის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „წყალდიდობა საქართველოში“. ►

**1895 13 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება დავით მიქელაძის წერილი სათაურით „ცოტა რამ ჩემს მონაწილეობის შესახებ „ივერიაში“. მასში გარკვეული უკმაყოფილებაა გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რომ გაზეთის გაუმჯობესება შეიძლებოდა და არ მოხერხდა. ►

**1895 19 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 დეკემბერი“ („ყველა იძახის, რომ სომეხთა საქმე მიწყნარდა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ოსმალეთის სომეხთა განწირვა“. ►

**1895 19 დეკემბერი**

თბილისის სასამართლო პალატა განიხილავს გაზეთების „ივერია“ და „ნოვოე ობოზრენიე“ რედაქტორების - ილია ჭავჭავაძისა და ვასილ თუმანიშვილის საქმეს ზემოხსენებულ პერიოდულ გამოცემებში საჩხერელი ფერშლის – მაშკინის შესახებ არასწორი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო. რედაქტორებს ბრალი არ უმტკიცდებათ და გამართლებულები ტოვებენ სასამართლო დარბაზს. ►

**1895 21 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 დეკემბერი“ („დიდი ხანია ცნობილია, რომ ან მომქმედი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურის მოძველებული წესწყობილების შეცვლის საჭიროებაზე“. ►

**1895 30 დეკემბერი**

ესწრება ღარიბ მოსწავლეთა შემწე თავადაზნაურთა საზოგადოების კრებას და ებმება კამათში თბილისის სკოლისთვის სახსრების მოძიებასთან დაკავშირებით. ►

**1895 30 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 30 დეკემბერი“ („გამგე კომიტეტი სათავადაზნაურო სკოლისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქართული სკოლების გიმნაზიებად გადაკეთების თაობაზე“. ►

**1895 დეკემბრის ბოლო**

გამოდის ლექსების კრებული „საჩუქარი“ რომელშიც სხვა პოეტების თხზულებებთან ერთად შესულია მისი ლექსებიც. ►

**1895** ბარათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. სთხოვს, ცხენები და „პოვოსკა“ გაუგზავნოს ოთხშაბათისთვის, რადგან შპალერი შეიძინა და ხელოსანიც მიჰყავს, რომ ოთახებში გააკვრევიოს. ►

**1895** კრებულში „სალხინო საზანდარი“ იბეჭდება მისი ლექსები „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და „მძინარე ქალი“. ►

**1895** ლონდონში, ინგლისურ ენაზე, გამოდის მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „განდეგილი“. წიგნს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა, ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფია და სურათი. ►

- 1895** მასპინძლობს ოლივერ უორდროპის მეგობარს ვოგან ვილიამსს. ►
- 1895** ჟანდარმერია ჩხრეკს მის ბინას თბილისში. ►
- 1895** ივანე ანდრონიკაშვილი და არტემ ფირალიშვილი წარწერით ჩუქნიან თავიანთ წიგნს „თბილისის გუბერნიაში სასოფლო-სამეურნეო სკოლის ტიპის შესახებ“. ►
- 1895** ამთავრებს ახალი, სამსართულიანი სახლის მშენებლობას საგურამოში. ►
- 1895-**  
დან უბის წიგნაკში იწერს, ვისთვის რა თანხა აქვს მისაცემი და ვისგან რამდენი – ასაღები. ►
- 1895-**  
დან უბის წიგნაკში იწერს წიგნების ჩამონათვალს ფასებით, რომლებიც, სავარაუდოდ, იყიდა ან უნდა იყიდოს მოსკოვის წიგნის მაღაზიაში, რომლის მისამართი იქვეა მიწერილი. ►
- 1895-**  
დან რუსული ჟურნალებიდან «Новое время» და «Сельское хозяйство» უბის წიგნაკში ინიშნავს მისთვის საინტერესო თემებს. ►
- 1895-**  
დან პროფესორ ჯოზეფ ეკშტეინის წიგნიდან „ღირსება ფილოსოფიასა და სამართალში“ იწერს ციტატებს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ და უთითებს გვერდებს. ►
- 1896 1 იანვარი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ღვარძლიანი საახალწლო შარაუბი გაზეთ „ივერიისა“ („სამი წელია ირყევი, დროა დადგე სწორ გზაზე...“) და თსს ბანკისადმი („შენმა დიდმა წარმოებამ / ჩვენ მოგვცა კარგი ნაყოფი, / მხოლოდ გინუნებთ იმას, რომ / გარყვენი ყველა მანდ მყოფი...“). ►
- 1896 3 იანვარი**  
წინარეხის სკოლის პედაგოგი ლავრენტი მათიკაშვილი წერილობით მიმართავს, როგორც ქშნ-კგ საზოგადოების თავმჯდომარეს და სთხოვს ათი თვის ხელფასის ანაზღაურებას. ►
- 1896 4 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 იანვარი“ („ცხოვრება ცალკე ადამიანისა თუ მთელის ერისა უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „შინაური მიმოხილვა 1895 წლისა“. ►
- 1896 6 იანვარი**  
გაზეთ „კვალში“ გიორგი წერეთელი „მაზაკვალის“ ფსევდონიმით ბეჭდავს „ივერიისა“ და ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო წერილს „ძველი მტრობა ახალ ქერქში“. იგი ეხება სათავადაზნაურო სკოლის გიმნაზიად გადაკეთებასა და მის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ►

**1896 16 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავესთარილით „ტფილისი, 16 იანვარი“ („წარსული წლის 17 დეკემბრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „წარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)“. ►

**1896 16 იანვრიდან**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერებს კასრადის საბანკო საქმესთან დაკავშირებით. ►

**1896 16 იანვრიდან**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერებს ივანე მაჩაბლის პოზიციასთან დაკავშირებით და შემდეგ პუნქტებად იწერს, რა როგორ უნდა გაკეთებულიყო: 1. საჭირო იყო თავდაპირველად კონვერსიის შედეგების გაგება; 2. სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდებით ბირჟის გადატვირთვის საშიშროების გათვალისწინება და სხვ. ►

**1896 16 იანვრიდან**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერებს საბანკო კრიზისთან დაკავშირებით. ახსენებს ალექსანდრე ჩოლოყაშვილის წინდახედულებას და საბანკო პოლემიკებისას გაბატონებულ ურთიერთლანძღვას. ►

**1896 17 იანვრიდან**

ჟურნალში „კავკაზსკაია ჟიზნი“ ქვეყნდება ივან თხორჟევსკისეული რუსული თარგმანი პოემა „აჩრდილის“ ნაწყვეტისა სათაურით „არაგვს“. ►

**1896 26 იანვრამდე**

გაზეთ „კვალის“ 1893-1895 წლების ნომრებიდან იწერს მასალას და ამონაწერ ციტატებს ზოგან იქვე უკეთებს კომენტარს. ►

**1896 26 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ჭიბრეილი“ იწყებს ვრცელი ფელეტონის ბეჭდვას სათაურით „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ („მე არ ვიცი, როგორც აღმოვთქვა, რა სიხარული...“). ►

**1896 27 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ჭიბრეილი“ განაგრძობს ვრცელი ფელეტონის ბეჭდვას სათაურით „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ („წინა ლექციაში მოგახსენეთ, რომ საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანია...“). ►

**1896 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ჭიბრეილი“ ამთავრებს ვრცელი ფელეტონის ბეჭდვას სათაურით „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ („ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ეხლანდელის სიბრძნე-სიცრუისა...“). ►

**1896 28 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავესთარილით „ტფილისი, 28 იანვარი“ („მოსკოვსკიე ვედომოსტი“ (№ 20) თავისს მეთაურ წერილში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მობოდიშების თაობაზე“. ►



**1896 30 იანვარი**

უცნობი პირი უძღვნის რუსულ ლექსს („Скоро мне придётся поехать в край далёкий и чужой / Очень жаль, что до отъезда не увижусь я с тобой“). ►

**1896 3 თებერვალი**

ივანე ჭავჭავაძე და იოსებ ჩარეჩიშვილი ნიკო ნიკოლაძის საშუალებით ილია ჭავჭავაძესა და გიორგი ზდანევიჩს უთვლიან, რომ სახელმწიფო საბჭოში შესაძლოა განიხილონ შავი ზღვის სანაპიროების დასახლების საკითხი და სთხოვენ გამოთქვან აზრი ამასთან დაკავშირებით. ►

**1896 3 თებერვალი**

მისი თაოსნობით ქმნ-კგ საზოგადოება ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდს უხდის მის საპატიო წევრს გაბრიელ ეპისკოპოსს. ►

**1896 6 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 თებერვალი“ („გაზეთი „კავკაზი“ არა სცხრება...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების უსაფუძლო კრიტიკის თაობაზე“. ►

**1896 8 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 თებერვალი“ („გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი რომა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქართული სამონასტრო მამულების ბერძენი ბერების სამსახურში“. ►

**1896 9 თებერვალი**

მიუხედავად ივანე მაჩაბელთან უკიდურესი დაპირისპირებისა, გაზეთ „ივერიაში“ ადგილს უთმობს დადებით რეცენზიას მის ახალ თარგმანზე „იულიუს კეისარი“. ►

**1896 11 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 11 თებერვალი“ („სტირის და გლოობს მთელი საქართველო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო“. ►

**1896 17 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „inman“ იბეჭდება ივანე მაჭავარიანის რეცენზია ილია ჭავჭავაძის „განდევილის“ მარჯორი უორდროპისეულ თარგმანზე. იქვე წარმოდგენილია ამონარიდი ახლადგამოცემული წიგნის წინასიტყვაობიდან. ►

**1896 18 თებერვალი**

გაზ. „კვალში“ იბეჭდება ილია ხონელის (ბახტაძე) „ღია წერილი ბ. ილია ჭავჭავაძისადმი“ გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ გამოქვეყნებულ მის პუბლიკაციასთან დაკავშირებით. ►

**1896 24 თებერვალი**

ედინბურგში გამომავალ ჟურნალში „სქოთსმენ“ იბეჭდება რეცენზია „განდევილის“ მარჯორი უორდროპისეულ თარგმანზე და ნათქვამია, რომ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიდი ნიჭი და მდიდარი პოეტური ფანტაზია. ►

- 1896 26 თებერვლამდე**  
იღებს მარტორი უორდროპის წერილს და ინგლისურ ენაზე გამოცემულ „განდევილს“. ►
- 1896 26 თებერვალი**  
ვრცელ საპასუხო წერილს უგზავნის მარტორი უორდროპს და დიდ მადლიერებას გამოხატავს იმის გამო, რომ მისი წყალობით ინგლისელები გაეცნობიან საქართველოს და მის მწერლობას. ►
- 1896 8 მარტი**  
თბილისის მაზრის უფროს ლევან ჭანდიერთან, ნიკო ღოღობერიძესთან, ივანე რატიშვილთან, ანდრია ღულაძესთან და სხვებთან ერთად მატარებლით მიემგზავრება ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად. ►
- 1896 9 მარტი**  
ჩადის ქუთაისში. ექვთიმე თაყაიშვილთან და ლევან ჭანდიერთან ერთად სტუმრობს ნიკო ღოღობერიძის ძმას სათავადაზნაურო სკოლის გამგე სიმონ ღოღობერიძეს. ►
- 1896 9-10 მარტი**  
რამდენადაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ არის, მისი ქუთაისში ყოფნის გამო ადგილობრივ პოლიცმაისტერს თბილისიდან ზედიზედ მისდის დეპეშები, რომ თვალი ადევნოს და ჩაინეროს მის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა. ►
- 1896 10 მარტი**  
სიტყვას ამბობს გელათში გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე. ►
- 1896 10 მარტი**  
გელათიდან სხვებთან ერთად წამოსულს ნიკო ღოღობერიძე პატიჟებს სასტუმროს სასაბუღალტრო დარბაზში, სადაც ხვდება გიორგი შერვაშიძეს და ლეჩხუმის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლ იასონ გელოვანს. მის საპატივცემულოდ ახალ სუფრას შლიან და წვეულებას აგრძელებენ. ღამით რჩება სიმონ ღოღობერიძის ოჯახში. ►
- 1896 11 მარტი**  
სიმონ ღოღობერიძესთან აკითხავს კირილე ლორთქიფანიძე და მიდიან ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სანახავად. ►
- 1896 19 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება „სიტყვა, თქმული ილია ჭავჭავაძის მიერ გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“ („არ ვიცი ამდენ მშვენივრად თქმულ სიტყვებს შემდეგ რა მოგახსენოთ...“). ►
- 1896 20 მარტი**  
ივანე გვარამაძისგან იღებს წერილს გაბრიელ ეპისკოპოსთან დაკავშირებით. ►

**1896 31 მარტი**

გაზეთ „კვალში“ სათაურით „ესეც „უცნაურია?!“ (ვუძღვნი ახალ ლექტორს „ჭიბრელს“ და მისიანებს)“ იბეჭდება კირილე შევარდნაძის გამომხმაურება ილია ჭავჭავაძის წერილზე „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“. ►

**1896 მარტი**

გაზეთ „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებს - დავით მიქელაძესა და გიორგი ლასხიშვილს შორის შექმნილი უთანხმოების გამო ილია ჭავჭავაძესთან ოჯახში მიდიან გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და ილია ნაკაშიძე. სთავაზობენ, რომ „ივერია“ მათ გადასცეს და რომელიმე მათგანი დაამტკიცოს რედაქტორად. ►

**1896 2 აპრილი**

საცენზურო კომიტეტის დაბარებით ესწრება სხდომას, რომელიც განიხილავს გაზეთ „ივერიაში“ იაკობ ცინცაძის მიერ „თომანთ კობას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ფელეტონის „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ“ საკითხს. პუბლიკაციაში მხილებულია იმპერიის სასწავლებლებში გამეფებული გარემო: აღმზრდელთა ფარისევლობა და მოწაფეთა ჩაგვრა. ნაჩვენებია, რომ განათლების ნაცვლად ახალგაზრდებს სასწავლებლიდან მიაქვთ „გატეხილი გული“, „დასუსტებული ჯანი“ და „შერყეული რწმენა“. ამ ფელეტონის გამოქვეყნებისთვის ილია ჭავჭავაძეს, როგორც რედაქტორ-გამომცემელს ეძღევა შენიშვნა. ►

**1896 4 აპრილი**

ლონდონში გამომავალ ჟურნალში „აკადემი“ იბეჭდება რეცენზია „განდევილის“ მარჯორი უორდროპისეულ თარგმანზე. სტატიის ავტორი წერს, რომ მთარგმნელმა შეძლო ილია ჭავჭავაძის ნიჭის წარმოჩენა და მკითხველს საშუალება მისცა გასცნობოდა მის ღირსშესანიშნავ მოღვაწეობას. ►

**1896 8 აპრილი**

პეტერბურგიდან აგზავნის დეპეშას, რომელშიც ნათქვამია, რომ ეშნ-კვ საზოგადოებისადმი შეწირული დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენის მიმდინარეობაზე მეთვალყურეობა იკისრა ალექსანდრე ცაგარელმა. ►

**1896 17 აპრილი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს საიდუმლოდ ატყობინებს, რომ თებერვალში გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა „ტენდენციური“ ფელეტონი „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ“ და მოითხოვს გაზეთის მიმართ ადმინისტრაციული სანქციის გამოყენებას. ►

**1896 20-25 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას და ებმება კამათში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით. ►

**1896 27 აპრილი**

სიტყვით გამოდის თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებაზე, კითხულობს ფინანსთა მინისტრის პასუხს გამგეობის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე, განიხილავს რევიზორის იმ შენიშვნებს, რომლებსაც ეყრდნობა მინისტრის დოკუმენტი და განმარტავს მუხლობრივად. მტკიცდება, რომ შეცდომები დაშვებულია დამფასებელთა მუშაობაში და ბანკის დანაკარგები ამით არის გამოწვეული. ასევე, იკვეთება ბუღალტერ დიმიტრი ფავლენიშვილის ბრალეულობა, რომლის ხარვეზებიც გამგეობამ აღრევე შენიშნა და სამსახურიდან გაათავისუფლა. მომხსენებელი ოპოზიციურ ჯგუფს შეახსენებს, რა ქარცეცხლი დაატეხეს მას თავს იმ თანამშრომლის დათხოვნის გამო, რომლის მუშაობასაც უკავშირდება მინისტრის მიერ მონერილი უმთავრესი შენიშვნა. ბოლოს იღია ჭავჭავაძე აცხადებს, რომ მინისტრის მონერილობაში არაფერია ისეთი, რაც თსს ბანკს სახელს გაუტეხს და კლიენტებს დაუკარგავს, მაგრამ ასეთი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ოპოზიციონერთა გამონათქვამებს. მათი გამოსვლები, რომლებშიც უკიდურესად არის გაზვიადებული მინისტრის მიერ მიცემული შენიშვნები, ვრცელდება პრესის მეშვეობით და გემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. იმართება ცხარე კამათი მისი მოხსენების ირგვლივ. ოპოზიცია მოითხოვს კომისიის დანიშვნას წარმოდგენილი საკითხების განსახილველად. ▶

**1896 28 აპრილი**

თსს ბანკის სხდომის გახსნისთანავე ნიკოლოზ ორბელიანი იღია ჭავჭავაძისგან ითხოვს ბოდიშის მოხდას ივანე მაჩაბლისთვის „დანოსჩიკის“ წოდებისთვის, მაგრამ ილიას განმარტებისა და მოწმეთა დადასტურების შემდეგ ირკვევა, რომ მას ასეთი რამ არ უთქვამს. ამის შემდეგ იღია ჭავჭავაძე განიხილავს ივანე მაჩაბლის მიერ რევიზორისთვის გადაცემულ დოკუმენტს და მიღებულ დასკვნას. იწყება კამათი, რომლის დროსაც თავმჯდომარე დიმიტრი მუსხელიშვილი იღია ჭავჭავაძეს აღარ აძლევს სიტყვას. ეს იწვევს აურზაურს, თავმჯდომარე ტოვებს კრებას და ამბობს, რომ მინისტრს მოახსენებს. ▶

**1896 30 აპრილი**

მთავარმართებლის კანცელარია საცენზურო კომიტეტიდან მიღებული საიდუმლო შეტყობინების საფუძველზე წერილობით აცნობებს მთავარმართებლის საბჭოს გაზეთ „ივერიის“ მავნე მიმართულების შესახებ. ▶

**1896 მარტის ბოლო – აპრილი**

მისი ხელმოწერით წიგნად გამოდის ქშნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ▶

**1896 4 მაისი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ჰაკელი საიდუმლო მოხსენებას გზავნის პეტერბურგში იღია ჭავჭავაძის არასაიდუმლოების შესახებ. ▶

**1896 9 მაისი**

თსს ბანკის სხდომაზე თავმჯდომარე დიმიტრი მუსხელიშვილი ცდილობს კრებას მიაღებინოს დოკუმენტი, რომ ეთანხმებიან რევიზორის დასკვნებს, რისთვისაც იღია ჭავჭავაძე ამხელს მიკერძოებულობაში. ▶

**1896 10 მაისი**

მთავარმართებლის საბჭოს გამოაქვს დადგენილება გაზეთ „ივერიის“ რვა თვით დახურვის შესახებ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უმჯობესი იქნებოდა მისი გამოცემის საერთოდ აკრძალვა, მაგრამ თავს იკავებენ, რამდენადაც იგი ერთადერთი ყოველდღიური ქართული პერიოდული ორგანოა. მთავარმართებლის თანაშემწე სერგეი ტატიშჩევი დეპეშით აცნობებს იმხანად მოსკოვში მყოფ მთავარმართებელ სერგეი შერემეტიევს ამ დადგენილების შესახებ და სთხოვს მის დამტკიცებას. ▶



**1896 10-11 მაისი**

თსს ბანკის სხდომაზე ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა გამოდის წინადადებით, რომ მათ მიენდოს რევიზორის დასკვნის განხილვა და შედეგებს წარუდგენენ კრებას. საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე ოპოზიცია ითხოვს თსს ბანკის წევრთა სიების გადამოწმებას. ►

**1896 11 მაისი**

მთავარმართებელი სერგეი შერემეტიევი მოსკოვიდან გზავნის საგანგებო დეპუტას, რომლითაც ამტკიცებს მთავარმართებლის საბჭოს გადაწყვეტილებას გაზეთ „ივერიის“ რვა თვით დახურვის შესახებ. ►

**1896 11 მაისის შემდეგ**

თეატრის შენობაში თსს ბანკის კრებაზე ხვდება გიორგი ლასხიშვილს და გიორგი ზდანევიჩს, აცნობებს მთავარმართებლის გადაწყვეტილებით „ივერიის“ გამოცემის რვა თვით აკრძალვის შესახებ და საყვედურობს, რომ ეს იყო „ივერიის“ ახალგაზრდა თანამშრომელთა ჯგუფის რადიკალური სტატიების შედეგი. ►

**1896 12-13 მაისი**

თსს ბანკის სხდომაზე საუბარი გრძელდება მინისტრის შენიშვნებსა და ბანკის მუშაობაზე. თავმჯდომარეს - დიმიტრი მუსხელიშვილს საშუალებას არ აძლევენ, რომ ბანკის წევრთა სია შემთხვევით პიროვნებებს გადაამოწმებინოს. ამის გამო იგი კვლავ წყვეტს სხდომას და იმუქრება, რომ ერთი წლის მანძილზე აღარ დანიშნავს. ►

**1896 13 მაისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების კრებას, რომელზეც განიხილავენ სამკითხველოების გახსნისა და წიგნთსაცავისთვის ახალი შენობის გამოძებნის საკითხებს. ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძე შეუძლოდ ყოფნის გამო ტოვებს სხდომას. ამავე სხდომის ბოლოს ალექსანდრე ეპისკოპოსს (ოქროპირიძეს), ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ირჩევენ საზოგადოების საპატიო წევრებად. ►

**1896 17 მაისი**

გამოდის გაზეთ „ივერიის“ 103-ე ნომერი და მთავარმართებლის საბჭოს გადაწყვეტილებით მისი გამოცემა წყდება რვა თვით. ►

**1896 20 მაისი**

თსს ბანკის კრებაზე ხმის უმრავლესობით ირჩევენ მმართველობის თავმჯდომარედ, ივანე მაჩაბელს კი - დირექტორად. ►

**1896 21 მაისი**

ილია ჭავჭავაძე, ბანკის მეორე დირექტორი და ზედამხედველი კომიტეტის წევრები უარს აცხადებენ ივანე მაჩაბელთან ერთად მუშაობაზე. ►

**1896 23 მაისი**

ტარდება თსს ბანკის გამგეობის სხდომა, რომელზეც გადაწყვეტილება გამგეობის გადადგომის შესახებ უკანონოდ ცხადდება და მის წევრებს სთხოვენ საქმიანობას დაუბრუნდნენ ბანკის ახალი ხელმძღვანელობის არჩევამდე. ►

**1896 მაისის ბოლო**

თბილისსა და საგურამოში მასპინძლობს საქართველოში მეორედ ჩამოსულ მარჯორი უორდროპს, რომელსაც თან ახლავს დედ-მამა და უმცროსი ძმა. ►

**1896 19-20 ივნისი**

მონაწილეობს თსს ბანკის საგანგებო კრებაში, რომელიც ითხოვს ხელახალ არჩევნებს. ივანე მაჩაბელი ამის წინააღმდეგია. კენჭისყრაზე უარს ამბობენ ილია ჭავჭავაძე და ზედამხედველი კომიტეტის წევრებიც, მაგრამ კრება მათ იძულებულს ხდის კენჭი იყარონ. ილია ჭავჭავაძეს ხელმეორედ ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ. ►

**1896 4 ივლისამდე**

-დან იღებს ტერ-მინასოვის ბარათს და იგებს, რომ სწორედ იმ დღეს გასდის ვადა მის ვექსილს აზოვის ბანკში. ►

**1896 4 ივლისი**

-დან წერილს უგზავნის მიხეილ ჩიკვაიძეს და ატყობინებს, რომ იმავე დღეს ვადა გასდის მის ვექსილს აზოვის ბანკში. შიშობს, რომ კრედიტს აღარ მისცემენ, რაც ძალიან დააზარალებს. სთხოვს როგორმე ორიოდ დღე აცადონ, სანამ ახალი ვექსილის წარდგენას შეძლებს. ►

**1896 9 ივლისამდე**

თელავში ამგზავრებს მარჯორი და ოლივერ უორდროპებს და ივანე როსტომაშვილს უგზავნის წერილს, რომელშიც სთხოვს ღირსეული მეგზურობა გაუწიოს. ►

**1896 14 ივლისი**

ვასილი ველიჩკო ვერ ახერხებს მისი სახელობის დღეზე საგურამოში ჩასვლას და უგზავნის ლექსს: „Высокочитимый Князь Илья! Скорблю, скорблю о томъ глубоко, что день великаго пророка, Не съ вами славить буду я...“. ►

**1896 20 ივლისი**

დიდი ზეიმი იმართება საგურამოში მისი სახელობის დღესთან დაკავშირებით. ქართული ეროვნული ტანსაცმლით მოსილი ორმოცამდე ცხენოსანი ვაჟკაცი მგზავრულის სიმღერით უახლოვდება და გადასცემს საგანგებოდ დამზადებულ დროშას, რომელზეც ამოქარგულია მისი სიტყვები პოემიდან „მეფე დიმიტრი თავდადებული“: „კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათვიდეს“. ►

**1896 20 ივლისი**

უღებენ ფოტოს დასთან – ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისასთან, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძესთან, მარჯორი, თომას და ოლივერ უორდროპებთან და სხვა სტუმრებთან ერთად საგურამოს სახლის კიბეზე. ►

**1896 20 ივლისი**

უღებენ ფოტოს საგურამოში ილიაობის დღესასწაულზე გაშლილ საზეიმო სუფრასთან. ილია ჭავჭავაძე თეთრ სამოსში ჩაცმული დგას უკანა პლანზე მარჯორი უორდროპის გვერდით. მარცხნივ უდგანან მარჯორი უორდროპის ძმა – თომასი და მათი მამა. ►

**1896 28 ივლისი**

მონაწილეობს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს კახეთის რკინიგზის საკითხს. დამსწრეთა ნაწილი მოითხოვს, რომ რკინიგზა სახელმწიფომ გაიყვანოს, მეორე ნაწილი, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, კი მომხრეა, რომ ეს საქმე თავადაზნაურობამ აიღოს თავის თავზე. იგი, როგორც საგანგებო კომისიის წევრი, საკუთარ პროექტს სთავაზობს კრებას. მისი პროექტი თავადაზნაურობის უმრავლესობის მხარდაჭერით მტკიცდება და ილია ჭავჭავაძე ამის შესახებ დეპუტატად აუწყებს გზათა მინისტრს. ►

**1896 ივლისი**

წიგნში „სალამური“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსზე „ნანა“ შექმნილი სიმღერის ზაქარია ჩხიკვაძის მიერ ჩანერილი ნოტები. ►

**1896 7 აგვისტო**

თბილისის საოლქო სასამართლოზე განიხილავენ თედო სახოკიას მიერ ილია ჭავჭავაძის, როგორც რედაქტორის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარს არტემ ახნაბაროვის მიერ გაზეთ „ივერიაში“ „ჩიორას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული რეცენზიის გამო. რეცენზია ეხება მომჩივანის მიერ გამოქვეყნებულ „აკაკის ნაკვესებს“ და, მისი მტკიცებით, შეიცავს მის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. სასამართლოს დადგენილებით ილია ჭავჭავაძის ბრალეულობა არ დასტურდება. ►

**1896 10 აგვისტო**

ნიკოლოზ ჭამბაკურ-ორბელიანის საჩივრის საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს საგანგებო კანცელარია კრედიტების დარგში ილია ჭავჭავაძისგან, როგორც თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარისგან, ითხოვს განმარტებას, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს, რომ გამგეობის ყოფილი წევრი ივანე მაჩაბელი უდანაშაულოდ დაისაჯა. ►

**1896 10 აგვისტოს შემდეგ**

ილია ჭავჭავაძე, როგორც თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო კანცელარიას კრედიტების დარგში, მათივე მოთხოვნის პასუხად, უგზავნის ვრცელ განმარტებას საბანკო საქმეებში ივანე მაჩაბლის ბრალეულობასთან დაკავშირებით. დოკუმენტს, რომელიც თითქმის 100 ნაბეჭდი გვერდია, დანართის სახით ახლავს კიდევ 78 დოკუმენტი და ადგილობრივი გაზეთების ექვსი ნომერი. ილია ჭავჭავაძის გარდა, ამ განმარტებით დოკუმენტაციას ხელს აწერენ თსს ბანკის დირექტორები: დავით ავალიშვილი, მიხეილ გრუზინსკი და ქრისტეფორე მამაცაშვილი. ►

**1896 10 აგვისტოს შემდეგ**

ილია ჭავჭავაძისა და თსს ბანკის დირექტორების ხელმოწერით გამოდის ბროშურა „თსს ბანკის მმართველობის განმარტება კრედიტების დარგში ფინანსთა სამინისტროს საგანგებო კანცელარიისადმი თავად ჭამბაკურ-ორბელიანის საჩივართან დაკავშირებით“. ►

**1896 14 აგვისტო**

საგურამოში მასპინძლობს ბანკში სახლის დაგირავების პირობების გასარკვევად მასთან სტუმრად მისულ გორელ დეკანოზ ნიკოლოზ ნათიძეს. ილია ჭავჭავაძე იკონებს ყმაწვილობისდროინდელ მისწრაფებებს ბერად შედგომასა და ჭუჭუბე გარიბალდისთან მოხალისედ წასვლაზე. საუბრობენ ქართული მიწების რუსების მიერ შესყიდვაზე, მნეობის დაკარგვასა და სხვა საკითხებზე. ►

- 1896 6 ოქტომბერი**  
გაზეთი „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება მოთხრობის „კაცია – ადამიანი?!“ ერთი თავის ა. ნიკიტინისეული თარგმანი. ►
- 1896 18 ოქტომბერი**  
როგორც თსს ბანკის თავმჯდომარე იღებს წერილს რუსეთის ფინანსთა სამინისტროდან გადასახადებისა და წაგების ბალანსებთან დაკავშირებით. ►
- 1896 18 ოქტომბრის შემდეგ**  
როგორც თსს ბანკის თავმჯდომარე წერს პასუხს რუსეთის ფინანსთა სამინისტროდან მოსულ შენიშვნებზე. მოითხოვს ხელახალ რევიზიას, რომელიც დეტალურად შეისწავლის ბანკის ყველა მოქმედებას. ►
- 1896 20 ოქტომბერი**  
გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ბეჭდავს ინგლისური პრესის გამოხმაურებას „განდევლის“ მარჯორი უორდროპისეულ თარგმანზე. ►
- 1896 21 ოქტომბერი**  
ადგენს პირობის წიგნს, რომლის მიხედვითაც სოფელ თაქლაში მცხოვრებ ნავრუბა ყურბან-ოღლის ევალება საგურამოში მისი პირუტყვის მოვლა. ►
- 1896 31 ოქტომბერი**  
წერილს სწერს ალექსანდრე სარაჯიშვილს, ატყობინებს, რომ თანახმაა „ივერიის“ თანარედაქტორად მის დანიშვნაზე და სთავაზობს მოვალეობების თანაბარ გადანაწილებას. ►
- 1896 ოქტომბერი**  
ჟურნალი „რუსკაია მისლ“ აქვეყნებს ვასილი ველიჩკოს მიერ თარგმნილ „იანიჩარს“ და ნაწყვეტს „აჩრდილიდან“. ►
- 1896** იაკობ გოგებაშვილის წიგნში „ბუნების კარი“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ჩიტი“, „ლოცვა“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზე“; „სამეურნეო სკოლის გახსნისას სოფელ წინამძღვრიანთკარში წარმოთქმული სიტყვა“; ნაწყვეტები პოემებიდან: „აჩრდილი“, „განდევლი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“; ნაწყვეტები მოთხრობებიდან: „გლახის ნაამბობი“, „კაცია – ადამიანი?!“ ►
- 1896** ალექსანდრე არდუთინსკი–მხარგრძელი წარწერით უძღვნის თავის წიგნს „ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა და ექსპლოატაცია მისი არსებობის 25 წლის მანძილზე 1871-1896“. ►
- 1896** ივანე როსტომაშვილი „ივერიის“ რედაქციას წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „ქართველთა ტომი“. ►
- 1896-დან** საგურამოს ახალი სახლის აივანზე მეუღლესთან ერთად იღებს ფოტოს. ►
- 1897 1 იანვარი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება საახალწლო შარჟი ილია ჭავჭავაძისადმი: „ოთხმოცდაათოთხმეტს დაიწყო / „უცნაური ამბის“ წერა; / ორი წელია ვუყურებთ, / მგონი, რომ ველარ დაწერა!“ ►



**1897 1 იანვარი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ფსევდონიმით „Горесмехов“ იბეჭდება საახალწლო ფელეტონი, რომელშიც ოთხი კვირის განმავლობაში თსს ბანკის კრებებზე ვანო მაჩაბლისა და მისი „რაზმის“ ალტკინებული გამოსვლები ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ განვლილი წლის ერთ-ერთ უარყოფით მოვლენად არის შეფასებული. ►

**1897 1 იანვარი**

არტემ ფირალიშვილი წარწერით უძღვნის თავისი თანაავტორობით გამოსულ წიგნს „ნარკვევი კახეთის მევენახეობასა და მეღვინეობაზე“. ►

**1897 12 იანვარი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება მისი ლექსის „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ ივან თხორაჟევსკისეული თარგმანი. ►

**1897 15 იანვარი**

გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება მისი ლექსის „მნუხარება“ ვასილი ველიჩკოსეული თარგმანი. ►

**1897 17 იანვარი**

რვათვიანი აკრძალვის შემდეგ გამოდის გაზეთი „ივერია“, რომელშიც უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 იანვარი“ („შარშანდელი წელიწადი იმითაა შესანიშნავი, რომ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლიტიკური მიმოხილვა“. ►

**1897 18 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 იანვარი“ („საკვირველ ბედზე დაბადებული ქართველი კაცი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „არწრუნისეული ქარვასლის ბედი“. ►

**1897 19 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 იანვარი“ („ამას წინად ერთს სახლში ერთს საუბარს შევესწარი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სულიერი გაღატაკება და საზოგადოების გულგრილობა“. ►

**1897 20 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 20 იანვარი“ („23-ს იანვარს დანიშნულია საგანგებო კრება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე“. ►

**1897 21 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 21 იანვარი“ („მეოთხე საგანი, რომელიც კამისიას გამოურკვევია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე“. ►

- 1897 21 იანვარი**  
გაზეთებში იბეჭდება ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს თაობაზე. ►
- 1897 23 იანვარი**  
სიტყვით გამოდის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე, რომელზეც განიხილავენ სოფელ ოძისში, ზაქარია ერისთავისეულ მამულში, სამეურნეო სკოლის დაარსების საკითხს. ►
- 1897 2 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 თებერვალი“ („გუშინინ „ნოვოე ობოზრენიე“-ში დაბეჭდილი იყო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თავადაზნაურთა კრებების უფლება-მოვალეობა“. ►
- 1897 2 თებერვალი**  
გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება მისი ლექსის „ჩემო კალამო, ჩემო კარგო...“ ვლადიმერ ლებედევისეული თარგმანი. ►
- 1897 5 თებერვალი**  
თორნიკე ვახვახიშვილთან ერთად თსს ბანკის სახელით ივანე მაჩაბლის მეუღლეს - ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილ-მაჩაბლისას უგზავნის უწყებას ბანკის სესხის სასწრაფოდ დაფარვის აუცილებლობის შესახებ. ►
- 1897 9 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 თებერვალი“ („ჩვენ შევიტყვეთ, რომ მთავრობას ერთ ჩვენთვის ფრიად გასახარებელი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საჭიროება“. ►
- 1897 10 თებერვალი**  
კავკასიის ოლქის მზრუნველს ქმნვ-გ საზოგადოების სახელით აცნობებს, რა ლექსების წაკითხვას აპირებენ 20 თებერვლის კონცერტზე (მათ შორის არის მისი ლექსის „გავსწორდეთ, ბედო...“ ვასილი ველიჩკოსეული თარგმანი) და ცდილობს გაარკვიოს, ხომ არ შეხვდებიან ამის გამო რაიმე წინააღმდეგობას. ►
- 1897 11 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 თებერვალი“ („ნუთუ თვალწინ დაგვიდგა დასაწყისი ოსმალეთის დასასრულისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი“. ►
- 1897 11 თებერვალი**  
გაზეთ „ივერიაში“ სათაურით „ნარკვევი“ (ჟურნალ-გაზეთებიდამ) ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს („რუსულ ჟურნალში „Неделя“-ში დაბეჭდილია...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში.. ►

**1897 16 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 თებერვალი“ („არაერთხელ გულდახეთქებით გვიჩივლია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ეროების საკითხი და დეპუტატთა საკრებულო“. ►

**1897 17 თებერვალი**

მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს. სთხოვს, მისი სანერი მაგიდიდან აიღოს ფურცლები წარწერით „ჟურნალ-გაზეთები“ და რედაქციას გადასცეს. სწერს, რომ საღამოს თავადაც ჩავა. ►

**1897 20 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 თებერვალი“ („ჩვენ, ქართველები, რაღაც უბედურ ბედზე ვართ გაჩენილნი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სწავლა-განათლება და საზოგადო მოღვაწის მოვალეობა“. ►

**1897 21 თებერვალი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება გრიგოლ ვოლსკის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ნაწყვეტი მოთხრობიდან „კაცია – ადამიანი?!“ ►

**1897 23 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 თებერვალი“ („ღმერთო, გვიხსენ უარესისაგან...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საზოგადო საქმისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“. ►

**1897 25 თებერვალი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება გრიგოლ ვოლსკის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი კიდევ ერთი ნაწყვეტი მოთხრობიდან „კაცია – ადამიანი?!“ ►

**1897 თებერვალი**

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სისტემატურად ბეჭდავს წერილებსა და წინადადებებს ილია ჭავჭავაძის იუბილეს ორგანიზაციისა და პროგრამის შესახებ. ►

**1897 2 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 მარტი“ („არ არის არცერთი გუბერნია შიდა რუსეთში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „შინაური საჭირბოროტო საქმეები და თავადაზნაურთა უფლება-მოვალეობა“. ►

**1897 2 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „პატარა საუბარი“ („მართალია, კაცო, რასაც ჰლაპარაკობენ?...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1897 2 მარტი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება გრიგოლ თოიძის წერილი, რომელშიც წამოჭრილია ილია ჭავჭავაძის სახელობის ფონდის დაარსების საკითხი. ►

**1897 6 მარტი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ცნობა მოქანდაკე ალექსანდრე თარხნიშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის ბიუსტის შექმნის განზრახვის შესახებ. ►

**1897 9 მარტი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ცნობა ილია ჭავჭავაძის ავადმყოფობის შესახებ. ►

**1897 11 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „თავადი ნ. ზ. ჭავჭავაძე. ნეკროლოგი“ („გუშინინ გარდაიცვალა თ. ნ. ჭავჭავაძე...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1897 14 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 მარტი“ („მუქარა აღსრულდა. ეგრედ წოდებული ბლოკადა განხორციელდა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კრიტის კუნძულის ნავსადგურების ბლოკადა“. ►

**1897 15 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 მარტი“ („გუშინ მობრძანდა ახალი მთავარმართებელი კავკასიისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მობრძანდა ახალი მთავარმართებელი კავკასიისა“. ►

**1897 20 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 მარტი“ („კარგა ხანია, რაც აქაურმა რუსულმა გაზეთებმა გამართეს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმართველობა“. ►

**1897 22 მარტის შემდეგ**

პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისაგან იღებს წერილს. ისინი ატყობინებენ თავიანთ განზრახვას, გამოეხმეაურონ ბერძნების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და სთხოვენ რჩევას, რა სახით აჯობებს ამის გაკეთება. ►

**1897 23 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 მარტი“ („ჩვენს მეთაურში ამას წინათ ვთქვით...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სად სომხეთი და სად თბილისის ქალაქი?“. ►

**1897 23 მარტი**

სიტყვით გამოდის თბილისის სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების წლიურ კრებაზე. ვრცლად განმარტავს წმინდა მოგებისა და სათადარიგო თავნის არსს და წესდების შესაბამის მუხლებს. კრების 15 წევრი, მათ შორის დავით კვბელი, გამოდის გამგეობისა და საბჭოს ოთხი წევრის დათხოვნისა და მათ ნაცვლად სხვათა არჩევის ინიციატივით. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძესა და დავით კვბელს შორის იმართება კამათი. ილია ჭავჭავაძე არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ მოთხოვნის ავტორებს საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ და არა საზოგადო. კრება იზიარებს მის აზრს და, რამდენადაც მომჩივანთა მოთხოვნაში არ არის წარმოდგენილი არცერთი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით თუ რატომ უცხადებენ უნდობლობას დასახელებულ პირებს, არ აკმაყოფილებს მას. ►



**1897 23 მარტი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ გიორგი ღოღობერიძის მოწოდება ამხანაგებისადმი ილია ჭავჭავაძის იუბილეს გადახდასთან დაკავშირებით. ►

**1897 28 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „პატარა საუბარი“ („ჩვენმა დარბაისელმა „Новое Обозрение“-მაც მითამდა ოხუნჯობა დაიწყო...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1897 28 მარტი**

გაზეთ ივერიაში“ იბეჭდება ინფორმაცია თბილისის სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების 23 მარტის კრებაზე ილია ჭავჭავაძისა და დავით კვციელის დაპირისპირების შესახებ და ციტირებულია მათი გამოსვლები. ►

**1897 30 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 29 მარტი“ („გარდა იმისა, რომ ჩვენს ქალაქში გაბატონების საბუთად...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო“. ►

**1897 30 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „პატარა საუბარი“ („უმაღლესად დამტკიცებულია სამოსწავლო გეგმა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1897 4 აპრილი**

წერილობით მიმართავს გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორ გიორგი თუმანიშვილს. აღშფოთებას გამოხატავს იმ ცილისწამებათა გამო, რომლებიც ხსენებული გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება გაზ. „ივერიის“ წინააღმდეგ და აფრთხილებს, რომ მასთან საგაზეთო პოლემიკაში ჩაბმის ნაცვლად აპირებს მიმართოს მიუკერძოებელ პირთა სასამართლოს, რომელიც გადანყვეტს, ვინ არის მათ შორის მართალი. ►

**1897 6 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 5 აპრილი“ („ჩვენ წინა მეთაურში („ივერია“ № 61) ვთქვით, რომ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქართველებისა და სომხების განსხვავებული ხასიათი და ინტერესი“. ►

**1897 8 აპრილი**

ქმნ-კვ საზოგადოებას გადასცემს ბაქოში გამართული ქართული საღამოს შემოსავალს – 2264 მანეთს. ►

**1897 13 აპრილი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილში „თვალსაჩინო ატესტაციები“ საუბარია იმაზე, თუ როგორ უარყოფითად ახასიათებს გიორგი წერეთელი ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს. გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება ცნობები ილია ჭავჭავაძის იუბილეს შესახებ. ►

**1897 17 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 აპრილი“ („ჩვენ მოგვივიდა თითო-ორიოლა წერილი ლანდღვისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბ-ნ გ. წერეთლის წერილის გამო“. აქვე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „პატარა საუბარი“ („ნაიკითხავდით „კავკასში“ ერთ ამბავს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1897 20 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 აპრილი“ („ამას წინად მეთაურს წერილში („ივერია“ № 76) ვსთქვით, რომ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სწავლა-ცოდნა როგორც ფულის ხვევის საგანი“. ►

**1897 20 აპრილი**

გაზეთ „კვალში“ სათაურით „ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს“ იბეჭდება გიორგი წერეთლის პასუხი გაზეთ „ივერიის“ 17 აპრილის მეთაურზე, რომელიც მისდამი იყო მიმართული. ►

**1897 22 აპრილამდე**

ვრცელ საპასუხო წერილს უგზავნის პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს. უწონებს ჩაგრულთადმი თანაგრძნობის განზრახვას, მაგრამ აფრთხილებს, რომ ამ გამოხმაურებისთვის ისინი შეიძლება უნივერსიტეტიდან გარიცხონ და ვეღარ შეძლონ საკუთარი სამშობლოს ისეთი სამსახური, როგორსაც ის მათგან მოეღოს. ურჩევს, უყვარდეთ თავიანთი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალონ ყველაფერი და როდესაც სასწორზე ერთ მხარეს სამშობლო იქნება, მეორეზე კი - სხვა ქვეყანა, სასწორი მამულისაკენ გადასწონონ. ►

**1897 22 აპრილი**

პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისგან იღებს საპასუხო წერილს, რომელშიც მადლობას უხდის ყურადღებისა და თანადგომისათვის. ატყობინებენ, რომ საბერძნეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მხარდასაჭერად დეპეშას, მისი რჩევისამებრ, აღარ აგზავნიან, მაგრამ შეხვდნენ საბერძნეთის ელჩს. იგი შეჰპირდა, რომ მათი სახელით ფარულად გაუგზავნიდა თანაგრძნობის დეპეშას საბერძნეთის მთავრობას. ►

**1897 25 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 აპრილი“ („ცარიელი ინჟენერობა, მკურნალობა და ადვოკატობა („ივერია“ № 75)...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „უსიცოცხლო ცოდნა ხვედრია უნიჭობისა“. ►

**1897 25 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „პატარა საუბარი“ („სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1897 27 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება საქალაქო საბჭოს ხმოსნობის კანდიდატთა ნუსხა, რომელშიც დასახელებულია ილია ჭავჭავაძეც. ►

**1897 27 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 აპრილი“ („ჩვენებიანთ მკურნალები ჩვენებიანთ იჟენერებს შორს ვერ წაუვლენ ცოდნითა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ჩვენში დიპლომია ნიშანი მკურნალის ცოდნისა და არა თვით ცოდნა“. ►

**1897 29 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 28 აპრილი“ („ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ღორების საქმე“. ►

**1897 1 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „პატარა საუბარი“ („შაუმოვის „სელდების“ სულის საცხოვრებელი ისტორია...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1897 3 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 მაისი“ („ისტორია არუთინოვის ტრიხინებისა არანაკლებ საოცარია...“). ეს არის გაგრძელება წერილისა „ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ღორების საქმე“. მწერლის თხზულებათა ოცტომეულში შეცდომით დაიბეჭდა სათაურით „პატარა საუბარი“. ►

**1897 4 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 მაისი“ („ჩვენ წინა წერილში („ივერია“ № 85) ვაჩვენეთ რამოდენად ჰბარტყობდა...“). ეს არის გაგრძელება წერილისა „ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ღორების საქმე“. მწერლის თხზულებათა ოცტომეულში შეცდომით დაიბეჭდა სათაურით „პატარა საუბარი“. ►

**1897 4 მაისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ „ქართველი დედის“ ხელმოწერით იბეჭდება წერილი ილია ჭავჭავაძის მომავალი იუბილეს შესახებ. ►

**1897 8 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 7 მაისი“ („ჯერ მიწამ ბ-ნ ივანენკოს ნაძიებს გამოვაქვეყნებდეთ...“). ეს არის გაგრძელება წერილისა „ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ღორების საქმე“. ►

**1897 8 მაისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდება ინფორმაცია საზოგადოებაში გავრცელებული ხმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც ილია ჭავჭავაძე თავს ანებებს ბანკში მუშაობას. ►

**1897 9 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 8 მაისი“ („ბ-ნ ივანენკოს გამოძიებიდამ სჩანს...“). ეს არის გაგრძელება წერილისა „ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ღორების საქმე“. ►

**1897 11 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 მაისი“ („დღეს საჭიროდ დავინახეთ ავნუსხოთ...“). ეს არის გაგრძელება წერილისა „ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ღორების საქმე“. ►

**1897 12 მაისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდება მიხეილ ბაქრაძის წერილი ილია ჭავჭავაძის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით. ►

**1897 16 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 მაისი“ („ნინა წერილში მოკლედ ავნუსხეთ...“). ეს არის დასასრული წერილისა „ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ღორების საქმე“. ►

**1897 17 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 16 მაისი“ („ხვალ, 18 მაისს განკითხვის დღეა...“), რომელშიც თბილისის ამომრჩევლებს მოუწოდებს, აუცილებლად მივიდნენ არჩევნებზე და ხმა მისცენ კანდიდატებს არა ეროვნული ნიშნით, არამედ დამსახურების მიხედვით. მწერლის თხოულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“. ►

**1897 18 მაისი**

მონაწილეობს თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში, მაგრამ ვერ აგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას (504 მომხრე და 559 მონინააღმდეგე). ►

**1897 20-22 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე განიხილავენ და ამტკიცებენ განვლილი წლის ანგარიშს. ►

**1897 23 მაისი**

თსს ბანკის წლიურ კრებაზე განიხილავენ რევიზორ ევსტაფი დობეცკის მიერ მიცემულ შენიშვნებს. ►

**1897 24 მაისი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების“ წლიურ კრებაში, რომელზეც განიხილავენ განვლილი წლის ანგარიშსა და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვას. ►



- 1897 26 მაისი**  
თსს ბანკის წლიურ კრებაზე აგრძელებენ რევიზორ ევსტაფი დობეცკის მიერ მიცემული შენიშვნების განხილვას. ►
- 1897 27 მაისი**  
თსს ბანკის წლიურ კრებაზე ტარდება გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის წევრების არჩევნები. 433 ხმით 22-ის წინააღმდეგ კვლავ ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარედ. ►
- 1897 28 მაისი**  
თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოება უმართავს ნადიმს. ►
- 1897 29 მაისი**  
მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში. ეკამათება კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელს იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა შეადგინოს კრების დამსწრეთა სია - მაზრის წინამძღოლებმა თუ თავად კრებამ. ►
- 1897 30 მაისი**  
რამდენადაც ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები, რომელზეც გაიმარჯვა, ბათილად ცნეს, უარს ამბობს ხელახალ კენჭისყრაზე. ►
- 1897 30 მაისი**  
მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელზეც განიხილავენ გრიგოლ არწრუნისეული ქარვასლის საკითხს. საუბარია კომისიის მოთხოვნაზე, რომ ბანკმა თავადაზნაურობას გადაუხადოს 19 ათასი მანეთი. ილია ჭავჭავაძე განმარტავს, რომ თსს ბანკი თავადაზნაურთა კრებას არ ემორჩილება და მისი უპირველესი მოვალეობაა დანფუძნებლების, მსესხებლებისა და გირავნობის ფურცლების მფლობელთა ინტერესების დაცვა. ირჩევენ ამ საკითხის მოსაგვარებლად შედგენილი კომისიის წევრად. ►
- 1897 31 მაისი**  
ესწრება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას და მონაწილეობს სათავადაზნაურო სკოლისთვის თავადაზნაურობისგან გადასახადის განერასთან დაკავშირებით გამართულ კამათში. ►
- 1897 მაისი**  
ლაიფციგელი წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი ქმნ-კგ საზოგადოების მაღაზიას სთხოვს ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების ნიმუშების გაგზავნას. ►
- 1897 მაისის შემდეგ**  
წერს სამ ახალ სატირულ გამოცანას („რად გვინდა, ვინ ხარ...“, „ჩემი ან ესე ნათქვამი...“ და „კალამი რამ უშოვნია...“) დავით კვბელზე, გიორგი თუმანიშვილსა და გიორგი წერეთელზე. ►
- 1897 1 ივნისი**  
მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელზეც განიხილავენ კახეთის რკინიგზის საკითხს. ილია ჭავჭავაძე მოითხოვს, კრებას სრულად წარუდგინონ ამ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა. ►

- 1897 5 ივნისამდე**  
თელავის მაზრიდან 23 ხმით ირჩევენ თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოს დეპუტატად. ►
- 1897 8 ივნისამდე**  
გაზეთ „კვალში“ ფსევდონიმით „არავინ“ იბეჭდება იუმორისტული ფელეტონი „წრევანდელი ბანკის კრების ბიოგრაფია“, რომელშიც გაკრიტიკებულია თსს ბანკი. ►
- 1897 8 ივნისი**  
გაზეთ „კვალში“ „ერთი სტუდენტთაგანის“ ხელმოწერით იბეჭდება სტატია „ჩვენი ლიტერატურის პათოლოგიური მდგომარეობა“. ავტორი უკმაყოფილოა პერიოდულ გამოცემებს შორის გამართული ცხარე პოლემიკით. იგი წერს, რომ დიდ პატივს სცემს ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც მოახერხა მის წინააღმდეგ აგორებული ცილისწამებების გაბათილება, მაგრამ აცხადებს, რომ არც გიორგი წერეთელი მიაჩნია რენეგატად და არ მოსწონს მისდამი ასეთივე დაუნდობელი მოქცევა. ►
- 1897 25 ივნისი**  
მოკლე ბარათს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში, აძლევს სამეურნეო ხასიათის დარიგებებს და სთხოვს, კვირა დღით საჯდომი ცხენი დაახვედროს ავჭალაში. ►
- 1897 26 ივნისი**  
შეთანხმებას აფორმებს იაგორ გურგენიძესთან საგურამო-წინამურის მამულების გაყოფაზე და თბილისის საოლქო სასამართლო პალატას მიმართავს მისი დამტკიცების თხოვნით. ►
- 1897 17 ივლისი**  
სააღებმაცემო კომპანია „შუამავლისგან“ იძენს სურათს. ►
- 1897 20 ივლისი**  
გაზეთ „ცნობის ფურცელში“ „ძველი ეკალის“ ხელმოწერით იბეჭდება მიხეილ ნასიძის სტატია. ავტორი გამოდის ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ მისი სახელობის ცენტრალური დეპოს დაარსების ინიციატივით. ►
- 1897 30 ივლისი**  
გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება მიხეილ ჩოდრიშვილის გამოხმაურება მიხეილ ნასიძის ინიციატივაზე ილია ჭავჭავაძის სახელობის ცენტრალური დეპოს დაარსების შესახებ. ►
- 1897 ივლისი**  
ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება დასაწყისი კიტა აბაშიძის ნარკვევისა „ცხოვრება და ხელოვნება“. მასში საუბარია ქართული ლიტერატურის ახალი ხანის შესახებ, რომელიც 1861 წლიდან იწყება ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ►
- 1897 ივლისის მეორე ნახევარი**  
საგურამოში მასპინძლობს პარიზის უნივერსიტეტის პროფესორს, მოგზაურსა და მკვლევარ ჟაკ ბერტილიონს, რომელს პროფესორ ბოსკოს, მწერლებს: ვასილი ველიჩკოს და არტურ ლაისტს. ურმით მიემგზავრებიან ზედაზნის მონასტერში და ხის ქვეშ მწვანე ველზე სადილობენ. ►

**1897 10 აგვისტო**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება პედაგოგ თომა მთავრიშვილის გამოხმაურება ილია ჭავჭავაძის სახელობის ცენტრალური დეპოს დაარსებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებზე. ►

**1897 15 აგვისტო**

გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება ივანე ზურაბიშვილის მიერ რუსულად თარგმნილი ნაწყვეტი „გლახის ნაამბობიდან“. ►

**1897 22 აგვისტო**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მტკიცდება წიგნების ავტორების, გადამწერლების, კორექტორების, გამომცემლების, შემკაზმავების, კლიშეების ამომტრელების, გამსაღებლებისა და აგენტებისათვის გადახდილი და ბლანკების ბეჭდვაზე, განათებაზე, საფოსტო მომსახურებასა და მივლინებებზე გაწეული ხარჯები. მსჯელობენ სენაკის სათავადაზნაურო სკოლის შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე, რომელიც გამოიწვია ქართული ენის მეგრულით ჩანაცვლების განზრახვამ. სხდომა საყვედურს უცხადებს ინსპექტორ სამსონ ყიფიანს და იღებს გადაწყვეტილებას ორი მასწავლებლის გათავისუფლების შესახებ. კითხულობენ გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორის შუამდგომლობას ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის გამგედ ალექსანდრე გარსევანაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით. ისმენენ ნიკო ცხვედაძის მოხსენებას წინარების სკოლის შენობის მდგომარეობის შესახებ და იღებენ დადგენილებას პრობლემის მოსაგვარებლად თანხის გამოყოფის თაობაზე. ►

**1897 აგვისტო**

„ივან-და-მარიას“ ფსევდონიმით იბეჭდება ალექსანდრე და ივანე თხორაყვესკების წიგნის „ქართველ პოეტების ნიმუშები“ მეორე გამოცემა, რომელშიც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა თარგმანებიდან შეტანილია: პოემა „განდეგილი“, „არაგვი“ („აჩრდილიდან“) და ლექსები: „გაზაფხული“, „იანიჩარი“, „პოეტი“ და „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“. ►

**1897 აგვისტოს ბოლო**

ჟურნალ „ნივაში“ იბეჭდება ვასილი ველიჩკოს სტატია ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავის შესახებ და მათი პორტრეტები. პუბლიკაციაში ილია დახასიათებულია როგორც დიდი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე და განხილულია მისი ნაწარმოებები: „ყვარლის მთებს“, „გუთნისდედა“, „აჩრდილი“ და „გლახის ნაამბობი“. ►

**1897 3 სექტემბრის შემდეგ**

იღებს ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების დამაარსებლისა და პრეზიდენტის ედუარდ კაზალეტის წერილს, რომელშიც სთხოვს ინგლისურენოვან ბროშურაში დასაბეჭდად მისი ლექსებისა და ბიოგრაფიული ცნობების მიწოდებას. ასევე, სთხოვს თანხმობას საზოგადოების წევრად არჩევაზე. ►

**1897 9 სექტემბერი**

ესწრება ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის სხდომას, რომელზეც ისმენენ მოხსენებას თბილისის სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის გამართული პედაგოგიური კურსების მუშაობის შესახებ. ►

**1897 13 სექტემბერი**

ილია ჭავჭავაძე და დავით კარიჭაშვილი წერილობით უცხადებენ მადლობას ლუარსაბ ბოცვაძეს იმისათვის, რომ საგანგებოდ გამართულ კურსებზე სამაგალითო გაკვეთლები ჩაუტარა სამრევლო სკოლათა მასწავლებლებს. ►

**1897 13 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 12 სექტემბერი“. ►

**1897 14 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 13 სექტემბერი“ („ამიერკავკასია დასახლებულია მრავალგვარ თესლის მკვიდრთაგან...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. ►

**1897 19 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 18 სექტემბერი“ („პირაქეთელი ოსები ჰბინადრობენ გორის მარაში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. ►

**1897 20-21 სექტემბერი**

გაზეთებში ქვეყნდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით მიემგზავრება პეტერბურგში. ►

**1897 21 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 20 სექტემბერი“ („ჩვენებური თათარი უფრო ეული ვაჟია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. ►

**1897 26 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 25 სექტემბერი“ („ჩვენებურ თათრებს ზამთრის საცხოვრებელი ცხელ ადგილებში აქვთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. ►

**1897 28 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 27 სექტემბერი“ („არიან თათრებ შორის იმისთანანი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. ►

**1897 ოქტომბრის დასაწყისი**

ილუსტრირებულ მხატვრულ-ლიტერატურულ კრებულში „კავკაზსკაია ჟიზნი“ იბეჭდება ლექსის „ვიხილე სატრფო...“ ვასილი ველიჩკოსეული თარგმანი და ანტონ ნატროშვილის მიერ თარგმნილი ნაწყვეტი „გლახის ნაამბობიდან“. ►



**1897 4 ოქტომბრამდე**

რუსი მხატვარი ალექსი ვისნერი ხატავს მის პორტრეტს. ►

**1897 7 ოქტომბერი**

თავმჯდომარეობს ემნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ დადგენილებას მუზეუმის ასაშენებლად ყველა ფონდის შეერთების შესახებ და გამოყოფენ თანხას დიმიტრი ბაქრაძის საფლავის ძეგლისთვის. თანხმდებიან, რომ ქალთა ფონდიდან ფული დაიხარჯოს საჭიროებისამებრ, სალიტერატუროდან კი – მხოლოდ სარგებლის ნაწილიდან და არა თავნიდან. სტუდენტების დასახმარებელ შემოწირულობას გადასცემენ თავადაზნაურთა სკოლის კომიტეტს. კმაყოფილდება გრიგოლ ტატიშვილის თხოვნა სურათებიანი წიგნის „ხუმარა სპილოები“ გამოსაცემად ფულის გამოყოფის თაობაზე, იმ პირობით, რომ თანხის ანაზღაურებამდე წიგნს მხოლოდ საზოგადოების მაღაზიებში გაყიდის. დადებითად წყდება გიორგი იოსელიანის მიერ ნაამბობი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საკითხი. ►

**1897 9 ოქტომბრის შემდეგ**

პარიზიდან იღებს პროფესორ ჟაკ ბერტილიონის სამადლობელ წერილს. მასში ნათქვამია, რომ პატივს სცემს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და არაერთხელ გადაუკითხავს მისი პოეზიის თარგმანები, ხოლო საგურამოში მის გვერდით გატარებული ორი დღე და ურმით გასეირნება ძველ მონასტერში არასოდეს დაავიწყდება. ადრესანტი მადლობას უთვლის ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძისას კეთილგანწყობისა და საუკეთესო მასპინძლობისთვის. ►

**1897 12 ოქტომბერი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ „შავიზღვისპირელის“ ფსევდონიმით იბეჭდება თედო სახოკიას შეკითხვა რედაქციისადმი, რატომ აღარაფერი იწერება ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილეს გადახდის შესახებ. აქვე ქვეყნდება რედაქციის პასუხი. ►

**1897 13 ოქტომბერი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის იუბილეს შესახებ. ►

**1897 16 ოქტომბერი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის იუბილეს შესახებ. ►

**1897 16 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 15 ოქტომბერი“ („ჩვენ წინა წერილებში („ივერია № 201) შევნიშნეთ იმ საბუთების ძალით...“). მწერლის თხოვლობათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. ►

**1897 17 ოქტომბერი**

თავადაზნაურთა დარბაზში ტარდება კრება, რომელზეც ირჩევენ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტს ქრისტეფორე მამაცაშვილის თავმჯდომარეობით. წევრები არიან: მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი, პეტრე გრუზინსკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, კიტა აბაშიძე, კოტე მესხი, ანდრია ღულაძე, ივანე ზურაბიშვილი და გრიგოლ აბაშიძე. ►

**1897 18 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 17 ოქტომბერი“ („იმ მიზეზთა შორის რომელნიც აქვებებს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. ►

**1897 28 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 ოქტომბერი“ („მას აქედ, რაც ჩვენ პოლიტიკაზედ ხმა არ ამოგვიღია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვეროპა მაინც ორ დიდ ბანაკად გაყოფილი დარჩა“. ►

**1897 28 ოქტომბერი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომიტეტი შეხვედრას მართავს საზოგადოებასთან შემუშავებული პროგრამის გასაცნობად და თარიღის დასადგენად. ►

**1897 31 ოქტომბერი**

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 40 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის წევრი გრიგოლ აბაშიძე გაზეთ „ცნობის ფურცელში“ წერს კომიტეტის განზრახვაზე, რომ ეს არ იყოს მხოლოდ ერთდღიანი დღესასწაული, იგი უნდა შეიგრძნონ და სამახსოვროდ დარჩეთ საქართველოს ყველა კუთხეში. ►

**1897 ოქტომბერი**

ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება დასასრული კიტა აბაშიძის ნარკვევისა „ცხოვრება და ხელოვნება“. ►

**1897 1 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 31 ოქტომბერი“. ►

**1897 2 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 1 ნოემბერი“ („იყოს თუ არა ევროპაში ოსმალეთი?...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი“. ►

**1897 2 ნოემბერი**

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ შეახსენებს მკითხველს, რომ 12 საათზე სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში გაიმართება ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნად შემდგარი საიუბილეო კომიტეტისა და საზოგადოების კრება, რომელზეც უნდა შემუშავდეს საიუბილეო პროგრამა და გადაწყდეს იუბილეს ჩატარების დრო. ►

**1897 2 ნოემბერი**

ბოსტნეულ-ბაღჩეულობის კავკასიის პირველ გამოფენაზე იღებს ვერცხლის მედალს. ►

### 1897 3 ნოემბერი

გაზეთებში იბეჭდება ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით გამართული კრების შესახებ. მიღებული დადგენილების მიხედვით იუბილე უნდა გაიმართოს გაზაფხულზე საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბა-სოფლებში. ღონისძიებებიდან შემოსული შემოსავალი უნდა მოხმარდეს ქართულ ძველ ნაშთთა სალაროსა და სალიტერატურო ფონდს, ღარიბ მწერალთა დასახმარებლად. სალაროს ერთ დარბაზს უნდა დაერქვას ილია ჭავჭავაძის სახელი. დიდუბის ეკლესიაში წირვისა და პარაკლისის შემდეგ უნდა გაიმართოს მილოცვები და წარმოდგენა ან სალიტერატურო საღამო. აქედან მიღებული შემოსავლით უნდა დაინიშნოს მისი სახელობის სტიპენდია. ►

### 1897 7 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 6 ნოემბერი“ („რომ უკეთესად შევიგნოთ, ვინ რას ეძებს აღმოსავლეთის საქმეში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი“. ►

### 1897 9 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 8 ნოემბერი“ („თუ ინგლისის გაბატონება ეგვიპტეში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი“. ►

### 1897 12 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ „გ-რი, ი“-ს ფსევდონიმით იბეჭდება ივანე გომელაურის წერილი „ილია ჭავჭავაძის იუბილეს გამო“. იგი გამოდის ინიციატივით, რომ ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ დაიბეჭდოს მწერლის თხზულებათა ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფი გამოცემები. ►

### 1897 23 ნოემბერი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 22 ნოემბერი“ („Новое Время“ თავისას არ იშლის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „კ. ბლუმერის აზრი ამიერკავკასიაში გავრცელებული ავაზაკობის გამომწვევ მიზეზებზე“. ►

### 1897 25 ნოემბრამდე

იღებს მოსაწვევ ბარათს, რომლითაც ქუთაისის საკვირაო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები 25 ნომბერს ეპატიჟებიან ამ სასწავლებლის სასარგებლოდ დაგეგმილ მუსიკალურ-ვოკალურ საღამოზე. ►

### 1897 ნოემბერი

ირჩევენ თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საკითხის შემსწავლელ კომისიაში. ►

### 1897 შემოდგომა

კითხულობს დამწყები დრამატურგის ნატალია დონდაროვას პიესას „ინჯილერი ან დოხტური“; ურჩევს დიალოგები შეამოკლოს, კვანძის გახსნა დაამატოს და მიიტანოს დასაბეჭდად. ►

**1897 3 დეკემბერი**

მონაწილეობს თსს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის გაერთიანებულ კრებაში, რომელიც იწყებს ექსტრაორდინარული თანხის შემწეობის სახით გაცემის საკითხის განხილვას. ►

**1897 4 დეკემბერი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომიტეტი უკვე შეუდგა საქმიანობას და მოქალაქეთაგან იღებს წინადადებებს დღესასწაულის მოწყობასთან დაკავშირებით. ►

**1897 14 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 დეკემბერი“ („საოცარი დრო დაგვიდგა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გულნამცეცა ბურჟუაზია“. ►

**1897 15 დეკემბერი**

იღებს კონსტანტინე მამაცაშვილის წერილს მის სტატიასთან „გიორგი თუმანოვისა და მისი ამქარის აზრები“ დაკავშირებით. ►

**1897 17 დეკემბერი**

მონაწილეობს თსს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის გაერთიანებულ კრებაში, რომელიც განაგრძობს ექსტრაორდინარული თანხის შემწეობის სახით გაცემის საკითხის განხილვას. ►

**1897 21 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 20 დეკემბერი“ („ჯერ კიდევ პუშკინმა სთქვა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“. აქვე ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „პატარა საუბარი“ („თ. გ. თუმანიშვილის გაზეთმა ამ უკანასკნელ დროს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1897 21 დეკემბერი**

ქმნ-კვ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ვასილი ველიჩკო კითხულობს ილია ჭავჭავაძის ლექსების საკუთარ რუსულ თარგმანებს, ია კარგარეთელი კი ასრულებს ილიას ლექსებზე ნიკოლოზ კლენოვსკის მიერ დაწერილ რომანსებს. ►

**1897 22 დეკემბერი**

იაგორ გურგენიძესთან ერთად საგურამოში მათი მამულების გამიჯვნის თხოვნით მიმართავს თბილისის სასამართლო პალატას. ►

**1897 25 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 24 დეკემბერი“ („ხოლო რა ჟამს მოვიდეს ძე კაცისა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ფიქრები ქრისტეს შობის დღესასწაულის წინ“. ►



**1897 28 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერლად აქვეყნებს სტატიას სათაურით „პატარა საუბარი“ („ეს „ლალი“ რა ხელობის კაცია?...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ▶

**1897 დეკემბერი**

გაზეთებში ქვეყნდება მოკლე ინფორმაციები ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის მუშაობისა და გადაწყვეტილებების შესახებ. იღებენ დადგენილებას იუბილეს მომდევნო წლისათვის გადატანის შესახებ. ▶

**1897** გაზეთ „კვალში“ „მაზაკვალის“ ფსევდონიმით იბეჭდება გიორგი წერეთლის მიმოხილვა „კვირიდან კვირამდე“, რომელშიც ნახსენებია ილია ჭავჭავაძის ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ და მაღალი შეფასება ეძლევა მასში სოციალური და პატრიოტული თემების გაშუქებას. ▶

**1897** ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ ზაქარია ჭიჭინაძე ბეჭდავს წიგნს „თ. ი. ჭავჭავაძე, როგორც ქართველთა ერთობის მღალადებელი“. ▶

**1897** უკრაინული ჟურნალი „ზორია“ აქვეყნებს ილია ჭავჭავაძის ლექსების „პოეტი“, „ელეგია“, „გუთნისდედა“, „მასაქეთ, რაკი...“ „გაზაფხული“ პავლო გრაბოვსკისეულ თარგმანებს. ▶

**1897** გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში ალექსანდრე ბაუმგარტნერი გამოსცემს „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომს, რომელშიც სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მოხსენიებულია ილია ჭავჭავაძე. ▶

**1897** ჩერქეზი მწერალი ყაზიბეკ ახმეტუკოვი წარწერით უძღვნის „იური კაზი-ბეკის“ ფსევდონიმით გამოცემულ საკუთარ წიგნს „ცოტ-ცოტა ყველაფერზე. ნარკვევები და მოთხრობები“. ▶

**1897** მისი ხელმოწერით წიგნად გამოდის ქშნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ▶

**1897** „საქართველოს კალენდარში“ იბეჭდება მისი პორტრეტი. ▶

**1897** ილია ჭავჭავაძის იუბილეს გატყინურების გამო ექვთიმე თაყაიშვილი გადაწყვეტს თბილისის გიმნაზიაში მაინც აღნიშნოს მისი მოღვაწეობის 40 წლისთავი. იუბილარი უარზე რომ არ დადგეს, წინასწარ არაფერს ეუბნება და, უბრალოდ, ინვევს გიმნაზიაში. შენობასთან მისულს გუნდი ეგებება „მრავალჟამიერით“, შემდეგ კი იმართება კონცერტი. მოსწავლე ირაკლი ბაზაძე ზეპირად კითხულობს ადგილებს „კაცია-ადამიანიდან“; მუსიკალურ განყოფილებას ხელმძღვანელობს ზაქარია ფალიაშვილი, ასრულებენ ილია ჭავჭავაძის ლექსზე დაწერილ სიმღერას „ჩემო კარგო ქვეყანავ“. პოეტზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ახალგაზრდა ვანო სარაჯიშვილის ხმა და სიმღერის ბოლო ფრაზაზე: „ანმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“, ცრემლს ვერ იკავებს. ▶

**1898-მდე** წერილთან ერთად თბილ ტანსაცმელს, ღვინოსა და შამპანურს უგზავნის მეუღლეს საგურამოში. შეწუხებულია თავისი დის, ელისაბედის ფიზიკური მდგომარეობით. ოლღას სთხოვს, რომ ყურადღება მიაქციოს, არ გაცივდეს და სადილად ორ-ორი ჭიქა შამპანური დააღვინოს, როგორც ექიმ ალექსანდრე პავლოვსკის მიერ გამოწერილი ძილის წამალი. ▶

**1898 1 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 დეკემბერი“ („აჰა, კიდევ ერთი ახალი წელიწადი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“. ►

**1898 3 იანვარი**

ესწრება მეგობრისა და თანამოაზრის ილია ოქრომჭედლიშვილის პანაშვიდს და გვირგვინით ამკობს მის ცხედარს. ►

**1898 4 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს ნეკროლოგს „ილია ოქრომჭედლიშვილი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1898 5 იანვარი**

მონანილეობს ილია ოქრომჭედლიშვილის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიაში. ►

**1898 8 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „პატარა საუბარი“ („ქართველნი დედაკაცნი...“). სტატია ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ათტომეულში. ►

**1898 9 იანვარი**

მონანილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელიც განიხილავს მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან ას წლისთავთან დაკავშირებით პანაშვიდის გადახდის საკითხს. ►

**1898 10 იანვარი**

იღებს რევიზორ ევსტაფი დობეცკის წერილს საბანკო საკითხებთან დაკავშირებით. ►

**1898 11 იანვარი**

ესწრება ერეკლე მეორის მოსახსენიებელ წირვასა და პანაშვიდს სიონის საკათედრო ტაძარში. ►

**1898 11 იანვარი**

ხდება ახლადდაარსებული „სასულიერო განმანათლებელ ძმობის“ წევრი. ►

**1898 13 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 12 იანვარი“ („11 იანვარს, როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, წირვა და პანაშვიდი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „წირვა და პანაშვიდი ერეკლე მეფის სულის მოსახსენებლად“. ►

**1898 14 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 13 იანვარი“ („ბევრს ჰლაპარაკობენ იმის თაობაზე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების გზები“. გაზეთის ამავ ენომერში ქვეყნდება ინფორმაცია სომხურ ჟურნალ „მურჯში“ ილია ჭავჭავაძეზე გამოქვეყნებული სტატიის შესახებ. ►

**1898 15 იანვარი**

ესწრება კოტე მესხის რეჟისორობით ქართული დრამატული დასის სცენაზე წარმოდგენილ სპექტაკლებს: ნატალია დონდაროვას კომედიას „ინჯილერი ან დობხური“ და აქვსენტი ცაგარელის ფარსს „მშვენიერი ელენეს მაძიებელი“. ►

**1898 18 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 17 იანვარი“ („თ. გ. თუმანოვს, როგორც უკვე ყველას მოეხსენება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გიორგი თუმანოვისა და მის ამქარის აზრები“. ►

**1898 20 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 19 იანვარი“ („თ. გ. თუმანოვი თავისს გაზეთში ამბობს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „გიორგი თუმანოვისა და მის ამქარის აზრები“. ►

**1898 20-22 იანვარი**

როგორ თელავის მაზრის წარმომადგენელი, მონაწილეობს თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შემმუშავებელი კომისიის სხდომაში. ►

**1898 22 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „პატარა საუბარი“ („უკვე გაზეთებში გამოცხადდა ამას წინათ...“). სტატია ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1898 25 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 24 იანვარი“ („მას აქედ, რაც ბერძენთა და ოსმალთა შორის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“. ►

**1898 25 იანვარი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების საქმიანობაში, რომელიც განიხილავს კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვისთვის გასაგზავნ ადრესს და ერეკლე მეორის გარდაცვალების ასი წლისთავის აღნიშვნის საკითხს. ►

**1898 31 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 31 იანვარი“ („დღევანდელ დიპლომატიისათვის ორი დიდი ნასკვია...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“. ►

**1898 იანვრის ბოლო–თებერვლის დასაწყისი**

ავადმყოფობს. ►

**1898 5 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 4 თებერვალი“ („ამას წინად ტფილისის საბჭოში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პოლიტეხნიკუმის დაარსების გამო“. ►

**1898 6 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს სტატიას „პატარა საუბარი“ („საკვირველი ვაცია ჩვენი პატივცემული...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1898 8 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 7 თებერვალი“ („ყველაზე დიდი ნაკლი ჩვენის ქართულის ლიტერატურისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „კრიტიკა სანათურია ლიტერატურისა“. ►

**1898 19 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 თებერვალი“ („ჩვენი ერთი დიდი უბედურება ის არის...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სოფლის ახალგაზრდობა და მამულის პატრონობა“. ►

**1898 18, 20 თებერვალი**

მონაწილეობს თსს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის გაერთიანებულ კრებაში, რომელიც განიხილავს და ამტკიცებს დამგირავებელთა შეღავათების წესებს. ►

**1898 20 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 თებერვალი“ („ტფილისის სასულიერო სემინარიაში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ღარიბ მოსწავლეთა მიღება სემინარიაში სახელმწიფო ხარჯით“. ►

**1898 22 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 თებერვალი“ („ამ თებერვლის 22-სა დღესა შესრულდება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“. ►

**1898 22 თებერვალი**

სვეტიცხოვლის ტაძარში ესწრება მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების ასი წლისთავის გამო გადახდილ წირვასა და პანაშვიდს. ►

**1898 24 თებერვალი**

თბილისის სასამართლო პალატას გამოაქვს დადგენილება ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გურგენიძის მფლობელობაში არსებული საგურამოს მამულების გაყოფის დამტკიცების შესახებ. ►

**1898 1 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს წერილისა „ოინბაზობა თუსულელობა?“ („ყველამიცის, რომ...“) თბილისში პოლიტექნიკუმის გახსნისადმი გიორგი თუმანიშვილის დამოკიდებულების შესახებ. ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►



**1898 3 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს წერილისა „ონბაზობაა თუ სულელობა?“ („ჩვენი წინანდელი ფელეტონი შევაყენეთ...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. გაზეთის ამავე ნომერში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „პატარა საუბარი“ („გენერალ-ლეიტენანტმა, ან განსვენებულმა ს. ი. ქიშიშიშვიდმა...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1898 3 მარტი**

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი: ქრისტეფორე მამაცაშვილი, ივანე ზურაბიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, კოტე მესხი, პეტრე ყიფიანი, კიტა აბაშიძე და ვალერიან გუნია თხოვნით მიმართავენ ეშნ-კგ საზოგადოების გამგეობას, რომ იუბილეს გამართვამდე სალიტერატურო ფონდიდან ასესხონ 3000 მანეთი. ►

**1898 3 მარტი**

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავის საიუბილეო კომიტეტი გაზეთ „ცნობის ფურცელში“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იუბილე გაიმართება 9 აპრილს, პარაკლისს გადაიხდიან დიდუბის ეკლესიაში და სადღესასწაულო საღამო გაიმართება ქართულ თეატრში. ასევე აცხადებს კონკურსს ილია ჭავჭავაძის შესახებ ბიოგრაფიულ-კრიტიკული წერილის შედგენაზე. ►

**1898 3 მარტის შემდეგ**

ილია ჭავჭავაძის სტატიის „ონბაზობაა თუ სულელობა?“ წინააღმდეგ რუსულ პრესაში ქვეყნდება დავით კვბელისა და სხვათა წერილები. ►

**1898 4 მარტი**

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ბეჭდავს ცნობას მხატვარ გიგო გაბაშვილის განზრახვის შესახებ, დახატოს ილია ჭავჭავაძის პორტრეტი და მის საიუბილეოდ დადგას ცოცხალი სურათები „განდევილიდან“, „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან“ და „გლახის ნაამბობიდან“. ►

**1898 5 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „პატარა საუბარი“ („თ.გ. თუმანოვი გუშინდელ „Новое Обозрение“-ში...“). სტატია ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1898 5 მარტი**

გაზეთებში ქვეყნდება ცნობა ილია ჭავჭავაძის იუბილეს 23-24 მაისისთვის გადადების შესახებ. ►

**1898 10 მარტამდე**

იუბილესთან დაკავშირებით ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობა იღებს გადაწყვეტილებას ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მის მიერ გამოცემული ოთხტომეულის გაიაფების შესახებ, რომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს. ►

**1898 12 მარტამდე**

წერილით ატყობინებს კავკავში ლუარსაბ ბოცვაძეს, რომ მის მიერ გაგზავნილი მიმოხილვა ჟურნალ „ჭეჭილის“ შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია და იბეჭდება. ►

**1898 17 მარტამდე**

ნოე ჟორდანია თხოვნით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, ნება დართოს გაეცნოს ქშნ-კვ საზოგადოების სამი წლის ოქმებს. ►

**1898 17 მარტი**

დავით კარიჭაშვილს წერილობით ატყობინებს, რომ ნოე ჟორდანიამ ითხოვა ქშნ-კვ საზოგადოების სამი წლის ოქმების გაცნობა. თვლის, რომ ამ თხოვნის დაკმაყოფილება სავსებით შესაძლებელია, თუმცა არ სურს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება და ადრესატს სთხოვს, აცნობოს გამგეობას. ►

**1898 17 მარტი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი კრძალავს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ინფორმაციის გამოქვეყნებას იმის შესახებ, რომ 9 აპრილისთვის დანიშნული ილია ჭავჭავაძის იუბილე გადაიდო. ►

**1898 19 მარტი**

იღებს დეპეშას ქრისტეფორე მამაცაშვილისგან, რომელიც სთხოვს ბანკის ანგარიშების გადაგზავნას. ►

**1898 20-22 მარტი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ცნობები ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის მზადების შესახებ. ►

**1898 22 მარტი**

თავმჯდომარეობს თბილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრებას, რომელიც განიხილავს საზოგადოების მუშაობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს. ►

**1898 23 მარტი**

ბანკის გამგეობის წევრ თორნიკე ვახვახიშვილთან ერთად ქრისტეფორე მამაცაშვილს წერილობით აცნობებს, რომ 19 მარტს გაუგზავნეს ბანკის ყველა ანგარიში 1875 და 1877 წლების გარდა, რადგან მათი დაბეჭდილი პირები არ ჰქონდათ. ►

**1898 27 მარტი**

თბილისიდან წასულ მრევლთან ერთად მცხეთაში ხვდება საქართველოს ეგზარქოს ფლავიანეს. ►

**1898 28 მარტი**

სოფრომ მგალობლიშვილი ნიკო ნიკოლაძეს წერილით აცნობებს, რომ ილია ჭავჭავაძის იუბილე გუბერნატორმა აკრძალა, რადგან იგი იმპერიისადმი არაკეთილსაიმედოთა სიაში იყო. ადრესანტს იმედი აქვს, რომ შეიძლება მთავარმართებელ გრიგოლ გოლიცინისგან მიიღონ იუბილეს გადახდის ნებართვა და თუ ისიც უარზე იქნება, არაოფიციალურად გამართავენ. ►

**1898 4 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „ქრისტე აღსდგა!“. სტატია ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1898 4 აპრილი**

მარტორი უორდროპი წერილობითი თხოვნით მიმართავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ მიაწოდონ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია. ►

**1898 5 აპრილი**

ილია ზარაფიშვილი „ნადიკვარელის“ ფსევდონიმით გამოსცემს ბროშურას „თავ. ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე“, რომელშიც ყველასათვის გასაგები, პოპულარული ენით არის საუბარი მის ღვაწლზე. ►

**1898 11 აპრილამდე**

კიეველი და ოდესელი ქართველებისგან იღებს მისალოც ადრესებს, რომლებსაც ხელს აწერს 59 ადამიანი. ►

**1898 13 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრებას რომელზეც განიხილება ორგანიზაციის მოქმედების არეალის გაფართოება და ხელს აწერს სხდომის ოქმს. ►

**1898 14 აპრილი**

თავადაზნაურთა სამაზრო ურთიერთდამხმარე სალაროს დაარსების მიზნით თელავში გამართულ კრებაზე ირჩევენ წესდების შემმუშავებულ კომისიაში. ►

**1898 16 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის კრების გაგრძელებას რომელზეც განიხილება ორგანიზაციის მოქმედების არეალის გაფართოება და ხელს აწერს სხდომის ოქმს. ►

**1898 აპრილის შუა რიცხვებამდე**

წერილობითი თხოვნით მიმართავს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს, რომ ილარიონ დონაძე განაწესოს მედავითნედ სოფელ სანებლის ეკლესიაში. ►

**1898 19 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას. წლიური ანგარიშის წარმოდგენის დროს კამათში პროვოკაციული კითხვებით ერთვება ალექსანდრე კობიაშვილი. ილია ჭავჭავაძე დინჯად განუმარტავს თითოეულ საკითხს და აძლევს ამომწურავ პასუხებს. ►

**1898 20 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას. გამოდის ინიციატივით, რომ ბანკის მეოთხე დირექტორი მუდმივად იმყოფებოდეს ბაქოში, რომ ხალხს ბანკთან ურთიერთობა გაუადვილოს. ►

**1898 21 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას და ებმება კამათში საქველმოქმედო მიზნებისთვის მოგების განაწილებასთან დაკავშირებით. ►

**1898 22 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის წევრთა წლიურ კრებას და გამგეობის სახელით წინადადება შეაქვს, რომ გლეხებს გრძელვადიანი სესხები მიეცეთ 10 წლის ვადით. კამათის დროს ერთ-ერთი გამომსვლელი აღნიშნავს, რომ ასეთი სესხის აღება დამღუპველი იქნება. ილია ჭავჭავაძე ამაზე პასუხობს, რომ თუ ადამიანმა აღებული სესხი მეურნეობის გამართვის ნაცვლად უაზროდ გაფლანგა, მართლა დაიღუპება, მაგრამ თუ მიზნობრივად ხარჯა, სხვადასხვაგვარი დაბრკოლებაც რომ შეხვდეს, თავს მაინც გაიტანს. ►

**1898 22-23 აპრილი**

მონაწილეობს შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების კრებაში და მოითხოვს მოსწავლეთა სწავლის გადასახადისგან გათავისუფლებას. მისი წინადადებით კრება მადლობას უხდის ნიკოლოზ ცხვედაძეს იმ ღვაწლისათვის, რაც მან გასწია სათავადაზნაურო სკოლის შენობისთვის (ახლანდელი ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) ადგილის შესაძენი ფულის შეგროვებაში. ►

**1898 25 აპრილი**

თბილისის გამგეობის შენობაში ესწრება თათბირს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის საიუბილეოდ თბილისის ისტორიის დასაწერად კომისიის შექმნასთან დაკავშირებით. როგორც ბაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებიდან ჩანს, იგი უარს ამბობს ამ თარიღის აღნიშვნაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან ეს დღე მიაჩნია საქართველოს სიკვდილის დღედ. ►

**1898 26 აპრილი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ნოე ჟორდანიას წერილი „ჩვენებური საქმიანობა. ბანკები“, რომელშიც კრიტიკულად არის შეფასებული თბილისისა და ქუთაისის ბანკის ხელმძღვანელთა, მათ შორის ილია ჭავჭავაძის საბანკო საქმიანობა. ►

**1898 აპრილი**

ჟურნალ-გაზეთებში ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ორმოცი წლისთავის გამო იბეჭდება სხვადასხვა ცნობები. ►

**1898 2 მაისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდება ცნობა ილია ჭავჭავაძის იუბილეს გაურკვეველი ვადით გადადების შესახებ. ►

**1898 3 მაისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ნოე ჟორდანიას წერილი „ჩვენებური საქმიანობა. სენაკის სკოლა“, რომელშიც იგი სენაკის სკოლაში არსებულ დაპირისპირებებში ქმნ-კვ საზოგადოებასა და მის გამგეობას ადანაშაულებს. ►

**1898 9 მაისის შემდეგ**

იბეჭდება ილია ბარაფიშვილის ბროშურის „თავ. ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე“ მეორე გამოცემა, რომელიც უფასოდ ურიგდება „ცნობის ფურცლის“ ხელმომწერებს. ►

**1898 10 მაისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ნოე ჟორდანიას კრიტიკული წერილი „ჩვენებური საქმიანობა. წერა-კითხვის საზ. გამგეობა“, რომელშიც გაკრიტიკებულია საზოგადოების ხელმძღვანელობა. ►



**1898 12 მაისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ საზოგადოების გარდაცვლილი წევრის, ალექსანდრე როინაშვილის მიერ ქმნ-კგ საზოგადოებისთვის მთელი თავისი მოძრავი ქონების დატოვებისა და მისი დაკრძალვის ცერემონიალის საკითხებს. იღებენ დადგენილებას, რომ ცნობილი ფოტოგრაფი დაასაფლავონ დიდუბის ეკლესიის გალავანში. იაკობ გოგებაშვილსა და ნიკოლოზ მთვარელიშვილს ევალებათ დაესწრონ გარდაცვლილის ქონების აღწერას. ►

**1898 15 მაისი**

მონაწილეობს ფოტოგრაფ ალექსანდრე როინაშვილის დაკრძალვის პროცესიაში. ►

**1898 მაისის შუა რიცხვები**

ჟურნალ „მწყემსში“ იბეჭდება სტატია „მწარე ფიქრები“, რომელშიც საუბარია ილია ჭავჭავაძის მოსალოდნელ იუბილეზე და კრიტიკულად არის შეფასებული მისი, როგორც ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოღვაწეობა. ►

**1898 17 მაისი**

თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ესწრება ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) წირვას, რომლის დასრულების შემდეგაც სამღვდელოება საგანგებო ლოცვას აღავლენს გურია-იმერეთის ეპარქიაში ახლადგადაყვანილ ეპისკოპოს ალექსანდრესთვის (ოქროპირიძე). ილია ჭავჭავაძე მას მიმართავს სიტყვით, რომელშიც გამოკვეთს მის დამსახურებებს ერისა და მრევლის წინაშე. ►

**1898 17 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს ვრცელი ნარკვევისა თარიღით „ტფილისი, 16 მაისი“ („ქართველები ვამბობთ ხოლმე: ვინც მოკვდა, თავსა მოუკვდაო...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ალექსანდრე როინაშვილი (ნეკროლოგი)“. ►

**1898 19-20 მაისი**

გაზეთებში იბეჭდება უსამღვდელოესი ალექსანდრეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად კურთხევის ცერემონიაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა („თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სიტყვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად უსამღვდელოესი ალექსანდრეს კურთხევის ცერემონიაზე“. ►

**1898 24 მაისი**

სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძეს შინ აკითხავს უკრაინელ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია და გადასცემს ადრესს. მასში იგი შედარებულია პრომეთესთან, რომელმაც კაცობრიობისთვის ღვთაებრივი ნაპერწკალი მოიპოვა. ტექსტს სხვებთან ერთად ხელს აწერს უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსი მიხაილო კოციუბინსკი. ►

**1898 30 მაისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების წლიურ კრებას, რომელიც განიხილავს ქუთაისისა და სენაკის სკოლების საკითხს და გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილ კრიტიკულ წერილს სენაკის სკოლის შესახებ. კრებაზე ილია ჭავჭავაძეს ირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარედ 29 ხმით, ერთის წინააღმდეგ. ►

**1898 31 მაისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდება ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვების ცალკე წიგნად გამოცემის განზრახვის შესახებ. ►

**1898 მაისი**

მისი ხელმოწერით წიგნად გამოდის ქშნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►

**1898 5 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ ნიკოლოზ ცხვედაძეს, ხაზინადრად - ივანე ბურაბიშვილს და მდივნად – დავით კარიჭაშვილს. იაკობ გოგებაშვილს აძლევენ საწერი რვეულების ჰონორარს და ამტკიცებენ სხვადასხვა წვრილმან ხარჯებს. ინიშნებიან რევიზორები სკოლების შესამოწმებლად. ►

**1898 7 ივნისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება კრიტიკული წერილი ქშნ-კვ საზოგადოების 30 მაისს გამართული წლიური კრების, საზოგადოების გამგეობისა და მისი თავმჯდომარის – ილია ჭავჭავაძის შესახებ. ►

**1898 12 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მტკიცდება საფოსტო გზავნილების, მგზავრობისა და სხვა წვრილმანი ხარჯები. განიხილავენ ვასილ როინაშვილის თხოვნას ბიძის ფოტოსალონის მიყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ დადგენილებას ვერ იღებენ ანდერძის დამტკიცებამდე. ლუკა რაზიკაშვილის (ვაჟა-ფშაველას) თხოვნა სალიტერატურო ფონდიდან თანხის სესხებაზე არ კმაყოფილდება, მაგრამ სთავაზობენ იმავე თანხის ავანსად მიცემას, თუ თავის თხზულებებს დასაბეჭდად დაუთმობს ქშნ-კვ საზოგადოებას. მიხეილ საბინინის მიერ გამოგზავნილი ფოტოების კლიშეებს გასასინჯად გადასცემენ გრიგოლ ყიფშიძესა და ექვთიმე თაყაიშვილს. ►

**1898 13 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარია გლეზერს განზრახული აქვს „განდევილის“ თარგმნა გერმანულ ენაზე. ►

**1898 15 ივნისამდე**

მიხეილ ნასიძე, ფსევდონიმით „მეგახლავარ“, ბეჭდავს წიგნს, „თ. ი. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“. ►

**1898 15 ივნისი**

ესწრება ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის სხდომას, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად განიხილავენ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის აღმზრდელ დიმიტრი ლორთქიფანიძის სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში გადაყვანის საკითხს. ►

**1898 16 ივნისი**

ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის სახელით აცნობებს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის აღმზრდელ დიმიტრი ლორთქიფანიძეს, რომ 15 ივნისიდან გადაყვანილია სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში. ►

**1898 17 ივნისი**

იღებს ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის წევრების - ივანე ზურაბიშვილისა და ივანე აბაშიძის ოფიციალურ წერილს, რომლითაც ატყობინებენ, რომ სენაკის სკოლის საკითხის განხილვის დროს ისინი მომხრენი იყვნენ, რომ მასწავლებლების გარდა ამ სკოლიდან სხვაგან გადაეყვანათ ინსპექტორი სამსონ ყიფიანიც. ►

**1898 28 ივნისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება უცნობი ავტორის – ვ. ახვლედიანის წერილი „სენაკის სკოლის საქმე“, რომელშიც მკაცრად არის გაკრიტიკებული ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობა და მისი თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე. ►

**1898 2 ივლისი**

იღებს რევიზორ ევსტაფი დობეცკის წერილს საბანკო საქმეებთან დაკავშირებით. ►

**1898 ივლისის დასაწყისი**

შორეული აღმოსავლეთიდან იღებს ივანე ორახელაშვილის წერილს და შემოწირულ თანხას. ფულს მისი სახელით გადასცემს სათავადაზნაურო სასწავლებლისათვის შენობის ასაგებ ფონდს, შემომწირველს კი გაზეთის საშუალებით უცხადებს მადლობას. ►

**1898 20 ივლისი**

არტემ ახნაზაროვი უძღვნის ექპრომტს, რომელშიც ზმურად იკითხება სახელი „ილია“ (“მე ვსვამ იმის სადღეგრძელოს, / ვისიც რომ სიტყვა ტკბილია / მოყვრისთვის, მტერს კი მრავალსა / მოსჭრა სიმწარით კბილია”). ►

**1898 26 ივლისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ფილიპე მახარაძის კრიტიკული წერილი „საიუბილეო ბროშურა“ (მცირე შენიშვნა ბ–ნ მე გახლავარის წიგნაკის გამო „თ. ილ. ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“). მასში უარყოფითად არის შეფასებული მიხეილ ნასიძის წიგნი სამოციანელებისა და ილია ჭავჭავაძის ქების გამო. პუბლიკაციის ავტორის აზრით, ილიას შემოქმედებას მაღალი შეფასება არ უნდა მიეცეს, რადგან, მისი თქმით, „გლახის ნაამბობი“ უცხო ნიადაგიდან არის ამოზრდილი, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ კი მაშინ დაიწერა, როცა ბატონყმობა პრობლემური აღარ იყო. ►

**1898 31 ივლისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ ილია ჭავჭავაძე მუშაობს ახალ დრამატულ ნაწარმოებზე – ტრაგედიაზე. მწერლის ერთადერთი დრამატული ტექსტი, რომელიც 1898 წლამდე გამოქვეყნებული არ იყო და ჩვენამდე ავტოგრაფული ნაწყვეტის სახით მოაღწია, მკითხველისთვის ცნობილია გამომცემელთა მიერ მიცემული სათაურით „ირაკლი“, მაგრამ დაბეჭდვით ვერ ვიტყვით, საგაზეთო ინფორმაციაში მასზეა საუბარი თუ სხვა, ჩვენთვის საერთოდ უცნობ თხზულებაზე. ►

**1898 1 აგვისტომდე**

ასაჩივრებს თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულ იქნა ივანე ბარათოვის (ბარათაშვილის) სარჩელის საფუძველზე და რომლის მიხედვითაც თსს ბანკს დაეკისრა 327 მანეთის გადახდა მომჩივნის სასარგებლოდ. ბარათაშვილის საჩივარი ეხებოდა დავით ავალიშვილის გარდაცვალების შემდეგ ბანკის დირექტორად პავლე ყიფიანის და არა მის არჩევას. ილია ჭავჭავაძის ტექსტში, რომელიც რუსულ ენაზეა დანერვილი, იურიდიულად არის დასაბუთებული, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს არათუ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების, ბარათაშვილის სარჩელის განხილვის უფლება კი არ ჰქონდა. ►

- 1898 ზაფხული**  
საგურამოში მასპინძლობს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორ კარლ ჰაუპტს. ►
- 1898 6 სექტემბერი**  
ვრცელწერილს უგზავნის მეუღლეს თბილისიდან საგურამოში. აძლევს სამეურნეო ხასიათის დარიგებებს. დაწვრილებით უხსნის, რა არის გასაკეთებელი და ვის უნდა დაავალოს. სწერს, რომ ცხენები მცხეთაში მომავალ შაბათს საღამოს მატარებლისთვის დაახვედროს. ►
- 1898 7 სექტემბერი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც მტკიცდება სხვადასხვა წვრილმანი ხარჯები. არ კმაყოფილდება საზოგადოების ცალკეულ წევრთა და სამეგრელოს თავადაზნაურთა წინადადება სენაკის სკოლის საკითხის განსახილველად კიდევ ერთი, საგანგებო კრების მოწვევის შესახებ. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წინადადებას სკოლაში სწავლის გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით განსახილველად უბრუნებენ სკოლის მზრუნველთა კომიტეტს. სახელმძღვანელოებს უგზავნიან ასკანის სკოლის მასწავლებელს და პედაგოგიური კურსების გავლის დროს დახარჯულ თანხას უნაზღაურებენ კავკავის სკოლის მასწავლებელ ლუარსაბ ბოცვაძეს. ►
- 1898 10 სექტემბრის შემდეგ**  
მოსე ჭანაშვილი უილიამ მორფილისგან იღებს წერილს. ბარათის ბოლოს ადრესანტი მოკითხვას უთვლის ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც 10 წლის წინ დაუვიწყარი მასპინძლობა გაუწია თბილისში. ►
- 1898 20 სექტემბერი**  
არტემი წურინოვი წარწერით უძღვნის თავის წიგნს „თბილისის ბუნებრივი სიმდიდრეები (გოგირდ-ტუტოვანი ცხელი წყლების სწორი საექსპლოატაციო სახით რეკონსტრუქციის პროექტი)“. ►
- 1898 26 სექტემბერი**  
ივანე მესხი ბათუმიდან ფოთში ნიკო ნიკოლაძეს წერილით ატყობინებს, რომ ქალაქის ხმოსანთა არჩევნები 2 ოქტომბრისთვის დაინიშნა და იმ დროისთვის ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილიც აპირებენ ჩასვლას. ►
- 1898 აგვისტო–სექტემბერი**  
ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება კიტა აბაშიძის წერილი „ეტიუდები ქართული ლიტერატურიდან. წერილი მეოთხე. თავადი ილია ჭავჭავაძე“. ►
- 1898 20 ოქტომბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 19 ოქტომბერი“ („დაიბეჭდა, და ვითარცა ჯერ არს, გამოცხადდა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ცვლილებანი ბანკის წესდებაში“. ►
- 1898 22 ოქტომბერი**  
იღებს თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი რექტორის, არქიმანდრიტ სერაფიმეს წერილს. ადრესანტი იმედოვნებს, რომ ილია ჭავჭავაძე შეძლებს რუსებისა და ქართველების, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წევრების ერთმანეთის მიმართ ძმური დამოკიდებულების განმტკიცებას. ►



**1898 23 ოქტომბერი**

წერილობითი თხოვნით მიმართავს ექვთიმე თაყაიშვილს, რომ დროებით გადასცეს დავით ბაქრაძის რუსულენოვანი თხზულება „ქრისტიანობის ძეგლები კავკასიაში“. ►

**1898 ოქტომბრის ბოლოდან**

საპასუხო წერილს სწერს არქიმანდრიტ სერაფიმეს. ეთანხმება, რომ მართებული იქნებოდა ერთმორწმუნე რუსებისა და ქართველების ძმური თანაცხოვრება, მაგრამ ამას ხელს უშლის ჩინოვნიკთა მიერ არასწორად გაგებული სახელმწიფო პოლიტიკა და გარუსების იდეა, რომელიც „თავისი არსებით ანტირელიგიურია“. ►

**1898 10 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ დადგენილებას ალექსანდრე როინაშვილის ფოტოატელიეს ქარვასლაში გადატანის, შენობის გასარემონტებელი ხარჯების დაფარვისა და მომსახურე პერსონალისთვის განვლილი თვის ხელფასების მიცემის თაობაზე. გომარეთის სკოლის მასწავლებელს ეგზავნება სასწავლო ნივთები, სახელმძღვანელოები და ორი თვის ხელფასი. ►

**1898 11 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 10 ნოემბერი“. ტექსტი დაიბეჭდება მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1898 14 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 13 ნოემბერი“ („ამ უკანასკნელ წლებში...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ევროპის პოლიტიკა ახლო და შორ აღმოსავლეთში“. ►

**1898 17 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს გაგრძელებას მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 16 ნოემბერი“ („ჩინეთის საქმე ხომ ყველაზე მეტად...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ევროპის პოლიტიკა ახლო და შორ აღმოსავლეთში“. ►

**1898 18 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 17 ნოემბერი“ („წინა წერილებიდან სჩანს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ევროპის პოლიტიკა ახლო და შორ აღმოსავლეთში“. ►

**1898 19 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 18 ნოემბერი“ („შიდა რუსეთის გაზეთები ერთს იმისთანა ამბავს იწერებინ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „უკანონოდ შობილთა უფლება“. ►

**1898 20 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 19 ნოემბერი“ („ჩვენს გუშინდელს მეთაურში მოვიხსენიეთ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „უკანონოდ შობილთა უფლება“.

**1898 26 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 25 ნოემბერი“ („1870-სა წელსა, როცა გერმანიამ თავსზარი დასცა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“.

**1898 28 ნოემბერი**

თბილისის სასამართლო პალატა იხილავს თედო სახოკიას საჩივარს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთში „ჩიორას“ ფსევდონიმით არტემ ახნაზაროვის მიერ გამოქვეყნებული წერილის გამო. მომჩივანის მტკიცებით სტატია შეიცავდა მის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. რედაქტორის ბრალეულობა არ დასტურდება და სასამართლო პალატა ილია ჭავჭავაძეს უხსნის ბრალდებას.

**1898 29 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მოწინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 28 ნოემბერი“ („ჩვენს უკანასკნელს მეთაურში („ივერია“ № 253) მოვიხსენიეთა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“.

**1898 ნოემბრის ბოლო**

მიტროფანე ლალიძე გამოსცემს „პოემების კრებულს“, რომელიც იწყება ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილით“ (აკვლია XXII – XXIII თავები).

**1898 4 დეკემბერი**

იღებს ყვარლის მოურავ გიორგი გიგინაშვილის წერილს, რომელშიც საუბარია თავის ჭამაგირზე, წისქვილის შემოსავალსა და ქვევრებში ღვინის რაოდენობაზე.

**1898 6 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 5 დეკემბერი“ („მას აქედ, რაც სამთა კავშირი გერმანიისა, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიისა შეიკრიბა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისი ახალ პოლიტიკურ ვითარებაში“.

**1898 13 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 12 დეკემბერი“ („პატივცემულმა ან. ფურცელაძემ დაბეჭდა ჩვენს გაზეთში...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ბანკის დაფუძნებისათვის შეტანილი თანხის განკარგვა“.

**1898 15 დეკემბრამდე**

იბეჭდება არქიმანდრიტ კირიონისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ შედგენილი „სიტყვიერების თეორია“, რომელშიც შესულია ილია ჭავჭავაძის პოემები: „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „დედა და შვილი“; ლექსები: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „ბედნიერი ერი“, „ალარც ნატვრა და ალარც იმედია...“, „ბაზალეთის ტბა“ „ხმა სამარიდამ“, „ლოცვა“, „ქართლის დედას“, „ნანა“, „ელეგია“, „მტკვრის პირას“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „პოეტი“, „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე“, „დაბნელდა სული“, „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაკი...“; ასევე ნაწყვეტები მოთხრობებიდან და სხვა პოემებიდან. ►

**1898 20 დეკემბერი**

იღებს ყვარლის მოურავ გიორგი გიგინაშვილის წერილს, რომელშიც ატყობინებს დარაჯის დაპატიმრების ამბავს, სწერს წვრილმანი ხარჭების შესახებ და უგზავნის მამასახლისისგან მიღებულ ქვითარს. ►

**1898** სომხურ ენაზე გამოდის ტიგრან ფირუმიანის მიერ თარგმნილი „კაცია – ადამიანი?“. ►

**1898** პოეტი ვასილი ველიჩკო „რუსი მეგობრის“ ხელმოწერით უძღვნის გერასიმ ეზოვის წიგნს „პეტრე დიდის ურთიერთობა სომეხ ხალხთან“ და წიგნზე გაკეთებული წარწერით მიანიშნებს, რომ არ იზიარებს ავტორის ამ ვითომდა „მეცნიერულ“ გამოკვლევას. ►

**1898** ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ქრისტეფორე მამაცაშვილი გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ეხმაურება მიხეილ ბაქრაძის წერილს ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით. ►

**1898** მღვდელი და გალობის მასწავლებელი ვასილ კარბელაშვილი წარწერით უძღვნის „ქართლ-კახური საგალობლების“ წიგნს. ►

**1898** გამოდის არისტო ქუთათელაძის მიერ შედგენილი კრებული „წყარო“, რომელშიც ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „პოეტი“, „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ და „გაზაფხული“. ►

**1898-**  
დან უბის წიგნაკში იწერს კუპონის ბარათის შემოღებაზე სენატის გადაწყვეტილების ნომერს და დროს. ►

**1898-**  
დან უბის წიგნაკში იწერს ინგლისის კანცლერის სიტყვებს. ►

**1898-**  
დან ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელ ოლღა ალლაძეს ილია ჭავჭავაძესთან რედაქციაში მიაქვს პეტერბურგში, რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდში იოანე ვოსტორგოვის მიერ გაგზავნილი დეკრეტები, რომლებშიც იგი აბეზღებს ქართულ სამღვდელოებას და სამრევლო სკოლებს. ილია თავისთან იხმოებს სამრევლო სკოლების უფროს ევტიხი მამინაიშვილს, მიდის ეპისკოპოს კირიონთან და საქმის კურსში აყენებს მათ. ►

1899-

მდე

გრიგოლ ყიფშიძეს უგზავნის წერილს. სთხოვს შეატყობინოს დიმიტრი ნადირაძეს, რომ ფულის სესხად მიცემა არ შეუძლია, ჰონორართან დაკავშირებით კი თავად გრიგოლ ყიფშიძეს მიმართოს. ►

1899 1 იანვარი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 დეკემბერი“ („ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საახალწლოდ“. ►

1899 1 იანვარი

გაზეთ „კვალში“ „საახალწლო ნობათის“ სათაურით იბეჭდება კრიტიკული შარჟი ილია ჭავჭავაძეზე. ►

1899 16 იანვარი

ამთავრებს ბანკის ბაქოს სააგენტოს რევიზიას. ►

1899 17 იანვარი

ნოე ჟორდანიას გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილში „ადგილობრივი პრესისა წარსულ წელს“, ვრცლად განიხილავს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ილია ჭავჭავაძის სტატიებს. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ იგი უგალობს ფეოდალურ წარსულს, ვერ აცნობიერებს ბურჟუაზიის დაბადებას და გაურბის ცხოვრებისეულ საკითხებს. ამის გამო მისი გაზეთიც უიდეოა, უკან-უკან მიდის და, თუ არ განახლდება, მოკვდება. ►

1899 24 იანვარი

ნოე ჟორდანიას გაზეთ „კვალში“ აქვეყნებს გაგრძელებას წერილისა „ადგილობრივი პრესისა წარსულ წელს“, რომელშიც ამტკიცებს, რომ „ივერია“ აზრის გამოთქმას უფრთხის და რომ მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები სავსებით ემთხვევა გაზეთ „კავკასიას“. ამის დასტურად იმონმებს ამონარიდს „ივერიიდან“, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ რუსულ გაზეთს „კეთილშობილური მიმართულება“ აქვს კავკასიის ხალხების ეროვნულ საქმეში. ►

1899 27 იანვარი

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 26 იანვარი“ („გაზეთს „Kавказ“-ში (№№ 18 და 19) ბ-ნმა ნიკოლაძემ ორი ფრიად საბუთიანი...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ქალაქის თვითმმართველობის დებულების შესახებ“. ►

1899 31 იანვარი

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გიორგი წერეთლის სტატია „გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი“. ►

1899 3 თებერვალი

ქმნ-კვ საზოგადოების გამგეობის სახელით წერილობით მიმართავს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძეს, მიაწოდოს ინფორმაცია მისადმი რწმუნებული სასწავლებლის შესახებ. ►



**1899 9 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ შემოსულ თანხებსა და ფინანსურ ხარჯთაღრიცხვას, მადლობას უცხადებენ საზოგადოების სასარგებლოდ გამართული კონცერტის ორგანიზატორებს და ამტკიცებენ თბილისის სახალხო ბიბლიოთეკების შემოსავალ-გასავლს. კმაყოფილდება ნოე ჟორდანიას თხოვნა საზოგადოების წიგნთსაცავიდან წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სახლში წაღების უფლების მიცემის შესახებ. ►

**1899 16 თებერვალი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს ამიერკავკასიაში ერობის შემოღების საკითხს. ირჩევენ ამ საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობის ტექსტის შემმუშავებელ კომისიაში. ►

**1899 19 თებერვალი**

მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის ერთობლივ სხდომაში. ►

**1899 23 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ და ამტკიცებენ ქუთაისისა და სენაკის სათავადაზნაურო სკოლების მზრუნველთა კომიტეტის მიერ შედგენილ სკოლების მართვის ინტრუქციაში შეტანილ ცვლილებებს. დავით ბაქრაძეს ავალებენ სენაკის სკოლის მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლას და გამგეობისთვის დაწვრილებით მოხსენებას. ►

**1899 26 თებერვალი**

იღებს ყვარლის მოურავ გიორგი გიგინაშვილის წერილს, რომელშიც საუბარია სამეურნეო საკითხებზე. ►

**1899 2-4 მარტი**

ესწრება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებას, რომელზეც გრძელდება კამათი ერობის შემოღების საკითხზე. ►

**1899 5 მარტი**

თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე ირჩევენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების საკითხის შემმუშავებელ კომისიაში. ►

**1899 14 მარტი**

თავმჯდომარეობს სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების წევრთა წლიურ კრებას. ►

**1899 23 მარტამდე**

ამთავრებს ნარკვევ „ქვათა ღაღადის“ წერას და კითხულობს მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების წრეში. მათ შორის არიან: ექვთიმე თაყაიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანიშვილი და მიხეილ გრუზინსკი. ექვთიმე თაყაიშვილი ამჩნევს რამდენიმე უზუსტობას, ურჩევს, არ დაეყრდნოს მხოლოდ დიმიტრი ბაქრაძის ციტირებებს და უშუალოდ გაეცნოს ქერობე პატკანოვის წერილს. ილია ჭავჭავაძე რჩევას ითვალისწინებს. ►

- 1899 24 მარტი**  
ქმნ-კვ საზოგადოების სახელით თხოვნით მიმართავს საცენზურო კომიტეტს ალექსანდრ პუშკინის თხზულებათა დაბეჭდვაზე ნებართვის მისაღებად. ►
- 1899 24 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ იწყებს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი...“). ►
- 1899 25 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („სომეხთა მეცნიერთა და მათთა ამქართა ოინები...“). ►
- 1899 26 მარტი**  
ცენზურისგან იღებს ნებართვას ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ ცალკე წიგნად გამოცემაზე. ►
- 1899 28 მარტი**  
რწმუნებულად ირჩევენ თსს ბანკის პირველი თანრიგის მსესხებელთა კრებაზე. ►
- 1899 28 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („რაცა ვთქვით, ეს არ გვაკმარა პატკანოვმა...“). ►
- 1899 30 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერთა ამბავი დიდს მდინარე წყალს ჰგავს...“). ►
- 1899 31 მარტი**  
გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („ეს ქება -დიდება სომეხებისა ხომ ვნახეთ...“). ►
- 1899 1 აპრილი**  
გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („ეს ხომ ვნახეთ, ბ-ნი ეზოვი რა ხალისიანად ალაპარაკებს შარდენს...“). ►
- 1899 2 აპრილი**  
გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („ეს ხომ შეგვამკო ტოტლებენის მოწმობით ბ-ნმა ეზოვმა...“). ►
- 1899 3 აპრილი**  
გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერნი რომ ასე იქცევიან და ოინბაზობენ...“). ►

**1899 აპრილის დასაწყისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდება გამოხმაურებები ნარკვევზე „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ და ინფორმაცია მისი სომხურ ენაზე თარგმნისა და გამოქვეყნების განზრახვის შესახებ. ►

**1899 4 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („И камни вопиют!....Камни не лгут!.. – იძახის გულგაფიცვებით ბ-ნი გოლმსტრემი...“). ►

**1899 4 აპრილი**

გაზეთ „კვალში“ „ს. გ-ძე“-ს ხელმოწერით იბეჭდება ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტ სერგო გორგაძის ღია წერილი იპოლიტე ვართაგავასადმი, რომელმაც გაზეთ „ივერიაში“ „ვარ...“-ის ფსევდონიმით გამოაქვეყნა სტატია „ბაზრობა „კვალისტების“ რიხიანობა-ამჰარტავნება-ფანატიკოსობისა“. გორგაძის წერილს თან ახლავს რედაქტორის შენიშვნა, რომელიც მიმართულია „ივერიის“ რედაქტორ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რომელმაც, მისი თქმით, გაზეთი ლანძღვისა და შურისძიების ორგანოდ აქცია. ►

**1899 5 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („ბ-ნი გოლმსტრემი მარტო ქვათა ღალადის, ქვათა მონძობის გადასხვაფერებას არა ჰკმარობს...“). ►

**1899 6 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ განაგრძობს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („ჩვენ ხომ ვნახეთ, რა ტყუილად მოუწვევია ბ-ნი გოლმსტრემს...“). ►

**1899 8 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ასრულებს ვრცელი ნარკვევის ბეჭდვას სათაურით „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღალადი“ („სახელი და პატივი ბ-ნს გოლმსტრემს...“). ►

**1899 9-10 აპრილი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს მიწების გამიჯვნის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების, ერეკლე მეორის სახელობის სტიპენდიის დაწესების, ქართული თეატრისა და სხვა საკითხებს. ►

**1899 11 აპრილი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გამოხმაურება ილია ჭავჭავაძის ნარკვევზე „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“. მის ნაკლად დასახელებულია ის, რომ ნაშრომში განხილულია ძირითადად რუსულენოვანი პუბლიკაციები და გამოყენებულია მხოლოდ ერთი სომხური წყარო. ►

**1899 13 აპრილი**

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კერძო თაბირზე ირჩევენ თავმჯდომარედ კომისიისა, რომელსაც ევალება გუბერნიის ერთ-ერთ სამაზრო ქალაქში ვაჟთა გიმნაზიის გახსნისათვის შუამდგომლობის აღძვრა. ►

- 1899 14 აპრილი**  
იღებს კონსტანტინე მამაცაშვილის წერილს ნარკვევ „ქვათა ღაღადთან“ დაკავშირებით. ►
- 1899 22 აპრილი**  
იღებს წერილს ანთიმოზ ჭულელისგან, რომელსაც აინტერესებს მისი აზრი სოხუმის ქალაქის მერობის კანდიდატის ალექსანდრე სარაჯიშვილის შესახებ. ►
- 1899 25 აპრილი**  
ხვდება ალექსანდრე სარაჯიშვილს, ეკითხება, დათანხმდება თუ არა სოხუმის მერად კენჭისყრაზე და იღებს დადებით პასუხს. ►
- 1899 25 აპრილი**  
საპასუხო წერილს უგზავნის ანთიმოზ ჭულელს და სწერს, რომ ალექსანდრე სარაჯიშვილი სოხუმის მერად საუკეთესო კანდიდატია. ახასიათებს მას, როგორც დარბაისელ, ჭკვიან, გამრჯელ, გამოცდილ ადამიანს და თავდადებულ ქართველს. ამასთან ადრესატს მიმართავს თხოვნით, თუ სარაჯიშვილის გამარჯვების იმედი არ არის, მის კანდიდატურას საერთოდ ნუ წამოაყენებენ, რომ ტყუილად უხერხულობაში არ ჩააგდონ. ►
- 1899 აპრილი**  
წიგნად გამოდის მისი ნარკვევი „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ►
- 1899 მაისის დასაწყისი**  
ქმნ-კვ საზოგადოება გამოსცემს ალექსანდრე პუშკინის თხზულებებს. წიგნში შეტანილია ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ლექსები „წინასწარმეტყველი“ და „ჭემმარიტება“. ►
- 1899 26 მაისი**  
გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს ალექსანდრე პუშკინის ლექსების „წინასწარმეტყველი“ და „ჭემმარიტება“ მისეულ თარგმანებს. ►
- 1899 29 მაისი**  
თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ესწრება ალექსანდრე პუშკინის საიუბილეო საღამოს, რომელზეც კითხულობენ პუშკინის „წინასწარმეტყველის“ მისეულ თარგმანს. ►
- 1899 30-31 მაისი**  
მონაწილეობს თსს ბანკის კრებაში, რომელიც განიხილავს განვლილი წლის ანგარიშს, მიმდინარე ხარჯთაღრიცხვას, ბანკის დაარსების 25 წლის იუბილეს და ამასთან დაკავშირებით გამგეობის თავმჯდომარისთვის ხელფასის მომატების საკითხს. ►
- 1899 7 ივნისი**  
თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებას. ►



**1899 18 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ კავკავის სკოლის კომიტეტის წერილობით თხოვნას ამ კომიტეტის თავმჯდომარედ ალექსი ჭიჭინაძისა და მოადგილედ ტიტე კახიძის დამტკიცების თაობაზე. ისმენენ ივანე რატიშვილის ინფორმაციას ხელთუბნისა და წინარეხის სკოლების შესახებ. დავით ბაქრაძის მიერ სენაკის სკოლის შესახებ მოხსენების წარმოდგენის შემდეგ იღებენ დადგენილებას სამსონ ყოფიანის ქუთაისის სკოლაში გადაყვანისა და სენაკის სკოლის მასწავლებლების: მიხეილ შარაშიძის, პლატონ და გრიგოლ წულუკიძეების, ივანე გომელაურისა და გიორგი ბოკერიას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. ►

**1899 19 ივნისიდან**

ხელს აწერს ამიერკავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან გასაგზავნ მოხსენებას სენაკის სკოლაში არსებულ დაპირისპირებებთან დაკავშირებით ქმნ-კგ საზოგადოების გამგეობის მიერ მიღებული ზომების შესახებ, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არ არის, სწორი იყო თუ არა მათი რეაგირება. ►

**1899 19 ივნისიდან**

ფრეილინის ქუჩაზე, ბანკში აკითხავს ივანე გომელაური, რომ დაელაპარაკოს სენაკის სკოლის მასწავლებლობიდან თავის დათხოვნასთან დაკავშირებით. ილია ჭავჭავაძე ეუბნება, რომ ეს გამგეობის დადგენილებაა, რომლის შეცვლაც მას არ შეუძლია. ►

**1899 ივლისის დასაწყისი**

რუსულ ჟურნალში „საზღვარგარეთის ლიტერატურის მაცნე“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსის „პოეტი“ ვლადიმერ ლებედევისეული თარგმანი. ►

**1899 4 ივლისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდება ცნობა ილია ჭავჭავაძის მიერ ქმნ-კგ საზოგადოებისათვის ერეკლე მეორის მონეტის შეწირვის შესახებ. ►

**1899 9 აგვისტო**

ნიკო ცხვედაძე საგურამოში დევეშით ატყობინებს, რომ იბარებენ თბილისში სენაკის სკოლის ინსპექტორ სამსონ ყოფიანის საქმის თაობაზე. ►

**1899 9 აგვისტო**

ავადმყოფობის გამო საგურამოდან თბილისში ჩასვლას ვერ ახერხებს და სამსონ ყოფიანის საქმის თაობაზე თავის აზრს წერილობით ატყობინებს ქმნ-კგ საზოგადოების მდივან დავით კარიჭაშვილს. რამდენადაც სენაკის სკოლის ინსპექტორის თანამდებობაზე სხვა კანდიდატი ვერ შეარჩიეს, ხოლო ადგილობრივი საზოგადოება ითხოვს ყოფიანის დაბრუნებას, თანახმაა, რომ ამ პიროვნების სამსახურიდან გათავისუფლების დადგენილება გაუქმდეს და სამსონ ყოფიანი დარჩეს თავის თანამდებობაზე, მაგრამ არა როგორც ინსპექტორი, არამედ როგორც ამ მოვალეობის შემსრულებელი. ►

**1899 24 აგვისტო**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ თბილისის სახალხო ბიბლიოთეკების შემოსავალ-გასავლს და მსჯელობენ სენაკის სათავადაზნაურო სკოლიდან პლატონ წულუკიძის დათხოვნის თაობაზე. ნიკოლოზ მთვარელიშვილი უარს ამბობს ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორის თანამდებობაზე, სადაც იგი სამსონ ყოფიანის ნაცვლად უნდა დანიშნულიყო. განიხილავენ კავკავის სკოლის თხოვნას მესამე მასწავლებლად ქუთაისის სამეურნეო სკოლის რომელიმე კურსდამთავრებულის დანიშვნის შესახებ. ►

- 1899 აგვისტო**  
იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ მეორე გამოცემა. ►
- 1899 1 სექტემბერი**  
ფრანგ ტურისტთა და ჟურნალისტთა ჯგუფის თბილისში ვიზიტის გამო დავით გურამიშვილი წერილს უგზავნის ფოთში ნიკო ნიკოლაძეს და სთხოვს ჩამოსვლას. მის ბარათზე მინაწერს აკეთებს ილია ჭავჭავაძეც და სწერს, რაოდენ სასურველია, რომ „უცხო კაცებმა ჩვენგან შეიტყონ აქაური ავი და კარგი“. ►
- 1899 სექტემბრის დასაწყისი**  
ხვდება საქართველოში სტუმრად მყოფ ფრანგ მოგზაურთა და ჟურნალისტთა ჯგუფს. ►
- 1899 30 სექტემბერი**  
პეტრე უმიკაშვილი გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს სტატიას ქართული თეატრის ისტორიის შესახებ და იგონებს ილია ჭავჭავაძის მიერ მისი სტუდენტობის პერიოდში თბილისის გიმნაზიის შენობის დარბაზში დადგმულ ცოცხალ სურათებს, რომელშიც თავად ილია ლირის როლს ასრულებდა. ►
- 1899 9 ოქტომბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 ოქტომბერი“ („არაერთხელ გამოგვითქვამს ჩვენს „ივერიაში“...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სწავლების სისტემა კლასიკურ გიმნაზიებში“. ►
- 1899 19 ოქტომბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 ოქტომბერი“ („ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ მისმა ბრწყინვალეობამ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „შესაწირავი დრამატულ საზოგადოებას“. ►
- 1899 24 ოქტომბერი**  
მონანილეობს ფრანგი არქეოლოგის ბარონ დე ბაისა და რუსი მწერლის ევგენი მარკოვის საპატივცემულოდ „ფანტაზიის“ ბაღში გამართულ ნადიმში. წვეულებას ესწრებიან: ვასილი ველიჩკო, დავით სარაჯიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნიკო ცხვედაძე, არტემ ახნაზაროვი და სხვები. ილია ჭავჭავაძე სიტყვით მიმართავს უცხოელ სტუმრებს. ბარონი დე ბაი ამბობს სამადლობელ სიტყვას. ►
- 1899 27 ოქტომბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება უცხოელი სტუმრების პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოდგენილი სიტყვა („ნება მიბოძეთ, მეც სხვათა შორის სალამი მოგართვათ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში ტექსტი დაიბეჭდა სათაურით „სიტყვა, წარმოდგენილი ე. ლ. მარკოვისა და ბარონ დე-ბაის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე“. ►

**1899 29 ოქტომბერი**

გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება განცხადება ახალი ჟურნალის „კავკაზსკი ვესტნიკის“ გამოცემის შესახებ და თანამშრომელთა სიაში მოხსენიებულია ილია ჭავჭავაძე. იგი იმავე დღეს უგზავნის წერილს ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორს და სთხოვს თანამშრომელთა სიიდან ამოღებას. ►

**1899 31 ოქტომბერი**

გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის წერილი ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორისადმი. მისი უარი ჟურნალში თანამშრომლობაზე განაპირობა იმან, რომ კოლექტივში არიან მისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების ადამიანებიც, ჟურნალის გამოცემა კი არსებით საკითხებთან დაკავშირებით თანამოაზრეობას მსოფლმხედველობისა და მიმართულების ერთიანობას მოითხოვს. ►

**1899 4 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 ნოემბერი“ („ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „პასუხი თ. გ. თუმანოვს“. ►

**1899 10 ნოემბერი**

სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრ მიხეილ გრუზინსკისთან ერთად საპროტესტო წერილს აქვეყნებს გაზეთ „კავკაზში“. საქმე ეხება „ტიფლისკი ლისტოკში“ დაბეჭდილ ინფორმაციას თსს ბანკის ბაქოს განყოფილებიდან 50 ათასი მანეთის გაფლანგვის შესახებ. ►

**1899 12 ნოემბერი**

ბარონი დე ბაი წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „კავკასიის ქედის ჩრდილოეთით“. ►

**1899 14 ნოემბერი**

ხელშეკრულებას დებს სტეფანე მიხაილოვთან, რომ იგი ილია ჭავჭავაძის დაფინანსებით ააწყობს წისქვილს. ►

**1899 26 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს სათაურით „ასის წლის წინათ“ („11-ს იანვარს 1798 წელს თელავში გარდაიცვალა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში; ►

**1899 ნოემბერი**

ქუთაისის ბანკის შესახებ მისი სტატიების პასუხად ჟურნალ „აკაკის კრებულში“ სტატიის სახით იბეჭდება „აკაკის წერილი თ. ილია ჭავჭავაძესთან“ და მალევე გამოდის ცალკე წიგნად. ►

**1899 ნოემბერი**

თსს ბანკი აქვეყნებს განცხადებას ვალში დარჩენილი მამულების საჯაროდ გაყიდვის შესახებ. იმ პირთა სიაში, რომელთაც აქვთ ბანკის დავალიანება, მოხსენიებულია ილია ჭავჭავაძეც. მის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენს 7834 მანეთს. ►

**1899 2 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 1 დეკემბერი“ („საოცარს სანახაობას წარმოადგენს დღევანდელი ომი...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ინგლისისა და ტრანსვალის ომი. პოლიტიკური ვითარება ევროპაში“. ►

**1899 5 დეკემბერი**

მოურავ მერაბს უგზავნის წერილს და აძლევს სამეურნეო ხასიათის დარიგებებს. ►

**1899 16 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 დეკემბერი“ („თავმოწონებას ინგლისისას თავზარი დაეცა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ომი ბურებთან“. ►

**1899 27 დეკემბერი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნატორის მიერ მოწვეულ თათბირში, რომელიც განიხილავს ახალქალაქის მაზრაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა შემწეობის საკითხს. ირჩევენ დაზარალებული მოსახლეობის დამხმარე კომიტეტის წევრად. ►

**1899 დეკემბერი**

ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება კიტა აბაშიძის წერილი „თ-დი აკაკი წერეთელი და მისი თავის მართლება“, რომელიც ეხება ქუთაისის ბანკთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის გამართულ პოლემიკას. ►

**1899 დეკემბერი**

ფრანგული ჟურნალი „ლე კოკაზ ილიუსტრე“ ბეჭდავს დავით კარიჭაშვილის წერილს „ქართველი პუბლიცისტები და ილია ჭავჭავაძე“. ამავე ნომერში ქვეყნდება საფრანგეთის ყოფილი კონსულის მოგონება ილია ჭავჭავაძეზე, რომელშიც ჩართულია ილიას პორტრეტი, ბიოგრაფია და 1884 წ. 30 ნოემბერს თბილისის ფრანგი მოსახლეობის დასახმარებლად გამართული საქველმოქმედო საღამოს შემდეგ გამართულ ნადიმზე წარმოქმული სიტყვა. ►

**1899** „სახალხო წიგნის“ სერიით იბეჭდება ილია ჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. ►

**1899** გაზეთ „კვალში“ იბეჭდება კაპიტონ გოგოლაძის წერილი, რომელშიც გაკრიტიკებულია ქმნ-კვ საზოგადოების ბოლო კრება. ►

**1899** მისი ხელმოწერით წიგნად გამოდის ქმნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►

**1899** გამოდის „ბუნების კარის“ მეათე გამოცემა, რომელშიც იბეჭდება მისი ლექსები, ნაწყვეტები მოთხრობებიდან და პოემებიდან. ►

**1899** რუსულენოვან მაგიდის კალენდარში იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსების: „პოეტი“, „მას აქეთ, რაკი...“, „გაზაფხული“ და პოემა „აჩრდილის“ ნაწყვეტის („არავგს“) ივან თხორაშვილისეული თარგმანები. ►



- 1899** ნოე ჟორდანიას გაზეთ „კვალში“ ბეჭდავს წერილს „ადგილობრივი პრესისა წარსულ წელს“, რომელიც, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგაა მიმართული. ►
- 1899-**  
**დან** უბის წიგნაკში რუსულად იწერს წიგნების ჩამონათვალს და მათ ფასებს. ►
- 1899-**  
**დან** უბის წიგნაკში იწერს წყალში გამძლე წებოს და დაძველებული ტყავის გასაახლებელი ნარევის მომზადების წესებს. იქვე ინიშნავს, როგორ გამოვაცოცხლოთ დამტკნარი ხილი და მწვანილი. ►
- 1899-**  
**დან** უბის წიგნაკში იწერს რევმატიზმის წამლის მომზადების წესს. ►
- 1900-**  
**მდე** თსს ბანკის დირექტორ გიორგი თარხნიშვილს ბარათით ატყობინებს, რომ უამინ დობის გამო სახლიდან ვერ გავა და საჭიროების შემთხვევაში შინ მიაკითხონ. ►
- 1900** **1 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 დეკემბერი“ („ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „მეცხრამეტე საუკუნე“. ►
- 1900** **2 იანვარი**  
ქართული თეატრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დრამატული საზოგადოების წევრთა სადღესასწაულო კრებაზე კითხულობს ქმნ-კგ საზოგადოების მისასალმებელ ადრესს და გამოდის სიტყვით. ►
- 1900** **2 იანვარი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ივანე გომართელის წერილი „ორმოცდაათი წელი ქართული თეატრისა“, რომელშიც აღნიშნულია ილია ჭავჭავაძის ღვანლი ქართული დრამატული დასისა და დრამატული კომიტეტის დაარსებაში. ►
- 1900** **6 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის გამოსვლა ქართული თეატრის იუბილეზე („თითქმის იმ დღიდან, როცა ჩვენი თეატრი დაიბადა...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „სიტყვა, წარმოთქმული ქართული თეატრის 50 წლის იუბილეზე“. ►
- 1900** **9 იანვარი**  
გაზეთ „კვალის“ რუბრიკაში „ჟურნალ-გაზეთებიდან“ მოხმობილია ამონარიდები ილია ჭავჭავაძის წერილიდან „მეცხრამეტე საუკუნე“. კომენტარში ნათქვამია, თითქოს ავტორი აქ ფარისევლურად ისეთ აზრებს ქადაგებდეს, რომლებსაც ადრე უარყოფდა და „არა ერთხელ და ორჯერ ჩაუწიხლავს მის გაზეთს“. ►
- 1900** **12 იანვარამდე**  
ქმნის ჰამფლეტს „სიმკვრივე სარწმუნოებისა (შედგენილი მსოფლიოსა კრებასა ზედა...)“. ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1900** **15 იანვარამდე**  
თსს ბანკის ბაქოს სააგენტოს რევიზორებისათვის მიემგზავრება ბაქოში. ►

- 1900 15 იანვრამდე**  
ბაქოში ესწრება დავით ნიკოლოზის ძე ლოლობერიძისა და მარიამ მელიქიშვილის ქორწილს. ►
- 1900 15 იანვარი**  
ბაქოში სტუმრობს დავით ნიკოლოზის ძე ლოლობერიძესა და მარიამ მელიქიშვილს და იგებს გიორგი წერეთლის გარდაცვალების ამბავს. ►
- 1900 16 იანვარი**  
ბაქოში მყოფ ქართველებთან ერთად ესწრება გიორგი წერეთლის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს. ►
- 1900 16 იანვარი**  
გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე რამდენიმე გამომსვლელი უარყოფითად იხსენიებს „ივერიას“, რომელიც, თითქოს დევნიდა გარდაცვლილს. სოციალ-დემოკრატი ვასილ კირვალიძე კი აცხადებს, რომ ამ აზრისაა უამრავი ადამიანი და ამის დასადასტურებლად 101 კაცის ხელმოწერაც აქვს. ►
- 1900 22 იანვარი**  
თსს ბანკის ბაქოს სააგენტოს რევიზორების შემდეგ ბრუნდება თბილისში. ►
- 1900 25 იანვარი**  
იღებს ონის უფასო საერო სამკითხველოს წევრთა წერილს თხოვნით, რომ უსასყიდლოდ მიანოდოს გაზეთ „ივერიის“ ნომრები. ►
- 1900 30 იანვარი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება დასაწყისი ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილისა სათაურით „პრესა“, რომელიც მთლიანად მიმართულია გაზეთ „ივერიისა“ და მისი რედაქტორის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. იგი წარმოჩენილია როგორც უკიდურესი რეაქციონერი. ►
- 1900 31 იანვარი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე ირჩევენ საადგილ-მამულო გადასახადების შემცირებაზე შუამდგომლობის შემმუშავებელ კომისიაში. ►
- 1900 იანვარი**  
ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება პეტრე უმიკაშვილის წერილი „ქართული თეატრი და ლიტერატურა“, რომელშიც საუბარია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობასა და ქართული თეატრის დაარსების საქმეში შეტანილ წვლილზე. ►
- 1900 იანვრის ბოლო**  
მასპინძლობს საქართველოში მყოფ იტალიელ მეცნიერსა და მოგზაურ გულიელმო პასილის. ►
- 1900 თებერვლიდან**  
თბილისში გამომავალი ფრანგული ჟურნალი „ლე კოკაზ ილიუსტრე“ იწყებს პოემა „განდევილის“ პროზაული ფრანგული თარგმანის გამოქვეყნებას, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „S. L.“. ►

- 1900 თებერვლის დასაწყისი**  
 ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება კიტა აბაშიძის მიმოხილვა „1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ილია ჭავჭავაძესა და ახალ თაობაზე. ►
- 1900 13 თებერვალი**  
 გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გაგრძელება ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილისა სათაურით „პრესა“, რომელშიც ილია ჭავჭავაძის პირველ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ შესახებ ნათქვამია, რომ უფრო აღმანახი იყო, ვიდრე ჟურნალი და საერთოდ არ ასახავდა ყოველდღიურ პრობლემებს. ►
- 1900 27 თებერვალი**  
 გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გაგრძელება ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილისა სათაურით „პრესა“. ავტორის თქმით, ილია ჭავჭავაძე დამარცხდა როგორც პროგრესისტი. გაზეთ „ივერიის“ გამოცემა მან ნიკო ნიკოლაძესთან პოლემიკისა და „დროებიდან“ წასვლის გამო გადაწყვიტა და ეს გაზეთი „ბანკის დამატებად“ აქცია. აქვე იბეჭდება ვასილ კირვალიძის სტატია „ბატონ ლალს“. ავტორი გიორგი ლასხიშვილს (ფსევდ. „ლალი“) „ივერიის“ ადვოკატს უწოდებს, რომელიც ამოდ ცდილობს გიორგი წერეთლის საფლავთან ვასილ კირვალიძის მიერ ამ გაზეთის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების გაბათილებას. ►
- 1900 1 მარტის შემდეგ**  
 ბათუმში იბეჭდება კრებული „ჩანგი“, რომელშიც შესულია პოემა „დედა და შვილი“, ლექსები: „გ. აბხ...“, „რა ვაკეთეთ. რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, „ბედნიერი ერი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ლოცვა“, „ქართლის დედას“, „ნანა“, „ელეგია“, „პოეტი“, „მესმის, მესმის“, „იანიჩარი“, „გახსოვს, ტურფავ..“, „უსულდგმულო ცხოვრება“, „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაკი...“ და თარგმანები: „ბედა მქადაგებელი“, „სტიროდეთ“, „ლოყით მოეპყარ“, „კართა თანა“. ►
- 1900 4 მარტი**  
 ქმნ-კვ საზოგადოების სახელით აკადემიკოს ივანე თარხნიშვილს დეკემბით ულოცავს მეცნიერული მოღვაწეობის 30 წლისთავს. ►
- 1900 9 მარტი**  
 გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ იწყებს მოწინავე წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 8 მარტი“ („დღესა თუ ხვალ ჩვენში შემოღებულ იქნება...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საადგილ-მამულო გადასახადის საქმე“. ►
- 1900 12 მარტი**  
 გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გაგრძელება ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილისა სათაურით „პრესა“, რომელშიც ნათქვამია, რომ გაზეთი „ივერია“ გადაიქცა ბანკირების ორგანოდ. სტატიის ავტორის აზრით, რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ იცის ქვეყანაში რა პრობლემებია, მაგრამ ბანკს ემორჩილება და არ იმჩნევს. ►
- 1900 12 მარტი**  
 გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ განაგრძობს მოწინავე წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 11 მარტი“ („ჩვენ ამას წინად, როცა ვარჩევდით...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საადგილმამულო გადასახადის საქმე“. ►

**1900 16 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ ასრულებს მოწინავე წერილის ბეჭდვას თარიღით „ტფილისი, 15 მარტი“ („ჩვენ წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ საჭიროა გამოირკვეს...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „საადგილმამულო გადასახადის საქმე“. ►

**1900 18 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ იწყებს მოწინავე წერილის ბეჭდვას სათაურით „უმეცრობის ფართი-ფურთი“ („უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია...“), რომელიც გამონვეულია ნოე ჟორდანიას სტატიით „პრესა“. ►

**1900 19 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ განაგრძობს მოწინავე წერილის ბეჭდვას სათაურით „უმეცრობის ფართი-ფურთი“ („წინა წერილში იმაზე შევწყვიტე სიტყვა...“). ►

**1900 19 მარტი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება მიმოხილვითი წერილი „ჟურნალ-გაზეთებიდან“, რომელშიც საუბარია „სევერნი კურიერში“ დაბეჭდილ „პ. გ-ლის“ წერილზე „სომეხ-ქართველთა განხეთქილება“. მიმოხილველს მოჰყავს სტატიაში გამოთქმული აზრები, რომ გაზეთი „ივერია“ მუდამ სომხების ლანძღვაშია, განსაკუთრებით თვითმართველობის არჩევნებში ქართველების მარცხის შემდეგ. აქვე საუბარია ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის დაპირისპირებაზე და კვლავ ილია ჭავჭავაძეა დადანიშნულებული, რომელმაც ოპოზიციას „მთელი არტილერია მიუსია“ და დააამარცხა. ►

**1900 20 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ ასრულებს მოწინავე წერილის ბეჭდვას სათაურით „უმეცრობის ფართი-ფურთი“ („მართალია, კრედიტი ორპირი მახვილია...“). ►

**1900 23 მარტამდე**

გაზეთი „კვალი“ აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვასილ კირვალიძის ბრალდებებს ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის“ წინააღმდეგ 101 თანამოაზრე ადასტურებს ხელმოწერით. ►

**1900 23 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ ბეჭდავს სტატიას „პატარა საუბარი“ („კვალის“ მკითხველებს მოეხსენებათ...“), რომლითაც ეხმაურება გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილ ნოე ჟორდანიასა და ვასილ კირვალიძის წერილებს. მათ ნათქვამს, 101 მომხრის ხელმოწერა გვაქვსო, პასუხობს, რომ როცა საქმე ლიტერატურას ეხება, მთავარია კომპეტენცია და არა რაოდენობა, ხმები უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. ►

**1900 21-24 მარტი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელზეც განიხილავენ საძოვრებით სარგებლობის, ქარვასლისა და თეატრის შეკეთების საკითხებს. ილია ჭავჭავაძე განმარტებას იძლევა ბანკის დამფუძნებელთათვის თანხის დაბრუნების შესახებ. ►



**1900 25 მარტი**

მონაწილეობს თბილისის სამეურნეო ბანკის კრების საქმიანობაში. ►

**1900 26 მარტი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება დასაწყისი ნოე ჟორდანიას ვრცელი წერილისა „გზა და გზა“, რომელიც არის გამოხმაურება ილია ჭავჭავაძის პუბლიკაციაზე „უმეცრების ფართი–ფურთი“. ►

**1900 29 მარტი**

ბორის ესაძე წარწერით უძღვნის მის მიერ გამოცემულ წიგნს „კავკასიის ჭარების საბრძოლო გმირობანი. კავკასიის სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში დაცული სურათების ალბომი“. ►

**1900 მარტი**

ოლლა თადეოზის ასული გურამიშვილი წერილობით აცნობებს დუშეთის თავადაზნაურობის წინამძღოლს, რომ საკუთარ უფლებას, ხსენებული მაზრის სახელით მონაწილეობა მიიღოს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საქმიანობასა და არჩევნებში გადასცემს მეუღლეს, ილია ჭავჭავაძეს. ►

**1900 2 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ ბეჭდავს სტატიას „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“ („ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ პასუხი მაღირსა...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულება ოცტომეულში. ►

**1900 2 აპრილი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება მიმოხილვითი წერილი „ჟურნალ-გაზეთებიდან“. მასში ილია ჭავჭავაძის მიერ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით გამოთქმული აზრი ინტერპრეტირებულია ისე, თითქოს მწერალს საზოგადოებისთვის ეთქვას „ნულები ხართო“. მიმოხილვის ავტორი ცდილობს მკითხველთა ნაქებებას და წერს, რომ ამას „არ დაივიწყებს ქართველი ხალხი“. ►

**1900 4 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 3 აპრილი“ („დღეს-აქამომდე სულ ამას ჩივიან, რომ...“). მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში“. ►

**1900 6 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ახალ-მოსული“ ბეჭდავს სტატიას „პატარა საუბარი“ („თავმა სთხარა, სთხარაო...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულება ოცტომეულში. ►

**1900 6 აპრილი**

ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობა ილია ჭავჭავაძეს, როგორც დიდუბის ეკლესიის გალავანში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე ძეგლის დასადგმელად შექმნილი საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, სთხოვს ანგარიშს, რა მდგომარეობაშია ეს საქმე, როდის და როგორი ძეგლის აგებაა გადანიშნული. ►

**1900 8 აპრილი**

თანამშრომლებთან და თანამოაზრეებთან ერთად ოჯახში ხვდება აღდგომის დღესასწაულს და სტუმრებს სთავაზობს ყოველკვირეულ შეკრებებს ქვეყნის პრობლემებზე სასაუბროდ. ►

**1900 13 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „პატარა საუბარი“ („ახირებული კაცი ყოფილა ბ-ნი ჟორდანი...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულება ოცტომეულში. ►

**1900 16 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა“ („ბ-ნი ჟორდანი მიწყობა, რომ მის „ფინანსების“ არცოდნას გამოვეკიდე...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულება ოცტომეულში. ►

**1900 20 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „პატარა საუბარი“ („ბ-ნი ჟორდანი რამდენიც დღე გადის...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულება ოცტომეულში. გაზეთის ამავე ნომერში იგი ადგილს უთმობს ნოე ჟორდანიას პასუხს „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მის წერილებზე. ►

**1900 23 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „ისევ და ისევ ბ-ნი ჟორდანიას უმეცრობანი და მისი ნაჭეგ-უკუჭეგობანი“ („რასაც კაცი თავისს თავს უზამს...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულება ოცტომეულში. ►

**1900 აპრილი**

ქშნ-კგ საზოგადოების სახელით მადლობას უხდის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხის მიწოდებისთვის და აუწყებს, რომ ხელნაწერი უკვე ჩააბარეს ბიბლიოთეკას აკადემიაში დასაბრუნებლად. ►

**1900 26 აპრილი - 2 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის რწმუნებულთა კრებაში, რომელიც განიხილავს გასული წლის ანგარიშს, მიმდინარე ხარჯთაღრიცხვას, სკოლების დაფინანსებას, ბაქოს სააგენტოსა და პავლე ყიფიანის საკითხს. ებმება კამათში სამეურნეო ბანკის დირექტორ ვლადიმერ მიქელაძესთან, ვასილ მაჩაბელთან და ნიკოლოზ ხუდადოვთან, მაგრამ ძალიან მოტეხილია, ისე დაბალ ხმაზე საუბრობს, რომ დარბაზს ძლივს ესმის. ►

**1900 2 მაისი**

თსს ბანკის კრებაზე 1290 ხმით 30-ის წინააღმდეგ კვლავ ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარედ. ►

**1900 2 მაისი**

ჟურნალ „მოამბეში“ ლალის ფსევდონიმით იბეჭდება გიორგი ლასხიშვილის „მინაური მიმოხილვა“ თსს ბანკის ოცდახუთწლიანი საქმიანობის, მიმდინარე წლიური კრების, ადრინდელი და ახალი ოპოზიციის შესახებ. ►

**1900 აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

ნოე ჟორდანიასადმი მიმართული ილია ჭავჭავაძის პოლემიკური წერილების საპასუხოდ გაზეთებში: „კვალსა“ და „მწყემსში“ იბეჭდება საპროტესტო გამოხმაურებები სათაურით „წერილები რედაქციის მიმართ“. მათ ხელს აწერენ: გ. ნულუკიძე, „ქართველი ექიმი“, მოსკოველი სტუდენტი „ი. ე“, სტუდენტი კ. ჭაფარიძე და მესამე დასელი სევერიან ჯუღელი, სამი წერილი კი კოლექტიური ხასიათისაა. ►

**1900 მაისის დასაწყისი**

ავად ხდება. აწუხებს გულის ხუთვა და სუნთქვის შეკავება. ექიმები უკრძალავენ მუშაობას, ურჩევენ ქალაქიდან გასვლას და დასვენებას. მიდის საგურამოში. ►

**1900 3 მაისი**

კიტა აბაშიძე გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს „პოლემიკა „კვალის“ თანამშრომლებთან ან. ფურცელაძის წერილის გამო“, რომელშიც განმარტავს, რატომ მოითხოვენ ნოე ჟორდანიას და მისი მომხრეები „ახალ-მოსულის“ მიერ თავისი ფსევდონიმის გახსნას. სტატიის ავტორი ამტკიცებს, რომ ამ ადამიანების ერთადერთი იარაღი ჭორების მოგონებაა და თუ გაიგებენ, ვინ არის მათი მამხილებელი, ეცოდინებათ, ვის წინააღმდეგ აამოქმედონ ეს იარაღი. ►

**1900 3 მაისის შემდეგ**

კიტა აბაშიძე თბილისიდან ოდესაში გაგზავნილ ბარათში იასონ ბაქრაძეს სწერს, ნოე ჟორდანიას წერილებს საკადრის პასუხს ვერ ვცემთ, რადგან იმაზე, რაც ილია ჭავჭავაძის ჭეშმარიტი ღირსებაა, ცენზურის გამო ლაპარაკი აკრძალული გვაქვს, „ეს კარგად იცის ამ ინტრიგანმაც“ და ამიტომ დაიწყეთ ასეთი საზიზღარი წერილების წერაო. ►

**1900 7 მაისი**

გაზეთ „კვალში“ ნოე ჟორდანიას აქვეყნებს წერილს „პალ. ყიფიანის საქმე“, რომელიც ეხება თსს ბანკის დირექტორისა და ბაქოს სააგენტოს მმართველ პავლე ყიფიანის მიერ თანხის გატაცებას. სტატიის ავტორი წერს, რომ ეს ილია ჭავჭავაძის უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო მოხდა. ►

**1900 14 მაისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გამომცემელ კონსტანტინე თავართქილაძის წერილი რედაქციის მიმართ, რომლითაც იგი ნოე ჟორდანიასა და „ახალ მოსულისგან“ ითხოვს ნებართვას, ცალკე წიგნად დაბეჭდოს მათი პოლემიკური წერილები. იქვე დართულ სარედაქციო შენიშვნაში ნოე ჟორდანიას უფლებას აძლევს დაბეჭდოს წერილი „გზა და გზა“, მაგრამ წერილ „პრესასთან“ დაკავშირებით ამბობს, რომ ის სულ სხვა თემას ეხება. ►

**1900 18 მაისი**

გაზეთის საშუალებით საზოგადოებას აუწყებს, რომ უკეთ არის და მადლობას უხდის ყველას, ვინც მისი ჭანმრთელობის მდგომარეობას კითხულობდა. ►

**1900 26 მაისი**

საგურამოში ეპატიჟება ანტონ ფურცელაძეს და სთხოვს არტურ ლაისტი და სხვა სტუმრებიც აიყვანოს. ►

**1900 29 მაისი**

ილია ჭავჭავაძესთან საგურამოში სტუმრად არიან: და, ელისაბედ საგინაშვილი, სიძე ნიკოლოზ აფხაზი, დისშვილი კოტე აფხაზი, არტურ ლაისტი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი ვასილი ველიჩკო და მისი და. მწერლის ჯანმრთელობა უცებ უარესდება. ექიმის ასაყვანად თბილისში ჩადის ნიკო ცხვედაძე, მაგრამ ცხელი ამინდის გამო ყველანი გასულები არიან ქალაქიდან. ერთადერთი, ვისაც ნახულობს, ახალგაზრდა ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერია და იგი მაშინვე თანხმდება საგურამოში გაყოლაზე. ავადმყოფის დიაგნოზია გულის სისხლძარღვთა სკლეროზი გულის კუნთის ანთების ნიშნებით. წამლები მცხეთიდან ააქვთ. ექიმი ჯანდიერი საგურამოში რჩება და ავადმყოფი მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ჰყავს. ►

**1900 მაისი**

ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკში“ იბეჭდება ალექსანდრე ხახანაშვილის სტატია „ქართველი პოეტები მალაოროსიულ ენაზე“, რომელშიც ჩართულია ილია ჭავჭავაძის ლექსების: „გაზაფხული“ (მთარგმნელი „ო. ლ-ი“), „მას აქვთ, რაკი შენდამი ვცან...“, „გ. აბხ.“ ( მთარგმნელი ბორის გრინჩენკო), „პოეტი“, „ელეგია“, „გუთნისდედა“ (მთარგმნელი პავლო გრაბოვსკი) უკრაინული თარგმანები. ►

**1900 2 ივნისი**

საგურამოდან ჩაჰყავთ თბილისში და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსარკვევად მართავენ კონსილიუმს. საგანგებოდ მოწვეული პროფესორი კონრად ვაგნერი ურჩევს სამკურნალოდ წასვლას ბერლინში, პროფესორ ერნსტ ლეიდენტან. ►

**1900 3 ივნისი**

თბილისში ავსტრია-უნგრეთის საკონსულოში წინასწარ იხდის ბაჟს საზღვარგარეთ წასასვლელად. ►

**1900 3 ივნისის შემდეგ**

მისი ხელმოწერით გამოდის ქშნ-კგ საზოგადოების ანგარიში. ►

**1900 4 ივნისი**

ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება ქშნ-კგ საზოგადოების წევრთა წლიურ კრებას. ►

**1900 5 ივნისი**

საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრების გადაწყვეტილების გამო განცხადებით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს „ივერიის“ დროებით რედაქტორად ვასილ სულხანიშვილის დასამტკიცებლად. ►

**1900 10 ივნისი**

ილია ჭავჭავაძის საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით, მისივე თხოვნით, გაზეთის რედაქტორად დროებით ნიშნავენ ვასილ სულხანიშვილს. იგი ამ მოვალეობას ასრულებს 25 ივნისიდან 14 ნოემბრამდე. ►

**1900 11 ივნისი**

გაზეთი „კვალი“, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ცილისმწამებლურ კამპანიას აწარმოებდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, აქვეყნებს ინფორმაციას მისი სამკურნალოდ გამგზავრების განზრახვის შესახებ და გამოჯანმრთელებას უსურვებს. ►



- 1900 14 ივნისამდე**  
წერს და ბეჭდურად ამრავლებს პირობის წერილის ფორმას. ნაბეჭდში დატოვებულია თავისუფალი ადგილები მოჭამაგირის გვარის, ანაზღაურების ოდენობისა და პირობის მოქმედების ვადების ჩასაწერად. აქვეა მხარეთა ზოგადი უფლება-მოვალეობები. ►
- 1900 14 ივნისი**  
ავსებს პირობის წიგნს, რომლის თანახმადაც მოჭამაგირედ აჰყავს დუშეთის მამრის სოფელ გურამიანთკარში მცხოვრები სანდრო ლაბაური. ►
- 1900 20 ივნისამდე**  
გერმანიაში გამგზავრებამდე ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი დღეში ორჯერ აკითხავს და განაგრძობს მის მკურნალობას. ►
- 1900 20 ივნისამდე**  
წინასწარ ამზადებს და ხელს აწერს „ივერიის“ 24 ივნისის ნომერს, როგორც რედაქტორ-გამომცემელი. ►
- 1900 20 ივნისი**  
იღებს საზღვარგარეთის პასპორტს, რომელშიც არის ავსტრია-უნგრეთის საკონსულოს ნებართვა საზღვრის გადაკვეთის შესახებ. ►
- 1900 20 ივნისი**  
მეუღლესთან ერთად სამკურნალოდ მიემგზავრება ბერლინში. უამრავი ხალხი აცილებს თბილისის ვაგზალზე. გერმანიაში მიდის ბათუმისა და რიგის გავლით. ►
- 1900 25 ივნისი**  
გაზეთ „კვალში“ იბეჭდება განცხადება ილია ჭავჭავაძის საზღვარგარეთ გამგზავრებისა და „ივერიის“ დროებით რედაქტორად ვასილ სულხანიშვილის დატოვების შესახებ. ►
- 1900 26 ივნისი**  
ბერლინში მიმავალი ილია და ოლღა ჭავჭავაძეები ერთი დღით გზად ჩერდებიან ვარშავაში სასტუმრო „ევროპეისკაიაში“. ►
- 1900 27 ივნისი**  
კვეთს რუსეთის საზღვარს ალექსანდროვში და ჩადის ბერლინში პროფესორ ერნსტ ლეიდენთან სამკურნალოდ. ლევან ჯანდიერის შვილი და იქაური ქართველობა საზეიმო შეხვედრას უწყობს და ილია მათ შთამბეჭდავი სიტყვით მიმართავს. ►
- 1900 27 ივნისის შემდეგ**  
გულით ავადმყოფთათვის პროფესორ ერნსტ ლეიდენის დანიშნულებაში შედის კიბეებზე ფეხით სიარული. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე ხუმრობით ამბობს, კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლისთვის გერმანიაში გამომგზავრება რად მინდოდა, ჩემი კიბე რით არის ნაკლებიო. ►
- 1900 1 ივლისი**  
თბილისის სამოსამართლო პალატა სამი წლის ვადით ირჩევს საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ. ►

- 1900 2 ივლისი**  
გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭება ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ. ►
- 1900 14 ივლისამდე**  
ბერლინში ყოფნის დროს ხვდება ცნობილ ასირიოლოგს, პროფესორ კარლ ლემან ჰაუპტს. ►
- 1900 14 ივლისი**  
ბერლინიდან წერილს უგზავნის ნიკო ცხვედაძეს, ატყობინებს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას და მკურნალობის რეჟიმს. ამასთან სთხოვს კახეთის ბაღის მფლობელთა ამხანაგობას მისი კუთვნილი თანხა გამოართვას და ქრისტეფორე მამაცაშვილს გადასცეს. ►
- 1900 14 ივლისის შემდეგ**  
პროფესორი ერნსტ ლეიდენის რეკომენდაციით მეუღლესთან ერთად მიემგზავრება კურორტ კარლსბადში. ►
- 1900 20 ივლისი**  
მისი სახელობის დღის აღსანიშნავად საქართველოდან იღებს მისალოც დეპეშებს. ►
- 1900 25 ივლისი**  
გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს მის მიერ გერმანიიდან გამოგზავნილ დეპეშას, რომლითაც მადლობას უხდის ყველას, ვინც დეპეშით ან წერილით მიულოცა სახელობის დღე. ►
- 1900 26 ივლისი**  
გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს ბერლინიდან მიღებულ ინფორმაციას ექიმ ლეიდენტან ილია ჭავჭავაძის მკურნალობისა და მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ. იქვე აღნიშნულია, რომ ექიმის დანიშნულებით იგი უკვე ერთი კვირა იმყოფება კარლსბადში, სადაც მისთვის სასარგებლო წყლები და ჰავაა. ►
- 1900 16 აგვისტო**  
რომში გამომავალ ჟურნალ „ლა ნოვა ანტოლოჯიაში“ დოქტორი გულიელმო პასილი აქვეყნებს წერილს კავკასიაში მოგზაურობის შესახებ. სტატიაში საუბარია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე და დაბეჭდილია მისი სურათი ავტოგრაფით. ►
- 1900 19 აგვისტო**  
კარლოვი ვარიდან წერილს უგზავნის ნიკო ცხვედაძეს, დანვრილებით ატყობინებს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას და ლეიდენისაგან მიღებულ რჩევა-დარიგებებს. ►
- 1900 2 სექტემბრამდე**  
უბის წიგნაკში იწერს რუსული სიტყვების გერმანულ შესატყვისებს. ►

- 1900 2 სექტემბრამდე**  
უბის წიგნაკში იწერს გერმანიის ღირსშესანიშნაობებს და სხვადასხვა მისამართებს. ►
- 1900 2 სექტემბერი**  
მეუღლესთან ერთად კვეთს ავსტრია-უნგრეთის საზღვარს. ►
- 1900 2 სექტემბრის შემდეგ**  
მეუღლესთან ერთად ერთი კვირით ჩერდება ქალაქ ვენაში. ►
- 1900 9 სექტემბრის შემდეგ**  
რომიდან იღებს დოქტორ გულიელმო პასილის წერილს, რომლიდანაც იგებს კავკასიაში მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე ჟურნალ „ლა ნოვა ანტოლოჯიაში“ გამოქვეყნებული სტატიის შესახებ. ►
- 1900 10 სექტემბერი**  
ვოლოჩისკთან გადმოდის რუსეთის იმპერიის საზღვარზე. ►
- 1900 15 სექტემბრამდე**  
უბის წიგნაკში იწერს სხვადასხვა მისამართებს და იქვე ინიშნავს, რომ რაღაც უნდა ჩამოუტანოს სამების ტაძრის დიაკვან მამა მირიან ომანიძეს ესტატე ბადრიძისთვის გადასაცემად. ►
- 1900 15 სექტემბერი**  
საზღვარგარეთ ორთვიანი მკურნალობის შემდეგ ბრუნდება თბილისში. ►
- 1900 15 სექტემბრის შემდეგ**  
უბის წიგნაკში იწერს, რა დაუჭდა გერმანიაში მკურნალობა, რამდენი დახარჯა საყიდლებში და მგზავრობაში: დრეზდენამდე, კარლსბადიდან ვენამდე, ვენიდან ვოლოჩისკამდე, ვოლოჩისკიდან ვლადიკავკაზამდე და ვლადიკავკაზიდან თბილისამდე. შესაბამისად, ჩანს გერმანიიდან მისი უკან დაბრუნების მარშრუტიც. ►
- 1900 21 სექტემბერი**  
ისაკა უნდილაშვილს დროებით სარგებლობაში აძლევს საძოვარს და უფორმებს ხელწერილს, რომელშიც მითითებულია საფასური. ►
- 1900 24 სექტემბრის შემდეგ**  
იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები, ნაწყვეტები მოთხრობებიდან და პოემებიდან. ►
- 1900 7 ოქტომბერი**  
რაფიელ ისარლიშვილი წარწერით უძღვნის მის მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ „საქართველოს ისტორიას“. ►
- 1900 11 ოქტომბერი**  
გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ინგლისის სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალში ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ უილიამ მორფილის მიერ ქართული ლიტერატურის შესახებ გამოქვეყნებული წერილის თარგმანი. ინგლისელი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ►

**1900 14 ოქტომბერი**

თბილისში საძირკველი ეყრება ქართული გიმნაზიის ახალ შენობას (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კორპუსი). ქართველ ინტელიგენციას ფარული ჩანაფიქრი აქვს: თუ ხელისუფლებას უნივერსიტეტის დაარსებაზე დაითანხმებს, იგი ამ შენობაში განათავსოს. მთავრობის ყურადღება რომ არ მიიპყროს, გაზეთი „ივერია“ ამ მშენებლობას მხოლოდ მოკლე ინფორმაციებით ეხმაურება, ილია ჭავჭავაძე კი ცერემონიას საგანგებოდ არ ესწრება. შენობას საძირკველში ატანენ აგურს, რომელსაც ერთ მხარეს აწერია „ქართული გიმნაზია“, მეორე მხარეს – „ქართული უნივერსიტეტი“. ►

**1900 15 ოქტომბრამდე**

თელავის მაზრის თავადაზნაურთა სახელით ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი დეპუტატთა ულოცავს განკურნებას. ►

**1900 24 ოქტომბრამდე**

ილია ჭავჭავაძეს და რაფიელ ერისთავს ირჩევენ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ბუნებათმეცნიერების, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის საზოგადოების წევრებად. ►

**1900 ოქტომბრის ბოლო**

გაზეთ „კვალში“ ქვეყნდება ოდესის ქართველ სტუდენტთა გადანწყვეტილება, გამოსცენ ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა პუბლიცისტური მემკვიდრეობა. ►

**1900 2 ნოემბრის შემდეგ**

ფოტოგრაფი ტარას მომცელიძე მხატვრულად აფორმებს და ბეჭდავს პლაკატს „ჯგუფი ქართველ მწერლებისა – 1300“, რომელზეც 29 მწერლის ფოტოა გამოსახული. ილია ჭავჭავაძის პორტრეტი შოთა რუსთაველის დიდი სურათის გვერდით, მარჯვნივ არის განთავსებული. პლაკატზე ასევე წარმოდგენილი არიან (ზემოდან-ქვემოთ და მარცხნიდან-მარჯვნივ) მწერლები: გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სულხან-საბა ორბელიანი, ნინო აბაშიძე-ორბელიანისა, აკაკი წერეთელი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილისა, ბარბარე ერისთავი-ჭორჭაძისა, გიორგი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ხახანაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ეგნატე ნინოშვილი, დავით ჩუბინაშვილი, სერგეი მესხი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, მამია გურიელი, ვაჟა-ფშაველა და მოსე ჯანაშვილი. ►

**1900 12 ნოემბერი**

საზღვარგარეთ მკურნალობის გამო აღებული ოთხთვიანი შვებულების შემდეგ უბრუნდება გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობას. ►

**1900 12 ნოემბრის შემდეგ**

გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში აკითხავენ ახალგაზრდა რევოლუციონერები მიხეილ ქემელაშვილი და ხარატი გ. კიკვიძე, რომლებსაც აინტერესებთ გერმანული გამოცდილება ხელოსნობასა და სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებით. ილია ჭავჭავაძე ესაუბრება და აძლევს რჩევებს. ►



**1900 16 ნოემბერი**

თხოვნით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, „ივერიის“ დროებით რედაქტორად ექვსი თვის ვადით დანიშნონ ალექსანდრე სარაჯიშვილი, რადგან თავად ექიმების მითითებით ჯერ კიდევ ეკრძალება მუშაობა. ►

**1900 21 ნოემბერი**

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე ირჩევენ საქართველოს რუსეთთან შეერთების აღსანიშნავი ღონისძიებების გასატარებლად შექმნილ 25-კაციან კომისიაში. ჩვენთვის უცნობია, გააპროტესტა თუ არა მან არჩევა კომისიის წევრად, რომელსაც უნდა უზრუნველყო იმ დღის საზაიმო აღნიშვნა, რომელიც მისი აზრით დამღუპველი იყო საქართველოსთვის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ამ ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ამ კრებაზევე დამტკიცებული სადღესასწაულო პროექტით გათვალისწინებულ არცერთ ღონისძიებაში მისი სახელი აღარ მოიხსენიება და ამ იუბილეს არცერთი სტატიით არ ეხმიანება. ►

**1900 24 ნოემბერი**

კავკასიის საცენზურო კომიტეტი მთავარმართებლის კანცელარიას წერილობით აცნობებს „ივერიის“ რედაქტორ ილია ჭავჭავაძის ოთხთვიანი შვებულებიდან დაბრუნების შესახებ. ►

**1900 28 ნოემბრის შემდეგ**

იღებს წერილს იტალიელი მეცნიერის ედგარდო მადალენასაგან. ადრესანტი სთხოვს ბიბლიოგრაფიული ნაშრომისათვის „გოლდონი იტალიის გარეთ“ მიაწოდოს ცნობები დრამატურგ კარლო გოლდონის ნაწარმოებთა ქართული თარგმანების შესახებ. ►

**1900 30 დეკემბერი**

სახალხო თეატრში გამართულ კონცერტზე კიტა აბაშიძე კითხულობს ილია ჭავჭავაძის ლექსს „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“. ►

**1900** ბარონი დე ბაი პარიზში გამოსცემს წიგნს თბილისურ შთაბეჭდილებებზე. მასში ილია ჭავჭავაძის პოეზია შეფასებულია, როგორც „ქრისტიანული, პატრიოტული და ფილოსოფიური“, ავტორის შესახებ კი ნათქვამია, რომ იგი გამოირჩევა უაღრესად პროგრესული აზროვნებით. ►

**1900** გაზეთ „ივერიაში“ საახალწლოდ გამოქვეყნებულ მის სტატიას ეხმაურება გაზეთი „კვალი“ და ვრცელ ამონარიდებს ბეჭდავს თავის ფურცლებზე. ►

**1900** ჟურნალ „მოამბეში“ „ლალის“ ფსევდონიმით იბეჭდება გიორგი ლასხიშვილის „შინაური მიმოხილვა“, რომელიც მთლიანად ეძღვნება თსს ბანკს და მისი თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძის როლს ამ ბანკის საქმიანობაში. ►

**1900-დან** უბის წიგნაკში იწერს წიგნის მაღაზიის მისამართს და იმ წიგნების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძინა ან უნდა შეიძინოს. ►

**1900-დან** უბის წიგნაკში რუსულად იწერს წიგნების ჩამონათვალს და მათ ფასებს. ►

**1901 1 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ „ს-ნელის“ ფსევდონიმით იბეჭდება სტატია „ჩვენი მწერლობა მე-19 საუკუნეში ერთი თვალის გადავლებით“. ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს 60-იან წლებს და ილია ჭავჭავაძის გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე. ►

- 1901 1 იანვარი**  
გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ბეჭდავს ღვარძლიან საახალწლო ექსპრომტს გაზეთ „ივერიისადმი“: „არ გვწყინს, სუქნად რომ ბერდები / თეთრის წვერით, „ივერია“! / მხოლოდ... შენი მკითხველები / ჯანდაკი და მშიერია!..“. ▶
- 1901 1 იანვარი**  
გაზეთი „კვალი“ „რიგოლეტოს“ ფსევდონიმით ბეჭდავს იროდიონ ევლოშვილის პაროდის „ივერიისადმი“: „მიდის, მიკოტლობს უგზო უკვლოთ ილოს გაზეთი...“. ▶
- 1901 3 იანვარი**  
გარდაეცვალა ცოლისდა, ეკატერინე გურამიშვილი-სტაროსელსკაია. ▶
- 1901 6 იანვარი**  
გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება კიტა აბაშიძის წერილი „ცხოვრება და ხელოვნება“. ავტორი მიმოიხილავს ქართულ მწერლობას, ვრცლად ეხება ილია ჭავჭავაძის ნარკვევს „მეცხრამეტე საუკუნე“ და პოემებს: „აჩრდილი“ და „განდევილი“. ▶
- 1901 8 იანვარი**  
მონაწილეობს ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას დაკრძალვის ცერემონიაში. ▶
- 1901 18 იანვარი**  
თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე წერილობით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მომრიგებელ მოსამართლეს, რომ დაესწროს თბილისის საოლქო სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილების სხდომებს 5, 19 და 28 თებერვალს. ▶
- 1901 28 იანვარი**  
საპასუხო წერილს უგზავნის იტალიელ ფილოლოგ ედგარდო მადალენას. კარლო გოლდონის თარგმანებთან დაკავშირებით აცნობებს, რომ ქართულად ერთადერთი პიესაა თარგმნილი, რომელსაც სათაურად აქვს: „ბუზღუნა კეთილისმყოფელი, ან როგორც ჰქუხს ისე არა წვიმს“. რამდენადაც თარგმანში სათაური შეცვლილია, ტექსტის იდენტიფიცირებისთვის სწერს მთავარი გმირების სახელებს: ვალერია და პიკარდა. ▶
- 1901 იანვარი**  
ოლღა გურამიშვილი წერილს უგზავნის მარჯორი უორდროპს და მოუთხრობს მეუღლესთან ერთად მისი საზღვარგარეთ ყოფნის ამბებს. ▶
- 1901 19 თებერვლამდე**  
მოკლე ბარათს უგზავნის რაფიელ ერისთავს. ▶
- 1901 20 თებერვალი**  
თანაგრძნობის დეპეშას უგზავნის გარდაცვლილი რაფიელ ერისთავის ოჯახს. ▶
- 1901 21 თებერვალი**  
რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო ქმნ-კვ საზოგადოების სახელით სამძიმრის დეპეშას უგზავნის თელავში მწერლის სიძეს, ვასილ კახიძეს. ▶

**1901 21 თებერვალი**

მონაწილეობს ქართველი საზოგადოების თათბირში, რომელიც განიხილავს განსვენებული რაფიელ ერისთავის ხსოვნის უკვდავსაყოფ ღონისძიებებს. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ გვირგვინების დამზადების ნაცვლად თანხა რომელსამე საქველმოქმედო საქმეს მოახმარონ. თათბირის შემდეგ კიდევ ერთ დეპუტატს უგზავნიან თელავში რაფიელ ერისთავის ოჯახს და ატყობინებს ქართველი საზოგადოების სურვილს რაფიელ ერისთავის ნეშტის თბილისში დაკრძალვის შესახებ. ►

**1901 22 თებერვალი**

საპასუხო დეპუტატს იღებს თელავიდან რაფიელ ერისთავის სიძის, ვასილ კახიძისაგან. იგი ატყობინებს ოჯახის გადაწყვეტილებას განსვენებული, მისი სურვილისამებრ, დაკრძალონ მშობლიურ სოფელ ქისტაურში. ►

**1901 23 თებერვალი**

დეპუტატით ატყობინებს თელავში რაფიელ ერისთავის ოჯახს ქშნ-კვ საზოგადოების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ►

**1901 24 თებერვალი**

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე წერილობით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მომრიგებელ მოსამართლეს, რომ დაესწროს თბილისის საოლქო სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილების სხდომებს 9 და 26 მარტს. ►

**1901 25 თებერვალი**

ესწრება რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ქაშვეთის ეკლესიაში. ►

**1901 თებერვლის ბოლო**

ირჩევენ აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელი საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრად. ორგანიზაციის მიზანია რუსეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ერთმანეთთან დაკავშირება ვაჭრობა-მრეწველობის დარგებში. ►

**1901 3 აპრილი**

ავგალის სახალხო თეატრში ნიკო ლომოური კითხულობს ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულს“. ►

**1901 21 აპრილი**

ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის სახელით წერილობითი თხოვნით მიმართავს თბილისის გუბერნატორს მარიამ დემურას ხელმძღვანელობით ნაძალადევაში სამკითხველოს მოწყობის ნებართვის მისაღებად. ►

**1901 30 აპრილი**

ქართველ მოღვაწეებთან: ანტონ ფურცელაძესთან, ვახტანგ თულაშვილთან, ნიკო ცხვედაძესთან, პეტრე უმიკაშვილთან და იონა მეუნარგიასთან ერთად ესწრება წვეულებას იაკობ გოგებაშვილის ოჯახში. ►

**1901 19 მაისი**

მონაწილეობს აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელი საზოგადოების თბილისის განყოფილების კრებაში. ►

**1901 22 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის რწმუნებულთა კრებაში, რომელზეც კითხულობენ განვლილი წლის ანგარიშს. სიტყვით გამოდის მოკლევადიანი სესხის საკითხებთან დაკავშირებით. ►

**1901 23 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის რწმუნებულთა კრებაში და სიტყვით გამოდის დრამატული საზოგადოებისათვის თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით. ►

**1901 26 მაისი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა კრებას და მონაწილეობს კამათში. ►

**1901 27 მაისი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა კრებას და მონაწილეობს კამათში. ►

**1901 ივნისიდან**

არჩილ ჭორჭაძე ჟურნალ „მოამბეში“, აქვეყნებს ვრცელ სტატიას სათაურით „ძველი თაობა, ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“. ►

**1901 23 ივნისი**

თბილისიდან საგურამოში მეუღლეს უგზავნის წერილს და გიორგი ქართველიშვილის მიერ ძღვნად მირთმეულ თევზგულს. ატყობინებს, რომ ბანკში გადაუდებელი საქმეების გამო ვერ ახერხებს ასვლას. წუხს, რომ მათ ცხენს ფეხი მოუტეხია და ეკიპაჟიც დამტვრეულა. ►

**1901 24 ივნისი**

ნაძალადევაში ესწრება ქმნ-კგ საზოგადოების ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნას და ოქროს თუმნიანი შეაქვს მის ფონდში. ►

**1901 24 ივნისი**

თბილისში გამომავალ რუსულ გაზეთ „არგონავტში“ „ძველი ნაცნობის“ ფსევდონიმით იბეჭდება ინფორმაცია თსს ბანკის გამგეობის მუშაობის შესახებ. ავტორი ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძეს გაუჩნდა ოპოზიცია ვლადიმერ მიქელაძის სახით, მაგრამ ავტორს არ სჭერა ამ დაპირისპირების რეალურობისა. იგი აკრიტიკებს ბანკის იმ გადანყვეტილებას, რომლის საფუძველზეც დრამატული საზოგადოებისა და ორი სასწავლებლის დაფინანსების ნაცვლად მთელი თანხა გადაირიცხა სათავადაზნაურო სკოლისთვის შენობის (დღევანდელი უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) ასაგებად. ►

**1901 22 ივლისი**

გაზეთ „კვალში“ „მოსაუბრის“ ხელმოწერით იბეჭდება ფილიპე მახარაძის წერილი „საუბარი სხვადასხვა საგანზე“. მასში ძირითადად განხილულია არჩილ ჭორჭაძის წერილი „ძველი თაობა. ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“. ფილიპე მახარაძე იწუნებს როგორც ილია ჭავჭავაძის ეროვნულ შეხედულებებს, ისე არჩილ ჭორჭაძისეულ შეფასებებს მის შესახებ. ►

**1901 28 ივლისი**

გაზეთ „ივერიის“ საშუალებით მადლობას უხდის ყველას, ვინც დეპეშებითა და წერილებით მიულოცა სახელობის დღე. ►



**1901 20 აგვისტო**

იღებს ვასილი ველიჩკოს წერილს და მისდამი მიძღვნილ ლექსებს. ►

**1901 6-19 სექტემბერი**

გრიგოლ ყიფშიძე გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს ნარკვევს „ჩვენი ჟურნალ-გაზეთები მე-19 საუკუნეში“. იგი ვრცლად მიმოიხილავს ილია ჭავჭავაძის თანამშრომლობას „ცისკარსა“ და „დროებაში“ და მისი, როგორც რედაქტორ-გამომცემლის მოღვაწეობას „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“. ►

**1901 22 სექტემბერი**

ანტონ ნატროშვილი „ივერიის“ რედაქციას წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი. ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერილობა“. ►

1879 15 მაისიდან

**1901 26 სექტემბრამდე**

მეუღლეს უგზავნის მოკლე ბარათს. აცნობებს, რომ გიორგი ქართველიშვილმა თანხა მიუტანა და სთხოვს, ქშნ-კვ საზოგადოებისთვის განკუთვნილი ფულიანი კონვენტის გაგზავნას ბიჭის ხელით. ►

**1901 29 სექტემბერი**

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე წერილობით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მომრიგებელ მოსამართლეს, რომ დაესწროს თბილისის საოლქო სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილების სხდომას 5 ოქტომბერს. ►

**1901 სექტემბერი**

ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკში“ იბეჭდება ალექსანდრე ხახანაშვილის წერილი ქართულ ლიტერატურაზე, რომელშიც საუბარია რეალისტურ სკოლისა და მისი საუკეთესო წარმომადგენლის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ. ►

**1901 სექტემბრის შემდეგ**

ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებულ ალექსანდრე ხახანაშვილის წერილს ქართული ლიტერატურის შესახებ უარყოფითი რეცენზიით ეხმიანება გაზეთი „კვალი“. სტატიის ავტორს არასწორად ეჩვენება ხახანაშვილის მიერ განხილული ყველა მწერლის ერთი მიმდინარეობისთვის მიკუთვნება. ►

**1901 21 ოქტომბერი**

გაზ. „კვალში“ „მოსაუბრის“ ხელმოწერით იბეჭდება ფილიპე მახარაძის წერილი „საუბარი სხვადასხვა საგნებზე“. სტატიაში საყვედურია გამოთქმული, რომ ქშნ-კვ საზოგადოების თავმჯდომარე არ ესწრება გამგეობის სხდომებს. ►

**1901 24 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიის“ გამომცემელთა ამხანაგობის სხდომაზე განიხილავენ ალექსანდრე სარაჯიშვილის წინადადებას. იგი ილია ჭავჭავაძეს სთავაზობს 3000 მანეთს გაზეთ „ივერიის“ გამოცემის უფლებისა და რედაქტორობის მისთვის გადაცემაში და თანხის გადახდის ვადად ითხოვს ექვს თვეს. ►

**1901 4 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებას. აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოების ხარჯთაღრიცხვისა და ბათუმის სკოლის საკითხების განხილვაში. ►

**1901 10 ნოემბერი**

როგორც ქმნ-კვ საზოგადოების თავმჯდომარე, მდივან პეტრე მირიანაშვილთან ერთად ოფიციალური წერილით ატყობინებს ალექსანდრე ყიფშიძეს ქმნ-კვ საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევას და სთხოვს საწევროს გადახდას. ►

**1901 11 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებას, რომელზეც 79 ხმით 30-ის წინააღმდეგ კვლავ ირჩევენ მის თავმჯდომარედ. ►

**1901 13 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ მიმდინარე ხარჯთაღრიცხვას, ეცნობიან ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის გაკვეთილების განაწილების განრიგს და აღნიშნულ სკოლას ატყობინებენ, რომ გერმანული ენის სწავლება უნდა დაიწყონ მეოთხე კლასიდან. მსჯელობენ საზოგადოების დახმარებით სოფ. ხარაგაულში სამკითხველოს გახსნის თაობაზე. თიანეთისა და გომარეთის სკოლებს უგზავნიან სასკოლო ინვენტარს. არ აკმაყოფილებენ კავკასის სკოლის გამგის პართენ გოთუას თხოვნას მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ ნიკო ცხვედაძეს და მდივანად – ალექსანდრე სარაჯიშვილს. ამტკიცებენ მიმდინარე ხარჯებს. ►

**1901 16 ნოემბერი**

წერილობით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ითხოვს, რომ ავადმყოფობის გამო გაათავისუფლონ გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობიდან და მის ადგილზე დროებით დანიშნონ ალექსანდრე სარაჯიშვილი. ►

**1901 16 ნოემბრის შემდეგ**

ალექსანდრე სარაჯიშვილი წერილობით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს და თანხმობას აცხადებს ილია ჭავჭავაძის ავადმყოფობის გამო ექვსი თვით დაინიშნოს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორად. ►

**1901 21 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ მიმდინარე ხარჯთაღრიცხვას. ბათუმის სკოლის მზრუნველი კომიტეტისგან ითხოვენ ინფორმაციას, შეძლებენ თუ არა მესამე მასწავლებლის ფინანსურად დაკმაყოფილებას. ინტერესდებიან ბათუმის სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის გამომწვევი გარემოებებით. იღებენ დადგენილებას გამგეობის წევრებს შორის შრომის განაწილების შესახებ. ►

**1901 26 ნოემბრამდე**

ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე სარაჯიშვილი განცხადებით მიმართავენ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს და აცნობებენ, რომ ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ გამოცემის უფლება გადასცა სარაჯიშვილს. ►

**1901 26 ნოემბერი**

ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო ოფიციალურად ამტკიცებს გაზეთ „ივერიის“ გამოცემის უფლების ალექსანდრე სარაჯიშვილისთვის დროებით გადაცემას. ►

**1901 26 ნოემბერი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ მიმდინარე ხარჯთაღრიცხვას. ადგენენ, რომ შემონირულ ხელნაწერთა კატალოგები გადანერონ ორ ეგზემპლარად. თანხის უქონლობის გამო არ აკმაყოფილებენ გრიგოლ ყიფშიძის თხოვნას მისი რუსულენოვანი წიგნის „პერიოდული გამოცემები კავკასიაში“ შელავათიან ფასად შექმნის შესახებ. მადლობას უხდებიან იაკობ გოგებაშვილს ბათუმის სკოლის სასარგებლოდ შეტანილი თანხის გამო. მსჯელობის შემდეგ თანხმდებიან, რომ გააგრძელონ დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემა. ამტკიცებენ ორგანიზაციის მიერ დაარსებული თბილისის ბიბლიოთეკების ფინანსურ ხარჯებს. ►

**1901 ნოემბრის ბოლო–დეკემბრის დასაწყისი**

ბათუმიდან მასთან საგანგებოდ ჩამოდიან ივანე მესხი და მიხეილ ბეთანელი, რომ დახმარება სთხოვონ ქალაქის მერობის კანდიდატთა შერჩევაში. ილია ჭავჭავაძე ურჩევს ივანე ანდრონიკაშვილს. ►

**1901 5 დეკემბერი**

ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდის გაზეთ „ივერიის“ უკანასკნელი ნომერი. სულ, 1886 წლიდან ამ დღემდე გამოვიდა გაზეთის 3151 ნომერი. 6 დეკემბრიდან ილია ჭავჭავაძე კვლავ რჩება ამ გაზეთის გამომცემლად, მაგრამ დროებითი რედაქტორი ხდება ალექსანდრე სარაჯიშვილი. ►

**1901 8-10 დეკემბერი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს კახეთში არყის აქციზის შემოღების, თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნის, თავადაზნაურთა შვილების განათლებისა და სხვა საკითხებს. ►

**1901 16 დეკემბერი**

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში იბეჭდება ოტო შმერლინგის კარიკატურა სათაურით „თავადაზნაურების ბანკი“. მასზე გამოსახულია თსს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე და დირექტორები. ვილაცის ხელი მაგიდასთან მსხდომთ ფეხქვეშ აცლის ხალიჩას და ისინი ტორტმანებენ. იქვეა წარწერა: „ეს რა გვემართება, ხალიჩას გვაცლიან ქვეშიდან?!...“ ►

**1901** მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქშნ-კგ საზოგადოების ანგარიში. ►

**1901** ბურაბ ავალიშვილი ხელმოწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „საქართველოს რუსეთთან შეერთება“. ილია ჭავჭავაძე იქვე აკეთებს მინაწერს: „რა ქართველია: რომ ქართულს წყაროებს ფრანციცულიდან იღებს“. ►

**1901** ილია წინამძღვრიშვილთან ერთად ათვალიერებს დიდუბეში თავადაზნაურთა მიერ ორგანიზებულ გამოფენას, რომელზეც ხვდება მიხეილ ჭავჭავაძე. ►

- 1901** ლაიფციგში ორ ტომად გამოდის ცნობილი გერმანელი მთამსვლელის, მოგზაურისა და გეოგრაფის გოტფრიდ მერცბახერის წიგნი „კავკასიის მაღალმთიანი რეგიონებიდან“, რომელშიც ჩართულია ამონარიდები ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ლექსის არტურ ლაისტისეული თარგმანიდან. ►
- 1901** თბილისში, ანდრეევის (ამჟამად ჩუბინაშვილის) № 22-ში ბარბარე ღვინია-შვილისგან იძენს სახლს, აკეთებინებს რეკონსტრუქციას და რემონტს. ►
- 1902 1 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ.“ („სწორედ დამდეგ 1902 წელს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1902 1 იანვარი**  
გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება საახალწლო შარჟები ილია ჭავჭავაძისა და გაზეთ „ივერიისადმი“ („ილია ჩაფიქრებულა: / „რათ ვქენი საქმე ასეთი? რომ ბატის-ტვინებს ჩავუგდე / ხელში მე ჩემი გაზეთი...“; „საბრალო „ივერია“ / წახდა, თქვენი მტერია...“). ►
- 1902 1 იანვარი**  
გაზეთ „კვალში“ „მოსაუბრის“ ხელმოწერით იბეჭდება ფილიპე მახარაძის წერილი „გასული წელი“, რომელშიც კრიტიკულად არის მოხსენიებული გაზ. „ივერია“, მისი რედაქტორი და ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობა. აქვე ქვეყნდება საახალწლო შარჟი ილია ჭავჭავაძეზე. ►
- 1902 1 იანვარი**  
ხელს აწერს ვექსილს, რომლის მიხედვითაც, ვალდებულია თბილისის ქალაქის ფაბრიკის ამხანაგობას შვიდ თვეში გადაუხადოს 275 მანეთი. ►
- 1902 2 იანვარი**  
გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს „საქართველოს ახალი ეგზარხოსი“. ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1902 6 იანვარი**  
გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იტალიელი აღმოსავლეთმცოდნე აურელიო პალმიერი სტამბოლში სასწავლებლად მყოფი ივანე გველესიანის დახმარებით ფრანგულად თარგმნის ილია ჭავჭავაძის ნარკვევს „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ►
- 1902 7 იანვარი**  
თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილავენ მიმდინარე ხარჯთაღრიცხვას. მსჯელობენ ბათუმის სკოლის მასწავლებლის ხელფასის ოდენობის შესახებ. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ბათუმიდან შემოსული საწევრო გადასახადების თანხა მოხმარდეს ადგილობრივ სკოლას. ამავე სასწავლებლის პედაგოგად დროებით ნიშნავენ ანასტასია ლომინაძეს. ისმენენ კავკავის სკოლის გამგის პართენ გოთუას ინფორმაციას სამზრუნველოს ერთ-ერთი წევრის მიერ უფლებამოსილების გადამეტების შესახებ. ►



**1902 9 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს „დედათა განათლება ჩვენში“ („ივერიის“ გუშინდელ ნომერში...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1902 15 იანვარი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ამტკიცებენ მიმდინარე ხარჯთაღრიცხვას, სამსახურიდან ითხოვენ კავკავის სკოლის მასწავლებელს და აძლევენ ორი თვის ხელფასს. ►

**1902 იანვრის პირველი ნახევარი**

ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის დრამის „დედა და შვილი“ სოფიო ამირეჯიბისეული რუსულ თარგმანი. ►

**1902 27 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია“ („შენი წიგნი მივიღე...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულება ოცტომეულში. ►

**1902 30 იანვარი**

თბილისის საოლქო სასამართლო განიხილავს ზაალ გურამიშვილის საჩივარს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წისქვილთან დაკავშირებით. მოსამართლეების გადაწყვეტილებით ბრალდება არ დასტურდება. ►

**1902 4 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქმნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ამტკიცებენ ხარჯთაღრიცხვას. წიგნების გამოსაცემად შექმნილი კომისიის წევრებად ირჩევენ: ანდრია ლულაძეს, დავით კარიჭაშვილსა და პეტრე მირიანაშვილს. განიხილავენ დავით ცინცაძის თხოვნას ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში გალობის მასწავლებლისა და მოწაფეთა მეთვალყურის თანამდებობებზე მის დანიშვნასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების მიღებამდე დამატებით ინფორმაციას ითხოვენ ადგილობრივი ინჰექტორისაგან. ►

**1902 8 თებერვალი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება დასაწყისი არჩილ ჯორჯაძის სტატიისა „ძველი წესის“ სულთ-ბრძოლა“, რომელშიც საუბრობს ილია ჭავჭავაძის მიერ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების „გესლიან დაცინვასა და უღმობელ ოხუნჯობაზე“. ►

**1902 9 თებერვალი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება დასასრული არჩილ ჯორჯაძის სტატიისა „ძველი წესის“ სულთ-ბრძოლა“. ავტორი „ახალ-მოსულს“ (ილია ჭავჭავაძეს) კონსერვატორს უწოდებს, რომელიც პრობლემების ანალიზის ნაცვლად „პირბადეს იფარებს, თავს იყრუებს“ და „სოფისტიკის იაფფასიან ოხუნჯობით იოლად მიდის“. ►

**1902 10 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „პატარა საუბარი“ („ძლიერ საყურადღებო ხანა დაგვიდგაო“, ბძანებს ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე“). ტექსტი პირველი პუბლიკაციის შემდეგ არ გამოქვეყნებულა და დაიბეჭდება მწერლის თხზულებათა ოცტომეულის მეცხრამეტე ტომში. ►

**1902 14 თებერვალი**

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში გამოქვეყნებული ოტო შმერლინგის კარიკატურასთან „თავადაზნაურების ბანკი“ დაკავშირებით ქაიხოსრო გელოვანი გაზეთ „ივერიის“ რედაქციას უგზავნის გამოხმაურებას სათაურით „შეუწყნარებელი უმადურობა“. მასში ნათქვამია, რომ ადამიანს, რომელსაც ისეთი დამსახურება მიუძღვის ერის წინაშე, როგორც ილია ჭავჭავაძეს, არ უნდა დასცინოდნენ. ►

**1902 18 თებერვალი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ამტკიცებენ მიმდინარე ხარჯებს. პართენ გოთუას ირჩევენ კავკავის სკოლის გამგედ და სამზრუნველოს თავმჯდომარედ. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ მარი ბროსეს დაბადების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადაიხადონ პანაშვიდი და თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ბროსეს სახელი დაერქვას. ისმენენ ორგანიზაციის მიერ დაარსებული თბილისის I-II და III ბიბლიოთეკების იანვრის თვის ფინანსურ ანგარიშს. აჭარის სკოლას უგზავნიან წიგნებს, ხოლო თიანეთისას - სასკოლო ნივთებს. ოლდა ჭავჭავაძე წარმოადგენს ორგანიზაციის სასარგებლოდ 1901 წლის 22 დეკემბერს გამართული კონცერტის ანგარიშს. ►

**1902 22 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „არაპატარა საუბარი“ („ღმერთმან ყოველი რჭულიანი და ურჭულო იხსნას იმ საცოდავობისაგან...“). ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულება ოცტომეულში. ►

**1902 2 მარტი**

ქშნ-კგ საზოგადოება ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში პანაშვიდს უხდის მარი ბროსეს. ►

**1902 2 მარტი**

ქშნ-კგ საზოგადოების სახელით დეპეშას უგზავნის საფრანგეთის საერო განათლების მინისტრს ჟორჟ ლეიგს. ულოცავს ცნობილი ფრანგი მეცნიერის - მარი ბროსეს დაბადების 100 წლის იუბილეს და მოუთხრობს, როგორ აღნიშნა ქართველმა ხალხმა ეს ღირსშესანიშნავი დღე საფრანგეთის კონსულთან ერთად. ►

**1902 2 მარტი**

დეპეშას უგზავნის მარი ბროსეს შვილს, ლორან ბროსეს და ატყობინებს თბილისში მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის საზეიმო აღნიშვნის შესახებ. ►

**1902 თებერვლის ბოლო - მარტის დასაწყისი**

მარი ბროსეს ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი დაბადების 100 წლისთავზე ილია ჭავჭავაძე ქშნ-კგ საზოგადოების სახელით თხოვნით მიმართავს ქალაქის თვითმართველობას, რომ ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მარი ბროსეს სახელი. ►

**1902 4 მარტი**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცვლებელი საზოგადოების სახელით დეპეშას უგზავნის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრე ოქროპირიძეს და ულოცავს მღვდელმსახურების ორმოცი წლის იუბილეს. ►

**1902 4 მარტი**

მეუღლესთან და დასთან, ელისაბედთან ერთად დეპეშით ულოცავს მღვდელმსახურების ორმოცი წლის იუბილეს ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძეს. ►

**1902 5 მარტი**

იღებს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძის წერილს, რომელშიც მადლობას უხდის ადრესატს, მის დას, ელისაბედსა და მეუღლეს მღვდელმსახურების ორმოცი წლის იუბილეს მილოცვისთვის. ►

**1902 5 მარტი**

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე მადლობას უხდის ილია ჭავჭავაძესა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცვლებელ საზოგადოებას მღვდელმსახურების ორმოცი წლის იუბილეს მილოცვისთვის. ►

**1902 10 მარტი**

ხელს აწერს ვასო აბაშიძისთვის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელთა სახელით მირთმეულ ადრესს. მისალოცი წარმოადგენს იაკობ ნიკოლაძის ნახატს შუაში განთავსებული ტექსტით და ავტოგრაფებით. ილია ჭავჭავაძის გარდა, მას ხელს აწერენ: „ივერიის“ იმჟამინდელი დროებითი რედაქტორი ალექსანდრე სარაჭიშვილი, ივანე ახალშენიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი და სხვები. ►

**1902 11 მარტი**

ქალაქის საბჭოს კომისია აკმაყოფილებს მის მიერ ქშნ-კვ საზოგადოების სახელით წარდგენილ თხოვნას და ვოდოვოზნის ქუჩას არქმევს მარი ბროსეს სახელს. ►

**1902 13 მარტამდე**

სამადლობელ დეპეშას იღებს საფრანგეთის საერო განათლების მინისტრ ჟორჟ ლეივისაგან მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის გამო. ადრესანტი ამ ფაქტს მიიჩნევს ორი ქვეყნის მეგობრული კავშირის გამოხატულებად. ►

**1902 13 მარტამდე**

სამადლობელ დეპეშას იღებს ლორან ბროსესაგან მისი მამის - მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის გამო. ადრესანტი სწერს, რომ მისმა მამამ მთელი არსებით შეიყვარა საქართველო და ეს სიყვარული უანდერძა მასაც. ►

**1902 29 მარტის შემდეგ**

მისი ხელმოწერით წიგნად გამოდის ქშნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►

**1902 მარტის ბოლო - აპრილის დასაწყისი**

გაზეთ „ივერიის“ გამოცემის უფლების ალექსანდრე სარაჭიშვილისათვის გადასაცემად შუამდგომლობისთვის მიმართავს კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს. ►

**1902 9 აპრილი**

ხელს აწერს ვექსილს, რომლის მიხედვითაც იღებს ვალდებულებას 4 თვის განმავლობაში გადაუხადოს ალექსანდრე სარაჭიშვილს 275 მანეთი. ►

**1902 9 აპრილი**

მთავარმართებლის კანცელარია თბილისის გუბერნატორს აცნობებს ილია ჭავჭავაძის თხოვნას გაზეთ „ივერიის“ გამოცემის უფლების ალექსანდრე სარაჯიშვილისთვის გადაცემის შესახებ. ►

**1902 19 აპრილი**

იღებს მიხეილ გრუზინსკის წერილს და ვექსილს, რომელზეც ხელი უნდა მოაწეროს. ►

**1902 25-26 აპრილი**

მონაწილეობს თსს ბანკის რწმუნებულთა კრებაში. ►

**1902 3 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ ილია ჭავჭავაძე აპირებს ლიტერატურული კრებულის გამოცემას. ►

**1902 12 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ ამავე გაზეთის გამოცემის უფლება ილია ჭავჭავაძემ გადასცა ალექსანდრე სარაჯიშვილს. ►

**1902 14 მაისამდე**

ირჩევენ თბილისის გიმნაზიის მშენებლობის კომიტეტის წევრად. ►

**1902 8 ივნისი**

ხელს აწერს ხელწერილს, რომლის თანახმადაც ალექსანდრე სარაჯიშვილისგან იღებს 1000 მანეთს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით. ►

**1902 22 ივნისის შემდეგ**

წიგნად გამოდის ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის მიერ რუსულად თარგმნილი „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“. ►

**1902 23 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, ივნისის 23“ („ამ დღეებში ჩვენს გაზეთში...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გლახკაცის გასაჭირი“. ►

**1902 25 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, ივნისის 25“ („ბევრგვარი შემცდარი მოსაზრება...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მუსულმან ქართველთა საკითხი“. ►

**1902 26 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, ივნისის 26“ („ეს რამდენიმე დღეა, რაც...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქართული საგალობლების მნიშვნელობა“. ►



**1902 29 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, ივნისის 29“ („დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „რკინიგზის მოლოდინი კახეთში“. ►

**1902 2 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 2 ივლისს“ („დღეს ჩვენ ვბეჭდავთ...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საერო დაწესებულებანი“. გაზეთის ამავე ნომერში ხელმოწერით „ბზიკი“ აქვეყნებს მონინავეს „ხილად „კვალის“ მოსაუბრეს“ („დააჭირა მგემ, დადგა პაპანაქება...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1902 5 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 5 ივლისს“ („ამ ბოლო დროს ჩვენი საზოგადოება მიეჩვია...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „როგორ ავალორძინოთ სოფლის მეურნეობა“. ►

**1902 6 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 6 ივლისს“ („ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გამოცდები სემინარიაში“. ►

**1902 7 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 7 ივლისს“ („დიდ-დიდი მამულები გაიყიდა და უცხოთა ხელში გადავიდაო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ნუ დავუკარგავთ შთამომავლობას მამულ-დედულს“. ►

**1902 11 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასაწყისს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 11 ივლისს“ („წინა წერილში ვსაუბრობდით...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ისევ მამულების გაყიდვის შესახებ“. ►

**1902 13 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს დასასრულს მონინავე წერილისა თარიღით „ტფილისი, 12 ივლისს“ („გუშინდელ წერილში იმაზედ შევჩერდით...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ისევ მამულების გაყიდვის შესახებ“. ►

**1902 14 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 ივლისს“ („მიაქციეთ ყურადღება ქვემოთ დაბეჭდილს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ცრუმორწმუნეობის მორევში“. ►

**1902 17 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 17 ივლისს“ („ჩვენი დასი მდაბიო ხალხისათვის ზრუნავსო...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „დასობანა – სახიფათო თამაში“.

**1902 19 ივლისი**

იბეჭდება გაზეთ „ივერიის“ ბოლო ნომერი ილია ჭავჭავაძის გამომცემლობით.

**1902 27 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 27 ივლისს“ („ბ-ნი ივანე ჩიქოვანი შულავერიდან...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ქართული ტაძრების ბედი“.

**1902 29 ივლისი**

იღებს თსს ბანკის დირექტორ მიხეილ გრუზინსკის წერილს საბანკო საქმეებთან დაკავშირებით.

**1902 30 ივლისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ალექსანდრე მდივნის მოწოდება ქართული საზოგადოებისადმი, რომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავად გამოსცენ მისი თხზულებების საიუბილეო კრებული.

**1902 31 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 31 ივლისს“ („მთავრობა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მთავრობის მხარდაჭერა“.

**1902 15 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 აგვისტოს“ („იშვიათად მოჰხდება ისეთი შემთხვევა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თავადაზნაურთა მოვალეობა“.

**1902 20 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერით „ბზიკი“ აქვეყნებს სტატიას „საკენკად „სამშობლოს ცაზე“ ხეტიალას“ („კაი ხანია, რაც „კვალის“ სამშობლო ცაზე...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში.

**1902 აგვისტოს ბოლო - სექტემბრის დასაწყისი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ივანე გომართელის წერილი „თ. ი. ჭავჭავაძე და მისი პოეზია“. ავტორი ილია ჭავჭავაძეს ბრალს სდებს, თითქოს ის თავის ნაწერებს პრობლემურ საკითხებზე ისეთ დროს აქვეყნებდა, როცა პრობლემები უკვე მოგვარებული იყო.

**1902 13 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ „სანოს“ ფსევდონიმით იბეჭდება სტეფანე ჭრელაშვილის წერილი „შინაურთა შორის“. იგი ეხება ივანე გომართელის პრეტენზიას ილია ჭავჭავაძის მიერ პრობლემური საკითხების ნაგვიანევიად გაშუქების შესახებ და კრიტიკული სტატიის ავტორს შეახსენებს ერთ ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორს – ცენზურის არსებობას. ►

**1902 14 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 14 სექტემბერს“ („დღე არ არის, აქაურმა გაზეთებმა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თავკაცთა უვარგისობა სოფლად“. ►

**1902 18 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 18 სექტემბერს“ („წინა წერილში ჩვენ ვსთქვით...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მოსწავლეთა ჭანმრთელობა – უპირველესი საზრუნავი“. ►

**1902 21 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 სექტემბერს“ („წინა წერილებში, რომელიც „ივერიის“...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „საგზაო საქმის მნიშვნელობა“. ►

**1902 27 სექტემბერი**

მონანილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს სათავადაზნაურო სკოლის მშენებლობის დაფინანსების საკითხს. ►

**1902 28 სექტემბერი**

მონანილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, გამოდის სიტყვით და მოითხოვს, რომ თავადაზნაურობის ხელთ არსებული მთელი თანხა მოხმარდეს სკოლის შენობის აგებას, სხვა საჭიროებებისთვის კი ხარჯონ ქარვასლიდან შემოსული თანხა. ასევე, მოითხოვს, რომ ახალციხის ქალთა სკოლას 300 მანეთზე მეტი გამოუყონ, რადგან ეს თანხა არ არის საკმარისი. ►

**1902 28 სექტემბერი**

მონანილეობს თბილისის საგუბერნიო კომიტეტის სხდომაში, რომელიც განიხილავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხს. ►

**1902 29 სექტემბერი**

მონანილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელზეც ირჩევენ სათავადაზნაურო სკოლასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ კომისიაში. ►

**1902 10 ოქტომბერი**

თბილისის გუბერნიის მარშალ დავით მელიქიშვილთან, გრიგოლ დიასამიძესთან, მეულღესთან და სხვებთან ერთად სტუმრად არის წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. ►

- 1902 ოქტომბრის შუა რიცხვები**  
 მონაწილეობს კომისიის სხდომაში, რომელიც განიხილავს პრემიის მისაღებად საკონკურსოდ წარმოდგენილ პიესებს. ►
- 1902 29 ოქტომბერი**  
 თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე წერილობით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მომრიგებელ მოსამართლეს, რომ დაესწროს თბილისის საოლქო სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილების სხდომებს 11 და 27 ნოემბერს. ►
- 1902 2 ნოემბერი**  
 ქშნ-კვ საზოგადოების გამგეობის მიერ შექმნილი წიგნების გამოცემის კომისიის პირველ სხდომაზე იღებენ დადგენილებას, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან გამოსცენ: „კაცია –ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „ოთარაანთ ქვრივი“. ►
- 1902 23 ნოემბერი**  
 თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე წერილობით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მომრიგებელ მოსამართლეს, რომ დაესწროს თბილისის საოლქო სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილების სხდომას 11 დეკემბერს. ►
- 1902 10 დეკემბერი**  
 მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაში, გამოდის სიტყვით სოფლის მეურნეობის ასალორძინებლად საკრედიტო საზოგადოების მიერ მთავრობისგან ფულის სესხების წინააღმდეგ. მოჰყავს გერმანიის მაგალითი, საუბრობს საკრედიტო დაწესებულებებზე, რომლებსაც გარანტიად აქვთ არა ნივთიერი საწინდარი, არამედ შრომისმოყვარეობა, თვითმოქმედება და ურთიერთნდობა. ►
- 1902 12 დეკემბერი**  
 გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის სიტყვა მცირე კრედიტის ორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც წარმოთქვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე. ►
- 1902 15 დეკემბერი**  
 გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 15 დეკემბერი“ („ძლიერ თავმდაბალი კალმოსანი გამოდგა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ვაშა, ბ-ნო ქართველო დეფო!“. ►
- 1902 17 დეკემბერი**  
 ქართველ ქალთა ამხანაგობა ილია ჭავჭავაძეს, ეკატერინე სარაჯიშვილს, ნიკო ლოლობერიძეს, იაკობ გოგებაშვილს და მარიამ ზუბალაშვილს გაზეთის საშუალებით მადლობას უცხადებს სამკერვალო სკოლისთვის განუღი დახმარებისათვის. ►
- 1902 19 დეკემბერი**  
 ალექსანდრე ყიფშიძე ახალციხიდან პეტერბურგში წერილს უგზავნის ძმას, გაქარიას და მოუთხრობს, როგორ გამოითხოვა ილია ჭავჭავაძემ ბანკისგან ახალციხის ქალთა სასწავლებლისთვის 300-ის ნაცვლად 500 მანეთი. ►



**1902 21 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 21 დეკემბერი“ („ყველაზე სახიფათო მხარე...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „გათეთრება შავისა“. ▶

**1902 30 დეკემბერი**

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე წერილობით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მომრიგებელ მოსამართლეს, რომ დაესწროს თბილისის საოლქო სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილების სხდომებს 1903 წლის 20 და 27 იანვარს. ▶

**1902** ანდრეევის (ამჟამად გიორგი ჩუბინაშვილის) ქუჩაზე ასრულებს სახლის რემონტს და მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადადის. ▶

**1902** ვაჟა ფშაველა უძღვნის პოემას „ძალღიკა ხიმიკაური“. ▶

**1902** იაკობ გოგებაშვილი წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „სიმართლე თბილისის შესახებ“. ▶

**1902** „საქართველოს კალენდარში“ იბეჭდება წინასიტყვაობა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ 1877 წელს „ივერიის“ პირველ ნომერს წარუმძღვარა. ▶

**1902** იბეჭდება კრებული „პატარა ჩანგი“, რომელშიც შესულია ილია ჭავჭავაძის ლექსები „გახსოვს, ტურფავ...“ და „კითხვა-პასუხი“. ▶

**1902** პატარა წიგნად გამოდის ილია ჭავჭავაძის ტექსტზე „ტყემ მოისხა ფოთოლი...“ დიმიტრი არაყიშვილის მიერ დაწერილი რომანის ნოტები, ტექსტის რუსული თარგმანითურთ, რომელიც შესრულებულია ივანე და ალექსანდრა თხოროფევსკების მიერ. ▶

**1902** ანდრია ღულაძესა და გიგო თოიძესთან ერთად აყალიბებს კონსერვების დამამზადებელ ამხანაგობას „ანკარა“ და საგურამოში, თავისი სახლის წინ იწყებს წარმოებას. ▶

**1902-** უბის წიგნაკში იწერს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარსა და შუა წლებში გა-  
**დან** მოცემული რუსული და ფრანგული წიგნების დასახელებებს და გამოცემის წლებს. ▶

**1902-** უბის წიგნაკში იწერს გლეხების სახელებს და ვის რამდენი საჟენი მიწა აქვს. ▶  
**დან**

**1902-** უბის წიგნაკში აკეთებს ამონაწერებს სხვადასხვა წლების კონკრეტული საბანკო  
**დან** საქმეებიდან, იწერს შენიშვნებს კონვერსიის და კრედიტის გაიაფების შესახებ. ▶

**1903-** მოკლე ბარათს უგზავნის დას, ელისაბედს და სთხოვს, თანდართული წერილი  
**მდე** სასწრაფოდ გაუგზავნოს ილია წინამძღვრიშვილს. ▶

**1903 1 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ „დუტუ მეგრელის“ ფსევდონიმით იბეჭდება დიმიტრი ხოშტარიას საახალწლო ნობათი ილია ჭავჭავაძისადმი: „ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ რედაქტორს / მწერალიც თან გაჰყოლოდე...“. ►

**1903 1 იანვარი**

გაზ. „კვალში“ „რიგოლეთოს“ ფსევდონიმით იბეჭდება იროდიონ ევდოშვილის „სადღეისო ვიზიტები“, რომელშიც ერთ-ერთი შარჟი ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება. ►

**1903 6 იანვარი**

გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერით „ბზიკი“ აქვეყნებს სტატიას „ხილად“ ევეშ მინაწერით „ახალ თაობის რაინდს“ („წარსულ წლის დამღვეს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თბულებათა ოცტომეულში. ►

**1903 14 იანვარი**

მუშაობს კავკასიის მთავარი სამმართველოს სამოქალაქო ნაწილის საბჭოს წევრ კრიმ გირეის მიერ სკოლებში ადგილობრივი ენების გამოყენების საწინააღმდეგო გამოსვლის საპასუხო სიტყვაზე. ამის გამო ვერ მიდის წვეულებაზე ვლადიმერ მიქელაძესთან და უგზავნის ბარათს. ►

**1903 14 იანვარი**

ესწრება „სამეურნეო საზოგადოების“ კრებას, რომელზეც სიტყვით გამოდის კრიმ გირეი და საუბრობს სკოლებში ადგილობრივი ენების გამოყენების მიზანშეუწონლობის შესახებ. ►

**1903 15 იანვარი**

თსს ბანკის საერთო კრებაზე ირჩევენ ბანკის რწმუნებულად. ►

**1903 20 იანვარი**

იღებს ანტონ ფურცელაძის წერილს, რომელშიც აცნობებს, რომ ავად არის და სთხოვს, აპრილის ხელფასიდან მხოლოდ მეოთხედი დაუკავოს. ►

**1903 25 იანვარი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 25 იანვარს“ („ღვანლი საქართველოს უწინდელ სამღვდელოებისა...“). მწერლის თბულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თავისი სამწყსოს „სარკე“ და „სანთელი“. ►

**1903 30 იანვარი**

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე წერილობით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მომრიგებელ მოსამართლეს, რომ დაესწროს თბილისის საოლქო სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილების სხდომას 12 თებერვალს. ►

**1903 31 იანვარი**

დუშეთის მაზრის სახაზინო სამსახური აცნობებს დუშეთისა და თიანეთის მაზრებში მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების გადასახადის ოდენობას. ►

**1903 31 იანვარი**

კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა სხდომაზე, რომელსაც არცერთი ქართველი წევრი არ ესწრება, იღებს დადგენილებას, რომ უარი თქვას ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ რუსული თარგმანის გაყიდვით შემოსული თანხის შემოწირულობად მიღებაზე. ▶

**1903 5 თებერვალი**

კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უარს ამბობს ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ რუსული თარგმანის გაყიდვით შემოსული თანხიდან შემოწირულობის მიღებაზე. ასევე აცხადებს, რომ წიგნის გამომცემელს უფლება არ ჰქონდა კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებასთან შეუთანხმებლად წიგნზე მიენერა, რომ ყოველი გაყიდული ეგზემპლარიდან 5 კაპიკს გადასცემდა ამ ორგანიზაციას. ▶

**1903 9 თებერვალი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება მეთაური თარიღით „ტფილისი, 9 თებერვალი“, რომელშიც საუბარია კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ რუსული თარგმანის გაყიდვით შემოსული თანხის შემოწირულობად მიღებაზე. პუბლიკაციის ავტორი ამბობს, რომ გამგეობის დასკვნა, თითქოს, ილია ჭავჭავაძის ეს ნარკვევი ვინმეს ჩირქს სცხებდეს, უსაფუძვლო და სასტიკად შეურაცხყოფელია. მისი აზრით, მსგავსი განაჩენის გამოტანამდე საკითხი საფუძვლიანად უნდა განეხილა კომპეტენტურ პირებს. ▶

**1903 9 თებერვალი**

სომხურ გაზეთ „მშაკში“ იბეჭდება სტატია „კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების ერთი განაჩენის გამო“, რომელშიც ილია ჭავჭავაძის ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ გამო ქართველები „კაცთმოძულეებად“, „მოძმეთჭამიებად“ და „სომეხთყლაპიებად“ არიან მოხსენიებული და მოწონებულია კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ასეთი წიგნის გაყიდვიდან შემოწირული თანხის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ▶

**1903 11 თებერვლის შემდეგ**

ფილიპე გოგიჩაიშვილი წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „ამიერკავკასიის გლეხთა მცირემიწიანობა“. ▶

**1903 24 თებერვალი**

იღებს გიორგი ორბელიანის დეპეშას. ადრესანტი აცნობებს, რომ პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგი იწვევს გაგრაში სასწავლებლის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით. ▶

**1903 თებერვალი**

გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერით „ნაიბი“ აქვეყნებს სტატიას „აი ძმობა!?“ („გასულ კვირას (იხ. „ივერია“ № 33) ერთი სწორედ ხელისხელ საგოგმანები...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ▶

**1903 თებერვალი**

ჟურნალ „ისტორიჩესკი ვესტნიკში“ იბეჭდება რეცენზია ილია ჭავჭავაძის ნარკვევებზე „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“. ავტორი აღიარებს, რომ სომეხები კავკასიაში ყველაფრის ხელში ჩაგდებას ცდილობენ. იგი მადლობას უხდის ილია ჭავჭავაძეს ისტორიის ფალსიფიკატორთა მხილებისათვის, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილს ამ ნაშრომის რუსულენოვანი მკითხველისთვის გაცნობისთვის და იმედს გამოთქვამს, რომ ვინმე ამ ტექსტს ევროპულ ენებზედაც თარგმნის და მათაც გააცნობს ისტორიის გამყალბებელთა ოინებს. ►

**1903 8 მარტი**

„არტიკული საზოგადოების“ დარბაზში გამართულ კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების კრებაზე კამათის საგანი ხდება, მიიღონ თუ არა ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ რუსული თარგმანის გაყიდვით შემოსული თანხიდან შეგროვილი შემოწირულობა. საზოგადოების ზოგი წევრი მიიჩნევს, რომ ნარკვევი კავკასიის ხალხთა შორის ეროვნულ განხეთქილებას თესავს. კენჭისყრის შედეგად იღებენ დადგენილებას, რომ ასეთი გადაწყვეტილებები მიიღოს საზოგადო კრებამ და არა გამგეობამ და კრება შემოწირულობაზე უარის თქმის წინააღმდეგია. ►

**1903 8 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად იბეჭდება მოწინავე, რომელშიც საუბარია კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების განზრახვაზე წიგნის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ გაყიდვით შემოსული თანხის შემოწირულობად მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. სტატიაში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძის ნარკვევში არაფერია სომეხი ერის საწინააღმდეგო, მაგრამ მხილებულია ისტორიის ფალსიფიკატორები. ►

**1903 13 მარტი**

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება ალექსანდრე ხატისოვის სტატია, რომელიც ცდილობს კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის გამართლებას ილია ჭავჭავაძის ნარკვევთან „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ დაკავშირებით. იგი ამბობს, ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვინც კი კარგი გვყავდა სომეხებს, ყველა გაგვიკრიტიკა და ვინღა დაგვრჩაო. ►

**1903 13 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ვრცელი ამონარიდები ჟურნალ „ისტორიჩესკი ვესტნიკში“ ილია ჭავჭავაძის ნარკვევებზე „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ გამოქვეყნებული რეცენზიიდან. ►

**1903 14 მარტი**

იღებს ლევან ჭანდიერის წერილს ბანკში შესატანი თანხისა და ვექსილის შესახებ. ►

**1903 16 მარტი**

გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერით „ნაიბი“ აქვეყნებს სტატიას „ბ-ნ ალ. ხატისოვის ლაღადი“ („ამ თვის „13-ს „ნოვ. ობ“-ეს ფურცლებზე. ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოულებათა ოცტომეულში. ►



**1903 21 მარტი**

ბროკჰაუმ-ფერონის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციისაგან იღებს წერილს, რომელშიც სთხოვენ ავტობიოგრაფიული მონაცემების გაგზავნას. ►

**1903 25 მარტი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ფსევდონიმით „სიტყვა“ იბეჭდება სამსონ ფირცხალავას წერილი, რომელშიც იგი მხარს უჭერს კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების განზრახვას, უარი ეთქვას ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ რუსული თარგმანის გაყიდვით შემოსული თანხის შემოწირულობად მიღებაზე. ►

**1903 30 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება სია თელავის მაზრის თავადაზნაურთა, რომელთაც აქვთ საზოგადო კრებაში მონაწილეობის უფლება. მათ შორის არის ილია ჭავჭავაძე. ►

**1903 იანვრის მეორე ნახევარი – მარტი**

ლუარსაბ ყიფიანი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ აქვეყნებს უარყოფით გამოხმაურებას ილია ჭავჭავაძის ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანზე. ►

**1903 17 მარტამდე**

თბილისის სამეურნეო ბანკის წლიურ კრებაზე ირჩევენ სამეურნეო საზოგადოების წესდების 34-ე მუხლის ხელახლა შესამუშავებლად შექმნილი კომისიის წევრად. ►

**1903 2 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება სია დუშეთის მაზრის თავადაზნაურთა, რომელთაც აქვთ საზოგადო კრებაში მონაწილეობის უფლება. მათ შორის არის ილია ჭავჭავაძე. ►

**1903 2 აპრილი**

იღებს პრინც ალექსანდრე ოლდენბურგის დეპეშას, რომელშიც მადლობას უხდის მის წერილზე გაგზავნილი პასუხისთვის. ►

**1903 3 აპრილი**

ბროკჰაუმ-ფერონის ენციკლოპედიური ლექსიკონისთვის წერს ავტობიოგრაფიას. ►

**1903 20 აპრილი**

გაზეთ „კვალში“ იბეჭდება ირაკლი წერეთლის წერილი „აკაკანებული მამული-შვილები“, რომელიც მიმართულია მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა შეხედულებების წინააღმდეგ. ►

**1903 20 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 20 აპრილი“ („მეოცე საუკუნე დადგა და ჩვენს ცხოვრებაში...“). მწერლის თხოულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „თავადაზნაურული ცრუმორწმუნეობა“. ►

**1903 24 აპრილამდე**

საპასუხო წერილს უგზავნის ბათუმში გრიგოლ საყვარელიძეს. სწერს, რომ გაკვირვებულია უცნობი კაცის ასეთი კადნიერებით და უარს ეუბნება თანხის გადახდაზე. ►

**1903 24 აპრილი**

გრიგოლ საყვარელიძე უგზავნის კიდევ ერთ წერილს და წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ილიამ არასწორად გაუგო. ►

**1903 27 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ „Plebs“-ის ფსევდონიმით იბეჭდება ნიკო ხიზანიშვილის სტატია, რომლითაც იგი პასუხობს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ უარყოფით გამოხმაურებას ილია ჭავჭავაძის ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ რუსულად თარგმნაზე. ხიზანიშვილი წერს, რომ ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილმა ამ შესანიშნავი წიგნის თარგმნით კარგი საქმე გააკეთა, „ცნობის ფურცლის“ ავტორი კი სოლიდარობის სახელით მართლაც მტრობას აღვივებს ქართველებსა და სომეხებს შორის. სტატიის ავტორის აზრით, ახალთაობას ეროვნული გზა და კვალი დაკარგული აქვს, სამშობლოსი აღარა სწამს და მის დროშას მხოლოდ „მარქსიზმი“ და „კოსმოპოლიტიზმი“ აწერია. ►

**1903 27 აპრილი**

იღებს პრინც ალექსანდრე ოლდენბურგის წერილს. აცნობებს, რომ აპირებს გაგრაში დაარსოს დაწყებითი სკოლა და სთხოვს რჩევას ამასთან დაკავშირებით. ►

**1903 27 აპრილის შემდეგ**

დეკემას უგზავნის გიორგი ორბელიანს გაგრაში და წუხილით ატყობინებს, რომ თსს ბანკის საერთო კრებების დამთავრებამდე ვერ ჩავა აფხაზეთში პრინც ოლდენბურგთან შესახვედრად. ►

**1903 30 აპრილი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა წლიურ კრებას. მონაწილეობს კამათში ბანკის ანგარიშზე დაჩენილი მამულების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობასთან და ორი დამატებითი დამფასებლის არჩევასთან დაკავშირებით. ►

**1903 2 მაისამდე**

საპასუხო წერილს უგზავნის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგს. აღტაცებას გამოთქვამს ხალხის განათლებისადმი მის მიერ გამოჩენილი მზრუნველობის გამო. სთხოვს ნებართვას, რომ სათავადაზნაურო კრებას გააცნოს მისი გეგმები. ►

**1903 2 მაისი**

თსს ბანკის რწმუნებულთა წლიურ კრებაზე კენჭისყრის გარეშე ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარედ. ►

**1903 2 მაისი**

მის საპატივცემულოდ მართავენ წვეულებას და იღებენ ჭკუფურ ფოტოს. ►

**1903 2 მაისის შემდეგ**

პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგი დეკემით უხდის მადლობას გულისხმიერებისთვის და სწერს, რომ მისი მონაწილეობა ამ საქმეში წარმატების იმედს აძლევს. ►

**1903 3 მაისი**

იღებს წერილს ანტონ ფურცელაძისგან. იგი იწონებს თსს ბანკის დამფასებელთა რაოდენობის მომატებას, რადგან საქმეს ძნელად აუდიოდნენ. მადლობას უხდის მისი ვაჟის დახმარებისთვის. ►

**1903 4 მაისი**

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში იბეჭდება ოტო შმერ-ლინგის კარიკატურები სათავადაზნაურო ბანკის შესახებ. ილია ჭავჭავაძის გამოსახულებასთან ერთგან მიწერილია სიტყვები: „რა ვუყო ღმერთმანი, ამ ხალხს, გული მემდულრება, გული...“, მეორეგან კი: „მამონას და პოეზიას – ორივეს ვუკმევ გუნდრუკსა!..“. ►

**1903 5 მაისი**

მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში. ►

**1903 9 მაისი**

თავადაზნაურობის კრებაზე განიხილავენ პრინც ოლდენბურგის მიერ ილია ჭავჭავაძისთვის გაგზავნილ წერილს. მასში საუბარია გაგრაში რეალური სასწავლებლის დაარსებასა ორწლიანი სამეურნეო და სატექნიკო კურსის გამართვაზე მათთვის, ვისაც უმაღლეს სასწავლებელში წასვლის საშუალება არა აქვს. საქმის გამოსარკვევად და პრინცისთვის მადლობის გადასახდელად ირჩევენ კომისიას ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. ►

**1903 9 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ნაიბი“ აქვეყნებს მონინავეს „კუდაბზიკობის მოსარჩლე“ („ამას წინად ჩვენმა გაზეთმა (იხ. „ივერია“ № 86) აღნიშნა...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1903 9 მაისის შემდეგ**

პრინც ალექსანდრე ოლდენბურგს წერილით აცნობებს, რომ გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ აირჩია კომისია მისთვის მადლობის გამოსაცხადებლად და მის მიერ წამოწყებული მამულიშვილური საქმის განხორციელებაში ხელშესაწყობად. ►

**1903 11 მაისი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ►

**1903 11 მაისი**

თავადაზნაურობის კრებაზე ფეხზე ადგომით უხდიან მადლობას 30 წლის განმავლობაში სათავადაზნაურო ბანკის მუშაობის ისე წარმართვისათვის, რომ ეს დანესებულება ახერხებს არაერთი მამულიშვილური და საქველმოქმედო საქმის გაძღოლას. კრების დასასრულს ილია ჭავჭავაძე ამბობს სამადლობელ სიტყვას. ►

**1903 12 მაისი**

თავადაზნაურობის კრებაზე ირჩევენ საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად შექმნილ კომისიაში. ►

**1903 13 მაისამდე**

ესწრება მოლდოვის ქალაქ ტირასპოლის კათოლიკეთა ეპისკოპოს ედუარდო როპპის მიერ თბილისში გამართულ დარბაზობას. ►

**1903 13 მაისი**

მიემგზავრება ქუთაისში ადგილობრივ თავადაზნაურობასთან თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მიერ წამოჭრილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად. ►

**1903 13 მაისი**

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე თელავის მაზრიდან ირჩევენ თავადაზნაურთა რწმუნებულად, ხოლო დუშეთის მაზრიდან – თავადაზნაურთა დეპუტატად. ►

**1903 14 მაისამდე**

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებას დეპუტით აცნობებს თბილისის თავადაზნაურთა კრებაზე მიღებულ ორ მნიშვნელოვან დადგენილებას: ხელისუფლების მიერ ნაბოძები ფული მოხმარდეს საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას, თბილისისა და ქუთაისის ბანკების შეერთების პირობები კი შემუშავდეს საგანგებო კომისიის მიერ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წარმომადგენლების მონაწილეობით. ►

**1903 19 მაისი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მიერ გადასახადის შეუტანლობისათვის გასაყიდად გატანილი მამულების სია. განცხადებაში დასახელებულთა შორის არიან ილია და ოლღა ჭავჭავაძეები. ►

**1903 19 მაისი**

მიემგზავრება გაგრაში. დელეგაციაში, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, არიან თბილისის მაზრის თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლი ალექსანდრე ორბელიანი, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ჩოლოყაშვილი და სხვები. ►

**1903 19 მაისის შემდეგ**

ილია ჭავჭავაძე და დელეგაციის სხვა წევრები გემით ჩადიან გაგრაში. ადგილობრივები მათ ზარბაზნების ზალპით ეგებებიან. სტუმრები გაგრაში სამ დღეს რჩებიან. უკანა გზაზე მათ ისევ ისეთი პატივით აცილებენ. ►

**1903 24 მაისი**

ილია ჭავჭავაძე და დელეგაციის სხვა წევრები გაგრიდან ჩადიან სოხუმში პრინც ალექსანდრე ოლდენბურგთან. ►

**1903 24 მაისი**

ილია ჭავჭავაძე და დელეგაციის სხვა წევრები სოხუმთან, ბესლეთის ხიდის ფონზე იღებენ ფოტოს. ►

**1903 24 მაისი**

ილია ჭავჭავაძეს და დელეგაციის სხვა წევრებს შერვაშიძეთა ბაღში უმართავენ დიდ წვეულებას. ნადიმს ესწრება ამ დროს სოხუმში მყოფი ქართული დრამატული დასი. ილია ჭავჭავაძე მისასალმებელ სიტყვაში საუბრობს მშობლიური მიწა-წყლის გაფრთხილების აუცილებლობაზე. სოხუმელები სთხოვენ ქშნკვ საზოგადოებასთან შეამდგომლობას მათ ქალაქში ქართული სკოლის დასაარსებლად. უღებენ ფოტოს საზოგადოებასთან ერთად. ხელში აყვანილი მიჰყავთ ეტლამდე და სიმღერით აცილებენ. ►



**1903 25 მაისი**

ილია ჭავჭავაძე და დელეგაციის სხვა წევრები სოხუმიდან გემით მიემგზავრებიან ფოთისკენ. ►

**1903 1 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილება განვლილი წლის ანგარიში, ხდება კორექტივების შეტანა და დამტკიცება. გამგეობის წევრად ირჩევენ ვახტანგ მუსხელიშვილს. ►

**1903 8 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ხდება საზოგადოების წევრთა სიის გადამოწმება და ახალი წევრების მიღება. განიხილავენ წინადადებას, რომ იმ წევრებს, რომლებიც არ იხდიან საწევრო გადასახადს, არ მიეცეთ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. თანხმდებიან, რომ საზოგადოებამ წინასწარ შეამოწმოს ხოლმე წევრობის კანდიდატთა სია. ►

**1903 10 ივნისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კვ საზოგადოების წლიურ კრებას, რომელზეც იღებენ დადგენილებას, შუამდგომლობა აღძრან სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე სოხუმში სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით. ►

**1903 13 ივნისი**

იღებს ბერლინში სამკურნალოდ წასული ანტონ ფურცელაძის წერილს, რომელშიც აცნობებს, რომ ვარშავაში ჩასვლისას გაძარცვეს და უფულოდ დარჩა. სთხოვს ორი თვის ხელფასის წინასწარ გაგზავნას. ►

**1903 17 ივნისი**

შემფასებელი კომისიის წევრი ლევან ჩერქეზიშვილი ადგენს ილია ჭავჭავაძის უძრავი ქონების შეფასების აქტს. დოკუმენტის მიხედვით ქონების ღირებულება შეადგენს 22800 მანეთს. ►

**1903 28 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ „ფ. ტვირთმძიმელის“ ფსევდონიმით იბეჭდება სტატია „ვითომ სამეცნიერო კრიტიკა“. მასში ლუარსაბ ყიფიანის მიერ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებული კრიტიკა ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ წინააღმდეგ შეფასებულია როგორც ფუნდამენტურ გამოკვლევასთან რიტორიკული შეკითხვებით დაპირისპირების „სუსტი მცდელობა“ და ნათქვამია, რომ კრიტიკის ავტორმა ვერ გააბათილა ილია ჭავჭავაძის ვერცერთი არგუმენტი. ►

**1903 7 ივლისი**

იღებს ალექსანდრე ოლდენბურგის წერილს. პრინცი მადლობას უხდის არტურ ლაისტის მიერ გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნის „ქართველი პოეტები“ გაგზავნისთვის. კრებულში შედის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა თარგმანებიც. ►

**1903 9 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს თარიღით „ტფილისი, 9 ივლისი“ („უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „სამწუხარო ცნობა“. ►

**1903 11 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „სცენის მოყვარე“ ბეჭდავს დასაწყისს ვრცელი სტატიისა „ქართული თეატრი და მისი რეჟისურა“ („უეჭველია, ყველამ უწყის...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1903 18 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოწერულად აქვეყნებს მონინავს თარიღით „ტფილისი, 18 ივლისი“ („ქართული საეკლესიო გალობა...“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „ძვირფასი განძი“. ►

**1903 20 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „სცენის მოყვარე“ ბეჭდავს გაგრძელებას ვრცელი სტატიისა „ქართული თეატრი და მისი რეჟისურა“ („ეხლა თვალი გადავავლოთ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1903 25 ივლისი**

გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის ყველას, ვინც წერილებითა და დეპეშებით მიულოცა სახელობის დღე. ►

**1903 27 ივლისი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „სცენის მოყვარე“ ბეჭდავს გაგრძელებას ვრცელი სტატიისა „ქართული თეატრი და მისი რეჟისურა“ („ჩვენ სამართლიანად გვისაყვედურეს...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1903 აგვისტომდე**

საგურამოში ეტლით მიმავალი ილია არაგვის პირას, ყვავის ეკლესიასთან ჩერდება და სადილობს გლეხებთან ერთად, რომლებიც მკის შემდეგ ისვენებენ. ►

**1903 1 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „სცენის მოყვარე“ ბეჭდავს გაგრძელებას ვრცელი სტატიისა „ქართული თეატრი და მისი რეჟისურა“ („ჩვენს უკანასკნელის წერილის შემდეგ...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1903 6 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „სცენის მოყვარე“ ბეჭდავს დასასრულს ვრცელი სტატიისა „ქართული თეატრი და მისი რეჟისურა“ („ჩვენს ორს წინა წერილში...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1903 6 აგვისტო**

პეტერბურგიდან იღებს ანტონ ფურცელაძის ბარათს. სწერს, რომ ბერლინში მკურნალობის შემდეგ უკეთ არის, მაგრამ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. აგრეთვე ატყობინებს, რომ ერთ იქაურ ბანკირს შეუსყიდია თსს ბანკის გირავნობის ფურცლები და მათ განაღდებასთან დაკავშირებით რაღაც პრეტენზიით მიუმართავს თსს ბანკისთვის. სთხოვს, გაეცნოს ამ კაცის წერილს და დროულად გამოეხმაუროს. ►

**1903 12 აგვისტო**

ქვეყნდება ცნობა, რომ ქართველთა გამომცემელ ამხანაგობას განზრახული აქვს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების გამოცემა. ►

**1903 13 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „სცენის მოყვარე“ აქვეყნებს სტატიას „წლიურად შენახვა ქართული დასისა“ („შარშან ქართულ დრამატულ საზოგადოების...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1903 13 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ „ვარ-ნელის“ ფსევდონიმით იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის კორესპონდენცია ბორჯომიდან. მასში ანონიმურად არის საუბარი საზოგადო მოღვაწეზე, რომელმაც იქ დასასვენებლად ყოფნისას დაიზიანა თვალი. მკურნალობის შედეგად ავადმყოფი სრულად განიკურნა, მაგრამ, მისივე თქმით, დარჩა ერთი საწუხარი. რამდენადაც 20 ივლისს ავად იყო, სახელობის დღე ვერ მიულოცა მისთვის უალრესად პატივისცემ ადამიანს, ილია ჭავჭავაძეს. ►

**1903 24 აგვისტო**

დურგალთა ამხანაგობა „შრომის“ წევრთა საერთო კრებაზე ირჩევენ ამ ამხანაგობის წევრად. ►

**1903 ივლისი – აგვისტო**

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით საგურამოში აკითხავენ ვალერიან გუნია, პეტრე ყიფიანი და თედო სახოკია. სთხოვენ დავით სარაჯიშვილთან შუამდგომლობას ფედერალისტთა პარტიის დასაფინანსებლად. ილია ჭავჭავაძეს მოსწონს ავტონომიის აზრი, მაგრამ მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პარტიის სათავეში და შეძლებს თუ არა ამ მძიმე საქმის გაძლოლას. ►

**1903 13 სექტემბერი**

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი დავით მელიქიშვილი წერილობით სთხოვს, დაესწროს თავადაზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატთა საკრებულოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ სათავადაზნაურო დაწესებულების მშენებლობის პროექტებს. ►

**1903 15 სექტემბერი**

იღებს ყვარლის მოურავ გიორგი გიგინაშვილის წერილს. ადრესანტი თავს იმართლებს იმის გამო, რომ მისთვის დაუკითხავად გაყიდა ქვევრები. ►

**1903 24 სექტემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „დედის ერთა იოთამი“ აქვეყნებს სტატიას „სალიტერატურო პრემია „შურდულის“ რედაქციისა“ („მე, ქვემორე ხელის მომწერი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1903 25 სექტემბერი**

თავის დას – ელისაბედს უხდის ვალის ნაწილს - 300 მანეთს. ►

**1903 6 ოქტომბერი**

პეტერბურგში გამართულ ხილულის პირველ გამოფენა-ბაზრობაზე ილია ჭავჭავაძის საკონსერვო ფირმა „ანკარას“ პროდუქცია ჭილდოვდება ოქროს მედლით. ►

**1903 14 ოქტომბერი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის ბაღში ქართული საწარმოო ფირმა „ანკარა“ ამზადებს კონსერვებსა და ხმელ ხილს. ►

**1903 20 ოქტომბერი**

ადგენს პირობის წერილს, რომლის თანახმად, მოჭამაგირედ აჰყავს დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოს მცხოვრები სანდრო უნდილაშვილი. დოკუმენტში პუნქტების სახით არის ჩამოყალიბებული მოჭამაგირის უფლება-მოვალეობები. ►

**1903 24 ოქტომბრამდე**

ნიშნავენ თბილისის ოლქის საპატიო მოსამართლედ. ►

**1903 27 ოქტომბერი**

მამუკა ჭავჭავაძე უძღვნის ლექსს: „Уж сколько лет я приучился, / Тебя стихами поздравлять, / Но князь Георгий отлучился, / И завещал мне продолжать...“. ►

**1903 ოქტომბერი**

სტუმრად არის დავით სარაჭიშვილთან ბარონ დე-ბაის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე. ►

**1903 2 ნოემბერი**

სადილად იწვევს ნიკო ხიზანიშვილს მნიშვნელოვან საკითხზე შესათანხმებლად. ►

**1903 27 ნოემბერი**

ბორის ესაძე წარწერით უძღვნის კრებულს „მთელი კავკასია, ილუსტრირებული საცნობარო-ლიტერატურული კრებული“. ►

**1903 2 დეკემბერი**

პოეტი და ჟურნალისტი ვასილი ველიჩკო წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „არაბესკები“. მასში შესულია ილია ჭავჭავაძის ლექსების: „უსულდგმულო ცხოვრება“, „იანიჩარი“, „წუხილი“, „გუთნისდედა“ ველიჩკოსეული თარგმანები და ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი მისივე ლექსი. ►

**1903 6 დეკემბერი**

ქვეყნდება ინფორმაცია, რომ ილია ჭავჭავაძეს განზრახული აქვს ქართულად თარგმნოს ალექსანდრე სუმბათაშვილის დრამა „ღალატი“. ►

**1903 7 დეკემბერი**

იდებს წერილს ლევან ჭანდიერისგან, რომელიც მისი ვექსილის საფუძველზე აცნობებს ბანკში შესატანი თანხის ოდენობას. ►



**1903 30 დეკემბერი**

ლევან გორდელაძე ღია ბარათით ულოცავს დამდეგ ახალ წელს. ►

1898-

**1903**

იღებს ყვარლის მოურავ გიორგი გიგინაშვილის ბარათს, რომელშიც სწერს მოსავლის შესახებ და სთოვს, რომ ყვარელში გავრცელებული ციებ-ცხელების გამო გაუგზავნოს ათი მანეთი. ►

1898-

**1903**

იღებს ყვარლის მოურავ გიორგი გიგინაშვილის წერილს სამეურნეო-საოჯახო საკითხებთან დაკავშირებით. ►

**1903**

ნაძალადევაში ბიბლიოთეკის გახსნაზე მისულს სოციალ-დამოკრატები უწყობენ დაპირისპირებას და ცდილობენ ხალხის წაქეზებას მის წინააღმდეგ. ►

**1903**

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში იბეჭდება მისი ავტობიოგრაფია. ►

**1903**

ბათუმიდან იღებს მისთვის უცნობი პიროვნების – გრიგოლ საყვარელიძის წერილს. ადრესანტი ითხოვს ბათუმში ილია ჭავჭავაძის სასარგებლოდ დანიშნული ლიტერატურული საღამოს ორი ბილეთის საფასურს. ►

**1903**

თბილისში განმეორებით იბეჭდება კრებული „პატარა ჩანგი“, რომელშიც შესულია მისი ლექსები „გახსოვს, ტურფავ...“ და „კითხვა -პასუხი“ ►

**1903**

წიგნში „გურია–სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის მიერ მღვდელმთავრისადმი წარმოთქმული სიტყვა. ►

**1903**

დრეზდენში გამოდის არტურ ლაისტის წიგნი „საქართველოს გული“, რომელშიც იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე დახასიათება და გერმანული თარგმანები ლექსებისა: „გაზაფხული“, „პოეტი“, „კითხვა-პასუხი“ და ნაწყვეტებისა პოემებიდან სათაურებით: „არაგვს“, „მყინვარს“, „შემოღამება ალაზანზე“. ►

**1903**

მისი ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის ქმნ-კვ საზოგადოების ანგარიში. ►

**1903**

იაკობ გოგებაშვილი მას და მის მეუღლეს წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „როგორ გავაუმჯობესოთ კავკასიის სახალხო სკოლები“. ►

**1903**

ვალერიან გუნია წარწერით უძღვნის მის მიერ გამოცემულ „საქართველოს კალენდარს“. ►

**1903**

ბაქარია ჭიჭინაძე წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „ღვთისმშობლის კათოლიკეთა ეკლესია ბათუმში“. ►

**1903**

ავსებს კერძო მამულის მფლობელებისთვის კანონით დამტკიცებულ სავალდებულო კითხვარს. ►

- 1903** „საქართველოს კალენდარში“ იბეჭდება მისი 1877 წელს გადაღებული პორტრეტი და კრიტიკულ-ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ. ►
- 1903** უბის წიგნაკში იწერს პურისა და ქერის მოსავლის რაოდენობას. ►
- 1903-დან** უბის წიგნაკში იწერს შესაძენი რუსულენოვანი წიგნებისა და სხვადასხვა ნივთების ჩამონათვალს. ►
- 1903-დან** უბის წიგნაკში იწერს საბანკო საქმესთან დაკავშირებულ ფორმულებს. ►
- 1904-მდე** სტუმრობს თსს ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრს, მხატვარსა და საზოგადო მოღვაწე დავით გურამიშვილს. გაცილებისას ფეხით გაივლიან და დავით გურამიშვილი თამამშევის ქარვასლის წინ (ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე) უღებს რამდენიმე ფოტოს. ►
- 1904 1 იანვარი**  
გაზეთ „ცნობის ფურცელში“ სათაურით „საახალწლო მილოცვები შექსპირისა“ იბეჭდება ამონარიდები ინგლისელი დრამატურგის თხზულებებიდან. ილია ჭავჭავაძისადმი მიმართულია სიტყვები „მეფე ლირიდან“: „შეგრჩა სული კიდევ თუ არა? / ერთი ხმა გამე, კარგო კაცო!... რა დაგემართა?“ ►
- 1904 7 იანვარი**  
თბილისის სამხედრო ტაძარში ესწრება ვასილი ველიჩკოს სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს. ►
- 1904 19 იანვარი**  
იღებს ეკატერინე გაბაშვილის წერილს, რომელშიც სთხოვს, სათავეში ჩაუდგეს სალიტერატურო ფონდს. ადრესანტი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ მისი ფონდისთვის შეგროვილი თანხა ქშნ-კგ საზოგადოებიდან გაქრა. ►
- 1904 31 იანვარი**  
უბის წიგნაკში იწერს, ვის რამდენი გადაუხადა. ►
- 1904 9 თებერვალი**  
უბის წიგნაკში იწერს, ვის რამდენი გადაუხადა. ►
- 1904 17 მარტი**  
თიანეთის მაზრის უფროსი სთხოვს, დროულად დაფაროს სოფელ დიდმელაურის მამულზე გადასახადიდან დარჩენილი თანხა და საურავი. ►
- 1887-1904 21 მარტი**  
წერილს უგზავნის საგურამოს მამულში ახლად დანიშნულ მოურავ სანდროს, სთხოვს, გლეხები შეიბრალოს და მამულების საქმეზე თბილისში არავინ გაგზავნოს, რადგან შორიდან მაინც ვერაფერს გაარიგებს და ტყუილად შეწუხდებიან. ►

- 1904 21 მარტი**  
მონაწილეობს თბილისის სამეურნეო ბანკის კრებაში და გამოდის ინიციატივით, რომ ხარჭთაღრიცხვაში გაითვალისწინონ ჭილდო მცირე სახალხო კრედიტის შესახებ საუკეთესო ბროშურის შემდგენელისთვის. ►
- 1904 22 მარტი**  
მზარეულად აპყავს გიორგი ქორჩაშვილი. ►
- 1904 24 მარტამდე**  
უბის წიგნაკში იწერს, რომ მიიღო ღვინის, წამლისა და ხილის ფული. ►
- 1904 24 მარტი**  
უბის წიგნაკში იწერს, ვის რა თანხა გადაუხადა. ►
- 1904 1-7 აპრილი**  
ჟენევის კონფერენციაზე არსდება სოციალ-ფედერალისტთა პარტია, რომლის კონცეფციაშიც ნოე ჟორდანიას ხედავს „ილია ჭავჭავაძის ძველი დებულების აღდგენას“. სოციალ-დემოკრატები ერთხელ კიდევ რწმუნდებიან, რომ ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი კვლავ დიდ ძალას წარმოადგენს და უფრო ააქტიურებენ ბრძოლას მის წინააღმდეგ. ►
- 1904 12 აპრილი**  
წერილს სწერს ყვარლის მამულის მოურავ ნოშრევან ჭაფარიძეს და ატყობინებს ღვინის გაყიდვის ამბავს. სთხოვს, დროულად აცნობოს ციხის სახურავის ზომები მისი გადასახური ლითონის ფურცლების შესაძენად. ►
- 1904 17 აპრილი**  
უბის წიგნაკში იწერს, ვის რა თანხა გადაუხადა. ►
- 1904 21 აპრილი**  
იღებს ვასილ გამრეკლის წერილს. ადრესანტი ახალციხეში მცხოვრებ ქართველთა სახელით სთხოვს შუამდგომლობას, რომ წმინდა მარინეს სახელობის ადგილობრივ ეკლესიაში დანიშნონ ქართული ენის მცოდნე სასულიერო პირი. ►
- 1904 23 აპრილი**  
უბის წიგნაკში იწერს, რომ მზარეულ გიორგი ქორჩაშვილს უხდის ერთი თვის გასამრჯელოს. ►
- 1904 1 მაისი**  
თბილისის სასამართლო პალატა იხილავს ზაალ გურამიშვილის მეურვის სააპელაციო საჩივარს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წისქვილის თაობაზე. სასამართლო პალატა ძალაში ტოვებს საოლქო სასამართლოს 1902 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ილია ჭავჭავაძის ბრალეულობა არ დასტურდება. ►
- 1904 2 მაისამდე**  
უბის წიგნაკში იწერს, რა თანხა ჰქონდა აღებული აბრამას იმ დროისათვის. ►

**1904 5 მაისი**

უბის წიგნაკში იწერს, ვის რამდენი გადაუხადა. ►

**1904 5 მაისის შემდეგ**

იღებს ალექსანდრე ყიფშიძის წერილს. ადრესანტი აცნობებს, რომ იყიდება ბრეთის მამული, რომელიც 5 წლის განმავლობაში სხვა პირს ეკუთვნოდა. სთხოვს, დაეხმაროს მის სიძეს - ივანე ავალიშვილს მის შესყიდვაში. ►

**1904 15 მაისი**

ოთხ ადამიანს აძლევს ჭამაგირს. ►

**1904 15 მაისი**

უბის წიგნაკში იწერს, ვის რამდენი გადაუხადა. ►

**1904 15 მაისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ისმენენ განვლილი წლის ანგარიშს და ამტკიცებენ ახალ ხარჯთაღრიცხვას. სტეფანე ზუბალაშვილს ირჩევენ საზოგადოების საპატიო წევრად. იღებენ დადგენილებას, რომ მის მიერ შემოწირული თანხიდან 4000 მანეთი მოახმარონ წიგნების გამოცემასა და ამ სფეროში ვაჭრობის გაფართოებას. მადლობას უცხადებენ იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) თანხის შემოწირვისთვის. იღებენ დადგენილებას, რომ საზოგადოების წევრებს საწევროს გადაუხდელობის გამო არ ჩამოერთვათ ხმის უფლება. ►

**1904 16 მაისი**

თავმჯდომარეობს ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც იღებენ დადგენილებას, რომ საზოგადოების 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად დაარსდეს კიდევ ერთი სკოლა და ბიბლიოთეკა. გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ ირჩევენ ილია ჭავჭავაძეს. ამავე სხდომაზე ხდება გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიის არჩევაც. ►

**1904 16 მაისი**

ანჩისხატის ეკლესიაში ესწრება ქშნ-კგ საზოგადოების გარდაცვლილ წევრთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს. ►

**1904 18 მაისი**

თხოვნით მიმართავს საოლქო სასამართლო პალატას, რომ ზაალ გურამიშვილის საჩივართან დაკავშირებით დაწერილი სააღმსრულებლო ფურცელი მის ნაცვლად გადასცენ გაბრიელ საყვარელიძეს. ►

**1904 18-20 მაისი**

მონაწილეობს თსს ბანკის რწმუნებულთა წლიური კრების მუშაობაში. განიხილავენ განვლილი წლის ანგარიშს, გაუყიდავად დარჩენილი მამულებისა და ზედამხედველი კომიტეტის რეორგანიზაციის საკითხებს. ►

**1904 21 მაისი**

თსს ბანკის რწმუნებულთა წლიურ კრებაზე გამოდის სიტყვით და სხვადასხვა ბანკის მაგალითების მოხმობით ამტკიცებს, რომ ზედამხედველი კომიტეტის რეორგანიზაცია მუშაობის გაუმჯობესების გარანტია არ არის. ►



**1904 22 მაისი**

თსს ბანკის რწმუნებულთა წლიურ კრებაზე აგრძელებენ ზედამხედველი კომიტეტის რეორგანიზაციის საკითხის განხილვას. უმრავლესობა იზიარებს ილია ჭავჭავაძის აზრს და ხმას არ აძლევს განხილული ცვლილებების გატარებას. ►

**1904 25 მაისი**

უბის წიგნაკში იწერს შინაური ცხოველების ასაკს და რაოდენობას. ►

**1904 28 მაისი**

მონაწილეობს პეტრე უმიკაშვილის დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიაში. ►

**1904 29 მაისი**

წერილს სწერს ყვარლის მამულის მოურავ ნოშრევან ჭაფარიძეს, დარიგებას აძლევს მათი ტყის უკანონო გაჩეხვასთან დაკავშირებით, წუხილს გამოთქვამს, რომ ციხე კვლავ გადაუხურავია და ავალებს კრამიტით გადახურვას. ►

**1904 4 ივნისი**

სოფელ წინარეხის საზოგადოება მას და გამგეობის სხვა წევრებს ულოცავს ქმნ-კგ საზოგადოების 25 წლისთავს. ►

**1904 10 ივნისი**

მონაწილეობს თბილისის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელზეც იღებენ დადგენილებას ქმნ-კგ საზოგადოების 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ამ ორგანიზაციისთვის თანხის გამოყოფის შესახებ. ►

**1904 31 მარტი-16 ივნისი**

გაზეთი „ცნობის ფურცელში“ ფსევდონიმით „კალამი“ იბეჭდება სამსონ ფირცხალავას ნარკვევი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 25 წლის განმავლობაში“. ►

**1904 20 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ დუშეთში გაიყიდა ექვსი საპალნე თეთრი ღვინო. ►

**1904 29 ივნისი**

გაზ. „ივერიაში“ „ა. ფრონელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილ ალექსანდრე ყიფშიძის ფელეტონში „ნახული და გაგონილი“ სრულად არის გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის ლექსი „იანიჩარი“. ►

**1904 ივნისი**

იმის გამო, რომ გუბერნატორის ბრძანებით ქმნ-კგ საზოგადოების ბიბლიო-თეკებიდან განზრახული იყო ქართული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ამოღება, ილია ჭავჭავაძე და ნიკო ცხვედაძე ორჯერ მიდიან გუბერნატორთან ამ ბრძანების გაუქმების თხოვნით. ►

**1904 ივნისი**

მეუღლესთან ერთად ესწრება მეზობლად მცხოვრები კალატოზის - იაკობ ფრანგიშვილის დაკრძალვას. ►

- 1904 ივნისის ბოლო**  
ილია ჭავჭავაძის წიგნის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ პასუხად პეტერბურგში გამოდის ქრისტეფორ ვერმიშევის წიგნი „მასალები ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიის შესახებ.“ ►
- 1904 9 ივლისი**  
წერილს სწერს ყვარლის მამულის მოურავ ნოშრევან ჭაფარიძეს. ავალებს, დაწვრილებით აღნუსხოს, რა რაოდენობის ხე-ტყის გატანა სურს ლაზარეს და ეს დოკუმენტი მასთან გაატანოს. ასევე სთხოვს, რომ ღვინო 18 ივლისამდე გაუგზავნოს. ►
- 1904 15 ივლისი**  
თბილისის ქალაქის გამგეობას წარუდგენს ერთსართულიანი სახლის პროექტს და სთხოვს მის დამტკიცებას. ►
- 1904 17 ივლისი**  
გაზეთ „ივერიაში“ კრიპტონიმით „პ. პ.“ იბეჭდება დასაწყისი გამოხმაურებისა ქრისტეფორ ვერმიშევისა და ივანე ჭავჭავაძის წიგნებზე „მასალები ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიის შესახებ. ილია ჭავჭავაძის წიგნის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ პასუხად“ და „მამულიშვილობა და მეცნიერება“. ორივე მათგანი გაკრიტიკებულია. ►
- 1904 18 ივლისი**  
გაზეთ „ივერიაში“ კრიპტონიმით „პ. პ.“ იბეჭდება დასასრული გამოხმაურებისა ქრისტეფორ ვერმიშევისა და ივანე ჭავჭავაძის წიგნებზე. მასში გაბათილებულია ვერმიშევის არაერთი ბრალდება ილია ჭავჭავაძის ნარკვევის წინააღმდეგ და ნათქვამია, რომ ავტორი ცდილობს „სომხის უმართლო მწერლების“ გამართლებას. ►
- 1904 20 ივლისი**  
მიხეილ კბილაძე, ილია ფოფხაძე და იოსებ მესხი დეპეშით ულოცავენ ანგელოზის დღეს. ►
- 1904 ჩათვლით  
**22 ივლისი**  
კირილე ლორთქიფანიძეს წერილით ატყობინებს, რომ ავადაა და თუ რაიმე საჩქარო საქმე არ იქნება, ბანკში მისვლას არ აპირებს. ►
- 1904 27 ივლისი**  
ხელს აწერს ალექსანდრე როინიშვილის მიერ ქმნ-კგ საზოგადოებისთვის ნაანდერძევი ფოტოატელიეს სამი წლით იჯარით გადაცემის დოკუმენტს, რომელსაც ნოტარიალურად ადასტურებს ილია წინამძღვრიშვილი. ►
- 1904 28 ივლისი**  
გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება რეცენზია ქრისტეფორ ვერმიშევის წიგნზე „მასალები ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიის შესახებ. ილია ჭავჭავაძის წიგნის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ პასუხად“. ►
- 1904 2 აგვისტომდე**  
მარჯორი უორდროპი წერილით ულოცავს სახელობის დღეს. ►

**1904 2 აგვისტო**

საგურამოდან წერილს სწერს მარჯორი უორდროპს, მადლობას უხდის სახელობის დღის მოლოცვისთვის და გამოთქვამს იმედს, რომ კვლავაც მიეცემა მარჯორისა და მისი ძმის მასპინძლობის შესაძლებლობა. ►

**1904 22 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ქართლელ-კახელი“ აქვეყნებს დასაწყისს სტატიისა „ძველი და ახალი სამღვდელთა“ („ვინც კი სოფლისა თუ დაბა-ქალაქების...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1904 23 აგვისტო**

გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერით „ქართლელ-კახელი“ აქვეყნებს დასასრულს სტატიისა „ძველი და ახალი სამღვდელთა“ („რა იყო აქციზი, რა იყო მარილის ბაჟი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ►

**1904 30 სექტემბერი**

მისი თაოსნობითა და მონაწილეობით ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში მოსახსენიებელ პანაშვიდს უხდიან განსვენებულ სტეფანე ზუბალაშვილს. ►

**1904 1 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის ნარკვევის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ საპასუხოდ დაწერილი ქრისტეფორ ვერმიშევის წიგნის შესახებ „ირტიმიდის“ ხელმოწერით იბეჭდება დიმიტრი ჭაშის წერილი „გაკვრით. ნარევ-ნაკვეს გასართობი“. ►

**1904 12 ნოემბერი**

ლევან ჭანდიერი წერილობით აცნობებს, რომ ბანკში უნდა შეიტანოს 1000 მანეთი. ►

**1904 18 ნოემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ რუბრიკით „ქართული სიბრძნე“ იბეჭდება ფრაზა ილია ჭავჭავაძის ლექსიდან „უსულდგმულო ცხოვრება“: „ნეტა ვინც კარგის საქმით / აღნიშნავს თავის დროსა! / ის აქავ ენაფება / უკვდავების წყაროსა“. ►

**1904 ნოემბერი**

წიგნის მალაზია „ცოდნა“ გამოსცემს კრებულს „ლექსები ილია ჭავჭავაძისა“, რომეშიც შედის ორიგინალური ლექსები: „ჩემო კარგო ქვეყანავ...“, „ბაბალეთის ტბა“, „ქართველის დედას“, „გ. აბხ...“, „ნანა“, „პოეტი“, „კითხვა-პასუხი“, „მამულს“ („მას აქეთ, რაკი...“), „ჩემო კალამო“, „გაბაფხული“, „მესმის, მესმის...“, „იანიჩარი“, „ელეგია“, „თ. ნიკოლოზბარათაშვილზედ“, „გუთნისდედა“, „მუშა“, „ხმასამარიდამ“, „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვმვრებოდით...“, „ლოცვა“ („მამაო ჩვენო...“) და „დამაკვირდი“; თარგმანები: „ირლანდიისადმი“ და „სტიროდეთ!“, ნაწყვეტები პოემებიდან: „მეფე დიმიტრი თავდადებული“ „აჩრდილი“ („ლოცვა“, „არავგი“, „მარად და ყველგან საქართველოვ!..“) და „დედა და შვილი“. ►

**1904 3 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ რუბრიკით „ქართული სიბრძნე“ იბეჭდება ფრაზა ილია ჭავჭავაძის პოემიდან „ქართველის დედა“: „მამულის დასხნის არმდომი, / თავისა თავის მგმობია, / ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს, / ომში სიკვდილი ჰსჯობია“. ►

**1904 3 დეკემბერი**

ფინანსთა სამინისტროს საგანგებო საკრედიტო კანცელარიაში გზავნის წერილობით თხოვნას, რომ თსს ბანკის საგირავნო ფურცლების ნომინალური ღირებულება გაუთანაბრონ თბილისის საკრედიტო საზოგადოებისას. ►

**1904 5 დეკემბერი**

გაზეთ „ივერიაში“ რუბრიკით „ქართული სიბრძნე“ იბეჭდება ფრაზა ილია ჭავჭავაძის პოემიდან „ქართველის დედა“: „თავისუფლების შოვნაი / სჯობს საშოვნელსა ყველასა“. ►

**1904 13 დეკემბერი**

ანდრეევის (ამჟამად გიორგი ჩუბინაშვილის) ე. № 22-ში ასაშენებელი საკუთარი საცხოვრებელი სახლის პროექტს მინდობილობით აბარებს ბეჟან მჭედლიშვილს. ►

**1904 16-17 დეკემბერი**

არქიტექტორი წერს დასკვნას, რომ ილია ჭავჭავაძის ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი შეესაბამება თბილისის ქალაქის საბჭოს დადგენილების მოთხოვნებს და გამგეობა გასცემს მისი მშენებლობის უფლებას. ►

**1904 22 დეკემბრიდან**

უბის წიგნაკში იწერს, ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით რომელი თვის რომელ რიცხვში უხდის მზარეულ გიორგი ქორჩაშვილს გასამრჯელოს. ►

**1896-1904**

მისი გაცნობით ინტერესდება კავკასიის მთავარმართებელი გრიგოლ გოლიცინი, მაგრამ ილია ჭავჭავაძე საპასუხო ნაბიჯს არ დგამს. როდესაც თეატრში ყოფნისას ადიუტანტი გოლიცინს შორიდან დაანახვებს, მასზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ილიას ჭკვიანი თვალები. ►

**1904** სპირიდონ ჭელიძე გამოსცემს წიგნს „ორი პოემა“, რომელშიც შეტანილია ილია ჭავჭავაძის „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და იროდიონ ევდომვილის „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“. ►

**1904** სპირიდონ ჭელიძე გამოსცემს კრებულს „ჩანგური“, რომელშიც შესულია ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ვიხილე სატრფო“, „ქართლის დედას“, „ნანა“, „ელეგია“, „როცა შევეყურებ“, „ლოყით მოეპყარ“, „ს... ჩ...სას“, „გაზაფხული“; პოემები: „დედა და შვილი“ და „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და პოემა „აჩრდილის“ XIII, XIV, XV თავები. ►

**1904** სპირიდონ ჭელიძე გამოსცემს კრებულს „სალამური“, რომელშიც შესულია ილია ჭავჭავაძის ლექსი „გაზაფხული“ და ჰაინრიხ ჰაინეს ლექსის ილასეული თარგმანი სათაურით „ლოყით მოეპყარ“. ►



- 1904** ცალკე წიგნად იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „გ. აბხ...“, „რა ვაკეთეთ. რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ბაზალეთის ტბა“, „კითხვა -პასუხი“, „დამაკვირდი“ (I- XIV), „ელეგია“, ნაწყვეტები პოემებიდან „დედა და შვილი“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული. ▶
- 1904** სპირიდონ ჭელიძე გამოსცემს კრებულს „ქნარი“, რომელშიც შეტანილია ილია ჭავჭავაძის ლექსები და ნაწყვეტები პოემებიდან „ქართველის დედა“ და „აჩრდილი“ (XIII, XIV, XV თავები). ▶
- 1904** იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსები და ნაწყვეტები მოთხრობებიდან. ▶
- 1904** მისი ხელმოწერით წიგნად გამოდის ქშნ-კგ საზოგადოების ანგარიში. ▶
- 1904** მას და მის მეუღლეს იაკობ გოგებაშვილი წარწერით უძღვნის საკუთარ წიგნს „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“. ▶
- 1904** წიგნის მალაზია „ცოდნის“ გამომცემლობა წარწერით უძღვნის აკაკი წერეთლის წიგნს „წმინდა გიორგის რაზმი“. ▶
- 1904** კავკასიის ქართველი სცენისმოყვარენი წარმოადგენენ მის დრამას „დედა და შვილი“. ▶
- 1904** „საქართველოს კალენდარში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის პორტრეტი და ბიოგრაფია. ▶
- 1904** წიგნში „საყოველთაო კალენდარი 1905 წლისთვის“ იბეჭდება მისი ლექსი „ს... ჩ...სას“. ▶
- 1904** ილია ჭავჭავაძის რჩევით ლევან ჭანდიერი თავის ქალიშვილ ეკატერინეს სასწავლებლად უშვებს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში. ▶
- 1905** **3 იანვარი**  
ეკატერინე გაბაშვილისაგან იღებს წერილს, რომელშიც ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელით სთხოვს დაესწროს სამკერვალო სკოლის მონაფეთა ლიტერატურულ სადამოს. ▶
- 1905** **24 იანვარი**  
იღებს ალექსეი მიხაილოვის წერილს. ადრესანტი შეწუხებულია იმ ინფორმაციით, რომ ილია ჭავჭავაძე აპირებს საბანკო საქმიანობისთვის თავის დანებებას. ▶
- 1905** **24 იანვარი**  
უბის წიგნაკში იწერს, რომ მზარეულ გიორგი ქორჩაშვილს უხდის ერთი თვის გასამრჯელოს. ▶
- 1905** **24 იანვარი**  
ქშნ-კგ საზოგადოების გამგეობა თხოვნით მიმართავს, აზრი გამოთქვას შილერის „ორლენელი ქალის“ ვაჟა-ფშაველასეულ თარგმანზე. ▶

- 1905 1 თებერვლიდან**  
უბის წიგნაკში იწერს, რომ მზარეულ გიორგი ქორჩაშვილს უხდის დარჩენილ თანხას და უსწორებს ანგარიშს. ►
- 1905 2 თებერვლამდე**  
რუსეთის სამინათმოქმედო საკრედიტო საზოგადოებათა წარმომადგენლების მე-5 ყრილობის თავმჯდომარე 2 თებერვალს იწვევს შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრთან. ►
- 1905 10 თებერვალი**  
იწვევენ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საგანგებო კრებაზე. განიხილავენ ბაქოში მომხდარ დაპირისპირებას სომეხებსა და აზერბაიჯანელებს შორის და ირჩევენ მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ იაკობ მაღამასთან წარსაგზავნ დეპუტაციაში. ილია ჭავჭავაძე სთავაზობს, რომ კომისიაში გამომძიებელთან ერთად ჩაერთოს სომეხთა და აზერბაიჯანელთა თითო წარმომადგენელი. ►
- 1905 თებერვლის ბოლო**  
ესწრება თავადაზნაურთა საკრებულოს სხდომას, რომლის მიზანია, არ დაუშვან აჭანყებული გურულების წინააღმდეგ გენერალ ალიხანოვის დამსჯელი რაზმის გაგზავნა. ილია ჭავჭავაძე აცხადებს, ყველა მშვიდობიანი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მთავრობამ დამსჯელი რაზმი არ გაუშვას და თუ ვერ დავარწმუნეთ, ჩვენც გურულების გვერდით უნდა დავდგეთ. ირჩევენ მეფისნაცვალთან წარსაგზავნი დეპუტაციის ხელმძღვანელად. ►
- 1887-1905 მარტამდე**  
წერილს უგზავნის მოურავ სანდროს და ავალებს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას, რომ გლეხებმა ყანა პირუტყვს გააფუჭებინონ. ასევე, ატყობინებს, რომ იმ დღეებში საგურამოში ავა ძველი მოურავი; სანდრომ უნდა გადაიბაროს ყველაფერი სიით და ამ სიაზე ორივემ მოაწეროს ხელი. ►
- 1887-1905 მარტამდე**  
წერილს უგზავნის მოურავ სანდროს და სთხოვს, ვინმე ოქრო შოთნიაშვილი მოძებნოს და მასთან გაგზავნოს ქალაქში. ►
- 1887-1905 მარტამდე**  
წერილს უგზავნის მოურავ სანდროს. ატყობინებს, რომ წინამურის ტყეში უკანონოდ ჭრიან ხეებს, ავალებს, გაათავისუფლოს ძველი მეველეები და ახლები აიყვანოს. ►
- 1905 6 მარტი**  
ივერიკო მიქელაძისგან იღებს წერილს და მისი ლექსის რუსულ თარგმანს. ►
- 1905 6 მარტი**  
ტარდება საგურამოს სასოფლო ყრილობა, რომელზეც გლეხები გადაწყვეტილებას იღებენ ბოიკოტი გამოუცხადონ ილია ჭავჭავაძესა და სხვა მემამულეებს. მათ უერთდება 15 სხვა სოფელი. ►
- 1905 6 მარტი**  
ესწრება თავადაზნაურთა კერძო თათბირს, რომელზეც განიხილავენ გლეხთა მოძრაობის საკითხს. მონაწილეობს კამათში და აცხადებს, რომ საქართველოსთვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს. ►

**1905 6-7 მარტი**

საგურამოდან იღებს მოურავ მოსე მემარნიშვილის წერილს, რომლითაც ატყობინებს ადგილობრივ გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების შესახებ. ►

**1905 8 მარტი**

წერილს უგზავნის საგურამოში მოურავ მოსე მემარნიშვილს. ატყობინებს მთავრობის განზრახვას დამსჯელი ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებით და თავადაზნაურობის მცდელობას ამის აღსაკვეთად. არიგებს, რომ გლეხებს მშვიდად მოელაპარაკოს და დაპირისპირება არ გაამწვავოს. ►

**1905 8 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება 6 მარტს გლეხთა მოძრაობასთან დაკავშირებით გამართულ თავადაზნაურთა კერძო თათბირზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ►

**1905 9 მარტი**

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რამდენიმე დღის წინ საგურამოში შეიკრიბა გლეხობა და შეიმუშავა მოთხოვნები მიწებით სარგებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა წაუყენონ თავიანთ მემამულეებს, გივი სტაროსელსკისა და ილია ჭავჭავაძეს. ►

**1905 9 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება მისი „წერილი რედაქციის მიმართ“ („ბატონო რედაქტორო! გუშინდელს „ივერიაში“ (#20) დაბეჭდილია ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი...“). პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ 6 მარტს გლეხთა მოძრაობასთან დაკავშირებით გამართულ თავადაზნაურთა თათბირზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვის პუბლიკაცია 8 მარტის გაზეთ „ივერიაში“ სრულიად დამახინჯებულია და არ შეესაბამება სინამდვილეს. იქვე მოჰყავს ორი ამონარიდი ამ პუბლიკაციიდან და უთითებს, სინამდვილეში რა თქვა. წერილის ბოლოს იგი აცხადებს: „თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ“. ►

**1905 13 მარტამდე**

საგურამოში იმართება გლეხთა თავყრილობა, რომელზეც სამსახურიდან ითხოვენ მამასახლისს და სოფლის მოსამართლეებს, იღებენ გადაწყვეტილებას, რომ მიწა და წყალი ყველასთვის საზიარო იყოს, ირჩევენ 12 კაცს და მათ ანდობენ ტყესა და ველზე თვალყურის დევნებას. იქვე აცხადებენ, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც ჩინებული მამულიშვილი, გაგებით უნდა მოეკიდოს მათ გადაწყვეტილებებს და დაეხმაროს კიდევ განხორციელებაში. ►

**1905 13 მარტი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ცნობა საგურამოში გამართული გლეხთა თავყრილობისა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ►

**1905 13 მარტი**

ჟურნალ „მოგზაურში“ „თაგუნას“ ფსევდონიმით ქვეყნდება შალვა შარაშიძის პამფლეტი „იდუმალი ხმა“. ავტორი წერს, რომ ილია ჭავჭავაძეს დაავინწყდა, რა უბედურება გადაიტანეს ბატონების მიერ შევიწროებულმა მისმა მხატვრულმა პერსონაჟებმა. სტატია მთავრდება მისდამი მიმართვით და მუქარით: „ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ „კაკოს“, „გაბროს“ და „თამროს“ დავინწყებოდეს ის, რაც შენ განზრახ დაგვინწყებია. სირცხვილი შენ, სირცხვილი! დადგა დრო განკითხვისა“. გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ სხვათა გამოსვლების შესახებაც. ►

**1905 მარტის შუა რიცხვებამდე**

საგურამოდან იღებს მოურავ მოსე მემანიშვილის წერილს, რომლითაც ატყობინებს, რომ მოჭამაგირეები გაექცნენ, გლეხები ტყეებს შეესივნენ. ადრესანტი სთხოვს, რომ ჩავიდეს და სიტუაცია დააწყნაროს, რადგან ეშინია იქ გაჩერება. ►

**1905 მარტის შუა რიცხვები**

საპასუხო წერილს უგზავნის საგურამოში მოსე მემანიშვილს. სწერს, რომ ახალნაგადმყოფარია და ვერ ჩავა. იმედს გამოთქვამს, რომ ვერაფერს გაუბედავენ, მაგრამ თუ საქმე გაჭირდა, უფლებას აძლევს, როგორც მისთვის უმჭობესი იქნება, ისე მოიქცეს. ერთადერთ რამეს სთხოვს, თუ წასვლას გადაწყვეტს, იქაურობა ვინმეს ჩააბაროს, მთლად უპატრონოდ ნუ დატოვებს. ►

**1905 20 მარტი**

ტარდება საგურამოსა და მიმდებარე 15 სოფლის თავყრილობა, რომელზეც გლეხები იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ნადელები, საეკლესიო და სახაზინო მამულები, რომლითაც სარგებლობენ, უსასყიდლოდ მიითვისონ. მათი დადგენილებით მიწის ღალა არ უნდა იყოს მოსავლის მეთაფებზე მეტი, მემამულემ იგი თავისი ხარჯით უნდა წაილოს და სხვ. ►

**1905 20 მარტი**

ჟურნალი „მოგზაური“ ბეჭდავს ცნობებს გლეხთა მოძრაობისადმი ილია ჭავჭავაძისა და გივი სტაროსელსკის დამოკიდებულების შესახებ. ►

**1905 21 მარტი**

ქმნ-კვ საზოგადოების გამგეობას წერილობით აცნობებს თავის აზრს შილერის „ორლენელი ქალის“ ვაჟა-ფშაველასეულ თარგმანზე. წერს, რომ არ მოსწონს, მაგრამ მისი აზრით, ვაჟა-ფშაველა იმდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისი „ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“. ამიტომ გამგეობას სთხოვს, თარგმანი სხვასაც წააკითხონ. ►

**1905 1 აპრილი**

გლეხთა გამოსვლების დასაწყნარებლად საგურამოში ადის კავკასიის მსროლელთა პირველი ბატალიონის ერთი როტა. ►

**1905 1 აპრილი**

აქტიურ მონაწილეობას იღებს თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავს საქართველოს ავტონომიის საკითხს და იმპერატორთან გასაგზავნი პეტიციის ტექსტს. უპირისპირდება მიხეილ მაჩაბლის გამოსვლას ავტონომიის წინააღმდეგ, მოითხოვს, რომ ამ საკითხის ირგვლივ გაერთიანდეს ყველა პარტია და გაითვალისწინონ ხალხის აზრი. კრება წერილით მიმართავს რუსეთის იმპერატორს, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა“. პეტიციას ხმას აძლევს 44 მონაწილე, 4-ის წინააღმდეგ. ►

**1905 3 აპრილი**

საგურამოში ადიან დუშეთის მაზრის უფროსი და ბოქაული. ►



**1905 10 აპრილი**

ჟურნალ „მოგზაურში“ ფსევდონიმით „ვ. ნ.“ და სათაურით „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება (გლახთა მდგომარეობა და ილია ჭავჭავაძე)“ იბეჭდება ვასილ ნაცვლიშვილის ცილისმწამებლური სტატია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ►

**1905 13 აპრილი**

გაზეთი „ივერია“ მიმოიხილავს ჟურნალ „მოგზაურში“ დაბეჭდილ წერილს „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება (გლახთა მდგომარეობა და ილია ჭავჭავაძე)“, ციტირებით გადმოაქვს საშინელი ცილისმწამებები ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ და უკეთებს კომენტარს: „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლახებთან?“. ამ კომენტარით „ივერიის“ რედაქცია ვასილ ნაცვლიშვილის ბრალდებებს დასაშვებად მიიჩნევს და ყალბ ინფორმაციას კიდევ უფრო ავრცელებს. ►

**1905 17 აპრილი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება მისი „წერილი რედაქციის მიმართ“ („ბატონო რედაქტორო! ჟურნალ „მოგზაურში“...“). პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება (გლახთა მდგომარეობა და ილია ჭავჭავაძე)“ სრული ცილისმწამებაა და ამზადებს მის გამაბათილებელ ვრცელ პასუხს. ►

**1905 18 აპრილამდე**

მღვდელ ბაქარია ელიაშვილს სთხოვს, მიაწოდოს ინფორმაცია, ვინ გარდაიცვალა გურამიანთკარში 1904 წლის 1 დეკემბრიდან 1905 წლის 1 აპრილამდე. ეს ინფორმაცია სჭირდება იმიტომ, რომ ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ ცილისმწამებლურ წერილში ნახსენები იყო ამ პერიოდში გურამიანთკარელი გლახის სიკვდილი ილია ჭავჭავაძის მოურავის მიზეზით. ►

**1905 18 აპრილი**

იღებს მღვდელ ბაქარია ელიაშვილის წერილს. ულოცავს ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს და აცნობებს, რომ გურამიანთკარში 1904 წლის 1 დეკემბრიდან 1905 წლის 1 აპრილამდე არცერთი მამაკაცი გლახი არ გარდაცვლილა. შესაბამისად, ილია ჭავჭავაძე იღებს იმის დამადასტურებელ ცნობას, რომ ჟურნალ „მოგზაურის“ ბრალდება ყალბია. ►

**1905 22 აპრილი**

სპირიდონ ვირსალაძის პირით ფოთში მყოფ ნიკო ნიკოლაძეს უთვლის, რომ 26 აპრილისათვის თბილისში ჩავიდეს. შეხვედრის მიზნად მინიშნებულია იმ საკითხების განხილვა, რომელზეც ბოლო ხანებში ჰქონდათ საუბარი. ►

**1905 24 აპრილი**

ჟურნალ „მოგზაურში“, იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსის „მესმის, მესმის...“ მიხედვით შექმნილი პაროდია სათაურით „ჩვენს მგოსანს“ („დღეს „გაღონებს“ თურმე ეს ხმა, გიორგვეცებს დარდებს გულში, / და ღმერთსა სთხოვ, ეგ „მწარე“ ხმა არ გაისმას „თქვენს“ მამულში...“ ►

**1905 24 აპრილი**

ელენა, ქეთევან, ივანე და ლევან აფხაზებისგან, იასონ, კონსტანტინე, გიორგი და დავით ვაჩნაძეებისგან, დიმიტრი ჩოლოყაშვილისა და სხვებისგან იღებს დეპეშებს. ყველანი თანაუგრძობენ ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული და შემდეგ „ივერიაში“ გადმობეჭდილი ცილისწამებების გამო. ►

**1905 27 აპრილი**

ყოველკვირეულ გაზეთ „კავკასკი კრაიში“ იბეჭდება მისი ლექსის „ლოცვა“ ტ. ბეკხანოვასეული თარგმანი. ►

**1905 აპრილის ბოლო**

ესწრება ქართული გიმნაზიის მზრუნველთა კომიტეტის კრებას. შეხვედრის მიზანია რევოლუციურ მოძრაობაში გიმნაზიის მოსწავლეების ჩაბმისა და ამის გამო მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან აცილება. ილია ჭავჭავაძე ამბობს, რომ პრობლემის სათავე გიმნაზია არ არის და ზომიერებაა საჭირო, რადგან ახალგაზრდებში დამოუკიდებლობის ინსტინქტის ჩახშობაც ცუდ შედეგს გამოიღებს. კრებაზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მასწავლებელი კლასში მთავარსარდალი უნდა იყოს, არაჯანსაღს უწოდებს. მისი თქმით, მბრძანებლობის რეჟიმი უკვე ჭარშია ცი კი კარგავს ძველებურ ელფერს არათუ სკოლაში და ურჩევს, რომ მოსწავლეებთან უფრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ. მისი გამოსვლა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, სრულიად ცვლის დამსწრეთა განწყობას და მკაცრი ზომების გატარებისათვის მათ მზაობას. ►

**1905 2 მაისი**

იღებს ანტონ ფურცელაძის წერილს, რომელშიც აცნობებს, რომ თსს ბანკის კრება გადაიდო და სთხოვს შეადგინოს იმ პირთა სია, რომლებიც უნდა დაესწრონ მომდევნო კრებას. ►

**1905 5 მაისამდე**

ვრცელი და ამომწურავი პასუხი ჟურნალ „მოგზაურის“ კორესპონდენციაზე „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება (გლახთა მდგომარეობა და ილია ჭავჭავაძე)“, სათაურით „ნუთუ?“ დასაბეჭდად მიაქვს გაზეთ „ივერიაში“ და რედაქტორისაგან ითხოვს, რომ ტექსტში არავითარი ცვლილება არ შეიტანოს. ფილიპე გოგიჩაიშვილი სტატიას აწყობინებს და, შეთანხმების მიუხედავად, რამდენიმე ადგილს ასწორებს. ილია ჭავჭავაძე კორექტურის კეთებისას ტექსტში შეტანილ ცვლილებებს ამჩნევს და უარს ამბობს სტატიის „ივერიაში“ დაბეჭდვაზე. გოგიჩაიშვილი სახლში აკითხავს, თავს იმართლებს გაზეთში „მოგზაურის“ კორესპონდენციის დაბეჭდვისთვის და ძლივს ითანხმებს, რომ წერილი უკან არ წაიღოს. ►

**1905 5 მაისი**

მიუხედავად ილია ჭავჭავაძის სურვილისა, რომ მისი წერილი „ნუთუ? (პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციასა)“ გაზეთ „ივერიაში“ იმავე ადგილას დაებეჭდა, სადაც გამოქვეყნდა ვასილ ნაცვლიშვილის ცილისწამებლური პუბლიკაცია, სტატია ქვეყნდება დამატების სახით და ტექსტს, რომელშიც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები დოკუმენტური ფაქტებით არის გაბათილებული, დართული აქვს სარედაქციო შენიშვნა: „ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებით“. გაზეთის იმდროინდელი რედაქტორის ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონებაში ნათქვამია, თითქოს სტატია ავტორს „ივერიაში“ დაუბეჭდა, მაგრამ გაზეთის ამ ნომრის ქმნ-კვ საზოგადოების ცალზე არის გაზეთის თანამშრომელ ნიკო კურდღელაშვილის მინაწერი, რომლის მიხედვითაც „ივერიაში“ ილიას პასუხი განცხადების სახით დაბეჭდა და სოლიდური თანხა გადაახდევინა ავტორს. ფილიპე გოგიჩაიშვილის თქმით მისი ამგვარი ქმედება გამონვეული იყო იმით, რომ სტამბაში მომუშავე დიმიტრი ჭაში და რევოლუციონერთა წრე გაფიცვით ემუქრებოდნენ. ►

**1905 5 მაისის შემდეგ**

ილია ჭავჭავაძის უკმაყოფილებას იწვევს მის სტატიებზე „ნუთუ?“ გაზეთ „ივერიის“ რედაქციის მიერ გაკეთებული მინაწერი, რომ ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებაში არ ეთანხმება ავტორს. ►

**1905 5 მაისის შემდეგ**

დიმიტრი ჭაში „ივერიის“ რედაქტორ ფილიპე გოგიჩაიშვილს სთხოვს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული წერილის გამოქვეყნებას, მაგრამ უარს იღებს. ►

**1905 15 მაისი**

ჟურნალ „მოგზაურში“ ილია ჭავჭავაძის სტატიის „ნუთუ?“ პასუხად იბეჭდება ერთდროულად სამი წერილი: ფილიპე მახარაძის „თავის გამართლებაც ასეთი უნდა! (პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს)“ პირველი ნაწილი, ფსევდონიმით „ვ. ნ.“ ვასილ ნაცვლიშვილის „პასუხათ ილია ჭავჭავაძეს“ და ფსევდონიმით „ასოთ-ამწყობი“ დაუდგენელი ავტორის „მცირე შენიშვნა“. რაკი გამოგონილი „კონკრეტული“ ფაქტებით ვერ შეძლეს ილია ჭავჭავაძისთვის სახელის გატეხა, მოწინააღმდეგენი ლანძღვასა და ზოგად ბრალდებებზე გადავიდნენ. ფილიპე მახარაძე მას „ჭაშუშს“, „მაბეზლარას“ და „უსასტიკეს მემამულეს“ უწოდებს, ივანე ნაცვლიშვილი ბრალს სდებს „ზნეობრივ სიმახინჯეში“, „აზრით ჩამორჩენასა“ და „ონიბაზობაში“, „ასოთამწყობი“ კი – მუშებისადმი არაადამიანურ დამოკიდებულებაში. ►

**1905 19 მაისამდე**

წერილობით იწვევენ თბილისის ინგლისურ კლუბში კანდიდატების კენჭისყრაზე დასასწრებად. ►

**1905 21 მაისი**

ჭამაგირს უხდის თომა და ეფემია ბოდაველებს. ►

**1905 22 მაისი**

ჟურნალ „მოგზაურში“ ილია ჭავჭავაძის წერილის „ნუთუ?“ საპასუხოდ იბეჭდება ფილიპე მახარაძის სტატიის „თავის გამართლებაც ასეთი უნდა! (პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს)“ დასასრული. ►

**1905 31 მაისი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა კრებას, რომელზეც ისმება საკითხი გადაუვადონ თუ არა გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობით დაზარალებულებს სარგებლის შეტანის ვადა. ილია ჭავჭავაძის აზრით, რადგან სარგებლის ფული მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბანკისთვის და მისი დაკლება გაკოტრების საფრთხეს ქმნის, შეიძლება, რომ სარგებლის შესატანად დაზარალებულებმა თანხა ისესხონ ბანკის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისთვის გადადებული ფულიდან და შემდეგ ნელ-ნელა გადაიხადონ. ამ წინადადებას უპირისპირდება მიხეილ მაჩაბელი. იგი მოითხოვს, რომ ბანკმა მთლიანად თავის თავზე აეღო პრობლემის მოგვარება. ►

**1905 1 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება მისი გამოსვლა თსს ბანკის რწმუნებულთა 31 მაისის კრებაზე. ►

**1905 28 მაისი - 4 ივნისი**

ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის წერილის „ნუთუ?“ რუსული თარგმანი. ►

**1905 6 ივნისამდე**

ყვარლის მოურავ ნოშრევან ჭაფარიძისაგან იღებს დეპეშას სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებით. ►

**1905 6 ივნისამდე**

მოურავ ნოშრევან ჭაფარიძეს დეპეშის პასუხად უგზავნის წერილს. ►

**1905 6 ივნისი**

მოურავ ნოშრევან ჭაფარიძეს ატყობინებს, რომ მალე გაუგზავნის წისქვილის ქვებს და ავალებს ორი საპალნე ღვინის გაგზავნას. ►

**1905 10 ივნისი**

თსს ბანკის შენობაში თავმჯდომარეობს მაჰმადიანთა და მართლმადიდებელ ქართველთა კრებას, რომელზეც განიხილავენ სომეხ-თათართა უთანხმოების საკითხებს და სახავენ მათი შერიგებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის გზებს. ►

**1905 10 ივნისი**

მოურავ ნოშრევან ჭაფარიძეს ატყობინებს, რომ უგზავნის დაპირებულ წისქვილის ქვებს, შეახსენებს, რომ ელის ორი საპალნე ღვინის გაგზავნას და სთხოვს შეატყობინოს, ღვინოს რა პირობით და რამდენს გაყიდის. ►

**1905 12 ივნისი**

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში იბეჭდება სტატია „ჩემი მიმოხილვა“, რომელშიც სატირულად არის წარმოჩენილი თსს ბანკის მუშაობა. თავმჯდომარის (ილია ჭავჭავაძის) შესახებ ნათქვამია, რომ მისი მოვალეობაა გამგეობის გამოსარჩლება, მაგრამ საქმე იმდენად ცუდად არის, რომ ამის გაკეთება გაუჭირდება. ავტორის თქმით, შავის თეთრად წარმოსაჩენად ის მიმართავს სოფისტებს. კარიკატურაზე ილია ჭავჭავაძე დახატულია მაგიდაზე წიგნების გროვით. ►

**1905 12-13 ივნისი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა კრებას, რომელზეც განიხილავენ 1904 წელს ბანკის მფლობელობაში დარჩენილი გაუყიდავი მამულების საკითხს. საგანგებო სარევიზიო კომისია დაგირავების დროს მათ ზედმეტად დაფასებაში ადანაშაულებს გამგეობას, ილია ჭავჭავაძე კი განუმარტავს, რომ დამფასებელი კომისია ცალკე ორგანოა, გამგეობას არა აქვს მის საქმიანობაში ჩარევის უფლება და ბანკის წესდების მე-16 მუხლის მიხედვით, არასწორ შეფასებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ შემფასებელი. იგი დამსწრეთა ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე, რომლებმაც განაპირობა სახლების გაუყიდავობა. გაბატონებული არეულობის გამო მყიდველებს მისდით მუქარის წერილები და ვერ ბედავენ ბანკისგან სახლების შესყიდვას. შემდეგ ცალ-ცალკე განიხილავს გაუყიდავი სახლების მაგალითებს და ასაბუთებს, რომ დამნაშავე არათუ გამგეობა, დამფასებელი კომისიაც კი არ არის და რომ ასეთი შედეგი ძირითადად პოლიტიკური კრიზისის ბრალია. ►



**1905 14-15 ივნისი**

თსს ბანკის რწმუნებულთა კრებაზე მამულების გაუყიდავობით მიღებულ ბარალში ვასილ მაჩაბლის ნათესავი, მიხეილ ვეზირიშვილი გამგეობას და, შესაბამისად, ილია ჭავჭავაძეს ადანაშაულებს, მათ დასაცავად კი გამოდის ანტონ ფურცელაძე. ►

**1905 16 ივნისი**

აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე ოლღა ლებედევა ქშნ-კგ საზოგადოების ბიბლიოთეკისთვის უგზავნის ვატიკანში დაცული „ქართლის მოქცევის“ არაბული ხელნაწერის თარგმანს, რომლის შესახებ მოხსენება წაიკითხა ალჟირში გამართულ ორიენტალისტთა XIV საერთაშორისო კონგრესზე. ►

**1905 16 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ „ფელიქსის“ ფსევდონიმით იბეჭდება მეთაური წერილი „თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა საყურადღებოდ“, რომელშიც ავტორი რწმუნებულებს მოუწოდებს, რომ მამულების დამფასებელთა არჩევაც და დაფასებაზე პასუხისმგებლობაც ბანკის გამგეობას გადააბარონ. მონოდებაში დაუფარავად არის გაცხადებული სურვილი, რომ გამგეობამ რწმუნებულთა კრების წინაშე თავი ვერ იმართლოს. ►

**1905 16 ივნისი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა კრებას, რომელზეც მამულების გაუყიდაობით მიღებულ ბარალში გამომსვლელები ძირითადად გამგეობას და, შესაბამისად, ილია ჭავჭავაძეს ადანაშაულებენ. ისინი მოითხოვენ წესდების შეცვლას და მამულების დაფასებაზე პასუხისმგებლობის გამგეობისთვის გადაცემას. ილია ჭავჭავაძე კრებას მიმართავს, მე უფლება მაქვს მქონდეს ჩემი აზრი დამფასებელი კომისიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ როდესაც ამას ვამბობ და მომყავს გერმანიისა და სხვა ქვეყნების მაგალითები, რატომღაც დამცინიან. თუ საკუთარი აზრის ქონა ბოროტმოქმედებად აღიქმება, დღესვე დავტოვებ სამსახურსო. ►

**1905 17 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება თსს ბანკის რწმუნებულთა 16 ივნისის დილის სხდომაზე ილია ჭავჭავაძის გამოსვლა. ►

**1905 17 ივნისი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა კრებას, რომელზეც აცხადებს, რომ გამგეობის წევრებს სხვა საქმეებიც აქვთ და თითოეული მამულის დაფასებაზე კონტროლს ვერ დაანესებენ. ის აღნიშნავს, რომ დასაგირავებელი მამულის ზედმეტად დაფასება მსოფლიოს ყველა ბანკის პრობლემაა, მაგრამ პატიოსანი და მცოდნე დამფასებლების შერჩევის გარდა ამას ვერაფრით უნამლეს. სხვა გამომსვლელები არ ეთანხმებიან და მოითხოვენ, გაუქმდეს წესდების ის მუხლი, რომელიც გამგეობას არ ავალდებულებს აკონტროლოს დამფასებელთა მუშაობა. ილია ჭავჭავაძე კრებას ურჩევს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე შექმნან კომისია, მოიწვიონ სპეციალისტები და კარგად გაიაზრონ შედეგები, მაგრამ ხმათა უმრავლესობით კრება იღებს გადაწყვეტილებას, რომ გამგეობა პასუხისმგებელია მამულების დაფასების დროს დაშვებულ შეცდომებზე. ►

**1905 18 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება თსს ბანკის რწმუნებულთა 16 და 17 ივნისის კრებებზე მისი გამოსვლები. ►

**1905 18 ივნისი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა კრებას და აკეთებს განცხადებას, რომ სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს, რომლებიც გავრცელდა საზოგადოებაში, არ ახლავს მტკიცებულებები, რაც აუცილებელია ასეთი ბრალდებების წასაყენებლად. შემდეგ სვამს კითხვას, რას მოხმარდა 300 მანეთი, რომელიც სარევიზიო კომისიას სახლების დათვალიერების ხარჯებისგან დარჩა. კრება სთხოვს სარევიზიო კომისიას სრული ანგარიშის წარდგენას და იღებს დადგენილებას ზედამხედველი კომიტეტის რეორგანიზაციისათვის კომისიის შესადგენად. როდესაც ილია ჭავჭავაძე კრებაზე კითხულობს სარევიზიო კომისიის დასკვნას, მისი ერთ-ერთი მოწინააღმდეგე, ამ კომისიის წევრი მიხეილ ვეზირიშვილი მისდამი უნდობლობას გამოხატავს, კითხვას აწყვეტინებს და მოითხოვს, რომ სხვამ წაიკითხოს. ილია ჭავჭავაძე თანხმდება, მაგრამ ეუბნება, რომ ამ შეურაცხყოფისთვის პასუხს აგებინებს. ►

**1905 19 ივნისი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება თსს ბანკის რწმუნებულთა 17 და 18 ივნისის კრებებზე მისი გამოსვლები. ►

**1905 19 ივნისი**

თსს ბანკის კრებაზე 18 ივნისს მიყენებული შეურაცხყოფისთვის დუელში იწვევს მიხეილ ვეზირიშვილს და უგზავნის რწმუნებულებს მიხეილ ბაგრატიონ-გრუზინსკის და დავით ჭორჭაძეს. ვეზირიშვილი იღებს გამონწვევას და თავის მხრივ რწმუნებულებად ნიშნავს ალექსანდრე კობიაშვილს და ალექსანდრე დიასამიძეს. ►

**1905 23 ივნისამდე**

იღებს ბარბარე ანდრონიკაშვილის წერილს, რომელშიც სთხოვს, რომ ბანკში მუშაობა დააწყებინოს ირაკლი ერისთავს. ►

**1905 23 ივნისამდე**

იღებს რუსულად ნაწერ ანონიმურ წერილს, რომელშიც ემუქრებიან, რომ თუ დაუყოვნებლივ არ გადადებს სამიწათმოქმედო ბანკში დაგირავებული მამულების საჯარო გაყიდვას, მოკლავენ. ►

**1905 23 ივნისამდე**

იღებს ილია ჭორჭაძის წერილს, რომელშიც სთხოვს მისი საბანკო საქმის დასრულებას, რადგან შიშობს, რომ კრედიტორები არ დააცლიან. ►

**1905 23 ივნისი**

მიხეილ ვეზირიშვილი აცხადებს, რომ ილია ჭავჭავაძისადმი უპატივცემულობის გამოხატვა არ უფიქრია. ხდება მორიგება და რწმუნებულები: მიხეილ გრუზინსკი, დავით ჭორჭაძე, ალექსანდრე კობიაშვილი და ალექსანდრე დიასამიძე ადგენენ ოქმს. ►

**1905 23 ივნისი**

ესწრება თსს ბანკის რწმუნებულთა კრებას, რომლის დასასრულსაც აცხადებს, რომ მიდის ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან. მოვალეობის შემსრულებლად რჩება ანტონ ფურცელაძე. ►

**1905 3 ივლისი**

ჟურნალი „მოგზაური“ „ნარის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ნოე ჟორდანიას წერილს „ქართველ მოღვაწეებში“. სტატია, რომელშიც ილია ჭავჭავაძე „ქვენარმაველად“, „ზნეობრივად და გონებრივად გაკოტრებულად“ მოიხსენიება, განწყობით სარკასტულ „ნეკროლოგს“ ჰგავს და მთავრდება სიტყვებით: „საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“. ►

**1905 5 ივლისი**

სიყრმის მეგობარ ილია წინამძღვრიშვილს ნოტარიალურად ამონმებიანებს ანდერძს, რომლის მიხედვითაც მისი გარდაცვალების შემდეგ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება რჩება მის მეუღლეს, ოღონდ გურამიშვილ-ჭავჭავაძეს, ხოლო ოღონდ გარდაცვალების შემდეგ საგვარეულო ქონება გადაეცემათ კანონიერ მემკვიდრეებს, ხოლო ილია ჭავჭავაძის მიერ შეძენილი უძრავი და მოძრავი ქონება – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ►

**1905 16 ივლისი**

მონაწილეობს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს სხდომაში, რომელიც განიხილავს კავკასიაში ერობის შემოღების საკითხს. ►

**1905 25 აგვისტო**

იღებს ვასილ ღვინიაშვილის წერილს და წყალგაყვანილობის ორგანიზაციის ანგარიშს. ►

**1905 18 სექტემბერი**

ჟურნალ მოგზაურში ქვეყნდება ინფორმაცია საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლში უცნობი შეიარაღებული პირების შეჭრისა და იარაღის წაღების შესახებ. ►

**1905 22 სექტემბერი**

იღებს საგანგებო საქმეთა გამომძიებელ ვ. მალინოვსკის წერილს. სთხოვს, რომ საგურამოში კომისიის წასვლამდე ორი დღით ადრე აცნობოს. სავარაუდოდ, საუბარია მისი სახლიდან იარაღის გატანის გამოძიებაზე. ►

**1905 24 სექტემბერი**

რამდენიმე პირთან ერთად წერილს უგზავნის ნიკო ნიკოლაძეს ფოთში და სთხოვს ჩამოსვლას კავკასიის მეფისნაცვალთან აუდიენციაში მონაწილეობის მისაღებად. ►

**1905 24 სექტემბრის შემდეგ**

სათავეში უდგას ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვთან წარგზავნილ დეპუტაციას. დაბეჭდვით უმტკიცებს მეფისნაცვალს, რომ თუ დამსჯელ რაზმს არ გაგზავნის, ამბოხებული გურულები დამშვიდდებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აჯანყება უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს. აუდიენციის შემდეგ ვორონცოვ-დაშკოვი ამბობს, თუ ჭავჭავაძეც კი აჯანყებით გვემუქრება, ჩანს, დაპირისპირება მართლაც საყოველთაო ხასიათს მიიღებსო და დასარბევად გაგზავნილ რაზმს სამტრედიიდან უკან აბრუნებს. ►

**1905 28 სექტემბერი**

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თბილისის ოხრანკის უფროსს საიდუმლოდ აცნობებს, რომ ილია ჭავჭავაძეზე დაწესებული მეთვალყურეობის პერიოდში (1884 წლის 25 აპრილიდან 1900 წლის 18 აპრილამდე) მის შესახებ არავითარი მაკომპრომენტირებელი ცნობა არ მიუღია. ►

**1905 1 ოქტომბერი**

ნიკო ცხვედაძეს სთხოვს მიაწოდოს ინფორმაცია იმ დეპუტაციის შემადგენლობის შესახებ, რომელიც გზათა მინისტრს უნდა შეხვდეს და დაუკონკრეტოს შეხვედრის დრო. ►

**1905 8 ოქტომბერი**

იღებს ყვარლის მამულის მოურავ ნოშრევან ჭაფარიძის წერილს რთველთან დაკავშირებით. ►

**1905 11 ოქტომბერი**

სათავეში უდგას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე კავკასიის მეფისნაცვალთან წარგზავნილ დეპუტაციას. მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვი კარგად მომზადებული ხვდება მათ წინადადებას და უმტკიცებს, რომ ერთ სახელმწიფოში ორი ავტოკეფალური მართლმადდებელი ეკლესიის არსებობა წარმოუდგენელია. არც ილიას და არც სხვა დეპუტატებს არ აგონდებათ ბიზანტიის მაგალითი, სადაც ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის. აუდიენციიდან გამოსულებს ამის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი შეახსენებს და ილიას გული სწყდება, რომ სათანადო პასუხი ვერ გასცეს მეფისნაცვალს. ►

**1905 11 ოქტომბერი**

იმართება თსს ბანკის რწმუნებულთა კრება, რომელზეც დგება ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ილია ჭავჭავაძის შემცვლელის არჩევის არჩევის საკითხი. ►

**1905 13 ოქტომბერი**

გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება სომხურ გაზეთ „მშაკში გამოქვეყნებული სტატია „დავუჭეროთ?“, რომელშიც საუბარია ქართველთა პოზიციაზე სომხურ-მუსლიმანურ კონფლიქტში და ქართველების უნდობლობის დასადასტურებლად მოყვანილია ილია ჭავჭავაძის „ქვათა დაღადის“ მაგალითი, რომელშიც სომეხ ინტელიგენციას ბრალი ედება ქართული კულტურული მემკვიდრეობის მითვისებაში. სტატიის ავტორი ილიას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ბურჯს უწოდებს და მასთან ერთად ირონიულად მოიხსენიებს მისი ნაწარმოებების რუსულად მთარგმნელ ვასილი ველიჩკოს. ►

**1905 20 ოქტომბერი**

ანა პეტრიაშვილისგან იღებს მიწვევას ქუთაისის კლუბის მიერ სოფლის დარბ მასწავლებელთა სასარგებლოდ გამართულ მუსიკალურ-ლიტერატურულ საღამოზე. ►

**1905 20 ოქტომბრის შემდეგ**

დავით სარაჯიშვილის სახლში ქართველი საზოგადო მოღვაწეები იკრიბებიან მეფისნაცვალთან კიდევ ერთი დეპუტაციის გაგზავნაზე მოსალაპარაკებლად. რამდენადაც ორიოდ კვირით ადრე ილია ჭავჭავაძე დაბეჭითებით უმტკიცებდა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს, რომ გურულების გამოსვლები დაუსჯელადაც ჩაცხრებოდა, დეპუტაციაში თავის მონაწილეობას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს და თავადვე ამბობს უარს. ►



- 1905 24 ოქტომბერი**  
სპირიდონ ვირსალაძე იწვევს 25 ოქტომბერს თბილისის სამეურნეო ბანკში ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. ►
- 1905 25 ოქტომბერი**  
ესწრება ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის განხილვას. ►
- 1905 ოქტომბერი**  
სწორებები შეაქვს პროგრესისტთა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში. ►
- 1905 ოქტომბრის მეორე ნახევარი**  
ესწრება სამღვდელთა კრებას წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში და გამოდის სიტყვით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მნიშვნელობის შესახებ. ►
- 1905 ნოემბრამდე**  
წერილს უგზავნის მოურავ მოსე მემარნიშვილს და სთხოვს, თუ ვინცობაა საგურამოში ხელისუფლებამ ჯარი გაგზავნოს, ყველა ღონე იხმაროს, რომ მოსახლეობა არ დააწიოკონ. თუ ამას ვერ შეძლებს, სთხოვს, სასწრაფოდ შეატყობინოს, რომ პირადად ავიდეს და იზრუნოს საქმის მშვიდობიანად მოგვარებაზე. ►
- 1905 1 ნოემბერი**  
იწვევენ ქმნ-კვ საზოგადოების სხდომაზე დასასწრებად და სთავაზობენ მიკითხვას ან ფაქტონის გაგზავნას. ►
- 1905 8 ნოემბერი**  
რევოლუციური მოძრაობისა და რეაქციის შედეგად გურიაში დაზარალებული მოსახლეობის სასარგებლოდ 20 მანეთს გადასცემს „ივერიის“ იმდროინდელ გამომცემელ პავლე თუმანიშვილს. ►
- 1905 18 ნოემბრამდე**  
წერილს უგზავნის მოურავ მოსე მემარნიშვილს და საყვედურობს გლეხების მიმართ ხისტი დამოკიდებულების გამო; ატყობინებს, რომ როგორც კი გაიგოს სოფელში ეგზეკუციის ჩაყენების ამბავი, გუბერნატორთან მივიდა და რაზმის უკან განწვევის ნება გამოსთხოვა. შიშობს, რომ გუბერნატორის განკარგულება დაგვიანებით მივა საგურამოში, ამიტომ პირადად უგზავნის შეტყობინებას პრისტავს, მოურავს კი ავალებს, რომ თუ პრისტავი დაუყოვნებლივ არ გაიყვანს ეგზეკუციას სოფლიდან, სასწრაფოდ მივიდეს დუშეთის მაზრის უფროსთან და შეატყობინოს. ►
- 1905 20 ნოემბერი**  
ტარდება თსს ბანკის საგანგებო კრება, რომელზეც სთხოვენ დაბრუნებას, მაგრამ საბოლოოდ ამბობს უარს. ►
- 1905 20 ნოემბრის შემდეგ**  
თსს ბანკის გამგეობის გადაწყვეტილებით განეული ოცდაათწლიანი სამსახურისთვის უნარჩუნებენ ხელფასს. ►

**1905 22 ნოემბერი**

მეფისნაცვალის ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იწვევს სახლში და სთხოვს ნიკო ნიკოლაძესთან ერთად გრაფ დიმიტრი სოლსკის კომისიაში მონაწილეობის მიღებას. ილია ჭავჭავაძე მოითხოვს მესამე წევრის დამატებას და სთავაზობს გიორგი ჟურულის კანდიდატურას. გარდა ამისა მეფისნაცვალს ესაუბრება იმის შესახებ თუ როგორ უსამართლოდ იყიდება საეკლესიო მამულები და ახერხებს ზოგიერთ საკითხზე მის დათანხმებას. მეფისნაცვალის სთავაზობს შეურჩიოს რამდენიმე კაცი მოსალაპარაკებლად და ჰპირდება სახელმწიფო საბჭოში წარსადგენი დასკვნის დაწერას. ►

**1905 27 ნოემბერი**

დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს უთვლის, რომ მივიდეს მასთან და ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული დოკუმენტური მასალები გააცნოს. შეხვედრა ორ საათს გრძელდება. დეკანოზი განცვიფრებულია იმით, თუ როგორ უცებ ერკვევა ილია ჭავჭავაძე ყველა საკითხში და რა საინტერესო არგუმენტებს აყალიბებს რუსეთში დაგეგმილი შეხვედრებისთვის. ►

**1905 28 ნოემბერი**

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიიდან იღებს მივლინებას პეტერბურგში გასამგზავრებლად და გრაფ დიმიტრი სოლსკის თავმჯდომარეობით დაგეგმილ განსაკუთრებულ თათბირში მონაწილეობის მისაღებად. შეკრების მიზანია კავკასიის ადგილის განსაზღვრა რუსეთის საკონსტიტუციო წყობილებაში და სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატთა არჩევის დებულების შემუშავება. ►

**1905 29 ნოემბრამდე**

სტუმრად არის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალ ალექსანდრე ჭამბაკურ-ორბელიანის ოჯახში. იქ მყოფნი: კიტა აბაშიძე, ნიკოლოზ ერისთავი, ვახტანგ მუსხელიშვილი და ივანე ზურაბიშვილი კმაყოფილებას გამოთქვამენ რევოლუციური მოძრაობის გამო, ილია ჭავჭავაძე კი მათ აღფრთოვანებას არ იზიარებს და ამბობს, რომ ამ პროცესებს სასტიკი რეაქცია მოჰყვება. ►

**1905 29 ნოემბრამდე**

მასთან სახლში იკრიბებიან აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწეები ავტოკეფალიის აღდგენის საკითხზე მოსალაპარაკებლად. ილია ჭავჭავაძე აგროვებს ცნობებს სინოდის თავმჯდომარესთან შეხვედრისთვის მოსამზადებლად. ►

**1905 29 ნოემბრამდე**

ფრეილინის ქუჩაზე ესწრება სხდომას, რომელზეც განიხილავენ კანონს სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. კრების მონაწილეთა უმრავლესობა აღფრთოვანებულია კანონმდებლობის ცვლილებებით, ილია ჭავჭავაძე კი მათ არწმუნებს, რომ არცერთი ხელისუფლება თავის უფლებებს თავად არ შეიკვცევას და რომ ეს ლოიალობა ხალხის დასამოშმინებელი მანევრია. ►

**1905 29 ნოემბრამდე**

რევოლუციური არეულობის პერიოდში ვორონცოვის (ამჟამად ზაარბრუკენის) ხიდზე მის ეტლს შეიარაღებულები აჩერებენ. უფროსები ერთ ახალგაზრდას ავალებენ მის მოკვლას, ის კი ყვირილით, რომ ილიას ვერ ესვრის, ადგილიდან გარბის. ►

**1905 29 ნოემბერი**

თბილისის გუბერნიის ყოფილ მარშალ დავით მელიქიშვილთან და გიორგი ჟურულთან ერთად საგანგებო მატარებლით მიემგზავრება პეტერბურგში გრაფ დიმიტრი სოლსკის კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. ►

**1905 11 დეკემბრამდე**

ჩადის პეტერბურგში და გიორგი ჟურულთან ერთად ბინავდება სასტუმროში. ►

**1905 11 დეკემბრამდე**

პეტერბურგის სასტუმროში მას და გიორგი ჟურულს აკითხავს უცნობი, რომელიც სთხოვს ენციკლოპედიისთვის მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ილია ჭავჭავაძე უარს ეუბნება, მაგრამ ჟურულს სურვილი უჩნდება, რომ ილია ჭავჭავაძის ღვანლი წარმოაჩინოს და უცნობს აწერინებს სხვადასხვა ცნობებს მისი მოღვაწეობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ უცნობი პირი არა ენციკლოპედიის, არამედ „ოხრანკის“ თანამშრომელი იყო და ინფორმაციას აგროვებდა. ►

**1905 13 დეკემბერი**

გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის სამი ლექსი: „არაგვს“, „ელეგია“ და „გაზაფხული“ პეტრე ოპოჩინინისეული თარგმანი. ►

**1905 19 დეკემბერი**

სახელმწიფო კანცელარია დიმიტრი სოლსკის დავალებით აცნობებს, რომ გამოცხადდეს მასთან წარსადგენად მარიას სასახლეში. ►

**1905 20 დეკემბერი**

გრაფ დიმიტრი სოლსკის მიწვევით ცხადდება მარიას სასახლეში, სიტყვით გამოდის საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით და ამხელს რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ნაკლოვანებებს. შევითხვამე, რამდენად გონივრულია, რომ ქართული დეპუტაცია შევიდეს იმპერიის სახელმწიფო საბჭოში, ვრცლად ასაბუთებს ასეთი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას. ►

**1905 23 დეკემბერი**

მინისტრთა კომიტეტის მდივანი ბარონი ემანუელ ნოლდეწერილობითი თხოვნით მიმართავს, გამოცხადდეს მინისტრთა კომიტეტის კანცელარიაში სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის მხარიდან დეპუტატთა არჩევის დებულების პროექტის წინასწარ განხილვაზე. ►

**1905 24 დეკემბერი**

ცხადდება მინისტრთა კომიტეტის კანცელარიაში სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის მხარიდან დეპუტატთა არჩევის დებულების პროექტის წინასწარ განხილვაზე. ►

1905 იბეჭდება კრებული „ჩანგური, ანუ სახალხო მეჭლისი“, რომელშიც შესულია ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“. ►

1905 ნესტორ კალანდაძე ფსევდონიმით „ემმაკი“ ჟურნალ „მოგზაურში“ აქვეყნებს სტატიას „ძველი მობაასენი ახალ საგანზე“. ►

1905 ყოველკვირეულ გაზეთ „კავკაზსკი კრაიში“ ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსის „სანთელი“ ტ. ბეკხანოვასეული თარგმანი. ►

- 1905** ჟურნალ „მოგზაურში“ ფსევდონიმით „ვ. ნ.“ იბეჭდება ვასილ ნაცვლიშვილის სტატია „საგურამო“, რომელშიც საუბარია ილია ჭავჭავაძისადმი გლეხების უარყოფით დამოკიდებულებაზე. ►
- 1905** მისი ხელმოწერით ქვეყნდება ქმნ-კგ საზოგადოების ანგარიში. ►
- 1905** ნინო ორბელიანის ლექსების კრებულში იბეჭდება ლექსი „ი. ჭავჭავაძეს“. ►
- 1905** იღებს ეკატერინე გაბაშვილის წერილს, რომელშიც სთხოვს, რომ თავადაზნაურთა კრებაზე დასვას ქალთა სახელობო სკოლისთვის 500 მანეთის გამოყოფის საკითხი. იქვე ადრესანტი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბანკმა არ დააფინანსა დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილის - ბარბარე ყიფიანის ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლის ხარჯები. ►
- 1906** **2 იანვარი**  
ეპისკოპოსი კირიონი პეტერბურგიდან წერილს უგზავნის მღვდელ სოსო ჩიჭავაძეს. კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საეკლესიო საკითხების განხილვის დროს იქ იმყოფებიან საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლები. პირველ რიგში ასახელებს ილია ჭავჭავაძეს. ►
- 1906** **3 იანვრამდე**  
პეტრე გრუზინსკი ნოტარიუსისგან იღებს ილია ჭავჭავაძის ვექსილს. ►
- 1906** **4 იანვარი**  
გიორგი ჟურულთან ერთად პეტერბურგიდან მიემგზავრება თბილისისკენ. ►
- 1906** **5 იანვარი**  
გაზეთ „სხივში“ იბეჭდება პოლიტიკური მიმოხილვა. ავტორი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და მათნაირები არ უნდა ქმნიდნენ კანონებს. ►
- 1906** **იანვრის შუა რიცხვებამდე.**  
ბრუნდება თბილისში. ►
- 1906** **იანვრის შუა რიცხვებიდან**  
თავადაზნაურთა საგანგებო თათბირზე საუბარია აჭანყებულ გლეხთა წინააღმდეგ თავადაზნაურობის შეიარაღებული დაპირისპირების საჭიროებაზე. ილია ჭავჭავაძე მოუწოდებს, არ გადადგან ასეთი სამარცხვინო ნაბიჯი. ►
- 1906** **იანვარი**  
იღებს ანტონ ფურცელაძის წერილს ბაბაევის საქმესთან დაკავშირებით. ►
- 1906** **2 თებერვლამდე**  
მოურავი მოსე მემარნიშვილი აცნობებს საგურამოს მამულიდან მისი ქონების დატაცების შესახებ. ►
- 1906** **2 თებერვალი**  
საპასუხო წერილს უგზავნის მოურავ მოსე მემარნიშვილს. პრისტავს უთვლის, რომ დამტაცებლებს ზარალის მხოლოდ ნახევარი ანაზღაურებინოს და ისიც ქვრივ-ობლებს დაურიგოს. ამასთანავე, სთხოვს ანგარიშის ჩაბარებას, ვის რას მისცემს. ►



- 1906 11 თებერვალი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი წერილობით სთხოვს ურჩიოს, რა ზომების მიღება აჭობებს არსებული აგრარული უნესრიგობის დასარეგულირებლად. ►
- 1906 20 თებერვალი**  
თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა კრებაზე ირჩევენ ბანკის პირველი ჯგუფის რწმუნებულად სამი წლის ვადით. ►
- 1906 24 თებერვალი**  
ოდესის საბალო მეურნეობიდან იწერს ყვავილების ნერგებს. ►
- 1906 1 მარტი**  
„ცნობის ფურცელში“ მეორდება გაზეთ „ვოზროჟდენიეში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისში ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით არსდება ახალი ქართული ლეგალური პარტია. ►
- 1906 4 მარტი**  
მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კომისიის მუშაობაში, რომელსაც მინდობილი აქვს სახელმწიფო საბჭოში ამომრჩეველთა კანდიდატების შერჩევა. ირჩევენ მას და მიხეილ გედევანიშვილს. ილია ჭავჭავაძე თავდაპირველად უარს ამბობს, მაგრამ თხოვნის შემდეგ თანხმდება. ►
- 1906 6 მარტამდე**  
იღებს გიორგი ჟურულის წერილს. აინტერესებს, რამდენად სასურველი და რამდენად რეალურია მის მიერ კონკრეტული თანამდებობის დაკავება. ►
- 1906 6 მარტი**  
საპასუხო წერილს უგზავნის გიორგი ჟურულს. აცნობებს, რომ თანამდებობა, რომლის შესახებაც ეკითხება, ძალიან კარგია როგორც ქვეყნისთვის, ისე საკუთრივ მისთვის. ასევე სწერს, რომ თავადაზნაურთა კომისია სახელმწიფო საბჭოს წევრებად მისი და მიხეილ გედევანიშვილის გაგზავნას აპირებს. ►
- 1906 6 მარტი**  
დეკემას უგზავნის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილს და ატყობინებს, რომ ავადმყოფობის გამო სხდომას ვერ დაესწრება. ►
- 1906 6 მარტი**  
იღებს სპირიდონ ვირსალაძის მიერ გაგზავნილ დეკემას, რომლითაც აცნობებს ქუთაისიდან დაბრუნების დროს. ►
- 1906 6 მარტიდან**  
მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე კათალიკოსობის აღდგენის საკითხის განსახილველად შექმნა საგანგებო კომისია, საქართველოში ეწყობა კრებები, რომლებსაც ილია ჭავჭავაძეც ესწრება. ►
- 1906 7 მარტი**  
განიხილავენ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩეველად მისი წარდგენის საქმეს. ►

- 1906 8 მარტი**  
თანხმობას აცხადებს კენჭი იყაროს სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლად. ►
- 1906 9 მარტი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე, რომელსაც თავად არ ესწრება, 40 ხმით ერთის წინააღმდეგ ირჩევენ თბილისის გუბერნიიდან სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლად. ვასილ მაჩაბელი ღიად ამბობს უარს მისთვის ხმის მიცემაზე. ►
- 1906 17 მარტი**  
იძენს სურათს თბილისელი ვაჭრისგან. ►
- 1906 23 მარტი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი ოფიციალურად აცნობებს თავადაზნაურთა კრების დადგენილებას, რომლის თანახმად, მას მიეცემა პეტერბურგში გასამგზავრებელი ბილეთის საფასური და 14 დღის საცხოვრებელი თანხა. ►
- 1906 23 მარტი**  
„ივერიელის“ ფსევდონიმით გაზეთ „ცნობის ფურცელში“ აქვეყნებს წერილს „იმერეთის თავადაზნაურობის სულ-მოკლეობა“ („სწორედ შარშან ამ დროს...“). სტატია გამოწვეულია რუსეთის იმპერატორის 17 ოქტომბრის მანიფესტის საპასუხოდ თავადაზნაურთა ერთი ნაწილის მიერ მისთვის სამადლობელი ადრესების მირთმევით და წამძღვარებული აქვს შექსპირის ჰამლეტის ცნობილი სიტყვები: „ჭერეთ ერთი თვე ძლივს გასულა არ გასცვეთია ჯერ ფეხსაცმელი, რომლით იგი ცრემლის მფრქვეველი მისდევდა კუბოს უბედურის მამიჩემისას! და ეხლა კი, დაქორწილდა...“. სტატია იღია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მის თხზულებათა ოცტომეულში. ►
- 1906 25 მარტი**  
იღებს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლად მისი წარდგენის დამადასტურებელ მონშობას. ►
- 1906 30 მარტი**  
იღებს ტატიანა ნაზაროვას დეპეშას დამდეგი აღდგომის დღესასწაულის მილოცვით. ►
- 1906 მარტის მეორე ნახევარი**  
მიხეილ გედევანიშვილთან და ვლადიმერ მიქელაძესთან ერთად მატარებლით მიემგზავრება პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ►
- 1906 1 აპრილი**  
მიხეილ გედევანიშვილთან და ვლადიმერ მიქელაძესთან ერთად ჩადის პეტერბურგში და ბინავდება მოიკის № 61-ში. ►
- 1906 2 აპრილი**  
იღებს დავით სარაჭიშვილის დეპეშას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მილოცვით. ►

- 1906 2 აპრილის ზემდეგ**  
ვიზიტები აქვს პეტერბურგის თავადაზნაურობის წინამძღოლ ვასილი გუდოვიჩთან და მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მმართველ ემანუილ ნოლდესთან. ►
- 1906 4 აპრილი**  
ალექსანდრე ყიფშიძე ძმას, ზაქარეას პეტერბურგიდან თბილისში უგზავნის წერილს, რომლითაც ატყობინებს, რომ ილია ჭავჭავაძემ, ვლადიმერ მიქელაძემ და მიხეილ გედევანიშვილმა ურჩიეს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ►
- 1906 5-6 აპრილი**  
პეტერბურგში გამართულ საბჭოს წევრების ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე მთავარი საკამათო საკითხია, მიეკუთვნოთ თუ არა ადგილები ბალტიისპირეთს, დონის სამხედრო ოლქს და კავკასიას. ხანგრძლივი კამათისა და ამ მხარეების წარმომადგენელთა დიდი ძალისხმევის შედეგად საკითხი დადებითად წყდება. ►
- 1906 7 აპრილი**  
61 ხმით 17-ის წინააღმდეგ სახელმწიფო საბჭოში ირჩევენ საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლად. ►
- 1906 7 აპრილი**  
სახელმწიფო საბჭოში მისი არჩევის შესახებ პეტერბურგიდან დეპუტატთა ატყობინებს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლ გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილს. ►
- 1906 7-8 აპრილი**  
რუსული გაზეთების კორესპონდენტებთან ინტერვიუში აცხადებს, რომ სახელმწიფო საბჭოში იგი აირჩია თავადაზნაურობამ, მაგრამ იქნება მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი. ►
- 1906 8 აპრილი**  
მეუღლე ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა დეპუტატ ულოცავს სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას. ►
- 1906 8 აპრილი**  
ნიკო ნიკოლაძე დეპუტატ ულოცავს სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას. ►
- 1906 8 აპრილი**  
ალექსანდრე ჭამბაკურ-ორბელიანი თავადაზნაურთა სახელით დეპუტატ ულოცავს სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას. ►
- 1906 8 აპრილი**  
ლიზა ნიკოლაძე-წინამძღვრიშვილი და ჩიკვაიძე დეპუტატ ულოცავენ სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას. ►
- 1906 9 აპრილი**  
გაზეთი „პეტერბურგსკი ლისტოკი“ აქვეყნებს ინფორმაციებს სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრების შესახებ. ამავე ნომერში იბეჭდება ინტერვიუ ილია ჭავჭავაძესთან, სადაც ნათქვამია, რომ ის არის „საერთოდ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ფართო თვითმმართველობის მომხრე, ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით“. ►

- 1906 9 აპრილი**  
ლევ გოლიცინი დეპუტით ულოცავს სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას. ►
- 1906 9 აპრილი**  
გიორგი და ალექსანდრე ცისკარიშვილები, დიმიტრი ჭავჭავაძე, ბესარიონ გოგობია, ალექსანდრე ჩიჭავაძე და სხვები დეპუტებით წარმატებას უსურვებენ სახელმწიფო საბჭოში. ►
- 1906 9 აპრილი**  
თამარ გრუზინსკაია და მარიამ ორბელიანი დეპუტით ულოცავენ სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას. ►
- 1906 9 აპრილი**  
კოტე და ელენე აფხაზები დეპუტით ულოცავენ სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას. ►
- 1906 10 აპრილამდე**  
პეტერბურგში მის ნაქირავებ სახლში იკრიბებიან ქართველი ამომრჩევლები. მიხეილ გედევანიშვილი გეგმავს სრული ავტონომიის მოთხოვნას. ნიკო ნიკოლაძე არ ეთანხმება, რადგან იცის, რომ საბჭოს წევრები მხარს არ დაუჭერენ, საკითხის ასე დასმა კი ტყუილუბრალოდ ზიანს მოუტანს საქართველოს. ►
- 1906 10 აპრილი**  
პეტერბურგიდან მოემგზავრება თბილისისკენ. ►
- 1906 10 აპრილი**  
პეტერბურგის გაზეთ „რეჩში“ დაბეჭდილ სტატიაში სახელმწიფო საბჭოს შესახებ, მოხსენიებულია ახლადარჩეულთაგან ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე დეპუტატად. ►
- 1906 11 აპრილი**  
გაზეთ „სტრანაში“ იბეჭდება მაქსიმ კოვალევსკის ფელეტონი „მომავალი სახელმწიფოს საბჭო“, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოს წევრთაგან ყველაზე ლიბერალები აღმოჩნდნენ საქართველოს წარმომადგენლები ილია ჭავჭავაძე და ვლადიმერ მიქელაძე, რომლებმაც თავიანთი გამოსვლებით ფურორი მოახდინეს. აქვე ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე მონაწილეობას იღებდა ქართული დემოკრატიული პარტიის პროგრამის შედგენაში. ►
- 1906 11 აპრილი**  
რუსულ გაზეთში „ბირჟევიე ვედომოსტი“ იბეჭდება სახელმწიფო საბჭოში ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენლის ვლადიმერ მიქელაძის ინტერვიუ. ის ამბობს, რომ სხდომებზე ილია ჭავჭავაძის გამოსვლებმა უკმაყოფილება გამოიწვია რეაქციულ წრეებში. მის მოსაზრებებს აღიქვამდნენ რუსეთის ერთიანობის ხელყოფის მცდელობად. ►
- 1906 13 აპრილი**  
მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი პეტრე ტრუბეცკოი ილია ჭავჭავაძეს ოფიციალურად აცნობებს, რომ აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად. ►



**1906 16 აპრილი**

მარტორი უორდროპი უგზავნის წერილს, რომლითაც ულოცავს სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას, გადასცემს მოკითხვას ძმის, ოლივერ უორდროპისგან და იწვევს სტუმრად. ადრესანტი არ იცის, რომ 10 აპრილს ის უკვე საქართველოში გამოემგზავრა. ►

**1906 17 აპრილი**

ნიკოლოზ ქანანოვი დეპეშით ულოცავს სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას. ►

**1906 18 აპრილი**

ალექსანდრე ყიფშიძე პეტერბურგიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, ბაქარიას და მოუთხრობს როგორი ფურორი მოახდინეს სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძემ და ვლადიმერ მიქელაძემ თავიანთი გამოსვლებით. ►

**1906 19 აპრილამდე**

ბრუნდება საქართველოში. ►

**1906 19 აპრილი**

გაზეთ „ლამპარში“ იბეჭდება კორესპოდენცია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს არჩევნების შესახებ. მასში ნათქვამია, რომ პეტერბურგში შეკრებილი ხმოსნები ილია ჭავჭავაძეს, როგორც საქართველოსა და რუსეთის განაპირა რეგიონების ფართო თვითმმართველობის მომხრეს, საბჭოში არ აირჩევდნენ, სიტყვით რომ არ გამოსულიყო ვლადიმერ მიქელაძე და არ ეთქვა, საქართველოს სურს რუსეთის მმართველობის ქვეშ ყოფნაო. მისმა ამ გამოსვლამ განწყობა შეცვალა და ილია აირჩიეს. ►

**1906 20 აპრილამდე**

თელავის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლ პეტრე ტრუბეცკოის თელავის თავადაზნაურთა სახელით დეპეშით უხდის მადლობას ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის გამო. ►

**1906 20 აპრილი**

მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი პეტრე ტრუბეცკოი ილია ჭავჭავაძეს უგზავნის თელავის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სამადლობელი დეპეშის ასლს. ►

**1906 28 აპრილამდე**

წინამძღვრიანთკარში სტუმრობს დუშეთის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლ ნოდარ წინამძღვრიშვილს, აკითხებს სახელმწიფო საბჭოზე წარმოსათქმელად დაწერილ სიტყვას, რომლითაც ითხოვს საქართველოს ავტონომიას და ეკითხება აზრს. მასპინძელი არ ურჩევს ასეთი მოხსენებით გამოსვლას, რადგან ამას შედეგად მხოლოდ ის მოჰყვება, რომ მომხსენებელი კარიერას გაიფუჭებს. ილია ჭავჭავაძე მაინც აპირებს, რომ სცადოს. ►

**1906 28 აპრილი**

წერილს უგზავნის საგურამოში მოურავ მოსე მემარნიშვილს, სთხოვს გლეხებთან წინდახედულად მოიქცეს: ნუ აუხირდება და უბრალოზე ნუ გამოევიდება, მაგრამ არაფერი გააფუჭებინოს. ამასთან, აცნობებს, რომ შემდეგ კვირაში მეუღლესთან ერთად რუსეთში მიემგზავრება ორი თვით. ►

**1906 2 მაისამდე**

რუსეთის სახელმწიფო საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით პეტერბურგში გამგზავრების წინ, თსს ბანკის თანამშრომლები და საზოგადო მოღვაწეები თბილისში, „ედემის ბაღში“ (ამჟამინდელი ზოოპარკის ტერიტორიაზე) უმართავენ წვეულებას. წვეულების შემდეგ იღებენ ჯგუფურ ფოტოს რესტორნის მეპატრონესთან, ოფიციანტებთან და მუსიკოსებთან ერთად. ►

**1906 2 მაისი**

პეტერბურგის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გრაფი ვასილი გუდოვიჩი იწვევს თავადაზნაურთა დეპუტატების კრებაზე. განიხილება სრულიად რუსეთის თავადაზნაურთა ყრილობის მოწვევის საკითხი. ►

**1906 2 მაისი**

მეუღლესთან ერთად, მიემგზავრება პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაში მონაწილეობის მისაღებად. ►

**1906 6 მაისი**

პეტერბურგში ჩასულებს სადგურში ხვდებათ ალექსანდრე ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან ერთად ბინავდება როჟდესტვენსკაიას ქუჩაზე. ►

**1906 6 მაისის შემდეგ**

პეტერბურგელი ქართველები უწყობენ შეხვედრას, რომელსაც ესწრებიან: ივანე ჭავჭავაძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, სპირიდონ ვირსალაძე და სხვები. ►

**1906 6 მაისის შემდეგ**

სახელმწიფო საბჭოს წევრებთან ერთად ნევის პროსპექტზე მდებარე ატელიეში იღებს ფოტოს. ილია ჭავჭავაძე არის მჭდომარეთა შორის, მარჯვნიდან მეორე. ფოტოზე აღბეჭდილები არიან: ვლადიმერ ვერნადსკი, ვიაჩესლავ კუგუშევი, დიმიტრი ბაგალევი, ნიკოლოზ შიშკოვი, ალექსანდრე ლაპო-დანილევსკი, ლეონიდ იუმაშევი, გუსტავ ვიკოვსკი და ალექსანდრე პერელეშინი. ►

**1906 7 მაისი**

გაზეთ „შრომის“ სურათებიან დამატებაში იბეჭდება გერმანელი მხატვრის იოსებ როტერის ილუსტრაციები: სახელმწიფო საბჭოს წევრის ილია ჭავჭავაძის გაცილება ტფილისის რკინისგზის სადგურზე ორ მაისს. ►

**1906 19 მაისი**

თხოვნით მიმართავს სახელმწიფო კანცელარიის ხაზინადარს, გასცეს განკარგულება, რომ არსებული წესისამებრ როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრს ბინაზე მიუტანონ კუთვნილი თანხა. ►

**1906 20 მაისი**

მარჯორი უორდროპს ატყობინებს, რომ სიამოვნებით იღებს მის მიწვევას და 21 მაისს ესტუმრება, მაგრამ მეუღლის გარეშე, რადგან ოღდა შეუძლოდ არის. ►

**1906 21 მაისამდე**

სიტყვით გამოდის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მიერ შექმნილ ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის სხდომაზე. ►

- 1906 24 მაისი**  
 ოფიციალურ წერილს იღებს სახელმწიფო მდივნისგან თხოვნით, რომ მიაწოდოს პირადი მონაცემები წლოვანებისა და განათლების შესახებ სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებისთვის. ►
- 1906 26 მაისი**  
 სახელმწიფო კანცელარიას აწვდის ინფორმაციას საკუთარი დაბადების თარიღისა და პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის ხანგრძლივობის შესახებ. ►
- 1906 3 ივნისამდე**  
 ნიკო ნიკოლაძესა და გიორგი ჟურულთან ერთად ხვდება რუსეთის ობერპროკურორ ალექსი ობოლენსკის. ►
- 1906 3 ივნისამდე**  
 წერილობით აცნობებს ალექსანდრე ცაგარელს, რომ ობერპროკურორ ალექსი ობოლენსკისთან შეხვედრა საქართველოს ავტოკეფალიის თაობაზე უნაყოფო აღმოჩნდა. ჰპირდება, რომ ყველაფერს დაწვრილებით უამბობს შეხვედრისას. ►
- 1906 3 ივნისი**  
 სტუმრად არის პეტერბურგში ალექსანდრე ცაგარელთან. მათთან ერთად არიან ეპისკოპოსი კირიონი და გიორგი ჟურული. ►
- 1906 3 ივნისის შემდეგ**  
 ბარონი დე ბაი ღია ბარათით აცნობებს, რომ შეხვდა დავით სარაჯიშვილს, ძალიან კმაყოფილია და გადასცემს მისგან მოკითხვას. ►
- 1906 11 ივნისი**  
 იღებს ქრისტეფორე მამაცაშვილის წერილს, რომლიდანაც იგებს საბანკო საკითხებთან დაკავშირებით გამართული თავადაზნაურთა კრების შედეგებს. ►
- 1906 14 ივნისი**  
 თსს ბანკის გამგეობა პეტერბურგში უგზავნის წერილობით თხოვნას, რომ ფინანსთა სამინისტროს საგანგებო საკრედიტო კანცელარიაში გაარკვიოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: რთავენ თუ არა ნებას თსს ბანკს, რომ გადაიბაროს და დაფაროს მანამდე პრიკაზში დაგირავებული მამულების სესხები იმ პირობებით, რომელთა შესახებაც მისწერეს სამინისტროს, იწონებენ თუ არა წესდების რამდენიმე მუხლში შესატან ცვლილებებს და არიან თუ არა თანახმა იმაზე, რომ ბანკმა არ იხადოს მის ანგარიშზე დარჩენილი გაუყიდავი მამულების გადასახადები. ►
- 1906 21 ივნისი**  
 ხალხთა თავისუფლების პარტიის სამდივნო პეტერბურგში მყოფ ილია ჭავჭავაძეს წერილობით იწვევს ფრაქციის შეხვედრაზე. ►
- 1906 22 ივნისამდე**  
 ყურადღებით ეცნობა სახელმწიფო საბჭოს მუშაობის პროტოკოლს და ინიშნავს მისთვის მიუღებელ პუნქტებს. ►

**1906 22 ივნისი**

სიტყვით გამოდის სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის მეექვსე სხდომაზე განაწესის პროექტთან დაკავშირებით და მოითხოვს ცვლილებების შეტანას რამდენიმე მუხლში. ►

**1906 22 ივნისი**

სახელმწიფო კანცელარიიდან ატყობინებენ, რომ 23 ივნისს უნდა გამოცხადდეს თავადაზნაურთა საკრებულოში, სადაც განიხილავენ კანონპროექტს სიკვდილით დასჯის შესახებ. ►

**1906 25 ივნისი**

სახელმწიფო საბჭოს ცხრა წევრთან ერთად ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ განცხადებას მოთხოვნით, რომ 27 ივნისის სხდომაზე პირველ საკითხად განიხილონ სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი. ►

**1906 27 ივნისი**

მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი დეპეშას უგზავნის პეტერბურგში. იგი ქართველი სამღვდელოების სახელით სთხოვს გადასცეს ახლად დანიშნულ ეგზარქოს ნიკონს, რომ არ ჩამოვიდეს საქართველოში, რადგან იმ წყლულების განკურნება, რომლებიც საქართველოს ეკლესიას ეგზარქოსობამ მიაყენა, მხოლოდ მისი დამოუკიდებლობის აღდგენას შეუძლია. ასევე, სთხოვს, რომ დეპეშის ტექსტი მიტროპოლიტ ანტონსაც (ვადკოვსკის) გააცნოს. ►

**1906 1 ივლისი**

საპასუხო დეპეშას უგზავნის მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილს. ატყობინებს, რომ საქართველოს ეგზარქოსად დანიშნული ნიკონი იმჟამად ქალაქში არ არის, მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადკოვსკიმ) კი ურჩია, შეჰგუებოდნენ ნიკონის დანიშვნის ფაქტს, რადგან მათი თხოვნა შედეგს არ გამოიღებდა. ►

**1906 2 ივლისი**

სესხის ყოველთვიური პროცენტების გადაუხდელობის გამო თსს ბანკის გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს, რომ მისი და მისი მეუღლის – ოლლა გურამიშვილის კუთვნილი მამულები გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით. ილია ჭავჭავაძე თხოვნით მიმართავს, რომ მათი მამულების გაყიდვა შეაჩერონ და თანხა დაუქვითონ ამავე ბანკის მიერ მისთვის დანიშნული პენსიიდან. ►

**1906 3 ივლისი**

მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარი მმართველი უგზავნის წიგნს: „რუსეთის სოფლის მეურნეობის სტატისტიკურ მონაცემთა კრებული XIX საუკუნის ბოლოსთვის (I-III) და ამ გამოცემაზე დართულ „კარტოგრაფებისა და დიაგრამების ატლასს“ (I-III). ►

**1906 4 ივლისამდე**

ალექსანდრე ცაგარელთან ერთად ხვდება უწმინდესი სინოდის თავმჯდომარეს, პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონს (ვადკოვსკის) და ხანგრძლივად საუბრობენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე. საუბრიდან იგებს, კიდევ რა არგუმენტების გამყარება დასჭირდება მოხსენებისთვის. ►



**1906 4 ივლისი**

გაზეთ „შრომაში“ იბეჭდება ინფორმაცია, თითქოს ილია ჭავჭავაძეს დაერწმუნებინოს რუსეთის ეკლესიის სინოდის თავმჯდომარე ანტონი (ვადკოვსკი), რომ გადაიფიქროს საქართველოში ახალი ეგზარქოსის გამოგზავნა. უცნობია, რას ეყრდნობა ეს ინფორმაცია, რადგან ილია ჭავჭავაძის ნაწერებიდან არ ჩანს, რომ მის საუბარს მიტროპოლიტ ანტონთან ასეთი იმედი მიეცა მისთვის. ►

**1906 6 ივლისის შემდეგ**

მიუხედავად ავადმყოფობისა, პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრაში ესწრება 6 ივლისს თბილისის გიმნაზიის დარბევის დროს მოკლული ინსპექტორის, შიო ჩიტაძის პანაშვიდს. მსახურებას აღასრულებენ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდი. გაკვირვებულია, რომ პანაშვიდს მხოლოდ ორიოდ კაცი ესწრება. ►

**1906 11 ივლისი**

იღებს ემანუელ ნოლდეს წერილს აფხაზთა საქმესთან დაკავშირებით. ►

**1906 7 მაისი - 8 ივლისი**

მონაწილეობს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის სხდომებში. ►

**1906 7 მაისი - 12 ივლისი**

რუსეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ილია ჭავჭავაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ ნიკოლოზ II გამოთქვამს მისი გაცნობის სურვილს და იწვევს აუდიენციაზე. იგი იმპერატორზე უაღრესად გონიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ►

**1906 13 ივლისი**

თსს ბანკის გამგეობა წერილობით აუწყებს, რომ თხოვნა გათვალისწინებულია, მისი და მისი მეუღლის მამულები საჯარო ვაჭრობიდან მოხსნილია და 300 მანეთს ყოველთვიურად დაუქვითავენ პენსიიდან. აქვე აცნობებენ, რომ ბანკიდან წასვლის შემდეგ (1905 წლის 23 ივნისს) მას აღარ ეკუთვნის მოგების წილი. ►

**1906 14 ივლისამდე**

ქართული პრესა ავრცელებს რუსული გაზეთებიდან „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ და „ოტგოლოსკი“ გადმობეჭდილ ინფორმაციებს პეტერბურგის პოლიციის მიერ ილია ჭავჭავაძისა და ისიდორე რამიშვილის დაპატიმრების შესახებ და იქვე ქვეყნდება შენიშვნა, რომ ინფორმაცია არასწორი აღმოჩნდა. ►

**1906 21 ივლისი**

ხალხთა თავისუფლების პარტია იწვევს საპარლამენტო ფრაქციის შეხვედრაზე. ►

**1906 25 ივლისამდე**

პეტერბურგში მყოფი დავით სარაჯიშვილი ილია ჭავჭავაძის თხოვნით სასტუმრო „ევროპაში“ მართავს სადილს, რომელსაც ესწრებიან სოციალ-დემოკრატი დეპუტატები: ისიდორე რამიშვილი, ნოე ჟორდანიას, ივანე გომართელი, ალექსანდრე ცაგარელი, ივანე ზურიბაშვილი, მალაქია ბოლქვაძე. ილია ჭავჭავაძე მათ სთხოვს, რომ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მხარი დაუჭირონ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას. სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ჰპირდებიან მხოლოდ იმას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებენ. ►

- 1906 25 ივლისამდე**  
ხვდება ჟურნალისტ მალაქია ბოლქვაძეს. საუბრობენ პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების ფუქსავატურ ცხოვრებასა და იქაურ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების უმოქმედობაზე. ►
- 1906 25 ივლისამდე**  
პეტერბურგიდან ბრუნდება თბილისში. ►
- 1906 25 აგვისტო**  
მარტორი და ოლივერ უორდროპები დარწმუნებულნი იმაში, რომ ილია იმხანად პეტერბურგში იმყოფება, მის სანახავად მიდიან როჟდესტვენსკაიას ქუჩაზე. ►
- 1906 4 სექტემბრამდე**  
მეუღლესთან და გაზეთ „ივერიის“ თანამშრომლებთან ერთად ესწრება წინამძღვრიანთკარის სკოლის გამოცდებს და ახალგაზრდების ცოდნით კმაყოფილი რჩება. ►
- 1906 12 სექტემბერი**  
მისი მეუღლის - ოლღა ჭავჭავაძის სახელზე თსს ბანკიდან მოდის ოფიციალური ცნობა, რომ 20 000 მანეთად დაგირავებული საგურამოს მამულის ანგარიშზე გადასახდელი აქვს 1890 მანეთი და 25 კაპიკი, აქედან განვლილი ნახევარი წლის შესატანია 1318 მანეთი და 25 კაპიკი. ►
- 1906 13 სექტემბერი**  
იღებს ოფიციალურ წერილს თსს ბანკიდან, რომ 15 000 მანეთად დაგირავებული ყვარლის მამულის ანგარიშზე გადასახდელი აქვს 752 მანეთი და 88 კაპიკი. ►
- 1906 13 სექტემბერი**  
იღებს ოფიციალურ წერილს თსს ბანკიდან, რომ 61 000 მანეთად დაგირავებული თბილისში ანდრეევსკის (ამჟამად გიორგი ჩუბინაშვილის) ქუჩაზე მდებარე კარ-მიდამოს ანგარიშზე გადასახდელი აქვს 830 მანეთი და 43 კაპიკი. აქედან, განვლილი ნახევარი წლისა - 580 მანეთი და 83 კაპიკი. ►
- 1906 19 სექტემბერი**  
თსს ბანკის ხელმძღვანელობა წერილობით ატყობინებს, რომ ბანკის ვალის გადაუხდელობის გამო შეუჩერეს პენსიის მიცემა. ►
- 1906 19 სექტემბერი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გიორგი ბაგრატიონ–დავითაშვილი უგზავნის წერილს და შეახსენებს მისსავე სურვილს, რომ აღიძრას შუამდგომლობა სახელმწიფო საბჭოში თბილისის გუბერნიის მიწათმფლობელებისთვის კიდევ ერთი წევრის დამატების უფლების მისაცემად. სთხოვს, დაამუშაოს ეს საკითხი და მოხსენების ფორმით წარადგინოს მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში გუბერნიის საგანგებო კრებაზე. ►
- 1906 22 სექტემბერი**  
თელავისა და თიანეთის მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლი მაქსიმილიანე ჭავჭავაძე მიმართავს წერილობითი თხოვნით, გაიღოს შესაწირავი ყვარლის დაზარალებული მოსახლეობისთვის. ►

- 1906 29 ოქტომბრამდე**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს - გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილს წარუდგენს ანგარიშს სახელმწიფო საბჭოს სესიებში მონაწილეობისთვის მის მიერ მისაღები თანხის შესახებ. ►
- 1906 სექტემბერი**  
თსს ბანკის ხელმძღვანელობა ოფიციალური უწყებით აფრთხილებს, რომ თუ არ გადაიხდის ბანკის ვალს, მისი ყვარლის მამული საჯარო ვაჭრობით გაიყიდება. ►
- 1906 29 ნოემბერი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრება იხილავს ილია ჭავჭავაძის მიერ წარუდგენილ ანგარიშს და თხოვნას სახელმწიფო საბჭოს სესიებში მონაწილეობისთვის კუთვნილი თანხის გაცემის შესახებ. მას უარს ეუბნებიან 1907 წლის ანაზღაურების მიცემაზე ამ წლის სესიების დამთავრებამდე. ►
- 1906 აგვისტოდან დეკემბრამდე**  
იღებს ყვარლის მამასახლის სპირიდონ ჭიბოშვილის წერილს მდინარე დურუჯის ადიდებით სოფლისთვის მიყენებული ზარალის შესახებ და თხოვნას, თავი არ დაზოგოს საკუთარი მხარისთვის და ხელისუფლებას გადაასინჯინოს დურუჯის საქმე. ამასთანავე, უგზავნის ვეჟილ ილია ხრისტოფოროვის მისამართს. ►
- 1906 7 დეკემბერი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი წერილით აცნობებს თავადაზნაურთა კრების გადაწყვეტილებას სახელმწიფო საბჭოს სესიებში მონაწილეობისთვის კუთვნილი თანხის გაცემასთან დაკავშირებით. ►
- 1906 9 დეკემბერი**  
ანტონ ფურცელაძე წერილობით სთხოვს, რომ 10 დეკემბერს მივიდეს თსს ბანკში, სადაც შეიკრიბებიან თავადაზნაურობის მარშლები და დეპუტატები. ►
- 1906 16 დეკემბრამდე**  
მეგობარ ნიკო ხიზანიშვილს უძღვნის ექსპრომტს „ამ შენს სახეს...“. ►
- 1906 16 დეკემბერი**  
ქშნ-კგ საზოგადოების მდივანი სამსონ ფირცხალავა აცნობებს, რომ ორგანიზაციის წლიური კრება გაიმართება 17 დეკემბერს. ►
- 1906 17 დეკემბერი**  
ხსნის ქშნ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც განიხილება წესდებაში შესატანი ცვლილებები, მაგრამ თავმჯდომარეობას ნიკოლოზ ცხვედაძეს გადასცემს. ►
- 1906 22 დეკემბერი**  
ესწრება მეგობრის - ნიკო ხიზანიშვილის დაკრძალვას. ►
- 1906 29 დეკემბრამდე**  
მეფისნაცვალთან აუდიენციაზე მიჰყვება წყალდიდობით მძიმედ დაზარალებული ყვარლის მოსახლეობის დეპუტაციას და ახერხებს, რომ მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება მდინარე დურუჯის ნაპირების ჭებრით გამაგრების შესახებ. ►

- 1906** ივანე გომელაური გამოსცემს კრებულს „ქართველი მწერლები“, რომელშიც იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „გუთნისდედა“, „ელეგია“ და პოემა „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ►
- 1906** იაკობ გოგებაშვილს „ბუნების კარში“ შეაქვს ილია ჭავჭავაძის ლექსი „მეცა მქონია კარგი მამული“. ►
- 1906** ესწრება ივანე ჭავჭავაძის ლექციას საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან. ►
- 1906** მიტროფანე ლალიძე გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე ხსნის გამაგრებელი ნაგებობის საფუძვლიან ქარხანას, რომელზეც ქართულ წარწერას რუსულის გემოთ ათავსებს. ამის გამო დაჭერა ემუქრება და ილია ჭავჭავაძის შუამდგომლობით ათავისუფლებენ. ►
- 1907 1 იანვარი**  
გაზეთ „შუამავალში“ „ეშმაკის“ ფსევდონიმით იბეჭდება ილია ჭავჭავაძის მიერ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვის ნუსტორ კალანდაძისეული პაროდია სათაურით „სიტყვა თქმული ილია ჭავჭავაძისა მიერ ს. გურამიანთკარში ეკბეკუციის მინიჭების დროს“. ►
- 1907 3 იანვარი**  
გაზეთ „შუამავალში“ „ირეთელის“ ფსევდონიმით იბეჭდება პოლიევქტო კალანდაძის სატირა ილია ჭავჭავაძეზე. ►
- 1907 5 იანვარი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი - გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი მიხეილ მაჩაბელს სწერს, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევასთან დაკავშირებით პეტერბურგში ხშირმა მისვლა-მოსვლამ ილია ჭავჭავაძე გაკოტრების პირას მიიყვანა. ადრესანტი წუხს ამის გამო და აპირებს თავადაზნაურთა კრებაზე დასვას საკითხი მისთვის ამ ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ►
- 1907 7 თებერვალი**  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი ილია ჭავჭავაძეს აცნობებს, რომ შეიტანა შუამდგომლობა მისი, როგორც სახელმწიფო საბჭოში თავადაზნაურთა მხრიდან არჩეული წევრის, დაჯილდოების შესახებ. სწერს, რომ აღნიშნულ საკითხს განიხილავენ გუბერნიის თავადაზნაურთა 18 თებერვლისთვის დაგეგმილ საგანგებო კრებაზე. ►
- 1907 14 თებერვლამდე**  
იღებს წერილს დის, ელისაბედისაგან, რომელიც საყვედურობს ვალის გადაუხდელობის გამო. ►
- 1907 14 თებერვალი**  
საპასუხო წერილს უგზავნის დას, ელისაბედს. ბოდიშს უხდის თანხის დაგვიანებისათვის, უხსნის, რომ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფება და სახელმწიფო საბჭოს სესიაზე დასასწრებად წასასვლელი თანხაც ძლივს იშოვა. ჰპირდება, რომ როგორც კი შეძლებს, გადაუხდის. ►



1907

**თებერვლის მეორე ნახევრამდე**

მხატვარი გიგო გაბაშვილი იწყებს მისი პორტრეტის შექმნას. რამდენიმე სეანსის შემდეგ დასახატი რჩება მხოლოდ მარჯვენა ხელი და სერთუკი. სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაში მონაწილეობის მისაღებად მწერლის პეტერბურგში გამგზავრების გამო პორტრეტზე მუშაობა წყდება (ერთი წლის შემდეგ გიგო გაბაშვილს პორტრეტის დასასრულებლად მოდელიობას უწევს ილია ჭავჭავაძის მსგავსი აღნაგობის მქონე სერბი პოლკოვნიკი შკაბიცი). ►

1907

**21 თებერვალი**

მიემგზავრება რუსეთში, სახელმწიფო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.. ►

1907

**თებერვალი**

გაზეთ „ზაკავკაზიეში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის თავადაზნაურთა კრებამ განიხილა ილია ჭავჭავაძის, როგორც სახელმწიფო საბჭოში საქართველოს თავადაზნაურთა წარმომადგენლისთვის, ფულადი ჭილდოს გამოყოფის საკითხი. ►

1907

**თებერვალი**

გაზეთ „ზაკავკაზიეში“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ ილია ჭავჭავაძისთვის ფულადი ჭილდოს გაცემის საკითხის განხილვა გადადო მისი პეტერბურგში გამგზავრების გამო. ►

1907

**მარტიდან**

პეტერბურგში ხვდება ივანე ჯავახიშვილს. აინტერესებს, იყო თუ არა საქართველოს ისტორიაში შრომის კოოპერატიული ფორმის მსგავსი რამ. როცა დადებით პასუხს იღებს, სთავაზობს ამ თემისადმი მიძღვნილი წიგნისთვის ისტორიული ნაწილის დაწერას. ►

1907

**23 მარტი**

გამგეობის წევრებთან ერთად ხელს აწერს ქმნ-კვ საზოგადოების განახლებულ წესდებას და ნოტარიალურად ამოწმებინებს ილია წინამძღვრიშვილს. ►

1907

**30 მარტი**

საპროტესტო წერილით მიმართავს გაზეთ „რუსის“ რედაქტორს მის გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციის გამო, თითქოს ილია ჭავჭავაძე სიტყვით გამოსვლას აპირებს სახელმწიფო საბჭოს სესიაზე კავკასიის ყოფილი მთავარმართებლის იმჟამად გარდაცვლილი გრიგოლ გოლიცინის ხსოვნის პატივსაცემად. სწერს, რომ ინფორმაცია არასწორია და მოითხოვს ამის შესახებ განმარტების გავრცელებას არა მხოლოდ გაზეთ „რუსის“, არამედ ყველა იმ გაზეთის მიერაც, ვინც ეს ყალბი ინფორმაცია გადაბეჭდა მათგან. ►

1907

**აპრილის დასაწყისი**

მუშაობას იწყებს სახელმწიფო საბჭოს სესიაზე წასაკითხ მოხსენებაზე სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობის შესახებ. ►

1907

**6 აპრილი**

ალექსანდრე ყიფშიძეს წერილით ატყობინებს, რომ მეუღლესთან ერთად იმყოფება პეტერბურგში, დაბინავებულია მუხინის ნომრებში და სთხოვს ეწვიოს. ►

- 1907 16 აპრილი**  
სამადლობელ წერილს უგზავნის სიმონ ესაძეს მის მიერ შედგენილი წიგნის „კავკასიის მართვა-გამგებლობის ისტორიული ჩანაწერი“ მიძღვნისათვის. ►
- 1907 აპრილის შუა რიცხვები**  
ამთავრებს მოხსენებას სიკვდილის დასჯის შესახებ. ►
- 1907 24 აპრილამდე**  
გარდაეცვალა სიძე – ნიკოლოზ აფხაზი. ►
- 1907 24 აპრილი**  
მიხეილ ჩიკვაიძეს მიაქვს მასთან მისი დის, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილის მოკითხვის წერილი, საიდანაც იგებს, რომ შეუძლოდ არის. ►
- 1907 24 აპრილი**  
საპასუხო წერილს უგზავნის ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილს. მადლობას უხდის თბილი მოკითხვისთვის, უსამძიმრებს მათი სიძის, ნიკოლოზ აფხაზის გარდაცვალების გამო და უსურვებს მალე გამოჯანმრთელებას. ►
- 1907 2 მაისი**  
სახელმწიფო საბჭოს სესიაზე წარმოთქვამს სიტყვას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. წყარო: პ. ინგოროყვა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, 1975, გვ. 326-327. ►
- 1907 ივნისის დასაწყისამდე**  
პეტერბურგში წიგნად გამოდის სახელმწიფო საბჭოს წევრთა ბიოგრაფიები. რომელშიც შეტანილია მონაცემები ილია ჭავჭავაძის შესახებაც. წიგნში ნათქვამია, რომ იგი თანახმაა მიწების ჩამორთმევისა, თუ ეს სახელმწიფო-სახალხო აუცილებლობით იქნება გამოწვეული და რომ მხარს უჭერს ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას, ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით. ►
- 1907 მაისის ბოლო – ივნისის დასაწყისი**  
საგურამოს მოურავი მოსე მემარნიშვილი დარაჯ პავლე ფშავლიშვილს (აფციაურს) ამხელს ქურდობაში და გადასცემს პოლიციას. ►
- 1907 20 თებერვალი - 5 ივნისი**  
მონაწილეობს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიის სხდომებში. ►
- 1907 7 ივნისამდე**  
მცხეთიდან დუშეთის ციხეში გადაყვანისას პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) გაქცევას ახერხებს. ►
- 1907 7 ივნისი**  
ყაჩაღები შედიან ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლში, პურის მცხობელ სოფიო უნდილაშვილს ხანჭლით ამინებენ, კლავენ მოურავ მოსე მემარნიშვილს და მის მეუღლე ევა მოძღვრიშვილ-მემარნიშვილისას. მიაქვთ ფული, ვერცხლის ნივთები, თოფი და რევოლვერი. ►

**1907 7-8 ივნისი**

იღებს დის, ელისაბედისა და მეფუტკრე დანიელ მასლოვის დეპეშებს, რომლებიდანაც იღებს საგურამოში მომხდარი ტრაგედიის შესახებ. ►

**1907 7-8 ივნისი**

დეპეშით ატყობინებს დას, ელისაბედს, რომ სასწრაფოდ ბრუნდება საქართველოში. ►

**1907 12 ივნისამდე**

სტუმრობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყოფილ მარშალ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს. ►

**1907 12 ივნისი**

ენწრება მოსე მემარნიშვილისა და მისი ცოლის, ევას დაკრძალვას. ►

**1907 12 ივნისის შემდეგ**

მსახური ბიჭი გიგოლა მოძღვრიშვილი ეუბნება, რომ მოურავმა მოსე მემარნიშვილმა ჯამაგირზე თანხა დააკლო და ითხოვს ანაზღაურებას. ილია ჭავჭავაძე მოურავის დავთარში ნახულობს, რომ მოძღვრიშვილს ხელი აქვს მოწერილი თანხის სრულად მიღებაზე და უარს ეუბნება, რის გამოც მოძღვრიშვილი უკმაყოფილო რჩება. ►

**1907 18 ივნისამდე**

ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა თავისი ძმის მეგობარ მიხეილ ჩიკვაიძეს ეუბნება, რომ ილია ახალ მოურავს ეძებს და კარგი იქნება, თუ დიმიტრი ჯაშს აიყვანს. ამის საფუძველზე ჩიკვაიძე რეკომენდაციას უწევს ჯაშს. ►

**1907 18 ივნისისამდე**

წერილს უგზავნის დიმიტრი ჯაშს. ატყობინებს, რომ მისმა დამ, ელისაბედმა და მიხეილ ჩიკვაიძემ რეკომენდაცია გაუწიეს საგურამოს მოურავის თანამდებობაზე და სთხოვს, საღამოს მიხეილთან ერთად ეწვიოს პირობებზე მოსალაპარაკებლად. ►

**1907 18 ივნისი**

დიმიტრი ჯაშს ნიშნავს საგურამოს მოურავად. ►

**1907 18 ივნისის შემდეგ**

რევოლუციური გამოსვლები კლებულობს და ილია ჭავჭავაძე ცდილობს საგურამოს მეურნეობაში წესრიგის დამყარებას. წინამურელ გლეხებს, რომლებიც მისი მიწებით სარგებლობდნენ და გადასახადი მოწეული პურის მარცვლით უნდა გადაეხადათ, უარს ეუბნება ამის ნაცვლად თანხის მიცემაზე და მოითხოვს დადებული პირობის შესრულებას. ახალ მოურავ დიმიტრი ჯაშს ავალეებს, რომ მათ, ვინც ორი წლის მანძილზე თვითნებურად არ უხდიდა კუთვნილ გადასახადს, ამჯერად უკვე გადაახდევინოს. მოურავი მისგან დაუკითხავად უვადებს გლეხებს გადასახადის გადახდის დროს, რითაც თავის მიმართ კეთილად განაწყობს, ილია ჭავჭავაძე კი, რომელიც ასეთ დათმობაზე არ მიდიოდა, დაუნდობელ მემამულედ გამოჰყავს. ჯაში ხშირად დადის წინამურში და საგურამოს ბაღში გლეხთა თავყრილობებზე და მათ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ განაწყობს. ►

- 1907 ივლისის დასაწყისი**  
დიმიტრი ჯაშს საგურამოში ჩაჰყავს ცოლ-შვილი. ►
- 1907 ივლისი**  
ორი კვირის განმავლობაში მეუღლის გარეშე საგურამოში. თბილისში ოლღას წერილით ატყობინებს, რომ მათი ახალი მოურავი დიმიტრი ჯაში თაღლითი გამოდგა და ახალ მოურავს ეძებს. ►
- 1907 ივლისი**  
საგურამოში ჩადის ახალი მზარეული ხარიტონ შიოშვილი. ►
- 1907 ივლისი**  
სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით საგურამოში საღამო ხანს ასული დუმეთის მამის უფროსი ყარამან ფალავა ვახშმად ილია ჭავჭავაძესთან რჩება. ილია წუხილს გამოთქვამს, მოურავად ისეთი კაცი მომხმარებელს თავს, ხალხში დაძვრება და ჩემს წინააღმდეგ ამხედრებსო. ამის პასუხად ყარამან ფალავა უყვება ერთ შემთხვევას, როდესაც მან დაინახა, როგორ გამოდიოდა დიმიტრი ჯაში ჟანდარმთა სამმართველოდან, ხელში ბრეზენტის ჩანთით და რაღაც ქაღალდებით. როდესაც ფალავას მცხეთის ჟანდარმერიაში უკითხავს, ილია ჭავჭავაძის მოურავს აქ რა უნდოდაო, გაუმხელიათ, რომ მათთან თანამშრომლობდა. ►
- 1907 ივლისი**  
ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა საგურამოში ბრუნდება. ►
- 1907 ივლისი**  
მოურავ მოსე მემარნიშვილისა და მისი ცოლის მოკვლის შემდეგ, ყაჩაღები ახალ-ახალ გამაფრთხილებელ ნიშნებს აძლევენ. ისინი სასტიკად კლავენ მის შინაურ ცხოველებს, უწყინარ თეთრ ჯორს, რომელსაც ილია ჭავჭავაძე დილ-დილობით შაქარს აჭმევდა, სარს უყრიან, მენველ ძროხას კი ძუძუებს აჭრიან. ►
- 1907 1 აგვისტომდე**  
ორ დეკემბას და წერილს უგზავნის ყვარლის მოურავ ნოშრევან ჯაფარიძეს, მაგრამ მისგან პასუხს ვერ იღებს. ►
- 1907 1 აგვისტომდე**  
ყვარლელ ნათესავ იური ჭავჭავაძეს წერილობით სთხოვს, გაურკვევოს, რატომ არ პასუხობს მოურავი მის გზავნილებს. ►
- 1907 1 აგვისტომდე**  
იღებს ნოშრევან ჯაფარიძის წერილს. მოურავი თავს იმართლებს პასუხის დაგვიანებისთვის და უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ილია ჭავჭავაძემ ნათესავს მიმართა საქმის გასარკვევად. ►
- 1907 1 აგვისტო**  
საპასუხო წერილს უგზავნის ნოშრევან ჯაფარიძეს. სწერს, რომ წერილსა და ორ დეკემბაზე პასუხის მიუღებლობის შემდეგ მისი შეშფოთება და ამბის გასაგებად ნათესავის შეწუხება ბუნებრივი იყო. დარიგებას აძლევს, რა ფასად გაყიდოს თითო საპალნე ღვინო. ►



1907

**აგვისტოს დასაწყისი**

საგურამოში მასთან ჩადის და რჩება ბიძაშვილი ზაალ ჭავჭავაძე. ►

1907

**აგვისტოს პირველი დეკადა**

ზაქარია ჭიჭინაძე თბილისის ღვინის სარდაფში სადილობს. გვერდით მაგიდასთან მისი ნაცნობი სოციალ-დემოკრატები სხედან და ცხარედ მსჯელობენ. ზაქარია ჭერ რალაცას კრიტიკულს ამბობს სოციალ-დემოკრატებზე, შემდეგ კი სვამს ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოს. ისინი ღიზიანდებიან, სასტიკად სცემენ და ქუჩაში აგდებენ. სახლში მედუქნეს მიჰყავს და გზაზე ეუბნება, რამ დაგანყებინა იმათთან ილია ჭავჭავაძის ქება, სწორედ იმიტომ იყვნენ შეკრებილები, რომ მასზე ბჭობდნენ, მოკვლას უპირებენო. ►

1907

**12 აგვისტო**

იგებს გრიგოლ ვოლსკის დაჭრის ამბავს და თბილისიდან ბათუმში დეპეშას უგზავნის გიორგი ჟურულს. სწერს, რომ ნუხს მომხდარის გამო, მაგრამ ახარებს მისი გადარჩენა. ►

1907

**16 აგვისტო**

მის კუთვნილ ავჯალის ტყეში ხეების უნებართვოდ მოჭრის გამო აპატიმრებენ ადილობრივ გლეხებს. მათი ნათესავები ილია ჭავჭავაძეს სთხოვენ დამნაშავეთა პატიებას, მაგრამ საქმეში უკვე ჩარეულია პოლიცია და მათი გათავისუფლება ტყის პატრონზე აღარ არის დამოკიდებული. ილია ჭავჭავაძე უხსნის ამას, მაგრამ ისინი მაინც უკმაყოფილონი რჩებიან. ►

1907

**17 აგვისტომდე**

სერგი გორგაძე გამოსცემს კრებულ „ჩვენი მწერლობის“ პირველ ტომს, რომელიც ეთმობა პოეზიას. სხვა ავტორთა თხზულებების გვერდით შეტანილია ილია ჭავჭავაძის ლექსები: „სიმღერა“, „ქართვლის დედას“, „გავსწორდეთ, ბედო!“, „ნანა“, „ელეგია“, „მუშა“, „პოეტი“, „დაბნელდა სული“, „უსულდგმულო ცხოვრება“, „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაკი...“, „ჩემო კალამო“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით...“, „ბედნიერი ერი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „აღარც ნატვრა და აღარც იმედი“ და „დამაკვირდი“ (II, XII, VII, IV, XIII); ასევე ნაწყვეტები პოემებიდან: „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ („მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი... მაღლიერია თავის ბედისა“; „სამშობლოს ცასა... თვისი სიმღერა დაილულუნა“), „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „აჩრდილი“. ►

1907

**21 აგვისტო**

საგურამოში მასთან სტუმრად ადის არტურ ლაისტი. ►

1907

**23 აგვისტო**

მოურავ მოსე მემარნიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილის მამა გიორგი ფშავლიშვილი (აფციაური) მოსამსახურის პირით სთხოვს შეხვედრას. ილია ჭავჭავაძე უთვლის, თუ საქმე ეხება საპატიმროდან გაქცეული შვილისთვის შუამდგომლობას, ჩვენს შეხვედრას აზრი არა აქვს, სხვა საქმეზე კი მზად ვარ მივიღო. ფშავლიშვილი პასუხით უკმაყოფილო რჩება და მიდის. ►

1907

**26 აგვისტო**

საგურამოში ჰყავს სტუმრები. სადილის შემდეგ მოურავი დიმიტრი ჭაში ეუბნება, მეეტლე თედო ლაბაური, მეძროხე და სხვა მოსამსახურეები შიმშილობას აცხადებენ, რადგან ხორცი, რომელიც სადილად ჰქონდათ, საკვებად უვარგისი იყო. ილია ჭავჭავაძე ითხოვს დაწუნებული კერძის მისთვის მიტანას, სინჯავს, რწმუნდება, რომ გაფუჭებული არ არის და ჭაშს ავალეებს მატყუარა მსახურების დათხოვნას. იმჟამად იქ მყოფი ზაალ ჭავჭავაძე მსახურებთან გასაუბრებით არკვევს, რომ სადილად სტუმრების ყოლის გამო მოსამსახურეებს ხორცი უვარგისი კი არა, არასაკმარისი რაოდენობით შეხვედრიათ. ისინი ბოდიშს იხდიან, ილია ჭავჭავაძე ყველას პატიობს და აღარ ითხოვს სამსახურიდან. ►

**1907 აგვისტოს ბოლო მეოთხედი**

საგურამოს ყოფილი მზარეული ხარიტონ შიოშვილი მზარეულ სოფიო უნდილაშვილს საიდუმლოდ ეუბნება ილია ჭავჭავაძეს მალე მოკლავენ, რადგან გლეხებს ავიწროებს და თან პარტია უკმაყოფილოა მისი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრობით. სოფიო უნდილაშვილი ამ ამბავს უმხელს ახალი მოურავის, დიმიტრი ჭაშის ცოლ დარიას. ►

**1907 27 აგვისტომდე**

გრძნობს თავდასხმის საფრთხეს, ერიდება იმ აივანზე გასვლას, რომელსაც ბალი აკრავს, შესაძლებელია ჩასაფრება და მოულოდნელად სროლა. გარდა ამისა, მასთან სტუმრად მყოფ ბიძაშვილს - ზაალ ჭავჭავაძეს ართმევს რევოლვერს და თავს არიდებს კითხვაზე პასუხს, რაში სჭირდება. ►

**1907 27 აგვისტო**

მეულღესთან, არტურ ლაისტსა და მსახურ იაკობ ბითარიშვილთან ერთად ეტლით ბრუნდება საგურამოდან თბილისში. ►

**1907 27 აგვისტო**

სტუმრობს თბილისის მამრის თავადაზნაურთა ყოფილ წინამძღოლ ალექსანდრე ორბელიანს. ►

**1907 28 აგვისტომდე**

არისტო ქუთათელაძე ბეჭდავს კრებულ „წყაროს“ მეორე წიგნს, რომელშიც შეტანილია ილია ჭავჭავაძის ლექსები: „პოეტი“ და „გაზაფხული“. ►

**1907 27-29 აგვისტო**

სამი დღის განმავლობაში თბილისის სახლში ამოდ ეძებს რაღაც მნიშვნელოვან საბუთს და ვერ პოულობს. ►

**1907 29 აგვისტო**

ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის დასაგეგმად წინამურში პავლე ფშავლიშვილს (აფციაურს) აკითხავენ მისი ნათესავი გიორგი ხიზანიშვილი, ვანო ინაშვილი, გიგოლა ბერბიჭაშვილი და „ვილაც იმერელი“, სავარაუდოდ, ილიკო იმერლიშვილი. ►

**1907 29 აგვისტო**

სალამო ხანს მეეტლე თედო ლაბაურთან მიდიან ილია ჭავჭავაძეზე დაგეგმილი თავდასხმის მონაწილენი და უთანხმდებიან, სად უნდა შეაჩეროს დაშემოაბრუნოს ეტლი, რომ მათთვის მოსახერხებელი იყოს. ►

**1907 29 აგვისტო**

ილია წინამძღვრიშვილი ურჩევს თბილისში დარჩენას, მაგრამ უარს ეუბნება. ►

**1907 29 აგვისტო**

ოლღა გურამიშვილ ჭავჭავაძისას საგურამოში გამგზავრების ეშინია. ილია სთავაზობს, რომ ის თბილისში დარჩეს და თავად მარტო გაემგზავრება, მაგრამ ოლღა არ თანხმდება. იმ დროს მათთან სტუმრად მყოფი მარიამ ორბელიანიც ურჩევს ილიას, რომ არ გაემგზავრონ, მაგრამ მასაც უარს ეუბნება. ►

**1907 30 აგვისტომდე**

უფრო და უფრო ხშირად ღებულობს მუქარის წერილებს. ►

**1907 30 აგვისტომდე**

სოფელ ბახვში, ფერშალ პროკოფი ბერეჟიანის ოჯახში იმართება საიდუმლო შეკრება, რომელსაც ესწრება თექვსმეტამდე ყოფილი სოციალ-დემოკრატი: ერმილე და კალენიკე დოლიძეები, დიომიდე ბასილაიშვილი, კორნელი და ნიკო შავიშვილები, ილარიონ უჭმაჭურიძე, მარკოზ ჟღენტი, რაჟდენ ვადაჭკორია, მელქისედეკ მდინარაძე, ერმილე ანდლულაძე, ლადიკო ბერეჟიანი და ბათუმიდან ჩასული ორი პიროვნება. შეკრებას უძღვება ჩასულთაგან ერთ-ერთი – მალალი, გამხდარი, წითური, უკან გადავარცხნილი თმითა და წაწვეტებული წვერით. ის შეკრებილთ მოუწოდებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობისკენ. საუბრიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია „ცენტრალურ კომიტეტში“. კრებაზე მყოფი ექვსი ტერორისტიდან კენჭისყრით მკვლელობის აღსრულება ევალება ერმილე და კალენიკე დოლიძეებსა და დიომიდე ბასილაიშვილს. ამ შეხვედრის შესახებ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ დაკითხვის დროს საუბრობს ოზურგეთში ძარცვისათვის დაპატიმრებული ალექსანდრე გრეკოვი, მაგრამ მოგვიანებით თავადვე უარყოფს ყოველივეს და ამბობს, რომ მის მიერ ჩამოთვლილი პიროვნებებისადმი მტრული დამოკიდებულების გამო შეთხზა ეს ტყუილი. არსებობს მოსაზრება, რომ ამ ინფორმაციის გავრცელება საჭირო იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებისთვის კვალის ასარევად. ►

**1907 30 აგვისტო**

ილია ჭავჭავაძის ეტლის თბილისიდან გამოსვლის შემდეგ ძარცვავენ მის საცხოვრებელ სახლს თბილისში. მიაქვთ საოჯახო ნივთები, საქმიანი ქაღალდები და პირადი წერილები. ►

**1907 30 აგვისტო**

შუადღემდე მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი მოურავი დიმიტრი ჭაში კაკლის ხეზე ადის, ვითომდა დასაბერტყად, რეალურად კი მიდამოს დასაზვერად. მეფუტკრე დანიელ მასლოვი რამდენჯერმე შეახსენებს, რომ წავიდეს თბილისიდან მომავალი ილია ჭავჭავაძის შესახვედრად, მაგრამ ჭაში სტრაჟნიკებთან ერთად წასვლას აგვიანებს, რომ მკვლელებს ხელი არ შეუშალოს. ►

**1907 30 აგვისტო**

დილის 10 საათზე ეტლით მიემგზავრება თბილისიდან საგურამოში. მასთან ერთად არიან მეუღლე, მსახური იაკობ ბითარიშვილი და მეეტლე თედო ლაბაური. 1 საათსა და 30 წუთზე საგურამომდე 6-7 კილომეტრის დაშორებით, წინამურთან ორ სხვადასხვა გორაკზე მდგარი გიორგი ხიზანიშვილი და პავლე ფშავლიშვილი (აფციაური), თავდამსხმელებს ანიშნებენ ეტლის გამოჩენას. ხიზანიშვილი ადგილზევე რჩება სამეთვალყუროდ, ფშავლიშვილი კი თავდამსხმელებს: გიგოლა ბერბიჭაშვილს, ვანო ინაშვილსა და ილია იმერლიშვილს უერთდება. სტვენის ხმაზე ბოროტმოქმედების თანამონაწილე თედო ლაბაური ეტლს აჩერებს. შეიარაღებული თავდამსხმელები ტყიდან გამოდიან. იმერლიშვილი ილია ჭავჭავაძეს კლავს გულში ნასროლი ტყვიით და შემდეგ ბერბიჭაშვილი სახეში ურტყამს თოფის კონდახს. კლავენ მსახურ იაკობ ბითარიშვილს და კონდახით მძიმე ჭრილობებს აყენებენ ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძისას. ►

## სამეცნიერო აპარატი

წყაროები, ატრიბუცია, დათარიღება, „პირთა იდენტიფიკაცია“,  
„პირთა ანოტაციები“ და ფოტო-დოკუმენტური მასალა



**წყარო:** ი. ჭავჭავაძე, „ავტობიოგრაფია“, თსკ ოც ტომად, ტ. 14, თბ., 2007, გვ. 443; ელისაბედ ჭავჭავაძის მოგონება, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ნ. 1, 1935, გვ. 552, 555; საქართველოს ეროვნული არქივი, სინოდალური კანტორის ფონდი, 489, აღწ. 6, საქ. 301, ფ. 16; „საისტორიო მოამბე“, ტ. 3. 1947, გვ. 162; აპოლონ წულაძის წერილი მიხეილ გედევანიშვილისადმი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 8590/49-50.

**დათარილება:** ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღის მეორე სავარაუდო ვერსიის – 20 იანვრის შესახებ იხ. „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისთვის“, თბ., 2016, გვ. 276-277.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ბებურიშვილი მარიამ (მაგდანა) ქრისტეფორეს (ხაჩატურის) ასული (1818-1848) ილია ჭავჭავაძის დედა. 1832 წელს დაქორწინდა თავად გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეზე. ზოგიერთი გადმოცემით, სახადით გარდაიცვალა, სხვა ვერსიით, მშობიარობას გადაჰყვა.

ილია წინასწარმეტყველი (ძვ. წ. IX ს.) – ბიბლიური წინასწარმეტყველი.

წიგნი მეორე დასრულებულია			
N	საგანი	წიგნი	ფურცლები
1	საგანი	წიგნი	ფურცლები
2	საგანი	წიგნი	ფურცლები
3	საგანი	წიგნი	ფურცლები

**დოკუმენტი:** საეკლესიო ჩანაწერი, საქართველოს ეროვნული არქივი, სინოდალური კანტორის ფონდი, 489, აღწ. 6, საქ. 301, ფ. 16.

**წყარო:** საქართველოს ეროვნული არქივი, სინოდალური კანტორის ფონდი, 489, აღწ. 6, საქ. 301, ფ. 16; „საისტორიო მოამბე“, ტ. 3. 1947, გვ. 162.

**დათარიღება:** ილია ჭავჭავაძის ნათლობის თარიღის მეორე სავარაუდო ვერსიის – 26 იანვრის შესახებ იხ. „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისთვის“, თბ., 2016, გვ. 276-277.

**პირთა ანოტაციები:**

იოანე ნათლისმცემელი – იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რომელმაც მესიის მოსვლა იწინასწარმეტყველა. ჭავჭავაძეთა კარის ეკლესია ყვარელში მისი სახელობისა იყო.

ზურიაშვილი დანიელ იოსების ძე – ყვარლის იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელი.

ანდრონიკაშვილი-ერისთავისა ნინო მალხაზის ასული (1793-1868) – ილია ჭავჭავაძის ნათლია, თელავის მაზრის სოფელ ქისტაურის მკვიდრის – გიორგი ბეჟანის ძე არაგვის ერისთავის მეუღლე.



**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 65.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე ალექსანდრე შაატას ძე (1808-1838) – ილია ჭავჭავაძის ბიძა, რუსეთის არმიის გენერალ ფეხეს რაზმის ოფიცერი.



**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 64.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე სვიმონ გრიგოლის ძე (1838-1839) – ილია ჭავჭავაძის უმცროსი ძმა, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა.





**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 64.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე სვიმონ გრიგოლის ძე (1838-1839) – ილია ჭავჭავაძის უმცროსი ძმა, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა.



**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 71.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე (ჭავჭავაძე-ჭამბაკურ-ორბელიანისა, ჭავჭავაძე-საგინაშვილისა) ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის ასული (1840-1925) – ილია ჭავჭავაძის უმცროსი და.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, 1947, გვ. 161.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ ჰაათას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ჭავჭავაძე კონსტანტინე გრიგოლის ძე (1833-1854) - ილია ჭავჭავაძის უფროსი ძმა. სწავლობდა რუსეთში და ცოლად მოიყვანა წარმოშობით ვორონეჟელი ბარბარე კუკოლევსკაია. მოკლეს ლეკებმა წინანდალზე თავდასხმისას.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, 1947.

**პირთა ანოტაციები:**

იოანე ნათლისმცემელი – იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რომელმაც მესიის მოსვლა იწინასწარმეტყველა. ჭავჭავაძეთა კარის ეკლესია ყვარელში მისი სახელობისა იყო.





**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 72.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე თეიმურაზ გრიგოლის ძე (1844-1860)- ილია ჭავჭავაძის უმცროსი ძმა. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და პეტერბურგის კადეტთა კორპუსში. გარდაიცვალა პეტერბურგში და დაკრძალულია იქვე.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, 3, 1947, გვ. 165-167.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ ჰაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.



**წყარო:** ი. ჭავჭავაძე, „ავტობიოგრაფია“, თსკ ოც ტომად, ტ. 14, თბ., 2007, გვ. 443.

**პირთა ანოტაციები:**

სეფაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე – ყვარლის კვირაცხოვლობის (თომა მოციქულის) ეკლესიის მთავარდიაკვანი.



**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 64.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე ლევან გრიგოლის ძე (1845-1847) – ილია ჭავჭავაძის უმცროსი ძმა, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა.





**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, 1947, გვ. 162.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ ჰაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ჭავჭავაძე კონსტანტინე გრიგოლის ძე (1833-1854) - ილია ჭავჭავაძის უფროსი ძმა. სწავლობდა რუსეთში და ცოლად მოიყვანა წარმოშობით ვორონეჟელი ბარბარე კუკოლევსკაია. მოკლეს ლეკებმა წინანდალზე თავდასხმისას.

ჭავჭავაძე (ჭავჭავაძე-ჭამბაკურ-ორბელიანისა, ჭავჭავაძე-საგინაშვილისა) ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის ასული (1840-1925) – ილია ჭავჭავაძის უმცროსი და.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, 1947, გვ. 163.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ ჰაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.



**წყარო:** იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. 2. 1944, გვ. 182. იაკობ ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მონაფეობა და სტუდენტობა, 1937, გვ. 19.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.



**წყარო:** სალომე ლოლაძის მოგონება, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ნ. 1, 1935, გვ. 557; რომანოზ ფანცხავა (ხომლედი), „ილია, როგორც ბელეტრისტი“, გაზ. „კვალი“, 1893, № 17, გვ. 25.





**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 65.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გარსევან პაატას ძე (1815-1847) – ილია ჭავჭავაძის ბიძა, რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი, კავკასიის მე-2 მესანგრეთა ასეულის მეთაური. დაიღუპა გერგებლის იერიშის დროს.



**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 64.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე ლევან გრიგოლის ძე (1845-1847) – ილია ჭავჭავაძის უმცროსი ძმა, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა.



**წყარო:** ა. გაჩეჩილაძე, მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ. 1957, გვ. 359-361.

**პირთა იდენტიფიკაცია:** წყაროებში წილოსნის სახელი მითითებული არ არის და კვლევით დადგინდა, რომ ეს უნდა იყოს მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელე კაპიტანი იოსებ წილოსანი (რედ.).

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

წილოსანი იოსებ ლაზარეს ძე (1804-1873) – გურული გლეხის შვილი. ბავშვობაში გაყიდეს ოსმალეთში და მამობილის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. 1832 წელს მთარგმნელად დაიწყო სამსახური მეფისნაცვლის კანცელარიაში, მუშაობდა ინჟინრად, მიაღწია პოლკოვნიკის წოდებას.



**წყარო:** ა. გაჩეჩილაძე, მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ. 1957, გვ. 359-361.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, 1845-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი.

ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786-1886) – რომანტიკოსი პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, მონაწილეობდა 1804 წლის აჭანყებაში, 1832 წლის შეთქმულებაში, ნაპოლეონისა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში.



**წყარო:** ი. ჭავჭავაძე, „ავტობიოგრაფია“, თსკ ოც ტომად, ტ. 14, თბ., 2007, გვ. 444.

**პირთა იდენტიფიკაცია:** ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ პანსიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო იანიშვესკი და არა რაევსკი.

**პირთა ანოტაციები:**

რაევსკი-კრესტიანოვი ალექსანდრე ივანეს ძე – პედაგოგი, დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი. 1843 წელს თბილისში გახსნა კერძო პანსიონი, რომელიც მდებარეობდა სადოვაიას ქუჩაზე (დღევანდელი ასათიანის ქ.), მსახურობდა თბილისის გიმნაზიაში სიტყვიერების უფროს მასწავლებლად და მუშაობდა ცენზორად.

ჰაკვე ლეონტი – დაახლოებით 1843-1844 წელს კავკასიის მთავარმართებლის მოწვევით გერმანიიდან ჩამოვიდა საქართველოში. მუშაობდა რაევსკი-კრესტიანოვის პანსიონში, იყო დანესებულების ფაქტობრივი მმართველი.





**წყარო:** ა. გაჩეჩილაძე, მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ. 1957, გვ. 361.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, 1845-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი.



**წყარო:** ელისაბედ საგინაშვილის მოგონება, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ნ. 1. 1935, გვ. 553-556; იაკობ ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მონაფეოება და სტუდენტობა, 1937, გვ. 20.

**პირთა ანოტაციები:**

ბებურიშვილი მარიამ (მაგდანა) ქრისტეფორეს (ხაჩატურის) ასული (1818-1848) ილია ჭავჭავაძის დედა. 1832 წელს დაქორწინდა თავად გრიგოლ შაატას ძე ჭავჭავაძეზე. ზოგიერთი გადმოცემით, სახადით გარდაიცვალა, სხვა ვერსიით, მშობიარობას გადაჰყვა.



**წყარო:** ელისაბედ საგინაშვილის მოგონება, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ნ. 1, 1935, გვ. 554-555.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ შაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ჭავჭავაძე-ერისთავისა მაკრინე შაატას ასული – ილია ჭავჭავაძის გამზრდელი მამიდა, ივანე რაფიელის ძე არაგვის ერისთავის მეუღლე.



**წყარო:** ნიკოლოზ ნათიძე, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ნ. 1, 1935, გვ. 573; იაკობ ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მონაფეოხა და სტუდენტოხა, 1937, გვ. 21.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, 3, 1947, გვ. 165-167.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ ჰაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.





**წყარო:** ეკატერინე ავთანდილის ასულ კრიჟანოვსკის მოგონება, გაზეთი თემი, 1913 № 122; ვ. კარბელაშვილის ჩანაწერი, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წ. 1, 1935, გვ. 547; იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 65, 66.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ შაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ეკატერინე (ქალია) დავითის ასული – გვარი უცნობია. შიომ ნიკიტას ძე შიოევის ქვრივი, ილია ჭავჭავაძის მამის, გრიგოლ ჭავჭავაძის მეორე ცოლი.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, 3, 1947, გვ. 165-167.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

წმინდა ანა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დედა. მისი სახელობის ორდენი რუსეთის იმპერიაში დააარსდა 1735 წელს.



**წყარო:** კობტა აფხაზი, ლიტერატურის მატრიანე, 1935, ნ. 1, გვ. 565.

**პირთა ანოტაციები:**

აფხაზი კობტა (ალექსანდრე) ნიკოლოზის ძე (1838წ...) ილია ჭავჭავაძის სიყრმის მეგობარი და ნათესავი. მასთან ერთად სწავლობდა გიმნაზიასა და უნივერსიტეტში.

ტერ-ასატუროვა – სახელი უცნობია. ილია ჭავჭავაძის ბავშვობის გატაცება, რომელიც თბილისში, თამამშევის ქარვასლის მეორე სართულზე ცხოვრობდა.



**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 67; ი. ბალახაშვილი. ილია ჭავჭავაძის მონაფეოდა და სტუდენტობა. 1937, გვ. 29.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე-აფხაზისა ნინო, გრიგოლის ასული (1834-1883) – ილია ჭავჭავაძის უფროსი და. სწავლობდა თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელში.

აფხაზი ნიკოლოზ შერმაზანის ძე (1828-1907) – ერეკლე II-ის შთამომავალი, ილია ჭავჭავაძის დის, ნინოს მეუღლე.



**წყარო:** ი. ჭავჭავაძე, „ავტობიოგრაფია“, თსუ ოც ტომად, ტ. 14, თბ., 2007, გვ. 444.





**წყარო:** ალექსანდრე (კობტა) აფხაზი, „ლიერატურული მემკვიდრეობა“, ნ. 1. 1935, გვ. 563; ი. ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მონაწილეობა და სტუდენტობა. 1937, გვ. 32; ი. ჭავჭავაძე, თსკ ოც ტომად, ტ. 1, თბ., 1987, გვ. 277, 280, 283, 516-520; ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი № 62, გვ. 190.

**დათარიღება:** „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისთვის“, თბ. 2016, გვ. 168-173.



**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 65.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.



**წყარო:** იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 65.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ბებურიშვილი მარიამ (მაგდანა) ქრისტეფორეს (ხაჩატურის) ასული (1818-1848) ილია ჭავჭავაძის დედა. 1832 წელს დაქორწინდა თავად გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეზე. ზოგიერთი გადმოცემით, სახადით გარდაიცვალა, სხვა ვერსიით, მშობიარობას გადაჰყვა.



**წყარო:** ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი № 105, გვ. 1.

**დათარიღება:** „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისთვის“, თბ. 2016, გვ. 173.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, 1947, გვ. 167.

**პირთა** იდენტიფიკაცია: „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანისთვის“, თბ., 2016, გვ. 148.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე-ერისთავისა მაკრინე პაატას ასული – ილია ჭავჭავაძის გამზრდელი მამიდა, ივანე რაფიელის ძე არაგვის ერისთავის მეუღლე.

ანდრონიკაშვილი რამაზ ივანეს ძე (1812-1885) – კავკასიის მთავარი სამმართველოს კანცელარიის მოხელე, თელავის მაზრის უფროსი.

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1793-1868) – რუსეთის არმიის გენერალი, კავკასიის და ყირიმის ომების მონაწილე, 1849-55 წლებში თბილისის სამხედრო გუბერნატორი, ილია ჭავჭავაძის ნათლიის – ნინოს ძმა.

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ჭავჭავაძე თეიმურაზ გრიგოლის ძე (1844-1860)- ილია ჭავჭავაძის უმცროსი ძმა. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და პეტერბურგის კადეტთა კორპუსში. გარდაიცვალა პეტერბურგში და დაკრძალულია იქვე.





**წყარო:** ი. ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მონაწილეობა და სტუდენტობა. 1837, გვ. 29; ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), 1951, გვ. 56.



**წყარო:** იაკობ ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მონაფეობა და სტუდენტობა, 1937, გვ. 29.

**პირთა ანოტაციები:**

დემენტიევი ნიკოლოზ ტიმოთეს ძე- თბილისის გიმნაზიის რუსულის მასწავლებელი, 1839-1840 წლებში – დირექტორი.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, 1947, გვ. 167.

**პირთა** იდენტიფიკაცია: „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატეანისთვის“, თბ., 2016, გვ. 148.

**პირთა ანოტაციები:**

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1793-1868) – რუსეთის არმიის გენერალი, კავკასიის და ყირიმის ომების მონაწილე, 1849-55 წლებში თბილისის სამხედრო გუბერნატორი, ილია ჭავჭავაძის ნათლიის – ნინოს ძმა.

ბებუთაშვილი (ბებუთოვი) ვასილ იოსების ძე (1789-1858) ინფანტერიის გენერალი, სხვადასხვა დროს იყო იმერეთისა და ახალციხის მმართველი, ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს უფროსი.

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ჭავჭავაძე თეიმურაზ გრიგოლის ძე (1844-1860)- ილია ჭავჭავაძის უმცროსი ძმა. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და პეტერბურგის კადეტთა კორპუსში. გარდაიცვალა პეტერბურგში და დაკრძალულია იქვე.



**წყარო:** „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, 1947, გვ. 169.

**პირთა** იდენტიფიკაცია: „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატეანისთვის“, თბ., 2016, გვ. 148.

**პირთა ანოტაციები:**

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1793-1868) – რუსეთის არმიის გენერალი, კავკასიის და ყირიმის ომების მონაწილე, 1849-55 წლებში თბილისის სამხედრო გუბერნატორი, ილია ჭავჭავაძის ნათლის – ნინოს ძმა.

ჭავჭავაძე გრიგოლ შაატას ძე (1811-1852) ილია ჭავჭავაძის მამა. 17 წლისამ დაიწყო სამხედრო სამსახური ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის აღებაში, იბრძოდა ტაო-კლარჯეთში. 1845 წ. დაინიშნა კახეთის ათასკაციანი მილიციის უფროსად და იგერიებდა ლეკთა შემოტევებს.

ჭავჭავაძე თეიმურაზ გრიგოლის ძე (1844-1860)- ილია ჭავჭავაძის უმცროსი ძმა. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და პეტერბურგის კადეტთა კორპუსში. გარდაიცვალა პეტერბურგში და დაკრძალულია იქვე.



**წყარო:** ი. ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მონაწილეობა და სტუდენტობა. 1937, გვ. 35.





**წყარო:** ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი №105, გვ. 4.

**პირთა** იდენტიფიკაცია: „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისთვის“, თბ. 2016, გვ. 128-129.

**პირთა ანოტაციები:**

მალალაშვილი-ანდრონიკაშვილისა ნატალია გრიგოლის ასული – ილია ჭავჭავაძის ნათესავის, სალომე მელქისედეკის ასულ ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილის რძალი, ვაჟის ცოლი.

ჭავჭავაძე-ავალიშვილისა თინათინ (თიკო) ზურაბის ასული (1835-1875) – ილია ჭავჭავაძის ნათესავი. იოსებ ანდრონიკაშვილის მოგონებების მიხედვით, „კაცია ადამიანის“ პერსონაჟ დარეჯანის პროტოტიპი.



**წყარო:** ნიკოლოზ ნათიძე, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ნ. 1, 1935, გვ. 573; რომანოზ ფანცხავა (ხომლედი), „ი. ჭავჭავაძე, როგორც ლირიკოსი პოეტი“, ჟურნ. „განთიადი, 1915, № 14, გვ. 15; ჟურნ. „მნათობი“, 1937, № 5, გვ. 107-121.

**პირთა ანოტაციები:**

გარიბალდი ჯუზეპე (1807-1882) – იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, გენერალი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.



**წყარო:** გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 8591-ბ, ფ. 81. იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 66.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე კონსტანტინე გრიგოლის ძე (1833-1854) – ილია ჭავჭავაძის უფროსი ძმა. სწავლობდა რუსეთში და ცოლად მოიყვანა წარმოშობით ვორონეჟელი ბარბარე კუკოლევსკაია. მოკლეს ლეკებმა წინანდალზე თავდასხმისას.

კუკოლევსკაია ბარბარე (ვარვარა) გრიგოლის ასული – ილია ჭავჭავაძის რძალი, ძმის – კონსტანტინეს მეუღლე, ვორონეჟის გუბერნიის ოსტორგის მაზრიდან.



**წყარო:** ელისაბედ საგინაშვილი, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ნ. 1, 1935, გვ. 555.



**წყარო:** ბარბარე ჭორჭაძე, „ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები“, თბ., 1986, გვ. 79-80; იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები, არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 66.

**პირთა ანოტაციები:**

ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786-1886) – რომანტიკოსი პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, მონაწილეობდა 1804 წლის აჯანყებაში, 1832 წლის შეთქმულებაში, ნაპოლეონისა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1818-1884) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1853-1856 წლებში ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას. ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის შვილიშვილი – ანა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია.

ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე (1804-1883) – რომანტიკოსი პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი.

ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1817-1853) – გრიგოლ ორბელიანის ძმა, გენერალ-მაიორი, მონაწილეობდა კავკასიის ბრძოლებში. 1846 წელს დაინიშნა განჯის მაზრის უფროსის მოადგილედ. დაიღუპა ყირიმის ომში.

